

მაგალი თოდუა

„ქიდილა და ღამანას“ საბასეუდი  
ვერსია

გამომცემლობა „მეცნიერიბა“  
თბილისი  
1967

:8 11 (Иран)+8 11 (Арав)

891. 5. 09+892. 7. 09

თ 677

ამ წიგნში განხილულია „ქილილა და დამანას“ სა-  
ბასეული ვერსიის საკითხები (დედანთან მიმართების,  
ტექსტის კომენტირების, ქართული ვერსიფიკაციის,  
ენის, სხვა ქართულ ვერსიებთან ურთიერთობისა და  
სხვ.). ამ საკითხთა ირგვლივ მსჯელობამ თავისთავად  
გამოიწვია „ქილილა და დამანას“ სპარსული და ქარ-  
თული ვერსიების განხილვა, მით უმეტეს, რომ ზოგი  
მათგანი სათანადოდ არ იყო შესწავლილი. ხოლო ზოგ-  
ზე საერთოდ არაფერი იყო თქმული.

## შესავალი

„ქილილა და დამანა“ ინდური წარმომავლობის ძეგლია. სანსკრიტიდან იგი ჯერ საშუალო სპარსულ ენაზე ითარგმნა, საშუალო სპარსულიდან არაბულზე, ხოლო არაბულიდან ისევ სპარსულ (ოღონდ უკვე ახალ სპარსულ) ენაზე იქნა გადმოტანილი. ქართული თარგმანი ერთ მის გვიანდელ სპარსულ ვერსიას, ქაშეფის „ანვარ-ე სოჰაილის“ უკავშირდება.

ინდოეთში ჩ. წ. აღრიცხვით VI ს. უკვე არსებობდა,—არაა ცნობილი რა დროიდან,<sup>1</sup>—კრებული „პანჩატანტრა“ („ხუთი რვეული“, „ხუთი წიგნი“). „ამ ლიტერატურულმა ძეგლმა იმ სახით, როგორსაც ჩვენ მას ვიცნობთ, თავისი საბოლოო ფორმა შედარებით გვიან მიიღო. ეს მოხდა მაშინ, როცა ბუდიზმი საბოლოოდ იქნა ინდოეთში შევიწროებული და ბრაჰმანიზმმა იწყო ბუდისტური ლიტერატურის გამოყენება“<sup>2</sup>. არის ვარაუდი, რომ ძეგლი პალის დიალექტზე უნდა შექმნილიყო და მერე უნდა ითარგმნათ სანსკრიტზე ინდოელ ბერებს. „პანჩატანტრა“ ხუთი კარისაგან შედგება, ყოველ შემთხვევაში, დღემდე შემონახული მისი რედაქცია, რომელიც ერთ-ერთი გვიანდელი ვერსია უნდა იყოს, დღესაც ხუთ ნაწილად იყოფა. თავისთავად ეს მოვლენა იმაზე როდი უთითებს, რომ იგი იმთავითვე ხუთი კარისაგან ყოფილიყო შემდგარი რა, შესაბამისად, სათანადო სახელი „პანჩატანტრა“ რქმეოდა. ძეგლის ანალიზი ცხადპყფის, რომ მისი კარები შინაარსობლივად ერთმანეთს არ უკავშირდება, სხვადასხვა საკითხებს ეხება და სხვადასხვა დროს, ნაირ სოციალურ გარემოში არის შექმნილი. წიგნი, ეტყობა, ამ არაკების ბაზაზე შედგა უფრო გვიან, ვიდრე ეს არაკები შეიქმნებოდა.

<sup>1</sup> Th. Benfey, *Kallilag und Damnag. Alte sirische Übersetzung.* Leipzig, 1876, გვ. VI. შემდეგში: Th. Benfey.

<sup>2</sup> М. В. Рябинин, *Книга Калила и Дамна, ее происхождение и история.* М., 1889, гв. VII. შემდეგში: М. В. Рябинин.

„პანჩატანტრას“ პირველი წიგნის სათაურია „მოყვასთა გაყრა“. ესაა ამბავი, რომელიც ნადირთა მეფე ლომს, მის მისანლო ხარს და ორ ტურას — კარატაქასა და დამანაქას გარდახდა. ეს წიგნი ოცდაათ იგავს აერთიანებს. მეორე წიგნია „მოყვასთა შექცევა“. იგი ქართული „ქილილა და დამანას“ მესამე კარის შესატყვისია და ყვავისა და თაგვის ამბავს შეიცავს. აქ ცხრა იგავს ჰყვებიან. მესამე წიგნი „ყვავთა და ბუთა ამბავია“ და შოგ ჩვიდმეტი იგავია თავმოყრილი. მაიმუნისა და დელფინის (ქართული „ქილილა და დამანას“ მიხედვით — მაიმუნისა და კუს) ამბავს გვიყვება მეოთხე წიგნი, რომელსაც „შექენილის დაკარგვა“ ეწოდება. აქ თერთმეტ იგავს ვკითხულობთ. „პანჩატანტრას“ მეხუთე წიგნის სათაურია „განუსჯელი საქციელი“, რომელიც, ასევე, თერთმეტ იგავს შეიცავს და „ქილილა და დამანას“. კარის, „ერთგული კვერნის“ სათავეა.

ასე რომ, „პანჩატანტრასთან“, „ქილილა და დამანას“ აკავშირებს იგავეები, რომლებიც ინდური ძეგლის ხუთ წიგნშია მოქცეული. მაგრამ „ქილილა და დამანასში“ ამ კრებულის ყველა იგავი არ გადმოსულა და არც „ქილილა და დამანას“ შეჩერებულა ამ იგავეებზე, — მას თავისთავად ჩაუმატებია კიდევ ბევრი იგავი, რომლებიც აგრეთვე ინდური ძეგლებიდან უსესხებია. მაგალითად, „ქაბა და თაგვი“, „ხელმწიფე და ჭარო“ და „ღვთისნიერი ტურა“. „მაპაბპარატას“ მეთორმეტე კარში იკითხება.

გარდა ფაბულებისა „პანჩატანტრამ“ „ქილილა და დამანას“ გადმოაყოლა ამ ფაბულათა დალაგების სისტემა, ე. წ. ჩარჩოვანი თხრობა. ესაა წიგნი, სადაც ამბავში ამბავს ჰყვებიან, ხოლო მოსალოდნელია იმ მოყოლილი ამბის გმირები კიდევ რაიმე ამბავს ჰყვებოდნენ<sup>3</sup>. ეს ამბები ერთმანეთს კი არ ავსებენ შინაარსობლივად, არამედ, გარდა ორი გამონაკლისისა, დამოუკიდებელი არიან და მომყოლთ საგანგებოდ მოაქვთ მათი ამა თუ იმ შეხედულების დასადასტურებლად<sup>4</sup>. ასეთი ტიპის წიგნებში ძირითადი ამბავი ისე

<sup>3</sup> ამ ვანრის შესახებ იხ. П. А. Гринцер, Древнеиндийская проза (Обрамленная повесть), М., 1963.

<sup>4</sup> აქ მხედველობაში არა ვაქვს შემთხვევები, როდესაც წიგნის პერსონაჟები თავიანთ თავგადასავალს ჰყვებიან, როგორც ეს ხშირადაა, მაგალითად, „შაპანაშეში“, „ვეფხისტყაოსანში“, ორჯერ თვით „ქილილა და დამანასში“ (თაგვის თავგადასავალი — ამბავში: „კილყავი და თაგვი“ და მოყირკებულის თავგადასავალი — ამბავში: „მოყირკებულის ხელოსანი“) და ძალიან ხშირად ხბალ რომანებში. ზოგჯერ წერენ, „პანჩატანტრას“ ჩარჩოვანი პრინციპი „დეკამერონს“ უღვეს საფუძვლად. ჩართული ამბები „ღონ-კახობშიაც“ ვხვდებით, მაგრამ „ქილილა და დამანასში“ ამბების მოყოლა მორტიერებულად და ლოგიკური, ამდენად წიგნი უფრო დინამიურია. ამის გარდა აქ ერთმანეთს ეჯახება ამ ამბე-

არ დამთავრდება, რომ მასში მოყოლილი ამბავი არ მოთავდეს, ხოლო ეს უკანასკნელი მანამ არ დასრულდება, სანამ შიგ მოთხრობილ ამბავს არ დაამთავრებენ. მაგალითად, „ანეარ-ე სოჰილიში“ ძირითადი ამბავია ამბავი უმაიუნფალისა და ხაჭუსთარისა (1). ერთ ზღეს ისინი ველად გავიდნენ. ხაჭუსთარმა საუბარში ინდოთა მეფე დაბეშლიმი და ბრძენი ბიდფაი ახსენა. უმაიუნფალი დაინტერესდა: მათი ამბავი მომიყევიო. ხაჭუსთარი უმაიუნფალს უყვება დაბეშლიმისა და ბიდფაის შეხვედრისა და საუბრის ამბავს (2). დაბეშლიმს სიზმარში ერთმა ბერმა უთხრა: აღმოსაელეთით წადი და საუნჯეს იპოვნო. მეფემ მართლა იპოვა საუნჯე. შიგ თორმეტი ანდერძი იღვა. ერთ-ერთი ანდერძი მეფეს ცეილონზე წასვლას ურჩევდა. წავიდა. იქ ერთი განდევილი იპოვა, სახელად ბიდფაი. ბიდფაიმ ანდერძები იგაგებით განუმარტა. მათ შორის ერთი ასეთი იგავი იყო: (3) ერთმა კილყევამა თავვთან დამეგობრება მოინდომა. თავვი ჭერ უარზე იყო, ჩვენ ბუნებით ერთმანეთის მტრები ვართ და ვერ ვიმეგობრებთო. მაინც დამეგობრდნენ. თავვმა მას უამბო თავისი თავგადასაყალი: (4) ერთი განდევილის სენაკის სოროში ეცხოვრობდი, განდევილს ერთხელ სტუმარი ეწვია. მასპინძელმა სტუმარს შეჩივლა: თავგები არ მაყენებენო. სტუმარმა უთხრა: აქ რაღაც ამბავიაო და საამისო იგავი უამბო: (5) ერთი ცოლქმარი იყო. ქმარმა თქვა: სტუმრები უნდა დავპატიეო. ცოლმა დაუშალა: ჩვენთვის არაფერი გვაქვს და სტუმარს რა უნდა ვაჭამოთო. ქმარმა უთხრა: სიხარბე არ ვარგა, რაც გვაქვს, ის ვიკმაროთ, თორემ ხარბ მგელს რომ დავმართა ის მოგვივაო. ცოლმა ჰკითხა: რა მოუვიდა ხარბ მგელსო? ქმარმა უამბო: (6) მგელმა მკვდარი კაცის, ქურციკისა და ღორის ლეში იპოვა. იფიქრა: ესენი ხომ ჩემია, ჭერ ამ მკვდარი მონადირის შშვილდის ლარს შეეკამო. აქ წყდება ბოლო რგოლი ამბავთა ჭაჭვისა. არც ერთი აქ მოთხრობილი ამბავი დამთავრებული არაა, ყველა ისინი ერთმანეთის მიყოლებით დაუმთავრებლად დატოვებული, და რომ ისინი დამთავრდეს, საჭიროა მოთავდეს ბოლო, ხარბი მგელის, ამბავი. კერ-

პის მოყოლთა ინტერესები. ისინი იძულებულნი არიან მათი აზრის უპირატესობის დასამტკიცებლად მოიტანონ მკეთრი ტენდენციის მატარებელი იგავები. ეს იგავები იმდენად აშკარაა და ლოგიკურ დასკვნებს იწვევენ, ისეთ ემოციას ახდენენ პერსონაჟზე (ე. ი. ბოლოს და ბოლოს თვით მკითხველზე), რომელთა საწინააღმდეგოდა და დასარწმუნებლად იგი ითქვა, რომ მოქმედ გმართა ბელი ამ იგავთა მარჯვედ მოხმობითა და მათი ზეგავლენით წყდება. აქ არ დაეასახელებთ უამრავ საამისო მაგალითს, რომელიც „ქილილა და დამანასა“ და მის მსგავს ზოგ ჩარჩოვან ნაწარმოებებში („სინდბად-ნამე“, „სიბრძნე სიციურისა“ და სხვ.) გვხვდება.

ძოდ, აი ასე მთავრდება ისინი: (6) მგელი მშვილდის ლარს წაეტანა თუ არა „გოზამ წვერი გარდიქნია“ და მგელი მოკლა. მაშასადამე, მგელი თავისი სიხარბის გამო დაისაჯა. (5) ხარბი მგლის ამბავს რომ მოუყვია, ქმარმა ცოლი დაარწმუნა, რომ სტუმრის მოყვანა საპირო იყო. ცოლი სამზადისს შეუდგა. მაგრამ ძილი მოერია და საკმელს ძალი წაეტანა, ცოლმა იზიზლა და მედუქნეს წაუღო: რაფად მოგყიდო. მედუქნემ გაიკვირვა: აქ რაღაც ამბავია, თორემ ასე იაფად რატომ ჰყიდო. (4) ამისი არ იყოსო, — განაგრძობს განდევნილის სტუმარი, — აქ რაღაც ამბავია, თორემ ის თავგი ასე როგორ გაგიტამამდებოდაო. მიწა მოთხარეს და გაირკვა, რომ იმ გათამამებულ თავგს თურმე ოქროები ჰქონდა შენახული და დიდ გულზე ამიტომ იყო. თავგი გაღარიბდა, ღარიბი კი მისთა მოყვასთა არ ინდომეს და (3) ისიც იძულებული გახდა სხვა ჯურის არსება. კილყვაეი დაეამხანაგებინა. (2) აიო, — ლოხრა ბიდფაიმ მუფე დაბეშლიმს, — მეგობართა შეძენა და გაფრთხილება ასე უნდაო. დაბეშლიმს ასეთი იგაგების მოსმენა ესიამოვნა, მათი სიბრძნე ჰქუაში დაუჭდა, გამოეთხოვა ბიდფაის და ცხოვრებაში მისი დარიგებებით ხელმძღვანელობდა. (1) უმაიუნფალს ხაჭუსთარმა ეს ამბები რომ უამბო, მეფემ დიდად დაუმაღლა თავის ვეზირს, ეს იგაგები მასაც ენიშნა და უფრო მორქმული და სამართლიანი შეიქნა.

ჩვენ აქ საგანგებოდ შევარჩიეთ ამბავთა ისეთი ძეწკვი, სადაც ორი ტიპის თხრობაა: შინაარსის შემავსებელიც (თავგადასაუალი) და იგაგად მოსატანიც. როგორც აღვნიშნეთ, პირველის მხოლოდ ორიოდე მაგალითი გვაქვს „ქილილა და დამანასი“, ხოლო მეორის ნიმუშად ყველა დანარჩენი კარი გამოდგებოდა. „პანჩატანტრაში“ ძეწკვის რგოლები ნაკლებია, აქ არ გვხვდება უმაიუნფალის, არც დაბეშლიმის რგოლები. მისი სქემა ასეთია: ჯერ მოდის შესავალი, სადაც მოთხრობილია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ხუთი ამბავი (რაც ხუთ წიგნშია მოქცეული) უფლისწულებს დაუწერა ვიშნუშარმანმა, ერთმა ბრძენმა ბრაჰმანმა, მათი განსწავლის მიზნით, ხოლო ამის შემდეგ მოდის პირველი კარი, რომელშიც პერსონაჟები თავისთავად იგაგებს ჰყვებიან. ყველა კართა ჯაქვი როდია მრავალი რგოლის შემცველი, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს თვისება „ქილილა და დამანას“ ვერსიებს „პანჩატანტრამ“ გადმოაყოლა აღმოსავლეთში და პრინციპულად უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს, თუ რომელ ვერსიაში რამდენი რგოლი გადააბა ამბავთა ჯაქვში ასეთი თხრობით გატაცებულმა ავტორმა ვერსიისამ.

მანც „ქილილა და დამანას“ (მისი თვით საშუალო სპარსული რედაქციის) უშუალო წინაპარი, როგორც ფიქრობენ, „პანჩატანტ-

რა“ არ უნდა იყოს. ეს უკანასკნელი ინდური ლიტერატურის ბევრ ძეგლს კვებავს (მას უკავშირდება, მაგალითად, „ჰიტოპადეშა“, როგორც ამას ჯერ კიდევ სილვეტრ დე სასი მიუთითებდა<sup>5</sup>) და ერთ-ერთი მათგანი „პანჩატანტრადან“ გამომდინარე და დღემდე მოუღწეველი ძეგლი უნდა ყოფილიყო. „ქილილა და დამანას“ წყაროსთვალი. ახლა ძნელია, ვიმსჯელოთ იმ წყაროზე, რადგან მისგან გამომდინარე ვერსიაც, ფალაური ძეგლი, დაკარგულია, ხოლო ფალაურის არაბული და სირიული თარგმანები შემოგვრჩა, მაგრამ არ ვიცით, თვით ფალაური რა მიმართებაში იყო იმ ძეგლთან, იქნებ მისი მხოლოდ თავისუფალი დამუშავება-და იყო.

არ არის შეუძლებელი, რომ თვით სახელწოდება „ქილილა და დამანა“ ინდურსავე წიაღში რქმეოდა იგავთა ამ კრებულს. ქილილა და დამანა ტურათა სახელებია და „პანჩატანტრაში“ მათ ამბავს ერთი (პირველი) წიგნი უჭირავს (არაბულსა და სპარსულ ვერსიებში — ორი), მაგრამ შეიძლება თვით ინდურსავე წიაღში შეერთებოდეს მას ეს სხვა კარები და „ქილილა და დამანა“ რქმეოდეს.

<sup>5</sup> Callia et Dimna, au fables de Bidpai, en Arabe. Par M. Silvestre de Sacy. Paris, 1816, გვ. 5. შემდეგში: de Sacy.

<sup>6</sup> ქილილა (არაბ.-სპ. كليللا) მოდის პანჩატანტრასულ კარატაკა (ძნუქი წითელი) ფორმიდან. ხოლო დამანა (არაბ.-სპ. دمانا) — იმავე სანსკრიტის ფორმიდან: დამანაკა (დამანაშვილებელი) ვარაუდობენ, რომ, რადგან არამეულსა და არაბულ დამწერლობაში მოკლე ხმოვანი არ გამოიხატება, არაბებს შეეძლოთ გადმოეტანათ დამანაკა და იგი გაეაზრებინათ როგორც დიმანა (ნაეკლევი). იმის დასამტკიცებლად, რომ არაბულში დამანაკ ფორმას კითხულობდნენ და არა დამანაკს (და რომ პირველი ფორმა უფრო სწორია, ვიდრე მეორე) მ. რიაზინინი იშველიებს მის ქართულ შესატყვისს: დამანა, რომელიც სანსკრიტის დამანაკა ფორმასთან უფრო ახლოსაა. მაგრამ მკვლევარი ფრთხილობს და ქართულ მასალას მთლად ვერ ენდობა, რადგან იცის, რომ იგი კრებულის გვიანდელ, ქაშფისეული ვერსიიდან მოდის (M. B. Pяшнин, გვ. XXXVIII—XXXIX). მ. რიაზინინის სიფრთხილე უსაფუძვლო არ ჩანს. ქართულში უფრო ადრეც გვხვდება ეს სახელი. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ვითარ ითქმის ინდოთა აღწერილსა ქილილა-დამანასა შინა“ (ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1959, გვ. 13). აქ, როგორც ვხედავთ, დამანა იკითხება, მაგრამ უფრო ძველ (ვახტანგზე ადრეულ) ხელნაწერებშია: ქალაღლიშს, ქალაღიმს, ქალაღიმს (იქვე). დაბეჭდვითი ინი ექვს აღრმავებს. ვფიქრობთ, იგი უნდა აღიქვას ტექსტში. (დამანაკს გამოთქამენ თურმე ლიბანშიაც). რაც შეეხება ქალილა ფორმას, ვარაუდობენ, რომ აქ ფალაურის ამოკითხვისას უნდა ყოფილიყო ცვლილება მომხდარი (ფალაურში რ და ლ ბგერები ერთნაირად გამოიხატება, ხოლო მოკლე ხმოვნები საერთოდ არ აღინიშნებოდა).

„პანჩატანტრას“ დღესდღეობით გავრცელებული ვერსია ლექსნართავი პროზაა. ასეთი პროზით მრავალი ძეგლი დაიწერა აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ინდურ ლიტერატურაში ეს ჩართული ლექსები ხან ციტატებია რომელიმე თხზულებიდან მოტანილი (ზოგჯერ ამავე თხზულების უფრო ძველი ლექსითი ვერსიიდან), ხანაც ავტორისავე პოეტური გაგრძელებაა პროზით გამოხატული შინაარსისა (ამ უკანასკნელის ნიმუშია „შაკუნტალა“, სადაც კალიდასა პროზაულ დიალოგებს თავისითვე ლექსით აგრძელებს)<sup>7</sup>. „პანჩატანტრაში“ ხშირადაა ჩართული სხვადასხვა ზომის ლექსები, რომლებიც ან რაიმე აზრს ადასტურებს თუ ასკვნის, ან აზრის მოსაყოლ საშუალებადაა მოხმობილი. მათი უმეტესობა „ეპიკური პოეზიის ძეგლებიდან და დიდაქტიკურ ლიტერატურიდანაა ამოღებული („მაპაბჰარატა“, „არტანშასტრა“ და სხვ.)<sup>8</sup>.

ასე, მაგალითად, „პანჩატანტრაში“ ვკითხულობთ: „ძვირფასო, ეს ჩვენ რა გვესაქმება? აცი თქმულა:

„ენც ცხვირს სხვის საქმეში ჩაყოფს, ისჯება,  
როგორც მაიმუნი, რომელმაც სოლი ამოძრო და თავს  
დაიღუპა“<sup>9</sup>.

საიდანაა ეს ლექსი? საეჭვო არ უნდა იყოს, რომ იგი ციტატაა, მოხმობილი ამავე იგავის რომელიმე ძველი ნართაულიდან. ასევე, „პანჩატანტრაში“ ჩართული ზოგი ამბავიც (მაგალითად, მესამე წიგნის მერვე რვავე) თითქმის მთლიანად ლექსია. შეიძლება იგი „პანჩატანტრას“ ამ ვერსიის ავტორს არც ეკუთვნოდეს, მის რომელიმე ძეგლ, ლექსით ვერსიიდან (თუ პროზაული ვერსიის ლექსით ნაწილიდან) მოჰქონდეს, ან, რაც უფრო საფიქრებელია, სხვა ძეგლიდან ჰქონდეს ნასესხები. ასეა თუ ისე, აქ ახლა ის გვინდა ვთქვათ, რომ შეიძლება „ქილილა და დამანას“ ინდური ვერსია, მისი პირველი ინდური წყარო, ლექსნარევი პროზით ყოფილიყო დაწერილი. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ერთი მხრივ თვით „პანჩატანტრას“ და მეორე მხრივ არაბული ვერსიის შედარება, — არაბულშიც იკითხება ამ ლექსის შინაარსი (ჩანს, ასეთივე იყო

7 იხ. კალიდასა, შაკუნტალა, თარგმანი გრ. ნახუცრიშვილისა, გ. ახელედანის რედაქციით. თბილისი, 1966.

<sup>8</sup> А. Я. Сыркин, Объяснение стихотворных размеров. Панчатантра. М., 1958, гл. 324.

<sup>9</sup> Панчатантра, перевод с санскрита и примечания А. Я. Сыркина. Издательство АН СССР. М., 1958, гл. 20. შემდგომი: Панчатантра.



შათი შუალედი, ფალაური ვერსიაც, რომლის თარგმანიც არაბულია), ხოლო ლექსებს, ე. ი. ვალექსილ ადგილებს უკვე ველარ ვხვდებით, ეტყობა, მის ავტორს იზნ ალ-მუყათას ლექსი არ ემარჩებოდა (მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში რაიმე პოეტურ თხზულებას არ ასახელებენ) და ფალაურის ლექსით ნაწილს თავისი ბრწყინვალე პროზით გადმოსცემდა. სანიმუშოდ ერთ ადგილს ავიღებთ.

„პ ა ნ ხ ა ტ ა ნ ტ რ ა“:

„თუმცა ხარობს ძალდი, ძვალს რომ იხელთებს, —  
ქონი და ძარღვი ოდნე რომ აკრავს და ხორცი — არა, —  
ვერ იკლავს შიმშილს.  
ხოლო ლომი, რომელმაც უნებლად გაუშვა ტურა,  
სპილოს ეტანება მოსაკლავად.  
ეველა სულდგმულს გაჰირვებაშიაც ქსურს მიიღოს  
შესაფერისი ჭილღო.  
პატრონის ფეხებთან წევს ძალდი განაბული,  
კუდს აჭიციანებს და საკმელს ელოდება პირდაბჩენილი,  
სპილო კი, როცა აქმევე, დიდხანს იკაეებს თავს  
და მხოლოდ ბევრი ფერების შემდეგ იღებს საკმელს“<sup>10</sup>.

ა რ ა ბ უ ლ ი ვ ე რ ს ი ა:

„და, ქეშმარიტად, ვინც კეთილშობილი არაა და რომელთაც მტირედიც ახარებს და მით კმაყოფილდება, ჰგავს ძალღს, რომელმაც ძვალი იხელთა და მით ნეტარებს. კეთილშობილსა და სათნო ხალხს კი მტირედი არ აკმაყოფილებს და არ სჯერდება უმნიშვნელო რამეს, სანამ არ ამალღდება იმ სიმალღემდე, რომელსაც იმსახურებს, როგორც ლომი, რომელმაც გაფატრა კურღლედი, მაგრამ კანჭარი რომ დაღანდა, კურღლედი მიაგდო და მას გაეკიდა.

განა ვერა ხეღავ, ძალდი მანამღის აჭიციანებს კუდს, სანამ ნახორხალს არ მიუღღებენ, ხოლო სპილო, თუმცა იგი შიმშილისაგან ირევა, მოწიწებით რომ მიაართმევენ საკმელს, მაინც არ ინებებს ჭამას, სანამღის არ მოეფერებინ და არ დაუყვავებენ“<sup>11</sup>.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 21—22.

<sup>11</sup> كتاب كليلة و دمنة لبيدنا الفيلسوف الهندي عربي عن البهلوية  
المنشى الباليغ اللغوى المتور عبد الله بن مقفع، قرن، ١٣٢٨ سنة 70  
გვ. 70

შემღევში: دمنة و كليلة იხ. აგრეთვე: Калила и Димна, перевод с  
арабского И. Ю. Крачковского и И. П. Кузьмина. М., 1957, გვ. 76-  
შემღევში: Калила и Димна.

ასეთივე სურათს იძლევა სირიული თარგმანიც<sup>12</sup>.

სანსკრიტისა და არაბულის წაკითხვათ შუა ათი საუკუნე და ორი ვერსია მაინც დგას, და ამასობაში უკვე შეიცვალა აქ მოტანილი ზოგი ლექსის შინაარსი. „ქილილა და დამანაში“ „პანჩატანტრასთან“ საერთო იგავთა ყველა ლექსი, თუნდაც შეცვლილი, აღარ იკითხება. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ „ქილილა და დამანას“ უშუალოდ დედანი, ფალაური ვერსია, „პანჩატანტრადან“ კი არ მოდის, არამედ მისგან გამომდინარე ინდურ არაკთა კრებულიდან დაიქნებ ლექსების ეს ადგილები არც იმ საგულვებელ კრებულში იყო (საერთოდ ფიქრობენ, რომ ლექსები იგავენს „პანჩატანტრას“ შექმნამდე რამდენიმე საუკუნით ადრე დაუქავეშირდა, ინდურ ლატერატურაში ლექსები გვხვდება იგავენის ბუდისტურ კრებულში „ჯატაკა“. ასეთ ლექსნართავ იგავენს ინდურად აქია უკა ეწოდებოდა<sup>13</sup>).

„ქილილა და დამანა“, როგორც „პანჩატანტრადან“ გამომდინარე ძეგლი, იგავ-არაკთა კრებულია. აქ მოტანილი არაკები ჩვეულებრივი ზღაპრები კი არაა, არამედ იგავენია, ხოლო იგავი „ესე არს სიტყვით მაგალითი, გინა საჩუენებელი, გინა მოსანიშნავი“ (საბა). იგავში მარტო ცხოველები როდი მოქმედებენ. „პანჩატანტრასა“ და მის მსგავს თხზულებებში ცხოველთა იგავენის გვერდით იკითხება იგავენი, რომლებშიაც მოქმედი გმირნი მხოლოდ ადამიანები არიან, გვხვდება ისეთი იგავებიც, სადაც ცხოველებიც მოქმედებენ და ადამიანებიც, ზოგ იგავში პერსონაჟებად გამოყენებულია თვით ფლორა. თავისი ხასიათით ყველა იგავი ერთნაირია. იგი უნდა იყოს „საჩუენებელი“ და „მოსანიშნავი“. მასში შინაარსი ისე უნდა ვითარდებოდეს, რომ ერთი ტენდენციური აზრი ტრიალებდეს და ერთი დასკვნა გამოდიოდეს. დასკვნა აუცილებელია, იგავის მიზანი სწორედ ეს დასკვნაა, რომელიც მკითხველმა თუ მსმენელმა თვითონ იოლად უნდა გამოიტანოს. ზომის მხრივ იგავი ნაირია, ზოგი დიდია, ზოგი პატარა, რამდენიმე გვერდიდან რამდენიმე სტრიქონამდე მერყეობს<sup>14</sup>. ზომა ყოველთვის მცირე არ იქნება, მაგრამ ზედმეტ დეტალებს და ხაზებს იგავი ვერ იტანს, მასში ყველაფერი ერთ ტენდენციას უნდა ემსახურებოდეს და, ამდენად,

<sup>12</sup> Kallila und Dimna, syrisch und deutsch von Friedrich Schultes, I. Berlin, 1911, გვ. 4. შესწავლი: Kallila und Dimna.

<sup>13</sup> В. В. Иванов, „Панчатантра“, Панчатантра, გვ. 317.

<sup>14</sup> ქილილა და დამანას იგავთა ნაირობის შესახებ იხ. А. В. Панкова, Композиция сборника Калила и Димна. Палестинский сборник, 11 (74). М.-Л., 1964, გვ. 139.

მოქმედება დინამიურად უნდა ვითარდებოდეს. ამ მხრივ „ქილილა და დამანას“ იგავეები სხვა ლიტერატურათა იგავეებისგან არაფრით განსხვავდება. გამიზნულებით „იგავი, მასიური სახალხო მოქმედების ნამდვილი ნაყოფი, პროტესტის უფრო მძაფრი, გამოკვეთილი და დასაბუთებული გამოხატულებაა, ვიდრე ის ყრუ ნართაულები, რომლისთვისაც ათასში ერთხელ თუ შეეძლო მიემართა ოსტატს მის მიერ მოქარგულ ორნამენტებში“<sup>15</sup>.

იგავ-არაკთა კრებულების წარმატებას ყოველთვის მისი მხატვრული სიმართლე განაპირობებდა. ამიტომ ვრცელდებოდა კარგი იგავეები ასე ფართოდ მილიონობით სხვადასხვა ეროვნების, სარწმუნოებისა და ებოქის ადამიანებში.

ინდოეთიდან მომდინარე იგავეები დასავლეთისკენ ალბათ მრავალ ნაკადად დაიძრა. ისინი ხალხიდან ხალხში „გადადიოდა ხან ცალკე, დამოუკიდებლად, ხან — კრებულში გაერთიანებულნი“<sup>16</sup>. ყველაზე უხვი და ძლიერი მათ შორის სწორედ „ქილილა და დამანას“ ნაკადი უნდა ყოფილიყო. მას ვერაფერი დაუდგა წინ და „უფრო გავრცელდა, ვიდრე ბიბლია, ყურანი და ბუდიზმი“<sup>17</sup>. მისი იგავეები იმთავითვე ვრცელდებოდა, შეიძლება მანამდეც კი, სანამ ამ კრებულში გაერთიანდებოდა. მისი ფაბულები, კერძოდ იგავი სამი თევზისა გვხვდება სოლდურ ფოლკლორში<sup>18</sup>. იაპონურ ხალხურ სიტყვიერებაში ფიქსირებულია მისი რამდენიმე იგავი<sup>19</sup>. დროთა ვითარებაში ეს იგავეები იცვლებოდა, ჰქარგავდა ზოგ ადრინდელ რეალიასა და ნიუანსს, ადგილობრივ გარემოსა და პირობებს ეფარდებოდა. ამიტომაც, რომ ინდური ვერსიის დელფინი არაბულში კულტურულა, ხოლო იაპონურ ფოლკლორში — მეღუზად („ყაპუზუნას და კუს მეგობრობა“).

„პანჩატანტრას“ იგავეებში თითქმის ყველა მოქმედი გმირას საკუთარი სახელი ვიცით (ისინი ყოველთვის რაიმეს ნიშნავს), ხოლო „ქილილა და დამანასში“ ეს სახელები თითო-ორიოლა პერსონაჟს

<sup>15</sup> Иосиф Орбели, Басни средневековой Армении. М.-Л., 1956, гл. 21.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 21.

<sup>17</sup> Д. Ж. Дармстетер, Происхождение персидской поэзии. М., 1925, гл. 21.

<sup>18</sup> И. С. Брагинский, Из истории таджикской народной поэзии. М., 1956, гл. 214. შემდეგში: И. С. Брагинский.

<sup>19</sup> საზღვარგარეთის ხალხთა ზღაპრები. მიმუნე და მეღუზა. თბილისი, 1964, გვ. 104. იხ. აგრეთვე: Японские сказки. Сватовство мышки. М., 1956, гл. 43.

თუ აქვს შემორჩენილი (ქილილა, დამანა, შუთურბა, ქაშიჭუ და სხვ.). ასევე, „პანჩატანტრაში“ ყოველთვისაა მითითებული გეოგრაფიული პუნქტი, სადაც მოქმედება ხდება, „ქილილა და დამანაში“ კი ესეც იშვიათია.

არის კიდევ ზოგი განსხვავებული ნიშანი „პანჩატანტრასა“ და „ქილილა და დამანას“ იგავთა შორის. „პანჩატანტრაში“, მაგალითად, ყოველთვის გვაქვს ამა თუ იმ მოვლენისა და მოქმედების მოტივირება, მხატვრული გამართლება. „ქილილა და დამანაში“ კი ასეთი მოტივირება ხშირად აღარაა. ასე, მაგალითად, არაბულ<sup>20</sup> ბაპრამშაპისეულ<sup>21</sup>, ქაშეფის<sup>22</sup> და ქართულ<sup>23</sup> ვერსიებში მეულაბნოეს ერთი შეკედლებული კაცი ტანსაცმელს მოპარავს. აქ მხატვრულად დაუჭერებელი არაფერია, შინაურ კაცს შეეძლო სათანადოდრო ეხელთა. მაგრამ, „პანჩატანტრაში“ მაინც უფრო კონკრეტული მოტივი გვაქვს: მეულაბნოეს მღინარე უნდა გაეცურა და ხალათი მოწათეს მიაბარა. მოწაფე კი ქურდი აღმოჩნდა<sup>24</sup> და მისთ.

„ქილილა და დამანას“ იგავთა კრებული, ბუნებრივია, ყველაზე ადრე ინდოეთს მოსახლვრე ირანულ სამყაროში გავრცელდებოდა. ამიტომაც სწორედ ირანულ წყაროებს ენიჭება დიდი მნიშვნელობა კრებულის შექმნის ისტორიისა და მისი ავტორის ვინაობის დასადგენად. და მართლაც „ქილილა და დამანას“ ფალაურმა და ფალაურის დაყრდნობით უკვე სემიტურმა ვერსიებმა მისი სადაურობა იციან და ავტორსაც იცნობენ. კრებულის შემდგენელი უნდა ყოფილიყო სამეფო კარის ქურუმში თუ ვეზირი ბიდფაი და ფილანუ ბეიდაბა, რაც სხვა ვერსიით ბიდფაი და ფილფაი ფორმებითაც შემონახულა. ამ პირს კრებული ინდოთა მეფის დაბშალიმისთვის (სპარსული გახმოვნებით — დაბეშლიმისთვის) დაუწერია<sup>25</sup>. კრებულის ყველა კარს გას-

<sup>20</sup> Калла и Димна, გვ. 85.

<sup>21</sup> გვ. 75. كليله و دمنه به تطبيق چندین نسخه معتبر چاپی و خطی، تهران، შემდეგში: كليله و دمنه

<sup>22</sup> გვ. 92. كليله و دمنه كاشفی یا انوار سہیلی، تهران، ۱۳۴۱ شمسی، შემდეგში: انوار سہیلی

<sup>23</sup> ქილილა და დამანა. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II, თბილისი, 1962, გვ. 142. შემდეგში: C I; ქილილა და დამანა, სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II, თბილისი, 1962. შემდეგში: C II.

<sup>24</sup> Панчатантра, გვ. 44.

<sup>25</sup> ბიდფაი და დაბეშლიმ ფორმების შესახებ იხ. თ. ბენფეის წერილი. Th. Benfey, გვ. XLIII. М. В. Рябинин, გვ. XL. აგრეთვე: Olaf Hansen, Zum Mittelpersischen Vārīšnī Ōtrang. Glückstadt, 1935, გვ. 13. შემდეგში: Olaf Hansen.

დღეს მისი სახელი და ყველა იგავს იგი ჰყვება. და ბ შ ა ლ ი მ ს უკავშირებდნენ სანსკრიტის დ ე ვ ა შ ა რ მ ა ნ ს<sup>26</sup>. ამავე დროს „პანჩატანტრას“ წინასიტყვაობაში მისი ხუთივე წიგნის ავტორად ბრაჰმანი ვ ი შ ნ უ შ ა რ მ ა ნ ი არის დასახელებული<sup>27</sup>.

ინდოეთიდან წამოსული „ქილილა და დამანას“ პირველი კვალი ფალაურ ლიტერატურაში შეინიშნება. ნამდვილად ვიცით, რომ იგი ფალაურად უთარგმნიათ. ტრადიციული შეხედულებით, ეს უნდა მომხდარიყო ხოსროვ ანუ შირვანის მეფობის (531—578) დროს. გამოთქმულია ვარაუდი, რომ სწორი უნდა იყოს ტაბარის (839—923) ცნობები ხოსროვის დაპყრობათა შესახებ და ანუ შირვანს თავისი მეფობის პირველ ხანებში ან უფლისწულობის დროს, თვით ყობად I-ის მეფობის (488—531) ბოლო წლებში უნდა დაეპყროს ინდოეთის პროვინციები. ამ დროის ინდოეთის მეფე ხოსროვ ანუ შირვანს მეფეთა მეფეს („შაჰან-შაჰს“) უწოდებ<sup>28</sup>. ასეთ მკვიდრო ურთიერთობას ინდურ სამყაროსთან, ბუნებრივია, თავისი კვალიც უნდა დაეტოვებინა ირანის კულტურის, კერძოდ, ლიტერატურისათვის. და, ვიმეორებთ, „ქილილა და დამანას“ საშუალო სპარსულ ენაზე გადმოთარგმნას, სწორედ ამ წლებით ათარიღებს თვით ამ კრებულის არაბული ვერსია. არაბულივე ვერსიაა ერთ-ერთი უპირველესი წყარო, რომელიც „ქილილა და დამანას“ ინდურიდან სპარსულად თარგმნას ანუ შირვანის კარის ექიმს ბ ა რ ზ უ ი ს თუ ბ ა რ ზ ო ე ს (მას ბ ა რ ზ ა ვ ე ი ჰ ფორმითაც ახმოვნებენ<sup>29</sup>) მი-  
წერს წიგნის თარგმნის ისტორიისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ შესავალ თავში („თავი შესახებ იმისა თუ როგორ გაგზავნა ხოსროვ ანუ შირვანმა ექიმი ბარზუი ინდოთა ქვეყანაში ქილილა და დამანას წიგნის მოსაპოვებლად“<sup>30</sup>). ამ ცნობის მიხედვით ბარზუი ინ-

<sup>26</sup> Olaf Hansen, გვ. 13.

<sup>27</sup> Панчатантра, გვ. 12.

<sup>28</sup> Olaf Hansen, გვ. 14.

<sup>29</sup> დ ე ს ა ს ი მ ა ს سوي و كوي-ის ანალოგიურ ფორმად მიიჩნევა. برز ესმოდა როგორც ცნობილი, ახვანება, სილაზაზე. ხოლო و ახალი სპარსულის وش و سان (შსგავსი) თანდებულის შესატყვისად მიაჩნდა (de Sacy, გვ. 37). შდრ. მ ზ ო ა ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ე ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I. თბილისი, 1966, გვ. 452. ამის შესახებ იხ. აგრეთვე: А. Крымский, О Калиле и Димне. Труды по востоковедению, вып. VIII, გვ. LXII. ქართულ თარგმანში მას ზ ა ვ ი ა ეწოდება, — ვახტანგს (და მის მიხედვით, სულხან-საბა ორბელიანსაც) و برز ფორმაში بر თანდებული პეონებია. ამან შეეცდინა ი. კყონიაც.

<sup>30</sup> გვ. 23, كلیله و دمنه იხ. აგრეთვე: Калила и Димна, გვ. 37.

ლოეთში გამგზავრებულია „ქილილა და დამანას“ ჩამოსატანად. დე სასი ფიქრობს, შეიძლება, ბარზუი წარმოშობით ინდოელი იყოსო<sup>31</sup>.

უფრო პოეტურია მეორე წყარო, ფირდოუსის (X—XI ს.) „შაჰ-ნამე“, რომლის გადმოცემით, ბარზუი ინდოეთში საგანგებოდ მიდის არა რაიმე წიგნის ჩამოსატანად თუ სათარგმნელად, არამედ უკვდავების წამლის (ბალახის) მოსაძიებლად. ბარზუიმ სათითაოდ გასინჯა ყველა ინდური ბალახი, ბევრი იხეტიალა, მაგრამ ამაოდ დაშვრა, არცერთი არ გამოდგა სასწაულთმოქმედი. ექიმი ინდოელი ნკურნალთ დაეთათბირა: რას მირჩევთ, როგორ მოვიქცეო? ინდოელებმა იგი ერთ ბრძენ მოხუცთან მიიყვანეს, ამან კი ასე დაარიგა: ის უკვდავების ბალახი ჩვენც ამაოდ ვძებნეთ. კაცი სიბრძნით ცოცხლობს, სიბრძნე „ქილილა და დამანასია“, „ქილილა და დამანას“ კი მეფის საგანძურში ინახება, წადი და იგი იძიეო. ბარზუი იშოვნის ამ წიგნს და ანუშირვანს ჩამოუტანს<sup>32</sup>. როგორი ლეგენდური სამოსით არ უნდა იყოს პირველწყაროები მოსილი, მათი მთავარი არსი მართალია: „ქილილა და დამანას“ ინდოეთიდან არის შემოსული სპარსულ ლიტერატურაში.

სანსკრიტიდან საშუალო სპარსულზე თარგმნილი „ქილილა და დამანას“ ირანში მეტად განმავრცობულია. როგორც გადმოგვცემენ, მას გატაცებით კითხულობდა თავის კარავში ხოსროე ფარვიზის (590—628) წინააღმდეგ აჯანყებული ბაჰრამ ჩუბინი<sup>33</sup>. ნიშანდობლივია ისიც, რომ ნიზამი განჯელის (1141—1209) პოემაში „ხოსროევი და შირინი“ (1186 წ.) ცუდ გუნებაზე მდგარი შირინი თავის ვეზირს ბოზორგომიდს უბრძანებს: „ქილილადანა“<sup>34</sup> რამე წამიკითხეო. ვეზირიც ორმოც არაკს წაუკითხავს<sup>35</sup>. ჩანს, ნიზამის დროს ხოს-

<sup>31</sup> de Sacy, გვ. 37.

<sup>32</sup> شاهنامه فردوسی، بمناسبت جشن هزاره تولد فردوسی، جلد هشتم، تهران، ۱۳۱۴، ۲۴۹۹—۲۵۰۶. შაჰნამე შემდეგში

<sup>33</sup> محمد تقی بهار ملک الشعراء، سبک شناسی، جلد دوم، ۱۳۳۷، 25. შემდეგში: II, ۲۸.

<sup>34</sup> „ქილილა და დამანას“ ხშირად ასე იხსენიებენ. ნიზამი მას მხოლოდ ამ ფორმით ასახელებს. ასევე იხსენიებს მას ფირდოუსი თავის შაჰ-ნამეში (გვ. 2499, شاهنامه).

<sup>35</sup> کتاب خسرو و شیرین حکیم نظامی قمی شیراز، ۱۳۳۳، ۴۰۶—۴۱۰. جاب دوم، تهران، ۱۳۳۳. შემდეგში: ۴۱۰—۴۰۶. ხოსროევი და შირინი, თარგმანი ამბაკო კელიძისა. თბილისი, 1964, გვ. 386—391. შემდეგში: ხოსროევი და შირინი.

როვზე დაცულ ქრონიკებსა თუ გადმოცემებში შემონახული ყოფილა ცნობა, რომ ფარევიზის კარზე „ქილილა და დამანას“ კითხულობდნენ და იგი ასე უყვარდათ. ეს ცნობა ემთხვევა თვით „ქილილა და დამანას“ ქაშეფისეული ვერსიის ცნობას: „ნუშრეევანს უკან აჯამთა (ე. ი. ირანელთა— მ. თ.) ხელმწიფენიცა დიდის სურვილით ამასვე იკითხვიდენ“<sup>36</sup>.

ფალაურთი ვერსია არ შემონახულა და ამდენად მასზე სრული წარმოდგენის ქონა ძნელია. მაგრამ შემოგვრჩა მისი სირიული და არაბული თარგმანები. ერთი ქეგლის ორი თარგმანი კი, რა თავისებურიც უნდა იყვნენ ისინი, მაინც გვაძლევს შესაძლებლობას, შორიახლო ვიცნობდეთ მას. უპირველესი თვისება ამ ვერსიისა ის უნდა ყოფილიყო, რომ მას უნდა მიმატებოდა თავი ბარზუის შესახებ. დღევანდელ არაბულ ვერსიაში კიდევ იკითხება, როგორც აღვნიშნეთ, „თავი შესახებ იმისა, თუ როგორ გაგზავნა ხოსროვ ანუ შირვანმა ექიმი ბარზუი ინდოთა ქვეყანაში ქილილა და დამანას წიგნის მოსაპოვებლად“ და „თავი ბარზუი ექიმის შესახებ“. პირველი თავი, როგორც იბნ ალ-მუყაფა გადმოგვცემს, ბარზუის თხოვნითა და ანუ შირვანის დავალებით დაუწერია ამ უკანასკნელის ვეზირს ბოზორჯმირს (ბოზორჯმიპრს) და დაურთავს (წარუძღვარებია) კრებულისთვის. ხოლო მეორე თავად ბარზუის ნახელავი ჩანს, რადგან შიგ ბარზუის განცდები და ამბავი პირველი პირითაა მოთხრობილი. სხვა დანარჩენ თავისებურებებსა და პასაჟებზე მსჯელობა სახიფათოა. ე. კრაჩკოვსკი ფიქრობს, მაგალითად: დამანას საქმის გამოძიება ფალაურ ვერსიაში არ უნდა გვექონოდა, რადგან სირიულში არაა, და იგი იბნ ალ-მუყაფას უნდა შეეცანა „ქილილა და დამანაში“ (ამ ფზრისანი არიან სხვებიც<sup>37</sup>), რადგან, მთარგმნელის შეხედულებით, უკეთურნი უნდა დაისაჯონ<sup>38</sup>. თითქოს ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ ეს ეპიზოდი არაა „პანჩატანტრაში“. მაგრამ სირიული და არაბული ვერსიები სხვაგანაც შორდებიან ერთმანეთს. მაგ., სირიულში დაცული მთელი თავი „თავეთა ამბავი“ არ იკითხება არაბულ ვერსიაში, ხოლო დანამდევილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი ფალაურიდან მოდის (საქსახელები ზ უ დ მ ა დ, მ ი ჰ რ ა ვ ი რ, ა ნ დ ა რ ბ ი ჯ ე ვ ა ნ და სხვ.) ეს შეიძლება იმაზე მეტყველებდეს, რომ იბნ ალ-მუყაფამ არ გადმოი-

<sup>36</sup> С I, 32.

<sup>37</sup> И. М. Фильштинский, Арабская классическая литература. М., 1965, გვ. 133.

<sup>38</sup> И. Ю. Крачковский, Избранные сочинения, т. II, М.—Л. 1958, გვ. 437. შეშლემწი: И. Ю. Крачковский, II. об. აგრეთვე:

سید احمد خراسانی، یک بحث درباره ی کلیله و دمنه ی بهرامشاهی، دانش،  
 შეშლემწი: سید احمد گه. ۳۳۹، مقاله هفتم،

იტანა იგი ფალაურადან და, მაშასადამე, ნებისმიერად ექცევა ფალაურ ტექსტს, ზოგან აკლებს და ზოგან უმატებს. მაგრამ აქ სიფრთხილე გემართებს: ფალაურად რამდენიმე ვარიანტი ხომ არ არსებობდა და იბნ ალ-მუყაფაც რომელიმე ერთი მათგანით ხომ არ სარგებლობდა?

„ქილილა და დამანა“ ირანულიდან არაბულ სამყაროში გადასულა. ჯერ ის უთარგმნიათ სირიულად, ხოლო მერე — არაბულადაც. თავიანთი ვერსიების წინასიტყვაობებში „ქილილა და დამანას“ ისტორიას რომ გაგვაცნობენ, იბნ ალ-მუყაფა, ნასრ ალ-ლაჰი და ვა'ეზ ქაშეფი არაფერს ამბობენ მის სირიულ თარგმანზე. ჩანს, ამ ვერსიას არ ჰქონია დიდი რეზონანსი, რადგან ეს ავტორები მას არ იცნობენ. შეიძლება, ეს იმითაც იყოს გამოწვეული, რომ იგი ითარგმნა ქრისტიანის მიერ, ქრისტიანულ სამყაროში. მაგრამ, ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ 570 წ. ვინმე ბუ დს „ქილილა და დამანა“ სირიულად უთარგმნია (თარგმანი 1871 წ. იქნა აღმოჩენილი)<sup>39</sup>. თავის დროზე ბენფეიმ დაამტკიცა, რომ სირიული თარგმანი ფალაურიდან მოდის<sup>40</sup>. მანვე ცხადპყო, რომ ეს თარგმანი უფრო ახლოს დგას ფალაურთან, ვიდრე არაბული. ამას მეცნიერი ასაბუთებდა იმით, რომ სირიულ ვერსიაში იკითხება ირანული წარმოშობის (ფალაური) სიტყვები (ზირაქ, ფირუზ, სიმულ და სხვ.), რაც არაბულ ვერსიაში აღარ გვხვდება<sup>41</sup>.

სირიული ვერსია ათ კარს აერთიანებს. ესენია: 1) „ლომი და ხარის“, 2) „გარეული მტრედი“. 3) „მაიმუნი და კუ“. 4) „განდევლი და თრითინა“. 5) „კატა და თავვი“. 6) „ბუთა ამბავი“. 7) „ხელმწიფე და ფრინველი“. 8) „ლომი და ტურა“. 9) „ბილარის ამბავი“, 10) „თავგთა ამბავი“. სირიულში ლომისა და ხარის ამბავი ერთ კარშია მოქცეული (არაბულსა და სპარსულ ვერსიებში მას ორი კარი უჭირავს), ხოლო ბოლო, მეათე, კარი საერთოდ ახალია (არაბულსა და სპარსულ ვერსიებში აღარ გვხვდება), წარმოშობით კი ფალაურიდან მომდინარეობს. ამ კარში მოთხრობილი ერთი იგავის „ყურდაპრილი ვირის“ შორეული გამოძახილია, ვფიქრობთ, „ანვარ-ე სოჰაილიში“ დაცული ვალექსილი იგავი, სადაც კულის მაძიებელ ვირს გლეხი ორივე ყურს მოაჭრის<sup>42</sup>.

<sup>39</sup> მისი ტექსტის და აღმოჩენის ისტორიის შესახებ იხ. Th. Benfey, *გვ. V M. B. P я б и н и н*, გვ. XVIII.

<sup>40</sup> Th. Benfey, *გვ. XXXVIII*.

<sup>41</sup> Th. Benfey, *გვ. LXXI-LXXII*, 48,6; ასეთივე შეხედულების იყო ო. კრაჩკოვსკი (И. Ю. Крачковский, II, *გვ. 435*).

<sup>42</sup> *გვ. 171*, *أنوار سبلى*.



„ქილილა და დამანას“ ფალაუფი ვერსია არაბებს სხვა სიკეთესთან ერთად დახვდათ ირანში, და მათ იგი აითვისეს ისე, როგორც სხვა ბევრი რამ ნაყოფი ირანული კულტურისა. VIII საუკუნეში ეს ძეგლი არაბულად ითარგმნა. მთარგმნელი ცნობილია. ესაა ეროვნებით ირანელი აბუ მუჰამად აბდ ალ-ლაჰ რუზბეჰი ბენ დადოე, რომელიც იბნ ალ-მუყაფაფას ფსევდონიმიტაა ცნობილი. იგი დაბადებულია ტრადიციულ ირანულ ოჯახში, გვიან მიუღია ისლამი (მანამდე ზოროასტრულ რელიგიას ესაგდა.), რაღაც პოლიტიკურ ინტრიგებში გახლართულა და 759 წ. სიკვდილით დაუსჯიათ.

ადრე ბევრი (მათ შორის ალ-ჯაპიზიცი) ფიქრობდა, „ქილილა და დამანას“ იბნ ალ-მუყაფამ თავად შეთხზა, მაგრამ შიგ გამოთქმულ მოსაზრებებზე პასუხისმგებლობა რომ აეცდინა, წიგნი თარგმანად გაასაღო<sup>43</sup>. იბნ ალ-მუყაფა მარტო მთარგმნელი არ ყოფილა, მას ორიგინალური თხზულებანიც ჰქონია<sup>44</sup>, მაგრამ ამჯერად, როგორც გაიჩვენა, მთარგმნელად გვევლინება. ამას ადასტურებს მისი „ქილილა და დამანას“ ერთი მხრივ, „პანჩატანტრასთან“ და მეორე მხრივ ამ კრებულის სირიულ თარგმანთან შეჯერება.

ცივილიზებული მსოფლიო იბნ ალ-მუყაფასეული არაბული თარგმანის მეშვეობით გაეცნო ქილილა და დამანას წიგნს, არაბულიდან ითარგმნა იგი მრავალ ენაზე (მათ შორის სპარსულზე) და გავრცელდა ხალხში. მაგრამ ამ ვერსიამ თვით არაბულ სამყაროში მოიპოვა მაინც არნახული პოპულარობა. აბასიანთა ხალიფა მა'მუნი (813—833) თურმე მოწიწებით ინახავდა „ქილილა და დამანას“<sup>45</sup>, ხოლო მის ვეზირს, მართლმორწმუნე ფაზლ იბნ საჰლს რომ ჰკითხეს: ყურანი როგორ მოგწონსო? მიუგო: „ქილილა და დამანასავითო“<sup>46</sup>.

X საუკუნის არაბი მკვლევარი აბუ ლ-ფარაჯ იბნ იაყუბ ალ-ჯარაყა ან-ნადიმი თავის „ფიჰრისთში“ წერს: „ქილილა და დამანას“ ჩვიდმეტი კარისგან შედგება. იგი იბნ ალ-მუყაფამ და სხვებმა თარგმნესო<sup>47</sup>. აბუ ლ-ფარაჯის ეს ცნობები სწორია. მართლაც 781 წ. „ქილილა და დამანას“ ისევ სპარსულიდან ასევე პროზით

<sup>43</sup> Ханна ал-Фахури, История арабской литературы, I. М., 1959, гл. 343. შემდეგში: Фахури.

<sup>44</sup> მისი შემკვიდრების შესახებ იხ.: C. Brockelmann, Geschichte der arabischen Literatur. Leiden, 1937, Supplementband, I, გვ. 234.

<sup>45</sup> გვ. 20. II 'არაჟ

<sup>46</sup> იქვე, გვ. 251.

<sup>47</sup> Фахури, გვ. 345.

ბელახლა უთარგმნია აბდ ალ-ლაჰ იბნ ჰილალ ალ-აჰვანის<sup>48</sup>. არაბულ ენაზე „ქილილა და დამანას“ ლექსითი ვერსიებიც გაჩენილა. ამჟერად იბნ ალ-მუყაფას პროზაული თარგმანი გაულექსავს აბან იბნ აბდ ალ-ჰამიდ ალ-ლაჰიყის (756—815). ეს თხზულება თურმე თოთხმეტი ათას ბაითს შეიცავდა. იგი დაკარგულა (მხოლოდ ოთხმოცამდე ბაითილაა შემორჩენილი). კიდევ ასახელებენ „ქილილა და დამანას“ ორ გამლექსავს, რომლებიც სხეებში გამოირჩევიან. ესენია: ალი იბნ დაუდ ქათები<sup>49</sup> და საჰლ იბნ ნავბახთი<sup>50</sup>. 1100 წ. „ქილილა და დამანას“ ისევ გაულექსავს ნაზმ ად-დინ მუჰამედ იბნ მუჰამედ იბნ ალ-ჰუბარის, რომლის ვერსია დღემდეა შემონახული<sup>51</sup>. არსებობს სხვა თარგმანებიც<sup>52</sup>, მაგრამ ვერც ერთმა ვერ დაჩრდილა იბნ ალ-მუყაფას შედეგრი, რომელიც „ჭერაც ალმასის თვალივით ბრწყინავს არაბული მწერლობის საპატარძლო გვირგვინში“<sup>53</sup>.

<sup>48</sup> გვ. 251 II, არა.

<sup>49</sup> Факыр II, გვ. 347; გვ. 157 I, არა.

<sup>50</sup> გვ. 251 II, არა.

<sup>51</sup> Факыр II; გვ. 347.

<sup>52</sup> محمد جعفر محبوب، کلیله و دمنه، فرهنگ ایران زمین، دفتر 2

გვ. 108, 109, جلد 3 و de Sacy, გვ. 30. დე სასი ასახელებს კიდევ ერთ ლექსით ვერსიას—აბდ ალ-მუმინ ბენ ჰასანის თხზულებას „სიბრძნის მარგალიტები ირანისა და ინდოეთის იგავებში“.

<sup>53</sup> گ. فرامرزی، کلیله و دمنه، ارغوان، سال ششم، شماره اول، 59.

## „ქილილა და დამანას“ სპარსული პერსიები

ახალი სპარსული ლიტერატურის ფეხის ადგმის ხანაში (IX—X სს.) „ქილილა და დამანას“ არაბული ვერსიები ხელიდან ხელში გადადიოდა, ხოლო ახალ სპარსულ ენაზე არ არსებობდა. ფალაური ვერსია, ჩანს, უკვე დაკარგული იყო, მაგრამ რომც არსებულყო, მას ველარ გაიგებდნენ, — სპარსული ენა შეიცვალა. „ქილილა და დამანასადმი“ ინტერესი კი ისევ დიდი ყოფილა (ამ ინტერესს ალბათ არაბული ვერსიების არსებობაც აცხოველებდა) და, სწორედ, „შაჰ-ნამეს“ თუ დავეყრდნობით, ირანული კულტურის დიდი მოღვაწის ბალამის თაოსნობით ეს კრებული არაბულიდან სპარსულად უთარგმნიათ. თვით ის ფაქტი, რომ ძველი არაბულიდან თარგმნეს და არა საშუალო სპარსულიდან, იმაზე მეტყველებს, რომ ფალაური ვერსია უკვე აღარ არსებობდა. აი, რას ვკითხულობთ „შაჰ-ნამეში“:

كلیله بتازی شد از پهلوی  
برایشان که اکنون همی بشنوی  
بتازی همی بود تا گاه نصر  
بدانگه که شد بر جهان شاه عصر  
گرانمایه بو الفضل دستور او  
که اندر سخن بود گنجور او  
بفرمود تا فارسی و دری  
بگفتند و کوتاه شد داوری  
از آن پس چو بشنید رای آمدش  
بر او بر خزد رهنمای آمدش  
همی خواستی آشکار و نهان  
کز او یادگاری بود در جهان  
گزارنده ای پیش بنشانند  
همه نامه برود کی خوانند  
پیوست گویا پراکنده را  
بفت این چنین در آگنده را

„ქილილა არაბულად ითარგმნა ფალაურთან  
შგვარად, როგორც ახლა მოისმენ.

არაბულად იყო ნასრის დრომდე,  
ვიდრე ქვეყანაზე [თავისი] დროს მეფე არ გახდებოდა [ნასრი].  
დიდებულმა ბუ-თაზლმა, მისმა ვეზირმა,  
რომელიც ლექსსა შინა მისი საგანძური იყო,  
ბრძანა, რათა სპარსულ და დარის ენაზე  
თქვან. და ამაზე შეჩერდა გადაწყვეტილება.  
ამის შემდეგ: რომ მოისმინა, მას გაუჩნდა აზრად,  
გონებამ უჩვენა გზა. (მას უჩვენა გონიერი გზა)  
უნდოდა დაფარული და ცხადი  
რათა მისი სახსოვარი დარჩენილიყო ქვეყნად.  
და ის ვეს მწერალი ერთი,  
მთელი წიგნი რუდაქის წაუკითხეს.  
შეაქვეშირა მთქმელმა დაფანტული (გალექსა პოეტმა პროზა).  
გახვრიტა ეს, ასე სავსე მარგალიტი“<sup>54</sup>.

მოტანილ ლექსში ერთი აშკარაა: ნასრის დრომდე არაბულმა  
ვერსიამ მოაღწია და არა ფალაურმა. ბალ' ამიმ (ბულ-თაზლი ბალ'  
ამის ქუნიია) ბრძანა მისი თარგმნა, ხოლო ამის შემდეგ კი რუდა-  
ქის დაევალა მისი გალექსევა. ასეთსავე ცნობას გვაწვდის აბუ მან-  
სურისეული „შაჰ-ნამეს“ წინასიტყვაობა, ოღონდ ამის მიხედვით,  
ამირამ თვით ბალ'ამის ათარგმნინა ძეგლი არაბულიდან სპარსულად,  
ხოლო შერე, როგორც ფირდოუსი გვაცნობებს, — რუდაქის გაალექ-  
სინა პროზაული ტექსტი<sup>55</sup>.

რუდაქიმ ჩინებულად იცოდა არაბული ენა (ეს ჩანს მისი კრე-  
ლი ლექსებიდანაც) და არაბულიდან ზოგი რამე უთარგმნია კიდე-  
ვაც<sup>56</sup>. მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთ მოტანილი ციტა-  
ტის მიხედვით ვარაუდობენ, მას სპარსული პროზაული თარგმანი  
გაულექსავს<sup>57</sup>.

დე სასი თავს იკავებს: „დაბეჭიბით ვერ ვიტყვი, რუ-  
დაქიმ იბნ ალ-მუყათას არაბული ვერსია გამოიყენა თუ ბალ'ამის  
სპარსული თარგმანი“<sup>58</sup>. ამავე აზრისა დ. კობიძე, რომელიც იმა-

<sup>54</sup> გვ. 206, VIII, شاهنامه.

<sup>55</sup> გვ. 32—33, 1332, جاپ دوم، جلد دوم، يست مقاله قزوینی،  
შემდეგში: يست مقاله

<sup>56</sup> М. Занд, Искусство перевода в таджикской поэзии X века. Руда-  
жи ва замони у. Сталинобад, 1957, გვ. 50. შემდეგში: М. Занд.

<sup>57</sup> გვ. 177, محجوب، E. Э. Бертельс, История персидско-тад-  
жикской литературы, М., 1960, გვ. 140. შემდეგში: E. Э. Бертельс, Исто-  
рия, М. Занд, გვ. 160.

<sup>58</sup> de Sacy, გვ. 39.

საც კი ფიქრობს, შეიძლება იგი ფალაუტიდან იყოს თარგმნილიო<sup>59</sup>. ჩვენი აზრით, „შამ-ნამეს“ დაბეჭდვით ცნობებს მეტი ანგარიში უნდა გაეწიოს. როგორც ჩანს, ამ ეპოქისთვის ნიშანდობლივია ერთი ენიდან თხზულების წერ პროზად, ამბად თარგმნა და მერე გალექსვა. ასე შეიქმნა „ვეის-ო რამინი“. ფალაუტი ძეგლი წერ ახალ სპარსულ ენაზე იქნა გადმოთარგმნილი, ხოლო მერე ეს თარგმანი გალექსა ფახრ ედ-დინ გორგანელმა<sup>60</sup>. დაახლოებით ასე უნდა შექმნილიყო „ვეფხისტყაოსანიც“. ბევრი მკვლევარი და ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი რატომღაც ანგარიშს არ უწევს თავად პოემის ავტორს, რომელიც ოთხჯერ აშკარად და საგანგებოდ აცხადებს, რომ იგი ლექსავს მანამდე არსებულ ამბავს: ავტორის თქმით. ეს ამბავი სპარსული წარმომავლობისა იყო, იგი ქართულად ეთარგმნათ, მოწონებოდათ და მეტად გავრცელებულიყო ხალხში, მან კი იგი ჰმოე და ლექსად გარდასთქვა („ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანებო, ვით მარგალიტი ობოლი ხელის-ხელ საგოგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქეი“ (9,1—3). სხვაგანაც ავტორი გვამცნობს: „ესე ამბავი გავლექსე“ (1666,2), „დავქე რუსთველმან გავლექსე... აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილიო“ (7,3—4). თითქოს ეშინია, კარგად ვერ გამიგონო, პოეტი ერთხელ კიდევ გვიმეორებს: ესე ამბავნი უცხონი უფხოთა ხელმწიფეთანი... ვპოვენ და ლექსად გარდავთქეენო“ (1667, 2—4). ვეფხისტყაოსნის ყოფა, რეალები, საკუთარი სახელები და გარემო რომ ისლამურ აღმოსავლეთს ასახავს, ეს იქვეს არ იწვევს, მაგრამ ცალ-ცალკე ამ კომპონენტებით პოემის ფაბულის სპარსულობა არ დამტკიცდება. საესებით სამართლიანად ამბობენ პოემის ფაბულის ორიგინალობის მომხრენი, რომ ავტორს შეეძლო, ამბავი საგანგებოდ გადაეტანა აღმოსავლეთში (თუმცა ესეც საკითხავია, რა რჯიდა საამისოდ, ქრისტიანობის ზეობის ხანაში რაღა მუსლიმური სამოსელი ჩააცვა ფაბულას?). საკირო იყო თვითონ ფაბულის მოძიება ირანში. როგორც ცნობილია, ასეთი სამუშაო: თითქოს ჩატარდა, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი ირანში ვერ აღმოაჩინეს და დღემდე ოფიციალურად მიღებულია ვახ-

<sup>59</sup> დ. კობიძე, რუდაქი. კრებული „რუდაქი“, თბილისი, 1957, გვ. 50. შემდეგში: დ. კობიძე, რუდაქი.

<sup>60</sup> ამის შესახებ იხ. ვ. შინორსკის სტატია, რომელიც ერთვის პოემის სპარსულ გამოცემას: *محمد و رامين فخرالدين گرگانی به اهتمام محمد جعفر محبوب*, تهران, 1956, გვ. 356.

ტანგ VI-ის შეხედულება: „ეს ამბავი სპარსში არ არის“ და ამბავი-ცა და ლექსიც რუსთველის ნახელავიაო.

საბას ცნობით, და როგორც წინამდებარე ნაშრომიდანაც დარწმუნდება მკითხველი, ვახტანგმა სპარსული ზედმიწევნით არ იცოდა, საეკვოა, მას ღრმად სცოდნოდა სპარსული მწერლობა, ფოლკლორი. მართალია, „ვეფხისტყაოსნით“ საერთოდ დაინტერესებული ვახტანგი ირანში კარგა ხანს იყო, მაგრამ იყო ამ შეხედულებების გამოთქმის შემდეგ. ხოლო ამავე დროს აუცილებელი არ არის, რომ ამბავი, რომელზედაც პოემის ავტორი ამბობს, ვპოვე და ლექსად გარდავთქვიო, მაინცდამაინც კლასიკური ყოფილიყო. „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულით დაინტერესებული მკვლევარები კი, როგორც ჩანს, მხოლოდ კლასიკურ ლიტერატურას ადევნებდნენ თვალს, ისიც მის ვიწრო რკალს და ამავე დროს ელოდნენ ქართული პოემის ზუსტ ასლს. ნ. მარი ბლომდე არ ჰკარგავდა იმედს, რომ ასეთი ფაბულა აღმოჩნდებოდა, ხოლო ჭერჭერობით კი მისი კვალიც არ ჩანს<sup>61</sup>. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის კვალი ჩანს ერთ სპარსულ თხზულებაში, „ოთხი დერვიშის წიგნში“ (کتاب چهار درویش) ანუ „ჩარდარვიშიანში“ (როგორც მას ჩვენი წინაპრები უწოდებდნენ), რომელიც ურთხანს ამირ ხოსროვ დეჰლევის (გარდ. 1325 წ.) მიეწერებოდა. ყოველ შემთხვევაში, მისი ფაბულა ძველ ინდოეთშია ჩასახული, როგორც ს. აინი ფიქრობს<sup>62</sup>. აქ დაახლოებით ერთი ასეთი ამბავი იკითხება:

ერთ უფლისწულს შეუყვარდა ბასრის მეფის ასული. მისკენ წასვლა გადაწყვიტა და ვეზირს მოეთათბირა. ვეზირმა ჭერ დაუშალა, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ გახდა, ურჩია, ვინმე მაინც წაიტანეო. უფლისწულმა არ ქნა, გადაცმული წავალ მარტო, შენ ჩემს ნაცვლად გტოვებ და ხალხს მომიარე. მე თუ მოვეკვდი, რაც მებაღია, შენი იყოსო. შემდეგ განზრახ ხმა დაჰყარა, სანადიროდ მივდივარო და გზას გაუდგა. როგორც იყო, მიატანა ბასრის მეფის სასახლეს და ქალს ხელი თხოვა. მე სხვა სათხოვარი არაფერი მაქვს, ჩემს ქვეყანაში თავად ნებიერი მბრძანებელი ვარო. ქალი დათანხმდა, ოღონდ პირობა დაუდო. თურმე მის ხალხს ნიმრუზის ქვეყანაში წყლის პირას (შამბნარში) ერთი რაინდი ენახა, „ლაგამ-აბჯარსა და უნაგირს ხშირად ესხა მარგალიტი“. იჭდა და გმინავდა. ერთი მსახური ბიჭი ახლდა, ის მოკლა. მერე კი ამხედრდა და მიიშალა.

<sup>61</sup> Н. Марр, Тексты и разыскания по армянско-грузинской филологии, XII, зб. 1.

<sup>62</sup> Чор дарвеш, Нашрети давлати Тоҷикистон, გვ. 6. შემდეგში: Чор дарвеш.

თუ გინდა ცოლად გამოგყვე, ჯერ მისი ვინაობა გამოგეო, დაავალა ქალმა.

უფლისწული წავიდა იმ უცნაური კაცის მოსაძებნად. მთელ ერთი წელიწადი ეხეტა. ის უცხო რაინდი თვეში ერთხელ გამოდიოდა თურმე იმ ადგილას და ერთხელ კიდეცაა შეესწრო. როგორც კი ამხედრდა უცნობი, უფლისწულიც გაეკიდა. არ ეპუებოდა, ან მომკლავს, ანდა მის ამბავს გავიგებო. ერთხანს ასე სდია კულში. ბოლოს მაღალი კედლით შემორაგვეული ბაღი გამოჩნდა. ის უცნობი რაინდი კარებს მიადგა და იღრიალა. კარები გაუღეს და შიგ შევიდა. როგორც იქნა, უფლისწული და ის უცხო რაინდი ერთმანეთს შეხვდნენ. — რა გინდა შენ, რისთვის გამომკიდებიხარ, თავი ხომ არ მოგბეზრებიაო? — ჰკითხა რაინდმა. უფლისწულმა თავისი ამბავი უამბო: შენ ჩემი შეყვარებულის მსახურებს უნახიხარ, ჩემს სატრფოს შენ ამბავის გაგება უნდა და ამ მიზნით გამომგზავნაო. ამაზე იმ რაინდს გული ამოუჯდა, — შენც ჩემსავით შეყვარებული ყოფილხარ და ამიტომ მეცოდებიო. კარგი, ჩემს ამბავს გეტყვიო. და დაწერილებით უამბო თავისი თავგადასავალი, რომელიც მოკლედ ასეთია: იგი მეფის შვილი ყოფილა. ბავშვს ცუდი ბედი უწინასწარმეტყველეს და ბედი რომ აეცდინათ, მიწის ქვეშ გადაეკარგეს. ერთხელ ტახტზე დამჯდარი მშვენიერი მეფის ასული დაინახა და შეუყვარდა. კინაღამ გრძნობა დაკარგა. თურმე ფერია იყო, ომანის მეფის ქალიშვილი. სიყვარულისგან ვაჟი ავად შეიქნა. დიდი ამბების შემდეგ კი ქალის მამასთან მივიდა და მისი ხელი თხოვა. მამა უარზე იყო. ვაჟმა ფერების (ქაჩების) ენა იცოდა და მისი სატრფოს მოსატაცებლად მოსული ერთი ქაჯი ხარად აქცია (ამ ხარზე იყო მერე ამხედრებული), მაგრამ ამასობაში მისი სატრფო ქაჩებმა მოხიბლეს და უგონოდ აქციეს. მას აქეთ იგი ქაჯთა ჯადოთი იყო შეკრული და ვაჟიც ამის გამო გოღებდა.

ეს ამბავი რომ დაამთავრა, უცხო რაინდმა ისევ დაიწყო მოთქმა. მერე წამოვარდა და ველად გაიქრა. უფლისწულმა თავისი შეყვარებული დროებით დაივიწყა და პირობა დადო, სანამ ამ კაცს თავის სატრფოს არ დავაბრუნებინებ, მე ჩემს დანიშნულს არ დავეუბრუნდებიო. ადგა და დაიწყო ხეტიალი მეგობრის საშველად... ბოლოს ყველაფერი კარგად თავდება, მიჯნურები თავიანთ სატრფოებს ირთავენ და ბედნიერად მეფობენ<sup>83</sup>.

აქ ჩვენ ზუსტად, მაგრამ რელიეფურად გადმოვეცით ის მთავარი. და ჩვენთვის საინტერესო ფაბულა, რომელიც „ჩარდარვი-

<sup>83</sup> Ч о р д а р в и ш, გვ. 137—196.

შიანს“ დაუცავს. ჩვენ შორის ვართ იმ აზრისაგან, რომ ვამტკიცოთ, რუსთაველს ზუსტად ეს სიუჟეტი გამოეყენებინოს, ან „ჩარლარვიშიანის“, ამ დასთანის შემქნელი დასესხებოდეს ქართულ პოემას, მაგრამ იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ ჩვენ მიერ მითითებული ფაბულა უთუოდ ჰგავს „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულას და მათ რაღაც საერთო აქვთ. ეს „რაღაც საერთო“ შეიძლება გამომდინარეობდეს მესამე ფაბულიდან, რომელიც უფრო ახლო იქნებოდა სპარსულ ამბავთან, ქართულად რომ უთარგმნიათ და მერე რუსთველს რომ გაულექსავს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მთელი სიუჟეტი და მასთან დაკავშირებული ყველა დეტალი ამ პროზაულ ტექსტში იყო. ამჟამად, რუსთველმა გადაამუშავა იგი, მაგრამ, ვიმეორებთ, ქართულად რომ არსებულია სპარსული ამბავი და რომ რუსთაველმა იგი გამოიყენა, ეს უკვე საეჭვო აღარ უნდა იყოს. ეჭვი არ გვეპარება, რომ „ჩარლარვიშიანის“ სპარსული და სხვა ენებზე არსებული რედაქციებისა (არსებობს მისი ინდური და თურქულენოვანი ვერსიებიც) და მათი ვერსიების გამოკიდება და შესწავლა უფრო ნათელიყოფს ჩვენს ვარაუდს. რა თქმა უნდა, დღეს ჩვენში უკვე აღარავინ აღარ ფიქრობს, რომ ფაბულის ნასესხობა გენიალურ ქმნილებას ამკირებდეს (ფაბულა, თვით სიუჟეტიც კი უსესხებიანთ მსოფლიოს უმეტეს კლასიკოსებს) და აქ არა ამ თვალსაზრისით, არამედ ანალოგიების გამოყენების მიზნით გვიონდა შევნიშნოთ, რომ აღმოსავლეთში ერთხელ და მრავალჯერ გამოყენებულ სიუჟეტებს უფრო ეტანებოდნენ, ვიდრე დაუმუშავებელს, ეს იყო ერთგვარი შეჭიბრი, რომელიც მწერალს შესაძლებლობას აძლევდა თავისი პოეტური ძალა ეცადა წინამორბედებთან ჭიბრში, თავისი ეპოქისათუ წრის ყოფა აესახა და თავისი სულის ძახილი მიეწვდინა მკითხველისათვის.

არ არის გამორიცხული, რომ რუსთველის მიერ აღებული ამბავი, მანამ სანამ მას „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი გადაამუშავებდა, ერთგვარად ქართულ სამყაროშიც ყოფილიყო გადახარშული. შეიძლება აქ იმის გახსენებაც იყოს საჭირო, რომ, როგორც შევნიშნულია<sup>64</sup>. ქართულ ფოლკლორში გვაქვს ყმის დავალების შესასრულებლად გაგზავნისა და სხვა „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული ზოგი მოტივი, თუ, რა თქმა უნდა, ეს მოტივი გვიანდელი არ არის.

<sup>64</sup> ვუკოლ ბერიძე, რუსთველოლოგიური ეტიუდები. თბილისი, 1961, გვ. 255; ც. კახაბრიშვილი, ვეფხისტყაოსნის ერთი ეპიზოდის ფოლკლორული პარალელი. კრებული „შოთა რუსთაველი“, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1966, გვ. 211.



პირველსავე სიტყვას რომ მოვიდეთ, ვფიქრობთ, რუდაქის სპარსული პროზაული ვერსია უნდა ჰქონდეს გალექსილი.

„ქილილა და დამანა“ რუდაქის უნდა გაეღებინა 932 წ.<sup>65</sup> წიგნი, როგორც გვარწმუნებენ, თორმეტ თუ ცხრამეტ ათას ბაითს შეიცავდა<sup>66</sup>. რუდაქი ამ დროს დაბრმავებული უნდა ყოფილიყო („რუდაქის წაუკითხეს“ — برود کی خوانند) და ძველი კარინახით უნდა გაეღებინა<sup>67</sup>.

როგორც რუდაქის მთელი შემოქმედების, ასევე მისი „ქილილა და დამანას“ მხოლოდ ფრაგმენტები შემოგვრჩენია. ბოლო დრომდე ჩვენ ამ ძეგლის მხოლოდ ორას ოთხ სტრიქონს ვიცნობდით, სხვადასხვა ადგილიდან შემორჩენილს და სხვადასხვა წყაროებში დაცულს<sup>68</sup>. ტრადიციით ეს ფრაგმენტები ცალკე შეკრებით რუდაქის კრებულებში<sup>69</sup>, მაგრამ მათ ადგილს როდი უთითებენ.

ზოგი რუდაქისეული ფრაგმენტი აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ იგი მისი „ქილილა და დამანადანა“, ხოლო პირველწყაროებში ასეთად ცნობილი ზოგი ბაითის ამ მესწვევის ნაწილად მიჩნევა ჰირს, რადგან ისინი რაიმე სიუჟეტს კი არ გამოხატავენ, არამედ ზოგადი ფრაზებია. მაგ., ასეთი ბაითი:

<sup>65</sup> H. Ethe, Neupersische Literatur. Grundriss der Iranischen Philologie, II B. 1896—1904. გვ. 221. შემდეგში: H. Ethe, Neupersische Literatur.

<sup>66</sup> И. С. Брагинский, гв. 226. اشعار و احوال و نغسی، سعید نفیسی،

شعر قدسی، جلد دوم، ۵۷۷ نغسی، შემდეგში: II,

<sup>67</sup> გვ. ۵۹۵. II საინტერესოა დ. კობიძის შეხედულება ფირდოუსის ამ ცნობაზე. მისი აზრით, სანდო არაა ფირდოუსის ცნობა, რომ რუდაქი ბრმა იყო და მას „ქილილა და დამანა“ წაუკითხეს, რადგან შეკვლევარი თელის, რომ რუდაქის სიბრმავე საერთოდ — ლეგენდაა. „ჩანს, ლეგენდა რუდაქის სიბრმავის შესახებ აღრევეა (ე. ი. ჯერ კიდევ ფირდოუსის დროსაა, შ. თ.) წარმოშობილი“ (დ. კობიძე, რუდაქი, გვ. 50). რუდაქის სიბრმავეზე პირველწყაროებსა (აბუ ზარა ჯორჯანელი, აუფი, ქაში) და სამეცნიერო ლიტერატურაში სავსე შეხედულებაა: ერთნი გვარწმუნებენ, რომ ის დაბადებიდან ბრმა იყო, მეორენი ამტკიცებენ, სიბრმავი დაბრმავდეს, ხოლო მესამენი ექვს გამოთქვამენ, შეიძლება, ის საერთოდ არ ყოფილა ბრმაო. (ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად ანგარიში უნდა გაეწიოს თითქმის რუდაქის თანამედროვე პოეტს აბუ ზარა ჯორჯანელს, რომელიც გვაუწყებს: რუდაქიმ სიბრმავით მოიპოვა დიდებაო).

<sup>68</sup> ე. ბერტელსის მარყენებელი (88 ბაითი) ძველ მონაცემებს ეყრდნობა და სრული არაა (იხ. E. Э. Бертельс, История, გვ. 141). ასევე ძველია ჰუმანდ მოსთოუფის ასეთივე ცნობა. იხ.: გვ. ۲۹, ۱۳۲۲, شعرای بزرگ ایران.

<sup>69</sup> Рудакн: Стихи (სპარსულ და რუსულ ენებზე). М., 1964, გვ. 353.

შემდეგში: Рудакн (رودکی). გვ. ۱۸۱, ۱۹۵۸, استالین آباد.

შემდეგში: آثار رودکی.

## هر که نامخت از گذشت روزگار نیز ناموزد زهیچ آموزگار

„ვინც ცხოვრებისაგან ვერაფერი ისწავლა,  
ვერაერთარი მასწავლებლისგანაც ვერაფერს ისწავლის“.

ზოგან სიუჟეტის ამსახველი დეტალი არის, მაგრამ იგი მხოლოდ „ქილილასთვის“ კი არაა დამახასიათებელი, და ამდენად. შეიძლება მის რამდენიმე იგავს მიუღდეს. მაგ.:

شاه دیگر روز باغ آراست خوب  
تحفه ها بنماد و پس گسترن بوب

„მეფემ მეორე დღეს ბაღი მორთო ლამაზად,  
ძვირფასეულობა დადგა და საფენები გაშალა“<sup>70</sup>.

მაინც რუდაქის „ქილილა და დამანასეულად“ პირველ წყაროებში მიჩნეული ზოგი ფრაგმენტი შეიძლება ამა თუ იმ იგავს დავეუკავშიროთ. ს. ნათისიმ 21 ფრაგმენტს მოუძებნა „ქილილა და დამანაში“ თავისი ადგილი<sup>71</sup>. ზოგი მათგანი საეჭვოა. მაგ., მეცნიერს მიაჩნია, რომ ქვემოთმოტანილი ბაითი უკავშირდება ლომისა და კურდღლის იგავს<sup>72</sup>.

<sup>70</sup> P. y. დაკი (روداکی), გვ. 220. ს. ნათისის ნაჩვენები აქვს სა-ს. ვარიანტი ხა ტხტ (ტახტებია. გვ. 1081, III, (نقیسی) არის სხვა ვარიანტი: نخل (იხ. A. Носир, Лугати „Мадор ул-афазил“-и Файзи ва ашшори Рӯдакӣ. „Шарқи сурх“, 1958, № 3, გვ. 81). შემდეგში: Носир. ხომ არაა ეს ნახლო აქ რაიმე საფენი, და ამდენად, ხომ არ ეხმარება იგი „ვეფხისტყაოსნის“ სტავრა-ნახლებს? ნახლო რუსთველის პოემაში თუ რას ნიშნავს, ცნობილი არაა ან სადაუა (იხ. აკაკი შანიძე, ვეფხისტყაოსნის საკითხები. თბილისი, 1966, გვ. 197; ალ. ქიშიაშვილი, კვლავ „ნახლის“ მნიშვნელობისათვის „ვეფხისტყაოსანში“. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის შოთა რუსთველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის თეზისები. თბილისი, 1966, გვ. 8). ეს მით უფროა საფიქრებელი, რომ نخل-ის ერთ-ერთი მნიშვნელობა სპარსულში არის მორთულობა (გვ. 3687 (فرهنگ نقیسی), იგი არის აგრეთვე „ქალის ტანსაცმლის ან მორთულობის სახეობა“ (Dictionary Persian, Arabic and English by Francis Johnson. London, 1852, გვ. 1306). ქ. იზიზულოვის აზრით ეს ბაითი „სინდბად-ნამეს“ უკავშირდება რაც სარწმუნოდ არ შეგვაჩნია (იხ. Ч. Азизкулов, Муносишти „Синдбаднома“-и Захирӣ бо абыёти Рудаки, „Садон шарк“, 1966, № 1, გვ. 136. შემდეგში: Ч. Азизкулов).

<sup>71</sup> გვ. 691-688, II, (نقیسی) მანამდე ჰ. პორნი უთითებდა ზოგ ასეთ ადგილზე (იხ. გვ. ۱۳۳۶ جلد اول، تهران، فارس، შემდეგში: لغت فرس).

<sup>72</sup> იქვე, გვ. 689

گفت با خرگوش خانه خان من  
خیز و خاشاکت از او بیرون کن

„უთხრა ჯურღლელს ეს ჩემი სახლია,  
აღეჭი და შენი ჩალა-ბულა გაყარე იქიდან“.

ასევე, ს. ნათისის აზრით ბაითი:

از فراوانی که خشکامار کرد  
زان نهان مر مرد را بیدار کرد

„კარგად რომ გაერკვა საქმეში,  
მისგან ჩუმად გააღვიძა კაცი“.

უკავშირდება იგავს: „განშორებული, მღვევი და მპარაფი“<sup>73</sup>. გამოდის, რომ დევს ჩუმად გაუღვიძებია განდევილი და არა ხმამაღლა. ხომ არ ეკუთვნის ეს ბაითი იგავს „ღიდვავქრის ცოლი და მპარაფი“? ხომ არ უნდა წავიკითხოთ زن — როგორც „ქალი“ (გვაქვს კონტრასტი زن „ქალი“ და مرد „კაცი“). ს. ნათისის مار خشکا ესმის როგორც წყალმანკი (استسقا)<sup>74</sup>. მაგრამ ის აგრეთვე ნიშნავს: გამოძიებას, გამორკვევას, მიუხრადებას, გამოკითხვას<sup>75</sup>. წყალმანკი აქ არ უდგება, „წყალმანკი გააკეთა“ (خشکامار کرد) გაუგებარია ყოველგვარ კონტექსტში და მითუმეტეს ს. ნათისის მიერ მითითებულ იგავში (როცა დევს განდევილი უნდა გააფრთხილოს, ქურდი გეპარებაო). ხოლო გამოძიება და მიუხრადება ვაქრის ცოლის მდგომარეობას ასახავს.

რუდაქისეული ბაითი:

چون گل سرخ از میان پیلوش  
یاچو زرین گوشوار از خوب گوش

„როგორც წითელი ვარდი სოსანში  
ან როგორც ოქროს საყურე ლამაზ ყურზე“.

ს. ნათისის დაკავშირებული აქვს ნასრ აღლაპის ვერსიის ერთ ადგილთან:

زبس کش گاوچشم و بیل گوش است  
زمین چون کلبه گوهر فروش است

„ხარისხვალისა და სოსანის სიმრავლისაგან  
მიწა თვალმარგალიტის გამყიდველის ღუქანითაა“.

<sup>73</sup> იქვე, გვ. 588

<sup>74</sup> გვ. 1083, III ნფისი, ასევე ესმის იგი ნოსირს (об. Носир, გვ. 82).

<sup>75</sup> გვ. 1377, II ნფისი, فرهنگ

ნასრ ალ-ლაჰის ვერსიაში ბაღია აღწერილი<sup>76</sup>, ნათქვამია, რომ ირგვლივ მრავალი ყვავილი ჰყვავის, ხოლო რუდაქის ბაითში რა-ლაცა (თუ ვილაცა) შედარებულია სოსანის ფონზე მოკიაფე წითელ ვარდს და ოქროს საყურეს. ვფიქრობთ, მათ ერთმანეთთან არაფერი აქვთ საერთო გარდა იმისა, რომ ორივეგან ნახსენებია پيل گوش („სპილოსყურა“, „სოსანი“).

ს. ნათისის შემდეგ ასეთი შეჯერება არაერთხელ იქნა წარმოებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ეს ექსკურსიები ან საექვოა, ან სხვებს იმეორებს<sup>77</sup>.

ჩვენდა თავად მიუუთითებთ რამდენიმე ბაითის სადაურო-ბაზე:

1. რუდაქის ვერსია:

هیچ اشادی نیست اندر این جهان  
برتر از دیدار روی دوستان  
هیچ تلخی نیست برد لب تلختر  
از فراق دوستان پرهنر

„არავითარი სიხარული არაა ამ ქვეყნად მეგობრების ნახვაზე უკეთესი, არაფერი არაა ისე მწარე, როგორც ღირსი მეგობრის დაშორება“<sup>78</sup>.

ნასრ ალ-ლაჰის ვერსია:

هیچ شادی چون صحبت و مجالست دوستان نیست و هیچ غم  
بافراق دوستان و فقد برادران برابر نتوان بود

„მეგობრებთან შეყრის და ერთად ყოფნის მსგავსი სიხარული არაა და ძმების განშორებისა და მეგობრების დაცილებასზე უარესი მწუხარება არ შეიძლება, რომ იყოს“<sup>79</sup>.

2. کرد روبه یوزواری یک زغند  
خوشتن را ز آن میان بیرون فکند

„მელამ ავაზის მსგავსად იღრიალა,  
თავი ამოიგდო იქიდან (ამოეარდა)“<sup>80</sup>.

<sup>76</sup> გვ. 109, დანე, კილე

<sup>77</sup> შაგ., В. Капранов, „Лугати фурс“-и Асади Тусй-ҳамчун манбаъ барои амӯзиши назми давран Рӯдакӣ. „Шарҳи сурҳ“, 1956, № 8, გვ. 107-Г. Алиев, Дар барои „Калилаву Димна“-и Рӯдакӣ. „Шарҳи сурҳ“, 1958, № 10, გვ. 121.

<sup>78</sup> Рудакӣ (როდაკი), გვ. 216.

<sup>79</sup> გვ. 178, დანე, კილე

<sup>80</sup> Рудакӣ (როდაკი), გვ. 224. ქ. აზიზულოვი ამ ბაითს „სინდბად-ნამეს“ უკავშირებს (იხ. Ч., Азизкулов, გვ. 136), რაც ანგარიშგასაწევია.

შეიძლება ეს ბაითი მელი და ტაბლის იგავიდან იყოს. კერძოდ, მელის მიერ გაფხრეწილ დოლიდან თავს დახსნაზე გვეკონდეს. აქ ლაპარაკი.

3. مرد را انهار خشم آمد از این  
غاوشنگی بکف آوردش گزین

„საწყალი კაცი ძალიან გააბრაზა ამან.  
სახრეს დააელო ხელი“<sup>81</sup>.

ეს ბაითი უნდა გადმოგვეცემდეს იმ მომენტს, როცა „ერთგულ კვერნაში“ ბავშვის მამა ჯოხით კლავს კვერნას.

4. گفت فردا بینی او را پیش تو  
خود بیاهنجم ستیم از ریش تو

„უთხრა: ხელეე გაახლებ მას,  
მე მოგიშუშებ წულულს“<sup>82</sup>.

შეიძლება, ეს ბაითი გამოხატავდეს „უგულო და უყურო ვი-რის“ იგავში იმ ადგილს, სადაც მელა მშვიერ და დავარდნილ ლომს. კპირდება, აქვე აბლოს ვირი ძოვს და იმას მოგიყვანო.

ასადი ტუსელის „ლულათ-ე ფურსის“ აბას ეყბაღისეულ გამოცემაშიც სულ მცირე ხუთი ბაითი მაინც იკითხება, რომელიც, ვფიქრობთ, რუდაქის „ქილილა და დამანას“ ფრაგმენტები უნდა იყოს (შეიძლება მეტიცაა, მაგრამ ჩვენ სხვა საზომი, გარდა ფორმის, ზომისა და შინაარსის თანხვედრისა არა გვაქვს<sup>83</sup>).

<sup>81</sup> იქვე, გვ. 240.

<sup>82</sup> იქვე.

<sup>83</sup> რუდაქის კრებულებში „ქილილა და დამანას“ რომელიმე ბაითი-ფრაგმენტის ვარიანტები სხვადასხვა განყოფილებაში შეაქვთ იმის მიხედვით, თუ საიდანაა ისინი ამოკრებილი. მაგ.:

شو بدان گنج اندرون ختی بجوی  
زیر او سمجیت بیرون شو بدوی

(Рудаки (رودکی), გვ. 244).

იკითხება იმავე კრებულის სხვა თავში, ოღონდ ოდნავ შეცვლილ

شو بدان گنج اندرون ختی بجو

(იქვე, გვ. 300) زیر آن سمجاست بیرون رو برو

შეიძლება, რუდაქის რომელიმე ბაითში, „ქილილა და დამანას“ პერსონაჟები იხსენიებოდეს, მაგრამ ეს კიდევ როდის ნიშნავს, რომ ეს ბაითი „ქილილა და დამანანაა“. ასე, მაგალითად, ერთგან ვკითხულობთ:

ესენია: 1. بادشا سيمرغ دريا را ببرد  
خانه و بچه بدان تيمو سيرد

„ზღვის ხელმწიფემ სიმურღი წაიყვანა,  
სახლი (აქ: ბუდე) და შვილი იმ თითვეს ჩააბარა“<sup>84</sup>.

ეს ბაითი იმ იგავიდანაა, თითვეიმ ბუდე ზღვის პირას რომ  
ააშენა და ზღვის ხელმწიფემ რომ წაუღეკა ბუდე და ბარტყები.  
თითვეიმ ფრინველთა მეფესთან, სიმურღთან, იჩივლა. სიმურღი გა-  
შოესარჩლა მას და ბუდე და ბარტყები დააბრუნებინა ზღვის ხელ-  
მწიფეს<sup>85</sup>.

2. گرسنه روبه شد تا آن تير

چشم زی او برد مانده خیده خیر

„შშიერი მელა მივიდა იმ დოლთან,  
გაოცებული თვალებით უყურებდა მას“<sup>86</sup>.

گاو مسکین ز کید دمنه چه دید

و ز بد زاغ بوم را چه رسید

„რა დაქმართა საცოდავ ხარს დამანას ცბიერებით

და ყვავის ვერაგობით რა ეწია ბუს“ (Рудакн, როდკი, გვ. 362).

აქ პირველ სტრიქონში ლაპარაკია შუთურბაზე. კერძოდ, ნაგულისხმევია დამა-  
ნას შიერ შუთურბას დაღუპვა, ხოლო მეორე სტრიქონი ეხება ყვავთა და ბუ-  
თა ამბავს, სადაც ყვავმა ვერაგულად მოატყუა ბუები და დაღუპა კიდეც. საერ-  
თოდ აქ, ორივე სტრიქონში ვერაგობაზეა ლაპარაკი, ბაითი ორ სხვადასხვა ამ-  
ბავს აერთიანებს და ამიტომ შეუძლებელია ის ან ერთი ამბავის ფრაგმენტი  
იყოს, ან მეორისი. ის რუდაქის სხვა რომელიღაც ძეგლის ნაწყვეტი რომ უნდა  
იყოს და არა „ჭილილა და დამანასი“, ეს ზომითაც ჩანს, — ეს ბაითი ხაფიფის  
ზომითაა გამართული (—o—|o—o—|uս—), „ჭილილა და დამანასი“ კი—რამალ—მო-  
სადლასე მყესურით. რუდაქი, ხშირად მიმართავდა „ჭილილა და დამანასს“, მაგალი-  
თად, შემონახულია მისი კიდეც ასეთი ბაითი:

چنانکه اشتری بی بد سوی کنام شد

ژمკრობე وزაგ و ز گرگ بی خبرا

ისე, როგორც საძოვარზე გასული აქლემი, მელის, ყვავისა და

მგლის ხრიკების უცოდინარი“ (გვ. 1048, III (ნისისი))

<sup>84</sup> Рудакн (როდკი), გვ. 362.

<sup>85</sup> Калила и Димна, გვ. 107; გვ. 149, ანვარ სელი, cI, 207 („დე-  
დალ-მამალი ზორაყი და ზღვის უფროსი“). რუსულ თარგმანში აზრს სწორად ვერაა-  
გაგებულს. („С морским симургом приныл шах вдвоем“. იქვე, გვ. 353. ამის  
შესახებ იხ. ჩენს წერილი ამ კრებულზე: Народы Азии и Африки, 1965, № 3,  
გვ. 213).

<sup>86</sup> Рудакн (როდკი), გვ. 366.

ეს ბაითი მელიასა და ტაბლის იგავიდანაა<sup>87</sup>,—მელამ რომ დო-  
ლი ნახა და საქმელი ეგონა.

3. باز کرد از خواب زن را نرم و خوش  
گفت جز دانند و آمد پای شش

„გამოაღვიძა ცოლი წყნარად და მშვიდად,  
უთხრა: ქურდები არიანო! და ჩაიყვია ფეხთ“<sup>88</sup>.

ეს ბაითი უნდა იყოს იმ იგავიდან, რომელსაც ბარზუი ურთავს  
თავის თავზე მოყოლილ ამბავში. ერთ კაცს ქურდები მიეპარნენ.  
მან უგრძნო და ცოლს განზრახ საუბარი დაუწყო, მთელი ქონება  
ქურდობით მაქვსო შეძენილი. ეს იგავი მხოლოდ იბნ ალ-მუყაფას  
და ნასრ ალ-ლაჰის ეერსიებში გვხვდება<sup>89</sup>. ჩანს, რუდაქის უთარგ-  
ძხია წიგნის შესავალიც, კერძოდ, ბარზუის ამბავი.

4. کرد باید بر مرا و اورا رون  
شیر تا شمار دارد خویشتن

„უნდა გამოგვცადონ მეც და ისიც,  
ჩათა ღომი გულდამშვიდებული იყოს“<sup>90</sup>.

5. تـگـ شد عالم برو از بهر گاو  
شور شور آندر فکند و گاو گاو

„ისე განრისხდა ხარზე, რომ აღვილზე ვერ ეტეოდა,  
ვახელდა და აწრიალდა“<sup>91</sup>.

ეს ბაითი ალბათ აღწერს გაბრაზებულ ღომს, რომელიც და-  
მანამ გაახელა და შუთურბას საწინააღმდეგოდ აამხედრა. ვიმეო-  
რებთ, „ლულათ-ე ფურსიდან“ ამოკრებილ ფრაგმენტებში კიდევ  
შეიძლება ზოგი ბაითი „ქილილა და დამანადან“ იყოს.

გვინდა შევეხოთ ერთ საკითხს, რომელიც რუდაქის „ქილილა  
და დამანას“ უკავშირდება. რუდაქისეულ ფრაგმენტებში არაიშვი-  
ათად გვხვდება ბაითები, რომლებიც „ქილილა და დამანას“ ზო-  
მით, რამალით, არის გაწყობილი, ხოლო შინაარსით ალადგენენ  
იმ იგავენს, რომელთაც დღეს „სინდბად-ნამეში“ ვკითხულობთ.  
ამის გამო პაულ ჰორნი ფიქრობდა: რუდაქის „სინდბად-ნამეც“ გაუ-

<sup>87</sup> Калила и Димна, გვ. 82; გვ. 87, انوار سہیلی، C I, 141.

<sup>88</sup> Рудакн (رودکی), გვ. 370.

<sup>89</sup> Калила и Димна, გვ. 52; გვ. 50, کلیله و دمنه،

<sup>90</sup> Рудакн (رودکی), გვ. 376.

<sup>91</sup> „ქვე“, გვ. 378.

ლექსავს და ეს ბაითებიც იქიდან არისო<sup>92</sup>. რუდაქის ცხოვრებისა და შემოქმედების დაუღალავმა მკვლევარმა საიდ ნაფისიმ გამოთქვა ვარაუდი: რუდაქის ან გაულექსავს ამ ზომით მართლაც მთელი „სინდბად-ნამე“ „დავრან-ე აფთაბის“ სახელწოდებით (საქმეს ის ართულებს, რომ „ფარჰანგ-ე ჭეჰანგირიში“ ვკითხულობთ, რუდაქის ჰქონდა ასეთი პოემად), ანდა „სინდბად-ნამეს“ მხოლოდ ზოგი იგავი გაულექსავს და „ქილილა და დამანაში“ შეუტანიისო<sup>93</sup>. ა. მიროზოვეი ს. ნაფისის ამ ვარაუდს არ იზიარებს იმ მოსაზრებით, რომ „ამ ორი ნაწარმოების („ქილილა და დამანასი“ და „სინდბად-ნამეს“. მ. თ.) შინაარსი ერთმანეთს არ ეთანხმება“<sup>94</sup>. ჩვენი აზრით, მთავარი ჩარჩოს შინაარსის სხვადასხვანაირობა სრულებით არ უშლის ხელს იგავების ურთიერთსესხებას. ასეთ ძეგლებში იგავები თხზულების ძირითადი ჩარჩოს ამბავს როდი ქმნიან, არამედ, როგორც ზემოთ ვამბობდით, მათ ესა თუ ის პერსონაჟი ჰყვება ხოლმე. იგავთა თემა და შინაარსი შეზღუდული არაა. ამიტომაც, რომ, ვთქვათ, იმავე „ქილილა და დამანას“ არაკები („კუ და ღრიანკალი“, „მოღვაწე და დერგი ერბო“) იკითხება სულხან-საბა ორბელიანის თხზულებაში „სიბრძნე სიცრუისა“, თუმცა მათ სხვადასხვა შინაარსი აქვთ. არ არის შეუძლებელი, რუდაქის თითო-ორჯოლა ნაცნობი იგავი შეეტანოს „ქილილა და დამანაში“ და მათ შორის ყოფილიყო ის იგავები, რომელიც ამავე დროს „სინდბად-ნამეში“ იკითხება. მაგრამ, ვფიქრობთ ჩვენ, შეიძლებოდა ეს იგავები უკვე ყოფილიყო შეტანილი კრებულის სპარსულ ნუსხებში. იბნ აღმუყაფას ვერსიასა და რუდაქის თარგმანს შორის მთელი ორი საუკუნე დგას. აბუ მანსურისეული „შაჰნამეს“ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:

این نامه بدست مردمان اندر افتاد و هر کسی دست بدو اندر زدند

„ეს წიგნი („ქილილა და დამანას“ პროზაული სპარსული თარგმანი. მ. თ.) ხალხს ჩაუვარდა ხელთ და ყველა მას ეტანებოდა“<sup>95</sup>. ის ფართოდ გავრცელებულა და, ბუნებრივია, ამ ხნის მანძილზე სხვადასხვა რედაქციებს შექმნიდა. თავის მხრივ „სინდბად-ნამეში“, მაგალითად, იკითხება უსამართლოდ დასჯილი კატის ამბა-

<sup>92</sup> გვ. 40, 41, 42

<sup>93</sup> გვ. 594, II ნაწილი

<sup>94</sup> A. Мирзоев, Абӯ Абдулло Рӯдакӣ. Сталинобод, 1958, გვ. 169.

<sup>95</sup> გვ. 33, 34



ვი<sup>96</sup>, რომელიც „ქილილა და დამანას“ „ერთგული კვერნაა“. თუ ასე არაა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ რუდაქის ორი პოემა ერთი ზომით გაულექსავს, რაც საეჭვოა.

იმისთვის, რომ დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ რუდაქის პოემა, გვინდა ერთმანეთს შევადაროთ იბნ ალ-მუყაფასეული არაბული ვერსიისა და რუდაქის „ქილილა და დამანას“ ორი შესატყვისი ადგილი.

რ უ ღ ა ქ ი:

وز درخت اندر گواهی خواهد اوی  
تو بدانگاه از درخت اندر مگوی  
کان تبنگوی اندرو دینار بود  
آن ستد زیدر که ناهشیار بود

„ხისგან დამოწმებას [რომ] მოითხოვს ის,  
შენ მაშინ ხის შიგნიდან თქვი:

იმ სკივრში დინარი იყო

[და] იმ გულუბრყვილომ წაიღო-თქო“<sup>97</sup>.

ი ბ ნ ა ლ - მ უ ყ ა ფ ა:

„მე მინდა, რომ შენ წახვიდე ღამით, შეხვიდე შიგ და როცა მოსამართლე მოვა და ჰკითხავს ხეს, შენ რას იტყვიო, ფულუროდან უქასუხო: ფული გულუბრყვილომ წაიღო-თქო“<sup>98</sup>

<sup>96</sup> Мухаммад аз-Захир и ас-Самарканди, Синдбад-наме, перевод М.-Н. Османова, под редакцией А. А. Старикова. М., 1960, гл. 128. შემდეგში: Синдбад-наме.

<sup>97</sup> Рудаки (Родки), гл. 214; гл. 152, انوار سہیلی, 1, 223.

„ორი ამხანაგი და გულა ვერცხლი“. ეს ადგილი რუსულ თარგმანში სწორად არაა გაგებული: „Возьми их, ибо разума лишён“ (Рудаки, гл. 15). საერთოდ აქ ბევრი ადგილი მცდარად გუგიათ. კიდევ ერთ მცდარ გაგებაზე. ორიგინალშია:

آن رفت کتان خویش من رفتم و پردختم

چون گرد بماندستم تنها من و این باهو (Рудаки, гл. 188)

თარგმნილია: „Она ушла: тогда я продал одежду ветхую свою, И, как пылинка одинокий, теперь я с посохом стою“.

(Рудаки, гл. 189). ჩუენი აზრით, ტექსტი უნდა წაეკითხოთ ასე:

آن رفت کتان خویش من رفتم و پردختم

چون کرد بماندستم تنها من و این باهو

„იმ ჩემს ქვალს ხიფთანსაც წავედი და ბოლო მოეუღე,  
[და ახლა] ქურთივით ჯოხის ამარა-ლა დავრჩი“.

<sup>98</sup> Калила и Димна, гл. 114—115.

რ უ და ქ ი :

پس تیرى دید نزدیک درخت  
هر گهی بانگی بجزتى تند و سخت

„მერე დოლი ნახა ხესთან, —  
ყოველ წუთს მაღალ და ძლიერ ხმას გამოსცემდა“<sup>99</sup>.

ი ბ ნ ა ლ - მ უ ყ ა ფ ა :

„...დოლი იყო, ხის გვერდით დატოვებული, როცა ქარი ქროდა, ხის ტოტები ტოკავდა, ეცემოდა დოლს, ხოლო ის ძლიერ ხმაურობდა“<sup>100</sup>.

როგორც ვხედავთ, იგავის სიუჟეტის გაზრდის ან შეკუმშვის ტენდენცია რუდაქის თარგმანს არ ეტყობა.

რადგან რუდაქის „ქილილა და დამანას“ ფრაგმენტებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ბარემ გვინდა აღვნიშნოთ, რომ შეიძლებოდა ამ ფრაგმენტთა არა მარტო გაზრდა, არამედ შეკვრაც. ს. ნაფისის, ე. მირზოევისა და ი. ბრაგინსკის გამოცემებში იკითხება ბაითი, რომელიც ეს-ესაა ზემოთ მოვიტანეთ.

پس تیرى دید نزدیک درخت  
هر گهی بانگی بجزتى تند و سخت

„მერე დოლი ნახა ხესთან, —  
ყოველ წუთს მაღალ და ძლიერ ხმას გამოსცემდა“<sup>101</sup>.

ეს ბაითი სამართლიანად მიაჩნიათ რუდაქისეული „ქილილა და დამანას“ ფრაგმენტად. მაგრამ ჩვენ უკვე გვქონდა შესაძლებლობა აღვენიშნა, რომ ასადის ლექსიკონიდან ამოკრებილ ფრაგმენტებში რამდენიმე ბაითი რუდაქის „ქილილა და დამანასი“ უნდა იყოს. ეკრძოლ, მოვიტანეთ ასეთი ბაითი:

گرسنه روباه شد تا آن تیر  
چشم زى او برد مانده خیر خیر

„მშიერი მელა მივიდა იმ დოლთან,  
გაოცებული თვალებით ჩაივივებოდა მას“<sup>102</sup>.

აშკარაა, ორივე ბაითი ერთი იგავის („მელა და ტაბლი“) ფრაგმენტია, მეორე აგრძელებს პირველს. ასევე, ერთმანეთის გვერდით მოაქვთ. მაგრამ ერთად—არა ორი ასეთი ბაითი:

<sup>99</sup> Рудакн (روداکی), გვ. 220.

<sup>100</sup> Каллаш Динна, გვ. 82.

<sup>101</sup> Рудакн (روداکی), გვ. 220.

<sup>102</sup> იქვე, გვ. 366.

گفت دینی را که این دینار بود  
کین 'فزاکن' موش را پروار بود

مرد دینی رفت و آوردش کنند\*  
چون همی مهمان درمن خواست کند

„უთხზრა მორწმუნეს: ეს დინარი იყო,  
რახელად ეს საზიზლარი თავვი ზრუნავდა“.

\*

„მორწმუნე წავიდა და მოუტანა მას თოხი,  
როცა სტუმარმა ჩემი სოროს ღანგრევა ინება“.

ეს ბაითები, აშქარაა, გადმოგვცემენ „ჭილყვავის და თავ-  
ვის“ ამბავში მოთხრობილი თავგადასავალის დეტალებს და ამიტომ  
ერთმანეთთან უნდა იყენენ შეკრულნი<sup>103</sup>. მაგრამ იმ იგავში ჭერ  
მორწმუნე თოხს მოუტანს სტუმარს, სტუმარი აშლის სოროს და  
მერე ეუბნება: ეს დინარი იყო და სხვ. ასე რომ ეს ბაითები უნ-  
და შეერთდეს, მაგრამ მათ ადგილი უნდა შეეცვალოს. ამავე ღროს  
მათ შუა, სულ მცირე, ერთი ბაითი მაინც აკლია შინაარსის მიხედ-  
ვით (რომ მოთხარა სტუმარმა სორო) და ამის გამო მათ შუა მრავალწერტილი უნდა დაისევას. ა. მირზოევის გამოცემაში ეს ბაითე-  
ბი გაერთიანებული კი არის<sup>104</sup>, მაგრამ ადგილის შეუცვლელად,  
ისე, როგორც ი. ბრაგინსკის რედაქციაშია, რაც აშქარა შეცდომაა.

ხდება პირიქითაც, რულაქის გამომცემლებს ზოგჯერ გაერთია-  
ნებული აქვთ ისეთი ბაითები, რომელთაც ერთმანეთთან არაფერი  
აქვთ საერთო. ასე, მაგალითად: ს. ნაფისისა და ი. ბრაგინსკის გა-  
მომცემაში კვითხულობთ:

از خراسان بروز طاوس وش  
سوی خاور می خرامد شاد و کوش  
مهر دیدم بامدادان چون بتافت  
از خراسان سوی خاور می شتافت

„ღლისით ზორასანიდან ფარშეანგის მსგავსი  
დასაველეთისკენ მიგოგმანობს ლალად და ნებიერად.  
მზე დაეინახე, გათენდა თუ არა,  
ზორასანიდან დასაველეთისკენ მიისწრაფოდა“<sup>105</sup>.

103 Рудаки (рудაკи), 33. 224; Калила и Димна, 33. 149;  
243, انوار سلی، 1, 339.

104 33. 193, آثار رودکی،

105 Рудаки (рудაკи), 33. 208; 33. 1.077, III, نفیسی،



XII საუკუნეში რუდაქის „ქილილა და დამანა“ უკვე დაკარგული იყო. ჩანს, დაკარგული იყო სპარსული პროზაული თარგმანიც და ირანელები იძულებულნი გამხდარან ეს ძეგლი ხელახლა არაბულიდან ეთარგმნათ. ამჟერად მას თარგმნის ბაპრამ-შაპ ლაზნელის (1118—1152) კარისკაცი (ბოლოს ვეზირი) აბუ მანალი ჰამიდ ად-დინ ნასრ ალ-ლაჰიბნი მუჰამადიბნი აბდ ალ-ჰამიდ ლაზნელი<sup>110</sup>. ვარაუდობენ, რომ ეს ძეგლი მას 1144 წ. უნდა შეექმნას<sup>111</sup>. წიგნი მას ბაპრამ-შაპისთვის მიუძღვნია და ამიტომ შერქმევი ბაპრამ-შაპისეული „ქილილა და დამანა“ (ასე უფროა ის ცნობილი). თხზულება ფართოდ გავრცელდა აღმოსავლეთში და იმ დროიდან ამ ხანამდე მეტად პოპულარულია. ბეჰარი მას იხსენიებს, როგორც დღემდე ხელი-ხელ საგომანებ წიგნს<sup>112</sup>. მას გამომხაურებთან პირველწყაროებიც, — XIII საუკუნეში მუჰამად აუფი თავის „ლობაბში“<sup>113</sup> და XV ს. დავლათ-შაჰი თავის „თაზჰირათ აშ-შუ‘არაში“, ეს უკანასკნელი, კერძოდ. შენიშნავს: „[ნასრ ალ-ლაჰს „ქილილა და დამანა“] არაბულიდან სპარსულად ეთარგმნია და ბაპრამ-შაპის სახელით შეუსრულებია ეს საქმე. და ქეშმარიტად მკერმეტყველება და ოქროპირობა გამოუჩენია ამ წიგნში“<sup>114</sup>. ნასრ ალ-ლაჰის თხზულებას მეტად აქებს ვა‘ეზ ქაშეფიცი თავის „ანვარ-ე სოჰაილის“ შესავალში. თავის მხრივ ისიც აღნიშნავს, რომ ბაპრამ-შაპისეული „ქილილა და დამანას“ იბნი ალ-მუყაფას არაბული ვერსია უძვეეს საფუძვლად<sup>115</sup>. ასეთ ფონზე მოულოდნელი იყო ამ ძეგლზე თავდასხმა და მისი ავტორის მიჩნევა ისეთ კაცად, რომელმაც არც არაბული იცოდა, არც სპარსული და არც მწერლისთვის საჭირო სხვა თვისებებს ფლობდა. ამ მოსაზრებათა ავტორის მტკიცებით ნასრ ალ-ლაჰის „ქილი-

110 ზოგს ის მიაჩნია არა ლაზნელად, არამედ შირაზელად (ამის შესახებ იხ.:

33. 948, 1339, تهران, دوم، جلد، تاریخ ادبیات ایران، جلد دوم، تهران، 948  
33. 248, II, بارة، شمردن: II ذبیح الله صفا

111 33. 95. ذبیح الله صفا، II، کتابت و نشر مخطوطات: تب. Catalogue des manuscrits persans de la Bibliothèque Nationale. Par E. Blochet, IV. Paris, 1934, 33. 7.

112 33. 214, II, بارة

113 33. 92, I، باب الالباب، چاپ لیدن، I

کتاب تذکره الشعراء از تصنیف امیر دولتشاه بن علا الدولة  
بختیاش الفازی المرندی، 33. 75. لندن، 1901.

114 33. 6، انوار سبلی، 6

ლა და დამანა“ ქეულა კერპად. და იგი უნდა დაიმსხვრეს<sup>116</sup>. ბაპრამშაჰისეული „ქილილა და დამანა“ არაერთხელაა გამოცემული<sup>117</sup>. მისი სტილის ჩინებული ანალიზი დაგვიტოვა მალექ აშ-შო'არა ბეჰარმა<sup>118</sup>.

ნასრ ალ-ლაჰს იბნ ალ-მუყაფას ვერსია მთლიანად უთარგმნია და თავის მხრივაც შეუტანია შიგ ზოგი რამ. ძეგლს იგი „ზოგჯერ ავრცობს და ზოგჯერ კუმშავს, როგორც ჩანს, თავისი გუნებისა და მიხედვით“<sup>119</sup>. ამაზე თავად ნასრ ალ-ლაჰი გვაუწყებს: მე აზრად მომივიდა ეს ძეგლი ვთარგმნო, იგი აიებითა და ამბებით, ბაითე-ბითა და ლექსებით გავამაგრო<sup>120</sup>. მას მართლაც შეუტანია შიგ მრავალი ლექსი, როგორც სპარსული, ისე არაბული და მით უნებურად აღუდგენია ამ კრებულისთვის ჟერ კიდევ სანსკრიტიდან გადმოყოლილი ტრადიცია. ზოგ ლექსზე თვითონ ნასრ ალ-ლაჰი გვეუბნება თუ ვისია, ზოგის სადაურობა კი არ ვიცით. სპარსულ პროზაულ ძეგლებში ლექსებს ხშირად მიმართავენ და ყოველთვის როდი ხერხდება მათი მისამართის დაზუსტება. აქაც ყოველთვის როდი ახსენდებათ ნასრ ალ-ლაჰის მოტანილ ციტატთა სადაურობა. მაგ., ბაითი, რომელიც აქ იკითხება:

هر که تیغ ستم کشد بیرون  
فلکش هم بدان بریزد خون

„ვინც მტარვალობის ხმალს იძრობს,  
მის სისხლს დაღვრის ზეცა“

შეუტანია თავისი ოსმალი-ში დეჰხოდას, მაგრამ, წინააღმდეგ თავისი ჩვევისა, ავტორი არ მიუთითებია<sup>121</sup>.

ნასრ ალ-ლაჰის თხზულებაში განსაკუთრებულ ყურადღებას არაბული ლექსები იწვევს. ვისია ისინი? ამის პასუხს წიგნის

<sup>116</sup> გვ. ۳۳۹ سيد احمد

<sup>117</sup> ჩვენ ესარგებლობთ მისი ყარიბისეული თეირანული გამოცემით, რომელიც უთარიღოა. შარშან გამოვიდა ამ ძეგლის აკადემიური გამოცემა:

ترجمه کلیله و دمنه انشای ابوالعمالی نصرالله منشی تصحیح و توضیح مجتبی مینوی، طهران، چاپ اول، ۱۳۴۳ ه. ش. ترجمه کلیله و دمنه შემდეგში:

<sup>118</sup> გვ. ۲۵۸ و ۱۱ بهاره მისი ენის შესახებ იხ.:

<sup>119</sup> ۷۹ در باره اسلوب نثر کلیله و دمنه بهرامشاهی، پیام نو، ۱۷ و ۱۵

<sup>120</sup> A. J. Arberry, Persian Literature, London, 1956, გვ. 95.

<sup>121</sup> გვ. ۲۶ و دمنه

<sup>122</sup> შემდეგში: علی اکبر دهخدا، امثال و حکم، ۱۷ و ۱۴ ۱۹۵۴ გვ. دهخدا

ავტორი არ იძლევა. იგი ზოგჯერ თუ უთითებს მათ წარმომავლობაზე, თითონ კრებული არაბულიდანაა თარგმნილი. თითქოს მოსალოდნელია, ლექსებიც და პროზაული ტექსტიც ერთი და იმავე დედნიდან მოდიოდეს, მაგრამ იბნ ალ-მუყაფას არაბულ ვერსიაში, საიდანაც ნასრ ალ-ლაჰის კრებული ითარგმნა, ლექსები არ იკითხება. ჩანს ნასრ ალ-ლაჰმა თითონ მოუყარა მათ აქ თავი ისე, როგორც სპარსულ ლექსებს<sup>122</sup>. აქ ისეთი სურათი იქმნება, როგორც ამავე ხანის სხვა, ინდურიდან არაბულის გზით სპარსული ლიტერატურაში შემოსულ ძეგლში — ზაჰირი სამარყანდელის „სინდბადნამეში“, სადაც სპარსელებზე უფრო ხშირად არაბი პოეტებია ციტირებული. „სინდბადნამეში“ ოცამდე არაბი პოეტია მოხმობილი, სპარსელი კი — ათი. ამავე დროს ყველაზე ხშირად ციტირებული ანგარის მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია (მას თორმეტჯერ დასესხებიან) არაბი მგოსნის მუთანაბის (X ს.) მაჩვენებელთან, — ეს უკანასკნელი დაახლოებით ორმოცდაათჯერაა ციტირებული. მიზეზი ამ ორ ძეგლში ასეთი სურათის შექმნისა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. შესაძლებელია, ზაჰირი სამარყანდელს თავად არ ჰქონდეს ეს ციტატები მოგროვილი, იქნება იგი იყო ფანარუზისეულ ვერსიაში, რომელსაც ზაჰირი დაეყრდნო, ხოლო ფანარუზის იქნებ ფალაური ვერსია კი არ ჰქონდეს თარგმნილი, არამედ არაბული<sup>123</sup>. ხოლო ნასრ ალ-ლაჰს, ეტყობა, თავად მოუხდა ამ ციტატების მოხმობა. თუ ასეა, ღიად რჩება მაინც საკითხი, XII საუკუნის სპარსულ ძეგლში რატომ ჭარბობს არაბი ავტორებიდან. მოტანილი ციტატები მშობლიური ლიტერატურის ნიმუშებს. ჩანს, ნასრ ალ-ლაჰი ერთი იმათაგანია სპარსულ ლიტერატურაში, რომელთაც „ყოველთვის ეწადათ რომელიმე ცნობილი სტრიქონი პროზაში ჩაერთოთ, და ესეც ოსტატობის გამოჩენის ერთ-ერთი სა-

<sup>122</sup> ამ კრებულის არაბულ ლექსებზე კომენტარებიც კი დაუწერიათ, რომლის ავტორი, იმამ აბდ ალ-ლაჰ იბნ ოსმან იბნ მუჰამედ ალ-ისფერანი მხოლოდ აქებს ამ ლექსებს (Blochet, № 2034). كتاب شرح آيات كليله. ის ის შრომაა, რომელიც რუდაქის „ქილილა და დამანას“ ნაწყვეტად მიიჩნეის მოჭაბა მინოვის ინფორმაციებმა. ამის შესახებ იხ.:

مجتبی مینوی، داستان کلیلہ و دمنہ رودکی، فرهنگ ایران زمین، جلد پنجم، دفتر ۴، ۲۶۵.

ამ არაბულ ლექსებზე იხ. ماحضی دامغانی: یاد داشتائی در بارهٔ: آيات عربی کلیلہ بپرامشاهی، یغما، ۲۲۶—۲۴۰، XV—XVI.

<sup>123</sup> ამის შესახებ იხ. ჩვენი რეცენზია: „თენგიზ გორელიშვილი, „სინდბადნამეს“ სპარსული და ქართული ვერსიები. ფილოლოგ. მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი. თბილისი, 1964, გვ. 6—7.

შეაღება იყო<sup>124</sup>. არაბ ავტორთაგან აქ ხშირადაა ციტირებული იგივე მუთანაბი, სპარსელთაგან: სენაი (გარდ. 1130) და სა'ად სელმანი (დ. 1046). „აბუ ლ-მაალისაც შეეძლო ყოველ კარში საკუთარი ლექსები ჩაერთო, მაგრამ ეს არ ქნა. და იტვირთა ჯაფა ლექსთა ციტატების მოტანისა, რომელიც ლექსის დაწერაზე უფრო ძნელია“<sup>125</sup>. არ იქნებოდა სწორი, გვეფიქრა, რომ ლექსთა ჩართვით ნასრ ალ-ლაჰს ჰსურდა აღედგინა ის ტრადიცია, რომელიც ამ კრებულის წინაპარში, „პანჩატანტრაში“, გვაქვს. ვფიქრობთ, აბუ ლ-მაალი მისდევს მის დროს დამკვიდრებულ მოდას სპარსულ, არაბულ, თურქულ, ინდურ ლიტერატურაში და პროზაული ძეგლების ლექსებით შემკობა უნდა. ამ ხანის ზოგი ავტორი თავის პროზაულ თხზულებას საკუთარ ლექსებს ურთავს (მაგ., XI ს. არაბი მწერალი იბნ ჰაზმის თავის „მეტრედის ფარლულში“<sup>126</sup>, საადი შირაზელი „გოლესთანში“) <sup>127</sup>, ხოლო ზოგი ნასესხები სტრიქონებით ამკობს თავის თხზულებას (მაგ., იგივე ზაპირი სამარყანდელი, „სინდბადნამეში“<sup>128</sup>, ნიზამ ალ-მულქი „სიასათ-ნამეში“<sup>129</sup> და სხვ.)

ნასრ ალ-ლაჰის „ქილილა და დამანაში“ იმდენივე (და იგივე) კარი იკითხება, რაც იბნ ალ-მუყაფას ვერსიაში. ოღონდ მათი ადგილი ცოტათი შეცვლილია. სამი კარი, კერძოდ; კარები: ირადის, შადირამისა და ირახტისა; მოგზაურის, ოქრომქედლის, ვეფხის, შამიუნისა და გველისა; უფლისწულის, დიდებულის, ვაჭრისა და გლეხის შეილებისა — ბოლოშია მოქცეული. ოდნავ შეცვლილია წიგნის შესავალი. ნასრ ალ-ლაჰს თავის მხრივაც წაუმატებია შესავალისთვის თავი, რომელშიაც თავისი პატრონის ქება და „ქილილა და დამანას“ მოკლე ისტორია აქვს გადმოცემული. ამას მოს-

<sup>124</sup> გვ. 89, III, 4.

<sup>125</sup> გვ. 334, II, 4. მ. მინოვის აზრით კი აქ ზოგი არაბული თუ სპარსული ლექსი ნასრ ალ-ლაჰს ეკუთვნის.

<sup>126</sup> იხ. Ибн Хазм, Ожерелье голубки, перевод М. А. Салье. М., 1957.

<sup>127</sup> იხ. Са'ди, Гулистан, Критический текст, перевод, предисловие и примечания Р. М. Алнева. М., 1959.

<sup>128</sup> سند باد نامه، نگارش محمد بن محمد الظهیری المرقندی. یا سند باد نامه تازی، باهتمام و تصحیح و حواشی احمد آتش، استانبول، 1948.

შემდეგში: سند باد نامه იხ. აგრეთვე მისი რუსული თარგმანი: Синд-бад-наме.

<sup>129</sup> 1334, سیاست نامه ابو علی حسین بن علی نظام الملک، تهران، 1334. მისი რუსული თარგმ. Сиасет-наме, Книга О правлении вазира XI столетия Низам ал-Мулькэ, перевод, введение в изучение памятника и примечания Б. Н. Заходера. М.-Л., 1949.



დევს იბნ ალ-მუყაფასეული ცნობა წიგნის წარმომავლობის შესახებ, თავი ბარზუის ინდოეთში გამგზავრების შესახებ, თავი ზუზურჰმიპრს რომ მიეწერება, ბარზუის განცდათა აღმწერი თავი, ბოლოს მეტად მკრთალად ჩანს, რომ ამ ამბებს ინდოთა რაის ეუბნება ბარაჰმანი.

როგორც ვხედავთ, „ქილილა და დამანას“ შესავალი კიდევ ერთი თავით გაზარდა ნასრ ალ-ლაჰმა, დაუმატა რა მას თავისთავად ამ ძეგლის ისტორია. შემდეგ ჩვენ ვნახავთ, რომ ასეთი თავისთავად ძეგლის ისტორიის თხრობის სურვილი გაუჩნდება ვა'ეზ ქაშეფისაც „ანვარ-ე სოჰაილის“ შესავალში. დაბოლოს, „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიის შესავალს ახალი მომენტებით (პირადულით) აქსებენ ვახტანგი და საბა. ამათგან საბა სამ ავტობიოგრაფიულ იგავსაც წარუძღვარებს მას (იხ. დართული ცხრილი).

ნასრ ალ-ლაჰის „ქილილა და დამანას“ უკვე ეტყობა ე. წ. „ჩუქურთმოვანი პროზის“ გავლენა, მის სტილში სამნაირი სახეობა იგრძნობა პროზისა: ნასრ-ე მორაჟჟაზ (წყობილი პროზა), ნასრ-ე მუსაჟჟა (გართმული პროზა) და ნასრ-ე 'არო (თავისუფალი პროზა). ნასრ ალ-ლაჰის პროზა საუცხოოდ აქვს განხილული თავის „სებქ-შენასიში“ მ. ბეჰარს<sup>30</sup>. მას ჩვენც შევეხებით გაკვრით, როცა ქვემოთ ვა'ეზ ქაშეფის „ანვარ-ე სოჰაილის“ ირგვლივ გვექნება საუბარი. თავად არაბული ტექსტი აქ თითქმის ზუსტადაა თარგმნილი. აქა-იქ შეიმჩნევა უმნიშვნელო გადახვევები იბნ ალ-მუყაფას ტექსტთან შედარებით, მაგრამ ეს გადახვევანი შეიძლება არაბული ნუსხისმიერი იყოს.

„ქილილა და დამანას“ იგავები ფიქსირებულთა ნიზამის „ხოსროვ ო შირინში“. აქ თითქმის მთელი „ქილილა და დამანას“, ლღონდ მოცემულია არა იგავები, არამედ მათი შინაარსისა და დედაზრის მინიშნება. ყოველ იგავს მხოლოდ თითო ბაიათი უქირავს, მაგრამ იგავის შინაარსი და მისი საიგავო დანიშნულება მაინც არის გადმოცემული. რადგან ეს ნაწილი დიდი არ არის და მისთვის საამისოდ ყურადღება არავის მიუქცევია, მოვიტანთ მას მთლიანად:

گفتن چهل قصه از کلیله و دمنه با چهل نکته

بزرگامید چون گلبرگ بشگفت  
 چهل قصه بچهل نکته فروگفت  
 نخستین گفت کز خود برحذر باش  
 چو گاو شتر به زان شیر جماش

<sup>30</sup> გვ. ۲۴۸ « II სპა. »

هوا بشکن کز پاری نیاید  
 که از بوزینه نجاری نیاید  
 بتلیس آن توانی خورد از این راه  
 کزان طبل دریده خورد روباه  
 مکن تا در غمت ناید درازی  
 چو زاهد همگی در خرقة بازی  
 مخور در خانه کس هیچ زنهار  
 که باتو آن کند کان زاغ با مار  
 همان پاداش بینی وقت نیرنگ  
 که ماهی خوار دید از چنک خرچنگ  
 ربا خواری مکن این پند بنبوش  
 که با شیر رباخور کرد خرگوش  
 بخود کشتن توان زاین خاکدان رست  
 چنانک آن پیر ماهی زافت شست  
 شغال و گرگو زاغ این ساز کردند  
 که از شخص شتر سر باز کردند  
 بچاره کین توان جتن ز اعدا  
 چنان کان طیطوی از موج دریا  
 بسا سرکز زبان زیرزمین رفت  
 کشف را بابطان فصلی چنین رفت  
 ز نااهلان همان بینی در این بند  
 که دید آن ساده مرغ از کپیی چند  
 بحیل مال مردم خورد نتوان  
 چوبازرگان دانا مال نادان  
 چو بردانا گشادی حیل را در  
 چو غوک مار کش در سر کئی سر  
 حیل بگذار و مشنواز حیل ساز  
 که موش آهن خورد کودک برد باز  
 چو نقش حیل برچادر نشانی  
 بدان نقاش چادر سوز مانی  
 ز دانا تن سلامت بهر گردد  
 علاج از دست نادان زهر گردد  
 بدانائی توان رستن ز ایام  
 چو آن مرغ نگارین رست از آندام

مکن شوخی وفاداری در آموز  
 ز موش دام در زاغ دهن دوز  
 مبریک جوز کشت کس ببیداد  
 که موش از راهد ارجو برد زر داد  
 مشو مفرور چون گرگ کمان گیر  
 که بر دل چرخ ناگه میزند تیر  
 رهاکن حرص کاین حمال محروم  
 نسازد باخرد چون زاغ بابوم  
 مبین از خرد بینی خصم را خرد  
 زیلان بین که خرگوش آب چون برد  
 ز حرص و زرق باید روی بر تافت  
 ز روزه گربه روزی بین که چون یافت  
 کسی کاین گربه باشد نقش بندش  
 نهد داغ سگی بر گو سپندش  
 ز فتنه در و فا کن روی در روی  
 چنان کز بیم دزد آن زن در آنشوی  
 رهی چون باشد از خصمانت ناورد  
 چنان کز دیوودزد آن پارسا مرد  
 چه باید چشم دل را تخته بردوخت ●  
 چو نجاری که لوح از زن در آموخت  
 اگر بد نیستی باید مشو یار  
 چنان کان موش نسل آدمی خوار  
 بواگشتن توانی زین طرف رست  
 که کبی هم بدین فن زان کشف رست  
 چو خر غافل نباید شد در این راه  
 کز این غفلت دل خر خورد روباه  
 بهار بر عذر آن زاهد کنی پشت  
 که راسوی امین را بیگنه کشت  
 حساب نسیه های کز میندیش  
 چو زان حلوائ نقد آن مرد درویش  
 مزن بی پیش بینی بر کس انگشت  
 چنان کان نرکبو تر ماده را کشت  
 بهشیاری رهان خود را از این غار  
 چو موش آن گربه را از دام تیمار:

برون پر تا نفر سائی دراین بند  
 چو مرغ قبره زاین قبه چند  
 بصدق ایمن توانی شد ز شمشیر  
 چو آن زاهد شغال از خشم آن شیر  
 تو نیکی کن مترس از خصم خونخوار  
 بنیکی برد جان سیاح از آن مار  
 بقدر مرد شد روزی نهاده  
 ز بزرگان بچه تا شاهزاده  
 بخونخواری مکن چنگال را تیز  
 کزین بی بچه گشت آن شیر خو نریز

„მოუოლა ქილილა და დამანადან ორმოცი იგავიხა ორმოცი ნართაულლით<sup>131</sup>“

ბოზორგამიდი ვარდის ფურცელივით გადაიშალა,  
 ორმოცი იგავი მოუყუა ორმოცი ნართაულლით.

[1] უპირველესად უთხრა: შენსავე თავს დააბრალებ გაუფრთხილებლობა.  
 [და არ მოგივიდეს ისე], როგორც შუთურბასს მოუვიდა იმ შემცდარ-  
 ლომისაგან.

[2] ენებები დაიოკე, მისგან სიყეთეს<sup>132</sup> ვერ ნახავ,  
 რადგან მაიმუნისგან ხურო არ დადგება.

[3] გაქნილობით ის შეგრჩება ხელში,  
 რაც იმ გაფხრეწილ დოლისგან შერჩა საკმელად<sup>133</sup> მელას.

[4] თუ გინდა, რომ ჰირი არ მოიმატო, ისე ნუ მოიქცევი,  
 როგორც მომპირნე განდევილი მოიქცა.

[5] კაცის სახლში ნუ გატეხავ პირობას<sup>133</sup>,  
 თორემ [ასეთი საქმე] იმას გიზამს, რაც ყუაემა გველს უქნა.

[6] ცბიერებით ის მოგივია,  
 რაც ყანჩას მოუვიდა კიბოს ჰანგისაგან.

[7] ანგარებას ნუ გაეკიდები და ის გახსოვდეს,  
 რაც ანგარ ლომს უქნა კურდღელმა.

<sup>131</sup> გვ. 406—410. خسرو و شیرین

<sup>132</sup> ბაქოს გამოცემაშია: یاری. خسرو و شیرین. نظامی گنجوی, خسرو و شیرین, თბ. 1960. 701. შემდეგში: გვ. 701, 1960. خسرو و شیرین

<sup>133</sup> რა პირობის გატეხვაზეა ლაპარაკი? არაბულსა და სპარსულ ვერსიებში არავითარი პირობა არაა. პირობა არის ამ არაკის შიდა არაკში, სადაც ყანჩა კიბოს ატყუებს და კიდევაც დაისწება კიბოს მიერ, მაგრამ ამ იგავს მერე ეხება ნიშანი.

- [8] შეიძლება თავის მომკვდარუნებით გადარჩე,  
როგორც ის ბებერი თევზი ბადის ხიფათს ვალაურჩა.
- [9] ტურა, მგელი და ყვავი ასე მოიქცნენ  
[და] აქლემს თავისი ნებით გააწირეინეს თავი.
- [10] შურისგებით აღტყინებული შეიძლება დაუქვერ მტერს  
ისე, როგორც ის თითვეი — ზღვის ტალღებს.
- [11] ბებერი დაღუპა თავისმა ენამ,  
ასე მოუვიდა კუს ბატებთან.
- [12] უღირსებთან საქმის დაქერით ის მოგივა,  
რაც იმ გულუბრყვილო ფრინველს დაემართა მამულებისაგან.
- [13] ეშმაკობით ვერ შევამ სხვის ქონებას,  
როგორც ვერაგმა ვაქარმა გულუბრყვილოს ქონება ვერ ქამა.
- [14] როცა ცოდნით ხრეებს კარს უღებ,  
ისე წააგებ თავს, როგორც ბაყაყი, გველის მოკვლა რომ უნდოდა..
- [15] ეშმაკობას ანებე თავი, ნუ გაიყარებ გულში ეშმაკობას, —  
თავეი რეინას ვერ შევამს და ქორი ბაეშეს ვერ მოიტაცებს.
- [16] როცა ეშმაკობით მოხატულ ჩადრს მოიხურავ,  
იმ მხატვარივით შენვე დასწეავ იმ ჩადრს.
- [17] სხეულს მცოდნე კურნავს,  
უეიცის ხელში წაშალი შხამად იქცევა<sup>134</sup>.
- [18] ცოდნით დაუქვრები ხიფათს,  
როგორც ის ლამაზი ფრინველი დაუქვრა ბადეს<sup>135</sup>.
- [19] ნუ იქნები თავხედი და ერთგულება ისწავლე  
ბადის გამჭრელი თავისაგან და ყვავისაგან, რომელმაც პირში  
აყვანილი გააფრინა იგი.
- [20] სხეას უსამართლოებით ერთი კაკალიც არ წაართვა,  
რადგან თავგმა განდევნის ქერი მოსტაცა და ოქროთი ზღო.

134 ამის შემდეგ ბაქოს გამოცემაში იკითხება (გვ. 704) ერთი ბაითი, რომელიც მრავალ ხელნაწერს დაუთავს: **زین جو زآن پدید آن پرسازن** — „ივადმყოფობისაგან ცოდნით მორჩება სხეული, როგორც ის ლეთისნიერი ქალი იმ ფლიდი ექიმისაგან“. ეფიქრობთ, საეკვოა, ეს ბაითი ნიზამის ეკუთვნოდეს. ნიზამი თითო ეპიზოდს ყოველთვის თითო ბაითით გადმოგვცემს და არც აქ დაუშვებდა გამონაკლისს. მით უფრო, წინა ბაითში იგივე აზრი უკვე გადმოცემულია.

135 რაა ეს ლამაზი ფრინველი? ჩვენთვის ცნობილ ვერსიებში მტრედია. აქ ერთი ამბავის ორი ეპიზოდია ცალ-ცალკე. შეიძლება იგავი იყო გახლეჩილი ამ ნართაულებების წყაროში.

- [21] ნუ იქნები ნამეტანი, როგორც საბელის გამწვევი შგელი, რადგან განგებამ უცაბედად იცის ისრის სროლა.
- [22] ნუ ხარ გაუმაძღარი, [ამ ვნების] მატარებელს არაფერი აქვს საერთო ჰეუსთან, როგორც ყვავებს ბუებთან.
- [23] მტერი სუსტად არ ჩათვალო შენი სიბეციით, შეხედე, სპილოებს როგორ აჯობა კურდღელმა.
- [24] გაუმაძღრობასა და თვალმაქცობას თავი ანებე, მემარხულე კატამ, ნახე, როგორ იშოვა საზრდო?
- [25] ვინც იმ კატის გაბრწყვებულებით იქნება, მას ცხვირი ძალად მოეჩვენება.
- [26] განსაძღელში ერთგულებას მიმართე, როგორც ეს ქურდის შიშით მოუვიდა ქალს ქმართან.
- [27] შენს მტრებს თუ ერთმანეთთან უთანხმოება აქვთ, გადარჩები, როგორც ის ღვთისმოსავი ქურდსა და ეშმაკს გადურჩა.
- [28] გულის თვალები ფიცრით კი არ უნდა ამოიქედო, იმ ხუროს მსგავსად, რომელმაც ცოლის ტუუილები დაიჭერა<sup>136</sup>.
- [29] თუ ცუდი არ ხარ, ცუდს არ უმეგობრო, როგორც ის თავის ჯილაგის ადამიანი.
- [30] ხიფათს შეიძლება აქვთ გამოენაპირო, მაიმუნი ასე დაუსხლტდა კუს.
- [31] ვიროვით რეგვენი კი არ უნდა იყო ამ ქვეყნად, მისი სირეგენით ვირის გული მელამ შეკამა.
- [32] კარგია, თუ განდევნილივით არ დაინანებ, რომელმაც სინდითფალა მოკლა.
- [33] რაც არა გავს, მას ნუ ითვლი როგორც იმ ჰალეაზე (ითვალა) გლახამ<sup>137</sup>.
- [34] წინდაუხედაობით კაცს ნუ მოღებ შარს, როგორც მშაღმა მტრედმა დედალი მტრედი მოკლა<sup>138</sup>.

136 დასთვარდის ასეთი დასათარება აქვს: زن و نجار و پدر زن — ქალი, ხურო და მამათილი. ეს უკანასკნელი იგავში არ გვხვდება.

137 დასთვარდის გამოცემაში ჯერ გლახის იგავია ნახსენები, მერე განდევნილია. ჩანს, მას აქ მოქმედების თანმიმდევრობის პრინციპი ჰქონდა და არა ჩარჩოვანი თხრობისა, იგავები ბოლოშიც არის სხვადასხვა ვარიანტში სხვადასხვანაირად დალაგებული, მაგრამ ეს უკვე კარების აღრევის შედეგია.

138 ეს ბათი არ იქითება ბაქოს გამოცემაში (გვ. 707), თუმცა მის რელატიურთა ხელში მყოფ ხუთ ნუსხაში იგი არის. მაგრამ ეს იგავი ქილილა და დამანასეული რომაა, ექვი არაა. ვფიქრობთ, იგი „სოსროე ო შირინის“ ტექსტში უნდა დარჩენილიყო.

- [35] გონიერებით იხსენი თავი ამ გამოქვაბულიდან, როგორც თავგმა ის კატა [იხსნა] ძნელი მახსივან.
- [36] გაფრინდი, რათა ბანდში არ მოხედე, როგორც ფრინველი ყობრა [გაფრინდა] ამ გუმბათიდან.
- [37] სიმართლით ხმალსაც გადაურჩები უენებელი, როგორც ის განდევილი ტურა იმ ღომის რისხვას [გადაურჩა].
- [38] შენ სიკეთე ქენი და სისხლისმსმელი მტრისაც ნუ გეშინია, სიკეთით იხსნა თავი მოგზაურმა იმ გველისაგან.
- [39] თავისი ღირსების-და მიხედვით ეძლევა კაცს ჭილღო ვაჟრის შვილიდან მოყოლებული უფლისწულამდე.
- [40] პირისხლიანი ნუ ხარ და ქანგს ნუ გამახუე სააკაიოდ, [თორემ] ასეთი საქმიანობის გამო შვილი დაკარგა ღომმა“.

უპირველეს ყოვლისა თვალში საცემია ის, რომ ნიზამის პოემაში ორმოცი იგავია დასახელებული, ხოლო იბნ ალ-მუყაფას და ნასრ ალ-ლაჰის ვერსიებში მეტი იგავი იკითხება. ნიზამის პოემაში, კერძოდ, არ გვხვდება არაბული ვერსის შემდეგი იგავები (ე. კრაჩკოვსკის მიერ მიღებული რედაქციის მიხედვით): 1. ტილისა და რწყილის იგავი — „მალრანი, მგელი, მელი და აქლემის“ წინ. 2. შიშველი ქალების იგავი — „ორი მკურნალის“ შემდეგ. 3. „ბებერი გველი და მყვარი“, 4. სტუმრის ეპიზოდი თავის თავგადასავალში (აქ ქმარი უყვება ხარბი მგლის იგავს ცოლს. „ხარბი მგელი“ კი იკითხება ნიზამის პოემაში, მაგრამ იგავი, რომელშიც იგია ჩართული, არ ჩანს. საერთოდ ეს იგავები ჭილყავისა და თავის კარშია ვაერთიანებული, რაც აქვს ნიზამის და შეიძლება საჭიროდ არ ცნო მათი შუალედი, ჯაჟვის გადმოცემა). 5. „მოყირკებული ხელოსანი“. 6. „მალრანი და კაკაბი“. 7. „ილადის იგავი“ (ინდოეთის ხელმწიფე და ვერაგი ბრაჰმანები“). ამ კარიდან მხოლოდ ჩართული იგავი მოაქვს— „მტრედები და მარცვალი“ (ამ არაკს „ინდოეთის ხელმწიფე და ვერაგი ბრაჰმანების“ შინაარსი იწვევს).

აქ ჩამოთვლილ იგავთაგან პირველი ორი ნასრ ალ-ლაჰის ვერსიაშიც არ გვხვდება, ასე რომ ნიზამის ვერსია იგავთა რაოდენობაში არც იბნ ალ-მუყაფას ვერსიას უჭერს მხარს და არც ნასრ ალ-ლაჰისას.

ისმის კითხვა: რა წყარო გამოიყენა ნიზამიმ „ქილილა და დამანას“ იგავთა გალექსვის დროს? სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, უნდა გაირკვეს: ეს იგავები მან ჩაუმატა თავად ხოსროვის ამბავში, თუ პოემის რომელსამე წყაროს გადმოჰყვა. შეიძლება აქ მნიშვნელობა ჰქონდეს იგავთა დალაგებასაც. არაბული ვერსიის მსგავსად

ნიზამის ორი იგავისთვის ადგილი შეცვლილი აქვს („მტრედები და მარცვალი“ და „ოთხი ამხანაგი“ მას წინა აქვს გადმოტანილი), მაგრამ ეს მსგავსება ვერ დაასაბუთებს იმას, რომ ნიზამის ვერსია არაბულ წყაროს ეყრდნობა, რადგან იგავეები შეიძლება სპარსულ კრებულშიც ყოფილიყო არეული.

არაბულ წყაროსგან მომდინარეობაზე შეიძლება ისიც უთითებდეს, რომ აქ ბოზორგომიდი სხვა არაბულ მოვლენასაც გაგვაყენობს: ლაპარაკობს მოციქულის (მუჰამადის) გამოჩენაზე. ამ დროს, ხოსროვის მეფობის (590—628) ბოლო წლებში მართლაც იშვა და სწრაფად აღზევდა მუჰამადის (570—632) მოძღვრება — ისლამი.

ნასრ ალ-ლაჰის ვერსიის ნიზამის წყაროდ მისაჩნევად თითქოს ერთგვარი მნიშვნელობა აქვს ზოგ დეტალს. არაბულ ვერსიებში ხელმწიფის და ქაროს იგავში ქართული ქაროს შესატყვისად *افز*, იკითხება<sup>139</sup>, ნასრ ალ-ლაჰისაში კი — *قبر* ხოლო. ნიზამის პოემაში ეს უქანსკნელი გვხვდება (ყოველ შემთხვევაში *افز* ვარიანტს ხელნაწერები არ ადასტურებენ). მაგრამ ესეც შეიძლება არაფერს ამბობდეს, რადგან ხელნაწერთა *قبر* ასეც შეიძლება გახმოვანებულიყო და ისეც. სპარსულობას თუ არაბულობას აქ საფუძველი არა აქვს, რადგან ეს სიტყვა სპარსულისთვისაც უცნობია და არაბულისთვისაც. საქმეს ის ართულებს, რომ არაბული ვერსიის გვიანდელი ხელნაწერებია მოღწეული და ისინი ერთმანეთისაგან ხშირად ძალიან განსხვავდებიან. ხოლო მეორე მხრივ ნასრ ალ-ლაჰის ვერსია ბევრად არ განსხვავდება მისი დედნისაგან (ორი ამბავი არ იკითხება არაბულისა მასში, როგორც ადენიშნეთ), ამიტომაც კირს ნიზამის ვერსიის წყაროდ მათგან რომელიმეს მიჩნევა. ნიზამიმ თავისი პოემა 1186 წ. დაამთავრა. ამ დროისათვის 1144 წ. დაწერილი სპარსული თხზულება, არაა მოულოდნელი, სცნობდა ნიზამის, მაგრამ დაბეჭდვით მაინც რამეს თქმაცნელია.

შეიძლება საკითხი სხვანაირადაც დაისვას: იქნებ იყო ნიზამის წყაროში ეს იგავეები. ამით იბნ ალ-მუყაფასთან თუ ნასრ ალ-ლაჰთან მისი დაკავშირების საკითხი არ იხსნება, რადგან ნიზამი იქნებ გვიანდელ ქრონიკას იყენებდა და მისი სათანადო ადგილში იქნება უკვე იყო ასე ჭარბად არეკლილი ერთი ან მეორე ვერსია. შეიძლება სხვაც ვიფიქროთ: იქნება ამ წყაროში გაკვრით ყოფილიყო ნახსენები: „ქილილა და დამანათი“ დამოძღვრა ხოსროვი ბოზორგამიდამო, ხოლო ნიზამის იბნ ალ-მუყაფას ან ნასრ ალ-ლაჰის ვე-

<sup>139</sup> გვ. 187, *كيلة و امانة*



რსია მოემარჯვებინოს და თავად გადმოეტანოს მათგან იგავეები. შეიძლება აქ რამეს გვეუბნებოდეს მაგალითი ამ პოემის სხვა ადგილიდან: ფირდოუსის „შაჰ-ნამე“-ს ზოსროვის ეპიზოდში შეიდ მელიდიას ამღერებს ზოსროვი ბარბიდს, ნიზამისთან კი — ოცდაათს. იქნებ დანარჩენი 23 მელოდია („განჯ“) ნიზამის თავისთავად წამოეღოს სხვა წყაროდან. აქაც, ვიმეორებთ, იქნებ ნიზამი გაი-სარჯა „ქილილას“ იგავეების უხვად მოტანის მიზნით.

არ არის გამორიცხული, რომ ნიზამის ვერსიაში გვერდი ავლილი ჰქონდეს როგორც არაბულ, ისე სპარსულ ვერსიას და მისი წყარო, მუსლიმური ქრონიკა, „ქილილა და დამანას“ უშუალოდ ფალაურ ვერსიას გადმოგვცემდეს. პოემის ამ ნაწილში ბოზორგომიდი სხვა რამესაც უყვება ზოსროვს. მას შირინმა თხოვა ზოსროვისათვის განათლება მიეცა. სასახლის ბრძენი, ბუნებრივია, იმ დროის მეცნიერებისა და ლიტერატურის მიღწევებზე წაუყითხავდა და ლექციებს თავის მეფეს. და მართლაც, აქ გვხვდება ფილოსოფიის, მეცნიერებათა სხვადასხვა დარგისა და მორალის შესახებ მსჯელობანი, მოცემულია პირველი ბიძგის, ცარგვალის, ვარსკვლავების, სააქაო და საიქიო ცხოვრების, სულის მარადისობის და მისთანათა რაობის გასარკვევი მოსაზრებანი, დაფუძნებული იმ დროის მეცნიერების დონეზე. სწორედ აქაა დარიგება „ქილილა და დამანას“ კოდექსებით. ვფიქრობთ, სასახლის სწავლული ასახავს მისი დროის ცოდნას და ემყარება მის თანამედროვე ბიბლიოთეკას. ყველა აქ წამოჭრილი საკითხი, ალბათ გარკვეულ მეცნიერულ შრომებსა და წიგნებს გულისხმობს, რომელიც იმ დროისათვის ალბათ არსებობდა, ხოლო ამ საკითხთა უმეტესობა ისეთ მეცნიერულ დონეზე დგას<sup>140</sup>, რომ შეუძლებელია მხოლოდ ისლამური ცოდნის ნაყოფი იყოს. იგი უთუოდ დიდი პართული კულტურის ნაშთი ჩანს. ამდენად, ვიმეორებთ, შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ „ქილილა და დამანას“ იგავეების უკან უშუალოდ ფალაურიდან მომდინარე, ახალ სპარსულ ენაზე არსებული წყარო იდგეს. რაც შეეხება იგაეთა რაოდენობას ნიზამის ვერსიაში. მართალია, პოემის ამ თავის სათაურში ბევრ ზელნაწერს (პარიზის,

<sup>140</sup> ამის შესახებ იხ. ჩენი სტატია „ზოგი. რამ ნიზამის „ზოსროვ-შირინიანის“ შესახებ“. ნიზამი განჯელი, ზოსროვი და შირინი, თარგმნილი სპარსულიდან ამბაკო ჰელიძის მიერ. თბილისი, 1962, გვ. 16—17. შეიძლება აქ საქმე გვქონდეს კვალთან იმ ცოდნისა, რომელსაც ამ ბოლო ხანებში მეცნიერები ძველ ხანებში ვარაუდობენ. ამის შესახებ იხ. ალექსანდრე გორბოვსკი, ისტორიის ძველთაძველი გამოცანები და ახალი კითხვები. ცისკარი, 1963, № 12, გვ. 115. მისივე, წარსულის საკვირველი სიგნალები, ცისკარი, 1964, № 5, გვ. 127.

ერმიტაჟის, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის, ბაქოს) იგავთა რაოდენობა საერთოდ არა აქვს დასახელებული, მაგრამ თავის პირველივე ბათის მეორე მისრაში ყველა ხელნაწერი კითხულობს:

چهل قصه چهل نکتہ فرو گفت — „ორმოცი იგავი მოუყვა ორმოცი ნართაულით“<sup>141</sup>. როგორც ვნახეთ, ნიზამის ვერსიაში ორმოცი იგავი გვაქვს. არაბული თუ სპარსული ვერსიის ზოგი იგავი, ვიმეორებთ, არ გვხვდება, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს არსებულიყოს ორმოციგავიანი „ქილილა და დამანა“. როგორც ვნახეთ, ზოგჯერ გამორტოვებულია ქარის მთავარი ამბავი, ხოლო ჩართული იგავი იკითხება. ამ უკანასკნელის არსებობას კი პირველი განაპირობებს და თუ დეფექტური არ იქნებოდა, ჩვეულებრივ ვერსიაში შეუძლებელი იყო, ასეთ ამკარა შეუსაბამობას შერიგებოდნენ.

„ქილილა და დამანა“ სპარსულად გაულექსავს ბ ა ჰ ა ა დ დ ინ ა ჰ მ ა დ ი ბ ნ მ უ ჰ ა მ ა დ ტ უ ს ე ლ ს, რომელიც „ყ ა ნ ე“-ის ფსევდონიმით წერდა.

რადგანაც ყანე'ის „ქილილა და დამანას“ სპეციალურ ლიტერატურაში მხოლოდ გაცერით შეხებიან, ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს, საგანგებოდ შევჩერდეთ მასზე<sup>142</sup>.

ამ ძეგლს საყურადღებო ცნობები დაუტყავს მისი ავტორის ვინაობის შესახებ. ყანე'ი არაერთგზის ჩერდება თავისთავზე შესავალის საგანგებო თავში در شکت خوار ز شاه گوید (ხვარაზმშას განადგურების შესახებ“) პოეტი გვაუწყებს: მონღოლებისგან ქვეყანა შფოთითა და ომით აივსო. ხორასანი იავარყოფილ იქნა. მონღოლთა ცნობილმა ლაშქარმა ხვარაზმშა დაამარცხა. ეს უკანასკნელი ჭერ ერაცში გაემართა, შერე იქედან მაზანდარანის (ქასპიის) ზღვას მიაშურა. მაშინ ხორასანში ვიყავი. იმ მხარეში ჩემისთანა პოეტი არავინ იყო. ჩინებულად ვცხოვრობდი. ხვარაზმშა რომ გაიქცა, ავდექი და ინდოეთს მივაშურე, იქედან გემით ადანს გავემართე, ადანიდან მედინაში მოვხვდი, ხოლო მედინადან — მექაში. ქაბაში ვილოცე და მალე ბაღდადში გადავედი, ბაღდადიდან კი — რუმში. აქ შეფე ქაიყოზადის ხილვით გავიხარე. იგი ქვეყნის მპყრობელ ქაუსის პაპა იყო. მისი ხოტბის წერით სურვილს ვეწიე. მთელს რუმში სახელი მოვიხვეჭე. ქაიყოზადმა ბევრი მიბოძა. თით-

<sup>141</sup> გვ. ۷۰۱ ، خسرو و شیرین ، نظامی

<sup>142</sup> მისი ხელნაწერები ცოტაა. ერთი ბრიტანეთის მუზეუმშია (№ 7766. ჩვენ ამით ესარგებლობთ), მეორე მ. ბუქარს ეგულებოდა ირანში. იხ. Catalogue of the Persian Manuscripts in the British Museum by Charles Rieu, II, London. 1881, გვ. 592. შემდეგში: Rieu, გვ. ۲۵۲ II ، سار.

ქოს მკვდარს ხელახლა ჩამედგა სული. დიდებულებსაც ვუყვარ-  
დი, არ მიჰირდა, მონები მყავდა და ფული მქონდა. დღეს კი ქისა  
დამიცალიერდა და მეფე ქაუსის იმედი-ლა დამრჩენია (გვ. 16—17).

ყანე'ი ხორასნელია (წარმოშობით ტუსიდან), ხორეზმ-  
შაპი მუჰამადის (1200—1220), ჯელალ ად-დინის მამის, მონღოლ-  
თა მიერ დამარცხებამდე (1220) ის უკვე სახელმწიფოეკილი პოეტი  
ყოფილა ჩანს, იგი ახლო მდგარა სამეფო კართან, რადგან მონღო-  
ლებისა შეშინებია და ინდოეთში გაქცეულა. ეტყობა პოეტთა მე-  
ფის ტიტული (ملك الشعرا) ამ დროიდანვე ჰქონდა მოპოვებუ-  
ლი. ყანე'ი ინდოეთს გაიქცა 1220 წ. შემდეგ იგი ჩქარა  
გადადის ერთი ადგილიდან მეორეზე (თვითონ უსვამს არაერთგზის  
ხაზს ამ სიჩქარეს). შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1220-ს თუ არა,  
1221 წელს ის უკვე რუმშია სულთან ქაიუობად I-ის (1219—1236)  
კარზე. ყანე'ი თავად გვამცნობს, რომ ქაიუობად I მისი მამლუჰი  
(ხოტბის საგანი) ყოფილა. ქაიუობადს პოეტი დაუფასებია და მის-  
თვის წყალობის კალთა გადაუფარებია. ქაიუობად I-ის შემდეგ  
რუმში ქაიხოსროვ II მეფობდა (1236—1246). ყანე'ის მისი ხოტ-  
ბებიც უწერია. როგორც სხვაგან აცხადებს პოეტი, მას ქაიხოს-  
როვ მეორეც წყალობდა (გვ. 215). „ქილილა და დამანა“ ყანე'ის  
ქაიხოსროვ II-ის მემკვიდრის, იზ ად-დინ ქაუსის მეფობის (1246—  
1283?) დროსა აქვს დაწერილი. ქაუსია პოეტის პატრონი, მისი სა-  
ხელითაა წიგნი დაწერილი და ნაქებია იგი როგორც შესაქვალში,  
ისე თითქმის ყველა კარის ბოლოს დართულ ლირიკულ წიაღსვლე-  
ბსა და წიგნის დასასრულში.

ყანე'ის ბევრი ხოტბა უწერია სელჯუქთა საქებად. „მე მისი  
(ე. ი. ქაუსის) მამისა და პაპის მეხოტბე ვიყავი... ერთი აქლემის  
ტვირთი იქნება, რაც ცოტა ხანში ლექსები მიწერია“ (გვ. 16).  
„რაც მათზე ხოტბა დამიწერია, ოცდაათი ტომი იქნებაო“ (გვ. 115).  
ეს ხოტბები პოეტს ცალკე წიგნად თუ ციკლად ჰქონია გაერთიანე-  
ბული, მას იგი „სელჯუქ-ნამეს“ სახელწოდებით იხსენიებს (აქებს,  
არავის წინაშე არ შერცხვება, ისეთი წიგნიაო, გვ. 16). პოეტი სხვა-  
განაც გვამცნობს, რომ მას უქია სამი მეფე ამ გვარისა (გვ. 186).  
საყურადღებოა სხვა ცნობა: „ორმოცი წელია ამ დინასტიას ვაქე-  
ბო“ (იქვე). თუ ვივარაუდებთ, რომ 1221 წ. მაინც ის რუმში იყ.უ,  
პოემა 1260 წლისთვის გამოდის დაწერილი, როგორც ეს აღნიშნუ-  
ლია ლიტერატურაში<sup>143</sup>.

<sup>143</sup> H. Ethe, Neupersische Literatur. გვ. 327. არ ვიცი, რა წყაროებს  
ყვარდობია აბდ ალ-აჰმ ყარიზი და აბდ ალ-ლანი შირზოევი, რომლებიც ყანე'ის  
პოემას 1257 წლით ათარიღებენ (იხ. Абд у л г а н Я Мирзоев, Сайри та-  
рхихи „Калила ва Димна“. „Шарк,и сурх“, 1949, № 1, გვ. 45).

ყანე'ის წინააღმდეგ რამდენიმე კაცი შეთქმულა და, როგორც ამას თავად გვაცნობებს, მათ იგი თვით სულთანთან დაუბეზლები-ათ. პოეტი ჩივის: „ერთი ჭკუფი აღმიდგა, სულთანს ჩემზე ცუდი უთხრეს. მათი ნათქვამის გამო დამწვარი მაქვს გული... მინდა, აქედან გადავიკარგო. რუმში ღირსეული კაცის ფასი არ იციან. ორი შეილის გარდა ქვეყნად არაფერი მაბადია. ერთი ძე მყავს მორაული საროს მსგავსი, კვეიანი, საზრისიანი და მესაიღუმლე... არ დავრჩები ჩემდათავად აქ. უკან დაბრუნებას კი არ ვაპირებ... ორმოცი წელია ამ დინასტიას ვაქებო“ (გვ. 186). ამ ბოლო ცნობას იგი სხვაგანაც იმეორებს: „სრული ორმოცი წელია სელჯუყების მე-ზობტე ვარო“ (გვ. 212). როგორც წყარო, ყანე'ის „ქილილა და დამანა“ მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ ავტორი ერთგვარ ცნობას გვაწვდის მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებაც („ერთი აქ-ლემის ტვირთი იქნება, რაც ცოტა ხანში ლექსები მიწერია“ (გვ. 16). „ოცდაათი ტომი მექნება სახობტო ლექსებისა“ (გვ. 186), „დაახლოებით სამასი ათასი ბაითი მექნება ნაწერიო“ (გვ. 113). გვაუწყებს ავტორი).

„ყანე'ის „ქილილა და დამანას“ წინ უძღვის მოზრდილი შესავალი, რომელიც რამდენიმე თავად იყოფა და სხვადასხვა საკითხებს შეეხება. აქ პოეტი თავის შეხედულებებს გვიკარნახებს. ხელნაწერში მათ ასეთი სათაური აქვთ:

1. اندر حلم گوید („თვინიერების შესახებ“) — გვ. 2.
2. اندر را ئی گوید („შეხედულების შესახებ“) — გვ. 2.
3. اندر آفر ينش خلق گوید („ხალხის გაჩენის შესახებ“) — გვ. 2.
4. در نیت نبی گوید („მოციქულის შესახებ“) — გვ. 3.
5. در ستایش خرد گوید („გონების საქებრად“) — გვ. 3.
6. اندر و فاداری پادشاهان گوید („მეფეთა პირის გასრულების შესახებ“) — გვ. 4.
7. در حق شناسی گوید („ქეშმარიტის შესაცნობად“) — გვ. 4.
8. در کم آزاری گوید („უწყინარობის შესახებ“) — გვ. 4.
9. در کرم و عطاء پادشاهان گوید („მეფეთა დიდბუნოვანებასა და გულუხვობაზე“) — გვ. 5.
10. در عدل پادشاهان گوید („მეფეთა მართლმსაჯულების შესახებ“) — გვ. 5.
11. در شرم و حیا گوید („კდემამოსილებისა და დარცხენის შესახებ“) — გვ. 5.

12. [در] دلیل خلقی و خوی خوب گوید („ქმნილებათა საფუძველისა და კეთილი ბუნების შესახებ“)—გვ. 6.
13. در ورع و برهیزگاری گوید („ლეთისნიერებისა და ზომიერების დაცვის შესახებ“)—გვ. 6.
14. در راستی و صدق گوید („სამართლიანობისა და გულწრფელობის შესახებ“)—გვ. 6.
15. در هنرمندی گوید („უნარიანობის შესახებ“)—გვ. 7.
16. دلیل خوبی ذات خوبی صورت بود („მშვენიერების-საფუძველი მშვენიერი სახეა“)—გვ. 7.
17. در وصف حال خود گوید („თავის თავის მდგომარეობის შესახებ“)—გვ. 8.
18. در سخن دانی پادشاهان گوید („მეფეებმა რომ ლექსი უნდა იცოდნენ, იმის შესახებ“)—გვ. 8.
19. در علم و دانائی گوید („მეცნიერებისა და ცოდნის შესახებ“)—გვ. 9.
20. در کوچک نوازی گوید („მცირეთა კეთილად მოპყრობის შესახებ“)—გვ. 9.
21. در اصل و نژاد گوید („წარმომავლობისა და მოდგმის შესახებ“)—გვ. 10.
22. در فتوت و مردی گوید („ღიღსულოვნებისა და კაცური კაცობის შესახებ“)—გვ. 10.
23. در سبک روحی گوید („სილალის შესახებ“)—გვ. 10.
24. در سخا و جوانمردی گوید („გულუბნობისა და ჭომაღობის შესახებ“)—გვ. 11.
25. در درستی عهد گوید („პირობის სიწრფელის შესახებ“)—გვ. 12.
26. در ثواب عفو گنه کاری گوید („ცოდნის მიტევების სანაცვლოს შესახებ“)—გვ. 12.
27. در حسن خلق گوید („ქმნილებათა მშვენიერების შესახებ“)—გვ. 13.
28. در دانائی میفرماید („ცოდნის შესახებ“)—გვ. 13.
29. [در خوبی خط] („წერის სიკეთე“)—გვ. 14.
30. حکایت درد داد گستری („ამბავი მართლმსაჯულებაზე“)—გვ. 14.
31. در دلیری گوید („გულოვანების შესახებ“)—გვ. 14.

32. در تعريف پاد شاه وچابک سواری او ( „ქება მეფისა და მისი სანაქებო მხედრული თვისებისა“ )—გვ. 15.

33. خوارزمشاه شکت حکایت ( „ამბავი ხვარაზმშას დამარცხებისა“ )—გვ. 15.

34. حکایت کاوس شاه سلجوق و تعريف او ( „ამბავი მეფე ქაუს სელჯუყისა და მისი შექება“ )—გვ. 16.

35. در مقدمه سبب مطلب کتاب گوید ( „წიგნის საგნის შესახებ თქმული წინასიტყვა“ )—გვ. 19.

ეს შესავალი თავები თავისი ხასიათით თავისთავად დიდაქტიკურია, რამდენადაც მათში სხვადასხვა საკითხია განხილული და მენტორული დამოძღვრის ნიმუშია. მოცემულია როგორც ზოგადი, ისე პრაქტიკული რჩევა-დარიგებანი.

შესავალი ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს. პირველ ნაწილზე უკვე გვქონდა ლაპარაკი, მეორე ნაწილი კი „ქილილა და დამანას“ ტრადიციულ შესავალ თავებს უჭირავს. ყანე'ი იმეორებს ნასრ ალ-ლაჰის, და ამდენად, იბნ ალ-მუყაფას ვერსიითა შესავალ ნაწილს (ეს ნაწილი იწყება ქვეთავში *او تعريف و تعريف شاه سلجوق و تعريف او* ხელნაწერის მე-17 გვერდიდან, ყოველგვარი გამოცალკევების გარეშე) მისდევს იბნ ალ-მუყაფასეულ დალაგებას შესავალი თავებისას, სადაც ანუშირვანის ამბავი ბოზორჯმიძრის მიერ დაწერილი გამოდის. ჩანს, ნასრ ალ-ლაჰის ვერსიის ყანე'ისეული ნუსხა ასე იყო დალაგებული.

წიგნი ყანე'ისაც 14 კარად აქვს დაყოფილი. ხელნაწერში ისინი ასეა დასათაურებული:

1. داستان دهنه و شیر ( „დამანას და ლომის ამბავი“ )—გვ. 39.

2. داستان شیر و پشیمان شدن ز کشتن گاو ( „ლომის ამბავი და ხარის მოკელის გამო სინანული“ )—გვ. 78.

3. داستان کبوتر مطوقه و گذارش آن ( „მტრედი მათუყას ამბავი და მისი თავგადასავალი“ )—გვ. 99.

4. داستان دوستان انبای زمان გვ. 119.

5. داستان کبی و سنگ پشت ( „მაიმუნისა და კუს ამბავი“ )—გვ. 144.

6. حکایت زاهد و رستو ( „განდეგილისა და კვერნის ამბავი“ )—გვ. 153.

7. داستان موش و گربه ( „თაგვისა და კატის ამბავი“ )—გვ. 156.

8. باب ملک و قبره و حکایت آن ( „მეფისა და ყობრას კარის და მათი ამბავი“ )—გვ. 163.

9. داستان شیر و شغال ( „ლომისა და ტურას ამბავი“ )—გვ. 170.

10. حكايت شير و شغال و مرد صياد („ლომის, ტურას და მონადირის ამბავი“) — გვ. 182.

11. حكايت زاهد و مسافر („განდევილისა და მოგზაურის ამბავი“) — გვ. 186.

12. خواب ديدن پاد شاه هند („ინდოეთის მეფის სიზმარი“) — გვ. 190.

13. حكايت مار و بوزينه و بير و چاه و غيره („გველის, მაიმუნის, ბაბრის, კისა და სხვ. ამბავი“) — გვ. 198.

14. داستان پادشاه زاده و ياران („უფლისწულისა და მისი მეგობრების ამბავი“) — გვ. 202.

ყველა კარს წინ უძღვის პატარა შესავალი, ბარაკმანისა და რაის დიალოგი და ბოლოს მოცემულია ერთგვარი დანასკვი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველა კარის ბოლოს მოდის ლირიული წიაღსვლა, სადაც პოეტი ხშირად საყი-ნამეს ქანრს იყენებს. მოითხოვს ღვინოს, მსჭელობს ამქვეყნიურ ვნებებზე და ბოლოს, აქებზ თავის პატრონს, ქაუსს. ამ ლირიულ წიაღსვლას იგი ხან „თახალოსს“ არკმევს, ხან ასე ასათაურებს آغاز سخن („ლექსის—სიტყვის — დასაწყისი“).

ეს წიაღსვლები ექვსიდან თექვსმეტ ბაითამდე მერყეობენ.

კარებში ჩართული იგავეები დასათაურებული არაა და ხელნაწერში არც რაიმე ნიშნითაა გამოყოფილი<sup>145</sup>.

ყანე'ის „ქილილა და დამანას“ ლონდონურ ნუსხაში არ იკითხება ნასრ ალ-ლაჰის ვერსიაში დაცული სამი იგავე: „ქალად ქცეული თავი“, „ბებერი დედაკაცი და მისი მომეკვდავი ქალი“ და „მტრედები და მარცვალი“. ამავე დროს, داستان پيل و چكاو („სპილოს და ტროლოას ამბავი“) ჭაში ჩაეარდნილთა კარშია ჩართული ხელნაწერში (გვ. 211).

ყანე'ის თხზულება გალექსილია (იგი მოთეყარების ზომითაა გაწყობილი). ეს მდგომარეობა იმაზე უთითებს, რომ ძეგლი მესწევია, ხოლო მესწევის თავისი თავისებურებანი გააჩნია, იგი მოითხოვს პოეტური სამყაულების, ფორმისა და ერთგვარად თვით შინაარსის თავისებურებას. ნასრ ალ-ლაჰის ჩუქურთმოვანი პროზის ნიშანიც კი არა აქვს გადმოყოლილი ყანე'ის „ქილილა და დამანას“.

<sup>145</sup> გამონაკლისია ორი იგავე 1. داستان زن بازارگان و طوطي و غلام (ავტორის ცოლის, თუთიყუნის, მონისა და ბალხელების ამბავი) — გვ. 56, و بلخيان („იარ-ე დანეში“: مرزبان (მარზაპანი) და بازارگان (ავტორი)).

2. داستان پيل و چكاو („სპილოს და ტროლოას ამბავი“).

იგი მხოლოდ შინაარსს იღებს წინადადებიდან და მას ლექსავს იმ კანონებით, რაც მესნევის ლექსს მოეთხოვება. ბუნებრივია, ბევრ შინაარსობლივ დეტალს იგი ცვლის, ბევრ ახალ სენტენციას უსადაგებს სიტუაციას, მოტანილს რომელიმე იმ ავტორისაგან თუ სადმე გაგონილს ან წაკითხულს. ყანე'ი პირწმინდად თარგმნის ნასრ ალ-ლაჰის ვერსიის ყველა მნიშვნელოვან დეტალს, თვით შეგონებებს და მცნებებს („სამი რამ არის“, „ოთხი რამეა“ და მისთ.). ზოგჯერ იგი იმეორებს ნასრ ალ-ლაჰის ფრაზებს, როცა ამის შესაძლებლობას მოთუყარების ზომა იძლევა. ხან იგი განმარტავს ნასრ ალ-ლაჰის გამონათქვამს. მაგ.:

ნასრ ალ-ლაჰი: ذكّر ساير „სხვათა მოგონება“. (გვ. 46)

ყანე'ი: سيم ذكّر ساير كه يكرو زگار  
بعاند بدان نام مرد آشكار

„მესამე: სხვათა მოგონება, რადგან ერთხანს დარჩება იმ კაცის სახელი“ (გვ. 25). ნასრ ალ-ლაჰის ამბავს, ყანე'ი უმეტესად გაწელავს ხოლმე.

ყანე'ი თავს არიდებს ნასრ ალ-ლაჰის ვერსიაში ჩართულ არაბულ ლექსებს, სამაგიეროდ გადმოაქვს მისი ზოგი სპარსული ლექსი. მაგრამ გადააქეთებს ხან იმის გამო, რომ ლექსის ზომა მოითხოვს ამას, ხან სხვა მოსაზრებებით. მრავალთაგან ორ მაგალითს მოვიტანთ:

ნასრ ალ-ლაჰი: گر دسته گل نيايد از ما  
هم هيمة ديك را بشايم

„თუ ჩვენგან ვარდის კონა არ გამოვა,  
ქვაბის [თვის შესაკეთ] შეშად ეეგებით“ (გვ. 69).

ყანე'ი: اگر دسته گل نيايد ز بيد

ز هيزم نشايد بريندن اميد

„თუ ტირიფისგან ვარდის კონა არ გამოვა,  
[მაშინ] შეშის იმედი [შინს] არ უნდა გადავიწყვიტოთ“ (გვ. 39).

ნასრ ალ-ლაჰი: هر كه تيغ ستم كشد بيرون

فلکش هم بدان بريزد خون

„ვინც მტარვალობის მახელს ამოიწვადებს,  
ზეცა მის სისხლს იმავე მახელით დაღვრის“ (გვ. 81).

ყანე'ი: كه تيغ ستم هر كه آرد برون

ز ناگه برآنش بريزد خون

„მტარვალობის მახელს ვინც ამოიწვადებს,  
მის სისხლს იმავე მახელით დაღვრიან“ (გვ. 49).



ყანე'ი ზოგჯერ იმასაც გვანიშნებს, რომ ასეთი ადგილები სხვი-  
სია. მაგ., ნასრ ალ-ლაჰის ვერსიაში მოტანილ ლექსს:

گر زبان تو رازدارستی  
تیغ را با سرت چه کارستی  
„თუ შენი ენა საიდუმლოს შემნახელია,  
მახვილს რა ესაქმება შენთან“ (გვ. 138)

ყანე'ი ასე გვაწვდის:

چه خوش گفت گویندهٔ کاردان  
که دایم بود بیم سردر زبان  
اگر ز آنک باشد زبان رازدار  
ندارد سر مرد با تیغ کار  
„რა კარგად თქვა მცოდნე მთქმელმა:  
თავს ყოველთვის ენის გამო ეშინია.  
ხოლო თუ ენა საიდუმლოს შემნახელია,  
კაცის თავს მახვილთან არა ესაქმებაო“ (გვ. 89).

ყანე'ის ლექსს ფირდოუსის გავლენა ეტყობა. იგი კიდევაც ხში-  
რად ახსენებს თავის დიდ თანამემამულეს. სესხულობს მისგან სენ-  
ტენციებს. აი, ერთი მათგანი:

درختی که تلخ است اورا سرشت  
گرش در نشانی بی‌باغ بهشت  
بکوشی و اورا بهنگام آب  
به‌بیخ انگبین ریزی و نوش و ناب  
سرانجام گوهر بکار آورد  
ترا میوه تلخ بار آورد

„ზე რომლის ქიმი მწარეა,  
ელემის ბაღში რომ დარგო,  
ცდა არ დაეყო და წყლის ნაკელად მას  
ფესვებში თაფლი და ტყბილი უსხა,  
ბოლოს [შაინც თავის] ქილაგს გამოაჩენს,  
[და] მწარე ნაყოფს მოისხამს“ (გვ. 104).

სხვაგან იტყვის: „რა კარგად თქვა ფირდოუსიმ“—გვ. 152). ფირდოუსის ყანე'ი ხშირად მიმართავს  
(იხ. გვ. 75, 142, 189), ახსენებს „შაჰ-ნამეს“ (გვ. 34) და მის გმირებს:  
საამს (გვ. 190), ზაალს (გვ. 136), როსტომს (გვ. 190), ისფანდიარს  
(გვ. 144), ფარამორზს (გვ. 136). ყანე'ი ახსენებს დაყიყისაც. აქ ერთი  
მოვლენა გვინდა აღვნიშნოთ. ყანე'ი წერს:

دقیقی در آن نظم شه نامه گفت  
 که گفتار آن بود برائی جفت  
 هر آنگه که تو تشنه گردی بخون  
 بیالای آن دشنه آبگون  
 زمانه بخون تو تشنه شود  
 براندام تو موی دشنه شود

„დაუიყიმ ვალექსილ „შაჰ-ნამეში“ თქვა  
 (მისი ნათქვამი გზიანი იყო):  
 ეოველთვის, როცა შენ სისხლი მოგწყურდებდა,  
 იძრობ იმ ელვარე დაშნას,  
 საწყუთროც მოიწყურებს შენს სისხლს,  
 შენს სხეულში თმა დაშნად იქცევა“ (გვ. 172).

მოტანილი ადგილი ღღეს ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ შექვეთ<sup>146</sup>  
 და ამ თვალსაზრისით ყანე'ის „ქილილა და დამანა“, რომელიც თექვს-  
 მეტი წლით აღრეა დაწერილი, ვიდრე „შაჰ-ნამეს“ უძველესი ხელნა-  
 წერი გადაუნუსხავთ (ბრიტ. მუზ.) და 1559 წ. 31 აგვისტოსაა გადაწე-  
 რილი, გარკვეული მნიშვნელობის მქონეა. ზოგი სპარსული ნუსხა  
 (ლენინგრ. C 822; C 1654) ბოლო ორ ბაითს აქ არ კითხულობს და  
 იქნება ეს შემთხვევითი მოვლენა არ იყოს. თავისთავად ისიც საინტე-  
 რესოა, რომ თითქმის ყველა აკადემიური გამოცემა კითხულობს:  
 (بیالودست და بیالودات: ვარიანტები: این خنجر آبگون).

როგორც ცნობილია, ნასრ ალ-ლაჰის ვერსიაში ჩართული ლექსე-  
 ბი სხვისია<sup>147</sup>. ხასრ ალ-ლაჰი თითქმის არ იძლევა მითითებას მათ წარ-  
 მომავლობაზე. მაგრამ სპარსული და არაბული პოეზიის კარგ მცოდ-  
 ნეს არ გაუჭირდება იცნოს ბევრი მათგანი. ასეთი იყო ალბათ ყანე'იც.  
 ნასრ ალ-ლაჰის ვერსიაში გადმოცემული სენტენცია მას თუ რომე-  
 ლიმე ცნობილ მწერალთან ეგულება, მაშინ ამ უკანასკნელზე უთი-  
 თებს, მისამართს გვაძლევს.

ნასრ ალ-ლაჰი წერს:

علما یاد کرده اند که گویند از اهل فسق و فجور احتراز باید کرد

„ბრძენთ უთქვამთ: მთქმელი გარყვნილ და ბიწიერ ხალხს უნდა  
 უფრთხოდესო“ (გვ. 119). ყანე'ი ასე გადმოგვცემს ამავე აზრს:

شاهنامه، ۱: ۵۰۳. გვ. شاهنامه فردوسی، جلد دوم تحت نظر ۱۴۶

۱. ۱. برتلس، مسكو، ۱۹۶۲، ۲۳۷. Абулқосими Фирдавси, — гв. Шах-нома, ҷилди II, Ба ҳол таъйир қумандагон: Камол Аҷиби, Зоҳирр Аҳрорӣ, Баҳром Сирӯс. Душанбе, 1964, гв. 291.

147 შ. შინოვის აზრით კი ზოგი არაბული თუ სპარსული ლექსი აქ თავად ნასრ

ალ-ლაჰს ეკუთვნის. იხ. გვ. 6 დანე, و ترجمه كليله

نگر تا چه خوش گفت دانای روم  
 که نیکو نیت بود و نیکو رسوم  
 که کم باشی باهل فتق و فجور  
 پرهیز از ایشان بنزدیک و دور

„შეხე, რა კარგად თქვა რუმის ბრძენმა, როგორც კეთილშობილი გონებისა და წესისა იყო. გარყენილ და ბიწიერ ხალხთან ნუ იქნები, ნუ დაუდგები მათ ნურც ახლოს, ნურმც შორიდან“ (გვ. 27).

ამ რომ დანაი ს-ს ყანე'ი სხვაგანაც ახსენებს (გვ. 104). ვინაა იგი? ასეთი ეპითეტით სპარსულ ლიტერატურაში ბერძენი ფილოსოფოსი პლატონია ცნობილი, მაგრამ, რა თქმა უნდა, გულუბრყვილობა იქნებოდა ყანე'ისთვის აქ მითითების სიზუსტე მოგვეთხოვა.

ყანე'ის „ქილილა და დამანა“ ინტერესს იწვევს ნასრ ალ-ლაჰის ვერსიის ზოგი ადგილის თავისებურად წაკითხვით. ხოლო, როგორც ცნობილია, ნასრ ალ-ლაჰის „ქილილა და დამანას“ ტექსტი დადგენილი არაა. მაგალითად, შუთურბა არაბულში შატრაბა ფორმით ხმოვნდება, მინოვის მიერ რედაქტირებულ ნასრ ალ-ლაჰისეულ ვერსიაში შანზაბა (شنزبه) იკითხება, ხოლო ყანე'ის თხზულების ლონდონურ ხელნაწერში შირბა (შირ ბან) გვხვდება (გვ. 34 და შემდეგ).

ნასრ ალ-ლაჰის თხზულების გამოცემებში გახარებული დამანა ლომს შუთურბას წინააღმდეგ რომ განაწყობს, ამბობს: „შვებამ მიჩვენა პირიო“ (გვ. 111 فرای... روی نمود). ყანე'ის ვერსიაში فرای-ის ნაცვლად فرای იკითხება: بدو گفت دمنه که از گاو و شیر فرای بدید آید

„მას უთხრა დამანამ: ხარსა და ლომისგან განშორება გამოჩნდება ახლა“ (გვ. 73).

ნასრ ალ-ლაჰი: دو نخچیر („ორი ნაღირი“. ყარბის რედაქცია, გვ. 75; მინოვისა — გვ. 75).

ყანე'ი: دو گوسفند („ორი ცხვარი“, გვ. 44).

ყანე'ის აქვს ტენდენცია (თუ ეს მის ხელთ არსებული ნასრ ალ-ლაჰის სპარსული ნუსხიდან არ მოდის) თითქმის ყველა ამბავს რომელიმე გეოგრაფიული პუნქტი მიუჩინოს, რაც ჩვენთვის ცნობილი ნასრ ალ-ლაჰის ვერსიის გამოცემებს არ ახასიათებს. ასე, მაგალითად, „ბაზიერი და ზორაყების“ მოქმედება მაზანდარანში ხდება (გვ. 96), „მაიმუნი და მხერხავისა“ — რუმში (გვ. 35), „დიდეჰარის ცოლისა და ქურდისა“ — ყაზვინში (გვ. 133), „განშორებულის,

დევის და მპარაეისა“ — ინდოეთში (გვ. 134), „ორი მკურნალისა“ — შირაზში (გვ. 92) და ა. შ.

დაბოლოს, ხელნაწერის დეფექტების შესახებ. გადამწერს ზოგი ადგილი ვერ ამოუკითხავს და მისრებში რამდენიმეჯერ მთელი ფრაზები გამოუტოვებია (მაგ., გვ. 135). 155 გვერდზე დაახლოებით ხუთი ბაითი გამოორჩენია გადამწერს. ასევე აკლია ხელნაწერს რამდენიმე ბაითი, სადაც მათუყა ეხეწება თავს, ჭერ მისი მეგობრები იხსნას (გვ. 102). „გველის, მაიმუნის, ბაბრის, ჭისა და სხვ. ამბავში“ აკლია რამდენიმე ეპიზოდი, სადაც კაცი ანთავისუფლებს ქაში ჩავარდნილებს. ვიდრე მეფის სასახლის ამბებამდე (გვ. 201), იგი ჩამატებულია სხვაგან (გვ. 208). ასევე არეულია „სპილოს და ტოროლას ამბავი“. იგი შეწყვეტილია და გაგრძელება 209 გვერდზე მოდის და სხვ.

ფალაურით დაწყებული ამ კრებულის ყველა თარგმანსა თუ ვერსიას „ქილილა და დამანა“ ერქვა. ასე ეწოდება არაბულ და სირიულ ვერსიებს, ასე იხსენიებენ რუდაქის პოემას პირველწყაროები, შემდეგი სპარსული თარგმანები ნასრ აღ-ლაჰისა და ყანე'ისა ასეთი სახელწოდებითაა ცნობილი. ჩანს, ქართულადაც მას „ქილილა-დიმნას“ უწოდებდნენ. XV საუკუნეში ეს ტრადიცია დაარღვია მოლა ქამალ აღ-დინ ჰოსეინ იბნ ალი ვა'ეზ ქაშეფი ბეიჰაყელმა (გარდ. 1504 წ.), რომელმაც ბაჰრამ-შაჰისეული „ქილილა და დამანა“ გადააკეთა და „ანვარ-ე სოჰაილი“ უწოდა<sup>148</sup>.

გარდა ქაშეფის ვერსიისა ყველა დანარჩენი თარგმნილი იყო სხვა ძეგლიდან და ამდენად მათ შორის დიდი განსხვავება არ ყოფილა. ქაშეფის ვერსია კი ყველა დანარჩენისგან განსხვავდება, ის თარგმანი კი არ არის, არამედ გადმოკეთებაა. ჭერ კიდევ სილვესტრე დასაი შენიშნავდა „ანვარ-ე სოჰაილის“ ორ თავისებურებას: ახალ სახელწოდებას და იმას, რომ აქ სხვა ვერსიებისთვის უცნობი კიდევ ერთი, ახალი, ჩარჩოა შეკრული, — მოთხრობილია უმაიუნფალისა და მისი ვეზირის ზოჯასთერაის ამბავი<sup>149</sup>. სპარსელი მკვლევარი მოჰამად ჯა'ფარ მაჰჰუბი „ანვარ-ე სოჰაილის“ შესამე, ასევე თვალსაჩინო, თავისებურებად ახალ იგავთა ჩართვას და იგავთა სიმრავლეს მიიჩნევს<sup>150</sup>. როგორც ქვემოთ დავინახავთ, თავისებურია იგი თავისი სტილითაც, ე. წ. ჩუქურთმოვანი პროზით.

<sup>148</sup> ქაშეფის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ იხ.: А. Крымский, История Персии, ее литературы и древинской теософии, т. III, 1914—1917, გვ. 133.

<sup>149</sup> de Sacy, გვ. 42.

<sup>150</sup> გვ. 149, *موجز*

ანჯარ-ე სოჰაილი თაგთირის სხივებს ნიშნავს. ქაშეფიმ წიგნი უძღვნა ამირა შეიხ აჰმადს, რომელსაც სოჰაილი ეწოდებოდა. „სოჰაილი“ (سوحایلی) თაგთირია (Kanopus. ეს უძრავი ვარსკვლავი ქაშეკაშა, თანაც განცალკევებული). ხოლო „სოჰაილი“ — თაგთირისეული. სათაურში ზმაცაა და ქათინაურიც, „ანჯარ-ე სოჰაილი“ დაწერილია 1494 წ.<sup>151</sup>.

როგორც ვთქვით, „ანჯარ-ე სოჰაილი“ იმეორებს ნასრ ალ-ლაჰის „ქილილა და დამანას“ ყველა იგავს, ისაა მისი დასაყრდენი, მაგრამ ბევრ რამეს უმატებს მას როგორც იგავში, ისე კარში. იგავებს ფრაზებითა და დეტალებით ავრცობს, ხოლო კარებს ახალი იგავებით ამდიდრებს. ამიტომაც ამბობდა მ. ბეჰარი: „ანჯარ-ე სოჰაილი“ აბულ-მაალის „ქილილა და დამანას“ გავრცობა-განმარტება არისო<sup>152</sup>. ეს იგავები და ლექსი-ციტატები ქაშეფის თავად კი არ შეუთხზავს, არამედ სხვას დასესხებია. მას ორმოცდაჩვიდმეტი იგავი შეუტანია „ქილილა და დამანას“ თავის ვერსიაში, ე. ი. თითქმის ორი იმდენი, რამდენიც ნასრ ალ-ლაჰის ვერსიიდან მიიღო მემკვიდრეობით (იხ. ცხრილი. დამატება II).

ქაშეფის თითქოს ვერ აკმაყოფილებს ნასრ ალ-ლაჰისეული რაფინირებული იგავი, რომელმაც გაუძლო დროთა გამოცდას, ჰიმავეს მის ფრაზებს, უმატებს ახალ დეტალებს, ავრცობს იგავს. ასე რომ, დღევანდელ ქართულ „ქილილა და დამანასში“ შეიძლება რამდენიმე შრე იყოს დაცული. ყოველ იგავში ყველა ეს შრე არ გვექნება, მაგრამ საერთოდ იგი არის. თუ როგორ შეიძლებოდა შეცვლილიყო იგავი ამ ვერსიათა ავტორების ხელში, ამის თვალსაჩინოებისთვის მოვიტანთ ერთი ნებისმიერი იგავის ვერსიებს. კერძოდ, იგავს „მელა და ტაბლი“.

### „პ ა ნ ჩ ა ტ ა ნ ტ რ ა“:

ჩცხოვრობდა ერთ ალაგას ტურა, შიმშლისაგან დამკლევებული იყო. საჰმლის საძებნელად რომ დაეხეტებოდა, ტყეში ერთი ადგილს წააწყდა, სადაც მეფეს ომი გარდაეხადა. ცოტა ხანს რომ შე-

151 წიგნი ბევრჯერაა გამოცემული, მაგრამ კრიტიკული არცერთი არაა. პირველად მისი რჩეული იგავები დაიბეჭდა ინგლისში 1821 წ. გამოვიდა ლითოგრაფიებიც. ამათგან გამოირჩევა ბომბეის (1853 წ.) და ბერლინის (1921 წ.) გამოცემები. თხზულების გამოცემებზე იხ. გვ. 21. بوجوه „ანჯარ-ე სოჰაილის“. ხელნაწერების შესახებ იხ: Сборник восточных рукописей АН Узбекской ССР, II, Ташкент, 1954, გვ. 420.

<sup>152</sup> გვ. 197, II, ს. 4.

დგა, ხმაური შემოესმა. ხმაურმა ძალიან დააფრთხო. დალონდა და თქვა: ვაიმე, უბედურება მეწია. დავიღუბე კაცი, რა ხმაა ეს, ვინაა, ასე რომ ხმაურობსო. რომ მისდია, მთის წვერის მსგავსი დოლი დაინახა. გაიფიქრა, ნეტა, ეს ხმა თავისით მოდის, თუ რამე გამოსცემსო? დოლი კი ხმაურობდა, როცა შამშის წვერს ქარი მასზე ახლიდა, თუ არა და იყო ჩუმად. როცა დაინახა, რომ დოლი არავის ერჩის, მიუახლოვდა. აქეთ-იქით ცემა დაუწყო და გულში თქვა: ბოლოსდა-ბოლოს საქმელი ვიშოვნე. თქმა არ უნდა, ეს რაღაცაა, ხორციითა და ქონით იქნება საესეო. ამგვარი ფიქრით. დოლი ერთგან გახეთქა და შიგ შეძვრა. დოლის უხეში ტყავი-და ჰქონდა გადაკრული და კინალამ კბილები არ მიამტვრია ზედ. და აი, იმედი რომ დაკარგა და შიგ ხისა და ხმელი ტყავის მეტი რომ ვერა ნახა-რა, თქვა ლექსი:

„ეს საშინელი ხმა რომ მომესმა, ვიფიქრე, შიგ ქონს ვიპოვნე-  
მეთქი,  
მაგრამ შიგ შევაღწიე თუ არა, ხე და ხმელი ტყავი-და  
დამხვდა“<sup>153</sup>.

ს ი რ ი უ ლ ი ვ ე რ ს ი ა :

„მოგვითხრობენ, რომ ერთი მშიერი მელა მოვიდა ქალაში, სადაც ერთ ხესთან იდვა დოლი. იხე, რომ როდესაც ქარი უბერავდა და ხის ტოტებს დაარხევდა, ტოტები ხვდებოდა დოლს და ამის შედეგად დოლი ხმაურობდა. მელას ხმაური შემოესმა და ხმას დოლთან მიჰყვა. დოლის სიდიდე რომ გაიცადა, იფიქრა: რა კარგია, ეს ქონითა და ხორციით იქნება საესეო! და გახია. მაგრამ ცარიელი რომ აღმოჩნდა, თქვა: ჩანს, საგნები, რომელთაც დიდი მოცულობა და მაღალი ხმა აქვთ, არაარობანი არიანო“<sup>154</sup>.

ი ბ ნ ა ლ - მ უ ყ ა ფ ა ს ვ ე რ ს ი ა :

„ამბობენ, რომ ერთი მშიერი მელა ავიდა გორაკზე, სადაც იდვა დოლი, ხის გვერდით მიგდებული, როცა ქარი უბერავდა, ხის ტოტები ქანაობდნენ, დოლს ეხლებოდნენ და დოლიც მეტად ხმაურობდა. მელამ ეს ხმა რომ გაიგონა, მისკენ გასწია. ახლოს მივიდა. მსხვილი რამ იყო. იფიქრა: თქმა არ უნდა, შიგნითაც შესაფერისი ხორცი და ქონი იქნებაო. მანამ არ მოეშვა, სა-

<sup>153</sup> Панчаташтра, გვ. 32.

<sup>154</sup> Kalila und Dimna, გვ. 12.

ნამარ გაფხრიწა. მაგრამ შიგ რომ სიცარიელე ნახა, თქვა: ჩანს, არარაობასაც კჳონია დიდი სხეული და მაღალი ხმაო!<sup>155</sup>.

რუდაქის ვერსია:

„...მერე დოლი ნახა ხესთან,  
ყოველ წუთს მაღალ და ძლიერ ხმას გამოსცემდა.  
მშვიერი მელა მივიდა იმ დოლთან,  
გაოცებული თვალებით უყურებდა მას“...<sup>156</sup>.

ნასრ ალ-ლაჰის ვერსია:

„გადმოგვეცემენ, რომ ერთი მელა ტყეში მიდიოდა. იქ ერთი დოლი ნახა. ხის გვერდით ეგდო. ყოველთვის, როცა ქარი წამოუბერავდა, ხის ტოტი დოლს სწვდებოდა და შემზარავ ხმას გამოსცემდა. როდესაც მელამ სხეულის სიდიდე დაინახა და დამაფიქრებელი ხმა გაიგონა, ვნება აღეძრა: ხორცი და ტყავიც შესაფერისი იქნებოდაო. მანამ უკირკიტა სანამ დახევდა. ნამდვილად კი ტყავის გარდა ვერაფერი იპოვნა. მონანიების ცხენს სადავე მიუშვა და თქვა: არ ვიცოდი, თუ, რაც უფრო უზარმაზარია სხეული და შემადრწუნებელი — ხმა, სარგებლობა მით უფრო მცირე ექნებოდაო“<sup>157</sup>.

„ანვარ-ე სოჰაილი“:

„გადმოგვეცემენ, რომ ერთი მელა ტყეში მიდიოდა და საჭმლის საძებნელად აქეთ-იქით ეხეტებოდა. ერთი ხის ძირას მიატანა, რომლის გვერდით ერთი დოლი ჩამოეკიდათ. ყოველთვის, როცა ქარი წამოუბერავდა, იმ ხეზე ტოტი ქანაობდა, დოლს სწვდებოდა და შემზარავ ხმას გამოსცემდა. მელამ ხის ძირას ერთი ქათამი დაინახა, მიწაში რომ იქექებოდა და საჭმელს ეძებდა, ჩაუსაფრდა, უნდოდა, იგი მოენადირებინა: უცბად დოლის ხმა მოესმა. შეხედა და მეტად მსუქანი სხეული დაინახა, მისი შემზარავი ხმაც გაიგონა. მელას სიმსუნავე მოერია და გულში თქვა: ხორ-

<sup>155</sup> Калпла и Димна, გვ. 82.

<sup>156</sup> Рудаки (رودکی), გვ. 220; 366.

<sup>157</sup> გვ. 71, كلیله و المنها.

ცი და ტყავიც ხმის შესაფერისი ექნებაო. ქათამს რომ იყო ჩასაფრებული, იქიდან გამოძვრა და ხისკენ გასწია. ქათამმა უგრძნო და გაიქცა, მელამ ასი ვაი-ვაგლახით ხეს მიატანა. მანამ უკირკიტა, სანამ ის დოლი არ გაფხრიწა. გარდა ტყავისა და ჯოხის ნაჭრისა ვერაფერი იპოვა. სიმძიმლის ცეცხლი გულში ჩაუვარდა და სინანულის წყალს თვალთაგან წვიმება დაუწყო. თქვა: ვაი, რომ მეოხებით ამ დიდი სხეულისა, რომელიც ქარი-და ყოფილა, ის ალალი ნადირი ხელიდან დამიძვრა და ამ უმაქნისი ნივთითაც ვერაფერი ვისარგებლეო!<sup>158</sup>.

საბასეული ვერსია:

„ერთი მელი ერთსა ტყესა შინა იარებოდა. მძორთა პოვნისათვის ყოვლგნით დაცანცარებდა. მუნ ერთი ხე იდგა და მას ხეზედა ტაბლი ვისმე ჩამოეკიდა და დარჩომოდა. ესრე ეკიდა, რომე რაქარი მოვიდის, ხის შტო შეძრის, ტაბლს მოხვდის და დიდი ხმა გამოვიდის. მის ხის ძირს ქათამი ნახა, რომე საკენკთა კენკდა, მას პარვა დაუწყო, მონადირეებს ცდილობდა. ანაზღად ტაბლის ხმა შემოესმა, მიხედა, — ერთი დიდტანიანი, მეტად მსუქნის მსგავსი და საზარელხმიანი ხეზედ ნახა. მელმა სინხარბით აღარა გაისინჯა და თქვა: მისი ხორცი და ტყავი მისის ხმის ოდენი იქნებაო. ქათამი იგი გაუშვა და პირი ხეს მიაპყრა. ქათამმა შეუტყო და გაექცა. მელი ათასის ხრიკით მას ხეზედ გავიდა. ტაბლი გახია, ნახა, — ხისა და ცოტა ხმელი ტყავის მეტი არა იყო რა! ქათმის მოშორებების ცეცხლი გულთა მოეგზნა და თქვა: ვაიმე, რომ ამ დიდტანოვანისაგან უცოდინრად მოესტყუვდი და ჩემი უცოდველი ნადირი უვნებელად გაუშვი და მისი შეენიერის სახისაგან სარგებელი ვერარა ვნახეო!<sup>159</sup>.

როგორც ვხედავთ, „პანჩატანტრადან“ საბას ვერსიამდე ეს იგავი საკმაოდ შეცვლილა. მიუვთითებთ ზოგ სხვაობაზე. სანსკრიტში მოტივირებულია დოლის გამოჩენა. აქ ომი ყოფილა და საბრძოლო ქოსი სადღაც მირჩენიათ. სხვა ვერსიებში ეს მოტივირება აღარაა. ოღონდ საბას უგრძნია ეს უხერხულობა და თავისთავად ჩაუმატებია: დარჩომოდათო. „პანჩატანტრაში“ ეს დოლი მთის წვერს ჰგავს. ესეც ნიშანდობლივია: საომარი დოლი ანუ ქოსი ქვაბის მსგავსი ნა-

<sup>158</sup> გვ. 87, انوار سبیلی

<sup>159</sup> C. I, 141.



ხევარსფერო იყო, რომელსაც ბრტყელი, ღია პირი, ტყავით ჰქონდა აკრული. ასე რომ, თავისი ფორმით იგი მართლა ჰგავს მთის წვერს, მთის თავს. მაგრამ ეს შედარებაც არაა შემთხვევითი. მელას დოლი საკმელი ეგონა. ასეთი ასოციაცია მას გაუჩინა იმან, რომ ქოსი ჰგავს ქებას. ამიტომაც, მელა რომ იფიქრებს, ეს რაღაცაა, ხორცი და ქონით იქნება სავსეო. არაბულ ვერსიაშიც არის ეს მოტივები. არაბ. ტაბლა ნიშნავს დოლსაც და სანოვაგის დასადებსაც. და ეს სავნებო ჰგევან კიდევაც ერთმანეთს. იზნ ალ-მუყაფას იგი ახალი და ხელოვნური მოტივებით გაუმართლებია: მელა აქ გორაკზე აღის. გავიხსენოთ, რომ „პანჩატანტრაში“ მელიას გორაკზე ასვლაზე კი არაა ლაპარაკი, არამედ იმაზე, რომ დოლი გორაკს ჰგავს. არაბულ ვერსიებში დოლი მელას ყოველგვარი წინამძღვრის გარეშე ხორცი და ქონი ეგონება (სხვა ვერსიები უფრო სცილდებიან არაბულის ამ დეტალსაც: ხორცი და ტყავი ეგონებათ. ხოლო ტყავი ეს ისაა, რაც აღმოჩნდა და არა ის, რაც ეგონა. ამავე დროს, ტყავი სავანი არაა ნადირისთვის). „პანჩატანტრაში“ დოლი მიწაზე აგდია და მას შამბი (ლერწამი) ახმაურებს. არაბულში კი დოლი ხის გვერდითაა. მაგრამ ხის ტოტები როგორ სწვდება მას? ეს საკითხი დაუსვამს ქაშეფის და იგი ხეზე აუტანია, მას იგი ხეზე უკიდია. თითქოს ერთი უხერხულობა გაუსწორებია, მაგრამ ამით მეორე უხერხულობა გაჩენილა: მელა ხეზე როგორ ავიდოდა. ამისთვის მას დამაჭერებელი ვერაფერი მოუტანია და უბრალოდ დაუწერია: ძლივს გავიდა ხეზეო.

ქაშეფის იგავში ახალი მოტივებიც გვხვდება. მას შემოჰყავს ახალი პერსონაჟი და შესაბამისად სათანადო სიტუაციას ქმნის, — მელა ქათამს. დადარაჯებია. მაგრამ დოლს რომ დაინახავს, საკმელი ეგონება, მას თავს დაანებებს და დოლს მიეტანება, ამასობაში კი ქათამი გაექცევა და საბოლოოდ იგავი მთავრდება იმით, რომ მელა ნანობს თავის საქციელს. იგავის „პანჩატანტრასეული“ დასკვნა ასეთია: ყოველი დიდი მნიშვნელოვანი არაა. ამ დასკვნისთვის საკმარისია ერთი ფაბულა: მელის დაინტერესება დოლით. ქაშეფის კი შემოაქვს მეორე თემატ: სიხარბე, მცირედით დაუკმაყოფილებლობა<sup>160</sup>. ეს თემა კი დამანას არ ესაჭიროება ამ სიტუაციაში ლომთან. მას ხომ ეს იგავი იმისთვის დასჭირდა, რათა ლომს ჩააგონოს: ხარის ბლავილი ნუ შეგაშინებს, მაღალი ხმა კი აქვს, მაგრამ საშიში არაა, რადგან არა ყოველი დიდი მნიშვნელოვანია.

<sup>160</sup> ამიტომ ბუნებრივია, რომ ს. ყუბანეიშვილს ეს იგავი ასეც დაუსათაურებია: „ხარბი მელა“ (იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ. თბილისი, 1949, გვ. XIII).

რაც შეეხება ქაშეთის პროზის ქსოვილს, როგორც ვნახეთ, მას აქ ნასრ ალ-ლაჰის იგავთა მასალა გამოუყენებია. თავისი წინამორბედის ზოგ წინადადებას ის ტოვებს, ზოგს ცვლის, ხოლო ზოგან მის წინადადებებს შორის ახალ ფრაზებს, წინადადებებსა თუ წინადადებათა მთელ ჯგუფს ჩაუმატებს. კერძოდ, აქ მოტანილ იგავში, მაგალითად, ასეთი სურათია: ჩვენს მიერ საგანგებოდ გახაზული ადგილები ნასრ ალ-ლაჰისგან აქვს მოტანილი, დანარჩენი კი თავადა აქვს შეთხზული. ქაშეთი ყოველთვის ეძებს როგორც ფაბულის, ისე წინადადების გაკვირვების მიზეზს. მაგ., „ერთგულ კვერნაში“ მთავარი ისაა, რომ კაცმა ბავშვი მარტო დატოვა, მას გველი მიეპარა, გველი კვერნამ მოკლა. ხოლო კაცი რომ შემობრუნდა. ეგონა, კვერნამ ბავშვი შემიქამაო და კვერნა მოკლა. ნამდვილი რომ გაიგო, ინანა. „პანჩატანტრაში“ ეს იგავი ყოველგვარი ზედმეტი დეტალების გარეშე იწყება (გვ. 281). არაბულში უკვე არის მისი გაკვირვების ნიმუშები (გვ. 191), ასეთივე სურათია ნასრ ალ-ლაჰის ვერსიაშიც (გვ. 226), მაგრამ ქაშეთი ზღვარს გადის: ერთი მწირობა, დიდხანს ცოლს არ ირთავს, ვილაცას რჩევას ჰკითხავს. ისიც დარიგებების მთელ ლექციას წაუკითხავს, ახასიათებს ქალებს, ბოლოს შეირთავს მწირო ცოლს, ეყოლება შვილი და ა. შ. (C II, 44).

„ქილილა და დამანას“ ვერსიათაგან „ანვარ-ე სოჰაილი“ განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი იგავთა სიმრავლით, და მაშასადამე, მოცულობითაც. თავისთავად წიგნში იგავის შემოტანა მექანიკური საქმიანობა როდია, ესა თუ ის იგავი რომ ითქვას, საჭიროა აუცილებელი გახდეს მისი მოყოლა. ამას კი სათანადო სიტუაცია და, შესაბამისად, სათანადო ტექსტი ესაჭიროება.

როდესაც ვამბობთ, ქაშეთიმ თავისი იგავები შეიტანა კრებულშიო, ისე კი არ უნდა გავიგოთ, ვითომ ეს იგავები მას შეეთხზას. შეიძლება, არც ერთი ასეთი ფაბულა ქაშეთისა არ იყოს. ამ იგავებს იგი სხვადასხვა კრებულებს და გადმოცემებს დასესხებია. საერთოდ სპარსულ ლიტერატურაში იგავებს იშვიათად ქმნიდნენ, უფრო მეტად კრებდნენ და დიდი-დიდი რედაქციას უკეთებდნენ (აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არა გვაქვს ავტობიოგრაფიული იგავები, როგორსაც ვკითხულობთ, მაგალითად, საადის „ბუსთანასა“ და „გოლესთანში“). ეს იგავები დახეტილობდნენ და ახლაც დახეტილობენ აღმოსავლეთის ქვეყნებში. მწერლები არ თაკილობდნენ მათ გამოყენებას თვით ლიტერატურული წყაროებიდანაც კი. ქაშეთისაც ბლომად გამოუყენებია ეს წყაროები. მის თხზულებაში იკითხება, მაგალითად: ჯელალ ად-დინ რუმის (1207—1273) იგავები, რომელიც მას ლექსადვე მოაქვს:

گفت رو به آن طلسم و سحر بود  
که ترا در چشم شیرى مینمود  
ور نه من از تو بتن مکین ترم  
که شب و روز اندر اینجا میچرم  
گر نه ز آنگونه طلسمی ساختی  
هر شکم خواری بدینجا تاختی

„უთხრა მელამ: ის თილისშა და ქაღო იყო,  
რომელმაც შენ ლომი მოგაჩვენა.  
თორემ მე შენზე უფრო საცოდავი ვარ ტანად,  
ღღე და ღამე აქ ეძიე.  
ამგვარს თილისშა რომ არ გაგვეკეთებინა,  
ყველა ღორმუცელა აქ მოვარდებოდა“<sup>161</sup>.

ეს ლექსი იკითხება რუმის „მესნევიში“<sup>162</sup>.

نرد دل با یكد یگر میباختند  
و ز وساوس سینہ می پرداختند  
غوک نزد دلشاد آمدی  
پنج سالہ قصہ اش یاد آمدی  
جوش نطق از دل نشان دوستی است  
بستگی نطق از بی الفتی است

„გულის ნარდს ეთამაშებოდნენ ერთმანეთს  
და გულს აყოლებდნენ მას.  
ბაყაყი ლალად მოდიოდა თავთან,  
ხუთი წლის ამბავი აგონდებოდა.  
გულიდან სიტყვათა ამოფრქვევა მეგობრობის ნიშანია,  
ღადუმება უმეგობრობის შედეგია“<sup>163</sup>.

ეს იგავიც რუმის ეკუთვნის და იმავე „მესნევიში“ გვხვდება<sup>164</sup>.  
რუმის იგავი აქ სხვაგანაც იკითხება<sup>165</sup>. შემჩნეულია, რომ ქაშეფი

<sup>161</sup> გვ. 358, انوار سہیلی

<sup>162</sup> دورۂ کامل مثنوی معنوی، بسی و اہتمام و تصحیح رینولد  
الین نیکولسون، چاپ پیروز، 956. گვ. مثنوی შემდეგში:

<sup>163</sup> გვ. 393, انوار سہیلی

<sup>164</sup> გვ. 1171, მثنوی „ანვარ-ე სოჰაილიში“ ქელალ აღ-დინ რუმის იგავთა  
სესხება შემჩნეული აქვს აგრეთვე ტაჯიკ ირანისტს ჩასულ ჯორჯიანს (იხ. P. X,  
дизода, Х,икоях,он халк,и, дар „Маснави“ Румӣ. Ч,аломиддин Румӣ,  
Х,икоях,он халк,и „Маснави“. Душанбе, 1963, გვ. 15.

<sup>165</sup> انوار سہیلی، گع. („ყადი დასვეს და ტიროდა“) قاضی بنشانند و میگريست  
გვ. 329, مثنوی، 290.

დასესხებია „მარზბან-ნამეს“<sup>166</sup>. ჩვენდა თავად მიუთითებთ კიდევ ორიოდე სესხებაზე. ქაშეთის ჩაურთავს თავის თხზულებაში იგავი მაიმუნისა და ღორისა („ყაუზუნა და ღორი“), რომელიც ზაჰირი სამარყანდელის „სინდბად-ნამეში“ იკითხება<sup>167</sup>. იგავი თავგისა და ბაყაყის მეგობრობაზე ქაშეთის შეიძლება წამოღებული ჰქონდეს რუმის „მენსევიდან“, რომლის მეექვსე რვეულში ეს ფაბულა არის<sup>168</sup>. არაბულსა და სირიულ ვერსიებში ეს იგავი არ გვხვდება და ბუნებრივია, ამ წყაროთაგან ქაშეთი მას ვერ გადმოიტანდა. ასევე, „გოლესთანადან“ გადმოაქვს ქაშეთის საადის იგავი მდიდარი შეშით მოვაჟრის შესახებ<sup>169</sup>.

თავის ფრიად მნიშვნელოვან შრომაში „ანვარი სოჰაილის ანუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები“ ალ. ბარამიძე გაცხადებულა: ქაშეთის წიგნი წარყვნილია არაბული სიტყვებით, ფრაზებითა და გამოთქმებით<sup>170</sup>, ხოლო თავად ავტორი ამბობს: „არაბულ ლექსს განვეშორე და სპარსულის ენითა ლექსები მარგალიტსა და ძოწსავით ძაფზე შეწყობით დაეაცვი“. ამას მწერალს ალ. ბარამიძე პირფერობაში ართმევს<sup>171</sup>. ვფიქრობთ, რომ ქაშეთი აქ არავითარ წინააღმდეგობაში არ ეარდება. იგი გულისხმობს არა არაბულ სიტყვებს საერთოდ (მის წიგნში ორ მესამედზე მეტი ლექსიკისა არაბულია), არამედ არაბულ ლექსებს, რომელიც ჩართულია ნასრ ალ-ლაჰის თხზულებაში. ქაშეთი აქ ამბობს: ნასრ ალ-ლაჰს არაბული ლექსები ჰქონდა უმეტესად ჩართული, მე კი სპარსულ ლექსებს ჩავურთავო. და მართლაც „ანვარ-ე სოჰაილიში“ მეტი თუ არა, ორი ათასამდე მაინც ციტატია ჩართული, მოტანილი სპარსული ლიტერატურის კლასიკოსთაგან. როგორც უკვე ვთქვით, ბეჰარი ასეთ

<sup>166</sup> გვ. 197, محبوب

<sup>167</sup> Синдбад-наме, გვ. 138.

<sup>168</sup> გვ. 1171, مشوی

<sup>169</sup> გვ. 47. انوار سہیلی، რომ ეს იგავი ქაშეთის სწორედ „გოლესთანადან“ უსესხებია და არა სხვა წყაროდან, ჩანს შიგ დაეცულ საადისეული სენტენციებიდან და გამოთქმებიდან:

از بستر نرمش بخاکتر گرم

خسرو کن زدود درونهای ریش کهریش درون عاقبت سرکنند

(„მოერიღე გულდაკოდილთა კვამლს, რამეთუ ბოლოს თავს წამოყოფს წყლული“)

کلیات شیخ سعدی، با تصحیح کامل جناب آقای محمد علی فروغی

تهران، ۱۳۳۴، ۱۰۰، گص. سعدی، انوار سہیلی، گص. 47.

<sup>170</sup> ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 251.

<sup>171</sup> იქვე. („ქედმაღლურად პირფერულია სპარსელ ავტორი“).

ციტატათა მოძიებას საკუთარი ლექსის დაწერაზე უფრო იოლად არ თვლიდა. მივეუთითებთ რამდენიმე ციტატის სადაურობაზე. ციტირებულია ნიზამი (1141—1209):

کسی را کان سخن در گوش رفتی  
گر افلا طون بودی مدهوش رفتی

„ინდ მის სიტყვას მოისმენდა,  
პლატონიც რომ ყოფილიყო, გონებას დაკარგავდა“<sup>172</sup>.

იქვე ახლოს ციტირებულია ისევ ნიზამი, ოღონდ უკვე არა „ხოსროვ ო შირინი“, არამედ „ლეილი ეო მაჩუნნი“:

بالان گری بغایت خود  
بتر ز کلاه دوزی بد

„მეკურტნეობა, თუ მას საუკეთესოდ ფლობენ,  
ცუდ ქონობას სჯობს“<sup>173</sup>.

ქაშეფი ხშირად ესესხება საადის. აი, მეტად ცნობილი აფორიზმი „გოლესთანში“:

سر چشمه شاید گرفتن به بیل  
جو پر شد نشاید گذاشتن به بیل

„წყაროს თავი შეიძლება ბარით შეიკრას,  
რა აღიღდება, სპილოთიც ვერ გაივლო“<sup>174</sup>.

ზოგი ადგილი ამა თუ იმ კლასიკოსის ლექსისა ქაშეფის ორჯერ აქვს ციტირებული. მაგ., ლექსი, რომლის დასაწყისი სტრიქონი ასეთია: *در آن گل شکفته صد هزاران* ორჯერაა მოხმობილი<sup>175</sup>.

<sup>172</sup> გვ. 477, *انوار سبلی*, გვ. 219, *خسرو و شیرین*.

C II, 178: „რომელი ყური ისმენდა, რამე იყო უარესია,  
პლატონ ბრძენისა ნათქვამსა, შენვე თქვა: უკეთესია“.

<sup>173</sup> გვ. 47, 1333, *چاپ دوم*, *نامه لیلی و مجنون حکیم نظامی گنجه‌ای*,  
გვ. 477, *انوار سبلی*.

C II, 179: „მეკურტნეობავე სჯობია, მარჯვედ ჰკერევედეს ბალანსა,  
აეის ქულისა შეკრავსა, საპირეს კვეცილეს ბალანსა“.

<sup>174</sup> გვ. 41, *انوار سبلی*, გვ. 83, *سعدی*.

C II, 149: „წყარო წელისა სათავეთა გარდასწყდების ბარით აღრე,  
მაგრამ ბოლოს შეკრებულთა ვერ გაუა პილო მკადრე“.

<sup>175</sup> გვ. 39, 100, *انوار سبلی*.

ასეთ ადგილებს, ბუნებრივია, საბაჟ ორჯერ თარგმნის. ამავე დროს მას ავიწყდება, თუ როგორ თარგმნა და ხელახლა მის ახალ ვარიანტს იძლევა (C 37; C 193). როგორც უკვე აღვნიშნეთ. ქაშეფი ესესხება მთელ ამბავ-ლექსსაც. ზოგჯერ იგი ასეთი იგავის ნაწილს პროზით გადმოსცემს, ნაწილს კი — ავტორის ბაითებით. ასეთია, მაგალითად, ამბავი მეჰსეთის დედაზე, რომელიც მას სენაიდან (გ. 1130) კი არ მოაქვს უშუალოდ, არამედ ნასრ ალ-ლაჰის თხზულებიდან<sup>176</sup>.

„ანვარ-ე სოჰაილი“ XV ს. ძეგლია, ამიტომ მასში ციტირებულ ლექსებს მეცნიერული მნიშვნელობა აქვს, რადგან ზოგი კლასიკოსის შემკვიდრება XVI—XVII საუკუნეებზე ადრეული ხელნაწერებით არაა დაცული და მის ძველ და სანდო წაკითხვას გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს. მაგ., „ანვარ-ე სოჰაილიში“ კვითხულობთ ასეთ ციტატას:

شاه هرمزم نديد و بيسخن صد لطف كرد  
 شاه يزدم ديد و مدحش گفتم و هيچم ندا  
 کار شاهان اينچنين باشد توای حافظ مرنج  
 داور روزی رسان توفيق و نصر تشان دهد (0127)

„იორუმის მეფეს არ ვუნახივარ და ლექსის უქმელად  
 ასი წყალობა მომანიჭა,  
 ივზლის მეფემ მნახა, ხობა ვუთხარი და [შაინც] არა მომცა რა.  
 ასე იციან მეფეებმა, ნუ გეწყინება, ჰაფეზ,  
 მარჩენალი უფალიმც შეეწევა მათ!“

უდავოა, ეს ნაწყვეტი ჰაფეზის ერთ-ერთი ყითის ბოლო ნაწილია (ა—რითმაზე) და მაყტას შეიცავს. იგი ბევრ საუკეთესოდ მიჩნეულ გამოცემებში არ იკითხება<sup>177</sup>. ჰაფეზის დივანის ავტოგრაფი არ შემოგვრჩენია და ამდენად ამ ლექსს, რომელიც პოეტის სიკვდილიდან (1389 წ.) ერთი საუკუნის შემდეგ დაწერილ ძეგლში იკითხება, მნიშვნელობა ენიჭება<sup>178</sup>.

„ანვარ-ე სოჰაილიში“ იკითხება მსოფლიოში გავრცელებული მრავალი ანდაზა. მაგალითად, ამ ანდაზას თავისთავად დასახსნებიან

<sup>176</sup> გვ. 402. انوار سہیلی، ج. 242، کلیلہ و دمنہ، ج. 242.

<sup>177</sup> ديوان خواجه شمس الدين محمد حافظ شیرازی باهتمام محمد قزوینی و دکتر قاسم غنی، تهران، 1320. ج.

<sup>178</sup> ديوان خواجه حافظ شیرازی، بتصحيح و تصحيح ديوان حافظ سيد عبد الرحيم خلیفالی، تهران، 1306، ج. 61 ديوان حافظ

(ლითოგრა.) 1891, გვ. 409.

სხვადასხვა წყაროებიდან რუმი, ბაბა აფხალი, შოთა რუსთველა. არსებობს იგი არაბულადაც.

არაბული: كل انا يتدسح بما فيه  
ქაშეფი: 170 از كوزه همان برون تراود كه در و ست  
რუმი: پس ز كوزه آن تراود كه اندرو ست  
ბაბა აფხალი: از كوزه برون تراود كه در و ست

რუსთველი: „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“ (1094,4).

პოეტ ლადო ასათიანს ერთგან ჩაუწერია: „როგორ გამიხარდა, „ღონ-კიხობში“ რომ ვნახე ფრაზა: ქვა მოხვდა ლიტრას, ლიტრა მოხვდა ქვას, მაინც ვაი ლიტრის ბრალიო“. მწიგნობარი პოეტი იქვე უთითებს მის პარალელზე „ქილილა და დამანასი“: „მე და შენი საქმე კიქასა და ქვასა ჰგავს, ქვა კიქასა ეცა ანუ კიქა ქვასა დაჰკრა, ორგზისვე კიქა დაილეწება და ქვა უვნებლად დადგებაო“ (O 413; C II, 101) (ნ ი კ ა ა გ ი ა შ ე ი ლ ი, ქაბუკები დარჩენენ მარად. თბილისი, 1964, გვ. 240).

მიუხედავად იმისა, რომ „ქილილა და დამანას“ ყოველ კარს თავისი იდეა და თემა ამოძრავებს, აქ მაინც ბევრია წინააღმდეგობანი (აქ არ ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, ერთმანეთს დაპირისპირებულ პერსონაჟთა ურთიერთწინააღმდეგობას). არის შემთხვევები. როდესაც ავტორი ხან ანგარებას ასწავლის მკითხველს (შენ თავს პოუარე, სხვის საქმეებში ნუ ჩაერევი), ხან კი ჰუმანურ იდეებს იცავს. აქ ხან იმას ქადაგებენ, რომ მტერს უნდა გაუსწორდეს კაცი (კარი VII), ხან კიდევ იმას, რომ მტერს უნდა შეენდოს (კარი VII1). კრებულში სხვადასხვა ხალხის წიადში შექმნილი იგაგებია გამოყენებული, რომელთაც გადმოყოლილი აქვთ გარკვეული ყოფითი რეალიები და თავისებურებანი. ამიტომაცაა, რომ კრებულის ზოგ იგაგში, ვთქვათ, მელია ცბიერია, ზოგში — ღეთისმოსავი.

„ანვარ-ე სოჰაილი“ სხვა ვერსიებისაგან იმიტაც გამოირჩევა, რომ მას კარები მათში გამოსახული თემების მიხედვითა აქვს დასათურებული და არა ამ ამბავში გამოყვანილი პერსონაჟთა მიხედვით, როგორც სირიულ, არაბულ და ბაჰრამშაჰისეულ ვერსიებშია. ამით ქაშეფიმ აღადგინა „პანჩატანტრას“ ტრადიცია.

„ქართლის ცხოვრებაში“ ნახსენები ქილილა და დამანას ამბავი დასათურებულია („...ქილილა-დამანასა შინა იგაგი ბუთა და ყუავეთა“<sup>180</sup>) და აქ ქართული თარგმანი იგულისხმება თუ რო-

<sup>170</sup> ანوار سبلى، 118 ج

<sup>180</sup> ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, II, 1959, გვ. 13.

მელიძე სხვა ენაზე არსებული ვერსია, იგი პერსონაჟთა მიხედვით უნდა ყოფილიყო დასათაურებული.

ახალი იგავეები რომ ჩაუერთო, ძველი ტრადიციული იგავეებისთვის ქაშეფის ხელი არ უხლია, მან ისინი იქვე დატოვა, სადაც იყო. საერთოდ იგავეების გადარჩევას ქაშეფი ვერც შეძლებდა, რადგან მათ ყველას თავისი ადგილი აქვს კარში<sup>181</sup>.

„ანვარ-ე სოჰაილი“ ე. წ. „ჩუქურთმოვანი პროზის“ ნიმუშია. აქ გვხვდება გართმული, რიტმიანი და თავისუფალი პროზის სანიმუშო ადგილები. „ჩუქურთმოვანი პროზა“ სწორედ ამ დროს იღვა ზენიტზე. მისი სხვადასხვა ხერხების კორიანტელი ნაკლებად იგრძნობა ქაშეფის იგავეებში, როგორც ეს საერთოდაა დამახასიათებელი სპარსული ლიტერატურისათვის, ხოლო თავბრუდამხვევი ხდება ავტორისეულ წიაღსვლებსა და შესავალ ადგილებში. ამ ხანის მეორე ძველი ჯამის „ბეჰარესთანი“ ასეთსავე სურათს იძლევა, — მისი შესავალი ჩუქურთმოვანი ბუტაფორულობის საოცარი ნიმუშია, ხოლო იგავეები ჩვეულებრივი ენითაა გამართული. „ეს წიგნი, — სწერდა „ანვარ-ე სოჰაილის“ შესახებ ე. ბერტელსი, — მეტი რომ არ შეიძლება, ისე ჰრელია და გართულებული. დახლართული წინადადებებით, შიგ ჩაყრილ სხვადასხვა ავტორთა ლექსებით, არაბული გამოთქმებით, ყურანიდან მოტანილი ციტატებით და სხვ. მას შეუძლია მოთმინებიდან გამოიყვანოს თვით ყველაზე თვინიერი შკითხველიც კი“<sup>182</sup>, ხოლო სილვესტრ დე სასი აღნიშნავდა: „ექსტრავაგანტური ჰიპერბოლები და გადაჭარბებული მეტაფორები, რომელიც ძალიან ხშირია სპარსელთა ნაწერებში, მკაცრი გემოვნების ევროპელებისათვის სასაცილოა და მომყირპებელი“<sup>183</sup>. რითმები, რიტმი და ერთგვარი ჩუქურთმა არის იზნ ალ-მუყაფას და

<sup>181</sup> „ქილილა და დამანაში“ იგავეების გადატან-გადმოტანა ყოველთვის შესაძლებელი არაა, იმის გამო, რომ ისინი კარში გატარებული შინაარსისა და იდეის შესაფერისადაა სათანადო ადგილას მოტანილი და სხვაგან დისპარჰონიას შექმნიდა. იგავეთა ასეთი დალაგება ახასიათებს ისეთ ჩარჩოვან თხზულებას, სადაც იგავეებს ქვეება არა ერთი, არამედ ორი ან მეტი პერსონაჟი თავიანთი შეხედულების საილუსტრაციოდ. „ათასერთი ღამე“ ჩარჩოვანია, მაგრამ მისი ზღაპრების გადაადგილება ნებისმიერად შეიძლება. იგავეების გადარჩევის სხვა პრინციპიც არსებობს. შაგ, აბუ ლ-ფარაჟის (1226—1286) „შესაქცევ ამბებში“ ცალკეა კარი გიჟებზე (XVIII კარი), ცალკე — ქურდებსა და ავაზაკებზე (XVII კარი) და ა. შ. (იხ. Абул-Фарадж, Книга занимательных историй, М., 1957).

<sup>182</sup> Е. Э. Бертельс, Очерк Истории персидской литературы, Л., 1928, გვ. 72. შემდეგში: Е. Э. Бертельс, Очерк.

<sup>183</sup> de Sacy, გვ. 43.



ნასრ ალ-ლაჰის ვერსიებშიც<sup>184</sup>, მაგრამ „ანვარ-ე სოჰაილი“ მეტის-შეტია<sup>185</sup>. ეს იგრძნობა მის ქართულ თარგმანშიაც, რითმა და რიტ-ში უკვე აღარაა და ეს უფრო ამძიმებს სტილს.

ქაშეფი არა მარტო ფრანზას აზვიადებს, არამედ იგაეებსაც ქი-შავს. ყოველ შემთხვევაში, მის იგაეებში ახალი პასაჟები შეიმჩნევა (ამის შესახებ ჩვენ გვქონდა კიდევ საუბარი, როცა მელისა და დოლის იგაეების სხვადასხვა ვერსიები შევადარეთ ერთმანეთს). ახალი დაბოლოებანიც გვხვდება. ვერ ვიტყვით, ამ წამატებით იგაეებს მოეგოთ: ასე, მაგალითად, საადის ერთ იგაეში ნათქვამია: ერთი შტარვალი ვაჭარი ღარიბებისგან შეშას იათად ყიდულობდა და ძვირად ყიდდა. ღარიბთა ცოდვამ უწია და შეშის საწყობი დაეწვა. საიდან გაჩნდა ცეცხლი! კვირობდა მდიდარი.—საბრალოთა სულ-თქმის კემლისა და გულდამწვართა ცეცხლისგანო! — პასუხობენ. საადი აქ ამთავრებს თხრობას<sup>186</sup>, ხოლო ქაშეფი განაგრძობს და გვამცნობს, თუ როგორ მოინანია ცუდკაცობა მდიდარმა<sup>187</sup>.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქაშეფი სიტყვის დიდი ოსტატი არ იყოს. პირიქით, ის თავისი დროის მოთხოვნილებებს ამომწურავად პასუხობდა. ამ დროს კი არამხატვრული პროზაც „ჩუქურთმოვანი“ სტილით იწერებოდა. თორემ ისე მშვენიერი მხატვრული სახეები აქვს გამოძერწილი, საუცხოო და ზომიერი მეტაფორები აქვს მოგონილი, საოცრად ფაქიზი ნართაულების ძაფები აქვს გაბმული. მისი მხატვრული სახეები ძირითადად იგრძნობა ქართულ თარგმანში, ამიტომ მასზე აქ არ შევჩერდებით და მის ანალიზს მკითხველს და-

<sup>184</sup> ნასრ ალ-ლაჰისა და ქაშეთის პროზის შედარება იხ.: Edward: Browne, A Literary History of Persia. London, გვ. 351. Vol. I. 1919.

<sup>185</sup> „ჩუქურთმოვანი პროზის“ შესახებ იხ. علی بن محمد تاج الحلاوی، دقایق الشعر، تهران، ۱۹۶۲، ج. 6، თენჯიზ გორელი შვილი, სინდად-გვ. 6, 1962, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 108, აღმოსავლეთმცოდნეობის ჯერია, 1964. გვ. 170.

„ანვარ-ე სოჰაილის“ ენის შესახებ ორიერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი არსებობს. ერთნი ამტკიცებენ, რომ იგი სპარსული ენის დაქვეითებისა და დაცემის დროსაა შექმნილი და ამიტომ მხატვრულად მდარეა (ყარიბი, შაფაყი), ხოლო მეორენი კი მას საუკეთესო სპარსულის ნიმუშად თეღიან (ფაჩვიან გუნაბადი, ა. შირზოევი). ეს უკანასკნელი საჭიროდ არ მიიჩნევს ნასრ ალ-ლაჰისა და ქაშეფის თხზულებათა შებირისპირებას ამ მიზნით. რადგან ისინი სხვა და სხვა დროისა და ხალხის „ფიქრისა და ცხოვრების ნაყოფიაო“ (Абдулгани Мирзоев, Сайри таърихи „Калила ва Димна“, „Шарҳи сурҳ“, 1949, № 1. გვ. 46. შებლეგ-ში: А. Мирзоев, Сайри таърихи „Калила ва Димна“.

<sup>186</sup> გვ. 100, سعدي

<sup>187</sup> გვ. 47, انوار سہیلی

დავაკისრებთ<sup>187a</sup>. ხოლო რადგანაც ორიგინალის ბევრი ზმა ქართულში არ გადმოსულა, როგორც ეს საერთოდ იყო მოსალოდნელი. ჩვენ თავს ნებას მიეცემთ მოვიხმოთ ორიგინალის ერთი ნართაული. აღწერილია ცხენი, რომელიც „ხოსროვის შაბდიზის თვალისგან ვარდისფერ სისხლს აღენს“. აქ შესაღარებლად მოყვანილია ხოსროვ ფარვიზის მითიური ცხენი შაბდიზი, ე. ი. „ანვარ-ე სოჰაილიში“ გამოყვანილი ცხენი ჯაბნის თვით ხოსროვ ფარვიზის შაბდიზსაც, რომელიც იმის გამო, რომ მას აჯობეს, თვალთაგან სისხლის ცრემლებს ღვრის. მაგრამ საქმე ისაა, რომ ორიგინალში ვარდისფერი გამოხატულია სიტყვით გოლგუნ (گلگون), ხოლო ეს უკანასკნელი ხოსროვ ფარვიზის სატრფოს—შირინის ცხენის სახელია.

1587 წ. „ქილილა და დამანას“ წიგნში ქაშეფისეული ვერსიის მეშვეობით ისევ დაუბრუნდა ინდურ სამყაროს აბულ-ფაზლ იბნ მუბარაჯის „იარ-ე დანეშის“ (‘ცოდნის სინჯი’) სახით<sup>188</sup>, ოღონდ ცვლავ სპარსულ ენაზე.

ავტორის ცნობით, ამ ვერსიის შექმნა გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: „ანვარ-ე სოჰაილი“ „ქილილა და დამანას“ ვერსიათაგან ყველაზე უახლოესი კია, მაგრამ უცხო გამოთქმებითა და განმაცვიფრებელი მეტაფორებითაა სავსე. ხამს, იგი გაიცხრილოს და ისე დაიწეროს, რომ საყოველთაოდ სასარგებლო და საყვარელი წიგნი იყოს<sup>188</sup>.

„იარ-ე დანეში“ 16 კარისაგან შედგება. ამათგან პირველი ორი კარი შესავალია, სადაც იბნ მუბარაჯი ბოზორჯმიჰრისა და ბარზოეს წინასიტყვაობებს იმეორებს, დანარჩენი 14 „ანვარ-ე სოჰაილის“ მიჰყვება, ოღონდ დასათაურებანი აქვთ შეცვლილი.

აბულ-ფაზლ იბნ მუბარაჯი კუმშავს ქაშეფის იგავს, ამარტივებს მის სტილს, მრავალსიტყვაობისაგან ათავისუფლებს ფრაზებს, თავს არიდებს არაბულ ციტატების დიდ ნაწილს. მის ვერსიაში ზოგი მოქმედი გმირი „ანვარ-ე სოჰაილის“ შესატყვის პერსონაჟთან შედარებით განსხვავებული ვარიაციითაა წარმოდგენილი. მაგ., بازارگان مرزبان (გვ. 127); چکاوک—قبره (გვ. 222) და ა. შ. „იარ-ე დანეში“ აღარ გვხვდება „ანვარ-ე სოჰაილიში“ სხვადასხვა კლასიკოსისგან მოტანილი ლექსი-იგავეები (გვ. 108).

<sup>187a</sup> ყურადღებას იქცევს ისეთი მეტაფორები, რომელთა ხატები შინაარსს ეთანხმება. მაგ., თავი, რომელიც ბაყაყთან თოკითაა გადაბმული ამბობს:

(გვ. 394) مرغرا در دام فریب آورد (انوار سہیلی، 4.2) „გამორჩევის ძაფი ჩაგვფლავდა ხელთ“. (გვ. 4.2) (انوار سہیلی، 4.2) „ფრინველი მოტყუების მახით დაიჭირა“).

<sup>188</sup> გვ. 5, 1312, کانپور، عیار دانش، مبارک، ابو الفضل بن مبارک

როგორადაც არ უნდა იყვნენ მართალი ს. დე სასი და ე. ბერტელსი, დიდმა ნიჭმა თავისი გაიტანა და აბუ ლ-ფაზლის ადაპტაციამ ვერ დაჩრდილა „ანვარ-ე სოჰაილი“. ნიშანდობლივია, რომ ზუსტად ასეთი სურათი განმეორდა ქართულშიც, — მეღიგზად ბებუდაშვილმა, ფართო მკითხველთათვის მისაწელომი რომ გაეხადა, გადააკეთა „ანვარ-ე სოჰაილის“ საბასეული ვერსია. მაგრამ მისი ღვაწლი არ აღმოჩნდა საჭირო, ჯერჯერობით მის ადაპტაციას ფილოლოგები თუ იცნობენ, ხოლო საბასეული ვერსია ფართოდ აღიარებულ ძეგლად რჩება.

ნასრ ალ-ლაჰის ცნობა, „ქილილა და დამანა“ იბნ ალ-მუყაფას და რუდაქის შემდეგ სხვებმაც გალექსესო, ა. მიჩროევს იმ აზრით ესმის, რომ რუდაქის შემდეგ ნასრ ალ-ლაჰამდე იგი რამდენჯერმე იქნა გალექსილი სპარსულად<sup>189</sup>. ეს ვარაუდი სარწმუნო არ ჩანს, რადგან ნასრ ალ-ლაჰი გულისხმობს არა მარტო სპარსულ, არამედ არაბულ სამყაროსაც. სხვა სპარსული ვერსიები არსად იხსენიება, ხოლო, როგორც ვუთითებდით, სწორედ ნასრ ალ-ლაჰის დროისათვის იყო ცნობილი არაერთი და ორი არაბული ვერსია.

1944 წ. ირანში გამოვიდა პოეტ ჯეჰანბახშის გალექსილი „ქილილა და დამანა“ „რაი ო ბარაჰმანის“ სახელწოდებით<sup>190</sup>. წიგნის გამომცემლის სიტყვით ამ დროს მისი ავტორი სულ რაღაც თვრამეტი წლის ყმაწვილი ყოფილა. პოეტი წიგნს უმძღვარებს წინასიტყვაობას, სადაც გვაცნობებს შემდეგს:

1. მას უნდოდა, „ქილილა და დამანა“ (მისი ნასრ ალ-ლაჰისეული ვერსია) თანამედროვეთათვის გასაგებ ენაზე გადმოეტანა. 2. მას იგი ერთ წელიწადში გაულექსავს. 3. თავის მხრივ მისთვის არაფერი მიუმატებია (რაც ზუსტი არაა. იხ. დამატ. II). 4. წიგნი რვა ათას ბაითს შეიცავს. 5. იგი ჰეჯეზ-ზე მუსადლასის ზომითაა განწყობილი. 6. წიგნში ჩართული არაბული ციტატების მხოლოდ ნაწილია გადმოსპარსულებული. 7. თხზულებაში მოხმობილი სპარსულ კლასიკოსთა ლექსები ხელახლაა გალექსილი. 8. რადგან ქილილა და დამანა ამ წიგნის მხოლოდ ორი კარის პერსონაჟები არიან, წიგნისთვის მის ავტორს ამ ძეგლის ყველა კარისათვის საერთო პერსონაჟების მიხედვით შეურქმევია სახელი.

ნასრ ალ-ლაჰის ქილილა და დამანა ამ რამდენიმე წლის წინ აზერბაიჯანულად თარგმნა რაკიმ სულთანოვმა (იხ. *Калила ва Димна* აზერბაიჯანულ ენაზე). ბაქო, 1962 წ. ხოლო ამავე გამომცემის წინასიტყვაობიდან ვვებულობთ, რომ ქაშეფისეული ვერსია ამ ენაზე ადრე (1809/10 წ.) ყოფილა თარგმნილი ავაზ ალი იბნ მარჰუმ საფი ულის შიერ (გვ. 12).

<sup>189</sup> A. Мирзоев, *Сайри таърихи „Калила ва Димна“*, გვ. 45.

<sup>190</sup> *رای و برهن ، کلیله و دمنه منظوم ، گوینده جهان بخش جمہوری ،*  
تهران ، ۱۳۲۳

## „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია

თუ ვახტანგ VI-ს დაეუჭერებთ, ჩვენს წინაპრებს ძველთაგანვე ჰქონიათ „ქილილა და დამანას“ ქართული თარგმანი.

ამის საბუთს მას აძლევდა „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“. ნასრ ალ-ლაჰმა თავისი ვერსია 1144 წ. თარგმნა არაბულიდან. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ქართველობისთვის ის მაშინვე გამხდარა ცნობილი, რადგან ჯერ კიდევ გიორგი მესამის (1156—1184) დროს შედგენილ მატრიანეში იხსენიება. დიმიტრი ბაქრაძე ფიქრობს, „ქილილა და დამანას“ თამარზე წინათ უნდა იყოს ნათარგმნი, რადგან ქართლის ცხოვრება მას იხსენიებს არა თამარის დროს, არამედ გიორგი III-ის მეფობაში<sup>1</sup>. ვახტანგ VI მხოლოდ ერთ იგავზე უთითებს, მეტზე არა, ხოლო მ. ჭანაშვილი ასეთ იგავთა რიცხვს ოთხამდე ზრდის<sup>2</sup>, კერძოდ, გარდა ბუთა და ყვავთა იგავისა, ის უთითებს „ქართლის ცხოვრების“ სამ ადგილზე. იმავე „ისტორიანი და აზმანში“ იკითხება ასეთი ადგილი: „და ვითარ მზე, დიდი ბასილი, მნათი კესარი[ი]სა ბუნებისმეტყუელობასა შინა არსთა ქმნილებისასა „ექუსთა დღეთასა“ [იტყუის], ვითარ: „ჩიტი ალკუნი ბაგესა ზედა ზღვისასა დამსხმელ იქმნების კუერცხთა, ოხრანი და ღელვა-ტეხილობანი ზღვისისანი ვერ გარდაკდებიან ბრძანებასა ღმრთისასა; და მცველ ექმნების თესლოვანებასა ალკუნისასა“<sup>3</sup>. როგორც მოტანილი ადგილიდან ჩანს, აქ დასესხებიან „ექუსთა დღეთაჲსას“ და არა „ქილილა და დამანას“. და მართლაც „ექუსთა დღეთაჲსაში“ იგავთა შინაარსები (სიუჟეტები და ფაბულები) კი არ გვაქვს, არამედ—მითითება ამა თუ იმ ცხოველის თუ საგნის თვისებებზე. „ექუსთა დღეთაჲსაში“ კერძოდ ვკითხულობთ: „კვრიონი არს მფრინველი ზღვსაჲ. და დაიბუდის მან კიდესა თანა ზღვსასა, და დასხნის კუერცხნი თვისნი ქვშასა ზედა და გამოიხსნის. მართუენი თვისი შუა ზამთრის, რაჟამს არიედ ქარნი ფიცხელ და ზღუაჲ გამოასხამნ ქუეყანად. არამედ შვდთა მათ დღეთა შინა-

1 დ. ბაქრაძე, ბიბლიოგრაფიული ცნობა, ივერია, 1886, № 27.

2 მ. ჭანაშვილი, ქილილა და დამანას, თეზი, 1912, № 88.

3 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 15.

რომელთა აზინ კურცხთა მათე ზედა, დაყუდნის ქარი და ზღუაჲ დანელდების, და მეშვდესა დღესა გამოისხსნის მართუენი თვისნი. და მიანიქის ღმერთმან მცირესა ამას ცხოველთა სხუაჲ-ლა შვლი დღე მყუდროჲ საზრდელად მართუეთა თვისთა; ვიდრემდის შენავეთაჲ ყოველთა იციან ესე და უწოლიან მათ დღეთა კვრეონიანნი“<sup>4</sup>. „ქართლის ცხოვრებაში“ მოტანილი ადგილი ან თავისი სიტყვებით გადმოუცია მის ავტორს (თუ ასეა, იგი ბრკველებში არ უნდა იყოს), ანდა შეიძლება, სხვა თარგმანით სარგებლობდეს იგი (გამორიცხული არაა თვითონვე თარგმნიდეს საგანგებოდ). პირველი ვარაუდის საწინააღმდეგოდ მეტყველებს თვით იგავის გმირის სახელი. „ექუსთა დღეთაჲ“ მას კვირიონს უწოდებს, ხოლო ქართლის ცხოვრებაში ალკუნი ეწოდება. „ქილილა და დამანასი“ აი, ამ ზღვის ფრინველის ამბავია მოყოლილი. მოთხრობილია ასეთი სიუჟეტი: თითვეი ზღვას არ ებუება და ბუდეს მის ნაპირზე დაიდებს. ზღვა შთანთქავს მის ბუდეს და კვერცხებს. თითვეი ფრინველთა მეფესთან, სიმურღთან ჩივის. ეს უკანასკნელი თავისთავად ზღვის უფროსს მიმართავს. ზღვის უფროსი კი უკანვე უბრუნებს თითვეის თავის ბუდესა და ბარტყებს<sup>5</sup>. თავისთავად „ქილილა და დამანასი“ იგავის შინაარსი არც ისე უდგება მაინცდამაინც ვითარებას „ქართლის ცხოვრების“ სათანადო ადგილისას, სადაც ეს იგავი მოაქვთ.

ასეთივე ნაძალადეგია მ. ჭანაშვილის მესამე და მეოთხე მაგალითი. მას ჭუანჭერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისაში“ მოტანილი ორი იგავი, სინდთა მეფესა და ვახტანგს რომ მოაქვთ, „ქილილა და დამანასი“ ჰგონია. სინდთა მეფე ვახტანგს უყვება ასეთ ამბავს: ყვაემა არწივის მიერ გაგლეჯილი ქორი იპოვა. ყვაეთა წესს გარდახდა, შეიწყალა და ზრდიდა. ქორმა ყვაეთა ულუფა დაიწუნა და მისი კეთილისმყოფელი ყვაევი შექამა<sup>6</sup>. მ. ჭანაშვილს მიაჩნია, რომ ესაა „ქილილა და დამანასი“ იგავი „ქორის ბარტყი და ყორანი“. მაგრამ ისინი შინაარსით და მაშასადამე, დასკვნითაც, ერთმანეთისაგან განსხვავდება. „ქილილა და დამანასი“ ქორის ბარტყი რომ გაიზრდება, ყვაევის ბუდეს მშვიდად ტოვებს, აღმზრდელის ნებართვით სანავარდოდ მიდის და სამეფო ქორი ხდება. ესეც არ იყოს, დავიწყებულა, რომ

<sup>4</sup> უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულეხისათვის“, ილია აბულაძის გამოცემა, თბ., 1964, გვ. 116. შემდეგში: „ექუსთა დღეთაჲ“.

<sup>5</sup> C II, 207 („დედალ-შამალი ზორაყი და ზღვის უფროსი“).

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955, გვ. 190. შემდეგში: ქართლის ცხოვრება, I.

ეს იგავი ადრეულ ვერსიებში, არაბულსა და ნასრ ალ-ლაჰისეულში, არ იკითხება, იგი ქაშეფიმ შეიტანა კრებულში. და მაშასადამე, გვიანდელია (XV ს.).

მეორე იგავში ვახტანგი სინდთა მეფეს ეუბნება: „შენ თხუნელასავეთ ბნელში ზიხარ, უსინათლო თხუნელას გავხარ, რომელსაც „ეგეოდენი ჰქონიეს მას ცხოვრება ყოველთა იძვრისთა (მოძრავთა), ვითარსა ცხოვრებასა თვით არს“. შენ გონების თვალთ ბრმა ხარ, რადგან ქრისტეს არ ესაგო<sup>7</sup>. აქ მითითებაა თავის ზოგად თვისებაზე და სრულებითაც არ იგულისხმება „ქილილა და დამანას“ რომელი იგავი. „ქილილა და დამანასში“ თავგზე ხუთი იგავი იკითხება („თავვი და ფეტვის ორმო“ — C I, 120; „ჭილყუვი და თავვი“ — C I, 310; „ქალადქეული თავვი — C I, 437; „ქატა და თავვი“ — C II, 58; „თავვისა და მყვარის მეგობრობა“ — C II, 78), მაგრამ არც ერთის შინაარსი არ უდგება ზემოთმოტანილ ადგილს. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ გამოყვანილია არა თავვი, არამედ თხუნელა — „თავვი მთხუნველი“. ეს უკანასკნელი საბას განმარტებით არის „ბრმა თავვი“. თავგზე აქ არც შეიძლება ლაპარაკი იყოს, რადგან იგი ბრმა არ არის, სულ მიწაში არ ცხოვრობს. მზესაც უსწორებს თვალს და მინდვრის სილამაზეც უნახავს.

მ. ჭანაშვილის მცდარი ექსკურსები დღემდე ჩვენში მიღებული<sup>8</sup>.

ასე რომ, ვიმეორებთ, მართალია ვახტანგ VI, როცა მხოლოდ ერთ ქილილასეულ იგავზე უთითებს „ქართლის ცხოვრებაში“ და მეტზე არა. და ჩვენ არ ვიცით, ისიც ქართულად გვექონია თუ რომელიმე არაქართული ვერსიიდან იცის „აზმანის“ ავტორმა. იგი „ყოველმხრივ განსწავლული კაცი ჩანს, რომელიც... აღმოსავლური და დასავლური განათლების ღრმა ცოდნას ამჟღავნებს“<sup>9</sup>. ამ ძეგლში დასახელებული ყველა თხუნულება, ავტორი და ისტორიული პირები, რა თქმა უნდა, მხოლოდ ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურით არ იყო ცნობილი, მათი ორიგინალით ან სხვა წყაროებით იცნობდნენ. ასევე შეიძლება შევხედოთ „ქილილა და დამანას“ ხსენების საკითხს „ქართლის ცხოვრებაში“.

7 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 192.

8 მას ემყარება ალ. ბარამიძე, როცა წერს: „ქილილა და დამანას“ ორი იგავ-არაკი მოიპოვება ჩვენი ძველი მატეანის იმ ნაწილში, სადაც მოთხრობილია „ჰამბავი ვახტანგ გორგასალისა“ (ა. ბარამიძე, ქილილა და დამანას საბასეული რედაქციის ლექსები, ლიტერატურული ძიებანი, XI, გვ. 23. შემდეგში: ა. ბარამიძე, ქილილა და დამანას საბასეული რედაქციის ლექსები).

9 კ. ეკეელიძე, შესავალი თარგმანისა „История и восхваление венцесосцев. Тбилиси, 1954, გვ. 9—10.

„ანეარ-ე სოპილის“ ქართულად თარგმნა დაუწყია დავით კახთა მეფეს (ვ. 1602 წ.), ქეთევან წამებულის მეუღლესა და თეიმურაზ პირველის (1589—1663) მამას, მაგრამ მას საქმის დაბოლოება არ დასცლია. ვახტანგ VI-ის ცნობით დავითს წიგნი „კუსა და მორიელის არაკამდის ეთარგმნა“ (C I, 38)<sup>10</sup>. დავითის თარგმანი დღემდეა შემონახული, მისი ორი ნუსხა მოგვეპოვება. ერთი—კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (S 3177), ხოლო მეორე —საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში (№ 03628). პირველი ხელნაწერი ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა, ხოლო მეორე — გ. ლენინძემ, როგორც პირადად მისგან გავციგონია.

როგორც ე. თაყაიშვილმა დაადგინა, S 3177 ხელნაწერში (მეცნიერებაში მას A ვერსიას უწოდებენ) მოქცეული თარგმანი კოლექტიური ნაშრომია<sup>11</sup>. ე. თაყაიშვილს ამისთვის უბიძგებდა თვითონ ვახტანგ VI-ის ანდერძი, რომელიც „ქილილა და დამანას“ ქართულ თარგმანებს ერთვის. ესაა სწორედ ის ვერსია, რომელშიაც დავითის თარგმანს აგრძელებს ანონიმი სპარსელის, ხოლო ამ უკანასკნელისას — ანონიმი სომხის თარგმანები. ე. თაყაიშვილის შრომა იყო ქართული „ქილილა და დამანას“ მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი პირველი ეტაპი, რომელმაც გააბათილა ა. ხახანაშვილის მოსაზრება, თითქოს A ვერსია სწორედ ის XII ს. თარგმანი უნდა ყოფილიყო, რომელზედაც ვახტანგი უთითებს თავის ანდერძში<sup>12</sup>. ე. თაყაიშვილმავე მიუთითა იმაზედაც, თუ რა ხასიათის მუშაობა გასწია ვახტანგმა. საქმე ისაა, რომ ამ ხელნაწერში იკითხება პირავალი შესწორებანი, გაკეთებული სტრიქონთა თავზე და აშიებზე, — ორიგინალის სრულად გადმოცემისა თუ უკეთ გაგების მიზნით.

<sup>10</sup> დავითისეულ თარგმანს ორი წერილი უძღვნა მ ა კ ა რ ხ უ ბ უ ა მ: დავითისეულ ქილილა და დამანა (A ვერსია), საქ. მეცნ. აკადემიის შობაზე, ტ. VII, № 8, 1946, გვ. 529; ორი აღვლის განმარტებისათვის „ქილილა და დამანას“ ქართულ ვერსიებში. საქ. მეცნ. აკადემიის შობაზე, ტ. VIII, № 1—2, 1947, გვ. 83.

<sup>11</sup> Е. Такайшвили, Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“, т. I, Тб., 1902—1904, გვ. 305. შემდეგში: О п и с а н и е, I.

<sup>12</sup> А. Х а х а н о в, Грузинский отрывок Калилы и Димны, Древности восточные, III, вып. I. М., 1899, გვ. 2.

ა. ხახანაშვილი ამ ნაშრომში განიხილავს ერთ კრებულში (S 110) მოქცეულ თოთხმეტ იგავს, რომელიც, ეტყობა A 3177 ხელნაწერიდან უნდა იყოს გადმოწერილი. იგი იწყება იგავით „ძალად ბრქე“ და თავდება იგავით „პოლვაწე და დერგი ვრბო“ — მიყოლებითაა გადმოწერილი ისინი, ოღონდ „ძალად ბრქე“ და „მარტომყოფელის ცხვარი და მპარაენი“ ბოლოში მოქცეულა, რაც ასევე გადმოუტანია თავის პუბლიკაციაში ა. ხახანაშვილს, რომელსაც შეუძლოდა იგი არაბულიდან ეგონა თარგმნილი.

ე. თაყაიშვილმა გაარკვია, რომ ეს ჩასწორებანი, და მათ შორის ლექსები, ვახტანგს ეკუთვნის. „ვინაა ავტორი ამ ლექსებისა? — ჰკითხულობდა მეცნიერი და იქვე პასუხობდა, — ეპკეს გარეშეა, ყველა ლექსი ამ ხელნაწერში ვახტანგ VI-ს ეკუთვნის. ამაში ჩვენ გვარწმუნებს ხელი, რომლითაც დაწერილია ლექსები. ამ ხელს ვახტანგ VI-ს ავტოგრაფებს რომ უღარებთ, არ შეიძლება, მათ შორის სრული იგივეობა არ ცნოთ“<sup>13</sup>. ამრიგად, გაირკვა და ნივთიერად დადასტურდა ის, რასაც ვახტანგი გვაუწყებს თავის ანდერძში: მას ხელთ ჩაუვარდა დავითის თარგმანი (მისი ცალია ლიტერატურულ მუზეუმში დაცული ხელნაწერი, რომელიც მხოლოდ კუ და მორიელის იგავამდეა)<sup>14</sup>, იგი გააგრძელებინა ჯერ თბილისში ვინმე ქართულის მცოდნე სპარსელს, ხოლო მერე ირანში — ვინმე სომეხს.

სამწუხაროდ, ვახტანგი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ საიდან სანამდევ თარგმანს ანონიმმა სპარსელმა ან ანონიმმა სომეხმა, მათ სახელსაც კი არ ასახელებს (თავისთავად მათი არაქართველობა და ქართული ენის ზედმიწევნითი ცოდნა ამტკიცებს, თუ რა მკიდროდ ყოფილა ეს ორი, სპარსული და ქართული, ელემენტი ერთმანეთთან დაკავშირებული). კიდევ მეტი, თვით დავითის თარგმანის მიჯნაც საცილობელია: კუ და მორიელის არაკამდე, თუ მისი ჩათვლით? ალ. ბარამიძის აზრით, ეს არაკიც დავითის მიერ უნდა იყოს თარგმნილი, ხოლო „უცნობი სპარსელის თარგმანი უნდა იწყებოდეს არაკით „იხვი და მთვარის შუქი“<sup>15</sup>. მკვლევარის ვარაუდით უცნობი სომხის თარგმანი კი მეოთხე კარით უნდა იწყებოდეს<sup>16</sup>. ალ. ბარამიძის აზრით „მეტად სახიფათო ხდება სტილის თვალსაზრისზე დამყარება, რადგან სპარსელსაც და სომეხსაც ერთგვარი სასაუბრო, მდაბიო-ხალხური, არასალიტერატურო ენით უწერიათ“<sup>17</sup>. ვფიქრობთ, რადგან სხვა გზა არ არის, სტილისა და ენობრივი თავისებურებების გათვალისწინება შეიძლება ყველაზე უკეთ გამოდგეს მთარგმნელთა გასამიჯნავად. „ქილილა და დამანაში“ იგავის მოყოლის შემდეგ პერსონაჟი იტყვის ხოლმე: ეს იგავი იმისთვის მოვიყვანეთ, რომ ასე და ასე უნდა ვიცოდეთო. ამ იგავებს დავითი და სპარსელი (ე. ი. კუ და მორიელის არაკამდე და ცოტათი მის შემდეგაც) არაკს უწოდებენ, როცა სომეხი (ე. ი. წიგნის ბოლო არაკები) მასალს (سلس) ხმარობს. ხოლო ალ. ბარამიძის მიერ

<sup>13</sup> Описание, I, გვ. 305.

<sup>14</sup> ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 295.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 299.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 298.



მითითებული IV კარზე 25 გვერდით უფრო ადრე, 188 გვერდიდან უკვე გვხვდება ეს მასალი. შეიძლება ანონიმი სომხის თარგმანი აქ იწყებოდეს.

ვერსია სრულად არ შემოგვრჩენია, მას აკლია თავსა და ბოლოში რამდენიმე გვერდი. მისი ენა, როგორც ალ. ბარამიძე აღნიშნავს, სასაუბროა. მაგრამ დავითის ნაწილზე ეს ნაკლებად ითქმის, მას უთუოდ „ამძიმებს“ ლიტერატურული სტილი. როგორც აღნიშნავდით, „ანვარ-ე სოჰაილიში“ ბლომადაა სხვა პოეტთაგან ციტირებული ლექსები. ეს ლექსები A ვერსიის ავტორთ იშვიათად გადმოაქვთ, ხოლო რაც გადმოაქვთ, ისიც პროზით (სტრიქონთარგმანით) აქვთ გადმოცემული. ხელნაწერში სტრიქონები შეეული ხაზითაა გამოჩნული. ვახტანგს სწორედ აქ გამოუჩენია პედანტობა: მას სტრიქონთა ზემოთ გაუსწორებია არაზუსტი გაგებანი და ჩაუმატებია ყველა იმ ლექსის სტრიქონთარგმანი, რომელიც მათ დაეკლოთ. აქ ამ ვერსიის ასეთი ზოგადი დახასიათებით ვკმაყოფილდებით „ქილილა და დამანას“ ქართული თარგმანის შექმნისა და მისი მეცნიერული შესწავლის ისტორიის მოკლედ გადმოცემის მიზნით. დაინტერესებულ მკითხველს მის დაწვრილებით ანალიზს შეუძლია გაეცნოს ე. თაყაიშვილისა და ალ. ბარამიძის უკვე დასახელებულ ნაშრომებში.

თავის ანდერძში, რომელიც „ქილილა და დამანას“ ერთვის, საბა გვამცნობს, რომ ეს ძეგლი ვახტანგს უთარგმნია და საბასთვის გამოუგზავნია გასაჩალხავად. მასაც მეფის დავალება შეუსრულებია. საბას ნამუშავევი ცნობილი იყო და იგი გამოიცა კიდევაც<sup>18</sup>. ამრიგად, უკვე საქმე გვაქვს „ქილილა და დამანას“ კიდევ ერთ ვერსიასთან. ა. ხახანაშვილს ეგონა, რომ საბას ღვაწლი „ქილილა და დამანას“ ლექსების გაჩალხვით ამოიწურება. იგი წერდა: მეფის შრომა გაიზიარა სწავლულმა ბერმა საბა-სულხან ორბელიანმა: პირველს, ე. ი. მეფეს მიეკუთვნება პროზა, მეორეს, ბერს — ლექსებიო<sup>19</sup>.

ა. ხახანაშვილის ეს მოსაზრება არეკლილია ვაზ. „ივერიის“ ფურცლებზე დაბეჭდილ სტატიაში, რომელსაც მისი ავტორი (ფსევდონიმი: Silwa) უძღვნის ა. ხახანაშვილის მოხსენებას გაკეთებულს მოსკოვის საიმპერატორო საარქეოლოგო საზოგადოების სხდომაზე 1888 წ. 11 აპრილს<sup>20</sup>.

<sup>18</sup> ქილილა და დამანას, ილია ჭყონიას რედაქციით. ტფილისი, 1886.

<sup>19</sup> Александр С. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, вып. III. М., 1901, გვ. 128. შემდეგში: А. Хаханов, Очерки.

<sup>20</sup> ივერია, 1888, № 91.

ამრიგად, XX ს. ოცდაათიან წლებამდე ფართო ქართული საზოგადოება იცნობდა ორ რედაქციას: 1) დავითისა და ანონიმების რედაქციას და 2) საბას რედაქციას, რომელშიაც რაღაც წელიწადი უნდა ჰქონოდა ვახტანგს. მაგრამ პასუხი იყო გასაცემი კითხვისათვის: რომელი და როგორი იყო ის რედაქცია, რომელიც ვახტანგმა გაუგზავნა საბას გასაჩაღსა? ე. თაყაიშვილს მიაჩნდა, რომ ვახტანგმა საბას სწორედ ის A ვერსია გაუგზავნა. მაგრამ რაში გამოიხატებოდა ვახტანგის როლი, რატომ უნდა ეწოდებინა მისთვის თარგმანი? ე. თაყაიშვილი A ვერსიის ბრწყინვალე ანალიზს იძლეოდა და უჩვენებდა ვახტანგის ღვაწლს მისი სრულყოფის საქმეში: ვახტანგს დედნისთვის შეუდარებია თარგმანი, სადაც ლექსი დაეკლოთ, მიეწერა, — ზოგი სტრიქონთარგმანით, ზოგი გაწყობილი ლექსით, ზოგან კი უბრალოდ დაენიშნა: აქ ორიგინალში ლექსიაო და სხვ.<sup>21</sup> აი, ამ რედაქციული მუშაობის შედეგად მიღებული თარგმანი მიაჩნდა ე. თაყაიშვილს ვახტანგის ვერსიად. ვახტანგის ღვაწლი აქ იმდენი იყო, მისი შრომის შედეგად დავითისა და ანონიმთა თარგმანმა ისე იცვალა სახე, რომ არაფერი არ იყო საჩოთირო S 3177 ხელნაწერში ორი ვერსია ამოგვეკითხა (შემთხვევითი არაა, რომ კ. კეკელიძე აქ ვახტანგის ღვაწლს გამოყოფს როგორც ცალკე რედაქციას. ის საერთოდ ამ ტერმინს ხმარობს და არა ვერსიას „ქილილა და დამანას“ მიმართ)<sup>22</sup>.

თითქოს ყველაფერი ნათელი იყო. მაგრამ აკაკი შანიძემ ალ. ბარამიძეს ყურადღება მიაქცევინა ლენინგრადში დაცულ ერთ ქართულ ნუსხაზე (ყოფილი სააზიო მუზეუმის ბროსესეული კოლექციის ხელნაწერი M 53), რომლის გამოჩენამ შუქი მოჰფინა მეტად ბუნდოვან და დამაბნელებელ საკითხს — ვახტანგის პირად როლს თვითონ ძეგლის თარგმანში. ალ. ბარამიძემ პირველმა შესწავლა ეს ხელნაწერი და დაასკვნა, რომ სწორედ ეს იყო „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული თარგმანი. ამ ხელნაწერის გამოჩენებამ და მისი შესწავლის შედეგად გამოქვეყნებულმა ალ. ბარამიძის შრომამ „ანგარი სოპილის ანუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები“ მთელი ეპოქა შექმნა ამ ძეგლის შესწავლის საქმეში. უცილობელი გახდა, რომ საბას რედაქციას სწორედ ეს თარგმანი ედო საფუძვლად და არა A ვერსია. უკვე ნიშანდობლივი გახდა თვით მ. ბროსეს ცნობა: „მე ხელთ მქონდა ვახტანგ მეფის თარგმანის ორიგინალი, რომელიც შეიცავდა

<sup>21</sup> Описание, I, გვ. 304.

<sup>22</sup> კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 470.

მასზე მუშაობის მთელ ისტორიას და შესწორებებს, რომელთაც განუწყვეტლივ აკეთებდა მეფე-მწერალიო<sup>23</sup>.

მ. ბროსე არა ერთხელ ეხებოდა „ქილილა და დამანას“<sup>24</sup>, მაგრამ მათი სრული ანალიზი არ მოუცია. A ვერსიას ის, ეტყობა, არ იცნობდა, მაგრამ იცოდა საბას და ვახტანგის ანდერძებიდან, რომ ამათ გარდა, „ქილილა და დამანას“ თარგმნაზე სხვებსაც ემუშავნათ. მ. ბროსე იცნობდა საბას ვერსიას, რომელსაც კოლექტიურ ნაშრომად თვლიდა<sup>25</sup>, მიაჩნდა, რომ პროზა ვახტანგს ეკუთვნის, ხოლო ლექსი—საბას. ხოლო ვახტანგის ვერსია რადგან მის კოლექციაში ყოფილა, შეიძლება, სათანადოდ იცნობდა მას და იცოდა, რომ იგი ედო საფუძვლად საბას ვერსიას.

ვახტანგისეული თარგმანი, განსხვავებით A ვერსიისა, სიტყვა-სიტყვითია (სტრიქონთარგმანია). განსხვავებით, ვამბობთ იმიტომ, რომ A ვერსია, მართალია, შემოკლებულიცაა (ლექსები ყოველთვის არაა თარგმნილი), მაგრამ მაინც მხატვრული თარგმანია<sup>26</sup>. ხოლო ვახტანგის თარგმანი არაა მხატვრული, იგი, ვიმეორებთ, სტრიქონთარგმანია. ვახტანგმა თავისი ვერსია საბას გაუგზავნა გასაჩაღხავად. როგორც ალ. ბარამიძემ გააკრეცა, ლენინგრადში დაცული ნუსხა (M 53) სწორედ ის ცალია, რომელიც საბას ჰქონდა ხელთ. ვახტანგს ნდომებია, რომ საბოლოო რედაქცია არ დაცილებოდა დედანს, ამ მიზნით გაგზავნის წინ ის რამდენიმე გართიმული ლექსი, რომელიც მას აქა-იქ ჩართული ჰქონდა (ზოგი მთვანი მან ჯერ კიდევ A ვერსიის, ე. ი. S 3177 ხელნაწერის, აშეებზე გალექსა), გადაუშლია და ზუსტი სტრიქონთარგმანით შეუცვლია. „ქილილა და დამანას“ მკვლევრები პირველ ხანებში ფიქრობდნენ: საბას ვახტანგის პროზისთვის არ უხვია ხელი და მხოლოდ ლექსები გაურითმავსო<sup>27</sup>. რატომღაც დავიწყებული იყო დ. ჩუბინაშვილის სწორი ცნობა: „ვახტანგ მეფის თარგმანის პოეტური ნაწილი, თვით ტექსტიც კი, გამართულ იქნა საბა-სულხან ორბელიანის მიერ და

<sup>23</sup> M. Brosset, De la littérature romanesque géorgienne. 1877, ტ. VIII (1881), გვ. 440.

<sup>24</sup> იხ. Bibliographie analytique ouvrages de Marie-Felicité Brosset, Saint-Petersbourg, 1887.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 440.

<sup>26</sup> იხ. მისი ტექსტის ნიმუშები: ა. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 359—364; არშალანი, აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები. თბილისი, 1965, გვ. 146—147.

<sup>27</sup> A. Хаканов, Очерки, გვ. 128.

ამიტომ სილამაზითა და ხელოვნებით დედანს არ ჩამოუვარდება<sup>28</sup> (ხაზი ჩვენია. მ. თ.). აქ ალ. ბარამიძის კიდევ ერთი დიდი დამსახურება ისაა, რომ მან ცხადპყო საბას როლი ამ საქმეში და დაასაბუთა დ. ჩუბინაშვილის მიერ გაცვრით გამოთქმული მოსაზრება, შეუდარა რა ერთმანეთს მეცნიერებაში პირველად მის მიერ მოხმობილი ვახტანგის თარგმანი (რომელსაც B ვერსია უწოდა) საბას რედაქციას (C ვერსია), დაყრდნობილს ამ თარგმანზე. საბას ვერსია ავტოგრაფის სახითაც არის შემონახული. ესაა სწორედ ის კანონიკური ტექსტი, რომელიც ასე გავრცელდა და რომელიც ილია ქყონიამ გამოსცა პირველად.

ზუსტად არც ერთი ვერსიის თარიღი არაა ცნობილი. A ვერსიის თარგმნა 1602 წელს უნდა დაწყებულიყო (ამ წელს გარდაიცვალა მისი წამომწყები დაეით კახთა მეფე, ხოლო თარგმნით ცოტას თარგმნა მოასწრო) კახეთში. იგი გავრცელდა საქართველოშივე და 1714 წლისთვის დასრულდა ისპაჰანში. ამ დროისთვის ვახტანგი მის რედაქტირებასაც მორჩა. B, ვახტანგისეული, ვერსია ჩირმანში შეიქმნა, სადაც ვახტანგი 1714 წლის მარტიდან 1716 წლის მაისის ბოლომდე იმყოფებოდა. როდის შექმნა საბამ თავისი ვერსია? მათი ანდერძებიდან ვიგებთ, რომ 1716 წლის ივნისიდან ვახტანგმ ისპაჰანს გაიწვიეს და მან ამ დროისთვის უკვე დაანება თავი მასზე მუშაობას, თუმცა გაჩაღხვა აკლდა. საბას ანდერძიდან და მის მიერ თხზულებას წამძღვარებული სამი იგავიდან ჩანს, რომ როცა საბას შეკვეთა მოუვიდა, მაშინ ვახტანგთან უმზრახად იყო. როდის შეიძლებოდა ვახტანგი თავის გამზრდელს დამღურებოდა? ალ. ბარამიძე სამართლიანად წერს: „როგორც ჩანს, ვახტანგს უკულმართად მოუთხრეს საბას მოგზაურობის ამბავი“ (ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, II, გვ. 252). ჩანს, საქართველოს დიპლომატიური კრახი ევროპაში საბას დააბრალეს. საბა 1716 წ. ივლისში დაბრუნდა ევროპიდან. მისი შედგების გაცნობას, სხვათა მიერ ბეზღებასა და ინტრიგების გაბმას ერთგვარი დრო მოუწოდებოდა. ვახტანგი ბოდიშს უხდის საბას („მოეწერა მალალსა მდაბალი ბოდიშები“), ე. ი. შეკვეთის მიღების დროისთვის ვახტანგს გაურკვევია საბას უდანაშაულობა და ბოდიშები შემოუთვლია. ამასაც დრო დასჭირდებოდა. ასე რომ დაახლოებით 1717 წ. საბა იწყებს თარგმანის გაჩაღხვას. მაგრამ როდის დაასრულა მან იგი, არ ვიცით. ალ. ბარამიძე საერთოდ საბას ვერსიის შექმნას ახლა 1717—1720 წლებში ვარაუდობს (ნარკვევები, IV, თბილისი, 1964, გვ. 137), ადრე კი მიაჩნდა, რომ „ქი-

<sup>28</sup> ქართული ქრისტომატია ანუ გამოკრებილი ადგილები ქართულთა წერილთაგან დაეით ჩუბინოვის მიერ. ნაწილი პირველი. პროზა. სანკტ-პეტერბურლი, 1846, გვ. 111.

ლილა და დამანა“ სულხან-საბა ორბელიანმა დაამუშავა ევროპიდან დაბრუნების შემდეგ, XVIII საუკუნის ოციან წლებში“ (ა. ბარამიძე, ქილილა და დამანას საბასეული რედაქციის „ლექსები, გვ. 21). როგორც დავინახავთ, კ. კეკელიძე ფიქრობდა, ვახტანგმა ონანასა და საბას თავისი ვერსია ერთდროულად გაუგზავნაო. ჩვენი მოსაზრებით, ეს ვარაუდი არ უნდა იყოს სწორი. ამის დასაბამებლად გვინდა შევჩერდეთ ონანასეული ვერსიის ზოგ საკითხზე მით უმეტეს, რომ იგი საბასეული „ქილილა და დამანას“ შესწავლის საქმეში ერთგვარ დახმარებას გვიწევს.

ეს ვერსია ერთადერთი (ავტოგრაფული) ხელნაწერთაა შემორჩენილი<sup>29</sup>. ის რომ არა, ამ ვერსიაზე არაფერი გვეცოდინებოდა და უწყურადღებოდ დაგვრჩებოდა ვახტანგის ეს ლონისძიება, — რომელიც თავისთავად ამოცანად იქცა, — ის ფაქტი, რომ თავისი სტრიქონთარგმანი მას მარტო საბასთვის კი არ გაუგზავნია გასაჩაღბავად, არამედ ონანასთანაც უთხოვია პოეტური შემწეობა. ვახტანგის ანდერძის საამვერსიო ვარიანტში მეფე მკაფიოდ ვაგვაცნობს საქმის ვითარებას: ჩვენ სპარსულში ჩართული ლექსების ლექსადვე გადმოტანისთვის ვერ მოვიცალეთ და ეს საქმე ონანას დაევალებოთ. ონანას ეს დავალება შეუსრულებია, — ვახტანგის პწკარედი თარგმანის ლექსითი ადგილები გაუწყვია, ხოლო პროზისთვის ხელი არ უხლდა<sup>30</sup>. ონანა კარგი პოეტი იყო. „ქილილა და დამანას“ გარდა მას გაულექსავს აგრეთვე „ბარამგულიჯანიანი“<sup>31</sup>. აქვს შესანიშნავი პოეტური ალღო. უმეტეს შემთხვევაში იგი ვახტანგის პწკარედის მასალას გამოიყენებს ხოლმე, ზოგჯერ შეაბრუნებს ტექსტს, ნეიტრალურ ფრაზებს ჩაურთავს ან სარიტმო სიტყვებს წაუმატებს და ლექსიც მზადა აქვს. მაგ. ვახტანგო: „სიბერე კირის ქოსსა რა დაპკრავს, გული სიმხიარულისა და შევებიდან გამარტოვდება. თეთრი ბეწვი სიკუდილის მოციქულია, ზურგის მოხრა სიკუდილის სალაშის მოტანაა“ (B 89).

ონანა:

„რა სიბერე კირის ქოსსა დაპკრავს, ის მის ხმანი მწაჩე,  
გული შევებით, სიხარულით განმარტოვდეს, იყოს მდარე,  
თეთრი ბეწვი სიკუდილისა მოციქული დასაზარე,  
და ზურგის მოხრა მოკვდავების სალაშია მოუხმარე“ (63r).

<sup>29</sup> ხელნაწერი ინახება მის აღმომჩენთან, ს. ყუბანეიშვილთან, რომელმაც მისი პირი თავაზიანად დაგვიტოო.

<sup>30</sup> ონანასეული ვერსიის შესახებ იხ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 348.

<sup>31</sup> Описание. I, გვ. 534. მისი პოეტური შემკვიდრება გამოკვეყნებულია დავით ბრეგაძის წიგნში — ქართული მწერლები რუსეთში. თბილისი—ქუთაისი, 1958, გვ. 25. შემდეგში: დ. ბრეგაძე.

ონანას, როგორც ამას იგი თავად აცხადებს, „სპარსულის ლექსის რიგი“ არ სცოდნია და ამის გამო თხზულება ქართული სალექსო ფორმებით გაუწყვია. სალექსო ზომათაგან მას გამოუყენებია შაირი და ფისთიკაური, ხოლო „მყარ ფორმათაგან“ „ლექსი“ და მონორიმი. ლექსები, საბას მსგავსად, მასაც დასათაურებული აქვს ამ ნიშნებით, მონორიმები ტაეპთა რაოდენობის მიხედვით აქვს მონათლული (მრავალმუქლი<sup>32</sup>, შაირი). მისი ფისტიკაური ასეთი ჩაბრუნებულია:

„კეთილის გვარი, უხვების ქნარი, იგიცა არის სიბრძნისა კარი.  
ხაზინის პოენა, თეთრის არ ყოენა, მისგანვე ჳელის ალება არი“ (25 v).

ონანას ბევრ მონორიმს მატლაც აქვს. მატლას მქონე ლექსის პირველი ტაეპის პირველი მუხლი შეიძლება ორ რითმოვან ტერფად იყოფოდეს, ოლონდ ამ ტერფთა რითმები ერთი და იმავე სიტყვის მექანიკური განმეორებით მიიღება. ონანასეული მატლას მქონე მონორიმი (წყვილ მუხლთა წესით დალაგებულ) ასეთია:

„ამისი სახე გეანია,  
დიდებულთ შეკახმანია,  
რომე ლექსითა განწყობით  
წიგნსა შემოსეს ტანია.  
იჯავნი სეიანობისა  
არს თეაღნი ბეკდისანია.  
შაირნი გულის წამდებნი  
ვარდ-კუქურ ფეროვანია.  
თაეით ბოლომდი ხუქუქი  
ეგრე, ვით მუჟის თმანია.  
ამისი მწიფე სიტყვისა  
სიბრძენი სხიოვანია.  
წმინდის გულისა სიშართლე  
ვით საიდუმლოვანია“ (1 r).

ორრითმიანი მუხლის მქონე:

„აჰა სარონი, სარონი,  
გულის გამდები წყარონი და ა. შ.“ (14 v).

ამ ნიშნით მისი ლექსები ვახტანგისას ჰგავს. ვახტანგმა საბას ვერსიას თავისი ანდერძი (წინასიტყვაობა) წარუძქდვარა. საბამ მას თავისი ანდერძი მიაყოლა. ასეთივე სურათი გვაქვს ონანას ვერსიაშიც. აქ ზუსტად მეორდება ვახტანგის წინასიტყვაობის ის ნაწილი, რაც საბას ვერსიაში იკითხება, ოლონდ ემატება ცნობა იმის თაო-

<sup>32</sup> გვხვდება აქ ათტაეპიანი ლექსებიც. მონორიმი, რამდენი ტაეპიც უნდა იყოს იგი, ონანასთვის ერთი სტროფია და მხოლოდ მის ბოლო ტაეპს უძქდვარებს. ხანათა გასაყარ „და“-ს (იხ. 59 v, 60 r და სხვ.).

ბაზე, რომ თავისი ნამუშავევი მან ონანას გაუგზავნა შიგ ჩართული კწყარედების გალექსეის მიზნით. ისმის კითხვა: როდის დაწერა ეს წინასიტყვაობანი ვახტანგმა: ამ ვერსიითა დამთავრების შემდეგ თუ მანამდე? თუ პირველ ვარაუდს მივიღებთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგს დაუბრუნდა ნამუშევარი მათგან და მერე წარუძღვარა მან ეს წინასიტყვაობანი ამ ვერსიებს. მაგრამ ეს რომ ასე არ ყოფილა, ჩანს იქიდან, რომ ვახტანგის წინასიტყვაობა იკითხება საბას ავტოგრაფულ ნუსხაში (S 31). აშკარაა, ვახტანგმა წინდაწინ დაწერა ანდერძი როგორც საბას, ისე ონანას ვერსიებისათვის დასართავად და იგი ერთსავე გაუგზავნა და მეორესაც. ვახტანგის ნათქვამი:

„მერმე უბრძანეთ ღლივანსა, ჩენსა კარისა მონასა  
სპარსულის რიგით გალექსეა, მანცა არ ცუდად მონასა“ (8 v)

იმას როდი ნიშნავს, რომ ამ დროს ონანას ნამუშავევი მას უკვე მიღებული ჰქონდა, რადგან იქვე ვკითხულობთ:

„შექკრავს და ტურფად შეაწყობს წალკოტის ვარდის კონასა,  
გააგავშირებს ხელოვანთ შექმნულსა ოქროს წონასა“.

ჟ. კეკელიძის აზრით, ვახტანგმა საბასა და ონანას ერთდროულად იმითომ გაუგზავნა სამუშაო, რომ არ იყო დარწმუნებული, ამ დროისთვის მასთან შემწყყრალი საბა ამ დავალებას შეასრულებდა<sup>33</sup>. ეს მოსაზრება არ უნდა იყოს სწორი. ჟ. კეკელიძის ერთადერთი არგუმენტი, რომ საეკვოა, ვახტანგს ონანას ნამუშავევი არ მოსწონებოდა, რადგან მისივე სიტყვებდან ვიცით, რომ მას იგი ნასად არ მოჩვენებიაო, სწორი არ ჩანს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვახტანგმა ეს ანდერძი წინასწარ დაწერა და შეფასებაც წინდაწინ მისცა ონანას ღვაწლს. ონანას ვერსია არ ყოფილა შეწყნარებული, ხოლო საბას ვერსია ვახტანგისვე ნებით გადაუნუსხავთ და საუცხოო მინიატურებით შეუშკიათ<sup>34</sup>. საბას ვერსიის ასეთი აღიარების შემდეგ, რა თქმა უნდა, ვახტანგს არ გაუჩნდებოდა სურვი-

<sup>33</sup> ჟ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 469.

<sup>34</sup> აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების (ЛОИНА) ხელნაწერი P 2. ამ ხელნაწერშია დაცული მინიატურა, სადაც საბა ვახტანგს „ქილილა და დამანას“ გადასცემს. აქ უამრავი მაღალხარისხოვანი მინიატურაა ჩახატული და, თუმცა ქართული ყოფის შესწავლის თვალსაზრისით მათ, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, სპეციალისტთა მიერ დღემდე უგულვებელყოფილია. ეს მინიატურები საინტერესოა XVII—XVIII საუკუნეთა აღმოსავლურ-ქართული რეალიებითა და საგნობრივი დეტალებითაც (ავეჯი, ტანსაცმელი, საოჭარი, სამეურნეო, საზემო და მისთ. იარაღები, ფლორა, ფუნა, ქალაქები, სოფლები და ა. შ. მათზე იხ. დამატება 1).

ლი, რომ იგი ხელახლა გაეჩაღბინებინა ონანასათვის. ბრძანება უთუოდ სხედასხვა დროსაა გაცემული. ვახტანგი ონანას ნამუშავეს დაიწუნებდა იმის გამოც, რომ ამ ვერსიაში მხოლოდ ლექსები იყო გაჩაღბული, ხოლო მან კარგად იცოდა, რომ მისი სტრიქონთარგმანისთვის ეს არ იყო საკმარისი. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მარტო ამაში არ ყოფილა საქმე<sup>35</sup>.

როგორც ვიცით, ორიგინალის ზოგი ლექსი ვახტანგმა ვალექსა კიდევაც საბასთვის გაგზავნის წინ მას თავისი თარგმანისთვის გადაუხედავს და ზოგი ლექსი და პროზაული ადგილი გადაუკეთებია, ზოგი ახალი ლექსის თარგმანი ჩაურთავს. ზოგან ვახტანგი თავისი ლექსების სტრიქონთარგმანს გადახაზავს და თავზე აწერს ახალ პწკარედულ ვარიანტს, როცა ამის საჭიროებას გრძნობს (საბას ამ ახალ ვარიანტს უჯერის და არა ძველს). რაც შეეხება პროზით ნაწილს, მას იგი როგორც წესი, თითქმის ყოველთვის გადახაზავს როცა ასეთ შესწორებას მიმართავს. ონანა ყოველთვის ვახტანგის პროზის ახალ, სტრიქონის თავზე დაწერილ ვარიანტს უნდა უწევდეს ანგარიშს, როგორც საბა უწევს, რადგან იგი მეფის ბოლო ნება და საგანგებოდაა გადასწორებული. მაგრამ ასე არ ხდება. ძალიან ხშირად იგი იმეორებს ვახტანგის პირველ რედაქციას. მაგ., ვახტანგის ვერსიაში ვკითხულობთ: B 9: „ვარდის კონაშაჲც ბალახს გაურევენ“. ვახტანგს კაიხელად გადანუსხულ ამ ადგილისთვის სტრიქონის თავზე თავისი ხელით დაუწერია: „ვარდის კონას მწეანეს ფოთოლს გაურევენ ხანდისხან“ (იქვე). ონანა 5v: „იციო, შერევენ ბალახსა მას ტურფა ვარდის კონასა“.

B 6: „შენ სოლი ხარ, ვისი ბეღია, რომ შენ შუქი მიაყენო“.

სტრიქონს ზემოთ: „თაგთირი ხარ, ეისი ბეღი, მიაყენო შენ რომ შუქი“ (იქვე).

ონანა 4v: „სოლი ხარ ვისი ბეღი, რომ შენ შუქი მიაყენო“. ვახტანგს ჩვენს ხელთ არსებული თავისი ვერსიის ნუსხაში ეს ადგილი გადახაზულიც აქვს.

B 27: „ქკუიანს კაცს ქელმწიფობისა და მღღლობისა ორისაჲ თვალი ერთს ბეჭედზედ აქუს“.

---

35 ონანას ვერსია დასრულებული არაა, მას აკლია დასაწყისი (დაახლოებით ვახტანგისეული ვერსიის გვერდნახევარი) და 133 ჯგერზე წყდება (მისი უკანასკნელი იგავია „მონადირე ქორი და შინაური ქათამი“) ვინ იცის, იქნებ რაიმე მიზეზით ონანამ შეწყვიტა ან შეაწყვეტინეს თარგმნა. ონანა 1728 წ. გარდაიცვალა (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 416), ასე რომ ამ შეწყვეტას მის სიკვდილს ვერ დავუკავშირებთ. არაა შეუძლებელი, რომ ვახტანგს შეეჩრებინოს თავისი მდივანი.



სტრიქონს ზემოთ: „ჰქვიანათთვის ხელმწიფობა და მთლი-  
ქულობა ორს თვალსა გავს, რომ ერთს ბეჭედში იჭდეს“ (იქვე).  
ონანა მაინც პირველ ვარიანტს უწევს ანგარიშს: „

ონანა 21r: „ჰქვიანათთვის მეფობისა და მღვდლობისა, ორივე  
თვალი

გავს, ბეჭედსა ერთსა უჭდეს, უნათობდეს ჯავარ-წყალი“: ასეთი მაგალითების მოტანა ბევრისა შეიძლებოდა. ხდება ისეც, რომ ონანას აურჩევია სტრიქონსზემო ვარიანტი, მაგრამ ეს მაშინ, როცა ძირითადი პოეზიური ტექსტი გადახაზულია (B 27, ონანა. 22r). ეს პროზა. ახლა მივმართოთ ლექსებს. ონანას ვერსიაში ასეთი გადაუხაზავი ვახტანგისეული ლექსები უცვლელადაა დატოვებული. იგი კიდევაც აცხადებს: ვახტანგს რაც ლექსები ჩაერთო, განვიმეორეო (9 r). მაგრამ ხდება ისე, რომ ონანას ვერსიაში მაინც არ იკითხება ვახტანგის ზოგი ლექსი. მაგ., B 14: „სიმაღლე ჰქონდა ფრიდონის...“ ონანა 10 v: „აქვს ფრიდონისა სიმაღლე...“, და მრავალი სხვა (B 15, B 16, B 17, B 60 და ა. შ.). ზოგჯერ გადაუხაზავი პქვარედი ვახტანგს შეეცვლილი აქვს სტრიქონსზემოთ გაწყობილი ლექსებით. მაგ., B 8: „მე რომ ამ თვალის იგავეები გამითლია, რაც რომ მე მითხრეს: უთხარი რომ ის მითქუამს“.

სტრიქონს ზემოთ: „მე რომ ამ თვალის იგავენი ამგვარად გამითლიაო, რაც რომ მე მითხრეს, ის მითქვამს, უთხარ თუ: გამითვლიაო“ (იქვე). ონანა არც მას უწევს ანგარიშს და თვითონ რითმავს ვახტანგის სტრიქონთარგმანს:

„მე რომ თვალთა იგავეები შევამევე და ასრე ვსთალე,  
რაცა მითხრეს: უთხარი მითქვამს, ბრძენთა სიტყუა  
ჩამოსთვალე“ (5r).

კიდევ უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება. აქამდე მიღებული შეხედულების თანახმად, — და ეს ასეც არის, — ონანას ვახტანგის პროზისთვის ხელი არ უხლია. მაგრამ რა ვუყოთ ისეთ შემთხვევას, როცა ვახტანგის ვერსიაშია: „რ უზიგარმა ჟამმან ამ ორის...“ (B 49), ხოლო ონანასთან ვკითხულობთ: „ჟამმან და დრომან ამ ორის...“ (36 v).

ჩვენი აზრით, ყველაფერი ეს იმაზე უთითებს, რომ ონანა ვახტანგისეული ვერსიის სხვა რედაქციით სარგებლობს. ვახტანგს ონანასთვის რომ გაუგზავნია თავისი ვერსია, ამის შემდეგაც უმუშავნია სტრიქონთარგმანის სრულყოფისთვის, დაუზუსტებია იგი, შეუესია და შეუქმნია მისი მეორე რედაქცია. ასეთი მუშაობის შედეგია ჩვენამდე შემონახული ვახტანგის ვერსიის M 53 რედაქცია. ეს რედაქცია დადებია საფუძვლად საბასეულ ვერსიას. ამ საქმისთვის სპარსული ტექსტისა და მისი თარგმანის ერთხელ კიდევ შექე-

რება იყო საჭირო, რასაც საკმაოდ კარგა ხანი დასჭირდებოდა. ასე, რომ საბასთეის და ონანასთეის დავალების ერთდროულად გაგზავნა სავარაუდოდ არაა. კიდევ მეტი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვახტანგს სწორედ ონანას ნაქონი ნუსხა შეევესოს და იგი გაეგზავნოს საბასთეის, — ონანას ვერსია M 53 ხელნაწერის ლაფსუსებს იმეორებს: (B 164 ცხრა-ცხრა, (უნდა: ცხრაცა), ონანა 113v; B 53 თეთრის (უნდა: თათრის), ონანა 38 v; B 110 ტყავის (უნდა: ტყის), ონანა 76 v).

ვახტანგისა და საბას რედაქციათა ურთიერთ შედარებით ალ. ბარამიძე გააკრვია საბას მთარგმნელობითი პრინციპები, შეისწავლა მისი სტილი და დაახასიათა თვითონ თარგმანი. მისი აზრით, „სულხან-საბა ორბელიანს ქილილა და დამანას ვახტანგისეული თარგმანი საფუძვლიანად გადაუმუშავებია როგორც ლექსითს, ისე პროზით ნაწილში. გამოჩენილ ქართულ მწიგნობარს ვახტანგის ტექსტი მართლაც „გემოიანად გაუჩაღხავს“ და მისი სრულიად ახალი რედაქცია მოუცია. რედაქტორს კარგად ჰქონია გათვალისწინებული, რომ „სხვას ენის წიგნი სხვას ენაზედ, თუ არ კაი მცოდინარისაგან, გამოთარგმნა ძნელია: ზოგან წინა უკან უნდა მოიყვანოს, და ზოგან ართრონი ან მიუშეატოს, ან დააკლოს, თვარად სწორადვე უგემური მოვა“, ე. ი. საბა პრინციპულად უარყოფს ტექსტის პედანტურ სიტყვა-სიტყვითს თარგმანს, ის მოითხოვს ტექსტის დამუშავებას შესაფერისი ენის ბუნების კვალობაზე“<sup>36</sup>.

ვინ არის C ვერსიის ავტორი. ვახტანგია თუ საბა? ჩვენში ამაზე ორი აზრი არსებობს. პირველის მომხრენი საბუთად იმას იყენებენ, რომ დედნიდან ვახტანგმა გადმოიღო ძეგლი, მან გასწია მთავარი და უპირველესი სამუშაო. ამიტომ მთარგმნელი ვახტანგია. საბამ მხოლოდ რედაქცია გაუკეთა მას და ამიტომ ეს უკანასკნელი რედაქტორი თუა ამ თხზულებისა<sup>37</sup>. მეორენი იმ აზრს იცავენ, რომ გადმომთარგმნელი ვახტანგი კია, მაგრამ ტექსტი საბას ისე შეუტვლია სტილისტურად, რომ მართო ვახტანგის თარგმანი, ვერ იტყვის კაცი<sup>38</sup>. მელიგზად ბებუდაშვილი, რომელმაც თითონ მოგვცა „ქილილა და დამანას“ ადაპტაცია, თვლიდა, რომ იგი „თარგმნილია მე-

<sup>36</sup> ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი. თბ., 1959, გვ. 123.

<sup>37</sup> ვ. გაბესკირია, ქილილა და დამანას გარშემო. მნათობი, 1961, № 3; მისივე, სამი ავტორის ერთი წერილი, წერილები ლიტერატურა და ხელოვნებაზე. თბილისი, 1963, გვ. 325. შემდეგში: ვ. გაბესკირია.

<sup>38</sup> ალ. ბარამიძე, ე. მეტრეველი, ალ. გვახარია, ისევ ქილილა და დამანას გარშემო. საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგად. მეცნ. განყოფილების მოამბე, 1962, № 1, გვ. 306. შემდეგში: ალ. ბარამიძე, ე. მეტრეველი, ალ. გვახარია.

ფე ვახტანგისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ<sup>39</sup>. ჩვენი ფიქრით, მთარგმნელი ორივეა. ჩვენ აქ არ მოვიტანთ საგანგებო მაგალითებს იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი ფრაზები ჰქონია ვახტანგს და როგორ შეუცვლია ის საბას, საამისო მასალებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაეცნობა მკითხველი ჩვენი შრომის იმ ნაწილში, სადაც ტექსტები გვაქვს შეპირისპირებული. საბა თითქმის არაფერს ტოვებს ვახტანგის ტექსტისაგან, ცვლის მის სტილს, ლექსიკას, არის ეს საჭირო თუ არა, ლექსავს მის სალექსო პწკარედებს. ზოგჯერ შიგ ჩაურთავს ვახტანგის ლექსებსაც, რომელსაც მიაწერს: „მეფის თქმული“ (C II, 232), „მეფის ნათქვამი“ (C II, 227) და ა. შ. არის შემთხვევები, როცა საბა მხოლოდ ოდნავ ცვლის ვახტანგისეულ ტექსტს (მაგ. B 516 იგ თავსა მთელსა ნუ ექოსის, ვინცა სხიულთა მკვრეტია. C II, 28 იგი თავს მთელსა ნუ ჰგონებს, ვინცა სნეულის მკვრეტია). ამავე დროს მკითხველისთვის ეს შედარება ცნობილია უკვე მითითებულ ავტორთა შრომებში<sup>40</sup>. აქ შევეხებით ზოგს, ჩვენი აზრით, საცილო საკითხს.

ზემოთ მითითებულ ნაშრომში ე. მეტრეველი და ალ. გვახარია საბას „ქილილა და დამანას“ მთარგმნელს უწოდებენ. „ვინაიდან ის კოლოსალური სამუშაო, რომელიც საბამ ჩაატარა ვახტანგის თარგმნილ „ქილილა და დამანას“ ტექსტზე, საეხებით უდრის ტექსტის თარგმანს“<sup>41</sup>. მკვლევრები დიდად აფასებენ საბას როლს ქართული ლიტერატურის ამ შედეგის შექმნის საქმეში და ამავე დროს წუნობენ ვახტანგ VI თარგმანს. ისინი არა თუ იზიარებენ ალ. ბარამიძის შეხედულებას ვახტანგის თარგმანზე, არამედ უფრო აღრმადებენ მას. მათი აზრით, „ვახტანგს უჭირდა სპარსული იდიომების, თქმებისა და მხატვრული სახეებისთვის ბუნებრივი ქართული შესატყვისების დაძებნა: ვახტანგმა, როგორც მთარგმნელმა, ვერ დაძლია „ქილილა და დამანას“ მხატვრული მხარე, იგი თვით მოექცა სპარსული ტექსტის ტყვეობაში“<sup>42</sup>. „ვახტანგს უძნელდებოდა სპარსული თქმების, ლექსიკის და იდიომების ბუნებრივი ქართული შესატყვისებით შენაცვლება... ვახტანგი დალატობდა ქართული ენის ბუნებას, როდესაც შემოჰქონდა თარგმანში უჩვეულო სინტაქსური ქტევანი და სპარსული ენის კვალობაზე შედგენილი მეშველზმნიანი

<sup>39</sup> Описание, I, გვ. 196.

<sup>40</sup> იხ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 320—343; ე. მეტრეველი, ალ. გვახარია, სულხან-საბა ორბელიანის მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლისათვის, სულხან-საბა ორბელიანი. თბილისი, 1959, გვ. 177—202. შემდეგში: ე. მეტრეველი, ალ. გვახარია.

<sup>41</sup> ე. მეტრეველი, ელ. გვახარია, გვ. 180.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 181.

ფორმები<sup>43</sup>. მკვლევართ ამ მძიმე ბრალდების დამადასტურებელი საბუთებიც მოაქვთ. მაგალითად, ვახტანგის თარგმანში ვკითხულობთ: შ ა ვ რ ი გ ო ვ ა რ ი, რ ა ც ს ა ბ ა ს ო ბ ო ლ ი მ ა რ გ ა - ლ ი ტ ი თ შეუცვლია. ვახტანგი წერს: „ერთ ფიქრს ჩემს გულში ალაგი უქნია“, საბა კი გამართავს: „ჩემთა გულთა... ერთი რამე საგონებელი დაბუდებულა“ და სხვ. აშკარაა, რომ აქ საბას რედაქცია უკეთესია, იგი თავს არიდებს უცხო ლექსიკას და სპარსული-სთვის დამახასიათებელ მეშველზმნიანობასაც. მკვლევართა მიერ უხვად მოტანილი მაგალითები უფრო გვიმტკიცებს ამ აზრს.

რა ხდება? ნუთუ ქართულის ასე უმეცარი და თარგმანში ასე ხამი იყო ვახტანგ VI? ამ კითხვას ალ. ბარამიძე, ე. მეტრეველი და ალ. გვახარია, რომლებიც ღრმად იცნობენ ვახტანგის ლიტერატურულ მოღვაწეობას, არ პასუხობენ, რადგან მას ისინი არც სვამენ. ხოლო საკითხის ნათელსაყოფად ჩვენ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიგვაჩნია არსებითად. ნუთუ უნდა დავიჯეროთ, რომ ვახტანგს საერთოდ უჭირდა ბუნებრივი ქართული და მას იგი ვერ ხმარობდა ამა თუ იმ სპარსული ფრაზის შესატყვისად; არ იცოდა, რომ ქართულში არსებობს სპარსული „გოვარის“ ბადალი სიტყვა მ ა რ გ ა - ლ ი ტ ი; ვერ გრძნობდა, რომ ა ლ ა გ ი უ ქ ნ ი ა ქართული არაა? და ეს ხომ ის ვახტანგ VI-ა, რომელმაც ასეთი მშვენიერი ლექსები დაგვიტოვა, „ამირნასარიანი“ ხატოვანი და სადა ენით გადმოქართულა<sup>44</sup>, რომელმაც ასე კარგად იცოდა ქართული ენა და ესოდენ დიდი ამაგი დასდო საბას ლექსიკონის სრულყოფას<sup>45</sup>, სპარსულ-არაბული სიტყვები ქართულად განგვიმარტა ვეფხისტყაოსნის თავისივე (პირველი) გამოცემის თარგმანებში (დ ა რ დ ი — წყენა, მ ო შ ა ი თ ი — ჯამბაზი, მ უ დ ა რ ე ბ ა — ხვეწნა, ა რ ა მ ი — ნაუსამართლევი, ხ ა ტ ი — სახე, ა ჟ ა — ხვეწნა, ს რ ა. — სასახლე, თ ა თ ბ ი რ ი — რჩევა, ა ზ ა ვ ე რ ი — ასაკიდებელი ხარი, დ ა რ ი ბ ი — უცხო, ხ ო ტ ბ ა — ქება და მრავალი სხვა)<sup>46</sup>. რამ აიძულა ის, ეხმარა ფრაზები: ა ლ ა გ ი ქ ნ ა ს, ბ უ დ ე ე ქ ნ ა თ და მისთანანი? ამ კითხვებს პასუხის გაცემა სჭირდება. ხოლო პასუხი ერთია: ვახტანგი ასეთ ფრაზებს იმავე მიზეზით ხმარობს, რის გა-

<sup>43</sup> ი ქ ე ე.

<sup>44</sup> მისი ტექსტი გამოქვეყნებული აქვს გ. იმედაშვილს, იხ. ლიტერატურული ძიებანი, IX, გვ. 351—367.

<sup>45</sup> ამის შესახებ იხ. ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI ლექსიკოგრაფიული ურთიერთობისათვის. სულხან-საბა ორბელიანი. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1959, გვ. 235; ს ა რ გ ი ს ო ა ი შ - ე ი ლ ი, ლიტერატურული წერილები, თბილისი, 1966, გვ. 87.

<sup>46</sup> ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ე უ ლ ი ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი, გვ. ტთ.

მო თვითონ საბა თავის ლექსიკონში. საბას, მაგალითად, სიტყვა-დასაბა განმარტებული აქვს, როგორც „დაბმა უყო“, დაბალთვა, როგორც „ბალთვა უყო“ და ა. შ.<sup>47</sup> ასეთ გამოთქმებს საბასიზუსტისათვის მიმართავს, აზრის სწორად გადმოცემის მიზნით გამოიყენებს (ასეთი დათმობანი ახასიათებს მეცნიერულ პროზას). საქმე ისაა, რომ ვახტანგი იძლევა „ანვარ-ე სოჰაილის“ არა მხატვრულ, არამედ სტრიქონთარგმანს და ამის გამო, სიზუსტის დაცვის მიზნით, იძულებულია, წარმოადგინოს ორიგინალის ზუსტი სურათი, საქმიანი და უბრალო ენით გადმოცეს მისი შინაარსის ყოველი ნიუანსი და რეალია. ამ მოსაზრებას იზიარებენ (არა თუ იზიარებენ, არამედ მისი პირველი ავტორები თავად არიან) ალ. ბარამიძე, ე. მეტრეველი, და ალ. გვახარია და ამისდა მიუხედავად მაინც აღნიშნავენ ამ ფაქტს. მათ მშვენივრად იციან, რომ ვახტანგმა „თავი შემოიზღუდა და ამ ტექსტის სიტყვასიტყვითი თარგმანით დაკმაყოფილდა. მეტის თქმაც შეიძლება, ვახტანგ VI ხშირად განგებ გაურბოდა თავისი თარგმანის გამართვის სტილისა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, ვინაიდან შიშობდა, ამით თარგმანის სიზუსტისათვის ზიანი არ მიეყენებინა. შემთხვევითი არ არის, რომ „ქილილა და დამანას“ თარგმანის ხელშეორედ შეწამებისას ვახტანგმა კვლავ ამ თვალსაზრისით გაასწორა მთელი რიგი ადგილები, განსაკუთრებით ლექსები, რომელთა ჭერ გაგება იყო გაძნელებული, ხოლო შემდეგ მათი გადმოღება ქართულ ენაზე“<sup>48</sup>.

ე. მეტრეველმა და ალ. გვახარიამ ისიც კარგად იციან, რომ სათარგმნი ტექსტისადმი ამგვარი მიდგომა ვახტანგისთვის საერთოდ არ იყო დამახასიათებელი. როგორც აღვნიშნეთ, „ყაბუს-ნამე“ („ამირნასარიანი“) მან მშვენიერი, ბუნებრივი ქართული ენით თარგმნა, ეს მაგალითიც კარგადაა მათთვის ცნობილი<sup>49</sup>. აი, რას უსაყვედურებენ ვახტანგს სხვაგან: „ვახტანგ VI მეტად დიდი შრომა გასწია „ქილილა და დამანას“ თარგმნისას, მაგრამ ეს თარგმანი მხატვრული ნაწარმოების სიმალემდე ვერ აიყვანა და თავისი მუშაობა შეგნებულად შემოსაზღვრა ზუსტი სიტყვასიტყვითი ტექსტის ანუ პწკარედის შექმნით,

47 უნდა შევნიშნოთ, რომ თვით საბას არა ერთგან აქვს ასეთი გამოთქმები: „უზამს და ელას“ (C I, 54), „მოცდა ყავ“ (C I, 83) და სხვ.

48 ე. მეტრეველი, ალ. გვახარია, გვ. 181.

49 იქვე.

რათა ამით ნამდვილი თარგმანისთვის მოემზადებინა ნიადაგი“ (ხაზი ჩვენია. მ. თ.)<sup>50</sup>.

ისმის კითხვა: თუ მწერალს შეგნებულად მხოლოდ ზუსტი თარგმანის შექმნა უნდოდა და არა მხატვრულისა, რატომ უნდა აეყვანა იგი მხატვრული ნაწარმოების სიმაღლემდე?

ერთი წუთით დაუშვათ, რომ სტრიქონთარგმანის შექმნა და საამისოდ ორიგინალის ზუსტი სურათის გადმოტანა ქართული ენის ბუნების ლალატია, რომ მეცნიერული თარგმანის მოცემა მხატვრული მხარის ვერ დაძლევა. ვიკითხოთ, რა მოიმოქმედა ვახტანგმა მისი შექმნის შემდეგ, მიიჩნია იგი მან მხატვრულ თარგმანად, დაკმაყოფილდა თავისი ნამუშევრით? ვახტანგ VI-ს, მეფე მწერალს, ხომ შეეძლო ებრძანებინა და მრავალ ნუსხად გაევრცელებინა თავისი ნახელავი. მაგრამ ეს არ მომხდარა. ვახტანგი ოდნავადაც არ თვლიდა თავის თარგმანს დასრულებულად და მანვე ცნო საჭიროდ, იგი ვინმეს „გაეჩაღხა“, ე. ი. ქართული სტილით გაეწყო. კ. კეკელიძე კითხვას სვამდა: რატომ გაუგზავნა ვახტანგმა ორ კაცს, საბას და ონანა მდივანს, მისი თარგმანი გასაჩაღხაოდო? და პასუხობდა: ალბათ იმიტომ, რომ დარწმუნებული არ იყო, ამ დროისთვის მასთან შემწყურალი საბა თუ შეუსრულებდა თხოვნას<sup>51</sup>. ჩვენი ფიქრით, მიზეზი სხვა უნდა იყოს. ონანამ, როგორც ვიცით, მხოლოდ ლექსების სტრიქონთარგმანი გამართა ვახტანგის თარგმანში. ხოლო პროზისთვის ხელი არ უხლია. ჩანს, ვახტანგის პროზის გასწორება მან ვერ გაბედა, ხოლო გაურითმავი ლექსები გარითმა. ეს პროცესი საკმარისი არ ეჩვენა, ალბათ, ვახტანგს, რადგან მან კარგად იცოდა, რომ მისი პროზაც სტრიქონთარგმანი-ლა იყო. სხვადასხვა მიზეზისა გამო, ვახტანგმა ხელახლა ონანას არ დაუბრუნა სამუშაო და იგი ამჯერად უფრო რჩეულს, საბას გაუგზავნა. ვახტანგი რომ თავიდანვე გულისხმობდა მისი თარგმანის გაჩაღხვას, ეს ჩანს მისი ანდერძიდანაც, რომელიც ონანას თარგმანს უძღვის წინ: „ჩვენ ესთა ვითარებისაგან და ერთა მოუცლელობით ვეღარ შევასრულეთ და მდივანს ონანას უბრძანეთ, რომე ამ ტურფას წალკოტის ყვაილნი ფეროვანებით შეჰკრას და კელოვანთ გახალსებული დრაჰკანი კავშირით შეასრულოს“<sup>52</sup>.

ვახტანგმა ძეგლი თავიდან ბოლომდე თარგმნა. მაშ რატომ ამბობს მწერალი: ვეღარ შევასრულეთო? აქ იგულისხმება: თარგმანი ჯერ კიდევ არაა მოთავებული იმ მხრივ, რომ მხოლოდ

50 იქვე, გვ. 182.

51 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 469.

52 ქილილა და დამანა. ონანსეული ვერსია, გვ. 74

სტრიქონთარგმანია და აკლია კიდევ დიდი საქმე — გაჩაღება. ასე რომ, ვახტანგის თარგმანი მხატვრული არ არის და არც მთარგმნელს მიაჩნდა იგი ასეთად. საქმის ასეთი ობიექტური ვითარება არაა ასახული თვითონ ვახტანგის ანდერძში. ვახტანგი არსად ამბობს, სტრიქონთარგმანი-ლა გავაკეთეო, არამედ აცხადებს, უბრალო ენით ვთარგმნეო, ის საქმეს ისე გვიხატავს, თითქოს მხოლოდ ლექსები ჰქონოდა გასაჩაღ-ხავი და პროზა არა. რომ ვახტანგი აქ ობიექტურ ვითარებას რატომ-ღაც არ გავაცნობს, ჩანს იქიდანაც, რომ იგი მაშინაც კი, როცა საბამ დაამთავრა მისი სტრიქონთარგმანის გაჩაღება და პროზაც გა-დააკეთა, მხოლოდ ვალექსევაზე ლაპარაკობს: „მე დამრჩა გაულექს-სავი და სულხან ვალექსა ყაფლანის შეილმანო“.

ზემოთ მოხსენიებულ მეცნიერთა აზრით, ვახტანგმა სპარსუ-ლი ჩინებულად იცოდა, მაგრამ ქართული არ ემარჯებოდა. აქ არ შეეჩერდებით პირველის უსწორობაზე, რადგან ამ შრომის სათანადო ნაწილში უამრავი მავალითი გვაქვს საამისოდ მოტანილი, — საბა, ჩანს, მართალი ყოფილა, როცა აცხადებს ვახტანგზე თავის ანდერ-ძში: სპარსული ზედმიწევნით არ იცოდაო. განვიხილავთ მეორე სა-კითხს. მართლა არ იცოდა მან ქართული? მოვიტანთ ვახტანგის თარგმანის ერთ ნებისმიერ ადგილს.

„ვეზირმან ბძანა, ამ წყაროს პირზედ სახელმწიფონი კარავნი დადგან და უმაიუნფალი მოსვენების მასნათზე განისვენოს. და ბელ-ნიერის აუჯანდის მოსამსახურენი წყლის პირს ხეების ჩრდილში თი-თო ჩამოხდენ, და მას სამოთხის მსგავსის მანძილისაგან ჯოჯოხეთის მსგავსებას რომ შორჩნენ, კაცს რომ საშოვარი ეშოვნოს და მას დახაროდეს თითო და თითო ენაზე ამ ლექსს უბნობდენ: ლექსი: ღთო, ჩვენა ვართ სარჯლისა და ჭირში მყოფი კაცი, აწ შორჩომილი ვსხედვართ ყუაგილოვანის არამში. კელმწიფე და ვეზირი ერთის კუ-თხით ცხენთაგან და სპილოთაგან დაქვეითდენ და გულშიგან ამას იგონებდენ, რომ ამ მთაშიგან რასაც საკვირველსა და უცხოს ნახე-დენ, მადლობას იტყოდიან და ღთის კელმწიფობასა და დიდობას აქებდიან; რომ მისსა მხატვარსა იმ მთის თავზედან თავის ძლიერე-ბის კალმით რამთონი ფერად-ფერადი ნახში დაუსახავს, ღთის ძლიერების მღებარსა ქვის გულისაგან რაოდენი უცხო-უცხო ყუაგი-ლის ფერის კურები დაუწყუთია ამისთვის მადლობას სწირევენ და ხანდისხან ამ საკურველის და არეულის ყუაგილთათვის ამ ლექსს იტყოდიან: ლექსი: არ თუ მარტო ბულბული მას ყვაილზე მადლო-ბას უბნობდა, რაც ეკალი იქ იყო, მადლობის სათქმელად თითო ენა იყო. ხანდისხან მის დახატულს პირს უყურებდენ და ამ ლექსს

იტყოდიან: ლექსი: ხან ვარდის ფურცელს დიდის ქარი იმარქაფებდა, ხან ქარის ფეხზე წმინდა წყალი ჭაქვეს მოაბემდა. მისი ხუჭუჭი წერილი რომ ძლიერების კალმის წყალზედან დაესახა, მის სიტყუასა იკითხევდენ და ზურმუხტისა მწვანე ტილისში რომ მწერლებს დაეწერათ და დაეხატათ, კითხულობდენ. ამასობაში უმაიუნფალის თვალი ერთს ხეს მიხუდა, ფურცელი მისის შტოსი შემოდგომისებრივ სანახავი იყო და ნამეტანის სიძველით ბებერსავით ალაგზე დაცემულიყო, უშვენიეროდ ჩნდა და ამ სოფლის ხის დამქრელს ცულს იმისი ტანის შტოები დაეჭრა და გაერთიანებინა. ამ სოფლის ქამის ხუროს ხერხს მისის ტანის ლუკმა-ლუკმა ქნისათვის სიხარბის კბილები მოელესა. ლექსი: ბალის მაშვენებელი ახალი რგული ხე არის, მოსკრის მებაღე, რა გახმება. ამ ხის გული საბრალოთ დავრიშთ გულსავით დაცარიელებულიყო და ფურტკართა მრავალი თაფლი თავის საზრდოდ იმ ციხეში დაეკრძალათ. კელმწიფემ რომ იმ ფურტკრების ბზუილი და ხმა გაიგონა, ვეზირსა ქუეყნის მნახავს ჰკითხა: ამ მსუბუქეთ მფრინვლის დაგროება ამ ხის გარეშემო რა არის და წასულა და მოსვლა ამ წელშემორტყმულთა მალლა და დაბლა ფრენა ვინის ბძანებით არის? ლექსი: ამ ბალახოვანში, მითხარ, წასვლა-მოსვლის მიზეზი რა არის, ამათ სალოცავში ღთი ვინ არის?

ხაჯუსტარ რაიმ ენა დასძრა და მოახსენა: ეჰა, ქალაქთა და ქუეყანისა მპყრობელო, ესენი ერთი გვარი არიან დიდის სარგებლისა და ცოტას ზიანის მქონენი... მაგათ ერთი კელმწიფე ჰყავთ, სახელად იასუბს ეძახიან და ტანად მათგან მოდიდოა. ამათ სრულ ყუელას მის სიდიდისა და უფროსობის, მორჩილებისა და ერთობის რაყამზედ თავი დაუდებიათ. და მას კელმწიფესა ოთხკუთხივ ტახტი სანთლისა გაუმართავს და მაზედან დაწყნარებულა. და ვეზირი, ნაზირი, ყაფიჩი, ქეშიგჩი, ჯარჩი და ნაიბი ყოვლის რიგის მოსამსახურენი ასე მოწყობილნი არიან... და ამისთანა საშიშარნი და მრისხანენი ერთმანერთს სიმშვიდისა და სიტკბოს მეტს არას უზმენ და წყალობითა და მუსაიბობით ეწყობიან“ (B 19—22).

ამ აღგილებში, სწორია, არაბული და სპარსული სიტყვები ცოტა არაა, მაგრამ ვნახოთ, როგორ და რატომ გაჩნდა ისინი. უცხო სიტყვა ორნაირი წარმოშობისა შეიძლება იყოს ტექსტში: პირველი, სათარგმნ ენაში მანამდე შემოსული და შეგუებული და, მეორე, მთარგმნელის მიერ პირველად გამოყენებული. მეორე თავის მხრივ ორნაირი შეიძლება: 1) გარკვეულ ფრაზაში რომელიმე სიტყვა უთარგმნელად გადმოჰქონდეს მთარგმნელს, 2) უცხო სიტყვა ორიგინალის იმ აღგილას არ იკითხებოდეს, მაგრამ მთარგმნელის მიერ იყოს ნახმარი თარგმანში. მოტანილ ნაწყვეტში აშკარად პირველი ჯგუფის სიტყვებია ბ ა დ ი, ვ ე ზ ი რ ი, ს პ ი ლ ო, მ ს უ ბ უ ქ ი,



ზიანი, ბუღალერი, რადგან ნამდვილად ვიცით, რომ ისინი ვახტანგს არ უხმარია პირველად. ვნახოთ სხვებიც, რომლებიც თითქოს უფრო საჩოთიროა. ორიგინალის **منذ** („მასნად“ — „ტახტი“) ვახტანგს გადმოაქვს როგორც მასნათი; ორიგინალის **منزل** („მანზელ“ — „გასაჩერებელი ადგილი“) — როგორც მანძილი. **ارام** („ერამ“ — „სამოთხის ბაღი“) — როგორც არამი; **نقش** („ნაყაშ“ — „შხატვარი“) — როგორც ნახში (ოღონდ ვახტანგი ხმარობს ამავე არაბული ძირიდან ნაწარმოებ მეორე სიტყვას **نقش** — „ნაყაშ“ — „ნახატი“); **مركب** („მარკაბ“ — „სახეღარი ცხოველი“) — მარკაფი. როგორ შევხედოთ ამ სიტყვებს, მივიჩნიოთ, რომ ისინი ვახტანგმა იხმარა პირველად; ჩავთვალოთ ისინი იმის შედეგად, რომ ვახტანგმა მათი ქართული შესატყვისები ვერ მოძებნა და იმიტომ იხმარა? არა. ამ სიტყვებსაც ვახტანგზე ადრე იცნობდა ქართული ენა, თვით ლიტერატურაც. მანძილი, მარკაფი, ნაყაშო დღესაც იხმარება. რაღა შორს წავიდეთ, მასნათს ხმარობს თვით საბა, ოღონდ სნატ ფორმით. ვახტანგის სიტყვები: რაყამი, ტილისმი, მუსაიბოზა, რომლებიც აშკარად არაბულ-სპარსულია, მოტანილი ადგილის სათანადო სპარსულ ტექსტში არ გვხვდება, მაგრამ ქართულში ისინი იხმარებოდა ვახტანგამდე და მის დროს<sup>53</sup>. არც ისაა შემთხვევითი, რომ ვახტანგი თავის თარგმანს ადვილი ენით თქმულს უწოდებს („გთქვი ენით მეტად ადვილით, რომ იყოს მოუწყინები“). მასასადამე, აღმოსავლური ლექსიკით აკრელებული მისი ენა იმ დროის ჩვეულებრივი, ადვილი ენა ყოფილა.

ე. მეტრეველსა და ალ. გვახარიას მოაქვთ ვახტანგის თარგმანში ნახმარი სპარსული თუ არაბულ-სპარსული სიტყვები: **ზარნიშინი**, **შარბათხანა**, **ზინფუში**, **ბეზამისქინი**, **ჯილვადარი**, **სარანჯამი**, **ბეზირგანი**, როგორც ბარბაროზმის აშკარა მაგალითები. მაგრამ ყველა ეს სიტყვა იყო ქართულში ვახტანგის გარეშეც, ხოლო ზოგი დღესაც იხმარება (**ზარნიში**, **ზილფუში**, **ბეზირგანი**). მკვლევარები გაოცებულნი კითხულობენ: „გაუგებარია: რითი ხელმძღვანელობდა ვახტანგი, როდესაც უთარგმნელად გადმოჰქონდა მასალი“ (**مأساة** მაგალითი, არაკი)<sup>54</sup>. მასალი ქართულში პირველად ვახტანგს არ უხმარია, მას მანამდე ხმარობდნენ ჩვენში, კერძოდ, იმივე „ქილილა

<sup>53</sup> იხ. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა და თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფურთუჩიძემ; თბილისი, 1955, გვ. 338, 5; საქართველოს სიძველენი, 11, 92, 27.

<sup>54</sup> ე. მეტრეველი, ალ. გვახარია, გვ. 184.

და დამანას<sup>55</sup> ანონიმი მთარგმნელი<sup>55</sup>. ზოგჯერ ხდება ისეც, რომ თვით საბას ვერსიაში ეკითხულობთ ასეთ ლექსს:

„ბეუშთ ხალღა გამოხატეთ, შესაფერად, ვით სწამთ აქთა;  
ამ ნუსხისა პირთა საქმე უნათლუა თვალთ ქაქთა (C I, 33).

ამ ლექსში ბ ე ე შ ტ ი სპარსული სიტყვაა (ت.ბ. „ბეუშთ“ — „სამოთხე“), ხ ა ლ ღ ი — არაბული (خلق „ხალყ“ — „ხალხი“), ა ჯ ი — ასევე არაბული (حاجي „ჰაჯი“ — „პილიგრიმი, მუსლიმი, რომელმაც მექა მოილოცა“). არცერთი მათგანი ორიგინალში არ გვხვდება და, რაც უფრო საკვირველია, არ იკითხება ვახტანგის ვერსიის სათანადო ადგილას. ვახტანგს ეს ლექსი ორ ვარიანტად აქვს. აი, ისინიც:

I — შეფერებას დასახონ მხატვართა სამოთხისა საკრებულ-სათა.

საეადი ამ ნუსხისა ჰურის თვალის კაკალსა.

II — ხამს სამოთხისა სახლში მსხდომთა მხატვართა ესე დასწე-როსა,

შავი ასო ამ წიგნის ურის თეთრს თვალს დასწეროსა (B 5)<sup>56</sup>.

იმ სიტყვათა ხმარებას ვერ მივიჩნევთ იმის ნიშნად, რომ საბა უცხო სიტყვებით ხერგავს ქართულს ან იმის ნიშნად, რომ ის ვერ ახერხებს მის თარგმნას ქართულად. ეს სიტყვები ქართველთათვის ცნობილი იყო საბას დროს და ამიტომაც იხმარა ისინი მწერალმა. (ამიტომაც არა აქვს მას ეს სიტყვები განმარტებული აშიებზე, წინა-აღმდეგ თავისი ჩვეულებისა). ალ. ბარამიძე ვახტანგის საქციელს ლექსიკის შერჩევაში კუროზულს უწოდებს. მას მოაქვს ფრაზა, სადაც ვახტანგი ხ ა ტ ი ს ნაცვლად ხ ა თ ი ფორმას ხმარობს და ასკენის: „ამით ვახტანგმა ტექსტის აზრი უნებლიეთ დააბნელო“<sup>57</sup>. ჩვენ არ გვესმის, რა არის აქ დაბნელებული. ზემომოტანილ ლექსში საბა დღევანდელ სიტყვას ხ ა ლ ხ ი ხმარობს ხ ა ლ ღ ი ფორმით, მაგრამ ამით რა დაშავდა, ჩანს, მაშინ ხ ა თ ი და ხ ა ლ ღ ი ფორმებს გუობდნენ და ეს სავსებით გასაგები მოვლენაა.

რა თქმა უნდა, შეიძლება ვახტანგის ვერსიაში რამდენიმე უცხოური სიტყვა პირველად გვხვდებოდეს, მაგრამ თითო-ორიოლა მაგალითი განზოგადების საფუძველს არ იძლევა და იმის საბუთად არ გამოდგება, რომ ვახტანგი სპარსულს უფრო გუობს, რომ მას სათანა-

<sup>55</sup> S 1177. გვ. 163, 181, 195 და ა შ.

<sup>56</sup> ხელაწერი გარკვევით არ იკითხება.

<sup>57</sup> ა ლ . ბ ა რ ა მ ი ძ ე , ნარკვევები, I, გვ. 232.

დო ქართული არ ემარჯვება და ამიტომ უცხო სიტყვებით აბნელებს აზრს.

ისიც არ უნდა დაევიწყოთ, რომ დედნის ნიუანსის შესანარჩუნებლად და აღმოსავლური რეალიის სწორად გადმოცემის მიზნით ვახტანგი ზოგ ფრაზასა და აღმოსავლურ ტერმინს უცვლელად დატოვებდა, — ან იმ ვარაუდით, რომ მერე მიუბრუნდებოდა, ან იმ მიზნით, რომ გარანტირებული იყო, გამჩალხავი გაიგებდა მას და გააქართულებდა. საბას ვერსია გვარწმუნებს, რომ მას მართლაც ჩინებულად გაუგია ასეთი ფრაზები, ადგილები, და შეუნარჩუნებია ორიგინალის ზუსტი ნიუანსი, რომლის გადმოტანა თარგმანში მართლაც საჭირო იყო. საამისო მაგალითებს აქ არ მოვიტანთ, რადგან ისინი საკმაოდ გვაქვს ჩვენი შრომის იმ ნაწილში, სადაც ტექსტები გვაქვს შეპირისპირებული.

საბას თავისი გემოვნება აქვს, თავისი საყვარელი ლექსიკა გააჩნია და ამის გამო იგი ცვლის ვახტანგის მიერ ნახმარ სიტყვებს. მაგ., ვახტანგს ჰქონია ფ ა ნ ქ ა რ ა, საბას იგი ლ ა ნ ძ ე ვ ი სიტყვით შეუცვლია. ვახტანგი ხმარობს ს უ მ ბ უ ლ ს, საბა მას ნ ა რ დ ი თ ც ვ ლ ი ს. ვახტანგს აქვს ს უ ფ რ ა, საბას ტ ა ზ ლ ა უ მ ჯ ო ბ ი ნ ე ბ ი ა და ა. შ. ვახტანგს, მაგალითად, ასეთი გამოთქმა ჰქონია: „სახელმწიფო კარავი“ (ხელმწიფისთვის განკუთვნილი კარავი), საბას ეს „სამეფო კარვად“ შეუცვლია. ვახტანგს უწერია: „ვაი იმ ავს კაცს და ავბედსა ნათესავს“. საბას ეს ფრაზა ასე გადაუკეთებია: „ვაი მას ბედმლაშე კაცს და ბოროტის ტომისასა“. განა ზემოთ მითითებული გადაკეთებანი აუცილებელი იყო? „ფანჯარა“, „სუმბული“, „სუფრა“, „ხელმწიფე“, „ავბედი“ არ დაიწუნება, პირიქით, საბას, ბ ე დ მ ლ ა შ ე, მაგალითად, სპარსულის კალკია (شور بخ) „შურბახთ“). ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ საბა ტრადიციული ენის შენარჩუნების მიზნით ვახტანგის თანამედროვე სიტყვებს არქაულ-მწიგნობრული ლექსიკით ცვლის. ყველაფერი ამით იმის თქმა გვინდა, რომ საბას ყველა სწორება ლექსიკის თვალსაზრისით იმას როდი ნიშნავს, თითქოს ვახტანგის სათანადო სიტყვა ან ფრაზა არ ეარგოდეს. საბას თავისი გემოვნება და სტილი აქვს და მით ხელმძღვანელობს. ვახტანგმა თავისი სტრიქონთარგმანი მისი თანამედროვე ენით შექმნა, ამ ენაში ბევრი იყო აღმოსავლური ლექსიკა და ვახტანგის ენაში აირეკლა იგი, თითონ მას არ ჰქონია

ბარბარის ტენდენციას<sup>58</sup>. ვახტანგის გერსია უნდა მივიჩნიოთ შავ, დაუმთავრებელ სამუშაოდ, რომელიც გადაკეთებას გულისხმობდა თავიდანვე. ამიტომ არ არის პრინციპულად სწორი, ვუდაროთ მას მისი თეთრი, გაჩაღებული ვერსია, მითუმეტეს, როცა ვიცით, რომ თავად ვახტანგის შრომითა და მეცადინეობით შეიქმნა ეს თეთრიც. ვახტანგის ვერსია: მხატვრული თარგმანი არაა და ამის გამო მისთვის მხატვრული ვერსიის შედარება გაუმართლებელია. მხატვრულობის თვალსაზრისით ვახტანგის თარგმანი ჩამოუყარდება არა თუ საბას ვერსიას, არამედ A ვერსიასაც<sup>59</sup>.

საბამ შედეგრი შექმნა. როგორც ვთქვით, მან მწიგნობრული ენა მიუსადაგა ქაშეფის ჩუქურთმოვან პროზას, იხმარა არქაული სიტყვებიც. ალ. ბარამიძეს შესანიშნავად აქვს ეს დამტკიცებული<sup>60</sup> და აქ ჩვენ ამ საკითხს მხოლოდ ვაკვრით თუ შევხებით. მხატვრულ თარგმანს რომ უდარებს არამხატვრულ სტრიქონთარგმანს,<sup>61</sup> ალ. ბარამიძე ადვილად უსწორდება ვახტანგ VI-ს და ბოლოსდაბოლოს ბრალს სდებს მას სიცრუეში: მან არ იცოდა მწიგნობრული ენა და საეპეოა მისი ნათქვამი, თითქოს მან ის იცოდაო. მოვეუსმინოთ მას: „მთარგმნელი (აქ: ვახტანგი. მ. თ.) სათანადოდ ვერ იმარჯვებდა ქართული ლიტერატურულ-მწიგნობრივი მეტყველების საგანძურს. მისი უბრალო, „ხალხური“ ენა კი უძლეური იყო სპარსული ზვიადი რიტორიკის გადმოსაცემად, ამდენად, ჩვენ ეპვიც გვეპარება ვახტანგის სრულს გულწრფელობაში ანდერძის შემდეგი სიტყვების გამო:

„არ ვიყავ სრულად უცოდნი, ვიცოდი ენა შიშვები,  
შეკითხა წიგნი საღეთო და საერო ამას წინები.  
ვთქვი ენით მებად ადვილით, რომ იყოს მოუწყინები“.

58 რა თქმა უნდა, ზოგან ფრაზები ვახტანგს სპარსულის გავლენით აქვს გაწყობილი, მაგ., ვკითხულობთ: „ტანით მათგან მოდილია“, რაც სპარსული დენდის კალკია (გვ. 17, انوار سلی، بجسته از اینها بزرگتر است), მაგრამ სტრიქონთარგმანში, სადაც ორიგინალის რაც შეიძლება, ზუსტი აღნიშვნის შექმნას ცდილობენ, ასეთი შემთხვევები ყოველთვის ხშირია.

59 დედანი A ვერსიის ავტორთ ვახტანგზე ნაკლებად არ ესმით, ხოლო მხატვრულად მათი თარგმანი საკმაოდ კარგია. მათ აქვთ მარტივად და უბრალო ენით თხრობის პრინციპი.

60 ალ. ბარამიძე. ნარკვევები, I. გვ. 323.

61 საესებით სწორად შენიშნავდა აწ განსვენებული ვიქტორ გაბესკირია ამის თაობაზე: „განა შეიძლება საკითხის ამგვარად დასმარ?“ (ვ. გაბესკირია, გვ. 314).

მე კაცის შეუტყობრობისა და მოუძაგებლობის გულისათვის ადვილისა და მსოფლიოს სიტყვით დაეწერე, რომ მკითხველთ სამძულვაროდ არ უჩნდესთ და ეს სწავლა გაუგონელი არ ჯაჩჩესთ<sup>62</sup>. ვერ დავეთანხმებით მეცნიერს, თითქოს ვახტანგს VI-ს, მწიგნობარსა და მეფეს, მწიგნობრული ენა არ სცოდნოდეს, არამედ მხოლოდ მდაბიოთა ენა ყოფილიყოს მისთვის ბუნებრივი და როცა აცხადებს: ვიცოდი ლიტერატურულ-მწიგნობრული ენა, მაგრამ საყოველთაოდ გასაგები რომ ყოფილიყო, ამ მიზნით ადვილი და მსოფლიო ენით დაეწერეო, ხელმწიფე ტყუოდეს. ვახტანგმა შესანიშნავად იცოდა, რომ იგავების კრებულს უბრალო ენა მოუხდებოდა, ვიდრე „ენა მძიმები“. გავიხსენოთ, რომ თვით სპარსულ ლიტერატურაში რაფინირებული სტილისა და ლიტერატურული ენის მქონე პოეტებიც კი საოცრად უბრალო, ხალხური ენით სწერდნენ იგავებს. როგორც აღენიშნავდით, თვით ქაშეფიც იძულებულია, ამ ტრადიციას ანგარიში გაუწიოს და თავად იგავები შედარებით ბუნებრივი სტილით გამართოს. ასე რომ გარდა იმისა, რომ სტრიქონთარგმანს ამზადებდა და ამიტომ წიგნს საქმიანი, მისი თანამედროვე ენით თარგმნიდა, ვახტანგი პრინციპში წინააღმდეგი იყო იგავთა წიგნის „მწიგნობრული“, მძიმე ენით თარგმნისა. განვიხილოთ ახლა უფრო ახლოს საბასეული ვერსია ამ თვალსაზრისით. როგორც აღენიშნეთ, ალ. ბარამიძემ ჩინებულად დაამტკიცა, რომ საბას ვერსია მწიგნობრულ-ლიტერატურული ენითაა გამართული და ამდენად ერთგვარად არქაულიცაა. ალ. ბარამიძის მიერ მოხმობილი მაგალითები რომ მოვიშველიოთ, ვახტანგი ნი ა ნ გ ს ხ მ ა რ ო ბ ს (სპ. نگه: „ნეჰანგ“), საბა — კ ო რ კ ო დ ი ლ ო ს, ვახტ. — ზ ო გ ნ ი, საბა — ვ ი ე თ ნ ი; ვახტ. — კ უ ნ ძ უ ლ ი, საბა — ხ ე რ თ ვ ი ს ი; ვახტ. — ტ ო მ ა რ ა, საბა — მ ა ნ დ ი კ ი, ვახტ. — მ ა ი მ უ ნ ი, საბა — ყ ა პ უ ზ უ ნ ა და სხვ. რა თქმა უნდა, ვახტანგის ნი ა ნ გ ი, ზ ო გ ნ ი, კ უ ნ ძ უ ლ ი, ტ ო მ ა რ ა, მ ა ი მ უ ნ ი იმ დროსაც ცოცხალი სიტყვები იყო, ხოლო საბას სათანადო შესატყვისები: კ ო რ კ ო დ ი ლ ი, ვ ი ე თ ნ ი, ხ ე რ თ ვ ი ს ი, მ ა ნ დ ი კ ი, ყ ა პ უ ზ უ ნ ა — არქაული, საბა ამ არქაულ ლექსიკას რჩეობს<sup>64</sup>. ამიტომ-

62 იქვე, გვ. 334.

63 სხვა რომ არა იყოს რა, მეფის ძეს ერთგვარი ლიტერატურული განათლება ექნებოდა. ესეც არ იყოს, ის ხომ თვითონ საბას გაზრდილი იყო.

64 არას ვამბობთ ისეთ შემთხვევებზე, როცა შეიძლება ვიფიქროთ, რომ საბა ტავტოლოგიის აცილების მიზნით უნაცვლებს არქაულსა და მისი დროის სიტყვებს მაგ. „უ ზ უ ე ს მ ა ძ მ მ ძ ა ლ ო თ ა და უ ფ რ ო ს ო ბ ი ს გ ზ ი თ უ მ ც რ ო ს ძ მ ა ს ძ ლ ი ა, რ ა ც მ ა მ ი ს დ ა ნ ა რ ჩ ო მ ი ი ყ ო, ს რ უ ლ ო ბ ი თ თ ვ ი თ ა ნ დ ა ი ყ რ ა და დაეპატრონა და უ მ რ წ ე მ ე ს ი ს რ უ ლ ო ბ ი თ ც ა ლ ი ე რ ი გ ა ა ძ ო“ (C I, 114).

მაც ენის ისტორიის თვალსაზრისით ვახტანგისეული „ქილილა და დამანა“ უფრო საინტერესოა, ვიდრე საბას ვერსია. ქართულმა სალიტერატურო ენამ ვახტანგს უფრო დაუქირა აქ მხარი, ვიდრე საბას.

ზემოთ არაერთხელ მოხსენიებულ სტატიაში ე. მეტრეველი და ალ. გვახარია არ იზიარებენ ალ. ბარამიძის აზრს ამ საკითხში. ისინი წერენ: „საბას მიერ ჩატარებული მუშაობა არაფრით არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც საბას მიდრეკილება არქაიზაციისაკენ. საბა ხელოვნურად არ არჩევს სიტყვებს, ის აზროვნებს ქართულად და წერს თავისი დროის მდიდარი მწიგნობრული ენით“<sup>65</sup>. ხერთვისს, კორკოდლოს და მისთანათ რომ თავი დავანებოთ, თვით მკვლევართა მიერ მაგალითად მოტანილი ნიმუშებიც გვიბტკიცებენ ზემოთ ციტირებული აზრის უსწორობას. ენის სიმდიდრე არ ნიშნავს ძველი და ახალი შესატყვისების ერთდროულად ხმარებას. ამა თუ იმ სიტყვის მიერ ენიდან მისი შესატყვისი რომელიმე სიტყვა რომ განიღვინება, განდევნილის ხმარება ხელახლა, თუ რაიმე ნიუანსი არ გადაჰყვამს. საჭირო აღარაა. ძველი სიტყვების გამოყენება ენის გამდიდრებად მაშინ ჩაითვლება; როცა რაიმე ცნების აღსანიშნავად სიტყვა თანამედროვე ენაში აღარა აქვთ, ხოლო ძველს ჰქონდა და ამ მიზნით მას აღადგენენ, მაგრამ ნიანგი საესებით ცვლის კორკოდლოს (სხვათა შორის, საბამ კარგად იცის, რომ, მისივე განმარტებით, ნიანგს ქართულად ზვითქი ეწოდება, ხოლო კორკოდლო ბერძნულია, მაგრამ მას ეს არ აბრკოლებს), კურტანი — პალანს და ამდენად მათი ხმარება გამართლებული არაა. საბა მაიმუნის ცნების გამოსახატავად ხმარობს შემდეგ სიტყვებს: ცი დამტკაველა, ყაპუზუნა, ქია, ანთარი. მისი ლექსიკონის მიხედვით ისინი „სხვადასხვა გვარი მაიმუნებია“, მაგრამ „ქილილა და დამანაში“ ვახტანგისეულ მაიმუნს შენაცვლებულ ამ ტერმინებს არაერთხელ სხვადასხვაგვარობა არ ეტყობა, — ყველა ისინი მაიმუნის სინონიმებად გვევლინება. და, მიუხედავად ამისა, საბა მაინც მიმართავს მათ. არიან მწერლები, რომელნიც არქაულ სიტყვებს მიმართავენ იმის გამო, რომ უნდათ ძველი სურნელება მისცენ ნაწარმოებს (ისტორიულ რომანებში, კლასიკოსთა თარგმანებში), ასევე, არიან მწერლები, რომელნიც ვერ ელევინ ძველ სიტყვებს. საბას ვერსიაში უთუოდ შეიმჩნევა ეს ტენდენცია. იგი ღრმა ქართულით წერას ცდილობს, ეძებს ძველ ქართულ სიტყვებს ნაცვლად მის თანამედროვე, აშკარად აღმოსავ-

<sup>65</sup> ე. მეტრეველი, ალ. გვახარია, გვ. 192.

ლური წარმომავლობის სიტყვებისა. ხოლო მის დროს ეს უკანასკნელნი რომ უფრო მიღებული და, მაშასადამე, ბუნებრივი იყო, ეს ჩანს იქიდანაც, რომ P 2-ის აშვიებზე საბას ქართული ლექსიკა აშკარად სპარსულ წარმომავლობის სიტყვებითაცაა განმარტებული.

როგორც ცნობილია, საბამ თავის ვერსიაში თვითონ განმარტა ეს არქაული ლექსიკა, ე. მეტრეველის აზრით, „ღრმა ქართულიდან“ აღებული ეს სიტყვები განმარტებულია ვახტანგის ვერსიაში ნახმარი სპარსული შესატყვისებით. თავად ამ განმარტებანიტ „საბა უადვილებდა ვახტანგს ახალი, საბასეულ რედაქციის გაგებას, ვინაიდან სპარსულ-მწერლობაში კარგად გაწაფულ ვახტანგისათვის შესაძლოა, ყოველთვის გასაგები არც იყო ის ძველი ქართული ლექსიკა, რომელსაც საბა მწიგნობრული, „ღრმა ქართულიდან“ იღებდა, ამიტომ საბა იქვე, ფურცლის კიდებზე წერდა მის სპარსულ სინონიმ? ვახტანგისეული რედაქციის შესატყვისი ადგილიდან“ (C II, 318—319).

მკვლევარის ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ. საბა არ თვლიდა ვახტანგს სპარსულის კარგად მცოდნედ („თვითონ ზედმიწევნით სპარსული არ იცოდაო“ — აცხადებს ის ვახტანგზე — C I, 41). ესეც არ იყოს, სპარსულის დაუფლება მას ზელს რად შეუშლიდა ქართულის ცოდნაში. საბას ეს განმარტებანი ვახტანგისთვის არ დაუწერია, შეუძლებელია, საბას ჰგონებოდა, რომ ვახტანგმა არ იცოდა რა, მაგალითად, მ ა ტ ი ა ნ ე, ა ნ ზ ო დ ი ა ქ ო, რომელთაც ის აშიაზე განმარტავს. არაა ზუსტი, თითქოს საბა მხოლოდ ვახტანგისმიერი შესატყვისებით განმარტავდეს ამ „ღრმა ქართულიდან“ წამოღებულ სიტყვებს, მაგ., თავის აეტოგრაფში ნახმარი ს ნ ა ტ ი საბას აშიაზე განმარტებული აქვს არა ვახტანგის ვერსიის მ ა ს ნ ა თ ი თ, არამედ ფორმით ს უ ზ ა ნ ი (P 2, 8; B 19). არც ისაა ზუსტი, თითქოს საბა „ღრმა ქართულიდან“ მოტანილ თავის სიტყვებს ვახტანგისეული სპარსული შესატყვისებით განმარტავდეს. მაგ., ა რ ძ ა ნ გ ი საბას განმარტებული აქვს ასეთი ვახტანგისეული ფრაზით: „საფერი პატივი“, მ კ ო ლ ო ვ ა ნ ი — „მეტად გლახა“, მ ნ ე ნ ი — „მოკვლენი“, მ რ ე შ ე ე ლ ი — „მეშეშე“ და ა. შ. ასე რომ, საბა არა ვახტანგისთვის და არა მინცდამინც მისმიერი სპარსული შესატყვისებით განმარტავდა თავის „ღრმა ქართულ“ ლექსიკას, ამას აკეთებდა იგი ჩვეულებრივი მიზნით, უკვე გაუგებარ, მის მიერ ნახმარ არქაულ სიტყვებს განუმარტავდა ფართო ქართველ მკითხველს. ზ ო ს ტ ე რ ი „ღრმა ქართულია“, ხოლო ქ ა მ ა რ ი აშკარად სპარსული, მაგრამ საბამ თავად იცოდა, რომ პირველი უკვე აღარ იყო გასაგები ქართველობისათვის, ხოლო მეორე — კი, ამიტომ განმარტავს თავისი ვერსიის აშიაზე პირველს მეორეთი. და თუნდაც დაკუწვათ, რომ საბა ვახტანგს განუმარტავდა ამ სიტყვებს, ეს უფრო დაამტკი-

ეებს მათ არქაულობას, რადგან გამოდის, რომ ისინი მწიგნობარ ვახტანგ VI-საც არ სცოდნია. არც ისაა შემთხვევითი, რომ საბას განმარტებანი საკმარისი არ აღმოჩნდა და თავის დროზე იგი შეავსეს ღვეით რექტორმა (H 2183), იოანე ბატონიშვილმა, ქეთევან წერეთელმა (A 1788).

ცნობილია, რომ საბას „ენა და სტილი სხვადასხვაგვაროვანია იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათის, რა ქანრის ნაწარმოებს წერს იგი“<sup>66</sup>. არქაული ენა მისთვის ბუნებრივი რომ არ იყო, ჩანს იქიდანაც, რომ მას, მაგ., „სწავლანში“ გრამატიკული შეცდომებიც კი მოსდის<sup>67</sup>. საბა არქაულ ენას თვით „სიბრძნე სიცრუისაშიაც“. მიმართავს<sup>68</sup>. ჩვენი აზრით, ძველი ენისა და ლიტერატურის ღრმა მცოდნე, ხშირად მისი მკითხველი და მასთან ახლოს მდგარი, მით უმეტეს ამ დროისთვის ბერად აღკვეცილი საბას, გარდა იმისა, რომ არქაულ ლექსიკას აძლევდა არჩევანს, კიდევ ერთი ტენდენცია ჰქონდა: ეტყობა, უნდოდა, ვახტანგის მიერ ნახმარი სიტყვა შეეცვალა, მისი ტექსტი გადაესწორებინა იქაც კი, სადაც ეს საჭირო არა იყო. საამისო მაგალითებს უამრავს იპოვის მკითხველი ჩვენი ნაშრომის სათანადო თავში, სადაც პარალელური ტექსტები მოგვაქვს აქ კი მოვიტანთ ორ ადგილს, სადაც საბას ერჩია, არ შეეცვალა ვახტანგის ლექსიკა. ერთგან ტექსტში ზმაა, წერენ: გული კაცის შემპირვებელია და ამიტომაც მისთვის ყალბი დაურქმევიათო. ყალბ არაბული სიტყვაა და გულს ნიშნავს. ამ ზმის ქართულად გადმოცემა ძნელი იყო, მაგრამ საბას ყალბი მართო არაწრფელის, არახალასის საპირისპირო ცნება ჰგონებია და იგი რიოში სიტყვით შეუცვლია. საბასეული რიოში კი უკვე აბნელებს შინაარსს (B 519; C II, 31). ასევე, ორიგინალში ერთგან ლაპარაკია 'სიცოცხლის საფრთხეში ჩავდებაზე. ორიგინალის ქანბაზი ('სულით თამაში?) ვახტანგს გადმოუტანია როგორც სულით თამაშობა (B.627), საბა კი ამ ფრაზას ახირებია და სულით როკვა დაუწერია (C II, 151), რაც აქ შეუფერებელია. ვფიქრობთ, ეს ტენდენციაც უბიძგებს საბას, მიმართოს არქაულ ლექსიკასა და ფორმებს. როგორც ზემოთ გაკერით აღვნიშნეთ, „უცხო“ სიტყვები მართო ვახტანგს არ მოაქვს თარგმანში. ასეთ სიტყვებს მიმართავს საბაც და მიმართავს მაშინ, როცა იგი საჭირო აღარაა და შეიძლება ვახტანგის სათანადო ქართული ლექსიკის გამოყენება.

<sup>66</sup> ივ. გიგინეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის. სულხან-საბა ორბელიანი, უნივერსიტეტის კრებული, 1959, გვ. 41.

<sup>67</sup> იქვე, გვ. 33.

<sup>68</sup> ა. მარტიროსოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, 1954, გვ. 90.



საბას ვერსიაში, რა თქმა უნდა, ქაშეფის საჯი, მისი რითმოვანი და რიტმიანი პროზა არ იგრძნობა, ის ვახტანგს არ ჰქონია და არც იყო საჭირო. მაგრამ „ანეარ-ე სოჰაილის“ „ჩუქურთმები“ აქ უთუოდ ბევრია, ამას კი საბა ვერ გაეჭეოდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ იგი ზოგჯერ ცდილობს კიდევაც, გაამარტივოს ქაშეფის სტილი, მაგრამ აქ იგი შეზღუდულია მასალით. თავად საბას ღვლარქნილი სტილი არ ჰქონია. ქართული ლიტერატურული ენის შედეგრი „სიბრძნე სიცრუისა“ და „მოგზაურობა ევროპაში“ ჩამოკეთილი და ნათელი ფრაზებითაა გაწყობილი. „ქილილა და დამანაში“ კი საბა ძირითადად იმეორებს დედნისეულ ჩუქურთმებს და თავს ვერ არიდებს ღვარქნილ წინადადებებს. ის კი არა, ისე გაჯდომია მუშაობის დროს ეს სტილი, რომ ზოგჯერ თვითონ ავრცობს ქაშეფის ზოგ მარტივ წინადადებასა და აღწერილობას, როგორც ეს კარგად აქვს შემჩნეული ალ. ბარამიძეს<sup>69</sup>.

საბასეული „ქილილა და დამანას“ ღვლარქნილ სტილსა და არქაულობას აღნიშნავს ა. გაწერელიაც, რომელიც საბას ორიგინალური და თარგმნილი თხზულებების მშვენიერ ანალიზს იძლევა და გაგვირკევებს, თუ რაშია მათ შორის სხვაობა. მაგრამ ამის მიზეზებს მკვლევარი სწორად ვერ გვიხსნის. მისი აზრით, „გადაკარბებული არქაიზაცია და პათეთიკური ტონი“ საბასეულ „ქილილა და დამანაში“ გამართლებულია იმ გარემოებით, რომ „ქილილა და დამანას“ რედაქცია მუშავდებოდა გარკვეული საზოგადოებისათვის, ისიც მეფის შეკვეთით. ამიტომ „ქილილა და დამანას“ გაჩაღხვის მხატვრული შედეგი ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს საბასათვის და ახასიათებს უფრო ეპოქის ლიტერატურულ გემოვნებას, ვიდრე თვითონ გამჩაღხავს<sup>70</sup>.

როგორც ვნახეთ, საბა მთლიანად ორიგინალიდან მომდინარე სტრიქონთარგმანზე იყო დამოკიდებული. მან იცოდა, ის გრძნობდა, რომ ქაშეფის პროზის ღვლარქნილსა და მაღალფარდოვან სტილს სადა ენით ვერ გადმოსცემენ. ეპოქის გემოვნებას აქ როლი არ უთამაშია. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ უფრო მოსალოდნელი იყო, უმაღლსაკუთარი ნაწარმოებები ეწერა საბას პათეთიკური ტონით.

ჯერ კიდევ ა. ხახანაშვილი აღნიშნავდა, „ქილილა და დამანას“ „ქართულ თარგმანში მოჩანს ქრისტიანული შეხედულებათა“<sup>71</sup>. ა. ხახანაშვილი ცდება, რა თქმა უნდა, როდესაც საიქიოში ნეტარების

<sup>69</sup> ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 330.

<sup>70</sup> ა. გაწერელია, ჩრეული ნაწერები. თბილისი, 1962, გვ. 52.

<sup>71</sup> ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, ტ. I, 1919, გვ. 496.

მიზნით ამ ქვეყნიურ დათმენას მხოლოდ ქრისტიანულ კონცეპციად მიიჩნევს<sup>72</sup>. ეს კონცეპცია ისლამის დოგმებშიაც არაერთგზის გვხვდება. თარგმანის თავისთავადობის შეფასების საქმეში უფრო შორს მიდიოდა დ. ბაქრაძე, რომლის აზრით ქართულ თარგმანსა და მის ორიგინალს შორის თითქოს ძალიან დიდი განსხვავებაა, ქართული ძეგლი მთლიანად ქრისტიანობის საფუძველზეა დამყარებული<sup>73</sup>. და მართლაც, თვითონ საბა ერთგან შენიშნავს: სადაც „რჯულის წინააღმდეგად ჩანდა, ცოტა რამ ჩალხი ვკარო“ (C I, 118). მას შეუცვლია ზოგი აშკარა მუსულმანური რეალია ქრისტიანულით. ქააბის მოლოცვა ორიგინალისა იერუსალიმის მოლოცვად ქცეულა თარგმანში. ზოგან საბას „თავი შეუკაეებია“ წიგნში გამოთქმული მოსაზრების გამო და აშიაზე მიუწერია:

„მიკვირს, ესეთი ტყუილი რად მორთეს მათ მოჩმახითა,  
საღეთო წერილს მოშალეს, კაცნი დააბეს მახითა“ (C II 212).

ასეთი ჩალხი მარტო ბერად აღკვეცილ საბას როდი უკრავს წიგნისთვის, ამგვარი ოპერაციები ჩაუტარებია მანამდე ვახტანგსაც. ამას არა თუ რჯულისთვის, არამედ ქართული ზნისთვისაც შეუხანებებია თარგმანი. მაგ., ორიგინალში ერთგან ნათქვამია, ქალს არ ენდოთო:

كاس وزن و شمير و فساد كه ديد  
„ცხენი, ქალი და ხმალი მისანდო ვინ ნახა“<sup>74</sup>.

ვახტანგს ეს გამონათქვამი ასე შეუცვლია: „ცხენის, ხასის და ხრმლის დანდობა არავის უნახავს“<sup>75</sup>.

არ გვინდა ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს „ქილილა და დამანას“ ქართული თარგმანი ქრისტიანული სულისკვეთებით გაჟღენთილი ძეგლი იყოს. არა. ასეთი თითო-ოროლა ოპერაცია ამინდს ვერ შექმნის და არც შეუქმნია. ამ თვალსაზრისით იქნებ ისიც იყოს საინტერესო, რომ ზოგან, მაგალითად, პირიქითაც მომხ-

<sup>72</sup> A. Х а х а н о в, Очерки, გვ. 136.

<sup>73</sup> დ. ბაქრაძე, ბიბლიოგრაფიული ცნობა, ივერია, 1886, № 27.

<sup>74</sup> გვ. 105, انوار سبطي.

<sup>75</sup> B 681. საბა იმეორებს ვახტანგს. „ხარკიც მას შიკავეს, ხრმალიც“ (C II, 213). ერთი ასეთი სხვა მაგალითი მოაქვს ალ. ბარამიძეს. ორიგინალშია: ძმისშვილისთვის მიეთხოვებინა ქალიშვილიო (გვ. 206), ხოლო ვახტანგს გადაუკეთებია: „ქალი იგი მისსა შეგვანებულსა კაცსა მისცა ცოლად“ (იხ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 319). ჩვენ დავძენდით, რომ ორიგინალისეული ჩვეულება არა მარტო ვახტანგს მიუჩნევია საჩოთიროდ, არამედ A ვერსიის შთარგმნელსაც, რომელიც წერს: „ერთი დიდი თავადისათვის მიეცა“ (A 252).

დარა, — ორიგინალში ქრისტე არის კეთილად ნახსენები (გვ. 206), თარგმანში კი იგი უგულვებელყოფილია (B 311; C 290).

იცოდა თუ არა საბამ სპარსული და თუ იცოდა, იხედებოდა თუ არა იგი „ქილილა და დამანას“ ორიგინალში? კ. კეკელიძეს საბა სპარსულის მცოდნედ მიაჩნდა (კ. კეკელიძე, ეტიუდები, VIII, გვ. 301), ხოლო ა. ბარამიძის აზრით, საბას ხელთ ჰქონდა მხოლოდ ქართული ვერსია, სპარსულ დედანს ის არ იცნობდა (ა. ბარამიძე, ქილილა და დამანას საბასეული რედაქციის ლექსები, გვ. 25). ე. მეტრეველი და ალ. გვახარია ფიქრობენ, საბა სპარსულის მცოდნე პირს იშველებდნენ (ე. მეტრეველი, ალ. გვახარია, გვ. 185). ეს ბოლო ვარაუდიც ანგარიშგასაწევი, მაგრამ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბამ სპარსული იცოდა, ოღონდ ზედმიწევნით — არა.

ამ დროისათვის საქართველოს, ქართულ ინტელიგენციას, მკიდრო კავშირი ჰქონდა ირანთან. თითონ საბა ორჯერ იყო ირანში ნამყოფი დიპლომატიური მისიით: 1710 წ. (1 დეკემბრიდან 20 თებერვლამდე) და 1712 წ. (აპრილი-ნოემბერი). იქ მოღვაწეობდნენ მისი ახლო ნათესაეები. ბუნებრივია, საბა სპარსულის უცოდინარი ვერ დარჩებოდა. ისიც ნიშანდობლივია, რომ ვახტანგმა მას გაუგზავნა თავისი თარგმანი გასაჩაღხავად. ვახტანგს, შიგ მრავალი ტერმინი და ფრაზა უთარგმნელად ჰქონდა დატოვებული და მის გაგებასა და გახსნას სპარსულში ჩახედული კაცი დასჭირდებოდა. თავის ლექსიკონში საბა არაერთგზის აღნიშნავს: ამას სპარსულად ასე ეწოდებოდა. უმეტესად ეს მითითებანი სწორია. თავად „ქილილა და დამანაში“ საბა სპარსულის ცოდნას ამჟღავნებს.

როგორც ცნობილია, საფრანგეთში გაგზავნილ წერილში საბა იუწყება, რომ მას ახლავს ფრანგი მისიონერი რიშარი, რომელმაც „უზიღბაშური თათრული კარგად იცის. ამის სიტყვას უკეთ შეიტყობ და ჩემსა ეს შეიტყობსო<sup>76</sup>. მკვლევართა აზრით, აქ თურქული ენა იგულისხმება<sup>77</sup>. ი. ტაბალუას აზრით, აქ სპარსული უნდა იგულისხმებოდეს, რადგან რიშარი ირანში იყო ერთხანს ნამყოფი და სპარსული იცოდა (იხ. ი. ტაბალუა, ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის შედეგები. მაცნე, 1966, № 6, გვ. 139). მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ რიშარი. დიდხანს ცხოვრობდა თავრიზში, აზერბაიჯანში, და არაა მოულოდნელი, რომ

76 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბილისი, 1902, გვ. 317—318.

77 ა. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი, 1959, გვ. 19.  
კ. აბულაძე, საბას ლექსიკონის ქართულ-თურქული შესატყვისობანი (ხელნაწერი).

სკოდნოდა აზერბაიჯანული. საბამ იცოდა სპარსული და ამის ერთადერთი დამადასტურებელი საბუთი ჟერჯერობით მისი „ქილილა და დამანაა“, მოვიტანთ რამდენიმე ადგილს ამის დასადასტურებლად. კერძოდ, მივმართავთ ისეთ ადგილებს, სადაც საბა ვახტანგის მიერ უთარგმნელად დატოვებულ სპარსულ სიტყვებსა და ფრაზებს კარგად იგებს და მათ სათანადო ქართულს უსადაგებს:

B 462 ჯაზირა C I, 424 კუნძული

B 322 თამამ აიარი C I, 299 უზადო

B 91 მასნავი C I, 111 ორმუხლი

B 286 ფირ რუშან ზამირ C I, 269 გონებითმხილველი მოხუცებული.

უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: საბა სპარსულ დედანში იხედება და ისე ასწორებს ზოგჯერ ვახტანგის თარგმანს. მაგალითად, ერთგან ორიგინალში ვკითხულობთ: (O 205) میان رمد و نقرس امتیاز نکریدی.

„თვალის ტკივილს ნ ე კ რ ე ს ი ს ა გ ა ნ ვერ არჩევდა“. ვახტანგის თარგმანში ეს ნ ე კ რ ე ს ი არ ჩანს (B 311 თვალსა და ხელშუა ვერ იცნობდა და მაჯუნის...), ხოლო საბას ვახტანგისეული ბუნდოვანი თარგმანი საკმარისად არ უცვნია და ორიგინალში ჩაუხედავს. ამის შედეგია მისი ასეთი თარგმანი: „თვალის ტკივილსა და ნ ი კ რ ი ს ს ვერ გაპყოფდა“ (C I, 290).

გვინდა შევეხოთ საბასეული ვერსიის ლექსებს. როგორც უკვე გვქონდა ლაპარაკი, „ანეარ-ე სოპაილიში“ ციტირებულია სპარსული კლასიკოსების მრავალი ლექსი<sup>78</sup>. სპარსულ კლასიკურ ლიტე-

<sup>78</sup> ვახტანგის თარგმანში კიდევ იგრძნობა „ანეარ-ე სოპაილიში“ ჩართული ლექსები რომ ცოტატეხია, ხოლო საბას ვერსიაში ეს ნიშანი წაშლილია. ასე, მაგალითად, ქაშეფის მოაქვს საადის ერთი ლექსის მაცტა:

سعديا مرد نکو نام نמיד هرگز  
مرده آن است که نامش بنکوئی نبردند

„ქ ე ი ს ა ა დ ი, კარგი სახელის მქონე კაცი არასოდეს კვდება, მკვდარი ისაა, ვისაც კეთილად არ იხსენიებენ“ (გვ. 578, سعدي)

B 391 ე ქ ე ს ა ა დ ი, სახელოვანი კაცი მიღლეში არ მოკვდება, მკვდარი ისარის, რომ კარგი სახელი არ წაიღოს. C I, 360 კაცის სახელის მძებნელი არ მოკვდეს უკუნისამდე, სახელგმობილი მკვდარია უმაღლეს სიტყვის თქმისამდე.

ასევე უთახლოსოდ არის გადმოტანილი ქაშეფის ერთი ყითას მაცტა, რომელზედაც ზემოთ სხვა საკითხთან დაკავშირებით უკვე გვქონდა ლაპარაკი.

რატურაში სამი სალექსო ფორმა ბატონობდა: რობაის, მუსარრა'ის და ლაზელისა. ისინი ნებისმიერი ზომით იწერებოდა (გარდა რობაისა). ხოლო ფორმა მათი ასეთი იყო: რობაის — aaba ან aaaa, მუსარრა'ის aabbc და ა. შ., ლაზელის — aabacada და ა. შ.

„ანვარ-ე სოჰაილიშიც“ ეს სამი ფორმა ბატონობს, პროზაში ჩართული ლექსთა ციტატები ხელნაწერებსა და გამოცემებში დასათურებულნი აქვთ, ეს გვიანდელი მოვლენაა და კლასიკურ პერიოდში არ იყო<sup>79</sup>. აქ ტერმინები პირობითი ცნებებია. მაგ., نظم („ნაზმ“) იგივეა, რაც شعر („შე'რ“) და რომელიმე ქანრს ან ფორმას კი არ გულისხმობს, არამედ ლექსზე მიუთითებს საერთოდ. ასევეა بيت („ბაით“), იგი წყვილ სტრიქონს ნიშნავს, მაგრამ იმაზე არ მიუთითებს, თუ ამ ორ სტრიქონს შორის როგორი შერითმებაა. ამიტომაცაა, რომ ლექსჩართული ძეგლები („გოლესთანი“, „სიასათ-ნამე“, „ყაბუს-ნამე“ „სინდბად-ნამე“ და სხვ.) სხვადასხვა სურათს იძლევიან არა თუ ერთმანეთთან მიმართებაში, არამედ სხვადასხვა გამოცემაშიც. ერთსა და იმავე ლექსს ერთ გამოცემაში შეიძლება نظم ეწოდებოდეს, მეორეში مثنوى და არც ერთი იყოს მცდარი და არც მეორე, რადგან ის ლექსი შეიძლება ფორმით მესხვეი იყოს, მაგრამ ზოგადად, პროზის ფონზე — ლექსი.

„ანვარ-ე სოჰაილის“ პირველ მთარგმნელებს, დავით მეფესა და ანონიმთ, როგორც ითქვა, ორიგინალის ლექსები არ გაუწყვიათ. მათ ისინი ზოგჯერ თუ გადმოაქვთ და თანაც პროზით. აქ დავითზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ანონიმებზე კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათთვის საგანგებოდ მიეცეს ვახტანგს ასეთი დავალება. რადგან შემდეგ მათ გაჩაღხვას გულისხმობდა, იქნებ ვახტანგს უნდოდა, რომ თარგმანი ისეთივე ყოფილიყო, როგორც ორიგინალია. იგი ისე ყოფილა მოხიბლული სპარსული ლექსით, რომ მათი გადმოთარგმნა შეუძლებლადაც მიაჩნდა: „ლექსი სპარსული ქართულს ენაში ლექსად არ ითარგმნება, ამბად მოვა და მე იმავე ამბის გალექსვა მოვიწოდებო“ — წერს. ამიტომ მას ჭერ კიდევ A ვერსიის რედაქტირების დროს დაუწყია ლექსითი ადგილების ლექსადვე გამართვა, ძირითადად აშიებზე (ამიტომაც მიგვაჩნია ჩვენ, რომ თვით ვახტანგის ვერსია სტრიქონთარგმანია. ვახტანგი სხვის თარგმანში ლექსადვე ადგილებს და, ბუნებრივია, თავის ვერსიაშიც ეცდებოდა გალექსვას. მას ხელახლა უნდოდა მობრუნებოდა და შეესრულებინა, მაგრამ მოუცლელობის გამო ეს ვერ მოახერხა). ეს თავისი პოე-

<sup>79</sup> P. M. Алпеев, Гюлистан Са'ди и критика текста. Ученые записки Института востоковедения, XIX, гл. 151.

ტური ნაყოფი ვახტანგს A ვერსიიდან თავის (B) ვერსიაში გადაუტანია (ზოგან ცოტათი ცვლილებებით). ალ. ბარამიძე საბასეულ ლექსს უდარებს ვახტანგის არა ამ პოეტურ, სრულქმნილ თარგმანებს, არამედ მის სხვა, პროზითვე გადმოტანილ ადგილებს, და ბუნებრივია, უპირატესობას საბას ანიკებს<sup>80</sup>.

პირველსავე სიტყვას რომ მოვიდეთ, „ანეარ-ე სოჰაილის“ საბასეულ ვერსიაში ორიგინალის ლექსები უკვე ლექსის ფორმითვე იკითხება, რადგან მას საგანგებოდ დაავალეს: „სადაც ლექსები ჩართული იყოს. აგრეთვე ქართულად ლექსები ჩაურთო“. ამ რამდენიმე წლის წინათ საბას ამ ლექსების თაობაზე კამათიც კი ატყდა. თავის დროზე ი. ოქრომქედლიშვილს არ მოსწონდა ეს ლექსები. ის წერდა: „ლექსებისათვის კი მოგახსენებ, რომ ამაზედ უნდელი და უგემური არა გაგონილა-რა. ჩენი საბა ორბელიანი, როგორც იმისი ნაშრომი გვიმტკიცებს, მეტად მხნე და თავის დროს ბრწყინვალე სწავლული ყოფილა, ხოლოდ აპოლონთან არავეითარი მეგობრობა არა ჰქონია. მე რომ რედაქტორი ვყოფილიყავ, ლექსებს ამ წიგნიდან სრულებით გამოეყრიდი და წიგნს ამითი ერთი ათად მიემატებოდა; აზრის სინათლესაც მოემატებოდა“<sup>81</sup>. არ აქებდა მათ ვიქტორ გაბესკირია<sup>82</sup>. ხოლო ალ. ბარამიძე, პირიქით, მხარს უჭერს მამუკა ბარათაშვილს, რომელიც ამბობდა: „თუმცა რუსთელის ნათქვამი არ არი, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არის“<sup>83</sup>. ჩვენ აქ არ გამოვუდგებით იმის მტკიცებას, თუ რომელია მართალი, ეს ჩვენს კომპენტენციაში არ შემოდის, მაგრამ საილუსტრაციოდ იმისა, თუ საბა როგორ ლექსავდა, მოვიტანთ ნებისმიერ ადგილიდან მისი და ონანა მდივნის პარალელურ ტექსტებს ვახტანგის სტრიქონთარგმანი-თურთ.

1. ვახტ.: „ღ-თო, ჩვენა ვართ სარჯლისა და ჳირში მყოფი კაცნი,  
აწ მორჩომილი-ესხედვართ ყუავილოვანს არამში“ (B 19)

ონანა: „ღმერთო, ჩვენა ვართ ჳირსა და სასჯელსა შინა მყოფელი,  
მოერჩით, ყუავილთა :რამსა ესხედვართ კელ-მიუყოფელი“ (გვ. 14)

<sup>80</sup> ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 337.

<sup>81</sup> ილია ოქრომქედლიშვილი, წერილი დ. ზ. ბაქრაძისადმი, ივერია, 1886, № 167.

<sup>82</sup> ვ. გაბესკირია, გვ. 325.

<sup>83</sup> ალ. ბარამიძე, ნარკვევები, გვ. 335—342; მისივე, სულხან-საბა ორბელიანი, გვ. 146; ალ. ბარამიძე, ე. მეტრეველი, ალ. გვახარია, გვ. 306—328.

- ს ა ბ ა : „ღმერთო, ვინ ქირსა შოგვხედენ, შევირეებასა დიდებსა,  
შენ მიერ ხსნილნი ყვავილთა ვლახავთ მართ, ვითა ხილებსა“  
(C I, 50)
2. ვ ა ხ ტ . : „არ თუ მართო ბულბული მას ყუაეილზე მადლობას უბნობდა,  
რაც ეკალი იქ იყო, მადლობის სათქმელად თითო ენა იყო“  
(B 20)
- ო ნ ა ნ ა : „არ თუ მართო ბულბული ჰხმობს ვარდასა ზედან ლეთისა ქებად,  
ყოვლთ ფურცელთა ენა ჰქონდა, აღიდებდნენ მისევე ნებად“ (გვ. 15)
- ს ა ბ ა : „არ თუ ბულბული მადლობდა ვარდისა სუნელებასა,  
მავრამ მისნივე ეკალნი გალობდეს ღმრთისა ქებასა“ (C I, 50)
3. ვ ა ხ ტ . : „ხან ვარდის ფურცელს დილის ქარი ამარქაფებდა, ხან  
ქარის ფეხზე წყალი ჭაქვს მოაბამდა“ (B 20)
- ო ნ ა ნ ა : „მას ნიავსა დილისასა მონაბერსა, მონაქროლსა,  
იგ ფურცელნი ვარდისანი მარქაფად ჰყუა პირსა მოლსა.  
მოარბევდის სატრფიალოდ მისგან მისსა მონაყოლსა,  
ზოგნი დასდვის წყაროშიგან, რომ სიწმინდით ჰგვანდა ბროლსა“  
(გვ. 15)
- ს ა ბ ა : „წიადი ვარდასა უფრქვენელსა გაშლიდა, ასუნელებდა,  
ჩაქროლით წყალთა ჩაგრებდა. შეთხზნილებრ მიაძქევრებდა“  
(C I, 51)
4. ვ ა ხ ტ . : „ბალის მამშენებელი ახალი რგული ხე არის, მოსქრის მებაღე,  
რა გახმება“ (B 20)
- ო ნ ა ნ ა : „ბალს დაამშენებს ნერგები, ახალე რგული ხენია,  
მოსქრის მებაღე, რა გაქმეს, ვერ ისევე კარგ სახენია“ (გვ. 15)
- ს ა ბ ა : „წალკოტთა მამშენებელი არს ახალი ხე ნორჩია,  
რა გახმა, მოქვეთს მებაღე, იტყვის: „ჰე, გულო, მორჩია“  
(C I, 51)
5. ვ ა ხ ტ . : „ამ ბალახოეთანში, მითხარ, წასელა-მოსელის მიზევი  
რა არის, ამათ სალოცაეში ღთი ვინ არის?“ (B 20)
- ო ნ ა ნ ა : „მითხარ, ამათ რა არის წასელა-მოსელა და მყოფობა,  
ანუ რას ესვენ ამ ადგილს, ან რათ აქვსთ გაუყოფობა? (გვ. 15)
- ს ა ბ ა : „მითხარ, ამ ბალახოეთანთა რად დადის მიზეზიანად,  
ან მათდა მიწვიე საქებლად ღმერთი ვინა ჰყავსთ გზიანად?“  
(C I, 51)

ჩვენ აქ არ შევეუდგებით საბასეულ ვერსიის მხატვრულ ანალიზს, მით უფრო, რომ ასეთი ანალიზი უკვე მოგვეცეს ა. ბარამიძემ და ლ. მენაბდემა<sup>84</sup>.

როდესაც საბას ვერსიის ლექსებს ვაფასებთ, მისი რომელიმე ლექსი რომ მოგეწონს ან არ მოგეწონს, ისიც არ უნდა დაევიწყოთ, რომ ისინი ორიგინალი კი არ არის, არამედ თარგმანია და მათი სიავ-

<sup>84</sup> ლ. მენაბდე, სულხან-საბა ორბელიანი. თბილისი, 1953, გვ. 152; შემდეგში: ლ. მენაბდე, ა. ბარამიძე, ქილილა და დამანას საბასეული ლექსები, გვ. 23.

კარგე ძირითადად დედანზეა დამოკიდებული. ხოლო „ანვარ-ე სოჰაილის“ ორიგინალში, როგორც აღვნიშნეთ, ყველა ლექსი ერთი ავტორის არაა, თანაც ზოგი ჩინებულია, ზოგი — შედარებით მღარეც<sup>85</sup>.

აღრე ეგონათ, რომ საბამ ქართული სალექსო ფორმები სპარსული ორიგინალის სათანადო ფორმებს მიუსადაგა<sup>86</sup>. მაგრამ საბას არაფრით არ შეუბოჰავს თავი და ქართული კლასიკური ლექსის სახეებისათვის მიუმართავს. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება საბას ვერსიაში შაირი და ჩახრუხაული. მაგრამ საერთოდ საბას გამოუყენებია ქართული კლასიკური ლექსის ყველა სახე. ამით იგი განსხვავდება ონანასაგან, რომელსაც მხოლოდ თექვსმეტმარცვლიანი ლექსი აქვს გამოყენებული. „საბას თავიდან ბოლომდე მთლიანად დაუმუშავებია კრებულის ლექსები იმ ნაწილშიც კი, რომელიც ვახტანგს ჰქონდა გაკეთებული. საბას დაუტოვებია ვახტანგის მხოლოდ რამდენიმე ლექსი (ისიც საკმაოდ შეცვლილი) და თავისი ავტოგრაფიული დედნის სათანადო აშიებზე მიუწერია: „მეფის თქმული“<sup>87</sup>. ისე, როგორც თავის დროზე ვახტანგმა A ვერსიის ნუსხაშივე დაიწყო ლექსების გამართვა<sup>88</sup>, ასევე საბა B ვერსიის ნუსხაშივე შედგომია ვახტანგის მიერ პროზით გადმოცემული ლექსების გაწყობას და ზოგი ლექსი იქვე გაურითმავს. საერთოდ საბა ხან ავრცობს, ხან ამოკლებს ვახტანგის სტრიქონთარგმანის ზოგ ლექსით ნაწილს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო.

საბა მისეული ვერსიის ლექსებს ყველა კომპონენტებით გამართავს: გარკვეული ფორმითა და მისთვის საჭირო რითმითა და რიტმით. ამით იგი ორიგინალისაგან განსხვავებულ სურათს ქმნის. „ანვარ-ე სოჰაილიში“ ზოგჯერ ლექსით ციტატებს რითმა არა აქვს. ეს ხდება მაშინ, როცა ქაშეფის, ვთქვათ, ციტირებული აქვს ღაზელის ფორმით გაწყობილი ლექსის ერთმანეთთან გაურითმავი ორი სტრიქონი. საბას გაურითმავი ლექსი ვერ წარმოუდგენია (ასევეა ონანაც). პროზაში ჩართული ლექსი მისთვის უამისოდაც არსებული ლექსის ნაწილი კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი ლექსია (შეიძლება მან არც იცოდეს, რომ ისინი ციტატებია) და ამიტომ ყრველთვის რითმავს მათ. მაგალითად, ორიგინალში ქაშეფის მოაქვს ასეთი ბაითი:

<sup>85</sup> გვ. 208, «بجوه»

<sup>86</sup> ამის შესახებ იხ.: გ. მ. ქაძე, მამუკა ბარათაშვილის „ლექსის სწავლის წიგნი“, თბილისი, 1950, გვ. 137.

<sup>87</sup> ა. ბარათაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, გვ. 126.

<sup>88</sup> ე. თაყაიშვილი, ამოკრება ისინი ცალკე (იხ. Описание, I, გვ. 326).



حديث سر دل دل داند و بس

زبان و لب در آن محرم نباشد

„გულის ამბავი გულმა იცის, იცოდე,  
ენა და ბაგე მის საიდუმლოს ვერ გაიგებს“<sup>88</sup>.

აქ სტრიქონები ერთმანეთს არაა შერითმული (بِس، نباشد)  
მაგრამ საბას ის ასე გაუწყვეია:

„გულის განზრახვა გულმევე იცის და ემოწმებიან,  
ენა და ბაგე შორს ახლავს, არც იცის, ვერცა სწვდება“ (C II, 97).

არა თუ წყვილ სტრიქონს, არამედ ორიგინალის ერთსტრიქონიან  
ციტატა-ლექსსაც ხშირად რითმავს საბა შინაგანი რითმით:

„თუ წამოიტყენ თავსაო, გლახ გულმან იგ ითავსაო“.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ერთი მოვლენაც. ჩვენი აზრით, სპარსულ-  
ლი პოეზიის პირველი ლექსად მთარგმნელები ქართულად ვახტანგი,  
ონანა და საბა არიან (ყოველ შემთხვევაში, მათზე უფრო ადრეული;  
გამლექსავეი არ ჩანს), რადგან მათ გალექსეს „ანვარ-ე სოჰაილიში“<sup>89</sup>  
ციტირებული სპარსელი კლასიკოსები: ნიზამი (1141—1209), ჭერ-  
ლალ აღ-დინ რუმი (1207—1173), საადი (1184—1291), ჰაფეზი  
(გ. 1389) და სხვანი. ოღონდ აქ უნდა აღინიშნოს ერთი თავისებუ-  
ლებაც. „ანვარ-ე სოჰაილიში“ ეს ლექსები პროზაში აღწერილი სი-  
ტუაციის თუ განწყობის შესაფერისად მოტანილი ციტატებია. სა-  
ვალდებულო არაა, ისინი „ანვარ-ე სოჰაილის“ შინაარსის დეტალებ-  
სა და აქსესუარებს შეიცავდნენ. იგავად, მაგალითად, მოსატანი და  
განწყობის გამაძლიერებელი რაიმე ნიუანსი თუ აქვთ მათ, სავსებით  
საკმარისია. ხოლო საბას თარგმანში კი ისინი „ანვარ-ე სოჰაილის“  
შინაარსთან ერთადაა მოხარშული, მასაა დაახლოებული. ამდენად  
მოტანილ ციტატებს კი არ გვანან, არამედ უმეტესად პროზით გამო-  
ხატული შინაარსის დამადასტურებლად, მის გასაგრძელებლად შეთ-  
ხზულ ლექსს გვაგონებენ. ასე, მაგალითად, ორიგინალში ერთგან  
კუს წასვლა ეჩქარება და იგი მაიმუნს ასეთი ციტატით მიმართავს:

رحمتی فرما کہ کار از حد گذشت

زوی بنما کہ انتظار از حد گذشت

„წყალობა მოიღე — საქმე მიწურავზეა,  
სახე შეჩვენე — დამელია მოთმინება“<sup>90</sup>

<sup>88</sup> გვ. 410, ანვარ სჰილი,  
<sup>89</sup> გვ. 302, ანვარ სჰილი

საბასთან კი ვკითხულობთ:

„გიაყები, დავევიანდით, სწრაფად გვიხამს იქი წასკლა,  
მივაშუროთ, მიგველოან, არ წახდესო ბელი, დავლა“ (C 11, 31).

აქ საბასეულ ლექსზე გავლენა იქონია იგავის შინაარსმა: კუს თავისი მეუღლე მიელის და ეჩქარება. მას არ უნდა, რომ გაწბილდეს, რადგან ჰგონია: მაიმუნი თუ არ მიიყვანა შინ, მისი მეუღლე მოკვდება და უბედურება ეწევა<sup>91</sup>.

გვინდა შევეხოთ საბასეულ „ქილილა და დამანაში“ ჩართული ლექსების ფორმის საკითხს. როგორც ცნობილია, ლექსს, კერძოდ ყოველ ქართულ ლექსს, აქვს თავისი ზომა, რომელიც განსაზღვრულ მარცვალთა რაოდენობას გულისხმობს, და თავისი ფორმა, რომელიც ძირითადად სტროფების თავისებურებას ეყრდნობა. სტროფი რითმათა განლაგებით გამოკვეთილი ტაქტთა ჯგუფია, რომელიც ციკლურად მეორდება ლექსში. იგი შეიძლება ორ ტაქტს შეიცავდეს და რამდენიმე ტაქტსაც აერთიანებდეს<sup>92</sup>. ხდება ისეც, რომ ზოგი სტროფი დიდი და რთული ერთეულია და თავისთავად შეიცავს რამდენიმე სხვა და სხვა ფორმის სტროფს (სონეტი, მაგალითად). ასეთ სტროფებს „მყარ ფორმებს“ უწოდებენ. საბას ლექსები ქართული ლექსის სხვა და სხვა ზომითა და ფორმებით (სტროფებით) არის შეთხზული. მას გამოყენებული აქვს თითქმის ყველა საერო საზომი და ფორმა. შეიძლება ითქვას, რომ მან პოეტიკის პირველი ქართული ქრესტომათია შეგვიდგინა. აქ საგულისხმო ისაა, რომ ყოველი ლექსი საბას თავად აქვს განმარტებული, რამდენადაც მოცემული აქვს სათითაოდ მათი სათაური არა შინაარსის, არამედ პოეტიკის თვალსაზრისით მისი რაობის მიხედვით, ზომის თუ ფორმის კვალობაზე. რადგან ქართულ ლექსთმცოდნეობაში ან არეულია ზომისა და ფორმის ცნებები ერთმანეთში, ანდა ფორმები საგანგებოდ არ შეუსწავლიათ, თავს ნებას მივცემთ, დაწერილებით განვიხილოთ ისინი.

საბას შემდეგ ჯერ მამუკა ბარათაშვილმა (XVIII ს.), ხოლო უფრო გვიან იოანე ბატონიშვილმა (1772—1839) საგანგებოდ განი-

<sup>91</sup> ზოგჯერ კი საბასეული ვერსიის ლექსები სულხან-საბასი ჰგონიით და ავიწყდებათ, რომ იგი მთარგმნელია. მაგ., როდესაც საბასეულ ვერსიაში ჩართულ ლექსებს განიხილავს, ლ მენაბდე ასეთ გამოთქმებს ხმობს: „სულხან-საბას სწამს“ (ლ. მენაბდე, 144), „სულხან-საბა ორბელიანის აზრით“ (გვ. 145), „მკითხველის ყურადღებას იქცევს სულხან-საბა ორბელიანის გულის სიღრმე-დან ამოსროლილი სიტყვები“ (გვ. 147) და სხვ.

<sup>92</sup> В. Томашевский, Русское стихосложение. Петербург, 1923, გვ. 90.

ხილეს ქართული ვერსიფიკაციის საკითხები, პირველმა თავის „ლექსის სწავლის წიგნში“ ანუ ე. წ. „ქაშნიკში“<sup>83</sup>, ხოლო მეორემ „კალმასობაში“<sup>84</sup>, მაგრამ, უნდა ითქვას, ისინი კარგად არ იცნობენ ქართული ლექსის ფორმათა ბუნებას, მიუხედავად იმისა, რომ შეეძლოთ კისაბასეული ვერსია სახელმძღვანელოდ გაეხადათ. ქართული ლექსის ფორმათა შესწავლა არც XIX საუკუნეში მდგარა მაღალ დონეზე. დაიწერა არა ერთი და ორი გამოკვლევა<sup>85</sup>, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შრომებში უფრო დაბნელებულია საბას შემდეგ სადაოდ ქცეული მრავალი საკითხი. საქმე ისაა, რომ საბას აქეთ ვერცერთმა მკვლევარმა ვერ გამოიხატა პოეტური ფორმების გასარკვევი და ერთმანეთისაგან განმასხვავებელი მოდუსი, ვერაინ მიუხედა, რომ ლექსის ფორმის ერთადერთი განმსაზღვრელი არის რითმათა განლაგება სტროფში (თუ სტროფებში) და არა მარცვალთა რაოდენობა ტაქტში. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ზოგი მკვლევარი, მაგალითად, მრჩობლედს განმარტავს როგორც თოთხმეტმარცვლიან ლექსს (მხოლოდ იმიტომ, რომ შემთხვევით აღებული მრჩობლელი თოთხმეტმარცვლიანი ლექსი აღმოჩნდა) და ვერც ხვდება, რომ ლექსის ეს ფორმა შეიძლება გაიწყოს არა მარტო თოთხმეტმარცვლიანი ტაქტით, არამედ ყოველგვარი საზომით, რაც ქართულში არსებულია და რომ „მრჩობლელი“ მას თოთხმეტი მარცვლიანობის გამო კი არ ეწოდა, არამედ იმიტომ, რომ მისი მრჩობლი ტაქტებია გართმული: ამ ავტორებს, რომელთა რიგებში ვერ ჩაეაყენებთ მხოლოდ კ. დოდაშვილს, რომელიც მრავალი მიხვედრის ავტორია, მხოლოდ შემთხვევით თუ დაცდენიათ სწორი შეხედულებანი, მაშინ როდესაც, ვიმეორებთ, საბასეულ „ქილილა და დამანას“ ლექსებს კარგად რომ ჩაკვირებოდნენ, ბევრი რამ ნათელი იქნებოდა.

საბასეული სალექსო ფორმების განსაზღვრის საქმეში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ალ. ბარამიძის, ა. გაწერელიას და გ. მიქაძის ღვაწლი, მაგრამ, სამწუხაროდ ისინი ან გაკვრით შეეხენ ამ საკითხს, ანდა ზოგჯერ მცდარ განმარტებას გვთავაზობენ. თვით ისეთ მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომში, როგორიცაა ა. გაწერელიას „ქართული კლასიკური ლექსი“, მკვლევარი ადგილს ვერ პოულობს ამ საკითხის გასაშუქებლად. ა. გაწერელიასთვის ამოსავალია ტაქტი

<sup>83</sup> ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVII—XIX სს.), გივი მიქაძის რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1954. შემდეგში: ქრესტომათია.

<sup>84</sup> იოანე ბატონიშვილი, კალმასობა. I, კ. ქვეყნობისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1936. შემდეგში: კალმასობა; I.

<sup>85</sup> ისინი შეკრიბა და ერთად გამოსცა გივი მიქაძემ. იხ. ქრესტომათია.

და სტროფი, მარცვალთა რაოდენობა ტაქტში, მისი საზომები და ტანკთა რაოდენობა სტროფში: ეს ლექსის დილატ მეცნიერული ანალიზია. მაგრამ ამჟერად საკმარისი არ ვახლავთ. ა. გაწერელის, მაგალითად, ექვსტაეპიანი „წყობილი“ და ექვსტაეპიანი „ჩახრჭხაული“ ჭრთად აქვს განხილული და არ არის შესაძლებლობა გივერკვეთ, რომ ტაქტთა თანაბარი რაოდენობა ამ ლექსებს სულაც არ აახლოებს; რადგან არის სხვა რამე, რაც მათ აშორებს. ქართული ლექსის ცნობილი მკვლევარი ამას გრძნობს და იძულებულია, ყველგან გაგვეცნოს ნაირი და ნაირი ტაქტის შემცველი ლექსების რითმათა გზნლაგება როგორია. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული ლექსის ფორმასა და ზომას ერთმანეთში ურევს ქართული ლექსის მტოდნე მკვლევარი ა. ხინთიბიძე. თავის ფრიად საყურადღებო წიგნში „ლექსმცოდნეობის საკითხები“ მას ქართული ლექსი 125 სახეობად აქვს დაყოფილი და ერთიანი ნუმერაციით დასახელებულია: შეიღმარცვლელი, თორმეტმარცვლელი, ცამეტმარცვლელი, ძაგნაკორული. მრჩობლელი, მაჯამა, მუხამბაზი, სონეტი, ტრიოლელი და ა. შ.<sup>98</sup> მაგრამ განა, ვთქვათ, მრჩობელი არ შეიძლება დაიწეროს თორმეტმარცვლელით? მაშინ ასეთი ლექსი რა სახეობა იქნება: თორმეტმარცვლელი თუ მრჩობლელი? ა. ხინთიბიძის მიხედვით, ამ ყითხვას პასუხს ვერ გავცემთ, რადგან, ვიმეორებთ, მას ერთმანეთში აქვს არეული ორი სხვადასხვა ცნება: ლექსის ზომა და ლექსის ფორმა. ისინი ერთმანეთს არ გამორიცხავენ.

საბასეულ „ქილილა და დამანას“ ლექსსაც, ბუნებრივია, ორი კატეგორია გააჩნია: ზომა და ფორმა. საბა ლექსებს ამ კატეგორიათა მიხედვით ასათაურებს. ვთქვათ თუ ლექსი ფისტიკაურის ზომითაა გაწყობილი, „ფისტიკაურს“ აწერს, მაგრამ ყველა ლექსს რაიმე ფორმა აქვს და თუ ეს ლექსი შერეული ფორმისაა, შეიძლება „შერეული“ დაარქვას, — ხან ასე აქვს, ხან ისე, ზოგჯერ ორივეს უწევს ანგარიშს და ასეთ სათაურსაც წააწყდებით: — „ფისტიკაური-შერეული“.

საბა სამ ქართულ სალექსო ზომას მიმართავს. ესენია: შაირი, ფისტიკაური და ცამეტმარცვლელი.

შ ა ი რ ი. ყველაზე მეტად საბასეულ ვერსიაში შაირი გვხვდება. იგი ყოველთვის იყო გაბატონებული სალექსო ზომა ქართულ პოეზიაში. ამ ზომითაა დაწერილი ქართული შედეგები: „ვეფხისტყაოსანი“, „განთიადი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ამირანიანი“, „მუხრანული ბალადა“, „არსენას ლექსი“. იგი უძველესი საზომი

<sup>98</sup> ა. ხინთიბიძე, ლექსმცოდნეობის საკითხები, თბილისი, 1965, გვ. 124—128.

ჩანს, გ. იმედაშვილი სამართლიანად წერს: ქართული ლექსი „მზეო, ამოდი, ამოდი“ თუ წარმართული ხანისაა, მაშინ შაირის საზომი ასევე ძველი ყოფილა<sup>97</sup>.

ხოლო როგორც ფორმა, შაირი მეტად პირობითი ცნებაა. ჩვენ შევეჩვიეთ შაირის ფორმა ვუწოდოთ რუსთველურ კატრენს, რომლის რითმათა განლაგება ასეთია: აააა, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს ფორმა შაირისათვის ერთადერთი არაა, ამავე დროს იგი მხოლოდ „რუსთაველურის“<sup>98</sup> საკუთრება არ გახლავთ. მაგალითად, მოვიტანთ ერთ თერთმეტმარცვლიან ხალხურ ლექსს:

„ცივი დილა იყო, მოჭროდა ქარი,  
ლაშას მოქონდა წყაროდან წყალი,  
ქვეშ-ქვეშ გამოინა, თან მიყო თვალი,  
ფეხზედ ქოში ეცა, ქვეშ ეღო ნალი“<sup>99</sup>.

საბასთვის შაირი 16 მარცვლიანი ლექსია. ერთგან ვკითხულობთ: „იტყოდა შაირთაო“ (C II, 176) და მოდის 8 ტაეპიანი მონორიმი. იგი ექვსტრიქონიან მონორიმსაც შაირს უწოდებს. „ქილილა და დამანაში“ ვკითხულობთ დაბალ და მაღალ შაირს.

ფისტიკაური (ფისტიკაური). „ქილილა და დამანაში“ ამ ზომის მრავალი ლექსი იკითხება (საბა მას ფისტიკაურსაც უწოდებს. C II, 76; C II, 169). ლექსის ამ ზომას უკავშირებენ ვინმე ბისტკას, რომელიც პ. ინგოროყვას ვარაუდით, მეტსახელი უნდა იყოს. მისი აზრით, პოეტი ალბათ ბისტკიანი (თვალზე ბისტგადაკრული) იყო და ამიტომ შეერქვა ასეთი სახელი<sup>100</sup>. ა. შანიძე მას სომხურ პსტიკს უკავშირებს. ასეთი სომხური სახელი მართლაც ყოფილა. მაგრამ, მეცნიერის აზრით, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ბისტკია ქართველი არ ყოფილიყო<sup>101</sup>. პლატონ იოსელიანი ამ სიტყვას „ფიზიკას“ უნათესავებდა და ეს უკანასკნელი ესმოდა როგორც „ბუნება“<sup>102</sup>. ფისტიკაური ოცმარცვლიანი საზომია, ხოლო ბისტ სპარ-

97 გაიოზ იმედაშვილი, თემურაზ ბაგრატიონის შრომა ქართული ვერსიფიკაციის საკითხებზე. ლიტერატურული ძიებანი, 1948, IV, გვ. 225.

98 ჩვენ აქ ვეხმარებით აკ. ზინთბიძის სტატიას — „რუსთაველური“, სადაც მკვლევარი წინადადებს იძლევა, „ნაცლად დღემდე გავრცელებული თექვსმეტმარცვლიანი შაირისა ან რუსთაველური შაირისა ვიხმაროთ ტერმინი რუსთაველური“ (ლიტერატ. გაზეთი, 1966, № 13).

99 პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, II, 1964, გვ. 168.

100 პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო შემეკიდრებობა. რუსთაველის კრებული. თბილისი, 1938, გვ. 78.

101 ა. შანიძე, ფისტიკაურის ისტორიისათვის, ლიტერატურული ძიებანი, II, 1944, გვ. 13. შემდეგში ა. შანიძე.

102 Пл. Иоселиани, Путевые заметки от Тифлиса до Мухеты 1871, გვ. 70. შემდეგში: Пл. Иоселиани.

სულად ოცს ნიშნავს. ესეც საგულისხმოა, როგორც ა. შანიძე უთითებდა იმავე სტატიისში.

ფისტიკაურს ძველ სალექსო ზომად მიიჩნევენ. მიუთითებენ „ვეფხისტყაოსანში“ ჩართული ფისტიკაურის ფორმის ერთადერთ სტროფზედაც:

„შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან,  
სამსასი თავი სტაერა-ატლასი უხემან, ნიადაგ მოუმცდარომან.  
სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი ფერად მართ ვითა მიუმხვდარომან,  
კაცი ვაგზაუნა ეაზირისასა, ესე ყველაი მისთვის არა მან“<sup>103</sup> (171).

ფისტიკაური ოცმარცვლიანი ზომაა. ა. შანიძის განმარტებით „ჩახრუხაულს შინაგანი რითმა მოეპოვება, ფისტიკაურს კი არა“<sup>104</sup>. აქ დავიწყებულია, რომ ჩახრუხაული ფორმაა ლექსისა, ხოლო ფისტიკაური — ზომა. ამიტომაცაა, რომ „ქილილა და დამანაში“ გვხვდება ლექსები, რომელთაც შინაგანი რითმა აქვთ და ფისტიკაური კი ეწოდება. მაგ.:

აღმართა დრომა აღმოსავლისა ლაშქართ [პ]ატრონმა დასარ აზ მე ლად,  
დასავლის შეფე დ მათი სეფე ზღვათა დაანთქა ხანდაუზმელად“ (C I, 151).

ეს ლექსი ჩახრუხაულის ფორმითაა შეთხზული, ხოლო ზომით ფისტიკაურია. ეს ორი ცნება საბას სხვაგანაც აღრევიან. — ზოგან „ჩახრუხაული“ ჰქონია ლექსის თავზე დაწერილი, მაგრამ მერე იგი წაუშლია და „ფისტიკაური დაუწერია“ (C I, 262). ე. ი. აქ მას ჯერ ლექსი ფორმის პრინციპით ჰქონია დასათაურებული, მერე კი ზომის პრინციპით დაუსათაურებია.

„ქილილა და დამანაში“ ჩართული ფისტიკაურის უმეტესობა (და არა მთლიანად, როგორც აღნიშნავენ)<sup>105</sup> ორტაეპიანია. აქ გვხვდება ოთხტაეპიანი ფისტიკაურიც (C II, 26).

ე. ბოლხოვიტინოვის (1767—1837) განსაზღვრებით, ფისტიკაური რვა ტაეპისგან შედგება<sup>106</sup>, რაც პრინციპშივეა მცდარი. შორს

<sup>103</sup> არაფრით არაა დამტკიცებული, რომ ეს სტროფი რუსთველს ეკუთვნოდეს. ის ჩანართი ჩანს. ყველაზე მეტად შინც ისაა დამაეჭვებელი, რომ მთელი პოემა შაირითაა გაწყობილი, ათას შვიდასამდე შაირის სტროფში რაღა ერთსხვა ზომით გაწყობილ სტროფს გაურკვედა ავტორი! ასეთი აღრევა კი არ შეინიშნება იმ დროს არც არაბულ, არც სპარსულ, არც ქართულ პოეზიაში. ვფიქრობთ, ეს სტროფი ვიღაცამ მიაწერა რომელიმე ნუსხის აშიაზე, ხოლო გადამწერმა რუსთველის სტრიქონებზედ მიიჩნია და ტექსტში შეიტანა.

<sup>104</sup> ა. შანიძე, გვ. 7.

<sup>105</sup> გ. მთქაძე, მამუკა ბარათაშვილი. თბილისი, 1958, გვ. 79. შემდეგში: გ. მთქაძე, მამუკა ბარათაშვილი.

<sup>106</sup> ქრესტომათია, გვ. 26.

არაა სიმართლისაგან ლუკა ისარლიშვილის შეხედულება, რომ ფის-თიკაურს უნდა ახასიათებდეს ათმარცვლიანი სტრიქონი, ხუთ-ხუთად დაყოფილი და ერთმანეთთან გაერთმული ნაწილებით და ამ ფორმითაა დაწერილი ბესარიონ გაბაშვილის „სევდის ბალი“<sup>107</sup>. დიად, ზომით ეს ლექსი ფისტიკაურია, ფორმით — მუხამბაზი. ამასვე იმეორებენ კირონ არქიმანდრიტი და გრ. ყიფშიძე თავიანთ „ლექსთწყობაში“<sup>108</sup>. ასევე არ უნდა გვეჩოთიროს მელიტონ კელენჯერიძის შეხედულება, რომლის თანახმად ფისთიკაური ათმარცვლიანი მრჩობლედი გამოდის („მწყემსო კეთილო, შენს წმინდასამწყოსოს“ და ა. შ.)<sup>109</sup>. თეიმურაზ ბაგრატიონის (1782—1846) ცნობით, ფისთიკაური იმღერება ხმაზე: „თარნი ჰარნანრ, თარნი ჰარნანრ, ჰარნანი თარნრ, ჰარნანრ“<sup>110</sup>.

ც ა მ ე ტ მ ა რ ც ვ ლ ე დ ი. საბას გამოყენებული აქვს ც ა მ ე ტ მ ა რ ც ვ ლ ი ა ნ ი ს ა ზ ო მ ი ც. მას იგი ორგან მიმართავს, ერთჯერ „უცხოს“ რეფრენად მოაქვს („ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია“), ხოლო მეორეგან ამ საზომით გამართავს ერთ-ერთი იამბიკოს პირველ ოთხ ტაეპს: „მრავალთა ეამთა მოგებად თემთა იარო“. ა. გაწერელია ამ საზომს საბას შემოტანილად თელის<sup>111</sup>, რასაც იმეორებს პ. ინგოროყვა<sup>112</sup>.

107 ლუკა ისარლიშვილი, მოკლე კანონნი ქართულის პოეტიკისა. ანუ ლექსთა თხზულებისნი, ქრესტომათია, გვ. 144.

108 ქრესტომათია, გვ. 161.

109 მელიტონ კელენჯერიძე, ლექსწყობა ანუ წყობილსიტყვაობა.. ქრესტომათია, გვ. 184.

110 თეიმურაზ ბაგრატიონი, გეარნი ანუ საზომი ქართულისა. ენისა სტიხთა, ქრესტომათია, გვ. 66. ქართულ.ლექსს ერთ დროს რეჩიტატივით რომ კითხულობდნენ და ის რომ იმღერებოდა (ლილინით წარმოითქმოდა), ამაზე ი. მელუნარაძე უთითებს. იგი წერს: „ვეფხისტყაოსანს“ ლილინებდნენ ჩვენში და არა კითხულობდნენ. ახალმა დრომ კითხვა დაუწყო „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ გალობის ტონი ჯერ კიდევ არ გამოწელებია და არც შეიძლება გამოწელებს ამ კითხვას, რადგანაც თვით ქართული ლექსთა წყობა დამყარებულია მხოლოდ მარცვლის რაოდენობაზე, როგორც ფრანგულში, და არა ხმის აწევაზე, როგორც რუსულში“ (ი. მეუნარაძე. ქართული მწერლები, I. თბილისი, 1944, გვ. 338). ამ შორისდებულებზე დასმულია ფისთიკაურის რიტმიული მახვილები, მეტრიკი მინიშნებულია ხმოვანთა რაოდენობით.

111 ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბილისი, 1953, გვ. 269. შემდეგში: ა. გაწერელია.

112 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 586.

საღეჭსო ფორმები (სტროფები და „მყარი ფორმები“)

ტაეპი. საბასეულ ვერსიაში ხშირია ერთსტრიქონიანი ლექსი, რომელსაც საბა ტაებს უწოდებს. ისინი ზომით ხან შაირია, ხან ჩახრუხაული, ხანაც ფისთიკაური. ამასთანავე ხან შინაგანი რითმითაა გაწყობილი, ხან — არა.

1) ათმარცვლიანი შინაგანი რითმის (5a 5a) მქონე:

„ბოროტი თვალი ცეცხლს მინათვალთ“ (C I, 161).

შინაგანი რითმის გარეშე ათმარცვლიანი ტაეები არ გვხვდება საბასეულ ვერსიაში.

2) თექვსმეტმარცვლიანი შინაგანი რითმის (8a 8a) მქონე:

„ამ მოგონებით რამენი, შევით ღღე დავალამენი“ (C I, 161).

შინაგანი რითმის გარეშე (8B):

„თუცა ღმერთსა გაუგია, არ მოშორდეს არად, არად“ (C I, 194).

3) ოცმარცვლიანი შინაგანი რითმის (5a 5a 55a) მქონე:

„სიჩქარის საქმე ბრძენს სძულს დასაქმე, ჰკუის სახლს  
დასეშს, აქ—შენ და აქ—მე“ (C I, 274).

შინაგანი რითმის გარეშე (5555):

„ღხინის სარტყელი წელთა შევირტყათ მოყერისა გულთა  
ჩასახუტებლად“ (C I, 337).

ასე რომ, არაა სწორი იოანე ბატონიშვილის განსაზღვრა: „ტაეპი შედგება თექვსმეტის ხმოვნის ასოთი და ოცდარჩის უხმო ასოთი“<sup>113</sup>.

ი. ბატონიშვილს მოაქვს სამი სათანადო ადგილი „ქილილა და დამანას“ საბასეულ რედაქციიდან, მაგრამ იმავე „ქილილა და დამანას“ ათმარცვლიანი და ოცმარცვლიანი ტაეპები ყურადღების გარეშე რჩება. მის შეცდომას იმეორებს ანონიმი ავტორი შრომაში „ქართულის პოეზიისათვის“<sup>114</sup>. ტაეპის ნაირმარცვლიანობაზე უთითებს კოტე დოდაშვილი, როცა სწერს: „ღიღი შეცდომაა, ითქვას, ვითომც ტაეპი შეადგენდეს ცალკე წყობილებას, ანუ იწერებოდეს მარტო ამა და ამ წყობილებით“ (ხაზი ჩენია. მ. თ.)<sup>115</sup>.

113 კალმასობა, I. გვ. 287.

114 ქრესტომათია, გვ. 60.

115 იქვე. გვ. 116.



ტაეპთან დაკავშირებით ქართული პოეტიკის ბევრ როგორც ძველ, ისე ახალ მკვლევარს შეორე შეცდომაც მოსდის, — ტაეპს ისინი ლექსის დამოუკიდებელ ფორმად თუ სახედ მიიჩნევენ.

გ. მიქაძე ტაეპს რომ განიხილავს, წერს: ეს სახეობა პირველად „ქილილა და დამანაში“ გვხვდება (აქ იგი საბასეულ ვერსიას გულისხმობს)<sup>116</sup>. მკვლევარის ცნობა ზუსტი არაა, ტაეპი პირველად გვხვდება ვახტანგისეულ „ქილილა და დამანაში“. საბა მხოლოდ შინაარსობლივად იმეორებს ვახტანგის ტაეპებს. იგი ხშირია „ქილილა და დამანას“. ონანასეულ რედაქციაში. შემდეგში მას მიმართავს „სამარდიანის“ ავტორი („არ მწადს შენი მოშორება, ყრმაო, მსურს ერთად კონება“<sup>117</sup>). პ. ლარაძეს ცამეტჯერ აქვს დასახელებული ტაეპი<sup>118</sup>. ტაეპის განმარტებანი ან ცალმხრივია, ან მცდარი. ყველა გვაუწყებს, რომ ეს სახე პირველად „ქილილა და დამანაში“ გვხვდება და მისი შემომტანი საბაა, მეტად ბუნდოვანია გამოთქმაც „სახე“. არ ვიცი, ამ ტერმინის ავტორები რას გულისხმობენ, მაგრამ რადგანაც აქ ზომა არ ივარაუდება, ფორმის (სტროფის) ცნება უნდა ვიგულოთ. საინტერესო მოსაზრება გამოთქვა მასზე აკაკი გაწერელიამ: „სტროფიკის თვალსაზრისით ამ შემთხვევაში ტაეპი ასრულებს მთელი ლექსის მაგივრობასაც, თუმცა ამთვისებელი მას (ტაეპს) გულისხმობს უკვე ცნობილი ან პოტენციურად ნავარაუდები სტროფის ელემენტად“<sup>119</sup>. მაგრამ ტაეპი ლექსის სახეობა რომ იყოს, საჭიროა, ჰქონდეს თავისი ფორმა, იყოს სტროფი. ხოლო საკუთარი ფორმა მას არ გააჩნია. ფორმის შესაქმნელად სულ მცირე ორი სტრიქონი მაინცაა საჭირო. ტაეპი რომ ლექსის დამოუკიდებელ სახეობად მივიჩნიოთ, ამისათვის ჯ. ბარდაველიძეს სამართლიანად მიაჩნია საჭიროდ, რომ ჯერ გაირკვეს: არის თუ არა ის სტროფი. ხოლო მისი აზრით, ერთტაეპიანი სტროფი არ არსებობს არც ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, არც ქართულ ლიტერატურაში. მკვლევარი აქ ეყრდნობა: თვით საბას განმარტებას, რომლის მიხედვით ტაეპი არის „წიგნის მუჭლი“ და არა სტროფი<sup>120</sup> და მარ-

116 გ. მიქაძე, მამუკა ბარათაშვილი, გვ. 88.

117 ტექსტი შოტანილი აქვს კ. კეკელიძეს. იხ. კ. კეკელიძე, ეტიმოლოგიური ლექსის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1945, გვ. 187.

118 გ. მიქაძე, ტაეპის გაგებისათვის (ხელნაწერი. ნაშრომი თეაზიანად ვეათხოვა ავტორმა).

119 აკაკი გაწერელია, გვ. 201.

120 ჯ. ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსთწყობის საკითხები. თბილისი, 1960. გვ. 37.

თლაც, ონანასეული „ქილილა და დამანას“ ლექსებს ზოგან ტაეპი აწერია თავზე<sup>121</sup>, ზოგან — მუჭლი<sup>122</sup>.

თავად ონანას ტაეპები იმავე მიზეზითაა გაჩენილი, რითაც საბასი, — ორიგინალში მოტანილი სპარსელი პოეტის ლექსის ფრაგმენტის თარგმნით. ავიწყდებათ, გაითვალისწინონ „ქილილა და დამანას“ ორიგინალის მონაცემები, გარკვევა იმისა, თუ რამ გამოიწვია ქართულ ძეგლში ტაეპის გაჩენა, რატომ გვხვდება ტაეპი პირველად „ქილილა და დამანასში“. განემარტავთ: აქ განმეორებულია მისი ორიგინალის, „ანვარ-ე სოჰაილის“ სურათი. ქაშეფის თხზულებაში. როგორც ვიცით, სხვადასხვა ავტორის უამრავი ლექსია ციტირებული. სიტუაციის შესაფერისად ძალიან ხშირად მხოლოდ ერთი სტრიქონია მოხმობილი. ვახტანგს, იძლევა რა იგი ორიგინალის სიტყვა-სიტყვით, სტრიქონთარგმანს: ბუნებრივია, გადმოაქვს ეს, ორიგინალის პროზაში მოხმობილი, ლექსის თითო სტრიქონებიც ქართულად. თანაც ყველგან უთითებს, რომ ის ლექსია (თავში აწერს „ლექსი“). ვახტანგის თარგმანს დაყრდნობილი საბა (ისე როგორც ონანა), ჩაღბავს ამ სტროფს, ლექსის სტრიქონად აქცევს მას. ვღებულობთ ლექსის ფრაგმენტს, ერთ ტაეპს, რომელსაც საბა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმისდა მიუხედავად, თუ როგორცაა ის ორიგინალში, შინაგანი რითმის მქონე, თუ შინაგანი რითმის უქონელი, მაინც ლექსის სახეს აძლევს, ხოლო ხშირად უკეთებს შინაგან რითმას. მოვიტანთ ორ მაგალითს:

1. საბასეულ ვერსიაში ვკითხულობთ ასეთ ტაეპს:

„ეკლავ ჰკითხა: თუალო, სადით მოხვალო?“ (C I, 144).

ორიგინალის სათანადო აღგილასაა:

نخستين بار گفتش کز کجائی

„უპირველესად ჰკითხა: სადაურო ხარო“.

ეს სტრიქონი ქაშეფისა არაა, იგი მას მოაქვს ნიზამის „ხოსროვი და შირინიდან“, კერძოდ, ხოსროვისა და ფარჰადის გაბაასე-ბიდან<sup>123</sup>.

2. „მრავალქერ ვლანი, გზადაგზა სელანი უხმთ, ვირემ უმი შეიგბო-ბოდეს“ (C I, 79).

121 ონანასეული ქილილა და დამანას, გვ. 4.

122 იქვე, გვ. 37.

123 გვ. 233, خسرو و شیرین

ეს ადგილი ონანასაც ტაეპად (ერთმუხლად) აქვს გამართული:

„მგზავრობა უხამს ვირემდი უმი კელაე მოიხარშოს“<sup>124</sup>.

ეს იმიტომ, რომ ორივე ვერსიას საფუძვლად უძვეეს ვახტანგის სტრიქონი, რომელიც თავისთავად სხვა არაფერია, თუ არა „ანეარ-ე სოპაილიში“ ციტირებული სტრიქონის ზუსტი თარგმანი. აი, ისიც:

بیار سفر باید تا بخته شود خامی

რომლის ავტორი საადი შირაზელია<sup>125</sup>.

არის თუ არა ასეთი ტაეპი ლექსის ფორმა? თითქოს დადებითი პასუხის გაცემას ერთგვარად ხელს უწყობს საბას ჩარევა, მისი ოპერაციები, რომელზედაც ეს-ესაა ვილაპარაკეთ, -- ზოგი მათგანის შინაგანი რითმით გაწყობა, რის შემდეგ ტაეპი ორი თუ მეტი სტრიქონიანი ლექსის შთაბეჭდილებას ქმნის (მაგ., მეშინის, უ ს უ ს უ რ ო ბ ი თ ტვირთი ვერ ვზიდო სრულ ო ბ ი თ“), მით უმეტეს თუ ეს ტაეპი აფორისტულია („ბოლოს მომკაცა წესია, რაც პირველ დაუთესია“). ასეთი ტაეპი შეიძლება სტროფად მივიჩნიოთ და, მაშასადამე, ლექსის ფორმად ჩავთვალოთ, მაგრამ საერთოდ მათ უნდა შევხედოთ როგორც ლექსთა ფრაგმენტებს, რომელთაც ორიგინალში არა აქვთ ამის პრეტენზია.

ლექსი. ეს ტერმინი „ქილილა და დამანაში“ კონკრეტულ სალექსო ფორმასაც აღნიშნავს. იგი შერითმული ორტაეპიანი ლექსია. მარცვალთა რაოდენობა, ბუნებრივია, განსაზღვრული არაა. მაგრამ ის ან რვა მარცვლიანი გვხვდება ან თექვსმეტმარცვლიანი. „ლექსი“ შეიძლება დაბალი შაირითაც იყოს გაწყობილი და მაღალითაც. ამის გამო ის ხშირად ოთხტაეპიანი, რუსთაველური შაირის ნახევარია. ალბათ ამით აიხსნება, რომ ზოგან საბას ჯერ „შაირი“ ჰქონია ასეთი ორტაეპიანი ლექსის სათაურად, მაგრამ მერე ვადაუშლია და „ლექსი“ დაუწერია. თუმცა მის ანდერძს ეს არ შეხებია: აქ იკითხება ექვსი ორტაეპიანი „შაირი“; რომელიც თუ საბას საერთო პრინციპს ვავითვალისწინებთ, „ლექსია“. ჩანს, მათი გადასწორება მიავიწყდა საბას<sup>126</sup>. საბასთვის შაირის ძირითადი ნი-

<sup>124</sup> ონანასელი ქილილა და დამანა, გვ. 37.

<sup>125</sup> بیار سفر باید تا بخته شود خامی | صوفی نشود صافی تا در

نکشد جامی  
„ბერი მგზავრობაა საკირო, რათა უმი მოიხარშოს, სუფი წმინდა არ გახდება,

علي أكبر دهخدا، امثال و حکم، ۱۳۳۸، ج. ۴۶

<sup>126</sup> ვახტანგის ანდერძში ჩართულ ლექსებს ყველას „ლექსი“ აწერია, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ისინი ოთხტაეპიანი შაირია. აქ ლექსი გარკვეულ ფორ-

შანი თექვსმეტმარცვლიანობაა. ასევე, ჩახრუხაულის ძირითადი ნიშანი საბას ლექსთა დასათაურების მიხედვით, არის ოცმარცვლიანი ტაეპი, რომელსაც შინაგანი რითმა გააჩნია. ამას ადასტურებს მისი დასათაურებანი: „მრჩობლელი-შაირი (88ა—88ა; 88ბ—88ბ) და ა. შ. (C I, 395). მრჩობლელი-ჩახრუხაული“ (5ა 5ა 55ბ—5ც 5ც 55ბ) და ა. შ. (C II, 252).

იოანე ბატონიშვილს შესაძლებლად მიაჩნია, რომ „ლექსი“ ჩვიდმეტმარცვლიანიც იყოს. „ხოლო შესაძლებელი არს ოთხ სტრიქონადცა გაკეთდეს ლექსი, მაგრამ გვარი ამისი უფრო ამ სახედ, ორსტრიქონიანი არს“<sup>127</sup> „ქილილა და დამანაში“ ერთი რეამარცვლიანი და ორტაეპიანი „ლექსი“ იკითხება (C I, 291). „შაირი“ არაბული სიტყვაა (شعر „ში'რა“), რომელიც საქართველოში ალბათ სპარსული გზით დამკვიდრდა. ის ლექსს ნიშნავს. ვფიქრობთ, „ლექსი“ და შაირი თავისი ბუნებით ერთია, „ლექსი“ რვა ან თექვსმეტმარცვლიან, ყველაზე ბუნებრივ და გავრცელებულ ლექსს ეწოდებოდა ქართულად, მას გვიან შეაშველეს ტერმინი შაირი, რომელსაც შერე ოთხ და შეტ ტაეპიანი „ლექსის“ აღნიშვნა დაეკისრა<sup>128</sup>.

მ რ ჩ ო ბ ლ ე დ ი . მრჩობლი ნიშნავს ორს, ორკეცს. მრჩობლელი კი ორსტრიქონიანი ლექსის ფორმას გულისხმობს. „ქილილა და დამანაში“ ეს ფორმა ხშირად გვხვდება. აქ იკითხება ექვსი, რვა და ათ სტრიქონიანი მრჩობლედები (C I, 395; C I, 394; C I, 355). მრჩობლელის ძირითადი ნიშანი ორი სტრიქონის ერთმანეთთან შეერთებვაა (aabbccdd და ა. შ.). ამიტომაცაა, რომ გვხვდება „მრჩობლელი-შაირი“ (C I, 395) და „მრჩობლელი-ჩახრუხაული“ (C II, 159). აქედან აშკარაა, რომ მრჩობლელის მარცვალთა რაოდენობა და რითმათა შინაგანი განლაგება ნებისმიერია. ამდენად დამაკმაყოფილებელი ვერაა იოანე ბატონიშვილის განმარტება, რომლის მიხედვით, მრჩობლელი თექვსმეტმარცვლიანი უნდა იყოს<sup>129</sup>. განსაზღვრული აქვს მრჩობლელის ტაეპში მარცვალთა რაოდენობა ლუკა ისარლიშვილსაც. მისთვის მრჩობლელი ერთ რითმაზე გან-

მას როდი ნიშნავს, რომელზედაც ახლა გვაქვს ლაპარაკი, არამედ პროზის საპირისპირო ტერმინია. აქ ეახტანგი იმეორებს „ანვარ-ე სოპილის“ სურათს. იგულისხმება, რომ ვათავდა პროზითი თხრობა და შოდის ლექსი.

<sup>127</sup> კ ა ლ მ ა ს ო ბ ა , I, გვ. 275.

<sup>128</sup> გამოთქვამთ რა ამ ვარაუდს, არ გვაიწყვდება ერთი გარემოება: ვახტანგის ვერსიაში პროზაში ჩართული ლექსების აღსანიშნავად ყველგან ერთი ტერმინი იხმარება — „ლექსი“. აქ ეს სიტყვა ვანრზე უთითებს. მაგრამ, რადგანაც ამ ციტატთა უმეტესობა ორტაეპიანია, იქნება საბამ ვახტანგის „ლექსი“-საამისო ფორმის აღმნიშვნელ ტერმინად მიიჩნია.

<sup>129</sup> კ ა ლ მ ა ს ო ბ ა , I, გვ. 278.

წყობილი თოთხმეტმარცვლიანი და ხუთთაეპიანი ლექსია<sup>130</sup>, რაც ორმაგადაა მცდარი, მარცვალთა რაოდენობის და ტაეპთა რაოდენობის განსაზღვრის გამო. კირონისა და ყიფშიძის „ლექსთწყობაში“ მჩრობლელი თოთხმეტმარცვლიან ლექსს ეწოდება<sup>131</sup>, რაც ასევე არაზუსტია. ამ უკანასკნელთა შეცდომას იმეორებს მ. კელენჯერიძე<sup>132</sup>. მჩრობლელი ხშირია ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში<sup>133</sup>.

ჩ ა ხ რ უ ხ ა უ ლ ი. „ქილილა და დამანაში“ იკითხება ერთთაეპიანი (C I, 247; C I, 311), ორთაეპიანი (C I, 206), ოთხთაეპიანი (C I 311, C I, 351) და ექვსთაეპიანი (C I, 30; C I, 122) ჩახრუხაული. უფრო ხშირად ორთაეპიანი გვხვდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ერთ და ორთაეპიან ჩახრუხაულს ზოგჯერ აწერია „ჩახრუხაული“, ზოგჯერ — არა (C I, 274; და C I, 311). შინაგანი რითმით ისინი ასეთ სურათს ქმნიან: 5a 5a 55b—5c 5c 55b (C I, 30); 5a 5a 55a—5b5b 55a; 55a 55a—5b 5b 55a (C I, 239). ჩა ხრუხაული საბას ეპოქაში ჭერ კიდევ ყოფილა ჩვენში პოპულარული. ასე, მაგალითად, სალხინოს (მარტვილიდან 15 კმ) კარის ეკლესიაზე კაცია II დადიანს .1782 წ. ასეთი ჩახრუხაული წაუწერიანებია:

„ჰოა, ქრისტეს დედავ, მცირე წვილის ებედავ, შენს სახლად  
 იძღვენ ეს ეკლესია,  
 შენს მიერ შენდა გძღვნობ, ვით შეგშენდა, ჩემზე მხედველ  
 ყაე ჩემი მესია.“

<sup>130</sup> ქ რ ე ს ტ ო მ ა თ ი ა, გვ. 147.

<sup>131</sup> ი ქ ე ე, გვ. 161.

<sup>132</sup> ი ქ ე ე, გვ. 183.

<sup>133</sup> „პატარძლო პატარაო,  
 წყალს მოიტან, სხვას არაო,  
 წამოყდები კერასაო,  
 ატარტარებ ენასაო“.

(„ხ ა ლ ხ რ ი ს ი ბ რ ძ ე, IV, თბილისი, 1965, გვ. 424—425).

„თიშ ვიქილე ნაგვაზუე,  
 ძლაბეფი თექიანი გაბაზუე;  
 თიშ ვიქილე ბანძა რე,  
 ძლაბეფი თექიანი ძანძა რე“ და ა. შ.

„იშას იქით ნაგვაზუე [არის],  
 იქაური გოგონები გეცემიან.  
 იშას იქით ბანძა [არის],  
 იქაური გოგონები ჭვალაობი არიან“.

მე დადიანმან, შენმან მოსაქმან, კაცოამ გიგე სახლი ესია,  
და მეუღლით და ძოთ, მნათობთა მბაძით, მარჩობლ სუფევა  
გვეე უმყობესია“ 134.

ჩახრუხაულის ფორმისთვის დამახასიათებელი შინაგანი ორ-  
მაგი რითმა აღმოსავლური ლიტერატურისათვის უცნობი არ ყოფი-  
ლა, შეიმჩნევა ის არაბულ პოეზიაში<sup>135</sup>. სპარსულში არა თუ ორ-  
მაგი, სამმაგი რითმაც გვხვდება<sup>136</sup>. თუმცა საბა ჩეველებრივ გამო-  
იყენებს ჩახრუხაულს და ორიგინალის სათანადო ლექსის ფორმასა  
და ზომას არ უსადაგებს, თავისთავად ჩახრუხაული აღმოსავლურ  
შინაგანი რითმების მქონე ლექსების ტაეპებს გვაგონებს. თავად  
ჩახრუხაულს პირობით ზომაც. შეიძლება ვუწოდოთ. მარცვალთა  
ჩაოდენობითა და მეტრით იგი ფისტიკაურია, ოღონდ შინაგანი რი-  
თმებით ინარჩუნებს თავისებურებას და ამ ნიშნით ის ფორმად გვე-  
ვლინება. ამიტომაც, რომ თვით ვახტანგ VI და თეიმურაზ ბაგრატი-  
ონი არ არჩევენ ერთმანეთისგან ფისტიკაურსა და ჩახრუხაულს.  
ერთმანეთისგან არ გამოჰყოფდა მათ დ. ჩუბინაშვილიც<sup>137</sup>. ფისტი-  
კური ქართულში უმეტესად მონორიმი კატრენს ეგუება, ამიტო-  
მაც, როგორც აღვნიშნეთ, ძველი და ახალი დროის მკვლევართ იგი  
ლექსის ფორმა ჰგონიათ. ამიტომაცაა, რომ პ. ინგოროყვა ჩახრუ-  
ხაულს ფისტიკაურის განვითარებად თვლის, ე. ი. ფაქტიურად აქ  
იგულისხმება: ჩახრუხაულის მონორიმი კატრენი ფისტიკაუ-  
რის კატრენის განვითარებააო. მისი აზრით ფისტიკაურის ტაე-  
პი: შავთელურ ტაეპად იქცა (5a 5a 55b) შავთელური, მაშასადამე  
ოთხი ასეთი ტაეპის შემცველ-მონორიმ კატრენს ეწოდება, ხო-  
ლო ჩახრუხაული ეს უკვე მთელი ლექსია, რომელიც ერთ რითმაზეა  
გაწყობილი მთლიანად და, მაშასადამე, ოთხზე მეტ შავთელურ ტაეპს  
შეიცავს<sup>138</sup>. მაგრამ საბამ ტერმინი „შავთელური“ არ იცის და თვით  
ორტაეპიან ლექსსაც კი ჩახრუხაულს აწერს. „ქილილა და დამანაში“

134 ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა , საშეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პე-  
რიოდი და დავით დადიანი. ს ო ლ ო მ ო ნ ც ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით. თბი-  
ლისი, 1939, გვ. 63. ოღონდ ი. მეუნარგიას ტექსტში შეცდომაა: „პ ო ა“ არ იკო-  
თება (ტექსტი ადგილზე გვაქვს შემოწმებულ).

135 გ. წ ე რ თ ე ლ ი , სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული  
კულტურის ისტორიის შესწავლისათვის. მოხსენებათა კრებული, თბილისის სა-  
ხელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1947, გვ. 45.

136 ა. გ ვ ა ხ ა რ ი ა , შინაგანი რითმის ისტორიიდან. ძველი ქართული  
წერლობის საკითხები, 1964, გვ. 111. შემდეგში: ა. გ ვ ა ხ ა რ ი ა . რაც შეეხე-  
ბა გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენებს“, საინტერესოა, რომ ამავე ფორმით  
უწერია ბალმონტსაც და შეიძლება გ. ტაბიძეს მისთვის მიუბაძოს. (იხ. К. Д. Б а л х-  
и о н т, Полное собр. стихов. М., 1909, гл. 41).

137 ქ რ ე ს ტ ო მ ა თ ი ა , გვ. 97.

138 ბ ა ვ ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა , გიორგი მერჩულე. თბილისი, 1954, გვ. 584.

ჩახრუხაული ეწოდება ორ, ოთხ და ექვსტაებიან შინაგანი რითმის მქონე ოცმარცვლიან ლექსებს, რაც იმაზე უთითებს, რომ მისი, როგორც ფორმის, ცნება ტაების ფარგლებს არ სცილდება და შეიძლება გვაძლევდეს ორ, ოთხ, ექვს და ა. შ. ტაებოვან ლექსებს.

შეწყობილი (მონორიმი). „ქილილა და დამანაში“ ცამეტი შეწყობილი იკითხება. გ. მიქაძე აღნიშნავს: „ამ ნაწარმოების მიხედვით შეწყობილი თექვსმეტმარცვლიანი ლექსიაო“<sup>139</sup>. მკვლევარის დასკვნა სწორი არ უნდა იყოს, რადგან „ქილილა და დამანაში“ იკითხება ერთი ოცმარცვლიანი შეწყობილიც:

„მათს საქმესა და შენს გონებასა, ესე იცოდე, სხვა რამ აძესა,  
მწერალი დაწერს ლომსა და რძესა, ლომსა და რძეში სხვაობა ძესა.  
ორნიე ფუტყართა მიეშგავსებით, ერთად მოსკამენ მას  
მოსაძესა,  
ერთს თაფლსა მისცემს, სხვას საწერტელსა მტერთა საკრავად  
და გასაძესა.  
ორნი ქურციკნი მოლთა მძოარნი ერთსა წყალთა სმენ დღეთა  
სიგრძესა,  
ერთი მუშესა ყნოსს, სხვისა სისხლია, გვამსავე მოაქვს  
დასაბრანძესა“. (C I, 189).

ამ ლექსს, რომელიც, ვიმეორებთ, ოცმარცვლიანია და საბას „შეწყობილი“ უქვია (5555a, 5555a და ა. შ.), შინაგანი რითმები არა აქვს და ამდენად მისი ტაები ფისთიკაურია. სწორი არ ჩანს გ. მიქაძის მეორე ცნობაც: შეწყობილი „ქილილა და დამანას“ მიხედვით ექვსი ტაებისაგან შედგებაო. „ქილილა და დამანაში“ ვკითხულობთ ერთ რეამარცვლიან და ორსტრიქონიან ლექსს, რომელსაც საბა შეწყობილს უწოდებს:

„ქარი თუ ღრუბელს ატარებს,  
კლდე ქარსა გაიშხატვარებს“ (C I, 439).

ეს ლექსი შეწყობილის ერთ-ერთი სახეობის, კერძოდ, მოკლე შეწყობილის ნიმუშად მოაქვს იოანე ბატონიშვილს<sup>140</sup>. ორსტრიქონიანი საბამ წყობილიც იცია (C 438:55a—55a).

„კალმასობის“ ავტორი შეწყობილს უწოდებს თექვსმეტმარცვლიან ლექსს, რომელსაც ერთგვარი რითმა აქვს. სტრიქონთა რაოდენობას იგი არ საზღვრავს<sup>141</sup>. ეს განმარტება ყველაზე უფრო ახლოს დგას კეშმარიტებასთან, ერთი მომენტი, მარცვალთა რაოდენობის

139 გ. მიქაძე, შამუკა ბარათაშვილი, გვ. 84.

140 კალმასობა, I, გვ. 276.

141 კალმასობა, I, გვ. 277.

დენობის განსაზღვრულობა, რომ არ უშლიდეს ხელს. ჩვენი აზრით, შეწყობილის ძირითად ნიშნად მონორიმი გვევლინება, მასში შარცვალთა და სტრიქონთა რაოდენობა ნებისმიერია.

მონორიმი საერთოდ ქართული ლექსის ყველაზე ბუნებრივი და გავრცელებული ფორმა ჩანს. ქართული ხალხური ლექსების დიდი ნაწილი ერთრიტმიანია, გვხვდება ორასამდე სტრიქონის შემცველი ერთრიტმიანი ლექსები (პოემებიც კი). შარტო აზარტული კაპრიზი არ უნდა იყოს ისიც, რომ ფშაველი კაფიების ოსტატები ერთიანი რითმით აგრძელებდნენ ლექსს, მისი ყუვის (რიტმის) გამოცვლა „სისუსტის მაჩვენებელი იყო და ამგვარი მოლექსე დამარცხებულად ჩაითვლებოდა“<sup>142</sup>. ბოლოსდაბოლოს, თვით სიტყვა კ ა ფ ი ა, რომელიც წარმოშობით არაბულია (أفيا) რითმას ნიშნავს და ერთ ყუვზე შერითმვას გულისხმობს. ძალიან ბევრია ხალხურ და ვაჟას პოეზიაში ლექსები, რომელთაც დიდხანს მიუღდის ერთი რითმა და მხოლოდ კარგა გულის მოჭერების შემდეგ გადადის ახალ რითმაზე, რომელსაც ასევე დიდხანს მისდევს. მონორიმები გვხვდება გ. ტაბიძისა და ა. კალანდაძის შემოქმედებაშიც (ეს მოვლენა სხვა ხალხთა პოეზიაშიც შეინიშნება). მამუკა ბარათაშვილის შეხედულებით „შეწყობილი მრავალრიგია: წყობილიც ჰქვია, შერეულიც ჰქვია, მრჩობლედიცა ჰქვია, — ყოველს რიგით რიგი მოხმარება უნდა“<sup>143</sup>. აქ მამუკას შეწყობილი ფართო მნიშვნელობით ესმის როგორც საერთოდ ლექსის სინონიმი.

თავად მამუკას შეწყობილის მაგალითად მოაქვს ერთი საკუთარი ლექსი:

„აჲო, აჲო, საყვარელსა რაჲო  
მიწყიე ჰმონე მხურვალედ, თვალი შეინამეო.  
მისად თუ ჰყო, ესედა აღწერილი სწამეო.  
რა მიიცი სასჯელი, ღზინი ათამამეო.  
მისგან რასმე რგებას თუ არვის ეტყვი, მამეო.  
თუ მამუკას შელექსედ არ იტყვიან, ვამეო!“

(დაახლოებით ასეთი ხასიათის თავის ლექსებს არქმევს ვახტანგიც შეწყობილს) მამუკას ამ ლექსსა და საბას შეწყობილებს შორის განსხვავება არის. ისინი მხოლოდ ერთი ნიშნით გვანან ერთმანეთს:

<sup>142</sup> ა. ც ა ნ ა ვ ა, სიტყვა მოვიდა, ქვა დახვდა, ფშაური კაფია-მილექსებანი. თბილისი, 1964, გვ. 5.

<sup>143</sup> ქ რ ე ს ტ ო მ ა თ ი ა, გვ. 9.



ერთიანი რითმით. ხოლო მაშუას ამ ლექსში სხვა საინტერესო და მნიშვნელოვანი განსხვავებანი შეიმჩნევა. და კერძოდ: 1) ავტორი ლექსის ბოლოში თავის თავს ახსენებს. 2) პირველი სტრიქონი შინაგან რითმას შეიცავს. 3) ლექსი სატრფიალოა. ამ ნიშნებით იგი გვაგონებს აღმოსავლური სატრფიალო ლირიკის ერთადერთ და გაბატონებულ ფორმას ლაზელს (ყაზალს), რომელიც ასეთია: aabacada და ა. შ. ლექსს თავიდან ბოლომდე ერთი რითმა აქვს, მისი პირველი ორი სტრიქონი (მატლა) გარითმულია ერთმანეთთან, ხოლო ყოველი მეორე სტრიქონი—გამოშვებული. ლექსის ბოლოში აუცილებელია ე. წ. მაყტა, სადაც ავტორი თავის თავს ალუსს (ფსევდონიმს) ასახელებს. ზემომოტანილი მაშუას ლექსიც ასეთია: გვაქვს ერთიანი რითმა, გვაქვს თახალუსიანი მაყტა, ლექსი სატრფიალოა. თითქოს არა გვაქვს მატლა — პირველი ორი სტრიქონის შერიტმვა — და სტრიქონებიც მიჯრითაა ერთმანეთთან შერიტმული და არა გამოშვებით. მაგრამ ორივე დაბრკოლება იხსნება, თუ ლექსს დავაღაგებთ ტაეპთა (და არა წყვილტაეპთა) ანუ ცეზურულ რითმათა პრინციპით. ლექსი ასეთ სახეს მიიღებს:

„ააჲო, აჲეო,  
საყვარელსა რაჲეო  
მიწყვიე კმონე მხურვალედ,  
თვალი შეინაჲეო.  
მისად თუ ჰყო, ესედა  
აღწერილი სწაჲეო.  
რა მიიცი სასჯელი,  
ლხინი ათამაჲეო.  
მისგან რასმე რგებას თუ  
არვის ეტყვი, მაჲეო.  
თუ მაჲუქას მელექსედ  
არ იტყვიან, ვამეო!“

როგორც ვხედავთ, აქ უკვე აღმოსავლური ლაზელის ყველა ნიშანი გვაქვს<sup>144</sup>. საბას შეწყობილებში საქმე აქამდე არ მიდის, მანდ

<sup>144</sup> შტრ. ქაფეზის (გ. 1389) ტიპური ლაზელი:

„ბებორდ აზ მან ყერნარო ცნათო-ო ჰუჲ  
ბოთ-ე სანგინდელ-ე სიმინ ბენაგუჲ  
ნეგნარი ჩნბოქი შანგი ქოლანარ  
ზარნფი მაქაში თურქი ყაბნფუჲ  
ზე თნბ-ე ნთეშ-ე სედნა-ე ეშაჲ  
ბესნან-ე დრგ დნიმ მნზანამ ჟუჲ  
ჩო ფნრაჲან შავამ ვსულბნთერ  
გარამ ქამჩუნ ყაბნ გირამ ღარ ნლჲ“

მხოლოდ სტრიქონთა ერთიანი რითმა გვაქვს (ისიც გარეგანი, შიგნით რითმები არაა და ამდენად არა გვაქვს საშუალება, იგი მივიჩნიოთ მატლას მქონე ისეთ ლექსად, რომელსაც ყოველ მეორე სტრიქონში რითმა გამოშვებული ექნებოდა). საბას მიერ ნახმარი შეწყობილი ჩვენ ქართულ ხალხურ, ტრადიციულ, სალექსო ფორმად მიგვაჩნია, ხოლო მამუკას ლექსი კი — გვიანდელი აღმოსავლური სალექსო ფორმის, ღაზელის, უშუალო გავლენად. თუმცა ღაზელისთვის დამახასიათებელი ყველა კომპონენტი ცალ-ცალკე სხვა და სხვა ქართულ ლექსს აქვს, ღაზელის ზემომოტიანილი ვარიანტის არსებობა ქართულ ხალხურ ლექსში საეჭვო გვგონია. ამავ დროს თვით ღაზელი არ იყო ყოველთვის ასეთი. მაყტა, მაგალითად, მისი აუცილებელი კომპონენტი არ ყოფილა<sup>145</sup>. ქართულ ხალხურ ლექსში ხშირია მატლა, კიდევ მეტი, ბევრი გვაქვს ლექსი, სადაც მატლაც არის და ყოველ მეორე სტრიქონშიც განმეორებულია ერთიანი რითმა, მაგრამ მათ მაყტა აკლიათ. ანდა პირიქით, აქვს მაყტა, მაგრამ მატლა არა აქვს. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, ქართულ ფოლკლორში დაიძებნოს ლექსი, რომელსაც აღმოაჩნდება მატლაც, მაყტაც, ერთიანი რითმაც, მაგრამ ეს შემთხვევითი ხასიათის მატარებელი იქნება, რადგან გვიანდელი ღაზელის ფორმას არაფერი ჰქონდა საერთო ქართულ ხალხურ ლექსთან. ასე რომ ქართული ხალხური ლექსები, ვიმეორებთ, უმეტესად საბას შეწყობილს უქვერენ მხარს. ავიღოთ თვალსაჩინოებისათვის ზოგი მათგანი:

მატლას მქონე, ერთრიტმიანს.

1 „წუთისოფელი რა არი  
 აგორებული ქვა არი.  
 რა წამს კი დაეიბადებით,  
 იქვე საფლავი მზა არი.  
 საცა სოფელში მიხეიდე.  
 სუყველგან ორი გზა არი.

აგარ ფუსრიდა გარდად ოსთობნნამ  
 ნაგარდად მეკრათ აზ ქანამ ფერა მწუ  
 დელ-ო დინამ დელ-ო დინამ ბებორდასთ  
 ბარ-ო დწუშამ ბარ-ო დწუშამ ბარ-ო დწუ  
 დაენა-ე თო დაენა-ე თოსთ ქან ფეზ  
 ლაბ-ე ნწუშამ ლაბ-ე ნწუშამ ლაბ-ე ნწუშამ.

ديوان خواجه شمس الدين محمد حافظ شیرازی، باهتمام محمد

قزوینی و دکتر قاسم غنی، چاپ سینا، تهران، 191

გვ. დიوان حافظ 191 გვ. 145 ამის შესახებ იხ. A. M. Мирзоев, Рудаки и развитие газели в X—XV вв., Сталинабад, 1958; И. С. Брагинский, О возникновении газели, Советское востоковедение, 1958, гв. 2.

შუაში არი ხმელეთი,  
 გარშემო დიდი ზღვა არი.  
 ყველა ადამის შვილი ვართ,  
 თათარიც ჩვენი ძმა არი.  
 ჩვენსა და სომეხებს შუა  
 განყოფილება რა არი?  
 თუ ქალი გეტყვის ღობასა,  
 ის უკეთესი და არი.  
 ეგრეთი გქონდეს გუნება,  
 ვით მოწმენდილი ცა არი,  
 თუ არ იწამებ ამასა,  
 მუცლით ნაშობი რა არი? = 148.

მატლას მქონე მონორიმი ლექსი ხშირია სხვა ქართველურ ენაზე შექმნილ ხალხურ სიტყვიერებაში, კერძოდ მეგრულში. აი, ერთი მათგანი:

„ვო, დონწყვირი ობიშხას  
 ეა დიფშქვილიო წყარსი  
 წყარიშქვილა ცოფე, მარა  
 ჩქემქვუა ვალოლამუ შხვას.  
 ჩაფულაქ შილალატუ, ვარა  
 კენგვოჩურანი ძვას.  
 ურაქ კვარტი შგმოგდლო  
 ქვდგნომიტუე შქაწყარს.  
 მოუსვი ნი, დუდი ქოფსოფი  
 კოდმე-ტყირს ბალანჯარს.  
 ჩილი ნათხიირი პუნს  
 ბედივეირი, საცო დარს.  
 კოს შილამიჩქვანგლანი,  
 მეუმჩქ, ღომინჯარს.  
 იში ორქო-ჩილაბურს,  
 გურიშოქვე გეთვალუას  
 ეი ბორია გემიგანს,  
 სამგთხეკარისა მემილანს.  
 ჩქემი თოფი დო ლეკური  
 ვაქიგილაბუნო შხვასი  
 ჩქემი ქერი დო შიმინო  
 ეა ქიგეუხენო შხვასი  
 ჩქიმი წყარ-მეძობარი  
 ეა ქიგეთხონგნო შხვასი  
 .  
 ძელი ჩხონს უქკომუნლო  
 ძვალი ქეკობხირგ ძვას = 149

148 ვახტანგ კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, მეორე გამოცემა, თბ., 1961, გვ. 25. შემდეგში: ე. კოტეტიშვილი.

149 И. Книшндзе, გვ. 140—141.

„ეჲი, დაქცეულ პარასკევს  
 წყალში არ დაეხრჩვი!  
 წყალში დახრჩობა ყოფილა, მაგრამ  
 ჩემისთანა სხეას არ დამართნია.  
 ფეხსაცმელმა მიღალატა, თორემ  
 ნაპირზე გამოეცურავდი.  
 ურამ წიხლი მკრა და  
 შუაწყალში ჩამტოვა.  
 რომ მოუესვი, თაჲი დავარტყი  
 ტიალ კბოდეს.  
 ცოლი ნათხოვარი მყავს  
 ბედდამწეარი, საცოდავს.  
 კაცს რომ გამოიგზავნიდნენ,  
 მგონია, დამიტირებს.  
 იმის ოქრო-ცრემლს,  
 გულშემატყვიარ მოთქმას  
 ზენა ქარი დამიკრავს,  
 სამოთხის კარამღე მიმიტანს.  
 ჩემი თოფი და ხმალი  
 სხეას არ ჰკილია!  
 ჩემი ქორი და მიმინო  
 სხეას არ უზის [მაჯაზე]!  
 ჩემი მწეუარ-მეჭებარი  
 სხეას არ დასდევს!

რბილი თევზს შეუქმნია და  
 ძვალი ნაპირზე ყრია“<sup>148</sup>.

მაყტას მქონე, ერთრითმიანი:

„ცისკარმა ამოანათა,  
 ფუძე შაიძრა ცისაო.  
 ვარსკვლავნიც ეფარებიან  
 შორი გზის შუქის ჩრდილსაო.

ხანდახან ქოჩორს შეგიბერტყს  
 ნიჲეი მალა მთისაო.  
 ეს ლექსი ბაგრატმ გამოთქვა  
 სახსოვრად გიორგისაო“<sup>148</sup>.

მაყტიანი ლექსი ბევრია ქართულში<sup>149</sup>. მაყტა არ ახლავს ვახტანგ VI-ს საკუთარ ლექსთა კრებულში დაცულ შეწყობილებს, ხოლო

<sup>148</sup> ე. კოტეტიშვილი, გვ. 142—143.

<sup>149</sup> ქართული ხალხური პოეზია. I, აკაკი შანიძის გამოცემა, თბილისი, 1931, გვ. 223, 233, 235, 237, 240 და ა. შ.

მატლა აქვთ. ასეთი ლექსი ვახტანგის კრებულში რამდენიმეა<sup>150</sup>, მაგრამ სანიმუშოდ ერთს მოვიტანთ:

„პლატონ ბრძენია, ბრძენია,  
ქვეყანით აფონელია  
მოწაფე იყო სოგრატის,  
სიბრძნეთა შიგან მრთელია,  
პირველ სახელად არისტონ  
მისთვისეუ დასარქმელია.  
მერმე სოკრატისთვის გულისა  
პლატონად სასმენელია.  
პლატონ თარგმანით მის ენით  
ერცლად არის საცნობელია.  
ზოგთა მახედა უწოდეს  
სიტყვისა ვრცელად მოქმელია.  
მით ყველას უკეთ სოგრატის  
სწავლისა დამსწავლელია“<sup>151</sup>.

მაყტა არ ახლავს ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებს: „ძვერს გლახ გული“<sup>152</sup>. „ბალახშ ბეზეკის ბაგიი“-<sup>153</sup>, „პყრობილისგან თანაყრობილთა მიმართ“<sup>154</sup>, „კმუნვის მახვილი“<sup>155</sup>, „ლიმიტ. ე“<sup>156</sup> (მათი ფორმა ასეთია: aabacada და, ა. შ.). დ. კობიძეს ა. ჭავჭავაძის ეს ლექსი სამართლიანად მიაჩნია ყაზალეზად<sup>157</sup>, ოღონდ მან ასეთად ჩათვალა რატომღაც მხოლოდ სამი („ბალახშ ბეზეკის ბაგიით“, „პყრობილისგან თანაყრობილთა მიმართ“, „კმუნვის მახვილი“). ალექსანდრე ჭავჭავაძის ასეთი ხასიათის პოეზია ქალაქის ფოლკლორს უფრო ენათესავენოდა, ვიდრე ქართულ ტრადიციულ ხალხურ სიტყვიერებას, ამიტომ მოსალოდნელია, რომ მას ეს ლექსები პირველის გავლენით შეექმნა<sup>158</sup>. დ. კობიძე არაფერს ამბობს იმაზე,

150 ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი, 1947, გვ. 99, 77; 103, 109; 105, 133. შემდეგში: ვახტანგ VI.

151 იქვე, გვ. 93.

152 ა. ჭავჭავაძე, თხზულებანი. იოსებ გრიშაშვილის გამოცემა, თბილისი, 1940. გვ. 4.

153 იქვე, გვ. 45.

154 იქვე, გვ. 60.

155 იქვე, გვ. 63.

156 იქვე, გვ. 67.

157 დაეით კობიძე, ქართული და სპარსული პოეტიკის ისტორიიდან. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, № 91. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, 1960, გვ. 141. შემდეგში: დ. კობიძე.

158 გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს ამ ფორმის დუბლითად მონათვლა, რაც იმას უნდა გამოეწვია, რომ დუბლითის ერთ-ერთი სახეობა ზუსტად ემთხვევა ლა-

რომ ა. ჰაქევაძის ყაზალების მაცტაში ფსევდონიმი ან პოეტის სახელი აღარ გვხვდება და რომ ამით იგი გამოირჩევა გვიანდელი აღმოსავლეთის ყაზალის ფორმისაგან. ამის მიზეზი კი საძიებელია.

ის, რაც საბასთვის შეწყობილია (ექვსმარცვლიანი შერითმული ლექსი) მამუკას წყობილად მიაჩნია. მაგრამ საქმე ასე მარტივია არაა. მამუკას მიერ მოტანილი, მრავალმუხლი წყობილი, მაგალითად, ისევ ტიპიური ღაზელი გამოდის და არა საბასეული შეწყობილი. აი, მისი წყობილი მრავალმუხლი:

„თუმცა შენია, შენ ია, ვარდს არ წარტყევენა ჰშვენია,  
სხვათაგან ნათობს გაშლილი, გონებას მოუღვენია.

დგას შენდა ლხინი კეთილი, რა მზრდელსა განუჩენია,  
მამუკასათვის სიბნელე არ არის განუთენია“.

ცუბურის პრინციპზე რომ დავალაგოთ, ეს ლექსი ასეთ სახეს მიიღებს:

„თუმცა შენია, შენ ია,  
ვარდს არ წარტყევენა ჰშვენია,  
სხვათაგან ნათობს გაშლილი,  
გონებას მოუღვენია.

დგას შენდა ლხინი კეთილი,  
რა მზრდელსა განუჩენია:  
მამუკასათვის სიბნელე  
არ არის განუთენია“.

რაც, ვიმეორებთ, ტიპიური ღაზელია და არა საბასეული შეწყობილი.

ღაზელები იკითხება „დავითიანშიაც“. დ. გურამიშვილის „სვინიდისის მხილება დავითისა, ოდეს დატყობულმან გამოპარვა გაივლო გულშია“ ოთხი ღაზელისაგან შედგება, რომელთაც აქვთ მატლა, ძაყტა და ერთიანი რითმა. აი, ერთი მათგანი:

„გულმან მითხრა: ა დ ე ო  
რადათ შაიცა დ ე ო?  
თუ არა იქ, ვით იქნას,

ზელის პირველ ოთხ სტრიქონს თავისი ფორმით (a a b a) და ეს შემთხვევითი არცაა, რადგან ღაზელი, დუბეითი ანუ რუბაი, მუფრადი, და ყითა სპარსული ლექსის ერთ სახეობას — ყასიდას განეკუთვნებიან (სპარსულ ლექსს სულ სამ სახეობად ჰყოფენ. ესენია: ყასიდა, მესნევი და მუსამათი (იხ. Вахид Табризи, Джам'-и Мухтасар. Трактат о поэтике, критический текст, перевод и примечания А. Е. Бертеляса. Москва, 1959, გვ. 37). ტიპიური ღაზელია გიორგი თუმანიშვილის დუბეითიც: „მუხთალმან ამან სოფელმან“ (ეს ლექსი იხ. ტ. ლ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან. თბილისი, 1954, გვ. 191).

რაც რომ დაიქაღეო?  
 ჭერ რაც უფალთ ვალანი  
 გედვას, გარდის აღეო;  
 სთხოვე, ძალა მან მოგცეს,  
 ვისგანც დაიბაღეო.  
 კვლავ წალი და განხეთქე  
 მტერთ მახე და ბაღეო;  
 მას კაცს, ღეთისა საყვარელს,  
 მიჰყევ, თავი ანღეო;  
 ვისაც დავით ხალოდეს,  
 უფლად შენ მას ხაღეო<sup>159</sup>.

ორ ლაზელს აერთიანებს დ. გურამიშვილის „გალობა“<sup>160</sup>.  
 დ. გურამიშვილის ლექსი „სიმღერა ფერჯისული „აგერ მიღმარ-  
 ახოს“ საწინააღმდეგოდ სათქმელი“ ტიპიური ლაზელია<sup>161</sup>. ამ ლექსის ბო-  
 ლოში განმეორებულია ჭერ ბოლო ორი სტრიქონი და მერე ხელ-  
 ახლა ბოლო სტრიქონიც, მაგრამ ეს მოვლენა საერთოდ ახასიათებს  
 დავით გურამიშვილის მრავალ სხვადასხვა ფორმის ლექსს. დავითი.  
 „დინარს“ არქმევს ისეთ ლექსებს, რომლებიც არაფრით არ განსხ-  
 ვავდებიან ზემოთ განხილულ ლექსთაგან ფორმის თვალსაზრისით.  
 „დინარი“ დავითს დარქმეული აქვს მამუკას „მდინარის“ მიბაძვით,  
 ისე როგორც ზემომოტანილი ლექსიც, როგორც ეს შემჩნეულია.  
 დავითმა მამუკას შეწყობილის გავლენით შექმნა<sup>162</sup>. მამუკას „მდი-  
 ნარიც“ არაფრით განსხვავდება მისივე შეწყობილის თუ წყობილი-  
 საგან (ე. ი. ლაზელისაგან). დავითის „დინარებს“ აქვთ მატლა, მაყტა  
 და ერთიანი რითმა. ე. ი. ლაზელია. აი, ერთი მათგანი:

„ვაქოთ, ვადიდოთ ვინაო? —  
 ღმერთი მაღალთა შინაო,  
 ვინცა შეამყო ქვეყანა,  
 ლამე დღედ განაბრწყინაო;  
 ზღვით, კმელით, ხითურთ, ბალახით  
 მთა-ბორცვი აღმოფინაო,  
 ყოველი ნივთი-საგანი  
 მაშვიგან განაჩინაო;  
 ჩვენ, კაცი, მიწა და წყალი  
 შეგვზილა, აღუადგინაო,  
 მოგვცა სიბრძნე და დაგვიღვა

159 დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბილისი, 1955, გვ. 76.  
 შემდეგში: დავითიანი.

160 იქვე, გვ. 90.

161 იქვე, გვ. 130.

162 გ. შიქაძე, მამუკა ბარათაშვილი, გვ. 138.

ქმნული ყოველი წინაო.  
ჩვენც გვმართებს მსხვერპლი შევსწიროთ.  
და ვ ი თ თქვა იმისთვის წინაო<sup>163</sup>.

ამ ლექსს თავზე აწერია: „პატარა ქალო თინაო“-ს სანაცვლოდ სამღერალი“ და მართლაც მისი მეტრი, რითმა და ფორმა ემთხვევა „პატარა ქალო თინაოს“. მაგრამ ამ უკანასკნელს არა აქვს მაყბა, დავითის წინამდებარე ლექსს კი იგი აქვს. ეს მაყბაა, და არა ლექსის რეფრენი, როგორც ზოგჯერ ჰგონიათ<sup>164</sup>. დავითს უწერია უმაყტოდაც ასეთი ლექსები (მატლას და ერთიანი რითმის მქონე)<sup>165</sup>. კ. კეკელიძეს და ა. ბარამიძეს შემჩნეული აქვთ, რომ მამუკას „მდენარის“ „უკანასკნელ ტაეპში მოხსენიებულია აეტორის სახელი“<sup>166</sup>; მაგრამ რითი აიხსნება ეს მოვლენა, ამაზე არაფერს წერენ. გ. მიქაძემაც იცის ეს ფაქტი, მან ისიც შეამჩნია, რომ საკუთარი სახელის დართვა სჭირდება წყობილ მრავალმუხლსაც<sup>167</sup>, მაგრამ მისი მიზეზი არა აქვს სწორად ახსნილი. ის წერს: „ხალხური სიტყვიერებიდანვე უნდა მომდინარეობდეს მამუკას მოთხოვნა ლექსში სახელის ჩართვის შესახებ“<sup>168</sup>. როგორც ვხედავთ, სახელის დართვა შემთხვევითი მოვლენა არაა, მამუკა მას საგანგებოდ მოითხოვს ამ ფორმის ლექსებისთვის თავის „ქაშნიკში“. რაშია საქმე? ნუთუ ქართული ხალხური ლექსი მოითხოვს მატლას, ერთიან რითმას და მაყტას? თუ არა და რატომ აქვს იგი „პატარა ქალო თინაოს“ ზომით, რითმითა და ფორმით დაწერილ ლექსს? ამავე დროს როგორ შევეუთავსოთ ამ საკითხს ის, რომ მამუკას წყობილიც და მდენარიც აღმოსავლურადაა ზეგნილი, ხოლო საბას წყობილი და შეწყობილი იმით ჰგავს დაზეგს, რომ აქვს ერთიანი რითმა; ამავე დროს ქართული ხალხური ლექსებიც ამ ნიშანს ატარებენ: მათ აქვთ ერთიანი რითმა, მაგრამ არა აქვთ სავალდებულო მაყბა და მატლა. ვფიქრობთ, საბას წყობილი და შეწყობილი ქართული ხალხური ლექსია, ასეთივეა დავით გურამიშვილის ზოგი ლექსი<sup>169</sup>, ხოლო რაც შეეხება მამუკას, მას ქართული ხალხური წყობილი თუ შეწყობილი არეული

163 და ვ ი თ ი ა ნ ი, გვ. 150.

164 ასეთი მოსაზრება აქვს გამოთქმული მ. ჩიქოვანს. იხ. მ. ჩიქოვანი, დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია, თბილისი, 1955, გვ. 8.

165 და ვ ი თ ი ა ნ ი, გვ. 83.

166 ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1954, გვ. 429.

167 გივი მიქაძე, მამუკა ბარათაშვილი, გვ. 87.

168 იქვე. გვ. 125.

169 და ვ ი თ ი ა ნ ი, გვ. 83, 339.



აქვე მისთვის კარგად ცნობილ აღმოსავლური დაზღვის ფორმაში<sup>170</sup>. დავითი მამუკას გავლენით ქმნის თავის დაზღვებს. თავად მამუკას პოეზიაში წყობილი, შეწყობილი და მდენარი ერთმანეთისაგან არ განსხვავდება<sup>171</sup>. „მდენარი“, ვფიქრობთ, რითმთა გაგრძელებას, ერთნაირობას, ლექსის ექსპრესიას უნდა გულისხმობდეს. ამრიგად, საბასთვის „წყობილი“ და „შეწყობილი“ სინონიმური ტერმინებია, ისინი მონორიშივე მიგვივითებენ (ამავე ფორმისაა „მდენარი“ თუ „დინარი“).

რადგან ქართული ლექსისთვის ყველაზე გავრცელებული და შეგუებული ზომა შაირია, ამიტომ შეწყობილთა დიდი უმრავლესობა როგორც ქართულ ხალხურ პოეზიაში, ისე საბას „ქილილა და დამანაში“ შაირის ზომის ტაეპებს შეიცავს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეწყობილი სხვა საზომიანი ტაეპებით არ გაიწყობა. როგორც ქართულ ხალხურ პოეზიაში, ისე საბასთან გვხვდება ოცმარცვლიანი (ე. ი. ფისტიკაური) შეწყობილი (CI, 189). 16 მარცვლიანი შეწყობილი იგივე შაირია, იქნება იგი ოთხი ტაეპი თუ მეტი, რადგან აქ შაირის ცნებაში ფორმა კი არ იგულისხმება, არამედ ზომა. ამიტომაც, რომ საბას ზოგან ექვსტაეპიანი თექვსმეტმარცვლიან ლექსისთვის შაირი უქვია, ზოგან კი ასეთი დასათაურება გადაუსწორებია და წყობილი თუ შეწყობილი უწოდებია.

შეწყობილი (მონორიში) ერთ-ერთი იმ ფორმათაგანია, რომელსაც არ გააჩნია სტროფი და ამდენად რამდენ ტაეპსაც არ უნდა შეიცავდეს, მთელი ლექსი ერთ პირობით სტროფად უნდა მივიჩნიოთ.

წყობილი. „ქილილა და დამანაში“ ასეთი სახელი თხუთმეტ ლექსს ეწოდება. ყველა ისინი ერთი რითმითაა გაწყობილი, ხოლო მარცვალთა და ტაეპთა რაოდენობა ნებისმიერია. სწორად შენიშნადა კ. დოდაშვილი: წყობილი მარტო რვატაეპიანი არაა, როგორც ეს მიტროპოლიტს მიაჩნია, არამედ ნაირტაეპიანია და ნაირწყობილებიანი, თორემ „ქილილა და დამანა“ იხილეთო<sup>172</sup>. „ქილილა და დამანაში“ კი ასეთი სურათია: აქ იკითხება ორ, ოთხ და ექვსტაეპიანი და რვა მარცვლიანი, ათმარცვლიანი და თექვსმეტმარცვლიანი წყობილი. ასე რომ, არაა დამაკმაყოფილებელი იოანე ბა-

170 მამუკა არ თაკილობდა უცხო, კერძოდ აღმოსავლური ხმების შემოტანას, მას უწერია თურქულ ხმებზედაც („ბალდადდან გულ ბეშ დურანის ხმა“). ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია, II, თბილისი, 1928, გვ. 192.

171 ურადლებას იქვეც მისი მოკლე შეწყობილი: 8a 8a 8a 8a; 8b 8b 8b 8b და ა. შ. აქ „მოკლე“ გულისხმობს სტრიქონთა მცირე რაოდენობას.

172 ქრესტომათია, გვ. 13.

ტონიშვილის განმარტება, რომლის მიხედვით წყობილი რვაშარცხ-ლიანი და ათშარცხლიანი<sup>173</sup>. ასევე შეუსაბამო ჩანს ლ. ისარლიშვილის<sup>174</sup>, მელიტონ კელენჯერიძის<sup>175</sup>, კირიონისა და გ. ყიფშიძის<sup>176</sup> და ს. გაჩეჩილაძის<sup>177</sup> ცნობა, რომელთაც წყობილი თერთმეტშარცხლიანი ლექსი ჰგონიათ. ე. ბოლხოვიტინოვი წყობილის ტაეპთა რაოდენობასაც კი განსაზღვრავს, რვა სტრიქონს შეიცავსო, აცხადებს<sup>178</sup>.

როგორც ვხედავთ, და ზემოთაც აღვნიშნეთ, საბას წყობილი ჰგავს მის შეწყობილს, ორივეს ძირითადი ნიშანი ერთრიტმიანობაა, ტაეპთა და შარცხალთა რაოდენობა არც ერთშია განსაზღვრული და არც მეორეში. თითქოს შეწყობილი ექვს ტაეპსა და თექვსმეტშარცხალს გულისხმობს საბას თერთმეტი ლექსის მაგალითზე, მაგრამ ორი გამონაკლისი ამის აღიარებას ხელს უშლის. ერთ შეწყობილში (C I, 189) ექვსი სტრიქონი კია, მაგრამ იგი ოცშარცხლიანია, ხოლო მეორე (C I, 439) ორსტრიქონიანია და რვაშარცხლიანი.

თეიმურაზ ბატონიშვილისთვის წყობილია ასეთი მისი ლექსები:

„ოთხ ტაეპოვანი წყობილი“

შეარდნის თვალთა  
და ბაგე ლალთა  
მიუალერსო  
ჩემთა შემწყალთა“

„ვარდმან ბულბული  
ტყვე ჰყო დაბმული,  
აწ ესდენ ქმა არს.  
სათქმელო სხვა არს“.

„შეგწირე გულთა,  
სურვილით წყლულთა  
მაქვს სასოება,  
მომცემ შეეება და ა. შ.“<sup>179</sup>

ეს ვითარება გვაფიქრებინებს: ხომ არ ნიშნავდა „წყობილი“ საერთოდ ლექსს, პროზის საპირისპირო ცნებას? საინტერესოა რუსთველის: „აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი „წყობი-

173 კალმასობა, I, გვ. 278.

174 ქრესტომათია, გვ. 142.

175 იქვე, გვ. 184.

176 იქვე, გვ. 161.

177 ს. გაჩეჩილაძე, გვ. 99.

178 ქრესტომათია, გვ. 26.

179 იხ. წიგნი: ტ. რუხაძე, გვ. 136.

ლი“ (7,4). იქნება „წყობილი“ არაბულ-სპარსული ნაზმ-ის (نظم 'აკინძული', 'წყობილი', 'ლექსი') ადეკვატი ტერმინი იყოს.

შერეული. ამ ფორმის ლექსი „ქილილა და დამანაში“ სულ ექვსი იკითხება. ყველა ისინი ექვსტაეპიანი და თექვსმეტმარცვლიანია. იოანე ბატონიშვილი განმარტავს: შერეული თექვსმეტი მარცვლისგან შედგება<sup>180</sup>. მაგრამ იქვე გაგვაცნობს ჩახრუხაულ-შერეულს („ჩახრუხაული-შერეული“). ამ ლექსის სტრიქონი ჩახრუხაულია, ხოლო სტრიქონთა განლაგება ისეთი, როგორც შერეულისა: 5a 5a 55b;5c 5c 55b;5d 5d 55e;5f 5f 55b) და ა. შ.<sup>181</sup> ეს შეცდომა მას იმავე მიზეზით მოსდის, რა მიზეზითაც სხვა მკვლევართ: კონკრეტული ამ ფორმის ლექსი („შერეული“ კი, როგორც ვთქვით, ფორმაა) თექვსმეტმარცვლიანი აღმოჩნდა, ხოლო ფორმის განსაზღვრისთვის ამოსავლად მარცვალთა რაოდენობა მიიჩნია. მაშასადამე, შერეულისთვის მარცვალთა რაოდენობა განსაზღვრული არაა, ხოლო ტაეპთა რაოდენობა თითქოს განსაზღვრული ჩანს, მაგრამ აქ შეიძლება დამთხვევებთან გვექონდეს საქმე. ასე რომ, ამ ფორმის ძირითადი თვისება რითმათა განლაგებაა: აქ პირველი, მეორე, მეოთხე და მეექვსე ტაეპებია ერთმანეთს შერთმული, ხოლო ყოველი მეორე ტაეპი ნებისმიერად გამოშვებული კი არ არის ისე, როგორც დაზელში (დაზელში აუცილებელი გახდა, რომ გამოშვებული სტრიქონების დაბოლოებანი ერთმანეთს არ ჰგავდეს), არამედ ერთმანეთთანაა გართმული. სხვანაირად რომ ვთქვათ, ლექსში ორი რითმა ენაცვლება ერთმანეთს ყოველ მეორე სტრიქონში (a a b a b a). ჩანს, შერეულიც მას ამის გამო ეწოდება, აქ რითმებია (ორი რითმაა) ერთმანეთს შერეული<sup>182</sup>. რა თქმა უნდა, სწორი არაა მ. კელენჯერიძის განმარტება: „შერეულია ლექსი, თუ იმაში შეცვალებულია რითმა და ურითმობა“<sup>183</sup>. ასევე, მცდარია კირიონისა და გ. ყიფშიძის შეხედულება: „შერეულია ლექსი თუ ცეზურა ირევა და ხან ერთია, ხან ორი“<sup>184</sup>. ამ ბოლო მოსაზრებათა ავტორთ სათანადო მაგალითად დ. გურაძი-შვილის „ქაცვია მწყემსი“ და ნ. ბარათაშვილის „ჩონგურს“ მოაქვთ. ამ ლექსებში პირველი და მეორე ტაეპი ერთმანეთში შერთმული კია, ხოლო მესამე — გამოშვებული, მაგრამ მომდევნო ტაეპები ამათ რითმას არ იმეორებენ, რადგან ლექსები ოთხ ან სამტაეპიან, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სტროფებისაგან შედგება

180 კალმასობა, I, გვ. 279.

181 იქვე.

182 გ. შიქაძე, შამუკა ბარათაშვილი, გვ. 86.

183 ქრესტომათია, გვ. 177.

184 იქვე, გვ. 162.



მათ ხრეთა უცნო, შიგან რა უცნო, ცოდვას ჩაეარღვე სისხლისა მსმელად...  
იტყვიან: იყან, ვინც მტერი გიყან, მათი ხერხები მისაწოდებულად.

სიბრძნე არ რეტობს, სინათლე მებრძობს, ვითა სანთელი დაუშრეტებულად.

და ზარი დამეცა, ზარი დამეცა, ჰე, გონებისა  
გასაკრთომელად!

მათ ოდენ ვარგო, მე გაეიბარგო საფლავად, ცოდვა ჩამეყვეს მდომელად,  
მათ ორთ ვერაგათა. საქმით ვერაგათა სიქიშე მებრძობს, გამხდის მკდომელად.  
სად შური შევა, მუნ არის ზღვევა, იქ კეთილობა იყოს მტკობელად,

და ზარი დამეცა, ზარი დამეცა, ჰე, გონებისა  
გასაკრთომელად!

გული თვალს აცლის, ქრთამი ორსავე სცელის, ამაზე არის დაუშრომელად.  
მოვიანგარე, შინ თუ ან გარე, ტყვე შევიქნები მონად რომელად.

ბრკის გულის დება, საქმის მიღება, როდეს გაარჩევს აუკარგთ მდგომელად?

და ზარი დამეცა, ზარი დამეცა, ჰე, გონებისა  
გასაკრთომელად! (CI, 400)

პირველი, და მეორე მუხლის შერითმვა ყველა ტაეპში შეიძლება არც იყოს ძაგნაკორულის თვისება, რადგან ეს ნიშანი ჩახრუხბულსაც გააჩნია. ძაგნაკორულის ძირითადი ნიშანი რეფრენი უნდა იყოს. ზემოთ მოტანილი საბასეული ლექსი ოცი ტაეპისგან შედგება და ერთი რითმითაა გაწყობილი. მისი ყოველი ხანის მეოთხე ტაეპად აქ პირველი ხანის მეოთხე ტაეპი მეორდება: „ზარი დამეცა, ზარი დამეცა, ჰე, გონებისა გასაკრთომელად“. მაშასადამე, ამ ჩახრუხბულ-ძაგნაკორულში ჩახრუხბულისაა ტაეპი, ხოლო ძაგნაკორულობა იმაში გამოიხატება, რომ ყოველ ხანას რეფრენი აქვს!<sup>189</sup>. ა. ბარამიძის ანალიზით, ეს ლექსი ჰგავს საბას „უცხოს“, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ რეფრენიც იმდენივე მარცვლიანია და თანაც მთელ ლექსს ერთი რითმა აქვს!<sup>190</sup>. არ ჩანს სწორი ს. გაჩეჩილაძის განმარტება, რომლის მიხედვით, ძაგნაკორული შედგება არა ოთხი, არამედ ხუთი ტაეპისაგან!<sup>191</sup>.

რ ვ უ ლ ი. „ქილილა და დამანაში“ სულ ათი რეული გვხვდება. ლექსი ერთმანეთთან შერითმულ, ერთრიტმიან რვა ტაეპისგან შედგება. მარცვალთა რაოდენობა ნებისმიერია: რვა, ათ და თექვსმეტ მარცვალს შეიცავს. რეული „კალმასობაში“ განმარტებულია, როგორც ოცმარცვლიანი და ოთხტაეპიანი ლექსი, რომელთა მუხლები ერთმანეთსაა შერითმული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იო-

<sup>189</sup> არ ჩანს სწორი ე. ბოლხოვიტინოვის განმარტება: „ძაგნაკორული... შედგება სამი ტაეპისაგან, რომელთაგან პირველი ორი ერთი მებრძობსა და ერთი აქვს რითმა, მესამე კი ურიტმოა და განსაკუთრებული მებრძობს მქონე“ (ქ რ ე ს ტ ო მ ა თ ი ა, გვ 26).

<sup>190</sup> ა. ბარამიძე, ქილილა და დამანას საბასეული რედაქციის ლექსები, გვ. 41.

<sup>191</sup> ს. გაჩეჩილაძე, გვ. 150.

ანე ბატონიშვილის აზრით, რეული ათმარცვლიანი, ერთრითმიანი და რვატაეპიანი ლექსია<sup>192</sup>. როგორც ვთქვით, საბას რეულში მარცვალთა რაოდენობა ნებისმიერია და ამდენად იოანე ბატონიშვილის განმარტებას საბას ლექსები არ ეთანხმება. ე. ბოლხოვიტინოვის აზრით, რეულის მეტრი ისეთივეა, როგორც შაირისა<sup>193</sup>, რაც ზუსტი არაა. რეულის მარცვალთა რაოდენობას განსაზღვრავენ მ. კელენჯერიძე და ლ. ისარლიშვილი. ისინი ამ ტერმინს რვა მარცვალს უკავშირებენ<sup>194</sup>. რეულის სწორი განმარტება მოგვცა გ. მიქაძემ, რომელიც ამ ფორმის ძირითად ნიშნად რვა რითმას მიიჩნევს<sup>195</sup>. პ. იოსელიანი რეულს განმარტავს როგორც რვატაეპიან ფორმას<sup>196</sup>. მ. კელენჯერიძე რეულს ეგროსულს უწოდებს („რეული ანუ ეგროსული“), რაც არ გვესმის, რას ნიშნავს.

ი ა მ ბ ი ე ო. „ქილილა და დამანაში“ ორი იამბიკო იკითხება. ორივე ერთმანეთთან შერითმული ხუთტაეპიანი ლექსია. ერთი მათგანი ათმარცვლიანი შეწყობილია (55ა—55ა და ა. შ.), რომლისთვის საბას ჭერ „შაირი“ დაურქმევია, მერე კი წაუშლია და იამბიკოდ მოუნათლავს (C I, 102). მეორე ლექსის ოთხი ტაეპი ცამეტმარცვლიანია, მეხუთე კი — თექვსმეტმარცვლიანი შაირი (C I, 223). ფორმით ისიც მონორიშია. ამრიგად, ჭირს იმის გარკვევა, თუ რა მიაჩნდა საბას იამბიკოს ძირითად ნიშნად<sup>197</sup>.

„უ ც ხ ო“. „ქილილა და დამანაში“ ყურადღებას იქცევს ერთი ლექსი, რომელსაც ალ. ბარამიძემ პირობით „ქალი“ უწოდა. მანვე მოგვცა მისი მხატვრული ანალიზი<sup>198</sup>. ეს ლექსი ასეთია:

„ქარგ ქალს ვინ ღირსა, მოარჩენს ჭირსა,  
კმუნვას მოილხენს, ვინ უკვრეტს პირსა,  
ნუმცა შეხედები ანჩხლსა და ძვირსა, —  
ჰქვიან მას უგლიში, გლისპი, სარცხვინელია!

ავგულნი ქალნი, სახშილის აღნი,  
რაგინდ შეენოდნენ, როგორცა ღალნი,  
მაშინც არ ვარგან, ვითა კლდე სალნი,  
ჰქვიან მას უგლიში, გლისპი, სარცხვინელია!

192 კალმასობა, I, გვ. 276.

193 ქრესტომათია, გვ. 26.

194 იქვე, გვ. 186.

195 გ. მიქაძე, შამუყა ბარათაშვილი, გვ. 84.

196 П. Иоселиани, გვ. 64.

197 გართმული (მონორიში) იამბიკოები უწერია ანტონ კათალიკოსსაც (იხ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდი 2117, გვ. 94r; 113v).

198 ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი, 1959, გვ. 144.

ურცხეია დიდად, ქმარს გაახდის ფლიდად,  
ზედ სელას დაიწყებს, გაიდებს ხიდად,  
არად შეირცხვენს შვილის გასყიდად, —  
ქქეიან მას უგლიში, გლისპი, სარცხენელია!

თეისა ნაქმარსა აბრალებს ქმარსა,  
ღვე ყოველ თვალში უწურებს ქმარსა,  
მალ-მალ ავინებს: „ეა, შენს აპარსა!“ —  
ქქეიან მას უგლიში, გლისპი, სარცხენელია!

ქმარს ზედა სხენან, ღეზითა ჩხელენან,  
ხელტართა ასთვენ და ჩქარად ვლენან,  
ზედ დასყვედრიან: „რად ესრე ქქენანი!“ —  
ქქეიან მას უგლიში, გლისპი, სარცხენელია!“ (C II, 46).

სხვეებისაგან განსხვავებით გამოცემეზში ამ ლექსს სათაური არ აწერია. კმაყოფილდებიან ფრაზით, რომელიც მას წინ უძღვის: „ამაზედ ოთხი-ხუთი ლექსი ერთს ბრძენს დაუწერია უცხო“ (C II, 46). გ. მიქაძის აზრით, აქ „უცხო“ კარგს, საუცხოოს ნიშნავს. მაგრამ ამავე დროს მკვლევარი მას გარკვეული ფორმის სახელწოდებადაც, ე. ი. ტერმინად მიიჩნევს და ჩახრუხაულის, შაირის და მისთ. გვერდით არჩევს<sup>199</sup>. თუ რატომ ეწოდება მას უცხო, ხოლო „უცხო“ თუ აქ საუცხოოს ნიშნავს, როგორც მას ეს ესმის, მაშინ რატომ ეწოდა ლექსის სახეობას ეს სახელი, ამაზე მკვლევარი პასუხს არ იძლევა.

ლექსი ოთხტაეპიან ხუთ ხანას აერთიანებს. მისი ხანა ასეთია: 5ა5ა, 55ა 55ა, 67ბ. მომდევნო ხანებიც ასეთ სურათს იძლევიან, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ როგორც შინაგანი, ისე გარეგანი რითმები უკვე სხვაა პირველ სამ ტაეპში, ხოლო მეოთხე ტაეპად მეორდება პირველი სტროფის მეოთხე ტაეპი, ე. ი. გვაქვს რეფრენი.

საბას ნათქვამში — „ამაზედ ოთხი-ხუთი ლექსი ერთს ბრძენს დაუწერია უცხო“ — გ. მიქაძეს „ოთხი-ხუთი“ ესმის როგორც ამ ლექსის მეორე სახელწოდება, ასეთი გააზრებით: „ოთხტაეპიანი და ხუთსტროფიანი ლექსი<sup>200</sup>, რაც აშკარად არაბუნებრივი ჩანს.

199 გ. მიქაძე. მამუკა ბარათაშვილი, გვ. 83.

200 იქვე: გ. მიქაძე, ძველ ქართულ ლექსთა სახეები, თსუ ასპირანტთა V სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 1951, გვ. 14; იხ. აგრეთვე ლ. მენაბდე, გვ. 150.

აღ. ბარამიძე ამ ტერმინზე საგანგებოდ არ ჩერდება<sup>201</sup>, მაგრამ უთუოდ მართალია მკვლევარი, როდესაც მას ხალხური წარმოშობის ლექსად არ მიიჩნევს<sup>202</sup> და მიაჩნია, რომ უახლოვდება მუხამბაზური ტიპის ლექსს<sup>203</sup>.

ჩვენი აზრით, „უცხო“ აქ არ ნიშნავს საუცხოოს, კარგს, არამედ ლექსის ფორმის სადაურობაზე უთითებს. საბაძს თავის ვერსიაში მხოლოდ ქართული ტრადიციით დამკვიდრებული და მისთვის ბუნებრივი სალექსო ფორმები აქვს გამოყენებული. ხოლო ეს ლექსი ერთადერთი გამონაკლისია, იგი აღმოსავლურ პოეზიაში გავრცელებული ლექსის გვარის, მუსამათის, ერთ-ერთი სახეობაა, კერძოდ, მურაბბე'ია. მურაბბე'ი ეწოდება ისეთ ლექსს, რომლის ხანაში ოთხი ტაეპია. პირველი სამი შერიტმულია, ხოლო მეოთხე — მთელი ლექსის რეფრენი.

მაგალითისთვის მოვიტანთ ცნობილი სპარსელი პოეტის სენაი ლაზნელის (1080—1140) ერთ მურაბბე'ს:

ای بیوفا ای پاسبان  
 آشوب کم کن یکرمان  
 چندین چرا داری فغان  
 ای بیوفا ای پاسبان  
 گر خود نخسبی یکرمان  
 ای کافر نامریان  
 افتاد کار من بجان  
 ای بی وفا ای پاسبان  
 همراہ عاشق گشته‌ای  
 با عاشق سر گشته‌ای  
 هم یار دیرین گشته‌ای  
 ای بیوفا ای پاسبان  
 از بنگ های و هوی تو  
 کمتر شدم در گوی تو  
 گشت این تنم چون موی تو  
 ای بیوفا ای پاسبان

<sup>201</sup> სხვაგან ის წერს: „საბაძს ლექსსაც მამუკა უწოდებს უცხო ს, როგორც ახალს, ორიგინალურს, სამაგალითოს“ (ა. ბარამიძე, ქილილა და დამანას საბასეული რედაქციის ლექსები, გვ. 44). საიდანაც ჩანს თუ რას გულისხმობს მკვლევარი.

<sup>202</sup> ა. ლ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბლისი, 1940, გვ. 483. შემდეგში: ა. ლ. ბარამიძე, ნარკვევები, II.

<sup>203</sup> ა. ლ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, გვ. 145.



•ეი ბივაჭან ეი ფსაბან  
ანჭებ ქ-მ ქონ მაქ ზამან  
ჩანდინ ჩერან დარჩ ქელან  
ეი ბივაჭან ეი ფსაბან

გარ ხოდ ნეხასბი მაქ ზამან  
ეი ქაჭერ-ე ნამქრობან  
ნაწთლ ქარ-ე მან ბეჭან  
ეი ბივაჭან ეი ფსაბან

ქამრან-ე 'აშუე გამთე-ნი  
ბან 'აშუე სარ გამთე-ნი  
ქამ იწარ-ე დირინ გამთე-ნი  
ეი ბივაჭან ეი ფსაბან

ახ ბანგ-ე პი-ლო კუი-დე თო  
ქამთარ შოლამ დარ ქუი-დე თო  
გაშთ ინ თანამ ჩუნ მკუი-დე თო  
ეი ბივაჭან ეი ფსაბან.<sup>204</sup>

აქვე შეენიშნავთ, რომ სავალდებულო არ არის რეფრენი პირველ სტრიქონდაც გვევლინებოდეს და თვით რეფრენიც გექონდეს. საკმარისია, ყოველი მეოთხე სტრიქონი ერთი რითმით იყოს გაწყობილი მთელს ლექსში<sup>205</sup>. საერთოდ მუსამმათის გვარის ლექსებში, მათ შორის მუხამბაზშიაც (მუხამმას), სტროფთა რაოდენობა ნებისმიერია<sup>206</sup> და ამდენად ხუთი სტროფი ამ ლექსისთვის სავალდებულო არ იყო. ოთხი-ხუთით, რომ ამბობს საბა, გულისხმობს, დაახლოებით ოთხი თუ ხუთი სტროფი უთქვამსო, თორემ თავადაც კარგად იცის. რომ, ვიმეორებთ, სტროფთა რაოდენობა ამ ფორმის ლექსს განსაზღვრული არა აქვს. ეს იმიტომაც, რომ ორიგინალში ეს ლექსი მესნეგია (aa bb cc dd და ა. შ.), ხოლო საბამ ორიგინალის ფორმა კი არ გადმოიტანა (მას, როგორც ვიცით, არც გაუწეგია ლექსების ფორმების მისადაგების მხრივ ორიგინალისთვის ანგარიში), არამედ მისთვის ნაცნობი აღმოსავლური, უცხო, ქართულში ჯერ კიდევ დაუმკვიდრებელი მურაბბე'ი გამოიყენა. ვახტანგი თავის სტრიქონთარგმანში აღნიშნავს: „ამაზე სამიოდ ლექსი ერთს ბრძენს დაუწერია. ლექსი: კარგი დედაკაცი სიტყუის გამ-

<sup>204</sup> გვ. 67. '۱۳۳۶ تهران، مظاهر مصفا، ديوان حکيم سنائی بکوشش مظاہر مصفا، تهران، ۱۳۳۶.

<sup>205</sup> ასეთი მურაბბე'ი იხ. იმავე სენაის დივანში: იქვე, გვ. 653.

<sup>206</sup> გვ. 22. '۱۳۳۹ تهران، صناعات ادبی، جلال الدين همایي، تهران، ۱۳۳۹.

გონი“ და *მ. შ.*<sup>207</sup>. საბას ავტოგრაფში და მის მდიდრულ, ოფიციალურ ნუსხაში, რომელიც ლენინგრადში ინახება, ასეთი სურათია: სიტყვა „დაუწერიას“ შემდეგ გამოშვებულია დიდი ინტერვალი და მერე სწერია სიტყვა „უცხო“<sup>208</sup>. ამავე დროს ამ სიტყვაში პირველი ასო (უ) სინგურითაა დაწერილი. ასეთი ინტერვალით გამოჰყოფს საბა თავის ავტოგრაფში (და მისი ოფიციალური ნუსხა P 2) წინადადებისაგან მხოლოდ ლექსის სათაურებს. სხვაგანაც, ვთქვათ, „უთხრა ჩახრუხაული“ კი არ წერს საბა, ჩახრუხაული როცა უნდა მოიტანოს, არამედ: „უთხრა (ინტერვალი) ჩახრუხაული“. სხვათაშორის, საბას ამით ისიც უნდა თქვას, რომ პერსონაჟმა, ვთქვათ, ბუმ, ჩახრუხაული კი არ უთხრა, არამედ უთხრა რაღაც და ეს რაღაც თხზულებაში ჩახრუხაულის ფორმის ლექსითაა გამოხატული. საბა აქ იცავს ვახტანგის პრინციპს, რომელიც ორიგინალის სურათს გადმოგვცემს. სპარსულში სასვენი ნიშნები საერთოდ არ იხმარება, მაგრამ კარგ ვამოცემებში ეს სათაურები, ლექსის ფორმების მიმნიშნებელი ტერმინები, ფრჩხილებშია ჩასმული ყოველგვარი გაუგებრობის ასაცილებლად. P 2 კი, როგორც აღვნიშნეთ, „უცხო“ სიტყვაში უნს სინგურით გამოჰყოფს. ეს ხელნაწერი ასე გამოჰყოფს სალექსო ტერმინების (შაირი, რეული, ჩახრუხაული, ძანაკორული და სხვ.) პირველ ასოებს. აშკარაა იმითაც დასტურდება, რომ „უცხო“ „ქილილა და დამანაში“ ლექსის ფორმაზე უთითებს, სალექსო ტერმინის აღმნიშვნელია. როგორც ფისთიკაური, ჩახრუხაული, მრჩობლელი და მისთ. და არა კარვის სინონიმი. ეს ტერმინი საბამ იხმარა პირველად „ქილილა და დამანაში“ მის მიერ (პირველად?) ნახმარი და აღმოსავლური პოეზიიდან შემოტანილი ლექსის ფორმის, მურაბეის აღსანიშნავად. საბა მის მიერ ნახმარ სალექსო ფორმებს ქართულ ფორმებად თვლიდა და მათში მხოლოდ „უცხოს“ მიიჩნევდა შემოტანილად. ამავე დროს ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ „უცხო“ შეიძლება კონკრეტული ტერმინი არც იყოს (ვთქვათ, მურაბეის აღმნიშვნელი), არამედ ზოგადად აღმოსავლურ წარმოშობაზე უთითებდეს.

აღ. ბარამიძე განიხილავს რა ამ ლექსს, ადარებს მას მის ვახტანგისეულ სტრიქონთარგმანს და აღნიშნავს, საბას ლექსს დედანთან მხოლოდ „თემატური რკალი“, „საერთო აზრობრივი სქემა აკავშირებს“<sup>209</sup>. „შინაარსის მხრით სულხან-საბა ორბელიანის ქალი ორიგინალურად მოთქმებული და ორიგინალურად გააზ-

<sup>207</sup> ლენინგრადის აზიის ხალხთა ინსტიტუტში დაცული ხელნაწერი (ბროსე-სეული კოლექცია), M 53, გვ. 267. „ლექსი“ — სინგურითაა.

<sup>208</sup> P 2, გვ. 421.

<sup>209</sup> აღ. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 339.

რებული პოეტური ნაწარმოებია<sup>210</sup>. მკვლევარი განიხილავს მას ვერსიფიკაციას თვალსაზრისით, როგორც აღენიშნეთ, უთითებს მის „მუხამბაზურ“ ყაიდზე და ასკვნის: „ესაა პირველი მაგალითი ძველი ქართული პოეზიის ისტორიაში არქაული პოეტური სალექსო ნორმების დეფორმაციისა. ესაა პირველი მაგალითი ნოვატორული მეთოდის გამოყენებისა ძველ ქართულ პოეზიაში კლასიკური პერიოდის შემდეგ“<sup>211</sup>. ჩვენ, მაგალითად, ასეთი დასკვნისაგან თავს შევიკავებდით. იქნებ მართალი იყოს ვ. გაბესკირია, რომელსაც საერთოდ საბა არ მიაჩნდა ქართული ლექსის რეფორმატორად<sup>212</sup> და თუ მაინცდამაინც გვინდა საბას ნოვატორობა მივაწეროთ, მაშინ უპირველეს ყოვლისა ამ ლექსში ნახმარ სარეფრენო ცამეტმარცვლედზე უნდა ვილაპარაკოთ, რადგან, როგორც ფიქრობენ, იგი პირველად საბასთან გვხვდება<sup>213</sup>. ხოლო ლექსი „უცხო“ ორი რამით იქცევეს ყურადღებას: დედანთან შინაარსობლივი დაშორებით და აღმოსავლური სალექსო ფორმით. არც ერთი და არც მეორე არ მიგვაჩნია ჩვენ ნოვატორობად. ეს ლექსი ნოვატორული იქნებოდა, რომ მისი ფორმა ასე პირწმინდად არ იყოს აღმოსავლურიდან გადმოტანილი და ამავე დროს ქართულ პოეზიაში დამკვიდრებულიყო. ეს „უცხო“ შეიძლება საბას შემოტანილი არც იყოს. როგორც ცნობილია, ქართულად იგი იხმარა მამუკა ბარათაშვილმა (საბას წაბაძვით, უეპველია), მაგრამ არსებობს ამ ფორმით გამართული სხვა ლექსიც — „ქართლის მშვენიერია“, რომლის ავტორი და თარიღი უცნობია. ალ. ბარამიძე მას საბას „უცხოს“ გავლენით დაწერილად მიიჩნევს<sup>214</sup>. კ. კეკელიძე არ იზიარებდა ამ შეხედულებას, რადგან „შეიძლება იმის დაშვება, რომ თვით საბა ამ შემთხვევაში დამოკიდებულია თუ „ნარგიზოვანზე“ არა, სხვა რომელიმე ამგვარ ლექსზე, რომელიც მანამდე ცნობილი იყო არაოფიციალურ ლიტერატურაში — ხალხურ შემოქმედებაში“<sup>215</sup>. პრინციპში კ. კეკელიძე მართალია. ამავე დროს მას გამორჩა მხედველობიდან ამ ფორმის აღმოსა-

210 ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, გვ. 145.

211 ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 340.

212 ვ. გაბესკირია, წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე, გვ. 318—319.

213 აკაკი ვაწერელია, გვ. 269; პ. ინგოროევა, გიორგი მერჩულე, გვ. 586.

214 ნარგიზოვანი, თბილისი, 1936, გვ. 9.

215 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 618.

ელური წარმომავლობა. „ნარგიზოვანში“ ამ ფორმის სხვა ლექსიც იკითხება („ვიცი, მემღერვი, მზევე, რასა“ — 8a 8a 8a 11b; 8c 8c 8c 11b; 8d 8d 8d 11b და ა. შ.). ვფიქრობთ, „ნარგიზოვანი“ წინ უსწრებს „ქილილა და დამანას“ საბასეულ ვერსიას. ეს რომ არა, მისი ავტორი დასახელებულ ლექსებს „უცხოს“ დაარქმევდა, როგორც მოიქცა მამუკა, იმდენად დიდი იყო საბას გავლენა<sup>216</sup>.

ასეთია ის სალექსო ფორმები, რომელთაც საბა მიმართავს, საბას თავად არცერთი ფორმა არ შეუქმნია, თუმცა ამას აცხადებენ<sup>217</sup>.

საბას რითმა კლასიკურია, სრული.

საერთოდ საბას ლექსებს ეტყობა რუსთაველის დიდი გავლენა. მის პოეტურ სახეებს, რითმებს, ფრაზებს „ვეფხისტყაოსნის“ აშკარა იერი დაჰკრავს. თუმცა საბა გაურბის, მსგავსი ადგილები დაამგვანოს „ვეფხისტყაოსნის“. მაგ., მის ვერსიაში ვკითხულობთ: „ლაგვანთ ნადგამი აგრეთვე მასვე დაიწყებს დენას“ (C I, 178), „ვინც სახელოვნად მოკვდება, სახელი დარჩეს ქებული, ნაძრახს სიცოცხლეს ისი სჯობს, საფლავსა იყოს დებული“ (C I, 298). სხვაგან: „გვიჯობს სიკვდილი ქებული, თავის გაწირვა ნებითა. სიცოცხლე მოყივნებულსა, აუგვიანსა ვნებითა“ (C I, 375). „ერთი თუ წაევა, სხვა მოევა სხვა სხვისა საადგილოსა“ (C I, 397) და ა. შ. როცა ვახტანგი მათ ხშირად შოთას სიტყვებით გადმოგვცემს (B 176).

ამრიგად, ვიმეორებთ, საბა ორბელიანმა ქართული საერო კლასიკური ლექსის პირველი ქრესტომათია შეგვიდგინა და მასში თითქმის ყველა სალექსო ფორმა და ზომა მოაქცია. ამტკიცებენ, რომ ერთი საზომი თავად შემატა ქართულ ლექსს. ისმის კითხვა: ამოწურა საბამ ყველა ფორმა ქართული ლექსისა? „ქილილა და დამანას“ სალექსო ფორმათა სიუხვე თითქოს ამას ადასტურებს. მაგრამ ზოგი ხალხური სალექსო სტროფი, ჩანს, მაინც დარჩა საბას ყურადღების გარეშე. მათ შორის უპირველესად უნდა დავასახელოთ ოთხსტრიქონი (კატრენი), რომელსაც რითმითა ასეთი განლაგება აქვს: a a b a. ლექსის ეს ფორმა ძველთაგანვე ყოფილა ქართულ ხალხურ პოეზიაში. ქართველურ ენებში ამ ფორმითაა შეკრული, მაგალითად, ცნობილი წარმართული მეგრული ლექსი:

---

216 ამას წინათ გ. მიქაძე შეეცადა დაემტკიცებინა, რომ „ნარგიზოვანის“ ავტორი იესე ბარათაშვილია და, მაშასადამე, იგი XVIII საუკუნის მეორე ნახევარშია დაწერილი (იხ. გ. ი. ვ. მიქაძე, ნარგიზოვანი. XVIII საუკუნის ქართული მწერლობის საკითხები. თბილისი, 1965, გვ. 13).

217 ა. ლ. ბ. ა. შ. ი. ვ. ნარკვევები, 1, გვ. 341.

„ბუარე დია ჩქიმი,  
თუთა—მუა ჩქიმი,  
ხეიჩა-ხეიჩა მურუცხეფი —  
და დო, ჭიშა ჩქიმი“.

„მზე დედა ჩემი,  
მთეარე — მამა ჩემი,  
კაშკაშა<sup>218</sup> ვარსკვლავები  
და და ძმია ჩემი“.

ლექსის ასეთ ფორმას დ. კობიძე ქართული წარმოშობისად მიიჩნევს (თუმცა სათანადო საბუთი არ მოაქვს). აი, მის მიერ ნიმუშად მოტანილი კატრენი:

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,  
ქალას ჩიტი ჩამკვდარ იყო,  
დიღ ქვაბში არ ეტეოდა,  
პატარაში არ კმარ იყო<sup>219</sup>.

ეს ფორმა შემოქრილა ლიტერატურაშიც. ვანის ქვაბში ვკითხულობთ ერთ ასეთ ლექსსაც:

„ლომო. განაღამე მიყვარხარ შენებრ ვერავის სადარად.  
წყალად ვეფრატად გიტყვიან, გულად — როსტომის სადარად.  
ტანი აზატსა საროსა ნარნარად აუვაეებულსა;  
მე გული ქელთა არა მყავს, თუ არ შენ გახლავს სადარად“<sup>220</sup>.

ამ ლექსს შ. ონიანი მე-15 საუკუნით ათარიღებს. ყოველ შემთხვევაში, მე-16 საუკუნეს არ სცილდება და საბას უსწრებს. ამევე დროს ის ლიტერატურულ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ და არა ხალხური შემოქმედების ნიმუშად, რადგან „შაპ-ნამეს“ აშკარა გავლენა ეტყობა.

ამ და ზემოთ მოტანილ ხალხური ლექსების ფორმა გვაგონებს სპარსული რობაის ფორმას (a a b a), მათ შორის ხალხური ლექსების ფორმა შეიძლება დამოუკიდებელი, ლექსის ეროვნული განვითარების შედეგი იყოს, მაგრამ ვანის ქვაბის ლექსის ხანა შეიძლება აღმოსავლური, სპარსული ან თურქული ლიტერატურის ტრადიციებიდან მოდიოდეს. ყოველ შემთხვევაში, ასეა თუ ისე, ჩვენ ის გვინდა ვთქვათ, რომ ლექსის ეს ფორმა საბას დროს უკვე ფართოდ ყოფილა ცნობილი როგორც ხალხურ სიტყვიერებაში, ისე ლიტერატურაში, მაგრამ საბას „ქრესტომათიაში“ ის არ მოხვედ-

218 ჩვენ ასე ვთარგმნით „ხეიჩა-ხეიჩა“-ს (შდრ. „თოლი უხეიჩაჲს“ — დიდი, გაბრწყინებული თვალები აქვს).

219 დ. კობიძე, გვ. 139.

220 შერშადინ ონიანი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია. საბჭოთა ხელოვნება, 1960, № 8, გვ. 33.

რილა. რა იყო ამის მიზეზი, არ ვიცი. შეიძლება მისი აშკარა მსგავსება აღმოსავლურ რობაისთან<sup>221</sup>. ა. გაწერელია რობაის ორ წყვილ

221 ბესიკის (1750-1791) პოეზიაში რობაი მტკიცედაა დამკვიდრებული. ლექსის ეს ფორმა, რომელიც სპარსულსა და საერთოდ ისლამურ ლიტერატურაში მთელ ლექსს ეოფნის (ომარ ხაიამის რობაიები დამოუკიდებელი ლექსებია), ბესიკს ლექსის სტროფად უქცევია. მისი ერთი ლექსი რვა რობაის შეიცავს, თუმცა ერთი მთლიანია.

1. იადონს ის ევარდა  
და სუშულს ის ევარდა,  
თქვა მაისმა: „შე თქვენგან  
დაბმულვარ, ის ევარდა“
2. შამან შამან ის ტვინა,  
პირველ ვინ კლა ის ტვინა,  
ეშვი ხმასა შეაკლა,  
აშრო, ვირემ დის ტვინა“ და ... შ.

(ბესიკი, თხზულებანი, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფჩიას რედაქციით, თბილისი, 1962, გვ. 56—57).

რობაის სტროფებით ლექსი უწერია დიმიტრი თუმანიშვილსაც (იხ. ლექსი „ბაიათი“, რომელიც გამოქვეყნებული აქვს ტ. რუხაძეს, გვ. 181).

რობაის ფორმის კატრენებად გამოყენება მართკო მწერლებს არ ჩვევია ქართულში, ეს მოვლენა შეინიშნება ხალხურ ლექსშიაც:

„აი დაფი, დაფი, დაფი,  
გოლას მეკომიდგ დაფი,  
დაღია ლევან გემორჩგვილქ  
მაფას გინააბუ ლაფი.“

მაფა, ღია, ღია, ღია,  
მომიყალი ათაქია  
ირო ქომირაგადგდ  
სუჯუნური ქადაგია“.

„აი დაფი, დაფი, დაფი,  
მთაზე მიდგას დაფნა.  
გამარჯვებულმა ლევან დაღიანმა  
მეფეს დაასხა ლაფი.“

მეფევე, ღია, ღია, ღია,  
აქ დამიყადე.  
სულმოდამ შეუბნებოდა  
სუჯუნელი ქადაგი“.

(И. К и п ш и д з е, გვ. 121). მთაზე ადრე დაზღვის ფორმაც გამოიყენებია ლექსის ხანებად დავით გურამიშვილს (იხ. მისი „სკინიდიისის მხილება დავითისა, ოდეს დატყობულმან გამოპარვა გაიელო გულშია“. დავითიანი, გვ. 76).

ტაეპად აღიქვამს და ამის გამო თუა, რომ წერს, ქართულმა ლექსმა არ შეიწყნარა რობაის ფორმაო<sup>222</sup>, თორემ თავადაც კარგად იცის, რომ ქართულში არსებობს ინტერვალ-რითმიანი ლექსები (ა ა ბ ა).

ზემოთ დასახელებულ მრავალმხრივ საყურადღებო გამოკვლევაში გ. წერეთელმა ცხადპყო, რომ ჩაჩუხხულის ფორმა არსებითად არ განსხვავდება არაბული მაკამებისაგან, ასევე, დ. კობიძემ თავის გახმაურებულ სტატიაში ნათელი გახადა აღმოსავლური რობაისა და ქართული ა ა ბ ა რითმიანი კატრენის მსგავსება. იქვს არ უნდა იწვევდეს ჩვენი ექსკურსი ქართული წყობილი-შეწყობილისა და აღმოსავლური დაზელი-ყასიდის მსგავსებაზე, ყოველშემთხვევაში მთავარი ნიშნით. მონორიმურობით, ისინი ერთმანეთს ძალიან ჰგვანან. სპარსული წარმოშობისაა, როგორც აღვნიშნეთ, საბას მიერ დამკვიდრებული „ტაეპი“. ჩვენეე მოგვეცა შესაძლებლობა, საბას „უცხო“ აღმოსავლურ მურაბზე<sup>ა</sup>დ მივეჩნია. ისმის კითხვა: აქვთ თუ არა სხვა ქართულ სალექსო ფორმებს საერთო ნიშნები ისლამური პოეზიის ფორმებთან? ამ კითხვას დადებითად უნდა ვუპასუხოთ. და მართლაც აღმოსავლურ სალექსო ფორმებს გვანან: მრჩობლედი და ძაგნაკორული. მრჩობლედი, როგორც აღვნიშნეთ, წყვილ შერითმულ ტაეპებს შეიცავს, მისი ზომა ნებისმიერია, ხოლო ფორმა ასეთი აქვს: აა ბბ ცც... და ა. შ. ამ სქემამ არ შეიძლება არ გაგვახსენოს აღმოსავლური კლასიკური ხანის ეპიკის ერთადერთი ფორმა — მუსარრა'ი (აა ბბ ცც...), რომელიც ასევე წყვილ ტაეპს გულისხმობს. „ქილილა და დამანაში“ მრჩობლედი ათ ტაეპს არ სცილდება, მაგრამ პრინციპში ამას მნიშვნელობა არა აქვს, თანაც ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ საბა ქაშეფის მიერ მოტანილ ციტატებს და ვახტანგის თარგმნილ ტექსტს ეყრდნობა, ხოლო ისინი უმეტესად მცირე მოცულობისაა.

საბასეული ძაგნაკორული, რომელიც რეფრენს გულისხმობს ლექსში, უთუოდ გვაგონებს არაბულ-სპარსულ მუსამათს. რომელსაც ძალიან ხშირად სტროფის ბოლო სტრიქონის რეფრენი ახასიათებს. სპარსულ პოეზიაში მონორიმი კატრენი ფართოდაა ცნობილი. მხედველობაში გვაქვს რობაის ფორმის ერთ-ერთი ვარიანტი: ა ა ა ა ომარ ხაიამს, მაგალითად, მრავალი ასეთი მონორიმი კატრენი აქვს:

---

იჩანულ სამყაროში რობაის ფორმა ლექსის სტროფებად (და არა ე. წ. მყარ სტროფად) დღესაც გამოიყენება (იხ. მიჩხო თურსუნ-ზოდას ლექსი „ღელა“ (Мирзо Турсунзода, Модарам. „Садон Шарк“, 1966, № 8, გვ. 4).  
222? ა. გაწერელია, გვ. 216.

نگیر پیاله و صبوی ای دلجوی  
 فارغ بنشین بکشته زار و لبجوی  
 بس شخص عزیزا که چرخ بدخوی  
 صد بار پیاله کرد. و صد بار صبوی

„ბეგრ ფიანლე ვო საბუა ეი დელჯოი  
 ჭერან ბენშინ ბე ქაშეთზარო ლაბ-ე ჟოი  
 მას შახს აზიზრა ქე ჩარხ-ე ბაღხოი  
 საღ ბნარ ფიანლე ქარლო საღ ბნარ საბოი.“<sup>222</sup>

ფორმით რობაის ამ სახესა და რუსთველურ კატრენს შორის განსხვავება არაა.

ეს პარალელები, რა თქმა უნდა, ამ ფორმათა გენეზისის საკითხებს გამორიცხავს. სალექსო ფორმები: „უცხო“, ყაზალი, მუხამბაზი, მუსტაზადი და მისთ. აშკარად აღმოსავლური პოეზიიდან შემოვიდა ჩვენში, ხოლო ზემოთ დასახელებული ფორმების წარმოშობის კვლევა შეიძლება უშედეგოდ დამთავრდეს. ისინი ისტორიულად ტრადიციული ქართული ფორმები ჩანან, რა ნიადაგზედაც არ უნდა იყვნენ აღმოცენებულნი სპარსულ პოეზიაში პარალელის მოძებნა იმას როდი ნიშნავს, რომ შეგვეძლოს ვამტკიცოთ; ეს ფორმები ქართულიდან გავიდა აღმოსავლურ პოეზიაში ანდა, პირიქით, ქართულმა შეითვისა ისლამურ მწერლობიდან. საქმე ისაა, რომ ზოგი ფორმა გავრცელებული იყო შუა საუკუნეების სხვა ლიტერატურებში. ასე, მაგალითად, რუსთველური მონორიმი კატრენის ფორმა (aaaa) გვხვდება XII ს. ლათინურ პოეზიაში, კერძოდ არქიპიიტას „აღსარებაში“<sup>224</sup>. იშვიათი არ ყოფილა ეს ფორმა XIV ს. ესპანურ ლიტერატურაში. აქ შეიძლებოდა დაგვესახელებინა ხუან რუის „წიგნი კარგ სიყვარულზე“<sup>225</sup>. ასეთი კატრენებით წერდა სონეხი პოეტი არაქელ ბალიშეცი (XIV—XV სს.)<sup>226</sup>. ასევე, მრავალსილირიკული და ეპიკური ძეგლი შექმნილა შუა საუკუნეების ევროპაში მრჩობლედით (aabbc...). იგი მეტად იყო გავრცელებული ფრანგულ ლიტერატურაში<sup>227</sup>. გერმანული პოეზიის შედეგები, ვოლფრამ ფონ ეშენბახის (XII ს.) „პარციფალი“ და გოტფრიდ

<sup>222</sup> გვ. 43, 1322, تهران, فروغی، محمد علی، تصحیح خیام، رباعیات خیام.

<sup>224</sup> Хрестоматия по зарубежной литературе средних веков. М., 1953, გვ. 35. შემდეგში: Хрестоматия.

<sup>225</sup> იქვე, გვ. 475.

<sup>226</sup> იხ. [ნოიქ ლენჩიჩი] ვრსკანსკიანს, სერსკანს, 1946, გვ. 264. შემდეგში: რჩეული ფურცლები.

<sup>227</sup> Хрестоматия, გვ. 216, 219, 267.



სტრასბურგელის (XII—XIII ს.ს.) „ტრისტანი და იზოლდა“ სწორედ ამ ფორმითაა გაწყობილი<sup>228</sup>. მრჩობლედის ფორმა აქვს ზოგ სომხურ სააქენო სიმღერას<sup>229</sup>. საბას „უცხოს“ და ძაგნაკორულისთვის დამახასიათებელი რეფრენი ჭერ კიდევ XII ს. ლათინურ პოეზიაში გვხვდება<sup>230</sup> და სომხურშიც ხშირია<sup>231</sup>. პროვანსელ ტრუბადურთა ალბებში ასეთი ფორმის ლექსები იკითხება: aaab, ccbb, ddd b, eeeb<sup>232</sup>, სადაც b ამავე დროს რეფრენია. ეს ხომ იგივე არაბულ-სპარსული მურაბბეა, იგივე საბას „უცხო“. ჩახრუხაულისთვის დამახასიათებელი შინაგანი რითმები გვხვდება არა მარტო არაბულ, არამედ სომხურ პოეზიაში<sup>233</sup>. აქვეა მრავალი მონორიმი<sup>234</sup>.

ასე რომ, მეცნიერულად დაუსაბუთებელია დ. ჩუბინაშვილის შეხედულება, რომელიც წერდა: „ქართული ლექსი რომ სპარსული წარმოშობისაა, ამაში ყველას შეუძლია თარგმუნდეს იმით, რომ მრავალი ლექსი ატარებს სპარსულ სახელს, მაგალითად: შაირი, ბაიათი, მუხამბაზი, თეჯნისი, მუსტაზადი, გაფი და სხვა. და იმღერება სპარსული სიმღერების ხმაზე“<sup>235</sup>. დ. ჩუბინაშვილს ავიწყდება, რომ აქ ან მხოლოდ აღმოსავლურ ტერმინებთან გვაქვს საქმე, ანდა გვიანდელ აღმოსავლურ სალექსო ფორმებთან და, რაც მთავარია, მას ავიწყდება „ქილილა და დამანაში“ ფიქსირებული ქართული ეროვნული, ტრადიციული სალექსო ფორმები. დ. ჩუბინაშვილის არასწორ შეხედულებასა და გაუმართლებელ პოზიციას სავსებით სწორად აკრიტიკებდა დ. ყიფიანი, რომელმაც სწორედ ეს ფორმები შეგვახსენა. იგი წერდა: „[დ. ჩუბინაშვილი] ლაპარაკობს, რომ მრავალი ლექსი სპარსულსა და თათრულ სახელს ატარებსო, მაგალითად: შაირი, ბაიათი, მუხამბაზი, თეჯნისი, მუსტაზადი, გაფი და სხვ. ეთქვათ, რომ ეს ასეა, მაგრამ ჩახრუხაული, ფისტიკაური, წყობილი, მრჩობლელი, ლექსი, ტა-

<sup>228</sup> იქვე, გვ. 403, 407.

<sup>229</sup> რჩეული ფურცლები, გვ. 14.

<sup>230</sup> Хрестоматия, გვ. 37.

<sup>231</sup> ასეთია, მაგალითად, XIII ს. ხალხური ლექსი „ქეთუმის შვილი ლონი“. რჩეული ფურცლები, გვ. 16.

<sup>232</sup> Хрестоматия, გვ. 125.

<sup>233</sup> რჩეული ფურცლები, გვ. 15.

<sup>234</sup> იქვე, გვ. 9, 17, 262, 285. მონორიმები გვხვდება რუსულ ხალხურ პოეზიაში (В. Жирмуцкий, Рифма, ее история и теория. Петроград 1923, გვ. 283), აქვე გვხვდება ერთრიტმიანი კატრენი და მრჩობლელი (იქვე).

<sup>235</sup> ქრესტომათია, გვ. 224—225.

ები, იამბიკო, — ნუთუ ესენიც სპარსული და თათრული ლექსები? რა თქმა უნდა, არა“<sup>236</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბას ვერსიაში ორიგინალის სალექსო ფორმებს ქართული სალექსო ფორმები ენაცვლება. ზოგჯერ ამ ლექსებს იგავის პერსონაჟები ამბობენ. ასეთი სურათია: ვთქვათ, მოქმედ გმირს უნდა თქვას რაიმე თავისი მდგომარეობის შესაფერისი. ავტორი მას ვისიმე ლექსის ციტატას ათქმევინებს. მაგ.:

چون یار خود را دید... گفت (نظم)

چه حالت اینکە می بینم چه حالت

„როცა თავისი მეგობარი... ნახა... თქვა: (ლექსი) რა არის ეს, რასაც ვხედავ, რა არის ეს“<sup>237</sup>.

აქ სრულიად ბუნებრივია, მთარგმნელმა დაწეროს იმ მოქმედ გმირზე: თქვაო. მაგრამ დავაკვირდეთ ორიგინალს. ორიგინალში

რომელიც ლექსის პირობითი სათაურია, ფრჩხილებშია ჩასმული, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, სპარსულში სასვენი ნიშნები არ იხმარება. მაგრამ ის აქ აუცილებელია, რადგან ორიგინალში ის კი არაა ნათქვამი, რომ ერთმა მოქმედმა გმირმა მეორეს ლექსი უთხრაო, არამედ ის, რომ ერთმა მოქმედმა გმირმა მეორეს რაღაც უთხრა და ეს რაღაცა არის თავისთავად ასეთი ან ისეთი ფორმის ლექსი (სხვა შემთხვევაში მესხევი, ბაითი და სხვ.). ამ ადგილას საბასეულ ვერსიაში ვკითხულობთ: „თავისი მოყვარე... ნახა... და თქვა შაირი:

რას ვხედავ, ჰოჲ მოყვარენო, რა მოგველინათ ზესითა?“ (C I, 315). ნამდვილად კი მტრედმა (ისაა მოქმედი გმირი) შაირი კი არ უთხრა ამხანაგს, არამედ რაღაც თქვა და ეს რაღაც საბამ შაირის ფორმაში მოაქცია.

საბას რუბრიკებია: „უთხრა ლექსი“, „ითქვა ჩახრუხაული“, „თქვა ტაეპი“. „თქმულა ძაგნაკორული“, „მოახსენა მრჩობლელი“. „უბრძანა ფისთიკაური“, „მოსწერა იამბიკო“, „შესთვალა რეჟული“, „ვით ეს შაირი გამოაჩენს“ და სხვ. თუმცა ბევრგან ლექსებს მხოლოდ „შაირი“, „ფისთიკაური“ და სხვ. აწერია, ზმნის გარეშე. ასეთი ფრაზები ბუნებრივია, როცა ნაწარმოებში დიალოგია, მაგრამ ავტორისეულ ტექსტში ისინი უხერხულობას ქმნიან. მაგ., მერვე კარის დასასრულში ბიდფაი ასკენის თავის აზრს: კაცი მტერს არ უნდა მიენდოსო. ქაშეფი ამ კარს აბოლოებს ლექსით, სადაც ასეთივე აზრია გამოთქმული. საბას ვერსიაში კი. ამ ლექსზე სწერია:

<sup>236</sup> 0 ქ ვ ე. გვ. 225.

<sup>237</sup> გვ. 224, انوار سبیلی،

„უთხრა შაირი“ (C II, 113). ვინ უთხრა შაირი? პასუხი არ ჩანს. უფრო მეტ უხერხულობას ქმნიან ეს რუბრიკები მაშინ, როცა ლექსი პროზის წინადადებას აგრძელებს. მაგ.: „შენი სწავლისა და შეგონების კურთხევითა

### უთხრა ლექსი

გზანი ბნელნი განმინათლა ვით მზემან და ვით ნათელმან,  
ძნელი საქმე გამერკვია, პირი დახსნა მით ნათელმან“ (C II, 150).

ზოგან ასეთი სურათიცაა: „მაიმუნი, ტკივილისაგან შეიწრებული, ტირილითა იტყოდა

### და თქვა ლექსი

ამ სოფელს ვინცა მუშაკობს, კეთილ არს დაუშრომელად,  
მისს არ დასჯერდეს, სხვისა ქნას, დაუგონ გაუზომელად“ (C I, 126)

ეს თქვა, უთხრა და სხვა ორპირიანი და სამპირიანი ზმნები ყოველთვის არ შეესაბამება შინაარსს და ამიტომ თუა, რომ საბა ზოგჯერ წერს: „ითქვა ლექსიო“ (C II, 142). ჩანს, საბა ამ უხერხულობას გრძნობდა და ამიტომაც, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავის ავტოგრაფში მას ეს ტერმინები დაცილებული აქვს დიდი ინტერვალით. საჭიროა, გამოკვებებშიაც დავეიცვათ ეს წესი, ამით ზემოთგანხილულ საკითხსაც მოვევლება და ტექსტიც არ იქნება დამახინჯებული. ძირითადად საბას ისინი დამოუკიდებლად ესმის, ყოველ შემთხვევაში მათი გათიშვა და ორიგინალისეული მონაცემების შენარჩუნება. შესაძლებელი ხდება. ამის მაგალითს თვითონ საბა იძლევა. მაგალითად, „თქვა შაირი“ საბას ხან ერთად უწერია (ინტერვალით), ხან ცალ-ცალკე სტრიქონებზე ისე, რომ შაირი ლექსის სახეობის აღმნიშვნელია (C I, 49, 73, 74, 78 და სხვ.). ცალკეა ისინი, როგორც წესი, საბას და ვახტანგის ანდერძებში. ამიტომაც ჩვენ საბასეულ ორ ვარიანტიდან არჩევანი უნდა მივცეთ უფრო სწორს. აქ ერთგვარ უხერხულობას მაინც წვაფწყდებით, რადგან საბა ინტერვალთ ყოველთვის კი აშორებს ლექსის სახეობათა აღმნიშვნელ ტერმინებს, მაგრამ ზოგჯერ იგი შინაარსობლივად მაინცაა შეხორცებული ამბავთან. მაგ.: „ამ ლექსსა ეტყოდა“ (C II, 235), „ეს შაირი გამოაჩენს“ (C II, 301). ასეთ შემთხვევებში ვერაფერს გახდება კაცი. ჩვენც იძულებული ვართ ისინი ასევე დავტოვოთ. მაგრამ „იტყოდა ლექსსა“-ს ტიპი საბას ორნაირი ვარიანტით აქვს: ერთად და ცალ-ცალკე. თანაც ზოგჯერ ერთსა და იმავე გვერდზეა ორივე ვარიანტი (C II, 167 და სხვ.). აქ კი ისინი უნდა დავაძალკევოთ.

გვინდა შევეხოთ თხზულების, მისი კარებისა და იგავების დასათურების საკითხს. თხზულებას პირველი ამბავის მოქმედ გმირთა სახელი ეწოდება. ქილილა და დამანა პირველი ამბავის გმირები არიან, დანარჩენი ამბები და კარები შინაარსობლივად ამ ამბავს არ უკავშირდებიან, მაგრამ სახელი მაინც პირველ კარს მიუყვია ამბავთა ამ კრებულისთვის. გამონაკლისია „ჭეპანბაშის ვერსია „რადი და ბარაპმანი“. ქართული თარგმანის ორიგინალი, როგორც უკვე გვქონდა ამაზე საუბარი, სხვა სახელწოდებითაა ცნობილი, მას მისმა ავტორმა ვა'უზ ქაშეფიმ სახელად „ანვარ-ე სოჰაილი“ დაარქვა, მაგრამ სპარსულადვე იწოდებოდა იგი პარალელურად „ქილილა და დამანად“. ქართულშიც მას ორი სახელი აქვს: „ანვარი სოილი“ და „ქილილა და დამანა“. მაგრამ საბა იცავს ქართულ ტრადიციას და ხმარობს ფორმას „ქილილა-დამანა“. ქართლის ცხოვრებაში დატულია ასეთი სახელწოდება (ინდოთა აღწერილსა ქილილა-დამანასა შინა<sup>238</sup>). ასეთი სახელწოდება ქართული ენისთვის უფრო ბუნებრივი ჩანს. მაგ., ვიტყვი: „ვისრაშიანი“, „ლეილმაჯუნეიანი“, „შამფარეანიანი“ და სხვ. (ოღონდ უფრო ბუნებრივი ფორმა იქნებოდა „ქილილ-დამანა“) ზოგ მწიგნობარს ჰგონია, რომ აქ და კავშირი აკლია შეცდომით და მას ასე აღადგენენ: „ქილილა [და] დამანა“. ან ასე: „ქილილა და [დამანა“, რაც საჭირო არაა. თხზულებას „ქილილა-დამანას“ უწოდებენ მამუკა ბარათაშვილი („სულხან-საბა ორბელიანმა ქილილა დამანა გალექსა“<sup>239</sup>), მელიგზად ბებუდაშვილი<sup>240</sup>, ზაქარია კიკინაძე<sup>241</sup>, გ. ლეონიძე<sup>242</sup>, რაც, ვიმეორებთ, სწორია.

„ანვარ-ე სოჰაილიში“ კარები დასათაურებულია, ხოლო იგავეები არა. ქართულ ვერსიაში კარებსაც აქვს სათაური და იგავეებსაც. პირველი თვითონ საბას ეკუთვნის, ხოლო მეორე — ძეგლის მკვლევარსა და გამომცემელს ალ. ბარამიძეს. ჭერ კარების დასათაურებაზე გვინდა ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

238 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 13. ვფიქრობთ, რომ „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“ ნიშნავს: წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა, მაგრამ არა იმ მნიშვნელობით, როგორც მიაჩნია ზოგ მკვლევარს და მათ შორის პროფესორ დ. ლანცს, არამედ იმ გაგებით, რომ წიგნში არის სიბრძნეც და სიცრუეც ერთ-ერთულად. ყოველ არაქმი (და არა ისე, რომ ზოგ არაქმი მხოლოდ სიცრუე იყოს და არ იყოს სიბრძნე). „სიბრძნე სიცრუისა“ შეცდომაა, უნდა: „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“. ე. ი. წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა.

239 ქრესტომათია, გვ. 16.

240 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტ. S 21, გვ. 1.

241 ზ. კიკინაძე, ქართული მწერლობა XII საუკუნეში, თბილისი, 1887.

გვ. 13.

242 გიორგი ლეონიძე, კაშიკი, მამუკა ბარათაშვილის პოეტიკა, თბილისი, 1920, გვ. 14.

ყველა კარს ორიგინალსა და თარგმანში სათაური მასში გამო-  
 ხატული საკითხის მიხედვით ეწოდება. კარის დასაწყისში ყოველ-  
 თვისაა მსჯელობა იმ საკითხზე, რაც კარში უნდა იქნას განხილული  
 და შემდეგ მოდის მთავარი ამბავი, ქვეჩარჩო, რომელიც მთელ კარს  
 სწვდება და რომელშიაც თავისთავად პერსონაჟები კიდევ ყვებიან  
 იგავებს. ასეთია, მაგალითად, მესამე კარში „ქილყავი და თაგვი“,  
 მეოთხე კარში — „მალრანთა და ბუთა მტერობა“, მეხუთე კარში  
 — „ყაპუზუნას და კუს მეგობრობა“ და ა. შ. მაგრამ მომხდარა ისე,  
 რომ პირველი კარის მთავარ ამბავს „დიდვაკრის შეგონება“ ეწოდე-  
 ბა, ხოლო მეორე კარის მთავარ, პირველ ამბავს, „მშიერი მელი და  
 ტაბლი“ გამოდის. პირველი და მეორე კარი სწორედ ქილილა და  
 დამანას ამბავია, გამოცემებში კი ეს არ ჩანს გარეგნულად. ამიტომ  
 ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ არაკს „დიდვაკრის შეგონება“ ეწო-  
 დოს „ლომისა და ხარის ამბავი“, ხოლო მეორე კარის არაკებლ გაა-  
 ერთიანოს სათაურმა: „ლომისა და ხარის ამბავის დასასრული“. გა-  
 რდა ამისა, საბას უურადლებიდან გამორჩენია ერთი მომენტი. „ქი-  
 ლილა და დამანას“ კართა სახელწოდება ადგილზე სხვანაირია, ვიდ-  
 რე მათი სახელწოდება ავტორის მიერ წამძღვარებული შესავალის  
 საგანგებო სარჩევში, სადაც ქაშეფი გაგვაცნობს: წიგნი ასეთი და  
 ასეთი კარებისგან შედგებაო. ისინი შინაარსით კი არიან ბოლოსდა-  
 ბოლოს ერთნი, მაგრამ გარეგნულად განსხვავდებიან. მაგ., მეორე  
 კარს შესავალში ჩართულ სარჩევში ეწოდება: „ავისმოქმედის სარ-  
 გებლისა და ბოლო მათი“ (C I, 44), ხოლო სათანადო ადგილს აწე-  
 რია: „ავისმოქმედის ნაცვლის მიგებისა და მათის საქმის ბოლო და  
 ბოროტის მიხდომა“ (C I, 241) და ა. შ.

„ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსიის იგავების დასათაუ-  
 რებანი ალ. ბარამიძეს ეკუთვნის<sup>243</sup> (პირველი ჰყონიასეულ. გამოცე-  
 მაში ისინი არა გვაქვს). ძირითადად ეს დასათაურებანი შესაფერი-  
 სია და მოხდენილი, მაგრამ ზოგან იგავის არსს ვერ ამოწურავს. იგა-  
 ვის სათაური სამ მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს: 1) იგავის  
 შინაარსი უნდა გაგვახსენოს, 2) შეძლებისდაგვარად იგავის დედაზ-  
 რი უნდა გახსნას, 3) იგავში ნახმარი ფორმები დაიცვას. ამ თვალსა-  
 ზრისით ზოგი იგავის სათაური შესაცვლელია. მაგ., იკითხება: „მარ-  
 ტომყოფელის ცხვარი და ქურდები“ (C I, 402). ამ იგავში მ პ ა რ ა-  
 ვ ნ ი ფორმა გვხვდება და არა ქ უ რ დ ე ბ ი, ამიტომ სათაური ასე

243 1949 წ. „ქილილა და დამანას“ ბარამიძისეულ და ინგოროყვასეულ გამო-  
 ცემის პარალელურად გამოვიდა ს. ყუბანეიშვილის შედგენილი ქართული ლა-  
 ტერატურის ჰისტორიაში, 1, სადაც გამოცემელს ოცდათერთმეტი იგავი და-  
 სათაურებული აქვს. მათი დასათაურებანი ბევრჯერ ემთხვევა ერთმანეთს.

უნდა გადაკეთდეს: „მარტომყოფელის ცხვარი და მპარავნი“ (ასევე: „დიდვაქრის ცოლი და მპარავნი“. C I, 413). ერთ იგავში სამი მოქმედი გმირია: განშორებული, დევი და მპარავი. გამოცემაში დევი არ არის და უნდა აღდგეს (C I, 416). „გლახა და ერბო“ (C II, 48) „ქილილა და დამანას“ სათანადო იგავს არ შეეფერება („სიბრძნე-სიცრუისას“ იგავის გავლენითაა შექმნილი), რადგან აქ გლახა კი არაა გამოყვანილი, არამედ მოღვაწე (უნდა „მოღვაწე და დერგი ერბო“). ტექსტში მწერონი იკითხება და ამიტომ „მეკობრენი და წეროების“ ნაცვლად (C II, 89) „მეკობრენი და მწერონი“ აჯობებს და ა. შ. როგორც ვიცით, „ქილილა და დამანას“ საბა ურთავს შესაფასლს (თავის ანდერძს) და შიგ თავისთავად სამი იგავი მოაქვს. ეს იგავები „ქილილა და დამანას“ II გამოცემაში (1949 წ. პ. ინგოროყვასა და ალ. ბარამიძის რედაქციით. შემოკლებული ვარიანტი) დასათაურებული იყო, მაგრამ მესამე გამოცემაში ისევ უსათაუროდ დაიბეჭდა. რადგან დასათაურების პრინციპი გვაქვს, მათაც სათანადო სახელწოდებანა უნდა მიეცეთ: „ვარდი და მოშურნენი“, „შურის მსხვერპლი დელფინი“, „ერთგული მეძებარი“, სადაც, ვფიქრობთ, საბას სათქმელი ჩანს. (შდრ. გ. ლეონიძის: „ვარდი და მზე“, „დელფინი და ზღვა“, „მეფე და მეძებარი“<sup>244</sup>; ს. ყუბანეიშვილის: „ვარდი და მზე“, „დელფინი და ზღვა“, „მეფე და მისი მეძებარი ძალი“<sup>245</sup>; II გამოცემის: „მზე და ვარდი“, „ზღვა და დელფინი“, „მეფე და მეძებარი“<sup>246</sup>).

გარდა კარების თემატური სათაურებისა, რაც საბას ეკუთვნის და ორიგინალიდან მოდის, ყველა იგავის სათაური კვადრატულ ფრჩხილებში უნდა ჩაისვას, როგორც პირობითი.

„ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიების ისტორიის მოკლე მიმოხილვა არ გვინდა ისე დავამთავროთ, რომ არ აღვნიშნოთ კიდევ ორი ვერსია. ერთი 1839 წ. შეუქმნია მელიგზად ბებუდაშვილს (1793—1852). მას საბას ვერსიის ადაპტაცია უცდია. იგი კომშავს და კვეცავს საბას ვერსიას, ხსნის მეტაფორებს ამარტივებს ტექსტს, აახლებს ლექსიკას<sup>247</sup>.

244 სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე-სიცრუისა. გიორგი ლეონიძის რედაქციით. თბილისი, 1928. გვ. CXXVII-CXXVIII.

245 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, თბილისი, 1949, გვ. XIII.

246 ქილილა და დამანას. ალ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით. თბილისი, 1949, გვ. 5.

247 ამ ვერსიის შესახებ იხ. ჯ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 462; ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 325; ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში. თბილისი, 1939, გვ. 236.

მ. ბებუღაშვილის ვერსია (მას E ვერსია უნდა ვუწოდოთ. D ვერსია ონანას რედაქცია იქნება) უთუოდ ანგარიშგასაწევია ერთი მომენტითაც, აქ თარგმანი განტვირთულია ქაშეთისეულ მრავალსიტყვაობისგან და ისეთი დეტალებისგან, რომელიც იგავს ამძიმებს. ე. ი. მისი გაჩენის მიზეზი იგივეა, რაც „იარ-ე დანეშისა“.

მეორე — დღემდე უცნობი ვერსიაა. სამწუხაროდ, მისი მხოლოდ ფრაგმენტი, მთარგმნელის თუ გადმომკეთებლის ანდერძი, შემოგვრჩენია<sup>248</sup>.

### „ქ. მწერლის ანდერძი“

ქ. წიგნი ესე, რომელ არს სახელ საშვენ მოპოვნით მნათობი, თავთირად წოდებული, პინდთა რიტორთაგან, მეცნიერთა ბრძენთაგან შენაქსვით კეთილ ნაქსული, კელოვნებით სიტყვა შემქვევრებული, სასურველი, სახალისო, სასიბრძნო, სასწავლო, საკვირვოდ გონების კალმით დასახულ-დახატული და კვითა ძლით მოპოვნებული.

### ლექსი

გემოენად შემოკრებული, ვარდი ფურჩქენილი მზიანი,  
მას ემოყვნიან ბულბულნი ზედ და ზედ მრავალ კმინანი.

ასე საცნაურ არს და ფრიად სასურველ მრავალ გვართაგან ნათესავთა სპეკლად უსასყიდლოდ და უფასოდ მარგარიტად შაშპრად ფერად-ფერად მკობილ და ყარამფილებრ აღყვებულ. გონების თვალის კარაკინთაგან ნახელოვნი, მსგავსი ლითონთა, ქარკანჩურთა სადაფთა შინა უებროდ ლალად პოვნილი, მეცნიერთა აჯამთ კელმწიფეთაგან და მანყან და აბულასანთაგან მოხუცთა შემეცნებული, პინდთა ენისაგან გარდმოცემული ფალაურად და ფალაურთაგან თაჭურის ენად, ხოლო სპარსთა მიერ [ნა]თარგმნი უცხოდ რადმე შემკობით.

### შაირი

სიტყვა მკვერით [...] ნაქესი და მფშველად დებულო,  
[...]ებულთ ანათქვი, მმეცნთ ჰკვათა შემოდებული,  
[...]ავსე გზიანი, ართუ ღელარქნილად რებული,  
და [მნა]თობ[ს] თავთირსა უკმობენ, სცანთ სიტყვა შემკვერებული.

ფრიად სასური, მსგავსი წალკოტთა მრავალ სურნელ მფშველთა, მუშკ-ამბრებულ საყნოსი, სიტკობებით აღსავსე და მეცნიერთა-

<sup>248</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდი, 1334. მასზე მიგვითითა გ. მიქაძემ.

გან სიბრძნის დარგად ქებული, ძოწებრ ფეროვნებით განშეენებული, შაქარბაგიანს სათუთ საუბრად მოთხრობილი, ბრძენთაგან ნალვაწმრავლი ქილილა სახელმწიფოდ გარდმოცემული და კკუისა ასპარეზთა შა შემოღებული.

### შ ა ი რ ი

სიბრძნისა დარგთა რიტორთა შეუწყუიით, ეგრე ნახეთ, ბროლის უსტართა წერილი შეუთხზუიით ეგრესახეთ, ცერეული ვარდი კოკორი შეუზრდიით ეგრე მახეთ, და ბრძენთაგან დაქელოვნებულს გულნი თქვენი მიავახეთ.

### შ ა ი რ ი

რა სრულეყავ წიგნი უებრო, არ საწუნელად კობილი, ჰინდთა, აჟამთ და უშანგთა იამანეთით მკობილი, მიქსწვათნე, თვალნი ვაახელ, გული ვასურვე სწრობილი, და ვახტანგ შეფისა ნალვანნი, ქებისა ღირსად ძნობილი“.

როგორც ამ ანდერძიდან ჩანს:

1. მის ავტორს „ქილილა და დამანა“ თავიდან ბოლომდე გადაუკეთებია („რა სრულეყავ წიგნი უებრო, არ საწუნელად კობილი“).

2. იგი საკმაოდ ყოფილა პოპულარული და შეფასებული, რადგან ნიმუშად შეუტანიათ სამდივნო კრებულში.

3. ამ ვერსიას (რომელსაც F ვერსია უნდა ვუწოდოთ) საფუძველად დადებია უშუალოდ ვახტანგის თარგმანი („მივქსწვათნე, თვალნი ვაახელ, გული ვასურვე სწრობილი, ვახტანგ მეფისა ნალვანნი, ქებისა ღირსად ძნობილი“).

4. ანდერძში ვახტანგის მიერ სრულად გადმოტანილი წინასიტყვაობა ქაშეფისა, სადაც ეს უკანასკნელი წიგნის წარმომავლობის ამბავს გადმოგვცემს, შემოკლებითაა გადმოტანილი. ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მთელი ვერსიაც „ქილილა და დამანას“ მოკლედ გადმოგვცემდა.

5. ვერსიის ავტორი უცნობია. ენა XVIII საუკუნისა ჩანს (როგორც განგვიმარტა ილია აბულაძემ). ეს ხელოვნური არქაული ენა ანტონის სტილს გვაგონებს, და, ამგვარად, ეს ვერსია მისი სკოლის რომელიმე წარმომადგენელს უნდა ეკუთვნოდეს.

ისეთი რთული და დვლარქნილი ტექსტის თარგმნა, როგორც „ანვარ-ე სოჰაილია“, ადვილი საქმე არაა. როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, „ქილილა და დამანას“ ქართულ ვერსიებში ორიგინალის ბევრი ადგილი სწორად ვერაა გაგებული: ამ მხრივ განსაკუთრებით სწორედ საბასეული ვერსიის წყარო, ვახტანგის პწკარელი



სცოდავს. ჩვენ შევეცდებით ყველა ასეთი შეცდომა თუ უზუსტობა საგანგებოდ განვიხილოთ. პარალელურად ყოველთვის მოვიტანთ სპარსულ დედანს და მის ქართულ ვერსიებს. ანონიმური და ვახტანგისეული ვერსიების მოტანა იმ მიზნითაც ვაჩივით, რომ მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდეს ახლო გაეცნოს მათ სტილს, დედნისეული ტერმინებისა და ცნებების მათეულ შესატყვისებს და სხვა თავისებურებებს. ამავე დროს მათი თარგმანის გათვალისწინება განსახილველად აღებული ტექსტის გაგებისათვის აუცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია. ეს განსაკუთრებით მაშინ იგრძნობა, როცა კერძოდ A ვერსიას უკეთ ესმის ესა თუ ის ადგილი ტექსტისა.

არის შემთხვევები, როცა რომელიმე ადგილი ორიგინალისა ყველა ქართულ ვერსიაში მცდარადაა გაგებული. თვალსაჩინოებისთვის აქ ერთ მაგალითს მოვიტანდით. საბასეულ ვერსიაში ვკითხულობთ:

„ერთი თავი მაქვს, არ უსხენ მას გარშემო სამანი“  
(C II, 70).

რა სამანი (საზღვარი) უნდა ჰქონდეს (თუ არ ჰქონდეს) თავს? „ქილილა და დამანას“ ანონიმურ ვერსიაში ვკითხულობთ: „მე ის ვარ, რომე არა აქვს თავსა ჩემსა სარანჯამი (საზღვარი. A 464)“. ვახტანგსაც ასეთი რამ უწერია: „ერთი თავი მაქვს“ (B 554). საქმე ისაა, რომ ორიგინალში ნახმარია სიტყვა سر რომელიც ორნაირად

წაიკითხება და გახმოვნდება. თუ سر წაიკითხეთ, საიდუმლოებას ნიშნავს, ხოლო თუ سر წაიკითხეთ — თავს. ტექსტში სწორედ საიდუმლოებაზეა ლაპარაკი. ისეთი საიდუმლოება მაქვს, რომ სამანი არა აქვსო, გვეუბნებიან. ხოლო ქართული

ვერსიების ავტორებმა, როგორც ვნახეთ, აქ შეცდომით سر წაიკითხეს და თავად გაიგეს.

„ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსიის ბოლო გამოცემა, რომელიც ალ. ბარამიძემ და ელ. მეტრეველმა განახორციელეს, შეუდარებლად მაღლა დგას წინა გამოცემებზე. იგი საუკეთესოა, მაგრამ რადგანაც მის რედაქტორებს ქართული თარგმანის ყოველი ფრაზა ორიგინალისთვის არ უდარებიათ, ბუნებრივია, მათ შესაძლებლობაც არ ჰქონიათ, ქართული ვერსიის, როგორც თარგმანის, ხარვეზებზე ელაპარაკათ. მათ ასეთი მიზანი არც დაუსახავთ. ამავე მიზეზის გამო, — იმის გამო, რომ თარგმანი ორიგინალს დეტალურად არ ყოფილა შედარებული, — ზოგან სწორად გადმოტანილი აზრი დამახინჯებული ან სახეშეცვლილია იმით, რომ სასვენი ნიშნები სწორად არაა დასმული. მაგალითად, საბასეულ ვერსიაში ვკით-

ზულობთ: „ვეითხე კაცს ა: რამცა უჯობს, ანუ რამცა ეკმარება?“ (C I, 212). ისმის კითხვა: ვის უჯობს? პასუხი არაა. ორიგინალში სხვა სურათია:

(O144) بد و گفتم ای آنکه با عقل و هوشی ز مردم چه بهتر ز هر حال

„მას ვკითხვე: ჰეი ჰკვიანო და გონიერო, კაცს ყველაფერს რა ურჩევნია?“

უხადია, სასვენნი ნიშნები ასე უნდა დაისევას:

„ვეითხე: „კაცსა რამცა უჯობს, ანუ რამცა ეკმარება?“

თავის ნაშრომში, რომელსაც ჩვენ არაერთხელ მივმართეთ, ალ. ბარამიძემ მოიტანა ერთი-ორი იმისი მაგალითიც, თუ როგორ სცილდება ზოგჯერ ქართული თარგმანი ორიგინალს შინაარსობლივად. ალ. ბარამიძემვე მიუთითა იმაზე<sup>249</sup>, რომ საბას ყოველთვის სათანადოდ ვერ გაუგია ვახტანგისთვის და შეცდომით გაუაზრებია ტექსტი, მაგალითად, ვახტანგის „ანთალი“ („ანთალის თესლი დათესოს“) მას ხის ნათალად მიუღია („თესლად ნათალსა ხისასა“<sup>249</sup>). მაგრამ ყველაფერი ეს მეტად ცოტაა იმ შეცდომათა და უზუსტობათა ფონზე, რომელსაც „ანვარ-ე სოჰაილის“ როგორც ვახტანგისეულ, ასევე საბასეულ ვერსიებში ვხვდებით. წინამდებარე შრომის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სწორედ ამ უზუსტობათა და შეცდომათა მითითება და ახსნაა. ზოგან გასასწორებელია მართლწერა, როცა მათ შეცდომაში შეჰყავთ მკითხველი. ასეთი რედაქტირების საჭიროებაზე მიუთითა დ. კობიძემ „ქილილა და დამანას“ მეორე გამოცემისადმი მიძღვნილ წერილში<sup>250</sup>.

არა თუ ქაშეფის მეტად ღვლარქნილი ტექსტი, არამედ მისი შორეული საფუძველი, იბნ ალ-მუყაფას არაბული ვერსია ძნელად გასაგებ და ძნელად სათარგმნ თხზულებად ითვლება. ამიტომაც იყო, რომ სპეციალისტები დიდ ყურადღებას აქცევდნენ მის ყოველ თარგმანს და სათანადოდ ეხმაურებოდნენ მას, გამოთქვამდნენ თავიანთ შენიშვნებს მისი ამა თუ იმ ადგილის გაგებაზე<sup>251</sup>.

249 ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 331. საბასეული თარგმანის ორი-სამი ადგილის სიმძლავრეზე მიუთითეს ელ. მეტრეველმა და ალ. გვახარიაძემ, როგორც ამას სათანადოდ ადგილას აღვნიშნავთ.

250 დ. კობიძე, „ქილილა და დამანა“, მნათობი, 1950, № 2, გვ. 168.

251 იხ. ეიქტორ როზენის რეცენზია „ქილილა და დამანას“ ატიასეულ რუსულ თარგმანზე: Записки Восточного отделения Императорского русского археологического общества. т. IV, 1889, С.-П., 1890, გვ. 425.

ჩვენ არ შევხვებით ტექსტიდან ისეთ გადახვევებს, სადაც შეცდომა კი არის დაშვებული, მაგრამ დედნის აზრი მაინც არაა დაშინებული. ასე, მაგალითად, ორიგინალში ვკითხულობთ:

ادوات دافع ملل و ازالة غم و كلال ساخته

„კმუნის მოცილების და დარღის სიმძიმის გაქარების იარაღი გაკეთებული [გაქვს]“<sup>252</sup>.

ვ ა ნ ტ.: ნაღლისა და წყნის წამალი გაკეთებული და მზა არის (B 687).

ს ა ბ ა: ზრუნისა და კმუნის წამალიცა შემზადებული წინა გიძევსო (C II, 220).

ამჟამად, ორიგინალის ادوات („იარაღი“) ვახტანგმა გაიგო, როგორც دوا („წამალი“) სიტყვის არაბული მრავლობითის ფორმა, მაგრამ, ვიმეორებთ, შემთხვევით, ამით აზრი არ შეცვლილა. ასეთი ადგილი ცოტა არაა:

ხშირად საბასეულ ვერსიაში ორიგინალისეული პოეტური სახე შეცვლილია. ზოგჯერ ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ საბაჰ ვახტანგის სტრიქონთარგმანი კარგად ვერ გაიგო (მისი სირთულის გამო), ზოგჯერ კიდევ იმით, რომ საბას ჰსურს, სახე შეცვალოს სხვადასხვა მოსაზრებით. მაგ., ორიგინალში ვკითხულობთ:

یکی بقامت چون نیر چله نشینان گوشای انزوا را برمثال کمان  
بسوی خود کشیدی و دیگری بزلف چون زنجیر دیوانگان سلسله  
محبت را موی کشان به بیمارستان درد آوردی

„ერთი, ტანდობით ისრის მსგავსი, განდგომილობის განდევნილთა ყურებს თავისკენ მშვილდის მსგავსად იზიდავდა და მეორე, ჯაჭვის მსგავსი ზილფებით სიყვარულით გახელბულებს დარღის სააგადმყოფოში თმით მიათრევდა“<sup>253</sup>.

ვ ა ნ ტ.: „ერთი მშვილდის საბელში ჩასაგდების ისრით წარბის ბოლოებს მშვილდსავეთ თავისკენ მოსწევდა და მეორე ქოჩრით საგიჟოთ ჭინჩილით და სიყვარულის გარდაბმულის თმის მიზიდვით სასწულს სახლში შეიყუანდა“ (B 670).

ს ა ბ ა: „წარბნი, მეომართა მშვილდისა მსგავსად, კაცთა გული-სა საკრავად სურვილის ისრისათვის მოეზიდათ: ქოჩორი, ბრძენთა გამახლებელი, ჯაჭვთაებრ სიყვარულით შემამორკილებელი და თმისა საბლითა გამზიდველი, ქსენონთა შინა მიჰყვანდა“ (C, II, 202). ვახტანგს انزوا („განდევლობა“) წაუკითხავს როგორც ابرو („წარბი“).

<sup>252</sup> ანვ. ۵۱۱، سلی،

<sup>253</sup> ۴۹۶، ۵۳۶.

ჩვენ არც ასეთ განსხვავებებს განვიხილავთ, რადგან ვახტანგის სტრიქონთარგმნიდან აზრის უკეთ გადმოტანა შეუძლებელი იყო. არ ვეხებით პოეტური ხატების შეცვლის მაგალითებს, ვთქვათ ასეთს. ორიგინალშია<sup>254</sup>:

خم زلفش در آتش کرده صد نعل

აქ გამოყენებულია სპარსული გამოთქმა, ნალის ცეცხლში ჩაგდება, რაც აფორიაქებას, აღშფოთებას ნიშნავს. საბას უწერია:

„თმათა დალალნი, ტრფიალთ დამლალნი, დაღს დასამიდა ზედ დასაჩენად (C II, 252).“

ვახტანგი მეფე იყო და, ბუნებრივია, მას ხელთ „ანვარ-ე სოჰაილის“ ცუდი ნუსხა არ ექნებოდა. მისი ზოგი წაკითხვა ტექსტისა განსხვავდება დღესდღეობით ცნობილი მრავალი ნუსხის წაკითხვათაგან. არის შემთხვევები, როცა მის სპარსულ დედანს უკეთესი წაკითხვა დაუცავს. ამდენად „ქილილა და დამანას“ ქართულ თარგმანს, კერძოდ საბასეულ ვერსიას დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქაშეფის ტექსტის დადგენისა და კომენტარების თვალსაზრისით. არის, რა თქმა უნდა, ისეთი შემთხვევებიც, როცა ქართული თარგმანის საყრდენი ორიგინალის წაკითხვა მცდარია. საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ ზოგი კლასიკოსის ლექსი „ანვარ-ე სოჰაილის“ ყველა გამოცემაშია დამახინჯებული. ამდენად ტექსტის დასადგენად მოცემული ყოველ დეტალს დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთი ადგილები აღნუსხული გვაქვს ნაშრომში. აქ თვალსაჩინოებისთვის და ზოგადი წარმოდგენის შექმნის მიზნით მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

მრავალ გამოცემაში იკითხება:

علم چون بردل زند یاری بود

علم چون برتن زند ماری بود

„სიბრძნე როცა გულს ეხება, მეგობრად გაქცევა,  
სიბრძნე როცა ტანს ეხება, გველად გაქცევა.“

ინდურ გამოცემაში ვკითხულობთ:

علم چون بردل زند باری بود

علم چون بر تن زند ماری بود

انوار سہیلی، ۱۳۵ هج. ۲۱۱

„სიბრძნე როცა გულს ეხება, ტეირთად გაქცევა,  
სიბრძნე როცა ტანს ეხება, გველად გაქცევა“<sup>255</sup>.

რომელი წაკითხვია სწორი? ვახტანგი ამ ადგილს ორნაირად  
კითხულობს: „ცოდნა რომ გულსა ჰკრა, მოყუარო შეიქ-  
ნება: ცოდნა რომ ტალახში დაფლა, გველი შეგექნება“.  
„სიბრძნის სწავლა თუ ვარდსა ჰკრა: შეგექნები: ძმა და  
თვისი, თუ ტალახსა მოახვედრა, გველი იქნას ყოვლთა  
თვისი“ (B 689). ე. ი. ვახტანგს ასეთი სპარსული ტექსტები ჰქონია.

პირველი: علم چون بر دل زند یاری بود  
علم چون بر گل زند ماری بود

მეორე: علم چون بر گل زند یاری بود  
علم چون بر گل زند ماری بود

ვახტანგის თარგმანს დაუცავს მეტად საინტერესო, სხვა ნუსხათაგან  
განსხვავებული წაკითხვანი. არც ერთი მისი წაკითხვა, არ უღგება  
სხვა ნუსხების წაკითხვას. ხოლო მოტანილი ლექსი ეკუთვნის ჭე-  
ლალ ად-დინ რუმის (1207—1273) და იგი ასე იკითხება „მესნე-  
ვიში“:

علم چون بر دل زند یاری بود  
علم چون بر تن زند باری بود

„სიბრძნე როცა გულს ეხება, მეგობრად გაქცევა,  
სიბრძნე როცა ტანს ეხება, ტეირთად გაქცევა“<sup>256</sup>.

ეს ბოლო ვარიანტი თითქოს უფრო სწორი ჩანს, მაგრამ ამით სხვა  
წაკითხვებს მნიშვნელობა არ ეკარგება. მათ შორის კი ვახტანგის წა-  
კითხვათა ვარიანტებს საპატიო ადგილი უჭირავს.

ქართული თარგმანის საყრდენ ორიგინალს ზოგან ფრიად საყუ-  
რადღებო წაკითხვა დაუცავს. „ანეარ-ე სოჰაილის“ საუკეთესოდ მი-  
ჩნეულ გამოცემებში ვკითხულობთ:

گراز گردش جرخ باشد امان  
بخوایم کین خود از بدگمان  
چنان سر بگویمشان در ستیز  
که ماند ز ما نام تا رستخیز.

255 كتاب انوار سہیلی من تصنیف ملا حسین بن علی الواعظ الکاشفی  
შემდეგში: باهتمام کرنیل یوسف اوزلی، 481, 1851, Haileybury, 481, 1851, Haileybury, 481, 1851, Haileybury

256 دورة کامل مثنوی معنوی، یعنی و اهتمام و تصحيح رینولدالین

ნიკلسონ, چاپ پیروز, 170 مثنوی შემდეგში

„თუ საწუთროს ბრუნვამ დაგვააცალა,  
მტერზე შურს ვიძიებთ.  
ბრძოლაში ისე დავეუქვქავთ მათ თავს,  
რომ ჩვენი ხსენება მეორედ მოსელამდე დარჩება“<sup>257</sup>.

ამ ლექსის პირველი ბაითი საუკეთესოდ მიჩნეულ გამოცემებში იკითხება მომდევნო ციტატის პირველ ბაითად:

گر از گردش چرخ باشد امان  
بخواهیم کین خود از بد گمان  
ز ما رایت جنگ افراشتن  
زدشمن سر و تاج بگذاشتن

„თუ საწუთროს ბრუნვამ დაგვააცალა,  
მტერზე შურს ვიძიებთ,  
ჩვენ — საბრძოლო დროშის გაშლა,  
მტერს — თავისა და გვირგვინის დაგორება!“<sup>258</sup>.

ქართულ თარგმანში სათანადო ადგილასაა:

„თუცა დრო მოგვეცეს სფერომა სეებედნიერის ბედისა,  
მტერთაგან შური ვიძიოთ უსასო-უიშედისა.  
ჩვენ თავი მათი შევმუსროთ, ვით ბრძენმა ენა ებედისა,  
ჩვენი სახელი გაითქვას, ვით ქვა სისხლთათვის ღრედისა“  
(C I, 424).

„მტერნი ქინკველად მიჩანან ელად, ჩვენ  
ვართ ვეშაპნი, მხნე შემძლებელად,  
უკუღშა რბიან, მკვლარ იქნებოიან, ვით განე-  
რება ჩვენს ქანგთა მართელად?  
დროშა ომისა, ჩვენის ზომისა, რა გაიშალოს ლაშქართა მკველად,  
მტერთა თავები, დამნაშავეები, მიწად გორვიდნენ სისხლნასხამ ელად“  
(C I, 426).

საიდან გაჩნდა ქართულ თარგმანში გახაზულ სტრიქონებში გამოხატული შინაარსი, ხომ არაა იგი ეახტანგის ან საბასმიერი გადახვევა? ირკვევა, რომ არა. იგი იკითხება „ანეარ-ე სოჰაილის“ ზოგ ნუსხაში:

مخالف چو مورااست ماازدها  
کجا گردد از پنجه ما رها  
ز ما رایت جنگ افراشتن  
ز دشمن سر و تاج بگذاشتن

<sup>257</sup> გვ. 309 ს. 9, ბერლინის გამოც., გვ. 219; ბომბეის გამოც., გვ. 197.

<sup>258</sup> გვ. 309 ს. 9, ბომბეის გამოც., გვ. 198.

„მტერი ქიანქველას ჰგავს, ჩვენ — ვეშაპს,  
სად გაქცევა ჩვენს ქანგებს [მტერი]!  
ჩვენ — საბრძოლო ღროშის გაშლა,  
მტერს — თავისა და გეირგვინის დაგორება“! 258

როგორც ვხედავთ, ვახტანგისეულ სპარსულ ნუსხას უკეთესად წაუკითხავს ეს ადგილი, ვიდრე „ანვარ-ე სოჰაილის“ საუკეთესოდ მიჩნეულ ზოგ გამოცემას. ასეთი და სხვა რიგის შემთხვევები სხვაგანაცაა (0262, C 364; 0434, C II, 128), მაგრამ აქ ამ ერთი მაგალითით დაეკმაყოფილდებით (ხოლო მათ სათანადო ადგილას გავარჩევთ).

ბევრია შემთხვევა, როდესაც ქართულ ვერსიაში დაცული, ამა თუ იმ კლასიკოსის ლექსიდან მოტანილი ციტატი ორიგინალის საუკეთესოდ მიჩნეულ გამოცემებში არ იკითხება. ხოლო აშკარაა, რომ ეს ადგილები დედნიდან მოდის. ასეთი შემთხვევები ჩვენი ნაშრომის ცალკე თავში თითქმის ყოველთვის გვაქვს სათანადო ადგილას განხილული. აქ ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად ერთ მაგალითს დავჭერდებით. ქართულ, საბასეულ ვერსიაში ვკითხულობთ:

„სოფლისა ზღვისა განრომა თაემომკედარებით იქნება,  
მკედარს ღელვა ნაპირს გააგდებს, სად აღგისრულდეს იქ ნება“  
(C I, 176).

ეს ლექსი ჩართულია იგავში „სამი თევზი“ იმ ადგილას, სადაც მოთხრობილია თუ როგორ გადარჩა ერთი თევზი თავის მომკედარუნებით. ეს ლექსი, როგორც აღვნიშნეთ, არ გვხვდება, „ანვარ-ე სოჰაილის“ ბოლო (0 117) და მრავალ სხვა გამოცემაში (ლითოგრაფიებში), მაგრამ იგი ვახტანგის ან საბას ნახელავი არაა — თუ არ ვცდებით, ეს ნიშანის სტრიქონები უნდა იყოს, კერძოდ, მის „ხოსროვ-ო შირინიდან“ უნდა მოდიოდეს. ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა შევჩერებულნიყავით ნიშანის ამ პოემაში ფიქსირებულ „ქილილა და დამანაზე“. სამი თევზის იგავი იკითხება „ხოსროვ-ო შირინში“, კიდევ მეტი, ეს იგავი სწორედ ზემოთ ციტირებული ლექსითაა წარმოდგენილი. აი, ისიც:

بخود کشتن توان ز این خاکدان رست  
چنانک آن پیر ماهی ز آفت شست  
„შეიძლება თავის მომკედარუნებით იხსნა თავი,  
როგორც ის ბებერი თევზი ბადის ზიფათს გადაურჩა“ 260.

258 გვ. 236, 1297 (ლითოგრაფ.) انوار سبطی، ج. 295، اولی،

260 გვ. 306، خسرو و شیرین،

თუ გავიხსენებთ, რომ ქაშეფის ჩვევია სათანადო იგავებში ამ იგავეთა წინამორბედი ავტორების დასესხება, გასაკვირი არაფერი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ნიზამის ეს ბაითი „ანვარ-ე სოჰაილის“ ავტორს ჰქონდეს წამოღებული, როგორც მრავალზე მრავალი სხვა ციტატი მისი წინა ხანების პოეტებისა.

არის შემთხვევები, როცა ქართულ ვერსიებს უკეთესი წაკითხვა შემოუნახავთ, ვიდრე „ანვარ-ე სოჰაილის“ გამოცემებს, მათ შორის ბოლო გამოცემას. მაგალითად, ჰილყავისა და თავგის კარში სტუმარი მასპინძელ განდევილს უმტკიცებდა: თავგები ალბათ იმიტომ არიან თავს გასული, რომ სიმდიდრე ექნებათო. მან თავგების სორო მოთხარა და მართლაც უნახა ოქროები. ქართულ ვერსიებში (A 295; B 372; C 345) სტუმარი განდევილს ეუბნება: ხომ გეუბნებოდი, აი, ეს ოქროები იყო თავგის გათამამების მიზეზიო. სპარსულ ნუსხებსა და რედაქციებში ასეთ რამეს მასპინძელი ამბობს და არა სტუმარი:

زاهد گفت این بود سرمایه جرأت و پیرایه قوت (0247)

„განდევილმა უთხრა: ეს იყო მიზეზი სითამამისა და შეგობი ძლიერებისა“.

ქართულის წაკითხვას ადასტურებს რედაქტორ ვერსია: گفت دینی بود این دینار 281. „მორწმუნეს უთხრა: ეს დინარი იყო“.

„ანვარ-ე სოჰაილიში“ მრავალი არაბული ფრაზაა ციტირებული. ზოგი მათგანი შეცდომითაა დაბეჭდილი ბოლო გამოცემასა და ამა თუ იმ ლითოგრაფიაში. ძალიან ხშირად ქართულ ვერსიებში ეს არაბული ფრაზები ვერაა სწორად გაგებულნი ან თავი აქვთ მათთვის არიდებული, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ქართულ ვერსიებს საინტერესო წაკითხვა დაუცავთ. ყველაფერი ეს ნებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ „ანვარ-ე სოჰაილის“ ქართულ თარგმანებს მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორიგინალის ტექსტის დასადგენად.

გადავდივართ საბასეული ვერსიის ორიგინალთან მიმართების საკითხზე. არას ვამბობთ ამ მიმართების გარკვევისა და ქართული კულტურისათვის ესოდენ მრავალმხრივ საინტერესო და ფასეული ძეგლის შეცდომათა გასწორების მნიშვნელობაზე. „ქილილა და დამანას“ ყველა (სხვა ენაზე არსებული) ვერსია უნდა შეუდარდეს მის ორიგინალს. სამწუხაროდ ამ მხრივ თითქმის აღარაფერი კეთდება (გამონაკლისია ა. ჰოტინგერის ნაშრომი. Arnold Hottinger, *Rallia und Dimna*, Bern, 1958).

<sup>281</sup> Рудакн (رودکی), გვ. 224.



საბასეული „ქილილა და დამანას“  
ორიგინალთან მიმართება

1. B და C თავიდან არ იწყებენ თარგმნას (გამოტოვებულია თავში დაახლოებით ორი გვერდი), არამედ ფრაზიდან: 04\* و از جمله کتاب  
A დეფექტურია.

2. 04 که حکمای هند آن را بر طرزی خاص ساخته اند  
„რომ ინდოელ ბრძენთ იგი გამოჩენულად უთქვამთ“.  
A დეფ. B 1 ინდოს ბრძენთ ერთრიგად გაუხალასებიათ.  
C 30 ინდოელთა რიტორთაგან სასურველად გარდახალისებულა.

ჩანს, ორიგინალის خاص („რჩეული“): ვახტანგს წაუციტხავს როგორც خلص და იგი خلاص-ად („ხალასი, გაწმენდილი“) მიუჩნევია.

3. 04 بر افسانه نادره اند

A დეფ. B 1 მოცთუნების კალთაში გაუხვევიათ. C 30 საცთურის კალთათა გამოუხვევია.

ორიგინალში ლაპარაკია იმაზე, რომ „ქილილა და დამანასში“ ზღაპრებშია ვახვეული აზრი, სიცრუეშია მიმალული სიბრძნე. ორიგინალის افسانه („ზღაპარი, იგავ-არაკი“) ვახტანგს გაუგია როგორც افسون („ჯადოქრობა, ხრიკი, მოცდუნება“).

4. 05 و آن کتاب را حکیم رو شن رای بیدای برهن بر نام  
رای جهان آرای دابشليم هندی که مالک بعضی از ممالک هندوستان  
بوده بزبان هندی تصنیف فرموده

„და ეს წიგნი გონებანათელ ბიდფაი ბარაკმანს ქვეყნის დამამშვენებელი რაჯას დაბაშლიმ ინდოელის, — რომელიც ინდოსტანის ერთ-ერთი სამეფოს პატრონი ყოფილა, — სახელით ინდურ ენაზე შეუთხზავს“.

\* პირობითი ნიშნები: 0—انوار سہیلی; საბასეული ვერსია—C ან C I (ს.-ს. ორბელიანი, II<sub>1</sub>), C II (ს.-ს. ორბელიანი, II<sub>2</sub>); დავითისა და ანონიმების—A; ვახტანგისა—B.

A დღე. B 2 ეს წიგნი ბრძენს ნათელ გზიანს ფიდფიანს სახელად ბარამან წოდებულს ქუეყნის გამრიგებულის ინდაურად დაბიშლიმ სახელდებულისა, რომელ ინდოეთის ზოგ თემთ კელმწიფე ყოფილა, მისთვის ინდაურის ენით უთქუამს. C 31 წიგნი ესე ბრძენსა და გზიანს ფილასოფოს, ბარამად სახელდებულს, ინდოთა დაბიშლიმის თემთა გამგებელად წოდებულს, რომელიცა ინდოეთისა რომელსაჲ თემთა კელმწიფე ყოფილიყო, მას ინდოურითა ენითა უთქუამს.

საბას თარგმანში ხუთი შეცდომაა: 1) ბარამ ბარაჰმანი არაა. 2) ბარაჰმანი საყ. სახელი არაჲ ტერმინია. 3) თუ ბარამი დაბიშლიმის თემის გამგებელი იყო, კიდევ რა გამგებლობაზე უნდა იყოს. ლაპარაკი? 4) იგი დაბიშლიმის გამგებელი არ ყოფილა. 5) დაბიშლიმს კი არ უთქუამს „ქილილა და დამანა“, არამედ მისი სახელით თქვა ბიდფაიმ. საბა შეცდომაში შეჰყავს ვახტანგის თარგმანს.

5. 06 رغبتى تمام و ميل مالا كلام بمطالعة آن كتاب پديد آمد و برزويه طبيب كه مقدم اطباى پارس بود بالتاس نوشيروان پندوستان توجه نمود

„დიდი სურვილი და გამოუთქმელი წადილი იმ წიგნის წაკითხვისა გამოჩნდა და ბარზუიე ექიმი, რომელიც სპარსეთის ექიმთა მეთაური იყო, ანუშირვანის სურვილით ინდოეთს გაემართა“.

A დღე. B 3 მრავალი ნდომა და გულსმოდგინება ამ წიგნის წაკითხვისათვის გამოსჩენოდა, სპარსთ ბრძენთ ფეჰის მტუერი ზავია მკურნალი იყო, ანუშირვანის მონდომებით ინდოეთს წაბძახებულა.

C 32 მაშინ გამოჩნდა სპარსთა ბრძენთა ნამაშთა მტვერთაგანი ზავია, მკურნალი ნუშრევანისა, და ამისისა წადილისათვის ინდოეთს წასულა.

ვახტანგს مقدم („მეთაური, წინმდგომი“) გაუგია, როგორც ფეხის მტვერი. გაუგებრობის შედეგია აგრეთვე ზავია. ორიგინალის برزويه „ბარზუიე“ (ბარზუიე) ვახტანგს დაუშლია როგორც بر (ბარ) წინდებული და برزويه ვითომ საკუთარი სახელი. ნამდვილად კი იგი მთლიანად საკუთარი სახელია— ბარზავია (ბარზუია), ბურზოე<sup>1</sup>.

<sup>1</sup> შტრ. Калла и Динна, გვ. 37.

ქართული თარგმანის ამ უსწორობამ შეცდომაში შეიყვანა მისი პირველი გამოცემელი ილია ჭყონია. იგი წერდა: „ქილილა და დამანა“ გადაუთარგმნია ინდო-

6. 06 ازمانی که خلیفه ثانی از عباسیان ابو جعفر منصور بن محمد  
بن علی بن عبدالله بن عباس

აქ ლაპარაკია ერთ კაცზე. ნათქვამია, რომ იგია აბასიანთა გვარის მეორე ხალიფა აბუ ჯათარ მანსურის. ამათგან „აბუ ჯათარი“ და „მანსური“ არის ხალიფას სახელი, ყველა დანარჩენი მისი წინაპრების სახელია. ნათქვამია, რომ აბუ ჯათარის მამას მუჰამადი ერქვა, პაპას — ალი, პაპის მამას — აბდალ-ჰი, ხოლო პაპის პაპას კი — აბასი. ასეთი ხალიფა იყო (754—775).

A\*—B 4 მის დრომდის აბასის შვილი აბდულა, და აბდულას შვილი ალი, და ალის შვილი მაჰმად, და მაჰმადის შვილი მანსურ, და მანსურის შვილი აბუ ჯათარ მეორე ხალიფა გამოჩნდებოდა.

აქ აბუ ჯათარი მანსურის შვილად გამოჰყავს ვახტანგს, სინამდვილეში კი, როგორც ვნახეთ, აბუ ჯათარი და მანსური ერთიდაიგივე პიროვნებაა. ამავე დროს შეცდომით იგი მეორე ხალიფადაა გამოყვანილი. მეორე ხალიფა ომარი იყო (634—644), მანსური აბასიანთა დინასტიის მეორე ხალიფაა. ვახტანგს იმეორებს საბა (C 32).

7. 06 امام ابوالحسن عبدالله بن مقفع را که سرآمد فضلی عصر  
بود فرمودتا تمام آن را از پهلوی به تازی ترجمه کرده

„იმამ აბუ ლ-ჰასან აბდ ალ-ლაჰს, მოყვადას ძეს, რომელიც [თავისი] დროის რჩეულთა თავი იყო, უბრძანა იგი მთლიანად ფალაურადან არაბულად ეთარგმნა“.

A დღე. B 4 მაყანის შვილი აბდულა და აბდულას შვილი აბულასან მას ეამსა ახუნდთ თავი იყო, უბრძანა, ის სრულობით ფალავისაგან თაზისის ენით ათარგმნდნა.

ვახტანგი აქაც ცდებოდა: მას აბულასან აბდულა სხვადასხვა პირი, მამა-შვილი, ჰგონია. სინამდვილეში კი იგი ერთი კაცია, ისაა არაბულად მთარგმნელი, ხოლო შვილია იგი მუყაფასი (შეცდომით: მაყანი. მუყაფა არაბული მიმღეობაა და სახიჩარს ნიშნავს. ეს ზედწოდება მას იმიტომ შეერქვა, რომ მართლაც იყო ხეიბარი, ხარკის ამკრეფი ყოფილა და თურმე ომაიანთა მტარვალმა ნაცვალმა ჰაჯაჟ იბნ იუსუფმა (695—714) დაასახიჩრებინა რალაც მიზეზით)?.

ურიდან (სანსკრიტულიდან) ფალაურზედ ნუშროვანისევე კარის ექიმს ზავიას. სქოლიოში ი. კყონია შენიშნავს: ზავიას მაქს მიულერი ბარზუიექ-ის უწოდებს. იხ. ქილილა და დამანა. თბილისი, 1886 წ. შემდეგში: ქილილა და დამანა.

\* Кялптан Димна, გვ. 6.

• A ვერსიაში თარგმნილი არაა.

საბას უფრო დაუშორებია თავისი თარგმანი დედნისთვის: C 32 მა-  
 ყანის ძე აბდულა და აბდულას ძე აბულასან — მოხუცე-  
 ბულთ თავნი იყუნეს — მათ უბრძანა და ფალაურის ენი-  
 საგან თაჭურისა ენითა ათარგმნინა. საბას ერთი პირი, აბულასანი  
 მრავალ პირად გამოჰყავს და იმეორებს ვახტანგის შეცდომას, თი-  
 თქოს იგი მუყაფას ძე კი არაა, არამედ მისი შვილიშვილია. ხოლო  
 აბდულას ძეა. საბას თარგმანს შეცდომაში შეჰყავს „ქილილა და და-  
 მანას“ პირველი გამომცემელი ილია ჭყონია, რომელიც იუწყება:  
 „ფალაურიდან თაჭურად გადაუთარმნიათ ორს „მოხუცებულთა  
 თავს“ — მაყანის ძეს — აბდულას და აბდულას  
 ძეს — აბულასანს“<sup>3</sup>.

8. 06 و دیگر باره ابو الحسن نصر بن احمد سامانی یکی از  
 فضلی زمان را امر کرد تا آن نسخه را از زبان عربی بغت پرسی  
 نقل نموده

„და კვლავ აბუ ლ-ჰაჰან ნასრ სამანელმა აჰმადის ძემ, [თავის]  
 დროის ერთ რჩეულს უბრძანა, რომ ის ნუსხა არაბული ენი-  
 დან სპარსულად გარდაეთქვა“.

A დღე. B 4 მერმე კიდევ აჰმად სულთანის შვილმა ნასრი, და  
 ნასრის შვილმა აბულასან სამანელმა ერთს მის უამის მოლას უბ-  
 ძანა და ის არაბული ნუსხა სპარსულის ენით თქუა.

აქაც ისეთივე შეცდომაა: ნასრი და აბულასანი მამა-შვილი კი  
 არაა, არამედ ერთი პირია. C 32 მერმე აჰმად სულთანის ძემან ნასრი,  
 და ნასრის ძემან აბულასან სამანელმან მის უამისა ერთსა მუყრსა  
 (ვარიანტ. მოლას) უბრძანეს და ის არაბული ნუსხა სპარსუ-  
 ლისა ენით თარგმნა.

აქ საბას განმეორებული აქვს ვახტანგის შეცდომა და თავად და-  
 მატებით მრავალ პირად ჰყავს გამოყვანილი თარგმანის შემკვეთი  
 („უბრძანეს“).

9. 06 و بار دیگر ابو المظفر بهرام شاه بن سلطان مسعود از اولاد  
 سلطان محمود غازي غزنوی که ممدوح حکیم سنائی است مثال داد  
 تا افصح البلغا و البلغ الفصحا ابو الممالی نصر الله بن محمد بن الحمید...  
 آن را هم از نسخه ابن مقفع ترجمه فرمود

„და კვლავ აბუ მუზაფარ ბაჰრამ-შაჰ ღაზნელმა, სულთან მასუდის  
 ძემან, სულთან მაჰმუდ ღაზნელის გვარისამან, რომელსაც ჰა-  
 ჭიმ სენაი აქებდა, ბრძანა, რათა მკერამეტყველთა [მო-

<sup>3</sup> ქილილა და დამანა, 1886, გვ. 11.

რის) ოქროპირმა და ოქროპირთა [შორის] მკერამეტიყველმა აბუ მალი ნასრ ალ-ლაჰმა, მუჰამადის ძემან და ჰამიდის შვილი-შვილმან, იბნ მუყათას ის ნუსხა [არაბულიდან სპარსულად] თარგმნოს“.

A დღე. B 4 მერმე კიდევ აბულ მუზაფარ ბარამ კელმწიფის სულთან მაჰმად ყაზანელის შვილმა და ყაზანელმა მკებელსა სანაის ბრძენს უბრძანა ტკბილმოუბარსა და დიდის მამის აბდულ აჰმადის შვილს ნასრელსა ამის გამოცხადება და ამ ნუსხის... (დღე.) პირით თარგმნა. C 32 მას უკან აბულ მუზაფარ ბარამ, კელმწიფის სულთან მაჰმად ყაზანელის ძემან და ყაზანელმან, შემსხმელსა და ბრძენს და ტკბილმოუბარსა სანაის და დიდის მამის აბდულ აჰმადის ძეს ნასრელს უბრძანა ამის გადმოღება და ამ ნუსხის პირის თარგმნა.

გამოდის, თითქოს 1) აბუ მუზაფარი სულთან მაჰმად ღაზნელის (998—1030) შვილია, 2) მან ორ კაცს უბრძანა წიგნის თარგმნა: სანაის და ვინმე დიდის მამის აბდულ აჰმადის ძეს ნასრელს, ორიგინალში კი სენაის მამლუჰზეა (სენაის მიერ ყასიდებში ქებულ მეფეზე) ლაპარაკი. ორიგინალით აბუ მუზაფარი მაჰმადის შვილი კი არ არის, არამედ ნაშიერი. მაჰმადი 1030 წ. გარდაიცვალა, ძეგლი კი 1144 წელსაა გადმოთარგმნილი მაჰმადის შემდეგ რიგით მეათე მეფის, ბაჰრამ-შაჰის მეფობის (1118—1152) დროს. ნასრელი კი არ უნდა, არამედ ნასრ ალ-ლაჰი. იგი დიდი მამის შვილიაო, კი არ სწერია ორიგინალში, არამედ ნათქვამია მას *أبو المعالي* ერქვაო. თუ შინცდამაინც *أبو المعالي*-ის გავიგებთ როგორც დიდს, *أبو المعالي* დიდის მამა იქნება და არა დიდი მამის ძე<sup>4</sup>.

<sup>4</sup> ყაზანელი იკითხება ვახტანგის მიერ თარგმნილ „ამირანსარიანშიც“ (იხ. ლიტერატურული ძიებანი, IX, გვ. 358). ქართული თარგმანის „ყაზანელი“ ი. ხახანაშვილის ი. ჭყონიას შეცდომა ეგონა. „ეფიქრობ, რომ ბ-ნ ჭყონიას შეცდომის წყარო იმაშია, რომ მან ნაცვლად „ღაზნეელი“-სა ხელნაწერებში „ყაზანელი“ ამოიკითხა. ამით აბდულ ნასრულას თარგმანი ყაზანელ თათარ მთარგმნელსა მიწერილიო“ (A. Х а х а н о в, Очерки, გვ. 132). „ყაზანელი“ რომ აქ ღაზნელს ნიშნავს და არა ყაზანელს (ვოლგის თათარს), ამაზე მიუთითა ი. ოქროპედილიშვილმა. ოღონდ მას ღაზნელ (და არა ღაზნეველ, როგორც ი. ხახანაშვილი ხმარობს: ან ღაზნევი უნდა ვიხმაროთ, ან ღაზნელი) ფორმის აღდგენაზე არაფერი უთქვამს (ივერია, 1887, № 167). ვახტანგისა და საბას შეცდომას, თითქოს ეს ძეგლი სენაისაც ეთარგმნოს ნასრ ალ-ლაჰთან ერთად, იმეორებს ი. ჭყონია (იხ. „ქილილა და დამანა“, გვ. 11).

10. საბასეულ რედაქციაში იკითხება „ქილილა და მანას უხმო-  
ზენ (C 33)“. სხვაგან (C 30) გვხვდება „ქილილა-დამანა“. როგორც  
აღენიშნავედით, წიგნის სათაური გააზრებულია პერსონაჟთა სახელის  
მიხედვით „ვისრამინის“, „ლეილმაჯნუნინის“ და მისთანათა მსგავ-  
სად.

06 بکلیله و دامنه مشهور شده

„ქილილა და დამანას (სახელით) გახდა ცნობილი“.

A აქლია. B 4 ქილილასა და დამანას ეძახიან.

11. ორიგინალის امام و مولانا თარგმნილია როგორც მო-  
ჭუცებულთ თავი და დიდი მოხუცებულო. ქარ-  
თულში „მოხუცებული“ ვერ გადმოსცემს შეიხის ცნებას.

12. C 1, 34 პირველ სტრიქონს აქლია ორმარცვლიანი სიტყვა.

13. 08. حسين بن علي الواعظ المعروف بالكاشفي

„ჰუსეინი, ალის ძე. ქადაგი, ქაშეფის [სახელით] ცნობილი“.  
A დეფ. B 7 ...ჩასაგდებმა ჰუსეინ ალის შვილმა C 35... შეურაცხსა  
ჰუსეინ-ალის შვილსა.

14. 08 چنين گفت مرد سخندان بمن

که ای باغبان ریاض سخن

در این روضه پاک مینو نشان

درخت معانی بنوعی نشان

که هر کوی خورد میوه زاندرخت

نشاندند را گوید ای نیکیبخت

در این باغ خوش میوه نهی ترست

بزبائی از یکدگر خوشترست

„ანე მითხრა ლექსის (სიტყვის) მცოდნე კაცმა:

„ჰეი, ლექსის წალოტთა მეზღვევ,

ამ საშოთხის მსგავს ხასხასა წალოტში

იგავის (აზრის) ხე დარგი რაიმე სახით.

ისე რომ, ვინც იმ ხის ნაყოფს შეჭამს,

დამრგველს უთხრას: „ზედნიერო,

ამ კარგ ბაღში წენიანი მრავალი ხილია,

ერთმანეთზე უფრო წარმტაცნი“.

საბასეულ ვერსიაში (მის გამოცემაში) მთელი ლექსი მხოლოდ  
ავტორისეულ თქმად არის მიჩნეული, ნამდვილად კი ავტორი აქ  
ალაპარაკებს სხვადას, რომელიც თავისთავად ხმარობს სხვათა სი-  
ტყვას.

15. 08 جو حكمت است يعانى بقول شاه عرب  
اگر بنور سهیلی عیان شود چه عجب

„[შაჰინ] როდესაც სიბრძნე აშუქებს არაბთა მეფის სიტყვით, სოჰაილის სხივებით რომ გაშუქდეს, რა საკვირველია“.

B 7 რა უცხო არის ეს საქმე არაბთ მეფისა... ბძანებით. ვარი-  
ანტი: რა მავთონი საქმია ეს იამანის არაბთა ქელმწიფის  
ბრძანებით. C I, 35 რა ძნელია ეს ამარტა არაბთ მე-  
ფის ბრძანებითა.

ორიგინალის ჯო სალექსოდ შეკვეცილ چون სიტყვაა და აქ  
ნიშნავს: „როდესაც“. ამის გარდა, یمان გაშუქებულს, განათებულს,  
გასხივებულს ნიშნავს (გვ. 4057, فرهنگ نفیسی), იემენური ძვირფასი  
თვალი (იაგუნდი, მაგალითად) ცნობილი იყო. საბას ვახტანგის  
„იამანი“ ასე გაუგია (სხვანაირად ვერც გაიგებდა).

ამის გარდა حكمت („სიბრძნე“) ვახტანგს ესმის როგორც „ბრძა-  
ნება“, რაც სწორი არაა (حكومت-ში ერევა).

16. 09 بعد از استخاره و استجازه بدین معنی اشتغال رفت و آن

چه از عالم غیب بزربان قلم و قلم زبان جاری شد رقم ثبت یافت  
„მკითხაობისა და მფარველობის ძიების შემდეგ ამ იგავზე შეეჩერ-  
დი და ის, რაც მეცნიერებისათვის დაფარულიყო და კალმის ენითა  
და ენის კალმით წარდინდა, წერილობით დასაბუთდა“.

A დფფ. B 7 ...სახემ წერილი გამოაცხადა.

C 36 ...ენა კალამად ვყავ და აღმოადინა სახემ წერილოვნება.

ჩანს, رقم („წერილი, რაყამი“), ვახტანგმა ამოიკითხა როგორც  
رخ („ჩემი სახე“).

17. ორიგინალში წიგნის შესავალი თავდება ფრაზით (011)  
حداد التوفيق من الله الاحد ამის შემდეგ კი იწყება პირველი კარი, რომ-  
ლის დასაწყისი სიტყვები (სათაურის შემდეგ) ასეთია: جوهریان  
უფრო შორს, 64 გვერდის შემდეგ, რაც არაფრით არაა გამართ-  
ლებული. აქ ორიგინალის შესავლის ბოლო ნაწილი პირველი კა-  
რის დასაწყის ფრაზასაა შეხორცებული. ავტორი ჩამოთვლის წიგ-  
ნის კარებს და შესავალს ასე ამთავრებს:

بعد از فهرست ابواب در حکایتی که منشاء سخنان همان خواهد

بود شروع می‌رود و التوفيق من الله الاحد

„კართა სარჩევის შემდეგ ამბავში, — რომელიც იმისი სიტყვების  
დასაწყისი იქნება, — იწყება „და ერთადერთი ალაჰია შემწე“.

A დღე. B 13 ამას უკან ამ კრების შევნიერს არაკში რომ ქებუ-  
ლი სიტყუები აქუს და იმითი მოიმართვის და ითქმის, დავიწყევით  
პირველი არაკი იგავის თვალმარგალიტს მებაზრეთა და სიტყუის  
სისწორის გამრჩეველთა უცხოს არაკის პირის გამლებთა.

C 44 ამას უკან ამ შემოკლებულს არაკებს რომ საქებარის სი-  
ტყუებით შეთხზნილა და მითვე მოიკაზმის და ისიტყვის.

აქ თავდება სტრიქონი და შემდეგ აბზაცი იწყება: „ვიწყევით  
პირველი არაკი იგავთა, თუალ-მარგალიტთა მებაზრეთა და სიტყუა-  
ქელოვნებათა გამომჩხრეველთა და უცხოთა არაკებთათუის პირის  
ამლებთა და...“ აბზაცი უნდა დაიწყოს სიტყვებით „თუალ-მარგა-  
ლიტთა“.

18. 0 12 يکجا جمع گشته آب و آتش

„ერთად შეკრებილა წყალი და ცეცხლი“.

აქ ლაპარაკია მართლმსაჯულ მეფეზე, რომლის სამწყსოში თხა  
და მგელი ერთად სძოვდნენ და რომელმაც თავისი სამართლიანო-  
ბით შეძლო ცეცხლი და წყალი, ეს ერთმანეთის გამომრიცხავი ორი  
სტიქია, ერთმანეთის გვერდით ჰქონოდა.

A დღე. B 14 ამითი ერთად შეყარა ცეცხლი და წყალი. C 45  
სიმშვიდე ჰქონდა წყლისა და წყრომა — ცეცხლთ უარესები. ე. ი. ის  
მეფე წყალივით მშვიდი იყო და ცეცხლივით ფიცხი.

19. 0 13 کشتی دریای فتنه را حلم گران سنگ او در گرداب اضطراب ساکن ساختی

„აზვირთებული ზღვის გემს მისი ძვირად დასაფასებელი სი-  
ლბო აღელვებულ მორევეში მშვიდად ატარებდა“.

A დღე. B 15 ჩხუბის აღელვებულს ზღვის ხომალდს მისის  
მოთმინების მძიმე ქუა აჩქარებულს მორევეში დააყე-  
ნებდა. C 46 ჩხუბით აღელვებულის ზღვის ხომალდსა მისის სიწყნა-  
რით ამოდ ავლენდა, მძიმე ლოდს, მჩქეფარს მო-  
რევეში ჩაგდებულს, დააყენებდა.

ვახტანგის შეცდომა, — მან გერან სანგ (ძვირფასი)  
შეცდომით მოთმინების მძიმე ქუად გაიზრა, — გაა-  
ლრმავა საბამ.

20. 0 13 نه بی‌اشارت او در دیوان بزم بر مسند عیش و عشرت

می نشست و هر آینه پادشاهان نامدار... را باید که

„მისი მითითების გარეშე ნადიმის დროს შევებისა და განცხრომის  
ტახტზე არ ჯდებოდა და ყოველ შემთხვევაში, სახე-  
ლოვანმა მეფეებმა... ხამს რომ...“



A დღე. B 15 და არ ილხენდა. ყოველთვის თუ მეფენი და ქელმწიფენი და ამაღლებულნი კაცნი ქუთიანსა და მოხუცებულს არ ჰკითხევდეს... C 46 არა ილხენდა ზედასა-ზედა. რომე მეფენი და ქელმწიფენი და ამაღლებულნი კაცნი, თუცა ქუთიანთა და მოხუცებულთა არა ჰკითხვიდეს...

წერტილი ილხენდა სიტყვის შემდეგ უნდა დაისვას, ზედასა-ზედა მომდევნო წინადადებას უნდა შეუერთდეს.

21. 0 14 شاهین نوا ساز بزخمای جنگ خونریز رک شیران  
ازنای مرغان گشاد

„დამატყვევებელი შევარდენი სისხლისმღვრელი ჭანგის ჩაელებით ფრინველთა ყელიდან არტერიის ძარღვს ხსნიდა“.

A 1 შავარდენი, გავაზნი და ბარნი ფრჩხილითა სისხლთა მღურელითა ფრინველთა ქელები დაუხსნეს. B 16 ლამაზთა შევარდენთა სისხლის მღვრელის კლანჭითა ლომებრივ ძარღვი მფრინველთა ფეკიდამ ამოეღო. C 47 კეკელა შავარდენთა სისხლისა მღვრელის კლანჭითა, ვეფხსავეთ, ფრინველთა ძარღვი ფერჯიდამ ამოეხეთქათ.

ეტყობა, ვახტანგმა شیران („არტერია“) წაიკითხა როგორც شیران („ლომები“), ხოლო سی („ყელი“) — როგორც سی („ფეხი“), ეს უკანასკნელი ასე ამოუკითხავს დავითსაც, ოღონდ მას იგი ხელეზად გაუაზრებია.

22. 0 14 مرکز زمین چون محیط اثیر معدن آتش شده

„მიწის წიაღი ცეცხლოვანი სფეროს მსგავსად ცეცხლის მადნად ქცეულიყო“.

A 1 მიწის პირი რარიგაცა მკედლის გარემო ალაგის-რე შემწუარი არისო და რარიგაცა ოთხის ნივთისაგან, ეგრეთვე ესე მიწა ქნილარსო. C 48 მიწისა სისქე სამკედლოსაგან უმხურვალედ აღტყინებულა და ზღვა ცეცხლის სასმილისაგან ტყვე ქმნილა.

ჩანს, ვახტანგს اثیر („ეთერი“) წაუკითხავს როგორც اسیر („ტყვე“). თარგმანი მაინც ასე უნდა წაეკითხოთ: ზღვა-ცეცხლი (ბევრი ცეცხლი).

23. ორიგინალშიا سیهای (ვომაის ჩრდილი. 0 14). ვომაი ზღაპრული ფრინველია („ფენიქსი“), ვისაც მისი ჩრდილი გადაუვლის, ბედნიერი იქნება. აქ არეულია ეს სიტყვა საკუთარ სახელში همایون (B 17 უმაიუნის. C 48 ომაინისა).

24. 0 15. بغبار سم سمنند رخش شکوه دامن کوهرا چون آستین  
 اهل اقبال بوسه جای سمدتمندان ساخت کوهی دید فرق همت از اوج  
 سپهر گذرانیده و سر تیغ سبز قام به سپر زرگار آفتاب رسانیده یا چون  
 شیخی که بصفت و الجبال اوتادا پای ثبات در دامن تمکین کشیده باشد

„[მეფემ] დიდებული ჩალისფერი რაშის ფლოქვის მტერით მთის  
 კალთა მორკმულთა სახელოს მსგავსად ნეტართა საკოცნელ ადგი-  
 ლად აქცია. ნახა მთა, დიდებულების თხემი (გვირგვინი) ზეცის ტატ-  
 ნობიდან რომ აღეზიდა და მწვანე ხმლის (მწვერვალის) წვერი მზის  
 ოქროსფერ ფარამდე [რომ] მიეწვდინა, ანუ როგორც შეიხი, მსგა-  
 ვსად ასვეტილი მთებისა სიმტკიცის ფეხი დიდებულების (ძლიევა-  
 მოსილების) კალთაში რომ გაუდგა“.

A 2 ცხენისა ტერფისა მტუერითა ის მთა ბედნიერთა კაცთა სა-  
 ხელსა (სახელოსა) დაამსგავსა. ნახა მთა, რომე თავის სიმაღლითა  
 ცასა დამსგავსებოდა და მთის წუერისა მწვანე მზისა სიყუითლესა  
 შემსწოთუარიყო, ან მლოცავეი კაცი, რომ ფეხი სიმაგრითა თავისა კა-  
 ლთასა შეეყო. B 18 ნახა მთის კალთა შვენნიერობით დიდათ სვიანის  
 კაცის სახელოსავითა და კაცთა ბედნიერთა სამთხვევეი ადგილი, ერ-  
 თი მთა, რომ სიდიდით თავი ამალლებოდა და ღრუბელში გაეყო და  
 წვერი მწვანე კრმლისა მზის სხივით ნაქნარი ცამდის მიეწვდინა და  
 მოღვაწეს კაცსავით მოცდის ფეჟი დაწყნარების კალთაში გაეხვია.  
 C 49 ცხენის ნატერფალთა მტეერი განაქარვა. რა ნახა  
 მთის კალთა, დიდად შვენნიერი, სვიანის კაცისა სახლომელი და ბედ-  
 ნიერთა მისამთხვეველი ადგილი, ერთი მთა, სიდიდით თავმაღალი,  
 ღრუბელთა შინა აცმული და წვერი მწვანე ცისარტყე-  
 ლასავით მზის სხივით ელვარე, ცათამდე მიწვენილი — მორ-  
 ბენალთა კაცთა მოცდის ფერხი დაწყნარების კალთაში გა-  
 ეხვია.

ვახტანგის თარგმანი თითქმის სწორია. ოლონდ მეფემ ასეთი  
 და ასეთი მთა კი არ ნახა, არამედ თავისი მოსვლით აქცია იგი ასეთად  
 და ასეთად. C სცილდება B-ს. საბას ჯერ კმალე ბრი ჰქონია,  
 მაგრამ გადაუშლია და ცისარტყელასავით დაუწერია.  
 გაუგებარია, რას უნდა გულისხმობდეს მორბენალი კაცი,  
 რომელსაც ორიგინალში شیخی შეესატყვისება.

25. 0 16 نقاش تقدیرش بر روی لوح سنگین کوه بقلم قدرت  
 چندین نقش زیبانگارد و نیرنگ قدرتش از دل سنگ اینهمه نباتهای  
 رنگارنگ برآرد

„ღვთაებრივი მხატვარი მთის ქვიან დაფაზე მძლავრი ყალბით ასეთ ლამაზ სურათს ხატავს და მისი ძალის ჯადოსნობა ქვის გულისაგან მთელ ამ ფერად-ფერად მცენარეულობას გამოავლენს“.

A 4 ...დაუხატავ<sup>5</sup> და ქუისა და მიწისაგან რასთონიერთა საოცარი გუნებისა და მიუწთომელი ფერად-ფერადი ყუავილი და სურნელება დაუბადებია. B 19 კალმით რამთონი ფერად-ფერადი ნახში დაუსახავს და ღთისა ძლიერების მღებარსა ქვის გულისაგან რაოდენი უცხო-უცხო ყუავილის ფერის ქურები დაუწყუია. C 50 მისსა მხატვარსა მის მთის სიმგრველუ ღმთის ძლიერების კალმითა მრავალფერითა ნახშირით უხატავს, და შემოქმედისა მღებარსა ქვის გულისაგან რამდენი უცხო და უცხო ყვავილთა სხვადასხვაობის ქვეყრნი აუესია.

ვახტანგის ნახში (‘ნაყში, ნახატი’) საბასთან ნახშირად აა ქტეული. ვახტანგის ქური (?) კი — ქვევრად, რაც სცილდება ორიგინალს და გაუგებარს ხდის აზრს<sup>6</sup>. საიდან გაჩნდა ქური B-ში? ვახტანგმა اینچه (‘ყველა ეს’) ხომ არ ამოიკითხა როგორც این (‘ქურჭლეული’)?

26. 0 19

دورنگر کز سر نامردمی  
بر حذر است آدمی از آدمی

„საწუთროს შეხედე: „უკაცურთა გამოისობით  
კაცი კაცს ერიდება“.

B (A7) ქვეყანას შეხედე, ავის კაცის ავის საქმისაგან კაცი კაცის შიშით არის. B 23 ღროს უყურე: უგვარობის თავიღამ კაცი კაცის მომრიდალია.

C 53 ღროს სვერიტე. ეამთა რა მოაქვს, რას იხსამს, რა მოისთლობა.  
რასაჯობდეს, იგი მოკრიფე. კაცსა აქვს თავის  
სუფლობა.

27. 0 20 صحبت سبب پراگندگی خاطر و عزلت موجب جمعیت  
باطن و ظاهراست

„ხალხთან კავშირი გონების დაფანტვის მიზეზია, ხოლო განმარტობა გარეგან და შინაგან თვისებათა პარმონიით აჭილდოებს კაცს“.

<sup>5</sup> აქამდე დეფექტურია.

<sup>6</sup> აქ ნახშირის მუდარად ხმარების თაობაზე იხ.: ე. მეტრეველი, ა. გვახარია, გვ. 187.

A 8 შემეცნება კაცთა შეუგვართა და მათთანა ყოფნა დაკარგულსა საქმესა ჰგავს, რომე არაფერი თავი არა შეეტყობოდეს რა. B 24 ლხინი და სოიბათის მიზეზი გულის დაფანტვა არის. C 55 ლხინი და განცხრომა გულის სიბრძნისა გაბნევა არის, და კაცისა თავისთავად მარტო ყოფა ქვეყნის კაცთ საქმის შემოკრება არის.

ვახტანგს შედეგი მიზეზად უქცევია, საბას კი ინტუიციით ორიგინალისთვის დაუახლოვებია იგი.

28. ზოგან ჩართული ლექსის ფორმის დასათაურება პროზაულ ნაწილშია მოცემული. მაგ., ერთგან ვკითხულობთ: „ამისთვის. მარტობა არად ქებულა, და ეს ლექსი ემოწმება“ (C I, 56). ამის შემდეგ მართლაც მოდის ლექსი, რომელსაც ფორმის განმსაზღვრელი სათაური არა აქვს. მესამე გამოცემის რედაქტორებს ასეთი სათაური აღუდგენიათ, ტეხილ ფრჩხილებში ჩაუსვამთ „ლექსი“. მაგრამ ასეთი ოპერაცია საჭირო არ იყო, რადგან, ვიმეორებთ, ეს „ლექსი“ იკითხება ზემომოტანილ წინადადებაში. სადაც „ლექსი“ საერთოდ უნარის გამომხატველი ტერმინი კი არ არის, არამედ კონკრეტული სალექსო ფორმის ამსახველი ტერმინია (ორ-ტაეპიანი, თექვსმეტმარცვლიანი მრჩობლელი). ასეთი სურათი სხვაგანაც გვხვდება: „ერთი დიდი ბრძენი ფილასოფოსი თავის მოწაფეს ამ ლექსით მგზავრობაზე ახალისებდა“ (C I, 87).

29. 022 سياست (პოლიტიკა, კანონმდებლობა) A 10 ს ა ტ ა ნ ქ ე ე ლ ს ა ეძახიან. B 26 რ ი ს ხ ვ ა ს ეძახიან. C 57 რ ი ს ხ ვ ა ს ეძახიან. سياست ნიშნავს რისხვას, დასჯას, მაგრამ ამ კონტექსტში იგი კანონიერების მნიშვნელობით იხმარება (რათა სახელმწიფოში ერთმა მეორე არ დაჩაგროს).

30. 0 22 سفاوتست که از آفتاب تاسبا  
„განსხვავებაა, რომ მზესა და სოჰას<sup>7</sup> შორის“.

A 10 მზესა და მასკვლავს. B 26 რაც მზისა და სოილის უმჯობესია. C 57 ვითა მზესა და თავდირსა აქვს საკამათო ცილობა.

ვახტანგს სე არევიასეპილ-ში

31. ორიგინალში ლექსადაა, წინა ლექსის გაგრძელებაა (უმჯობესი... უკეთესია):

0 22 پس اختیار و سطر راست در جمع امور  
بدان دلیل که خیر الامور اوسطها

<sup>7</sup> უმცირესი ეარსკელაეი დიდი დათვის თანავარსკელაეეღში.

32. 0 22 پادشاه فرمود که آن اوساط را که بسبب شناخت آن روی اشیا باعتدال صورت بندد از کجا معلوم توان کرد

A 10 კელმწიფემან ბრძანა, რომე: ორნი კაცნი მოვლენ და იჩი-  
ვლებენ, ესე როგორა შევიტყოთ, რომელი სტყუვის და რომელი  
მართალია. B 26 ეგ შუვა საქმე რომ არ ვიცოდეთ, საიღამ უნდა  
ვისწავლოთ. C 57 ხელმწიფემ ჰკითხა: ეგე სამუშალო საქმე უნდა  
ვიცოდეთ, სადეთ მოვა და დავისწავლოთ.

33. 0 22 فرق ملت (‘რჯულის თხემი’ ‘макушка религии’).

A 11 ქუეყანაცა და სჯულიცა დამტკიცნეს. B 27 რჯულის  
რქა. C 58 შჯულიერი რქა.

ეს ტერმინი იხმარებოდა ქრისტიანობაშიც (ე. კეკელიძემ განგვი-  
მარტა).

34. 0 22 نزد خرد شاهی و پیغمبری

جو دو نگیں اند و یک انگشتری

„ქუასთან ახლოს მეფობა და მოციქულობა ჰგავს ორ თვალს  
ერთ ბეჭედში“.

A 11— B (A 11)<sup>8</sup> ჰკვიანთან ხელმწიფე და მოციქული ერთი  
ბეჭედი, რომ ორი თვალი უჭდეს. B 27 ჰკვიანთათვის კელმწიფობა  
და მოციქულობა ორსა თვალსა ჰგავს, რომ ერთს ბეჭედში იჭდებს.  
C 58 ჰკვიანთ მეფობა და მღდელთ სეფობა ორს თვალსა ჰგავს, ერ-  
თად ბეჭედში მჭდომსა.

35. 0 23 دولت (‘სახელმწიფო’).

A 11— B 27 სეესევიანობა გარდაქცევის საქმეზე მიიწე-  
ვის. C 58 სეესევიანობა წაქცევაზედ მიიწურვის.

ჩანს, ვახტანგს, დაეღათი აქ ესმის როგორც ბედი. უნდა:  
სახელმწიფო წაქცევაზედ მიიწურვის.

36. 0 23 ارکان دولت (‘სახელმწიფოს ბურჯნი, ქუეყნის თაე-  
კაცნი’).

A 11 თავადთა და დარბაისელთა. B 27 დოვღათის  
გამრიგებელთ C 58 სეესევიანობის მარიგებელთ<sup>9</sup>.

37. 0 24 بیدای برهن (‘ბიდღაი ბარაჰმანი’).

A 12 ბარაჰმან ფილთაის. B 29 ფილთაი ბარაჰმან. C 60 ბიდღაი  
ბაშან.

<sup>8</sup> ასე აღწინავეთ ვახტანგის ჩანაწერებს A რედაქციაში.

<sup>9</sup> შდრ. ვაჟა: „დაეღათი საშინლად სწამს ფშაველს“. ვაჟა-ფშაველა,  
თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, 1964, გვ. 12.

საბას ბარამან ამოუკითხავს ვახტანგის თარგმანში, როგორც ბაშან<sup>10</sup>.

38. 0 24 **خالد** („დაბეშლიმ“ — ასე ახმოვნებენ სპარსულ ექსიკონებში) C-ში კი მას ხან დაბეშლიმ ეწოდება, ხან დაბეშლუმი, ხანაც დაბეშლუმი. ასევეა B-ში (29: დაბეშლუმი. 31: დაბეშლუმი). საჭიროა უნიფიცირება — დაბეშლიმ.

A 14 დაბეშლიმ. მაგრამ ვილაცას (ვახტანგს?) წაუშლია და წაუწერია: დაბეშლუმი<sup>11</sup>.

39. 0 24 **خیاں مقالات و ملاقات ایشان در خلوتخانه ضمیر جایگیر**  
„მათ შეხვედრებსა და სიტყვებზე ოცნება გულის სახლის ხალვათში დამმკვიდრებია“.

A 13 ...მათი საგონებელი და მათისა ამბისა (?) ჩემს ბუნებასა შიგან ძეს. B 29 იმათის სიტყუის ხილი ჩემს გულის ხალვათის მიწაშიგან დალაგებულა. C 60 მათის სიტყუის ხილი ჩემის გონების ტიალს მიწათა შიგან დარგულა.

ჩანს, ვახტანგს **خیاں** („ხიალ“ „ოცნება“) გადმოუტანია უთარგმნელად: ხიალი და ამას გაუგებრობა გამოუწვევია<sup>12</sup>.

40. 0 25 **ای پدای** („ბიდფაი“) C-ში ხან ფიდ-ფაი არის, ხან ფიდაფი.

A 13 ფილფა. B 31, C 61 ფიდაფი. საჭიროა უნიფიცირება: ფიდ-ფაი.

41. წინადადება: „დაიწყო არაკიანად ამბავი დაბეშლუმისა და ფიდაფი ვეზირისა“ — სათაურია, რაც C I, 61-ში ტექსტშია ჩართული.

42. 0 25 **ای مبارک پی شهنشاهی که حاصل میکند  
اختران در آسمان از طلعت نیک اختر**

„ჰეი, ბედნიერი იყოს მეფე, რამეთუ იძენენ ვარსკვლავნი ცაში მისი პირისახისგან ბედნიერებას“.

A 14—B (A 14) ეი ბედნიერი ფეხის კელმწიფეთ ხელმწიფეო, რომ ხვალე (?) ზეცის მასკვლავნი შენგან ბედნიერობენ, კაი მასკვლავი ხარ. B 31 ბედნიერ ფეხ მეფეთ მეფეო, იპოვნიან ბედის მასკვლავნი შენის სახილამ შეენიერს მასკვლავსა.

<sup>10</sup> ბიდფაი-ს შესახებ იხ. გვ. 14.

<sup>11</sup> დაბეშლიმ-ის შესახებ იხ. გვ. 14.

<sup>12</sup> იხ.: მ. თოდუა, ქილილა და დამანას დავითისეული თარგმანი, კრებული სულხან-საბა ორბელიანი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1959, გვ. 133.

C 61 სვიანთა ფერხი, მეფეო, პოვნად არს  
გამზადებულნი,  
ბელის ვარსკლავნი შენითა ნათობენ, ცაში ღებულნი.

43. C 63 თითო კაცისა სიკეთეს აქებდეს, ვითა მაყარნი. O 26—  
A—, B (A 15)—.

44. 026 صاحب نبوت كبرى صلواة الله عليه و آله فرموده  
„დიდი მოციქულობის მქონეს (მუჰამადს)—წყალობა იყოს მასზე  
უფლისა — უბრძანებია“.

A 16 წინასწარმეტყუელი იტყუის. C 63 ფილასოფოსთა უთქ-  
ვამს.

45. O 26 ما ی توفیق کرم کردند  
گنج یقین ترک درم کردند  
گنج روان را که تو پرسی نشان  
نیست بجز آنکه ببخشی روان

„თანაგრძნობის წყარო სიკეთის ქნაა, ნამდვილი განძი ღირემის უარ-  
ყოფაშია. სულის განძი, გითხრა, რა არის? — სულის მსხვერპლად  
მიცემაა (სულის გაწირვა)“.

A 16—, B 32 კეთილის გვარი უხვების ქნა არი. პოვნა ხაზინი-  
სა თეთრისაგან ხელის აღება არი. მოხელის განჯის რომ ნიშანი იკი-  
თხო, ეს არის, რომ...<sup>13</sup>

C 63 კეთილი გვარი უხობა ღმთის მოწყალების დარგია,  
საუნჯეს თუცა დააკლდა, კაცთა შოება ნარგია.  
მკედრით რომ ცოცხალი მოვიგო, ესე სრულიად კარგია,  
სხვის შეკრებული სხვას დარჩეს, მითხარ, თუ რა სეარგია?

46. O 27 پای مباحات بر فرق فرقدان خواهی نهاد  
„დიდების ფეხს მცირე დათვის ვარსკვლავთა თავ-  
ზე დადგამ“.

A 17 ფეკსა სიმადლითა ცისკრისა ვარსკვლავსა  
დაადგამ. B 34 ქვეყნის სიგანის ფეხი დიდროვანთ თავზე-  
დან დაადვა. C 64 ხმელთა სიერცისა ფერხნითა დიდ-დიდთა  
თავთა დასტეკენიდე.

47. O 28 باخبروی خیر از هر چه هست  
سوخته و ساخته با هر که هست

<sup>13</sup> ერთი სიტყვა არ იკითხება. ჰქონია: „სული აჩუქო“ და გადაუშლია.

A 18 — B (A 18) შეუტყობრობა და უანზობა რაც არის, შისგან დაწვა გა(?) კეთება ვისთანაც არი. B 35 ამბავიანი და უამბონი რაც რამ არის, გლახაკი და მდიდარი ვინც არის, რჩებიან.

C 65 ამბიანთ და უამბოთა რაცა არის, ღმერთი ჰფარავს. მდიდართა და მკოლოვანთა გამოზრდის და უზამს არ ავს.

„Informed of and indifferent to all that goes on—Interested in and concerned with, all existing beings“<sup>14</sup>.

48. O 28 برسم ما حضر تحفای دارم  
„არსებულ წესისამებრ ერთი საჩუქარი მაქვს“.

A 18 აქა გარჯისათვის ერთი უცხო შევნიერი რამე მაქვს. B 36 მაგრამ ჩეენის წესით ერთი ფეშქაში მაქვს. C 66 მაგრამ ჩეენებურის რიგით ერთი ძღვენი მაქვს.

აქ სარაა სპარსული პირის ნაცვალსახელი. (ჩეენ), არამედ არაბული კავშირია (რა, რაც).

49. O 29 بطلب آن نپرداختم و جهت سود روزگار خود هم از گنج قناعت  
„მას აღარას ვეძებ და უამის მოგებისათვის ჩემი უნჯი მცირეს დაჭერება არის“.

A 19 მე მისთვის არა უყურე რა, რომე ღთისა ლოცვა და საქმე ვარჩიე. B 37 მე რომ ცოტას დავეჩერებულვარ და ამ ერთის კუთხისათვის ხელი მომიკიდია, მას არ ვეძებდი. C 66 ...მას აღარას ვეძიებ უამის მოგებისათვის. ჩემი უნჯი მცირის დაჭერება არის.

50. O 30-ში ინდოური არ იკითხება.

A 20 — B 38 ინდური ტულები. C 67 ინდოურის ნაჯახით.

ხომ არ არის ეს სიტყვა გაუგებრობის შედეგი: ორიგინალის *هنرمندی* -ის *مندی* ხომ არ წაიკითხა ვახტანგმა როგორც *هندی* („ინდური“)

51. O 30 بقله سرسایي „სირიული ყალმით, სირიული დამწერლობით (?)“.

A 20 დეფ. B 39 ათონელთა ყალმით C 67 ათინელთა ყალმით.

52. O 30 ارکان دولت „თავკაცნი სახელმწიფოსი“.

A 21 მეცნიერთა კაცთა B 39 ბედნიერობის შრგებელთ. C 67 ბედნიერობის შარიგებელთა.

<sup>14</sup> The Anwar-i Suhaili or Lights of Canopus, Translated from the Persian by Arthur N. Wollaston, M. R. A. S. London, MDCCCLXXVII, გვ. 25. შემდეგში: The Anwar-i Suhaili.



53. 0 30 باطناب انجاسيد ... مقالات „სიტყვა ... გ ა გ რ ძ ე ლ და“.

A 21 შექნეს ცილობა. B 39 სიტყვის თოკი და უმოკლდათ. C 67 სიტყვის თოკი და უმოკლდათ.

54. 0 30 در خواندن و نوشتن خطوط غریبه مهارتی داشت

„უცნაურ დამწერლობათა ამოკითხვისა და წერაში სრულყოფილი იყო“.

A 21 ა რ ა ბ უ ლ თ ა მათ წიგნთასა. B 39 ე ლ ე ნ თ ა წე-  
რილის ცოდნაში ქებული იყო. C 68 ე ლ ე ნ თ ა სწავლულებათა  
ნაქები იყო.

ჩანს, غریبه („უცნაური, უცხო“) A-ს წაუკითხავს როგორც  
عریبه („არაბული“). ზემოთ უკვე „ათინელთა კალმით“  
ქმონდა ვახტანგს, აქაც ე ლ ე ნ თ ა მიუხადავა.

55. 0 32 جوهیزم خشک از آتش تیز

„როგორც ხმელი შეშა ფიცხელი ცეცხლისაგან“.

A 23 — B (A 23) როგორც ხმელი შეშა ცეცხლისაგან.  
B (41—42a.) ვით ხმელი შეშა ცეცხლისაგან. b) ვით ნედლს  
შეშაზე ცეცხლს. C 70 ნედლს შეშას ცეცხლი ზედიზედ ეხლი.

ჩანს, ჩუმი მტრის შესადარებლად ნედლი შეშა უფრო შესა-  
ფერისად ცნო ვახტანგმა.

56. 0 33 باران احسان برمفارق عالیمان بارد

„წყალობის წვიმა ხალხის თავზე აწვიმოს“.

A 25 — B 43 წყალობის წვიმა ქვეყნის მოსამატებლად მო-  
ვა, რომ მისს ყვავილებსაც მთებში სიკეთე ქონდესო. C 72  
წყალობის წვიმითა მისი ქვეყანა მოირწყვის და მისის მთის ყვა-  
ვილებიც სიკეთით აღორძინდება-

ჩანს, باران عالیمان „ქვეყნის მკვიდრთა თხემი“ „აღამიან-  
თა თხემი“ ვახტანგს „ქვეყნის თავად“ გაუგია, ხოლო ამაში ალბათ  
მთა იგულისხმება.

57. 0 34 کوه سرانديب که قدمگاه ابوالبشراست

„სარანდიბის მთა, რომელიც კაცობრიობის მამის (ადამის) ნადგომია“.

A 26 სარანდაბის მთისაქენ... რომელის ალაგი ყოველთა  
მამის სამყოფი არისო. B 45 სარანდიბის მთა, რომ ყოველის

ადამიანთ ფეხის ალაგია. C 73 სარანდების მთა, რომელი ყოველთა ადამის ძეთა სავალია.

أبو البشر ("კაცობრიობის მამა") ბიბლიური ადამის ეპითეტია. ჩანს, ვახტანგის ნუსხაში გამორჩათ მამის (ალბათ ჰქონდა: „ყოვლის ადამიანთ მამის“), საბა ვერ გაერკევა, მისი თარგმანით სარანდების (კეილონის) მთაზე ყოველი ადამიანი დადის. იგულისხმება კი მითი: ადამი, ღმერთმა სამოთხიდან რომ გამოაძევა, ათასი წელი იღგა იმ მთაზე ცალი ფეხით. ამიტომაც ეწოდება ამ მთას أبو البشر قدمگاه მეცნიერებაშიც ამ მთას ადამის პიკი ეწოდება<sup>16</sup>.

58. 034 خزينه معاني است نه گنجينه جواهر

„ცოდნის ხაზინაა და არა ძვირფასი თვლების საგანძური“.

A 26 ეს არის საუნჯე ფასდაუდებარი, რომე ანდერძი იყო. B 46 არათუ განძისათვის იყო, ამ წიგნისათვის და ამ სწავლისათვის იყო. C 74 არა თუ საფასისათვის იყო, არა ამა წერილისა და სწავლისათვის არსო.

ხომ არ უნდა: ა რ ა მ ე ღ ?

59. 036 دیده از آن برسر آمده اند که از زاویه خانه قدم بیرون  
نهند و قطرات اشک از آن پایمال شده اند که بر گوشه کاشانه خود  
قرار نگیرند

„თვილი იმიტომაა [კაცის] თავზე ასული, რომ თავისი სახლის სენაკიდან გარეთ ფეხს არ გამოაჭყოფს, და ცრემლის წვეთები, იმიტომ ილახება ფეხებით, რომ თავის სახლის ყურეში არ ჩერდებაო“.

A 28-29 კაცის თვალი ამისთვის არის კარგი, რომე მის დღეში-გან თავისით ადგილით არა დაიძურიან, და ცრემლი თვალისა კაცისა ამისთვის არის სალახავი ყოვლისა სულისა, რომე თავის ალაგს არა დადგების“. B 49 თ ვ ა ლ ი ს ს ი შ ა ვ ე ი მ ი ტ ო მ გ ა თ ე -  
თ რ ე ბ უ ლ ა, რომ კარიდამ ფეხს არ გამოსდგამს და ცრემლი მი-  
სთვის ფეხის სალახავად შეიქნება, რომ თავის ადგილს არ დადგე-  
ბა. C 76 თ ვ ა ლ ი ს ბ ა ი ა ა მ ი ს თ ვ ი ს მ ხ ე დ ვ ე ლ ი ა რ ი ს  
კარიდამ გარეთ ფერხს არ გამოსდგამს, და ცრემლი ამისთვის ფერხ-  
თსალახავი შექმნილა, რადგან თავის ადგილს არ დადგება.

60. 034 و تجرب بی شمار بدست می آید

„და უზომო გამოცდილება მიიღება“.

<sup>16</sup> იხ. The Macmillan World Gazetteer and Geographical Dictionary, 1955, გვ. 5.

A 29 და გამორჩევა უანგარიშო იპოვებისო. B 50 საშო-  
ვარიც ბევრი კელში ჩაგივარდება. C 77 და უცხო საშოვარნი  
იშობაო.

ხომ არ იყო A და B-ს სპარსულ ნუსხაში تجارت ('ვაჭრობა')  
წამდელიად კი تجرب უნდა (შდრ. O 43) تجربه بيار حاصل ميشود  
C 85 მრავალრიგად გამოიცილებებისა (O 43 تجربه روى نموده  
C 85 ასრე გამოვიცადე).

61. 037 شمشير تا از غلاف بيرون نيايدر معركة مردان سرخ  
روى نگراد

„ხმალი სანამ ქარქაშიდან არ ამოვა, ვაეკაცთა მარაქაში დიდე-  
ბას ვერ მოიპოვებს“.

A 29 კმალი სადამდის ქარქაშით არ ამოვა, მანამდის დიდსა  
ჯარშიგან პირი სისხლიანი არა ინახვისო. B 50 კმალი სა-  
ნამდინ ქარქაშიდამ არ ამოვა, ვაეი კაცი ბძოლის შეიდანში პირ-  
წითელი არ გამოვა. C 77 ხრმალი ვიერემდის ქარქაშით არ ამოვა,  
ქაბუეი ბძოლის ასპარეზით პირწითელი ვერ გამოვო.

ორიგინალის سرخ روى ('წითელი პირი') ნიშნავს პატივს, დი-  
ღებას, ღირსებას. ხოლო პირწითელი გაუგებარია.

62. 039 از ناله مشک تاتارى

„თათრული მუშკის ჭიპისაგან“.

A 32 მუშკისა გაცრილსა. B 53 მუშკის ჭიპის თე-  
რის სული მოქონდა. C 79 მუშკის თეთრის უპისაგან.

ჩანს, ვახტანგის თარგმანის გადამნუსხავს შეეშალა: თათრის  
გადაწერა როგორც თეთრის.

63. 039 بيسان زاله از طرف ديگر ديد: نرگس بيدار برهدف  
زمين سيدوخت

„ცერის ისარი მეორე მხრით მღვიძარე ნარგისის თვალს  
მიწის სამიზნეზე აკერებდა“.

A32 წვეთი ცისა ცვარისა ისრის პირისა მსგავსად ნარგის-  
სა მიწასა ზედან დააკერებდა. B 54 წინწყლის  
ისარი სხვას მხარს ნარგისის მღვიძარეს თვალს  
მიწას ნიშნად აკრევედა. C 80 წინწყალთა სროლის ისა-  
რი სხვას მხარეს ნარგისის მღვიძარეს თვალთა  
მიწის მტვერს აყრიდა.

64. 0 40 که نر طایر بر آشیان فلک از آسیب جنگال او ایمن نبودی و بوقت گرسنگی حمل وجدی را از مرغزار آسمان در ربودی  
„რომ ნასარე ტაიჩი ცის ბუდეში მისგან ვნებით მშვიდად არ იყო და შიმშილობის დროს ჰამალსა და ჭუდას ცის მინდვრიდან მოიტაცებდა“. აქ طایر نر ვარსკვლავია, حمل ვერძის ზოდიაქოა, جدی — ჩრდილოეთის ვარსკვლავი. ე. ი. ლაპარაკია იმაზე, რომ ის არწივი ცაში ვარსკვლავებსაც კი სწვდებოდა და აფორიაქებდა.

A 33 ნასარი თაიჩ ვარსკვლავი თავის ბუდესა ცაშიგან მისით შიშითა დააგდებდის და ცასა შინა ქალწული და ტყუბი-ეტლები თავის ალაგიდალმან მოიტაცის. B 56 მისის კლანქის შიშით ყოველნი მფრინველნი ცის ბუდეში მოუსვენებელნი იყუნენ და მშიერი რომ შეუტევდა, კუროს ბურჯს ცილამ მოიტაცებდა. C 82 რომლისა კლანქისა შიშითა ყოველნი ფრინველნი ცის სიმგრგვლეთა შინა განუსვენებელ იყვნეს, საგონებელ იყო, კუროს ზოდიაქოთა ცათაგან მოიტაცებსო.

ასე, რომ, ნასარე ტაიჩი, ნიშნავს არწივსაც, მაგრამ აქ ვარსკვლავზეა ლაპარაკი. სხვა დროსაც (C 388) ორიგინალის (O 280) ეს ცნება ასევეა გაგებული.

65. 0 42 چون چشمش بر کبوتر افتاد سوز سوای کباب دود از دلش برآورد

„როცა მან მტრედს მოჰკრა თვალი, მწვადზე სევდის ცეცხლმა მისი გულიდან კვამლი ამოუშვა“.

A 35 რა ტრედი ნახა, მონდომითა მისის ცდისათა მისის გულისაგან კუამბლი ამოვიდა. B 59 რა მეველემ ტრედი დაინახა, მწვადის ნდომის სიმხიარულით გულიდამ კომლი ამოედინა. C 84 რა მეველემ ტრედი ნახა, ჭეჭლის ჭავრით გულიდამ კვამლი ამოედინა.

ვახტანგი შემცდარა და სევდის კვამლი შეუცვლია სიმხიარულით, საბა მიმხვდარა, რომ გულიდან კვამლის ამოშვება სიმხიარულისა არ იქნებოდა და უფიქრია: ალბათ ეს კვამლი იმის გამო გაუჩნდა მეველეს, რომ მტრედი ჭეჭილს უფუჭებდაო.

66. 0 44 چون کسی در غربت بورطه محنت در افتاد مؤدب و هذب گردد

„როცა კაცი უცხოობაში გაჰირებების ხრამში ვარდება. ზრდილი და გამოცდილი დგება“.

A 37 რა კაცი საღარიბოს ადგილს ჩავარდეს კარგ-  
შქცევი და კარგისტყუა შეიქნას. B 61 ერთი კაცი რომ უცხოს ქუე-  
ყანას სარჯელში ჩავარდეს, კაცთაგან საყვარელი შეიქნება. C 86 ერ-  
თი კაცი რა უცხოთა ადგილთა შექირებებასა ჩავარდეს, კაცთაგან  
საყვარელი შეიქნება.

შეიძლება, ვახტანგის სპარსულ ნუსხაში ნაცვლად محنت-ისა  
(„გაჭირვება“) ეწერა محبت („სიყვარული“) ანდა იქნებ თავად ამოი-  
კითხა ასე.

67. O 44 واز محنت آباد و وطن قدم بیرون نهاد

„და სამშობლოს სიკეთის გაჭირვებისაგან ფეხს გარედ  
არ გადგამს“. ასეთი წაკითხვა საეჭვოა და გაუგებარი. ალბათ უნდა:  
واز محبت და აზრი ასეთი იქნება: „და სამშობლოს სიკეთის (კე-  
თილნაშენობის, კარგი პირობების) სიყვარულით ფეხს  
გარედ არ გასდგამს.“

A 37 თუ კაცმან თავის სახშიგან თავისნი დღენი დალივნეს.  
B 62 სარჯლით აშენებულს სამკუილროდამ ფეხი გარეთ არ  
გამოღვას. C 86 შრომით ნაშენებთა სამკუილროდამ ფერხს არ-  
საით გარდასდგამს.

68. C 89 დაიძახა ყორანმა... საღა საღა. O 46—A 40. B 65.  
დაიზახა: ეჰა, შეილო...

69. გაჩაღვისას საბა ზოგ ვახტანგისეულ დეტალს 'ამოაგდებს.  
ხოლმე, და ამის შედეგს ყოველთვის არ უფიქრდება. მაგალითად, სა-  
ბას ვერსიაში მაძლარი კატა ეუბნება მშიერს: „მსუქანთა ხორცთა მო-  
ვიტაცებ და მეორეს დღემდე ნოყიერად ვიქნებიო“ (C I, 91). ამაზე  
მშიერი კატა ჩაეკითხება: „მსუქანი ხორცი რაიო და მაძლო-  
ბის პური რას ჰქვიანო“ (იქვე). ორიგინალისეული მაძლო-  
ბის პური, რაც იკითხებოდა ვახტანგის ვერსიაში, საბამ ამოაგ-  
დო მაძლარი კატის ნათქვამში, მაგრამ უნებურად თავი იჩინა მან იმა-  
ვე დიალოგში.

70. 048 ترا از عنكبوت فرق نمیتوان کرد

„შენ ობობისგან ვერ გაგარჩევს კაცი“.

A 42 კაცი ბებარას შიგან ვერა დაგარჩევსო. B 68 ეგ  
არის, რომ შენ და დედაბერი ერთმანეთში არ გამოირჩევით.  
C 91 შენ და ბებერი არაში გაირჩევითო.

ხომ არ ევირა აქ ვახტანგს თვალი დავითის თარგმანზე? იქნებ  
ვახტანგსაც ბებარა ჰქონდა, მაგრამ გადათეთრების დროს შეი-  
ცვალა იგი ამ მცდარი ფორმით.

71. 053 باز بلند همت «ამპარტაენი ქორი».

A 49 ქორმან კლდეზედან ნაჭდომმან. B 75 მაღალბედნიერმა ქორმა. C 98 მან ბედმაღალმა ქორმა.

72. ضعفای رعیت را در گلستان فرائت گل رفاهیت نشکفت

„ხალხის დაერდომილობას შვეების ვარდნარში სიკეთის ვარდნი არ აუყვავდება“.

A 50—51 საბრალონი და დაერდომილნი კაცნი წალკოტსა ვარდისა კოკობსა ვერა გაშლიან. B 77 გლეხთა და საბრალოს კაცთა ფარალათობის სავარიდისტანში (!) მოსვენების ყვავილი არ გაიშლების. C 99 გლეხთა და საბრალოთ კაცთა, განსვენების სავარიდის გვამთა შინა მშვიდობის ყვავილი არ გაიშლების“.

საბას სუფიქსი ტანი გაუგია სხეულის მნიშვნელობით<sup>16</sup>.

73. 054 يراحت اختيار بايد نمود و عنان دولت بگذاشت

„ან მოსვენება არჩიოს და სახელმწიფოს სადავეებს ხელი უშვას“.

A 51 ან უნდა მოსვენება ქნას, კელმწიფობა გაუშვას. B 77 ან მოსვენება უნდა იახლოს და ბედნიერობის სადავე გაუშვას. C 99 ანუ მოსვენება უნდა იხელთოს და ბედნიერობის სადავე გაუშვას.

دولت (სახელმწიფო) ვახტანგს გაუგია ბედნიერებად. სინამდვილეში კი ლაპარაკია იმაზე, რომ ხელმწიფობაში მოსვენება არაა. კაცმა ან მოსვენება უნდა ირჩიოს და ხელმწიფობაზე ხელი აიღოს, ან ხელმწიფობა ირჩიოს და მოსვენებას გამოემშვიდობოს.

74. 054 آن که او پا بر سر ناز و تنعم می نهد

روزگارش در جهان سردار و سرور میکند

پادشاهی در چمن دادند گل را ز آنکه او

با وجود نازکی از خار بستر میکند

„ის, ვინც სინაზესა და განცხრომას უარყოფს, მას საწუთრო ქვეყნად თავკაცობას ანიჭებს. წალკოტში იმიტომ მიენიჭა ვარდს მეფობა, რომ, თუმცა ნაზია, ეკალზე წვეს“.

<sup>16</sup> ეს შემჩნეული აქვთ ე. პეტრეველსა და ალ. გვახარიას, იხ. ე. მ. ტ რ ე ვ ე ლ. ა ლ. გ ვ ა ხ ა რ ი ა, გვ. 188.

A 51 — B 77 ვინც ფეხი განცხრომასა და მოსვენებაზე დადგას, ქვეყნის დროს სარდარი და თავისუფალი ვერ გახდება, კელმწიფობა მწვანეში ვარდს ამისთვის აქვს, იმ...<sup>17</sup> ობით თავისათვის სასთუმალად ეკალი გაუკეთებია. C 99 ვითა ვარდისა ყვავილი ეკალთა ზედა წვებისა, ამისთვის მეფეს დაურგვენ, სახე უცმოლდაწებიისა. სპასპეტი მხნედ ვერ გამოჩნდეს, თუ შიში მიიწებებისა, ვინ ჰირსა თავი არ მისცეს, ლხინს როდეს შეესწრებისა.

75. O 56 ارکان دولت «თავკაცნი ქვეყნისა».

A 54 თავადთა და დარბაისელთა. B 81 ბედნიერობის მარიგებელნი. C 102 ბედნიერობის გამგენი.

76. O 58 سر بیالین آسایش نهد  
«თავს მოსვენების სასთუმალზე არ დადებს».

A 56 თავი მოსვენებისა სასთულსა დადვას. B 83 თავს მოსვენების სასთულზედ დაზღებენ. C 104 თავთა მოსვენებისა სასთუნალზედა დასდებენო.

ქართული თარგმანის წაკითხვა სჯობს.

77. O 58 نیست عجب چرخ را گر رود از کف عنان  
«არ გაუკვირდება ზეცას, თუ ხელიდან გაუშვებს ალვირს».

A 57 — B 84 არა საკურველია მბრუნავის ცისაგან, სადავე ხელიდამ (დეფ.). C 104 საწუთროსაგან არ იქნას, ნუ გიკვირს ეს საოკითა.

78. O 60 بیدای خوانند یعنی طبیب مهربان و از بعضی اکابر هند  
استماع افتاد که نام او پیش پای است که «بندی هتای بات» خوانند  
«ბიდფაის ანუ საყვარელ ექიმს უწოდებენ და ზოგ ინდოელ დიდებულთაგან სმენიათ, რომ მას სახელად ფიშფაი (წინამდგომი) რქმევია, ინდურად ჰათიფათ ეწოდება».

A 58 ფილფაი უწოდიან. ქართულად გამოითარგმანების ვითამ მკურნალი სიტკბოებითა. მრავალთა ინდოველთა უთქუამს მათბად გამოითარგმანებისო. B 86 ფილფაი ქვიან, ითარგმანების მკურნალი სიტკბოებით და ზოგთ ინდოველთ დიდთაგან გაგონილა: მისი სახელი ფილფაი არის და ინდაურად: ჰე ავათფათ. C 106 სახელად ბიდაფი ჰქვიანო. ბიდაფი «სიტკბოებით მკურნალად» გამოითარგმანების. ზოგთ ინდოველთ დიდთაგან

<sup>17</sup> ცუდად იკითხება.

თქმულა, მისი სახელი ბილფაი არისო და ინდოურად — ჰე ა-  
ვ ა თ ფ ა თ ი ს.

ზოგ სპარსულ რედაქციაში *یای پیل* იკითხება: ჩანს, ასე იყო  
ეს სახელი წარმოდგენილი იმ სპარსულ ნუსხაში, რომლითაც დავი-  
თი სარგებლობდა.

79. O 60 *بر مدارج دانش ترقی نموده*  
„ცოდნის ხარისხზე აღმატებული“.

A 58 გამომთქმელად დიდად ნაქები. B 86 სიბრძნისა და მეც-  
ნიერობის კოლოფზე დან აღმატებული. C 106 სიბრძნისა  
და მეცნიერობის კოლოფთა ზედა აღმატებული.

ჩანს, ორიგინალის *مدارج* („ხარისხი“) ვახტანგმა შეცდომით  
დაუკავშირა *ترج* სიტყვას, რაც კოლოფს ნიშნავს. მისი სი-  
ნონიმი ჩანს *კორჭი*, რაც სახეცვლილი *კროჭი* (კოლოფი)  
უნდა იყოს. ეს *კორჭი* ქართული გამოცემის რედაქტორთ სქო-  
ლიოში აქვთ ჩატანილი (კითხვის ნიშნით).

80. O 60 *دانش گنجینه تحقیق بیزان  
جیئش آفتاب صبح خیزان  
پیر حرفی فلک را کیسه پرداز  
پیر کاری قضا را محرم راز*

„მისი სული—ქეშმარიტების გამცრელთა განჯინა; მისი შუბლი —  
ძილგამკრთალთა მზე. ყოველი სიტყვით ცის ქისაფარდაზი, ყოვე-  
ლი საქმით განგების მესაიდუმლე“.

A 58 — . B 86 სასწაულის განჯით სიმართლის გამცრელი, მისი  
პირი — დილას ადრიან ამდგომთ მზე, ყოველ სიტყვაზე ცის ქისის  
დამბერტყელი, ყოველ საქმეზე მლთის განგებისა მცოდნელი.

C 107 სასწაულ ნიშთა მოქმედი გამართის რამე, რაც ხრილი,  
აღმსთობილთ კაცთა პირის მზე ზედ არ მიეკრა, რაც ხრილი,  
სიტყვით შეიგნის ყოელი ცათა კისათა, რაც ხრილი,  
ცათ განგებათა შემტყობი, ხელთა მიიღის რა ცხრილი.

81. O 61 *ارکان دولت* „სახელმწიფოს თავკაცი“.

A 62 — . B 89 ბედნიერების გამრიგებელთა. C 110 ბედ-  
ნიერობის მარიგებელთა.

82. O 63 *پیر معنوی در کتاب مثنوی فرموده*  
მართალია *معنوی* ნიშნავს იგავის მცოდინარეს, მაგრამ აქ იგი პოე-  
ტი ჯელალ ად-დინ რუმის (1207—1273) ფსევდონიმია, ხოლო



مثنوی წყვილსტრიქონიანი ლექსით დაწერილ თხზულებას კი ნიშნავს, მაგრამ ამავე დროს ჭელალ აღ-დინ რუმის ცნობილი პოემის სახელწოდებაა. თარგმანი ასეთია: „ბერ (მეთაურ) მანავის (ჭელალ აღ-დინ რუმის) წიგნში „მასნავი“ უბრძანებია“.

A 63 — . B 91 როგორც ამ იგავის მცოდინარეს მასნავის წიგნში უთქვამს. C 111 როგორათაც მას იგავის მცოდინარეს ორმუქლსა წიგნსა შინა უთქვამს. ეს ო რ მ უ ქ ლ ს ა საბას ავტოგრაფიდან აღადგინა ა. ბარამიძემ<sup>18</sup>. მაგრამ მკითხველისთვის მაინც უცნობი დარჩა, რომ აქ უბრალოდ მასნავის ჟანრი კი არ იგულისხმება, არამედ, ვიმეორებთ. ჭელალ აღ-დინ რუმის თხზულება „მასნავი“, და მოპლევნო ბაითი ამ ძეგლიდანაა ციტირებული<sup>19</sup>.

83. 0 63 ლექსად: نصيبه ازل از خود نمیتوان انداخت  
„ბედის განაჩენს ვერ მოიშორებ“.

A 64 რაც ჩვენთვის ნაბოძები არ არის, მის მეტს ვერას დავიკერთ (პროზად). B 91 რაც ჩემთვის განწესებული არ არი და რამთონიც მას ვეცადო... (პროზად). C 112 რაც პირველ ჩვენთვის ბედად არ განწესებულა, მის მეტი არა მოგვეცემა რაო (პროზად).

84. 0 64 سرچشمه اقبال که چون سراب نعایش بیشی ندارد  
„იღბლის წყაროსთვალის, რომელიც მირაჟის მსგავსად ხელშესახები არაა (ყარგად არ ჩანს)“.

A 66 — . B 93 ბედნიერობის წყაროს სათავე, რომ წყლის სათავეის მზგავსად მოჩვენების მეტი არა არის რა. C 113 სვესვიანობის წყაროს სათავე, რომელ, წყლის სათავეის მსგავსად, მოჩვენების კიდე არა არის რა.

ჩანს, سراب („მირაჟი“) ვახტანგმა გაიგო როგორც سرآب („წყაროს თავი“).

<sup>18</sup> ა. ბარამიძე, ნარკვევები, 1, გვ. 263.

<sup>19</sup> აკად. კ. კეკელიძის შენიშვნა არაა ზუსტი, როცა იგი დ. ლანგს განუმარტავს: „ქილილა და დამანაში“ იკითხება არა „იგავის მცოდინარეს ორმუქლსა წიგნსა შინა უთქვამს“... არამედ „იგავის მცოდინარეს მასნავის წიგნში უთქვამს“ (ზახი ჩვენია. — მ. თ.) (იხ. კ. კეკელიძე, ზოგიერთი საკითხი სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული საქმიანობისა, კრებული „სულხან-საბა ორბელიანი“, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, 1959, გვ. 129). აკად. ა. ბარამიძემ ტექსტში ნახშიარი „ორმუქლსა“ აღადგინა, ნაცვლად ცუდად ამოკითხული „ორბელსა“ ფორმისა და მიუთითა, რომ ორმუქლი ნიშნავს მასნავის. მაგრამ, ვიმეორებთ, ტექსტში მასნავი არ იკითხება. როგორც ვნახეთ, მასნავი ვახტანგის თარგმანში გვხვდება.

85. 0 66 بشنو این نکته که خود را ز غم آزاده کنی  
خون خوری گر طلب روزی ننهاده کنی

„მომისმინე ეს სიბრძნე და თავს იხსნი მწუხარებისგან: ს ი ს ხ ლ ს  
ღ ა ა ქ ე ვ, თუ სარჩოს არ იძიებ (არ მოიმარაგებ)“.

A 69— B 97 გაიგონე ეს სიტყვა, შენი თავი ჭავრისაგან გაათავისუფლე, სისხლის ჭამა არის, რაც შენთვის არ განწესებულა მისი ძებნა.

C 116 რასაცა გეტყვი, ეს რჩევა შენდა დაიღე წინარე,  
გულთაგან ზრუნვა გააძე, ნაღელი მოსაწყენარე.  
სისხლის სმა არის ურგებად, თავი შრომაზედ ვინ არე,  
რაც შენი ბედი არ არის, ვერ კპოო შესაძინარე.  
სულ სხვაა თქმული ორიგინალში.

86. 0 67 «ساخته است که در وقت»

A 70 საქელმწიფოსა ტახტსა. B 98 სვიანს მასნათზე. C 116 სვიანობისა სნატთა.

87. 0 68 «چه دشمن چه دوست»

A 71 — B 99 რა მტერი და რა მოყვარე. C 118 მოყვარე მტერთა ჩვილთა და ბერთა.

უნდა: მოყვარე-მტერთა.

88. 0 68 «دل در سبب میند و سبب رها مکن»

„მხოლოდ მიზეზს ნუ ჩააცივდები და მიზეზთა მიზეზს (დმერთს) ნუ ივიწყებ“.

A 71— B 100 კაცო, გულს მიზეზს და მომხმარეს ნუ აკრავ, და ლტის ხელიდამ ნუ გაუშვებ.

C 118 სასოდ ღმერთი სჯობს, ვიდრეღა მთავართ შეწვენა-გებასა,  
რა მათგან სულნი განვიდენ, გახრწნად იწყებენ გლებასა.

89. 0 68 «حق تعالی بیغمبر آن زمان را نزدیکوی فرستاد»

„უფალმა იმ დროის მოციქული მიუგზავნა მას“.

A 72 ლტმან მოწყალემან მის უამისა წინასწარმეტყველი მოუვლინა. B 100 მოველინა ლტისაგან ანგელოზი წყრომის სიტყუით. C 118 ამისათვის ღმთის რისხვა მოველინა.

საბა აშიაზე შენიშნავს: „სადაც რაჭულის წინააღმდეგად ჩანდა, ცოტა რამ ჩაღსნი. ვკარ“.

90. 0 69 «اگر (უარწმუნო)»

A 72 უსჯულო. B 101 კერპი. C 119 კერპი.

91. 0 69 **پسردیگر گفت** „მეორე შვილმა თქვა“

A 72 შვილმან კი დევე ლაპარაკსა თავი აულო. B 101 ამან უკან კი დევე შვილმა სიტყვა დაუძრა. C 119 მე რმელა შვილმან სიტყვა შეჰკადრა.

თუ იზაფეტს არ დავუსვამთ **پس**-ს, მაშინ შეიძლება ასე გავიგოთ. მაგრამ აქ აშკარაა, რომ მეორე შვილი ლაპარაკობს (მანამდე მისი უფროსი ძმა ლაპარაკობდა მამასთან).

92. 0 69 **چرخ نه بر بی درمان میزند**  
**قافله محتشمان میزند**

„განგება მარტო უმწეოთ როდი ატყდება თავზე, დიდებულთა ქარავანსაც ღუპავს“.

A 73 —. B 101 ცის ქცევა მარტო ჩვენს კარს არა კრავს და არ მოსტაცებს საქონელს, დიდის კაცის ქარავანსაც გასტაცვის.

C 119 ცათ ეტლთა ქცევა, მალ-მალ მოქცევა, ჩვენთა ნაიდაგ არ ვეტაცებს ღართა, მაგრამ მრავალგზით, მთვართა და მზით მეფეთ ვაჰარნი გაძარცვენს  
შქდართა.

ვახტანგს **درمان** („წამალი“) წაუკითხავს როგორც ენკლიტიკური ნაცვალსახელ დართული სახელი **در** („ჩვენი კარი“).

93. 0 74 **دانه بزرگ منش تر بود** „დამანა უფრო ამაყი იყო“.

A 80 ნამეტნავად საბატიო. B 109 დამანა მოდილო იყო. C. 125 შაგრამ დამანა უახოვნესი იყო.

ჩანს, ორიგინალის **منش بزرگ** („ქედმაღალი“) ვახტანგმა გაიგო როგორც დიდი.

94. 0 78 **قام فرمود که ای رفیق مشفق**

„ყანიმმა უთხრა: ჰეი, ტკბილო მეგობარო“.

A 86 ეპა საყვარელო. B 115 ეპა ტკბილო ამხანაგო. C 130 ყანიმამ უთხრა ტკბილად: საყვარელო.

უნდა: „ყანიმამ უთხრა: ტკბილად საყვარელო“.

95. 0 81 **هرکرا سودای سرافرازی پدیدآید یا ایماں هر سفله نخواهد شد**

„ვისაც დიდებულობის წადილი გამოაჩნდება, ყველა კნინის ფეხქვეშ სათელი არ გახდება“.

A 90 ვისცა გუნება უთქუამს სიმაღლისა დამკირვასა... B 119 ვისაც თავმალლობის ვაჰრობა გამოუჩნდეს, ყოველს უგ-

ვაროსა და ავის კაცის ფეხს ქვეშ არ უნდა დარჩეს. C 133 ვისაც სი-  
მალის საეპიკრო გამოუჩნდეს, მაშინ ყოვლის ცუდისა და უგ-  
ვაროს კაცის ფერხს ქვეშ თავი არ მოიმწყვდიოს.

აშკარაა, ვახტანგს აქ سودا („საუდა“) სწორად არ ესმის. მართა-  
ლია, იგი ნიშნავს ვაჭრობასაც (შდრ. „სოუდაგარი“ — سوداگر),  
მაგრამ აქ სურვილის, დიდი წადილის, სევდის მნიშვნელობით იხმა-  
რება. ეს ორი გაგება სხვაგანაცაა არეული ქართულ თარგმანში,  
(B 424, C 388), რაც სათანადო ადგილას მითითებული გვაქვს.

96. 0 84 آيد ضيف از سوزن

„უძლური ნემსი დან... გამოვა“.

A 94 ნემსსა ბევრჯელ ასეთი სამსახური გამოუვარდების.  
B 124 ერთი საქმე რომ წურილის ნემსის აგან გამოვა. C 137  
რაც საქმე წვლილის ენით გამოვა.

97. 0 85 — . A 96 — . B 126 თქვენ კელმწიფე ბრძანდები.  
C 139 თქვენ ხელმწიფე ბრძანდებით... კკუისაგან შორს.

98. 0 86 منہ نیز روش عقل و کیاست و فہم و فراست پیش گرفتہ

„დამანამაც კკუითა და გონიერებით მოქმედება უფრო და  
უფრო წინ წასწია“.

A 97—..B 127 თავის კკუის მეცნიერობის ნათელს უფრო  
და უფრო წინ უნათებდა. C 140 კკუისა და მეცნიერობის სა-  
თელს უფრო და უფრო წინაუნთებდა.

შართალია روش-ს ნიშნავს, მაგრამ ეს უკანასკნელი  
ზედსართავია და კონტექსტს გრამატიკულადაც არ უდგება (შდრ.  
O 89: از روش خرد دور „გონიერებისაგან შორსაა“).

99. 0 86 دولت و مملکت „ქვეყანა და სახელმწიფო“.

A 97 — . B 127 ქვეყნისა და ბედნიერობის. C 140  
ქვეყნისა და სვესეიანობათა.

100. 0 89 بد نفسی مباش و بدگمان باش

„ავი ზნის ნუ იქნები და თუ გინდა, ეკვიანი იყავი“.

A 101 — . B 131 იგი (?) ნუ ჰირვეული, ნუ ხარ ეკვიანი. C 143  
ღვინო-შმაგობას ევლტოდე, ეკვი გეტვირთოს გულითა.

ვახტანგის თარგმანიდან ციტირებული ფრაზის პირველი ორი  
სიტყვა საბას შეედომით წაუკითხავს როგორც დვინო.

101. 0 89 همتا و از حلق و شکم در نگذرد

„მისი ფიქრი (იდეალი; სიდიადე) ყელსა და მუცელს არ სცილდება“.  
(ე. ი. ჭამის მეტი არაფერი აინტერესებს. სხვა ღიღებას არ დაგი-  
ღევს).

A 102 მისი ბრძანება მუცელსა და პირსა იქით არსა წავა. B 132  
მისი სიუხვე კაცთა ურგია და თავის მუცელს ვერ გასცილდება.  
C 143 მისი სიპოხე კაცთა სარგოა. თვისსა მუცელსა ვერ განერება.

ვახტანგს حلق (‘ყელი’) შეეღომით წაუქითხავს როგორც خاق  
(‘ხალხი’). აქედან წარმომდგარა გაუგებრობა.

102. 0 91 از جمله ارکان دولت

„სახელმწიფოს თავკაცთაგან“.

A 104 რაც საბატონი და ნამსახური ყმანი ჰყუანდეს.  
B 134 ბედნიერობის გამრიგებლათ. C 145 ყოელთა ბედ-  
ნიერობის მარიგებელთა.

103. 0 93 رکان ختائی از چین زلفش چون سنبل در سج و تاب  
بودند

„ხატაელი მზეთუნახავები მისი ზილფის ხეულობის  
გამო სუნბულის მსგავსად დაგრეხილიყვენ“ (ე. ი. ლაპარაკია იმა-  
ზე, რომ ამა და ამ კაცის სილაპაზით ხატაეთის მზეთუნახავები იჩრ-  
დილებოდნენ).

A 107 თათართა ხატაველთა მისის კავის დაგრეხითა, რარიგა-  
ცა სუმბული, ესრეთ მიიგრის-მოიგრინებოდეს. B 136 თურქთა მხატ-  
ვართა დასახური. ქოჩორხუქუქი სუმბულსავით მიგრეხილ-მოგრე-  
ხილი. C 147 თურქთა მხატვართაგან გამოხატული, თმანუქუქი, სუმ-  
ბულივით მიგრეხილ-მოგრეხილი.

104. 0 93 ننگدانت که... تشنگان... رسیدندی

„არ უშვებდა, რომ... მწყურვალნი... მისწვდომოდნენ“.

A 107 — . B 137 ნდომის მინდორში მწყურვალთ ათას გარჯას  
უკან მისის ზულალის წყაროს მისწრთომოდენ. C 147 მინდორთა  
მწყურვალთა მონატრეთა, ათასთა გარჯას უკან, ყინტორთა წყა-  
როთა მისწდომოდეს.

105. 0 93 باکنیزی که حجاب و حیا از میان برداشته بود و جان

پروای جانان بر کف دست نهاده برنمیآمد بضرورت قصد هلاک آن  
جوان کرد

„მხეველთან, რომელსაც სირცხვილისა და მოკრძალების ფარდა აე-  
ზადა და სული საყვარლის ვნებისამებრ ხელის გულზე დაედვა, ვერ  
რიგდებოდა. სხვა გზა ვერ ნახა და იმ ყმაწვილის მოკვლა განიზრახა“.

A 107 დედაკაცმან შეუტყო და მას მოახლესა ესრეთ უთხრა: რომე ორჯელე არა დამეხსენ და ვნახოთ შენი საქმეო (?). B 137 მის მხეველის სირცხვილის ფარდა შეუადამ აეხადა, სული სულის საყუარლის ნდომით ხელზე დაედვა და წამსაც არ ეყრებოდა. C 147 მის მხეველის სირცხვილის ფარდაგი დახია, და მას სული თვისი საყვარლის სულის ნდომის ხელთა დაედვა და წუთსაცა არ მოშორდებოდა.

106.093 رفت برون آینه چینز زنگ

„გარეთ გამოვიდა ჩინური სარკე ჟანგიდან“.

B 138 გარეთ გავიდა ჩინის სარკე ჟანგის ჭანგიდამ. C 148 განადო ყოვლგნით სიშავე, ჟანგთა მომკრეფი ხარკისა (შღრ. C 170 ჩინელთ სარკესავით).

107.094 خود بضياف بعضی از دوستان رفت

„თავად ზოგი მისი მეგობრის დასაპატივებლად წავიდა“.

A 108 და თვით ესრე თქუა: სხვაგან წვეული ვარ და იქ წავალო. B 138 თვითან ერთის თავის მოყურისას სტუმრად წავიდა. C 148 თვითონ მოყურისას წვეულად წავიდა.

108.094 ორიგინალში ლექსია:

بذله گوی و عشوه ساز و شوخ چشم و غمزه زن  
خوبروئی کاینچنین باشد بلای جان بود

C 148 სიტყვაწყლიანი... წამლები (პროზითაა).

109.097 کفشگری بینی زن حجام نبریده

„ხარახს დალაქის ცოლისთვის ცხვირი არ მოუჭრია“.

A 113 მემაშის იმ მეკოტოშის ცოლისთვის ცხვირი არ მოუჭრია“. B 143 და იმ მეკოტოშის ცოლის ცხვირი არ მოუჭრია. C 152 მას მეკოტოშისათვის ცოლის ცხვირი არ მოუჭევთა.

110.098 «نالدیروبی د روس» در وقت صید کردن

A 115 ნადირობის ჟამსა. B 145 ნადირობის დროს. C 154 რა შორს ნადირობით მოიცალის.

111.099 «შვილმა უთხრა» پسر گفت

A 116 მან ბარტყმან უპასუხა. B 146 იმ ბარტყმან უთხრა. C 154 მათ უთხრეს.

ასე რომ, ეს კვიპავთა ბარტყის ნათქვამია.

112. 0 100 گنجشک زبان بگشاد و حال زار خود بروجهی که  
اگر ما سنگ خاره گفتی از درد دلتی پاره پاره شدی پیش منند،  
عرض کرد

„ბელურამ ენა გაშალა და თავისი ცუდი ამბავი იმგვარად მოახსენა, რომ ტინის ქვისთვისაც რომ ეთქვა, მისი გულის დარღობისიც ფარა-ფარად იქცეოდა“.

A 117 ჰივქავებან ენა დაძრნა და მისნი შეჰირეებანი წარმოთქუნა, რომე თუ სალის კლდისათვის შეეჩივლა, იგიცა წაწილ-წაწილად დაიმსხურეოდა. B 147 თავის საქმის საიდუმლო ასე რიგათ მოუყვა, რომ ქვისთვის ეთქვა, მისი გული სიმწუხრით ლუკმა-ლუკმა გახდებოდა. C 155 ჩიტმა ენა აუბნა და მისის საიდუმლოთა საქმენი ესრერიგად აუწყა:

— თუცა ქვათა სმენოდა, მწუხარებით იგიცა დაილეწებოდეს.

ამოწერილი ადგილი ერთი წინადადებაა, C-ში კი მისი მეორე ნაწილი, შეცდომით, ჰივქავის რეპლიკადაა მიჩნეული.

113. 0 103 چه ممکن که خود آفتی  
„ქვას ნუ გათხრი, [თორემ] თვით ჩაეარდები.“

A 121 — . B 152 ისეთს ნურას იქ, რომ შენვე ჩაეარდე. C 159 ასეთს ნურას იქ, რომე შენვე ბოლოდ გაზიანოსო.

ეტყობა, مَكْن („ნუ თხრი“) ეახტანგმა წაიკითხა როგორც مَكْن („ნუ იზამ“). چ („კა“) მას აქ ესმის ალბათ როგორც چ („ჩა“).

114. 0 108 خوش از شیرینی و نازگی  
„მისი სისხლი სიტკბოთი და სინორჩით (სიქორფით)“.

A 128 სისხლი მისი სიტკბოთა შაქარს მყინვარსა შარბათსა [დაედაროს]. B 160 სისხლი სიყრმით გან. C 165 მისი სისხლი სიყრმით განვე.

ორიგინალის شیرینی-ის სინონიმია, მელიას სიყრმეზე კი არ უთითებს, არამედ სისხლის განსაზღვრებაა.

115. ორიგინალში ლექსია, — მესნევის მეოთხე ბაითი, თარგ--მანში კი — პროზა.

„ძებნის ღროს თვალთაგან დაკარგული იყო, ცის კიდე მოეხვეტა კუ-  
ლის ცოცხით“.

A 129 — . B 160 მისის პოვნის კარი თვალისაგან დაკარგული-  
ყო, კუღით მბრუნავის ცის კარს დაგვიდა. C 166 მისისა პოვნისა კა-  
რი თვალთაგან უხილავი იყო, და კუღითა მისითა მოქცევისა ცისა  
კართა ჩამოგვიდა.

116. 0 109 خرگوش تصور کرد که دام او در روباه گرفته می  
الحال بملازمت گرگ مشرف خواهد بود

„კურღლელს ასე ეგონა, მე ღა მოვატყუე და ახლავე  
მგელს ეახლებათ“.

A 130 კურღლელს ეგონა, თუ რასაც მეუბნების, მართალს უბ-  
ნობსო, აღრე და ქაშუდან მგელსა წინ მოეგებებისო.  
B 162 კურღლელს ასე ეგონა: მისი ხერხის სული და სიტყვა მელს  
დაეჭვებინა, ფიცხლავ მგლის სამსახურში წაეი-  
და. C 167 კურღლელსა თვისის ხერხისა მელისაგან შეუტყობრობა  
ეგონა, და მაშინვე მგლისა სასამსახუროდ წა-  
ვიდა.

117. 0 110 چون سهم عدری از کمین دوستی گشایند جای  
گیرتر آید

„როცა ვერაგობის ისარი მეგობრის სანგრიდანაა ნასროლი, უფრო  
ხელემა მიზანს“.

A 131 ცხადვე მტერობითა ვერას დაეაკლებ. B 163 ერთი და-  
ნაშაულით ერთი მოყურისაგან მოვაშორო, მასუკან აღვილია. C 168  
თუცა ერთისა მიზეზითა ერთიც არის მოყვარე მოვაშორე, განალამ-  
ცა შერმე აღვილია.

118. 0 110 و در حسن هر یک از ستارگان نه فلک سرگردان

„და ყოველი ვარსკლავის მშვენიერებაზე ცხრავე ცა და ბ-  
ნე ულიყო (თავგზა დაკარგოდათ)“.

A 132 და სილამაზეზედან თვითომ ვარსკულავმან ცხრავე ცა  
და აღონიან. B 164 თითოს იმ მასკულავებს თავს ცხრა-  
ცხრა დაბრუნედა C 168 და თითოსა ვარსკლავსა თავთა  
ცხრა-ცხრა ფრინველი დაჰფრინვიდა.

საბას შეცდენა გამოიწვია ვახტანგის თარგმანის გადამწესხავის  
ლაფსუს-კალამმა: მას ცხრა ცა-ს ნაცვლად ცხრა-ცხრა და-



„უწერია<sup>20</sup>. ვახტანგის თარგმანში აქ ნათქვამია: „ბაღდადის ახლო ფრინველთ სამყოფი იყო“, რაც, როგორც შენიშნულია, სწორი არაა, რადგან ორიგინალის مرغزار („მარლზარ“) ნიშნავს მდელს, წალკოტს და მისთ. საბა ცელის ვახტანგის ფრაზას და ჰგონია, რომ ფრინველი რიცხვით სახელ ცხრას უკავშირდება. რადგან შეცდომით გადანუსხულ ფრაზაში მსაზღვრელი არის (ცხრა-ცხრა), ხოლო საზღვრული არა.

119. O 110 جو سيماب „ვით ვერცხლისწყალი“.

A 132 — B 164 ოქროს წყალი ლაქეარდში... C 168 ვით ოქროს წყალნი...

120. O 114 که شaha خرد رهنمون تو باد ظفر يار و دشمن زبون تو باد

„მეფევე, გონიერება იყოს შენი წინამძღვარი, მეგობარი [შენი] გამარჯვებული იყოს და მტერი შენი დაძაბუნებული!“

A 137— B 169 კელმწიფევე, ჰკუა შენი გზის მაჩვენებელი იყოს, გამარჯვება — შენი თანამყოლი და მტერი დაძაბუნებული გყვანდეს. C 173 მეფისა სიბრძნის სიმრავლე მისთავე გზათა მცველია, სიმხნე და ძალი თან ახლავს, მით მტერთა დამორგუნველია.

121. O 114. ارگان دولت „სახელმწიფოს თავკაცი“.

A 137 თავისთა ლაშქართა შინა. B 170 ბედნიერობის მარიგებელთან. C 173 სვიანობის გამგეთა.

122. O 114 هوای عصيان „ბოროტების ნდომა“.

A 138 ქარი დაკარგვისა. B 170 სიბოროტის აერი. C 173 სიბოროტისა ჰაერი.

123. O 116 پس سبک روی بکار آوردہ

„შემდეგ ჩქარა საქმეს მიაშურა“.

A 140 მალედ სიარული დაიწყო. B 173 მერმე მსუბუქი რჩევა რამ დაიწყეს. C 176 მერმე თევზთა მათ მსუბუქად რამე არჩიეს.

ჩანს, روی سبک („სობოქ რაეი“), რაც აჩქარებას ნიშნავს, ვახტანგმა გაიგო როგორც ჰკუამჩატეობა.

124. C 176 სოფლისა ზღვისა განრომა თავმომკედარებით იქნება, მკედარს ლელვა ნაპირს გააგდებს, სად აღვისრულდეს იქნება.

ორიგინალში (O 117) ეს ადგილი საერთოდ არ იკითხება. ხომ არ ჰქონდა ქაშეფის აქ ციტირებული ბაითი ნიზამის „ხოსროვი და შირინიდან“

بخود کشتن توان زین خاکدان رست  
چنانک آن پیر ماهی زافت شت

„შეიძლება თავის მომკვდარუნებით იხსნა თავი<sup>21</sup>, როგორც ის ბებერი თევზი ბადის ხიფათს გადაუჩრჩა“.

125. O 117 پیش از فوات فرصت و قدرت

„ძალისმოკრებისა და ხელთების დროის გასვლამდე“.

A 141 სანამდისი ის რასმე გვიზემდეს. B 174 სიკუდილის უწინ. C 177 უწინარეს სიკვდილისა.

ჩანს, ორიგინალის فوات („დროის სრბოლა“) ვახტანგმა წაიკითხა როგორც فوت („სიკვდილი“).

126. O 118 بایکدیگر ہم اتحاد زندی

„ერთიმეორის ამხანაგები იყვნენ“. <sup>د</sup> ہم გამოყენებულია როგორც ამხანაგობის, მეგობრობის კომპონენტი (دمزدن „ლაპარაკი, სუნთქვა“, ხოლო دم — „მეგობარი“).

A 143 ერთმანერთის მოკეთე და მუსაიბნი შეიქნენ. B 177 ერთად ყოფნისა და სიყვარულის კუდსა სცემდენ. C 178 კუდსა კუდსა გადაბმული ჰქონდათ.

ჩანს, ეს კუდი მოდის ორიგინალის სიტყვისაგან دم („სული“, რაც ვახტანგს წაუკითხავს როგორც დომ „კუდი“). შეიძლება, ქართულში გვექონდა ასეთი გამოთქმა და ის მიუსადაგა აქ საბამ, თუ არა და იქნებ აქ შეცდომაშია საბა შეყვანილი და მერე დაკანონდა ქართულში დღესაც ასე ფართოდ გავრცელებული გამოთქმა: „კუდი კუდსა აქვთ გადაბმული“ საბას ღიდი ავტორიტეტისა გამო. შდრ. ნიზამის:

نه غمخواری که باو دم توان زد

„არც თანამგრძობი, რომ მისთვის გაეცა ხმა“<sup>22</sup>.

<sup>21</sup> 33. 4. 6, خسرو و شیرین

<sup>22</sup> იქვე, 33. 314

ჰამ-დამ კომპოზიტში დამ-ს თარგმნიან როგორც სულს და აზარს (ბორჰანე ყათე, გვ. 2369). შდრ. რუს. *зачушсные друзья* („გულითადი მეგობრები“). აგრეთვე ყანე‘ის: *بهم نفسازند* „ერთად სუნთქვას სცემდნენ (სუნთქავდნენ)“, ე. ი. მეგობრები იყვნენ“.

127. O 120 *صبر تلخ است و لیکن بر شیرین دارد*

„საბრი მწარეა, მაგრამ ნაყოფი ტკბილი აქვს“. აქ იგულისხმება სამკურნალო მცენარის ალოეს წვენი საბრი, რომელიც მედიცინაში იხმარება. (ეს ანდაზა ასეა თარგმნილი მირზა აბდ ალ-ლაჰ ყაფარის ლექსიკონში: „Сок алоя горек, но он несет сладкий плод. Терпение горько, но плоды его сладки“ (ტ. I, გვ. 526).

A 146 — B 180 მთმინება. მწარეა, მაგრამ ტკბილი ხილი აქვს. C 181 „მთმენა მწარობს, ხილს ისხამს უტკბოსსა შაქრის ალვათა“.

128. ორიგინალში პროზითაა.

O 121 *سخن نیک درشت گفتمی و از سرحد ادب تجاوز نمودی و قول ناصح بدرستی رد نتوان کرد*

„უსიამო სიტყვა თქვი და ზრდილობის წესებს გადახვედი. რჩევა ასეთი უხეში კი არ უნდა“.

A 146 მართალს ამბობ. B 180 ლექსია.

C 182 ლომმა უბრძანა: იქმე მძიმე სიტყვათა თქმანია, მეფეთა კრძალვას გარდახე, ვისგან იმიშვის ყმანია; ღირსსა მრჩეველსა არ მართებს ზედზედ ცრუ წათქმანია, ხამს, რომე არ შეაწყინოს, თუცა იყვნენ მანაა.

129. O 122 *و پس از اظهار تدرک آن از حوزه اقتدار خارج*  
„გამომკლავების შემდეგ გამოსწორება მისი ძლიერების სფეროდან გამოსვლაა (ე. ი. შეუძლებელია)“.

A 148 — B 183 თქმა აუზის წყლის მოწყვეტა არის. C 184 ავაზანთა წყალთა მოწყვეტაი არსო.

ვახტანგს ორიგინალის *حوزه* („გარკვეული უბანი, სფერო“) გაუგია როგორც *حوض* („აუზი“).

130. O 127 *هر دو کان آهو گیا خوردند و آب زین یکی شد خون زدیگر مشک تاب*

„ორი ქურციკისაგან, რომელნიც ბალახს ძოვენ და წყალს:

სვამენ,

ერთი [უბრალო] სისხლს იძლევა, მეორე—  
წმინდა მუშკს“.

A 152— B 190: „ორთ მათ ჯერანთ ერთი ბალახი სძოვონ,  
ერთი წყალი სვან, ერთისა სისხლად გარდიქცევის მეორისა — მუშ-  
კად“.

C 189 „ორნი ქურციკნი მოლთა მძოარნი ერთსა წყალთა სმენ დღეთა სიგარძესა,  
ერთი მუშკსა ჰყნოსს, სხვისა სისხლია, გვამსავე მოაქვს დასა-  
ბრანძესა“

131. O 127 شاه هرموزم نديد و يبسخن صد لطف کرد  
شاه يزداد ديد و مدحتش گفتم و هيچم نداد  
کار شاهان اينچنين باشد تو ای حافظ مرنج  
داور روزی رسان توفيق و نصرتشان دهاد

„ჰორმუზის მეფეს არ ვუნახივარ და ულექსოდ ასი წყალობა მომა-  
ნიჭა, იეზდის მეფემ მნახა, ზოტბა ვუთხარი და [მაინც] არა მომცა-რა,  
ასე იციან მეფეებმა, ნუ გეწყინება, ჰაფეზ, მარჩენალი უფალიმც შე-  
ეწევა მათ“.

A 153 ჰურმუზის კელმწიფემან თვალთაგან განუცდელმან მრავალი წყალობა მიყო. იეზდის კელმწიფე ვნახე, დავლოცე და არა მამცა-რა. კელმწიფეების საქმე ასეა, ჩემო ძმავე, ნუ გეწყინება. ღმერთი კაცის სასზღოს მამცემია, ორსავე მის გზით უშველოს“

C 190 ურმუზის მეფემ არ მნახა, მრავლად მიბოძა ნიჭია,  
იეზდის მეფეს გვერდს ვახლდი, არცა თუ შამცა ხიჯია.  
მეფეთ გაგება ასრეა — ორს დღვილოს აღენს ფიქვია,  
ღმერთსა მდღევარსა უმადლი, პატრონსა, ვითა ბიჭია.

ორიგინალის აზრს ზუსტად გადმოგვცემს A, ოღონდ იგი ლექსის ავტორს (حافظ) გადმოგვცემს როგორც „ჩემო ძმავე“. თავის-თავად ეს ლექსი ინტერესს იწვევს, ჰაფეზის დივანებში იგი აღარ იკითხება.

132. O 127 نفرت که از شیر بمن رسا نیدی ببعثت است  
„[ლომის ჩემდამი] სიძულელი, რომელიც შენ მამცნე, უსაფუძ-  
ვლოა“.

A 153 ლომის ჩემზედ გაავგულებას მიზეზი არა აქუს რა..

B 191 ეს საქმე ლომსა ჩემზე გაუპირებია და საცილო არ არის.

C 190 ესე საქმე ლომსა ჩემთვისა დაუსკვნია, საეკვი აღარ არის.

133. O 127. دروغ و بہتارا اندازہ پدید نیست و مکر و فریب  
را نہایتی مقرر نہ

„ტყუილსა და ცილს საზომი არ უჩანს და ვერაგობასა და ცბიე-  
რებას საზღვარი არ უღევს“.

A 153 ჩემი საქმე ცუდია. B 191 მაგრამ ტყუილსა და მოგონე-  
ბას სახე არა აქუს, ხერხისა და ეშმაკობის ბოლო არ  
თქმულა. C 190 ტყუილსა და საცთურსა სიმტკიცე არა აქვს, ხე-  
რხისა და ეშმაურობისა ბოლო არ გაგრძელებულა.

134. O 129 آنکہ اثر سیاست ایشان دیدہ نہ از قرار خبری دادند  
و نہ از آرام اثری

„ვინც მათი მრისხანების შედეგი ნახა, მან სიმშვიდე რა არის, არ-  
ციის და მოსვენებაც დაკარგული აქვს“.

A 156 და თუ იცოდეს, ახლოსაც არ გაუვლიან. B 194 და ვის-  
ცა იმათი წყრომა უნახავს, არც მოსვენების წილი აქუსთ და არც  
დაწყნარებისა. C 192 და ვისცა მათი რისხვისა გემო არა უნახავთ,  
რომე არცა მოსვენებისა წილი უცთ და არცა დაწყნარებისაო.

135. C 192 მეფეთაგან მეფის მნეთა საქმეშ უფრო გამაჰვირნეს:

რომ იციან მეფეთ რისხვა, სხვად თქმად რადმცა დაუძვირნეს?!

ორიგინალში ლექსი არაა (O 129).

136. O 130 دیدہ انصاف چو بینا بود  
درشمرد گرچہ کہ مینا بود  
رسم بزرگان بود انصاف کار  
کار خزان نیست بجز خار خار  
و آنکہ ندارد دل رحمت پذیر  
تحت بشمینہ نہد برحریر

„სამართლიანი თვალი თუ იხედება, დათვლის, თუნდაც მინისა-  
იყოს. დიდებულთა წესი სამართლიანი საქმეა. გარეწართა საქმე ვნე-  
ბის გარდა რაა! და ის, ვისაც მოწყალე გული არა აქვს, აბრეშუმს  
ცილს სწამებს, — ჯვალაოა“.

A 157 წესია მედიდურთ უწყალობა და ეკალთა დაფხოკნეა. B  
195 მოწყალების თვალი თუ დამნახველი იყოს, თუნდა ჭიქის თვა-  
ლიც იყოს, დაინახავს, ვისცა არა აქუს შეწყალების გული ქვეყანაზე,  
აბრეშუმს მოუგონებს: მატყლი არისო.

C 193 ვის მოწყალების თვალთ უჩანს, დამნახველია ყოელთა,  
სინდიის თვალნიც ეყარნეს, გამოსცნობს ქვა და ცხოელთა<sup>24</sup>,  
მათ უწყალოთა, უშისთა ღმთისაგან შეუპოელთა;  
აბრეშუმს მატყლად სახელს ღებს, ხმელსა დაარქვამს სოელთა<sup>25</sup>.

137. O 131 و چون آفریدگار حق سبحانه و تعالی حکمی بنفاد  
خواهد رسانید بمیل غفلت دیدم بصیرت بینا یان را تیره و خیره گرداند  
تا راه خلاصی از آن حکم برایشان پوشیده شود

„და როდესაც დიდებული და მაღალი შემოქმედი ბრძანებას გა-  
მოსცემს, ქვეყიანთა და გამჭვრიახთ დაფლობით თვალთ უბნელებს, რა-  
თა მისივე განგებით გამოსავალი გზა დაფარული დარჩეს“.

A 157— B 196 ეგებ ამალღებულმა ცისა და ქვეყნის გამ-  
ჩენმა მოწყალემ ღმერთმა ერთი რამე გამოაჩინოს, ანაზღეულის წა-  
დილითა ავად მხედველის თვალი დაბნელდეს და დაბრმავდეს, რომ  
მორჩომის გზამ ეს შეწუხების სძანება დაფაროს. C 194 ნუ  
თუ ცისა და ქვეყნისა შემოქმედმა ღმერთმან ერთი ესეთი რამ მო-  
ახდინოს, ანაზღეულითა მოწყალებითა ბოროტად მხედველთა თვა-  
ლნი დააბრმოს და დააბნელოს, რომე მორჩენის გზამა ესე მწუხა-  
რების თქმულობა გაატაროსო.

138. ორიგინალში ეს აღგილი პროზითაა.

O 131 و شعله فراق گل داغ دگرش بر سران نهاد

A 159 — . B 198 ერთი დალი მეორეს დაღზე დაისვა. C 195 და-  
ლი დაღზედა დაისვა, გლახ გული დაიდაგა მან.

ასევეა მომდევნო ლექსი: O(132), C(196).

139. O 132 تا کی آزاری مرا یارب نمانی ای رقیب  
تا بکی پوشی رخس یارب برافتی ای تقاب

„სანამ მტანჯავ მე, უფალო? ნურმც დარჩები, რაყიფო! სანამ  
მალავ მის სახეს, უფალო? ჩამოვარდი, ნი-  
ღაბო!“

A 159 — . B 198 არ იკითხება კარგად. C 196 ვირემდის მაწყენ,  
მოყვასო, ნუმცა გაქვს ღღმთ სიგრძენია მანამდის პირთა  
დაგბურავ, ცხვირთა წაგვარდეს რძენია.

მებაღე მოყვასისგან კი არ არის ნაწყენი, არამედ უფლისაგან.  
ამავე დროს, გაუგებარია საბას მეორე სტრიქონი.

<sup>24</sup> ეს ბათი ვგვხვდება „ქილილა და დამანას“ შესავალში და მას საბა ასე  
თარგმნის:

„თუცა მოწყალე გასინჯავს მოწყალებისა თვალითა,  
ქიქისაც ესხნეს, შეიტყობს ცნობით, გონების ძალითა“ (C 37).

140. ორიგინალში ეს ადგილი პროზაა:

0 132 باقضا کار زار نتوان کرد

„განგებასთან შებრძოლება არ შეიძლება“.

C 197 განგებოთ მოსულს საქმესა კაცი ვით შეეუბედისა?!

141. ვახტანგის მდივანს შეეცდომა მოსვლია, სიტყვაში მ ხ ე დ ვ რ ი ს ვინი გამორჩენია. ეს შეეცდომა განუმეორებია საბას: მხნეთა მ ხ ე დ ა რ თ ა თვალთა ჩენანი გაურეტდეს (C 197). ორიგინალშია:

0 132 نه دیده بصیرت را روشنی ماند

სადაც بصیرت دیده იგივეა, რაც بصیرت چشم (სიბრძნის თვალი).

142. ვახტანგს სპარსულ ნუსხაში ديو ამოუკითხავს (B 198 დევის მსგავსია). ეგვევ განუმეორებია საბას (C 198): მსგავსია დ ე ვ ი ს, ჰქონან ბადე ვის, ხერხითა სრული...და სხვ.. აჯობებდა ისე, როგორც ჩვენს ნუსხებშია:

0 133 همه ريو و رنگت و مکر و فریب

„თავითბოლომდე ვ ე რ ა გ ი, ცბიერი, ეშმაკი და მატყუარაა“

143 0 133 حلا... جریان مهمات بواسطه ترک حرم و عاقبت

اندیشی نه بر وفق دلخواه من بسبب طمع خام و سودای فاسد برای خود چنین آتشی برافروخته ام و هنوز دودی پیش من نرسیده از تب اندوه و تاب ملال سوختهام

„ახლა... ჩემი სურვილის წინააღმდეგ, ჩემივე წინდაუხედაობის გამო, საგზლის წაღების (სიკვდილის) დროა და დასასრულზე ფიქრისა. ფუჭი ოცნებითა და ცრუ ვნებებით ასეთი ც ე ც ხ ლ ი ა ვ უ ნ თ ე ს ა კ უ თ ა რ თ ა ე ს. და თუმცა ჭერ კიდევ კვამლი არ ასვლია, [უკვე] მწუხარების სიციხითა და შეჭირვების აღმურით ვიწვი“-

A 161 მაგრამ ჩემი ბედის წერაა, დამანავ, შენმა ლაპარაკმა მე ამ პირს სასიკუდილოდ გარდაემკიდა. B 201 ამ საქმის ლაპარაკის მხიარულობა (?) ბოლო მოწყენა არის. გულით მდგომელის სიხარბის ხმისა და მოჩხუბართ აღებ-მიცემას ჩ ე მ თ ე ი ს ა მ ი ს თ ა ნ ა ც ე ც ხ ლ ი ა უ ნ თ ი ა. და ჭერ კომბლი ვერ მომწლომია, ნაღვლისა და მოწყენის სიციხისაგან დამწვარვარ. C 198 ამა საუბრისა მხიარულობის ბოლო მოწყენა არის. გულხარბთ საწადლისა ხმიანობასა, მოჩხუბართ აღებ-მიცემასა ე ს ე თ ი ც ე ც ხ ლ ი ჩ ე მ თ ე ი ს აუგზიათ, და ჭერეთ მისი კვამლი ვერა მომწლომია, და ზრუნვისა და ნავლლის სიციხითა დამწვარვარ.

144. O 136 شیر در حق من جز خیر و خوبی نخواهد اما نزدیکان او در هلاک من میکوشند

„ლომს ჩემთვის კარგისა და სიკეთის გარდა არაფერი უნდა, მაგრამ მისი ახლობლები ჩემს დაღუპვას ცდილობენ“.

A 163-164 ... (დეფ.) მაგრამ თუ მართლა იმის კარის კაც[ნი] ჩემის სიკუდილისა და წახდენის მდომნი არიან ანუ ცდილობენ, მაშინ თურმე... B 204 ამას უბნობ, მე ლომის გუნება შემიტყუია, შენს ცოდნას და ხელ გამომავლობას ბძანებს და ამის გულისთვის შენს გათავებას ცდილობს. C 201 შენ უბნობ, მე ლომისა გუნება შემიგნიაო, შენის ცოდნისა და ხელგამომავლობისათვის შენს გაცულებას ცდილობსო.

145. O 136 ترازوی زندگانی من بکفه فنا میل تراست

„ჩემი სიცოცხლის სასწორი სიკვდილის პინაკისკენაა გადახრილი“.

A 164 ჩემი სასწორის უღელი სასიკუდილოდ სძლევს. B 204 ჩემის სიცოცხლის სასწორის უღელი გათავების ქაფს უყურებს. C I, 201 ჩემისა სიცოცხლისა სასწორისა უღელი გაცულებისა პერსა სპერეტს“.

ორიგინალის კფ (‘სასწორის პინაკი’) ვახტანგს გაუგია როგორც ქაფი (كف). მისი შეცდომა განუმეორებია საბას.

146. O 137 خاک بر سر رفیقان این زمان

„მიწა [დაეყაროს] ამ [ჩვენ] დროის ამხანაგებს“.

(ლომი იწყევლება: ეს რა დრო დადგა, რა ცუდი ამხანაგობა იციან, ერთმანეთს იმეტებენო).

A 166 წყეულიმც ხართ და შეჩვენებულო, რა კარგი ამხანაგობა გცოდნიათო. B 206 მიწა ამ დროს ამხანაგების თავზედ, რომ აცკაცობის მეტი და ავის საქმის მეტი არა იციან რა. C 203 ამ დროსა მიწასა რაი მოაქვს, ამხანაგთა ზედა ავისა და ბოროტისა მეტი არა უნდათ რა.

147. O 138 بهمن نوع که رقم ذکر یافت

„ისე როგორც მოვიხსენიეთ“.

B 208 და ეს წერილის წაკითხვა რომ გათავდა. C 204 და რა მათი სახერხო წერილის ამოკითხვა დაასრულეს.

148. O 139 یاشی که بهنگام کین رسول اجل

ز پنجه تو برد روزنامه آجال



„მეფევ, შურისძიებისას სიკვდილის მოციქულმა შენი ხელისგან წაიღოს სიცოცხლის დასრულების რ უ ზ ნ ა მ ე“.

ვახტანგს ჯერ ჰქონია: შენი კელმწიფობა მტრის სიკუდილის მოციქულმც არი; შენის კლანჯისაგან მიეცეს ყოელსა სულს მღღე-  
ვარი (B 208), მაგრამ მერე ასე გადაუკეთებია: ეშ ხელმწიფევ, შუ-  
რისძიების დროს სიკუდილის მოციქულმან შენის კლანჯისაგან წაი-  
ღოს მტრისთვის სიკუდილის დღის წერილის ძალი (იქვე).  
C 205. ჰე, მეფეო ნუ მოგნახოს სიკვდილისა მოციქულმან, შენთა  
ფრჩხილთა მოარიდოს ეამთ ნაწერთა დასასრულმან! ر س و ز  
ტყვას ვახტანგი დაშლის ორ ნაწილად. პირველში იგი შეცდომით  
ر ز و-ს კითხულობს („ძალი“), მეორეში — ه (წერილი).

C 205 ჰე მეფეო, ნუ მოგნახოს სიკვდილისა მოციქულმან.

შენთა ურჩილო... მოარიდოს ეამთ ნაწერთა დასასრულმან“.

149. O 139 مدتی متعادی شد که در سایه دولت روز افزون  
از تاب آفتاب حوادث ایمن گذرانیدم امروز که ماه جاه اینحضرت  
سخوف مضرت مبتلا ست میخواهم که...  
„დიდი ხანია, რაც დღითიდღე მზარდი სამეფოს ჩეროში მზის სიციხი-  
საგან თავი დამიღწევია. დღეს, როდესაც თქვენი დიდებულების დი-  
დების მთვარეს დაბნელების განსაცდელი ემუქრება, მინდა, რომ...“

B 208 მრავალი ხანია თქვენის მაცოცხლებელის ჩრდილს ქვეშ  
დროს მზის სიციხისაგან მშვიდობით და განსვენებით ვყოფილვარ.  
ამ დროს რომ თქვენის კ ე ლ მ წ ი ფ ო ბ ის მ ზ ე ს მ თ ვ ა რ ე  
და კ ლ ე ბ ის დასაქერად შეჰყარია, მინდა, რომ... C 205  
მრავალი ხანი არს, ჩვენთა მაცოცხლებელთა ჩრდილსა ქვეშე თქვენ-  
სა მზისა სიციხისაგან განსვენებით და მშვიდობით ვიმყოფებით. აწე  
ამა ეამსა თქვენთა მ ე ფ ო ბ ის ა მ ზ ე ს ა რ ა მ თ ო ა რ ე მ ო -  
ს ა კ ლ ე ბ ე ლ ა დ ა ღ ფ ა რ ე ბ ი ა ..

150. O 140 جز جنگ و جدال و حرب و قتال چاره نمیدانم

„გარდა ომისა, შერკინებისა, შებმისა და ბრძოლისა სხვა  
საშველი არ ვიცი“.

ვახტანგს قتال რაც-ისა და جدال-ის სინონიმი („ბრძოლა“)

გაუგია როგორც قتل („მოკვდინება“).

A 169 ჩემში ღონე აღარ დარჩომილა ამის მეტი, რომე, რ ა ც  
ქ ე ლ ი თ გ ა მ ო მ ი ე ი დ ე ს, მეც ჩემით ვეცადო. B 210 ბრძო-  
ლისა და კიდებისა და სიკუდილის მეტი სხვა ღონე არა მა-

ქუს. C 206 აწ ბრძოლისა, ომისა<sup>25</sup> და რკინებისა და სიკედლის მეტი გზა აღარ არის.

151. ორიგინალის სენტენცია (O 140)

بنام نیکو گریمرم رواست  
مرا نام باید که تن مرگراست

„თუ კარგი სახელით მოვეკედები, ცუდი არაა, სახელს მოვიხვეჭ, თუმცა სხეული სიკედელს მიეცემა“.

ანონიმს ასე უთარგმნია: სახელოვნად რომელი მოკუდეს, მას სიკუდილი არა ჰქუიან (A 169). ვახტანგს ამის თავზე წაუწერია (ლექსავდა რა ზოგ პროზით გადმოღებულ ორიგინალის ლექსს ანონიმის თარგმანში): „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკუდილი სახელოვანი“, მაგრამ მერე თვითონვე გადაუშლია. ჩანს მას აქ არ უნდოდა ძალიან გაქართულება თარგმანისა, თუმცა საერთოდ ასეთი რამ მას ჩვევია.

152. მთარგმნელები შემდგარან, ორიგინალის (O 141) طبوطي რაც ერთგვარი წყლის ფრინველია, გაუგიათ როგორც თუთი (A 170) და ზორაყი (C 207). ქართულ წყაროებში მას ალკუნი ეწოდება<sup>26</sup>.

153. ვახტანგისა და საბას თარგმანში (B 216; C 210) იხვეების სიტყვა კუსაა მიწერილი („ტკბილო ამხანაგო“ და სხვ.) ეს აბზაცი იხვეებს რომ ეკუთვნის, საერთო შინაარსითაც ჩანს. პირები უნდა შეიცვალოს: „ტკბილო ამხანაგო და რჩეულო საყვარელო! შენისა მოშორებებისა სიმწარე სამკვიდრებელის დატევების უძნელესია, შენისა უნახობის ჭირი გულისა ჩვენისა ურვისა გარდამმატებელია! სადა უნდა წავიდეთ, რა გინდ ყოელი განსვენება გვქონდეს, და მის დროს უამიერი ლხინი მოუკლებელი უშენოდ ბნელი მდინარე (!) გვექნება და ჩვენისა ბედისათვალნი გაგვირეტდებიანო. ჩვენ შენს კიდე ამხანაგისა და საყვარელისა შეთვისება არა გვწადიან“ და ა. შ. (შდ. O 143).

154. ორიგინალშია: (O 143)

بيديدار تو چشمه عيش ما تيره و ديدنه بخت ما خيره خواهد بود  
ეს ფრაზა ტიპიური საჯია, სადაც სიტყვები ერთმანეთსაა დაწყვილებული.

აქ چشمه კი ნიშნავს წყაროს, მაგრამ მისი წარმავლობაცაა მხედველობაში მიღებული (چشم) და იგი ديد-სთანაა დაწყვილებული. ამდენად შეესატყვისა მას تيره („ბნელი“), მაგრამ ქართულში

<sup>25</sup> გამოცემაშია: „ბრძოლისა ომისა“.

<sup>26</sup> „ეჭუსთა დღეთაი“, გვ. 116. طبوطي-ის შესახებ იხ. Th. Benfey, გვ. XLII—XLIII.

ბნელი მდინარე, გინა ბნელი წყარო გაუგებარია. ზუსტი თარგმანია: „ჩემი სიცოცხლის წყაროს თვალი დაბნელებული და ჩემი ბედის თვალი ახირებული იქნება“.

155. ორიგინალის **سبک سنگی** ვახტანგს ჟერ უთარგმნია როგორც მსუბუქი ქვა, მაგრამ მერე მსუბუქობის ქვა-დ გადაუკეთებია (B 216). გაუგებარია იგი საბასთანაც: შენშიგა სიმჩატისა ლოდი გვიპოვნია. სპარსულში აწონვა სიტყვა **سنگ-س** (ქვა) უკავშირდება, რადგან ასაწონად სწორედ ქვები იხმარებოდა. აწონვა **سنجیدن** არის, რაც იგივე სანგ სიტყვის არაბიზებულ ფორმიდან (სანჯ) არის წარმოებული. ასე რომ **سبک سنگی** ქუთამჩატეობას ნიშნავს.

156. 0 145 **غم زيردستان بخور زينهار  
بترس از زبردستی روزگار**

„უმცროსები (ხელქვეითები) შეიცოდენ, თუ ღმერთი გწამს, საწუთროს უფროსობისა გეშინოდეს“, ე. ი. თუ შენ სხვისი უფროსი ხარ, განგება შენი უფროსია, და, თუ სამართლიანი არ იქნები, განგება დაგჯის შენ.

A 175 შენზედ მდაბალათვის ინაღულე რამ, რომე შენცა გყავ შენსა მომადლო. B (A 175) შენს ხელქვეითთა იურეე, გყავს შენცა უზეშეთესები B 219 ეამსა და დროს უფროსობისა გეშინოდეს. C 214 ხელქვეშეთათვის იზრუნე ზრუნვისა საურავითა, უფროსისაგან შეშინდი, დრო ეამად გმართებს რა ვითა.

157. 0 148 **ابله ترين مردم آنت كه فتنه خفته را بيدار كند**

„ყველაზე უკუეო ის კაცია, ვინც დაძინებულ (დამცხრალ) შფოთს აღვიძებს“.

A 178 უკუეო ვინმე ის არის, რომ მძინარე გამოადვიძოს. B 223 მძინარე შუღლით გააღვიძოს. C 217 კაცის სიტყუე მაშინ გამოჩნდების, რომე მძინარსა შუღლით აღვიძებდეს.

158. 0 148 **گفتار تو بر کردار راجع است**

„შენი ნათქვამი შენს საქმეს აღემატება“.

A 178— B 224 შენი სიტყუა შენს საქმეზე ნაკლებია. C 218 შენი სიტყვა შენთა საქმეთა ზედა ნაკლებია.

რომ მთარგმნელები სწორი არ არიან, ამას ამტკიცებს მომღვენო ადგილები (ყერძოდ, „მე შენის საქმისაგან სიტყვა ნამეტნავი მრავალგზის მინახავს“).

159. O 148 پادشاهرا هیچ خطر برابر آن نیست که قول وزیرش را  
بر فعل رجحان باشد

„მეფისთვის იმაზე საშიში არაფერია, როდესაც მისი ვეზირის სიტყვა საქმეს აღემატება“.

A 178 კელმწიფის საზიანო არის, რომ ვეზირის ქართული მის საქმეს აჭარბებდეს და რაც მოახსენოს, გაუსინჯავი აქნეივოს. B 224 თავის ვეზირის სიტყუა თავის სიტყვისაგან უკეთესი იყოს, C 218 მეფეთა ამის უარესი არა ეჭირვება რაო, მისის ვეზირის სიტყვა მისის სიტყვის უკეთესი იყოსო.

160. O 148 بگويد و نکند و این شيمت منافقان و بخيلان است

„თქვას და არ ქნას. და ეს ორპირთა და ძუწფთა თვისებაა“.

A 179 თქუას და არა ქნას. ეს სიმბრუდისა და მემ-  
შურნის ზნე არის. B 224... უჭკუოსა და უმეცარის  
წესია. C 218... უჭკუოსა და უმეცართ წესია.

161. O 149 نصیحتی که نتیجه‌ای چنین دهد که بنظر میاید  
ناگفته و نا شنوده

„დარიგება, რომელიც ასეთ შედეგს იძლევა, როგორსაც ხე-  
დავ, ნურმც ითქვას და ნურმც იქნეს მოსმენილი“

A 179 გამორჩევამა რომ ამისთანა საქმეები ქნას, რომელსა უმზერთ, გამოურჩევლობა უკეთესია. B 225 ერთ სწავლას რომ ამისთხნა შეილი ეყოლოს. C 219 რომელმანცა სწავლამა ესეთი შეილი შეცეს, რომელი ჩანს, მისიმცა სახსენებელი ამოწყდება.

„შეიძლება, ვახტანგს სპარსულ ნუსხაში نتیجه-ს ნაცვლად ჯე (ჯაეშვი) ამოეკითხოს. მაგრამ არაა გამორიცხული ისიც, რომ მას უფრო გაეპოეტურებინოს ეს ადგილი. ასე, მაგალითად, ერთგან ორიგინალის

(O 144) پیراهن سفید بیاضه

ვახტანგს გადმოუტანია როგორც ქაფურის ფერი (B 218). საბასაც განუმეორებია-იგი (C 213). შეიძლება აქაც საძიებელი იყოს ორიგინალის ნუსხებში ეს ქაფური (ჩვენს ნუსხებში არსად ჩანს იგი), მაგრამ ისიც შეიძლება, რომ იგი ვახტანგის პოეტური ფანტაზიის ნაყოფი იყოს.

اۆل قول بى عمل  
 دوم مال بى خرد  
 سوم دوستى بى تجربه  
 چارم علم بى صلاح  
 پنجم صدقه بى نيت  
 ششم زندگانی بى صحت

- „I სიტყვა საქმის გარეშე,
- II ქონება ჭკუის გარეშე,
- III ამხანაგობა გამოცდის გარეშე,
- IV ცოდნა (მეცნიერება) სიმაართლის (სიწრფელის) გარეშე,
- V განკითხვა გარკვეული გამიზვნის გარეშე,
- VI ცხოვრება ჭანმრთელების გარეშე“.

- A 180 I თქმა და არა ქნა,
- II უსარგებლო საქონელი,
- III მოკეთე დაუცდელი,
- IV ცოდნა უთქმელი,
- V გაცემა ურიგო,
- VI ავადმყოფობით სიცოცხლე.

- B 225 I სიტყუის თქმა და ვერა ქნა,
- II საქონელი უჭკუოდ მოყვარე,
- III და ერთგულთ გამოუცდელად,
- IV ცოდნა მოუხმარებლად,
- V და ლოცვა უთქმელად, რომ ნათელი ღთისა ქვიან,
- VI მსხვერპლი უაღთქმოდ,
- VII სიცოცხლე უმშვიდობოდ“.

აქ სინტაქსური კავშირი დარღვეულია. თუ სიტყვას მოყვარე პირველ მცნებას მივკუთვნებთ, მაშინ უნდა გეჭონდეს: „საქონელის უჭკუოდ მოყვარე“. მეორე მცნება საერთო სინტაქსიდან ამოვარდნილია, მაგრამ თუ გავიხსენებთ პირობას: „სარგებელი არა მოგვეცემა“, მაშინ შეიძლება დარჩეს (სარგებელი არა მოგვეცემა ერთგულთ გამოუცდელად). V—VI მცნებები უნდა გაერთიანდეს ასე (თორემ შეიძლება მცნებას მივიღებთ): „ლოცვა უთქმელად, რომ ნათელი ღთისა ქვიან, მსხვერპლი უაღთქმო“. მაგრამ ეს V მცნება უფრო ბუნებრივად IV მცნებას უკავშირდება, ვიდრე VI-ს. ასე რომ, IV მცნება ასეთი იქნება: „ცოდნა მოუხმარებლად და ლოცვა უთქმელად, რომ ნათელი ღთისა ქვიან.

საბას თარგმანი (C 219) ასე უნდა გავიგოთ:

1. „სიტყვისა თქმა და ვერ ქნა;

2. საქონლის უქუოდ სიყვარული;

3. ერთგულთა გამოუცდელად;

4. და ცოდნა უხმარად, ლოცვა უთქმელად, რომელსა ნათელი ღმთისა ქვიან;

5. და მსხვერპლი უსასოდ;

6. სიცოცხლე უმშვიდობოდ“.

163. O 149 پادشاه اگرچه بذات خویش عادل و کم آزار بود

„ხელმწიფე თავისი ბუნებით თუნდაც რომ სამართლიანი და უწყინარი იყოს“.

A 180 კელმწიფე რაგინდ სამართლიანი და უწყინარი და შემბრალებელი იყოს. B 225 კელმწიფე რომ ბუნებით უსახელო და უდიერი იყოს. C 219 ხელმწიფე რომ ბუნებით გაუსინჯავი და უდიერი იყოს.

164. ჩანს, ვახტანგს ხელთ ჰქონდა სპარსული ნუსხა, სადაც مردی (ერთი კაცი) იკითხებოდა. ჩვენს სპარსულ ნუსხებში مرغی دیگر („მორე ფრინველი“) იკითხება (O 151).

A 183 ერთი კაცი. B 228 ერთი კაცი თავის გზაზედ მივიდოდა. C 221 ერთი ვინმე მოგზაური. ალბათ ლაინი და დალი აირია ერთმანეთში.

165. ჩანს, ანონიმისა და ვახტანგის სპარსულ ნუსხაში تیزگوش ყოფილა.

A 184 მას სახელად თიზგუშს უწოდებდენ. C 223 სახელად თისგუშა ერქვა.

ჩვენს სპარსულ ნუსხებში تیز هوش („გამპკრიახი“) იკითხება (O 152), რაც უფრო უდგება პერსონაჟს.

რაც შეეხება خرد („გულმზიარული“)-ს: ვახტანგი მას სწორად არ კითხულობს (ხურმადილი, B 230) და საბაძ, ბუნებრივია, ასევე გადმოგვცემს (C 223). არც ანონიმის წაკითხვას სწორი (ხვარამდილი. A 184).

166. O 152 ای برادر در جهان سود ناکرده بسیار است

„ძმავ, სარგებელის უნახველი [კაცი] ქვეყნად ბევრია“.

A 185 ძმავ, სარგებელი ამის უკეთესი არ იქნებაო. B 230 ძმავ, სარგებლის მომლოდინე ვაქარნი ბევრნი მიდიან.

C 223 ძმად, სარგებლისათვის მრავალნი ვაჟარნი და-  
დრან.

ჩანს, ორიგინალის **سود ناکرده** („სარგებელ უნახველი“) ვახტანგმა წაიკითხა როგორც **سودا کرده** („ვაჟრობაქმნილი“).

167. O 157 **تودر عجز رأی و ضعف تدبیر بدان مشابهی که**  
„გონებას უსტობითა და მიუხევედ რელობით ისეთ მდგომარეობაში ხარ, რომ“...

A 190 ასეთი ავი საქმე გიქნია, რომ... B 237 ასეთის ხევე წ-  
ნით და სიძვეით გაგიყეთებია. C 228 ესე საქმე ესეთის ხევე-  
წნითა და მუდარობითა შეგიმზადებია.

168. ორენაობა დედანში ერთხელ უკვე გქონდა (**دوزبانی**  
O. 157), მაგრამ საბამი იგი იქ შეცვალა სიტყვით ორგულობა, არ  
მოელოდა თუ მისი ზუსტი მნიშვნელობა დასჭირდებოდა, ხოლო რო-  
ცა დასჭირდა, არ მოაგონდა, რომ ნახმარი არ ჰქონდა ასეთი სიტყვა.

A 190 ორპირობა და ორენაობა. C 229 ორენაობას აძებებ.

169. O 157 **از تریاق اثری و خبری ندارد**  
„თერიაყის კვალი და ამზავი არა აქვს“ (ე. ი. თერია-  
ყის კვალი არა ჩანს).

C 229 თერიაყისა ნიშატი არსადა გაქვს. ვახტანგს ნიშა-  
ნის ჰქონია (თრიაქ-ფარუხის ნიშანი არა გაქუს. B 238), მაგრამ  
რადგან ნიშატი კიდევაც უდგებოდა აქ, საბას ასე შეუუცვლია (შდრ.  
191 „თრიაქი სრულ არ გეტყობა“).

170. O 157 **و تو مگر ندانستی که**  
„და შენ განა არ იცი, რომ...“

A 191 თურმე ფრთხილობა და ხერხი არ გცოდნია. B 238 თუ-  
რმე შენ ხერხიც არა გცოდნია. C 230 შენ თურე ხერხიცა არა გცოდ-  
ნია.

171. O 158 **و دامن صحبت فواید تو بدبست ارادت گرفته**  
„შენი სარგებლობის მეგობრობის კალთა სიყვარუ-  
ლის ხელში დავიჭირდი“.

A 192 შენთან ერთს კუთხეში დავდგე და შენის სიამოვნ-  
ების მეტ საქმეში აღარ გავერიო. B 239 შენის მეგობრო-  
ბის ნდომის კალთა დავიბერტყო, ფარაღათობის  
თავი მარტობის საყელოში ამოვეო. C 230 შენისა მეგობრო-  
ბისა კალთა დავიბერტყო, სიმარტობისა საყელო თავ-  
სა გარღვიცვა.

ვახტანგსა და საბას საწინააღმდეგო რომა აქვთ ნათქვამი, ეს იქი-  
დანაც ჩანს, რომ დამანას ამ გამონათქვამზე ორიგინალში ქილილა პა-  
სუხობს: *من دینگر باتو صحبت دارم* „ლმერთმა ნუ ქნას,  
რომ მე შენთან კვლავ ვიმეგობრო“, ხოლო მათ თარგმანშია:—მე  
ღია მიაშებაო (C 230), მე მწვე მიაშება (B 239).

172. O 158 *باش جو عطار که پهلوی او  
جامه معطر شود از بوی او  
چند جو آتشگه آهنگران  
دود شراری از هر کران*

„ათარივით იყავი, რომლის შორი-ახლო ტანსაცმელი უსურნელდებ-  
ათ მისი სურნელისაგან. როგორც მჭედელთა ქურა, სანამდის ახრ-  
ჩოლებს სიავის კვამლს ყოველ მხრიდან (საზღვრიდან“).

რომ ეს პოეტური სახე ძველია, საბამ იცის (იხ. თარგმანი ქვე-  
მოთ), მაგრამ მას თავისთავად რაღაც არევია. ანონიმსა და ვახტანგს  
იგი სწორად გაუგიათ.

A 193 ათარი იყავ, რომ შენგან ყოველთ კაი სული ეყნოსოს.  
B 240 ბაძევდ სურნელთ მსყიდველსა, ისმინე ჩემი თხრობილი, რომ  
შენგან სული სურნელთა ყოველთ ეცეს, არ ქნას გმობილი, ნუ ბაძავ  
მჭედლის შენს წინა მოსვლად ვინც იყოს სწრობილი, წინწყალს ის-  
როდღე, სულ დასწვა, გული შეუქნა პობილი.

ვახტანგსვე ეს ლექსი ასე გადაუსწორებია: ათარს ემსგავსე, რომ  
იმის სიახლოვით ტანისამოსი იმის სულისაგან გასურნელდება. სა-  
ნამდი მჭედლის ცეცხლსავით იქნები, რომ კვამლი და წინწყალი ეს-  
როლო, ვინც ახლო მოგიდგეს!? (იქვე).

C 231 ათართან მიდი ზედიზედ, სადა ძეს-ყე სუნელია,  
სამოსელს გაგისუნელებს — ესე არაკი ძველია.  
სამჭედლოს მისლვას დაგიშლის, მუნ არს საქმენი ძველია,  
კვამლი თელისა შავენები, შანთთა ბურჯღული მწველია.

173. O 160 *سبب بی آسایش چون ذقن دلبران سیمتن دلہارا  
صید کرده*

„მისი უწყინარი ვაშლი ვერცხლისტანა გულისწარმტაცთა  
(ლამაზ ქალთა) დაბაბის მსგავსად გულს იწადირებდა“.

A 194 — . B 242 ხილი ზაფხულისა და შემოდგომისა მეტად  
წყლიანი, და გემრიელი უქიროდ, მისი ვაშლი გულისმომტაცე-  
ზელის ყაბსავით თეთრი, ვერცხლისტანიანი, გულის ნადირად გამზ-  
დელი, შევნიერი და ფეროვანი. C 232 მისი ვაშლი — უქიროდ მო-



მატყეებელის სპეტაკის ვეცხლის ბურთი, გულისა გამაველურებელი, შვენიერი და ფეროვანი.

ეტყობა, **بي آسيب**-დან მოდის უჭიროდ, ხოლო **اصيد** ს-უკავშირდება გამაველურებელი.

174. O 160 **زرد ز مهرست و مناز مهرم زرد**  
**او از مه و مهر و من ز مهر مه خو يش**

„ზია მზისაგან არის ყვითელი და მე სიყვარულისგან ვარ გაყვითლებული. ის—მთვარისა და მზისაგან და მე საკუთარი მთვარის სიყვარულისაგან“.

ეს ბოლო სტრიქონი ვახტანგს კი ესმის (B 242: და მე ჩემის სიყვარულისაგან), მაგრამ საბას ვერ გაუგია და სახე გაუუბრალოებია.

C 233. ფერმიხდით ხილთა უმჯობე უდგანან კომში, უზია,  
მას მზე აუვითლებს ყვითელი, გლახ გული ტრფიას უზია,  
მას საყვარლისგან ყვითელსა კალთა საესე აქეს,  
კრემლშეშრობილსა წინა უდგს კრემლითა საესე  
გუზია.

ლექსში უზია, **مهر** მზესაც ნიშნავს და სიყვარულსაც. კომში მზისა და მთვარისაგან არის ყვითელი, მე კი — სიყვარულისგანო, — ამბობს ავტორი. C-ში არ ჩანს, რომ ეს მას სხეაა და კომში — სხვა.

A 194 საერთოდ აკლია ბალის აღწერა.

175. O 161 **پير دهقانرا بهر درختی چندان پیوند بود که برگ**  
**پدر و غم فرزندان داشت و روزگاری به تنهایی در آن باغ میگذرانید**

„მოხუცი გლეხი ყოველ ხესთან ისე იყო დაკავშირებული, რომ მამაზე არ ზრუნავდა და შვილზე არ ჯაერობდა, და თავის დღეებს იმ ბაღში აღამებდა მარტო“.

A 194 და მას მებაღეს არაფრის ნაღველი არა კქონოდა-რა მარტოობის მეტი. B 243 მას მებაღეს ყოველს ხეზე ამოთონი ნამყენი ექნა, რომ მამას შვილის ნაღველი არ ქონდა. C 234 მას მებაღესა ყოველთა ხეთა ზედა ესოდენი ნამყენი მოემყენა, რომე შვილისათვის ზრუნვით სამუშაო აღარა დაეტევებინა რა. მისსა უამთ სიგრძეთა მას წალკოტსა შინა მარტოობით იყოფებოდა.

მართალია, **بيوند** ნიშნავს ნამყენსაც, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქ შვილის გარდა მამაც იხსენიება ორიგინალში. მაშინ გამოვა, რომ მებაღე მამისთვისაც ზრუნავს, ამყნობს რა სამომავლისოდ ხეებს. ამის გარდა ისიც უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, რომ **بيوند**-ით, რაც ნათესავსაც ნიშნავს, ავტორი გვეუბნება: მებაღეს მამაც და შვილიც დავიწყებოდა და ხეხილი გამხდარიყო მისი მამაც და შვილიცო.

176. 0 161 **جر دامن کوهی که چون عرصه طول امل فضای آن نایب پذیر نبود**

„ერთი მთის კალთის [ქვეშ], რომელსაც ვითარცა იმედის მოედანს, სივრცე ზღვარდებული არ ჰქონდა“.

A 194 — B 244 ავის კაცის გულის შეიდანსავით ვიწრო იყო. C 234 ერთისა კლდისა ძირთა მივიდა, რომელი სულ მოკლისა კაცისა გულისა სივიწროესა გვანდა.

გასარკვევია, საიდან გაჩნდა ეს სულ მოკლე კაცი? ჩვენს სპარსულ ნუსხებში იგი არაა.

177. 0 162 **بازرگانی اندک مایه بفری میرفت**

„ერთი ხელმოკლე ვაჭარი სამოგზაუროდ მიდიოდა“.

A 196 ერთი ვაჭარი ცოტას სამთავნოთი სავაჭროდ მივიდოდა. B 246 ერთი ბაზირგანი ცოტას ხნით მგზავრად მივიდოდა. C 236 ერთმა დიდვაჭარმა, ცოტას ხანს მგზავრად წამავალმა...

178. 0 168 **سر حسرت بر زانوی حیرت مینهاد**

„შიშის თავს გაოცების მუხლზე დებდა“.

A 202 ამოიხუნეშდა. B 253 ნდომის თავი გასინჯვის მუხლზედ დასდვა. C 242 ნდომისა თავი გამოძიებისა მუხლთა დადვა.

179. 0 168 **کانه من کردم در این عالم که کرد**

„რაც მე ვქენი, ამ ქვეყანაზე ვინ ქნა“.

A 202 რაც მე ვქენ, ქუეყანაზედ არავის უქნია. B 253 რაც მე ვქენ, სოფელში ვინა ქნა. C 243 რა ვქენ? ვინა ქნა ამ სოფლად. ან ვინ ნანხედა?

უნდა გასწორდეს: რა [ც] ვქენ, ვინა ქნა და ა. შ.

180. O 168 عنان نفس بدست هوا رها كردم

„სულის აღვირი ვ ნ ე ბ ი ს ხელების დახმარებით ავუშვი“ (ე. ი. ცდუნებამ მძლია და სიცოცხლის აღვირი დაუდევრად მივეუშვი).

A 202 ჩემის უქკუობით ჩემის წადილის სადავე ჩემის კელიდამ გაუშვი. B 253 სულის ლაგამი ა ე რ ი ს ჯელში მივეცი. C 243 გულს ლაგამი რად წავეყარე. ჰქუა მივეცი ხელით ქ ა რ თ ა.

ორიგინალის **ჰო ქართული ჰავის, ქარის აღმნიშვნელია.** ამავე დროს ის ვ ნ ე ბ ა ს, ც თ უ ნ ე ბ ა ს ნიშნავს. ვახტანგს ზოგჯერ ის ქ ა რ ა დ გადმოაქვს, რაც უდგება კიდევაც კონტექსტს (მდრ. „თავში ქარი უქრის“). მაგრამ ზოგჯერ არ შეესაბამება. ასეთ ადგილებს ხშირად შევხვდებით B და C რედაქციებში. ისინი სათანადო ადგილას აღინიშნება.

181. O 168 دل همچو لاله سوخته و ز سوز آه من  
در هر که بنگری بهمین داغ مبتلا ست

„გული ტიტასავით დამწვარი [მაქვს] და ჩემი ოხერის ცეცხლით ვისაც შეხედავ, [ყველას] ამ ცეცხლის დაღისგან ადგას გასაჰირი“.

A 202—B 254 გული ყაყაჩო დამწვარია ჩემის კვნესის კვამლისაგან. C 243: ყაყაჩო გულსა მიდაგავს ჩემის კვნესისა კვამლითა, ვისცა შევხედავ მცნობელსა, ვერას მილხენენ წამლითა. საბასეული თარგმანი არა-სწორია და ბუნდოვანიც. ორიგინალში ნათქვამია, რომ გული ტიტასავით, ყაყაჩოსავით წითელი აქვთ, ისეთი ცეცხლი უქილიათ და სხვ. ჩანს, ვახტანგის გადამწერს გამორჩა ვ ი თ ა (გული, ვითა ყაყაჩო...).

182. O 168 دل سینه و آشفگی دل

„მკერდის წვა და გულის შფოთი“.

A 202 დამწვარის გულის. B 254 მკერდის წვასა და გულის ჯავრს ეუბნებოდა. C 243 თირკმელთა წვასა და გულის ტყიელსა შესჩიოდა.

183. O 169 انداخته تیر را پشت آوردن

بتوان توان تورا بدست آوردن

„გასროლილი ისრის შასთზე დაბრუნება შეიძლება, ხოლო შენი ხელთ გდება შეუძლებელია“.

A 202 — B 254 ნასროლის ისრის ხელში მოყვანა იქნება და შენი ხელში მოყვანა არა.

C 244 წუთუ კვალაღა მიეცეს ხელთა ნასროლი ისაროს,  
მაგრამე მისი აკრევე ხელში მოცემა ის აროს.

183. O 171 و کرد فضولی که نتیجه من طن طلب ما لایغنیه  
فانه ترک مایغنه بدان مترتب است نگردي<sup>27</sup>

„და თავის კერძობას ნუ იქმ, რომლის შედეგია: „ვინც იძია [ის], რაც მას არ ახასიათებს, მან უარყო, [ის], რაც მისთვის მთავარია“.

A 204 მაგ დიდ გუნებას დაეხსენ, სისაბრალოე გერჩიოს და შენის გამჩენისაგან ნაბოძები სასდელი სისწორათ რაც ქონდეს, იმას დასჯერდი. B 257 ერთი ბედი რომ დიდის სასამართლოდამ შენთვის დანიშნული იყო, დასჯერდე და მეტს ნდომას გაარეშე მო რომ ასე დაუდვიათ, ავი მოსაველი აქუს, არ ევლებოდე, მდღევარი განყოფილია, იმის დრო დაადებული. ლექსი: მდღევარი გაუყვიათ... C 246 რაიცა ბედი ზეგარდამო შენთვის წილხდომილი იყოს, მას დასჯერდი და მეტისა ნდომასა გაეშორე. ესრე დაუდებიათ, ავისარგებელი მოსდევსო, როსცა სლვის დრო არ იყოსო. მდღევარი გაწილულია, მის დროსათვის დადებული:

184. O 170 دراین بازار اگر سود یست با درویش خرسند است  
خدایا منعم گردان بدرویشی و خرسندی

„ამ ბაზარში თუ რაიმე სარგებელია, დერევიშია გახარებული. უფალო, შენ მიწყალობე დერევიშობა და გახარება“

C 246 საწუთროს ვაკრად მავალმა დავსჩხრიე საბაზრონია, ამ სოფლის მდიდართ საუნჯე, მათი რაც სასიზმრონია, მწირთ მოსაველი ვიხილე უმეტეს სააზრონია, ვინატრე, მათი მომეცეს მოთმინებისა ზრონია.

185. O 171 بوده است نخری که دم نبودش  
روزی غم بیدمی فرو داش  
دردم طلبی قدم همی زد  
دم میطلبید و دم نمیزد  
ناگه نر راه اختیاری  
نگذشت میان کفت زاری  
دهقان مگرش ز گوشت دید

<sup>27</sup> O გამოცემა, როგორც აღვნიშნავდით, მრავალ ხარევესა და შეცდომას შეიცავს. ეს არაბული ფრაზა, მავალითად, ამ გამოცემაში ასე იკითხება:

من طلب مالا یغنیه فا' مایغنیه (O 171).

بر جت و از او دو گوش ببرد  
 مکن خرك آرزوی دم کرد  
 نایافته دم دو گوش گم کرد  
 آنکس که ز حد برون نه گام  
 این است سزای او سرانجام

„ერთი უკუდო ვირი იყო, ერთ დღეს უკუდობის ბოღმა შემოაწვა. კულის საძებნად გაემართა, სუნთქვა შეკრული ეძებდა კედს. უცბად განუსჯელად ყანაში გაიარა. მაგრამ გლეხმა დალანდა იგი, წამოხტა და ორივე ყური დააჭრა. საწყალ ვირს კული უნდოდა, ვერ იპოვა და ორივე ყურიც დაკარგა. ვინც საზღვრის გარეთ დადგამს ფეხს, მისი ბოლო ასეთია“.

C 246 უკუდო ვირი კულისა საძებრად იარებოდა, ყანასა რასმე შევიდა, სადაცა მცველი დგებოდა, მველემ ყურნი დაჰკეთნა, არა თუ კული ჰგებოდა, საზღვრისა გარდამავალსა მის მეტი რა ერგებოდა.

186. O 172 باقى خد متكاران قديم از ملازمت دورمانند

„სხვა ძველი მოსამსახურენი სამსახურს გაეჭევიან“.

A 206 და სხვა მოსამსახურენი და ჭარიც ბევრნი არიან და ესენიც ბრალია. ხელმწიფე თუ ყურს არას უგდებს, დაიფანტებიან B 259 სხვა მოსამსახურენი რომ მკვიდრნი არიან, სამსახურს მოშორდებიან. C 247 სხვანი მოსამსახურენი, რომელნი ხელმწიფის ზრუნვის გამო მკვიდარნი არიან, იგინიცა სამსახურთა შორდებიანო (დედანში: მკვიდარნი, გვ. 109).

187. O 173 ببدان كم نشين كه صحبت بد | گرچه پاكى تورا بليد كند  
 آفتابى بدین بزرگى را | ذره‌ای ابر ناپدید كند

„ცულებთან ცოტა დაჰყავ, რადგან ცუდთან ურთიერთობა, რაც გინდს პეტაკი იყო, დაგსერის. მზე ისე დიდია, [მაგრამ] ღრუბლის ნაწილაკი აბნელებს“.

A 208 ავსა კაცთან ნუ დაჯდები, — მისი სიაცვაცე დაგფარავს; მზესა მისი სიდიდობითა მცირე ღრუბელი დაჰფარავს. B 261 ავთან ცოტათ დაჯექ, ავი აღერსი, შენ კარგი ხარ, მაგრამ გაგაუპატიურებს, მზეს ამ სიდიდეს ერთი ბეწვი ღრუბელი დაფარავს.

C 249 მზაკვართანა საალერსოდ ნუ დაჯდები. თქმულა. გრძელად. შენ თუცაღა მართალი ხარ, იგი შეგსრვის დია ძნელად. მზე დიდია, მცირე ნისლი მოეფარვის. შეიქნ ბნელად! ცოტა მწვიძრე წყალს აამღერევეს, წყნარად დიან, რაზომ ნელად.



193. O 178 دل بمر همدمان کم نه که در گلزار دهر

بوی یاری و وفا در هیچ همدم یافت نیست  
راز با دل گفتم و بسیار خون خوردم از او  
کا شکمی دانستمی اول که همدم یافت نیست

„გულს ამხანაგთა სიყვარულს ძალიან ნუ უმორჩილებ, რადგან საწუთროს წალკოტში არცერთ ამხანაგს არ ასდის მეგობრობისა და ერთგულების სურნელი. საიდუმლო შეყვარებულს გავანდე და ბევრი უცნაურე მისგან, ნეტა, თავიდანვე მცოდნოდა, რომ მეგობრის პოვნა შეუძლებელია“.

A 214 — . B (A 214)

კარა: მეფეო, ხეაშაღს ნუ უბნობ კაცთა წინარე,  
ყოელის ბაღს სული ვარდისა არა აქვს გამაჰდინარე.  
ნუ მიენდობი ნურაეის, პირს გექნას ვინმე მცინარე,  
არეის აქვს სოფლის მინდობა, თქმულა ეს ამას წინარე.

B 269 გული მოყურულათ სიყვარულს ცოტათ მიანდევე, რომ ქვეყნის წალკოტში საყვარლისა პირობის სული ამ ეამში არ იპოვება. საიდუმლო გულს უთხარ და ბევრი სისხლი ესქამე მისგან. ნეტამც, მცოდნოდა უწინევე, რომ მეხევაშიადე არ იპოვება<sup>29</sup>.

C 255 მოყვრისა გულის მიმდონი ამ სოფელს ცუდად შერებთან,  
ამ ეამად არ იპოვება, სიტყვის შენახვას ჰკრთებთან.  
გულს უთხარ სახეაშიადო, რაზომცა ბორცნი  
დნებთან,  
თუცაღა მეცნა პირველად, პირმრთელნი არ იქნებთან(?)

194. O 179 دوام پرورش اندر کنار مادر دهر

طمع مکن که در و بوی مهربانی نیست

„საწუთროს, ამ ჩვენი დედის ძუძუს, ნუ დახარბდები, რადგან მას სიყვარულის სუნიც კი არ უდის (ე. ი. არ უყვარს საცუთარი შვილი)“.

C 256 ვინ პოოს ეამთა სიკრძენი და დღენი ლხინთა უქისა?  
ავი და კარგი სიყვდილმან საფლავად ჩააქუქისა.

195. O 179 مرا بر تو چه اعتماد خواهد بود

„მე შენ როგორ უნდა და გე ნდო“.

A 215 ან მე როდის დამინდობ. B 271 ახლა მე შენ როგორღა და გინდო. C 256 აწ მე მას ვითლა და გეინდობო?!

<sup>29</sup> ეს ლექსი ეახტანგს მხოლოდ ასე აქვს წარმოდგენილი. ჩანს, A ნუსხაში სახელდახელოდ გარითმული ლექსი, B-ში ყოველთვის არ გადმოჰქონდა.

196. 0 181 بزرگان پیشین هیچ حکمت را ناگفته رها نکرده اند  
و برای آسایش متأخران راههای روشن پیدا ساخته

„გარდასულ დროთა დიდებულთ არავეითარი სიბრძნე არ დარჩენი-  
ათ უთქმელი და თანამედროვეთა სასიამოვნოდ ნათელი გზები გამო-  
უჩინიათ“.

A 217 პირვანდელთ მეცნიერთ არა სასწავლებელი საქმე უთქმე-  
ლად არ გაუშვიათ, ყველა საქმე ნათლის გზით გამოუჩინიათ. B  
273— . C 258 — .

197. 0 181 هر که در خدمت پادشاه یکجہت باشد زود بر تبتہ  
تقرب رسد

„ყველა, ვინც მეფის სამსახურში ერთგულებას გამოიჩენს, მალე და-  
ახლოების ხოლმზე ავა“.

A 217 ვინც კელმწიფის სამსახურში ერდგული იქნება, კარგს  
წყალობას შეეყრება. B 273 ვინც კელმწიფის სამსახურში ერდგუ-  
ლად იყოს, მალმალ სიმშუხარისხარისხეზე ავა. C 258  
ვინცა ხელმწიფეთა თავდადებით მსახურებსო, ზედასა-ზედა მწუ-  
ხარებისა ხარისხთა აღხდებისო.

ვახტანგმა თბ ხომ არ გაიგო როგორც თბა („გაფუქებული“) ან  
თბა („მონანიება“).

198. 0 182 کسی باشد کہ خزاین روی ز مین بخازن شاه سپارد

„ზოგმა მიწის პირის განძი მეფის ხაზინადარს რომ ჩააბა-  
როს“.

A 218 ერთი ვინმე კელმწიფის სალაროში მრავალი შემატოს.  
B 274 პირის ხაზინა კელმწიფის ხაზინადარს მიაბაროს. C 259  
თვისი პირისა საუნჯე მეფისა მოლარესა მიაბაროს. რაა. ეს  
პირისა საუნჯე? ხომ არ უნდოდა მიწის პირის, რო-  
გორც ეს ორიგინალშია?

199. 0 184 بسیار تہمتان را بیژن وار درجاء بلانداخته

„ბევრი თაამთანი ბეჟანივით უბედურების (ხიფათის)  
ორმოში ჩაუგდია“. აქ მხედველობაშია შაჰ-ნამეს გმირები: როსტო-  
მი და ბეჟანი, ეს უკანასკნელი, როგორც ვიცით, ორმოში ჩასვეს.

A 221 — . B 278 ერთი ძლიერი ბერია, რომ მრავალნი გმირნი  
ბეჟანსავით კირის ორმოს ძირს ჩაუგდია. C 262 სამფ-  
სონ ძლიერივით თვალდამბრმავალი საჭიროს მფქველად და-  
უყენებია.

იგულისხმება ამბავი ბიბლიური სამსონისა.



رستم او در کف زال ستم  
 بیژن او در تاج گاه الم...  
 بحر وی از خون مراسمند یار

„მისი როსტომი მტარვალობის ზაალის ხელშია, მისი ბეუანი მწუხარების ორმოს ფსკერშია... მისი ზღვა ეს ფანდი არის სისხლისგან [შედგება]“.

A 221 — . B 278 იმის როსტომის საქმე უწყალო ზაალის ხელშია, იმის ბეუანი — შეუჩირეების ორმოს ძირში... ამისი ზღვა სრული სპანდიერის სისხლითგან საესე.

C 262 სოფელი ესე ბებერი უწყალოდ მოსრავს გმირებსა,  
 კელაე ბუმბერაზთა ჩაადებს კირის ორმოსა ძირებსა.  
 ...მისი ზღვა მარტვილთ სისხლითა აღსავსე, წითლად დებული“.

201. 0 185 آب حیوان تیره گون شد خضراخ پی کجاست  
 خون چکید از شاخ گل باد بهاران را چه شد

„უკვდავების წყალი აიმღვრა, სადაა ფეხბედნიერი ხიზრი? ვარდის რტოსგან სისხლი წვეთავს, რა მოუვიდა გაზაფხულის ნიავს?“

A 221 — . B 279 უკვდავების წყალი გამშრალა, წმინდა ელია სადა არი.

C 263 ელისეს აგან დამტკბარი წყარო ჩანს დამწარებელი.  
 ვარდას რტოთაგან სისხლი სდის, უშეერად წყანწყარებელი.

ორიგინალში იგულისხმება წინასწარმეტყველი ხიზრი, რომელმაც უკვდავების წყალს მიაგნო და დალია იგი.

202. საბას ვერსია არ გამოხატავს ორიგინალის აზრს. დერკვიში ეუბნება მეფესთან დაახლოებულ და ქვეყნის მართვით გატაცებულ მეორე დერკვიშს:

0 185 همائی چون تو عالیقدر و حرص استخوان تازی  
 دریغ آن سایه همت که بر مردار افکندی

„შენისთანა დიდებულ ჰომაის ძელის [ღრნის] წადილი სანამ უნდა გქონდეს? აფსუს, ის დიდებული ჩრდილი, რომელიც შენ იმ ლეშზე გადაგიფარებია“.

აქ გამოყენებულია ჰომაი, ზღაპრული ფრინველი ფენიქსი. მისი ჩრდილი ვისაც გადაუელის, იგი ბედნიერი ხდება. მწირი ეუბნება ამხანაგს: შენ დიდებული ჰომაი იყავი და არა მძორის მკამელი ფრინველი, აფსუს, როგორ გამოცვლილხარო.

A 222 შენს ნდომასთან ომაინის ძელის ნდომა უადვილოა. დოვლათის შუქი, ბრალთა, ამისთანას მიეფარვის. B (A 222).

'სევას ძელის ნდომის პეტია ეგ შენი მონდომებანი'

რა ბრალი არის, სვის შუქმა შენსა მსგავსა უყო ხლებანი.

B 279 ა) სევას ძელის ნდომას მიგიგავს ეგ შენი მონდომებანი,  
რა ბრალი არის, სვის შუქმა შენს მსგავს [ა] უყოს კლებანი.

ბ) შენისთანას დიდებულის უმსაგან ძელის სიხარბე შავთონი  
არა არის რა. ბრალი იმ სიკეთის ჩრდილი რომ ფინთზე მოგიყენებია.

C 263 სეავეი ძელს ულაძავს სიხარბით, რას არგებს გასაძლომელად?

ეს მიმიძმს მისი აჩრდილი თავს გინდა დასადგომელად.

საგულისხმოა, რომ ვახტანგს, რომელსაც ვერ გაუგია ეს ბაითი,

A-ში ო მ ა ი ნ ი ს თავზე წაუწერია: ს ვ ა ე ი ს. ჩანს, თავი-  
დანვე არ ესმოდა მას იგი.

203. O 185 يا و دامن تجرد از غبار اغيار برافشان

„მოდო და ამ სოფლის უარყოფის კალთა სხეათა  
მტერისაგან დაიბერტყე“.

A 222 მოდი, ამ საქმიდან ქელი აიღე. B 279 მოდი და ნდომის  
კალთა ავის მტერისაგან დაიბერტყე. C 263 დამიჯერე, სოფლი-  
სა ამის ნდომის კალთა საცთურის მტერისაგან დაი-  
ბერტყე.

204. O 182 چون روز روشن شد مرد بينا نگاه کرد

„როცა გათენდა, თვალხილულმა შეხედა.“

A 223 იმ თავის ამხანაგმან ნახა. B 280 ერთმა კაცმა ნა-  
ხა. C 264 ერთმა კაცმა ნახა.

შეიძლება, სიტყვები يينا نگاه ვახტანგს ამოეკითხოს როგორც ينگاه  
(“უცხო, ვინმე”)

ქვემოთ კი წერია: „ამხანაგთა წესია...“, რაც შეუსაბამობას  
იწვევს.

205. O 181 —. C 264 რაცა სვემან...

206. O 186 —. C 265 საყვარლის კალთა...

207. ორიგინალში (O266) ეს ტაეპი პროზადაა:

پر بلا که تصور کنی سزاوارم

„რა უბედურებასაც მომაგებ, ახია ჩემზე“.

A აქ ლექსს არ კითხულობს, სალექსო ნიშნებით არ აღნიშნავს  
ფრაზას (A 225). B 283 ლექსი (რაც დიდი ჭირი რომ დამმართოთ,  
ჩემი მართებულა).

C 266 რაცა ჭირი გარდამხდების. ჩემთვის ყველა ცოტაია.

208. O 188 ساخته از ترک دو عالم کلاه

„ორივე ქვეყნის (სააქაოს და საიქიოს) უარყოფით გვირგვინი  
დაედგა“.

A 227 — . B 284 გაეკეთებინა ორისავე სოფლისაგან თავის  
ქუდი. C 267 ორსავე სოფელს ბუდე ედგა, მას აეგო მად-  
ლით რაცა. ორიგინალში კი ლაპარაკია ორივე სოფლის უარყოფაზე.

209. ორიგინალშია (O 188) رخشی ز میدان ازل ساخته  
گوی بچوگان ابد ساخته

„რაში წარსულის მარადისობიდან გაეკენებინა, ბურთი მომავლის  
მარადისობის ჩოგნით ეთამაშა“. C 267 რაშსა მქლომსა...

ისლამის ფილოსოფოსთ მარადისობა ორ ეტაპად კჭონდათ  
დაყოფილი. ერთი იყო აზალი (წარსული მარადისობა), მეორე  
კი აბადი (მომავალი მარადისობა).

210. O 188 شام و حجاز و يمن შამი, ჰიჯაზი და იემენი B 284  
შამსა და ჯაზირეთსა. C 267 შამსა ჯაზირეთსა.

211. ჩანს სამი ვარიანტიდან ვახტანგის თარგმანისა (სამივე მცდე-  
არია) საბამ საერთო და სწორი აზრი ვერ გამოიტანა და ამიტომ ვერ  
თარგმნა ეს ლექსი.

C 269-ს აქ აკლია ორიგინალის მესხევი.

O 190 آن سر را کئی خضر بیرید حلق  
سرآن را در نیابد عام خالق  
در درون بحر کشتی را شکست  
صد درستی در شکست خضر هست  
چون شکسته بند آمد درست او  
پس رفو باشد یقین اشکت او  
گر یکی را سر بیرید از بدن  
صد هزاران سر بر آرد در زمن  
کاملی گر خاک گیرد زر شود  
ناقص ار زر برد خاکستر شود

„ხიზრმა რომ ყმაწვილს ყელი გამოჭრა, ამის იღუმალეზას ყველა კო  
ვერ ჩაუხვდება. ზღვაში დაღვეწა ხომალდი, [მაგრამ] ასევე გამომართ-  
ლებია ამის გამო ხიზრი. რადგან მისი სიმრთელე შეუტყვეველია, თუ  
რამ გარღვეული აქვს მას, ამოიკერება. თუ ერთს ტანიდან თავი მო-  
აჭრა, ას ათას თავს აჩენს. სრულქმნილებამ რომ მიწა აილოს, ოქროდ  
იქცევა მიწა, არასრულქმნილებამ [კი] ოქრო რომ აილოს, ნაცრად იქ-  
ცევა ოქრო“.

A 229 ელიამ მოკვეთა თავი ერთისა უგუნურისა, ზღვა გაიარა,  
გახურტა ქომალდი საქონლითა. თუ ერთსა თავი მოსჭრა, ათასმა  
თავი ამოყო. და იმ ქომალდის გახურტითა ყაზახს მოარჩინა. და რო-

მელი ბრძენი და მეცნიერია, გინდ მიწა ჰქონდეს კელთა, ისიც ოქროდ გარდაიქცევა და უგბილსა და უგუნურს ოქროც მიწა-მტურად გარდაექცევა. B 287 a) ერთს კაცს რომ კისერი მოსჭრან, მის გულს ხეაშიადს ველარ შეიტყობს თემის ერი. ხომალდი რომ გატყდეს, ასწილად უფროსია კელმწიფის გატეხა. ერთის თავის ტანიდამ ასი ათას თავს ამოიღებს... b) ის ყმაწვილები რომ დათეს<sup>30</sup> დაქრა ელისემ, იმ ხეაშიადს ყოველი კაცი ვერ შეიტყობს. ზღვაში ხომალდი რომ გახვრიტა, მართებული იმის გახვრეტაში იყო. რადგან იმის ხელი გატეხილის გამკეთებელი იყო, მამ მის გახვრეტაც იცოდე... c) თუცა ერთი ყმაწვილი შეაქამა დათვის, ასი ათასი ტანი გააცოცხლა. C 269. — .

212. O 190 — . C 269 შენ ვინ ხარ, ვისი სწორია? კაცთაგან გასაშორია? A 230 — . B 287 a) ლექსი: შენ ვინ ხარ, რომ შემოხვალ და საპალნეს სთელი. b) ლექსი: შენ ვინ ხარ, რომ ვისიმე ამხანაგობის ესაბში ჩავარდე.

213. O 190 — . A 231 — . B 288 ერთი ცეცხლი აანთევ შურითა და ქვეყანა დასწვი მემშურნობითა.

C 270 შურისა ცეცხლ გასტყორცე, შეირე რამ ნაქვერცხალია, ქვეყანა სრულად გარდასწვი, ყანობირი და კრცხალია.

214. O 191 ملك نیز خود تحقیق فرموده صدق سخن و برهان دعوی من ملا حظہ کرد

„ხელმწიფემ თვით ინება გამოძიება, ჩემი სიტყვის აზრი და დავის მიზეზი გასინჯა“.

B 289 კელმწიფემაც თვითან ნახა, ჩემის სიტყვის რიგითა გამკლავება თვითან გასინჯა. (ღედ. გვ. 121), C 271 თვით ხელმწიფემაც თვალთ ნახა, ჩემი ნათქვამის გამკლავება თვითვე გასინჯა.

215. O 192 اگر تفحص بسزا رود همه حال برائت ذمت من ظاهر گردد و نفس صدق آمیز من چون تابشیر انوار صبح صادق بر عالمیان روشن شود

„თუ ძიება წესიერად წავიდა, ჩემი სიმართლე დადასტურდება და ჩემი პატიოსანი სული ქვეყანაზე ცისკარივით გამოანათებს“.

A 232 თუ კელმწიფემან ცოტა ჩემი საქმე სამართლიანისა და კაცმოწყალის გუნებით გასინჯოს, ღთისაგან იმედი მა-

<sup>30</sup> აღბათ: თაეი. ინგლისურ თარგმანში მეორე ტაეის სრ (საიდუმლოება) შეცდომით ესმით როგორც سر (თავი) The Anwar-i Suhaili, გვ. 163.

ქუს, რომე ჩემი სიზმართლე ამ საქმეში ცის-  
კარივით განათლდეს და ყოველთავე იხილონ. B 290 ვაი  
თუ, ძებნა რომ ბძანე, სხვარიგის საქმით ორგულობის ხმა ჩემზე გა-  
მოაჩინონ, ჩემი ერდგულობის წახდენის საწა-  
დელი დილის ცისკრის ნათელსავით თემში  
განათლონ. C 271 ვაი თუ, გამოძიება რომ ბრძანეთ, სხვის  
ხრიკებითა ჩემზედა საორგულო ხმები გამოთქვან და ჩემგან ნაერთ-  
გულეობის ნაცვლად ჩემი წახდენა მათის წადილით  
ცისკრას ბრწყინვალე ბასავით თემსა მოჰფი-  
ნონ?

216. O 192 تا بدان غایت که چون موی از خمیر آرم برون

„იმდენად, რომ მას ისე ამოვიღებ, როგორც ცომისგან — თმას“.

A 232 — . B 290 რომ როგორც რომ ბეწვი ცომილამ ამოილონ,  
სპარსული გამოთქმა: موی از خمیر بیرون آوردن<sup>31</sup>  
საბამ ერთხელ ასე თარგმნა: „ბეწვის გამოვიღებ თბისაგან“ (ცომისა-  
გან C 248). აქ კი ასე ესმის ღვიძლით ბეწვისა ამოვიღებ,  
ყოლე გაეხსნი ყოვლთა კრულსა. (C 272).

„ღვიძლიდან ბეწვის ამოღება“ რაიმე თქმა ხომ არ იყო, ყოვლის  
შემძლობას და მისთ. გამომხატველი ქართულში?

217. გალექსილია ორგინალის არაბული ფრაზა: فسروا فی  
الارض „იმოგზაურეს ქვეყანაზე“.

A 233 — . B 291 ლექსი: მიწის მეიდანე განიერი ალაგია.  
C 272 მიწისა ველსა გავლიდი ვრცელსა.

218. O 194 نه چشم چرخ چنان آفتابی دیده بود و نه بدست  
دهر چنان نگاری رسیده

„ზეცის თვალს ამისთანა მზე არ ენახა და საწუთროს ხელში  
ამისთანა მზეთუნახავი არ ჩავარდნილიყო“.

A 236 იმისთანა ლამაზი და შვენიერი არ იპოე-  
ბოდა. B 293 არც მბრუნავის ცის თვალს იმისთანა მზე ენახა და არც  
აღამიანის ხელში იმისთანა რამ ჩავარდნილიყო. C 274 მოარუ-  
ლსა ცის თვალთა მისი მსგავსი შუცეა არ უნახავსო, არცა თუ რ-  
თა (!) ხელთა მისთანა რამ ჩავარდნილიყოს.

31 ზღრ. შაჰ-ნაშე: زگاہ بزرگی چو موی از خمیر برون آمدی

„დიდებულ ადგილიდან, ვითარცა თმა ცომისაგან, ისე გამოიღო, (شاهنامه)

გვ. 52, جلد اول

თ უ რ ქ ი ავაზაის მნიშვნელობით იხმარებოდა ქართულში (შდრ: „ალაფობდეს საკურკლესა მისსა, ვითა ნათურქალსა“. „ვეფ-ხისტყაოსანი“, 55,1), ამიტომ თუ მიმართავს მას საბა.

219. 0 194 در چرب دستی انگشت نهای جهان شده و در نقش  
بندی دلپذیر اهل زمان گشته

„ხელმარჯვეობის გამო [მთელი] ქვეყნის თითით საჩვენებელი გამბ-  
ღარიყო და მხატვრობაში — [თავისი] დროის ხალხთა საყვარელი“.

A 236 იმ თემს იმისათანა მხატვარი არ იქნებოდა. B 294 ე ნ ა -  
ტ კ ბ ი ლ ო ბ ი თ ა და ხელჩაუქობითა ქვეყნის თითის ნიშანი შექნი-  
ლიყო. C 275 ე ნ ა მ ქ ე ე რ ო ბ ი თ ა და სიჩაუქითა ქვეყნისაგან  
თითის საჩვენებლად შექნილიყო, მხატვრობით მსოფლიოთა კაცთა  
გული შეხედვით მოეტაცა.

220. 0 194 دل نقشی پردازان ختا بیادیه حیرت سر گردان

„ჩინელ მხატვართა გული განცვიფრების ველად გაქრილი-  
ყო“.

A 236 — . B 294 მისის ფერის შეხამებით ხათნის ნახშის შეფე-  
რება და ჰერათის მინდორი გაეცულებინა. C 275 მისი ფერების  
შეხამებას ხატაელთ დამაფერადებელთა ჰერათის მინდორი გა-  
ეცულებინა.

რაა ეს ჰერათის მინდორი? حیرت („განცვიფრება“)  
შეიძლება ვახტანგს ჰერათად, ქალაქად ამოეკითხოს, რადგან ეს  
უკანასკნელი განთქმული იყო მხატვრობით (ჰერათის სკოლა: ალა-  
მირეჟი, ბეჰზადი, ყასემ-ალი და სხვ.).

221. 0 195 — . A 236 — . B 294 სანთელსავეით გულის სიმწა-  
რით ყოველლამ საყვარლის გზაზე ვიტირე. ხან ვიწვი ნაღვლისაგან,  
ხან ჭავრის ზარით ვტირი.

C 276 ვითა ლამაზი ვიწვები საყვარლის გზათა მარები,  
ხან ურვის ცვარით ვირცხები, ცრემლით მომირწყავს არები.

222. 0 195 دفتر شکیبائی و تحمل بر طاق نسیان ناه

„მოთმინებისა და გაძღვების დავთარი თავდავიწყების თალ-  
ზე ჩამოლო“.

A 236 ძილი და მოსვენება არა ჰქონდა. B 294 მოცდისა და მო-  
თმინების დავთარი წვიმის ქვეშ დასდევა. C 276 მოცდისა და მო-  
თმინებისა უსტარი წვიმას ქვეშე გაუშალა.

ამას რომ წერდა, მთარგმნელი ალბათ ფიქრობდა: წვიმა ასვე-  
ლებს და აფუჭებს უსტარსო. იგი შეაცდინა წინა სტრიქონებში ნა-

სხვ.). ასეთი მეთოდი აქვთ ქართულ მწერლებსაც. გიორგი მთაწმინდელი და ეფ-  
რემ მცირე თარგმანში ბერძნულ სიტყვას რომ შემოიტანდნენ, იქვე იძლეოდნენ  
მის განმარტებას. მაგ.: „...დიაკონებად. ესე იგი არს ქმსახურებედ...“ (ე. ხონ-  
თიბიძე, ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდის ერთი თავისებურების  
შესახებ. საქ. სსრ მეცნ. აკად. შობაზე, XXXVII: 3. 1965 წ., გვ. 747). შტრ. აგ-  
რეთე „ეისრაპინია“: „და მუნ თავისა საქელი შაჰი უქმია და შაჰი ჭელმწიფესა  
ქქუიანო“ (46,9). ამავე დროს, წყარო რომ მთვარისაა, ჩანს სხვა არაკო-  
დნაყ („მთვარის მოციქული კურდელი“), სადაც მთვარეს ათქმევიანებენ: „ჩემ-  
სა მდინარესა ზედა მოსრულხარ“ (O 285; C 394).

<sup>43</sup> ეახტანგისა და საბას რომ აქ გაუგებრობა მოსვლიათ, ამაზე მიუთითა  
ა. ბარამიძემ (იხ. მისი: ნაკვეთები, I, გვ. 308).

A 344 — . B 430 ბრძნულად ლაპარაკს მოსავალი აქუსო. C 393 ბრძენთა ანდერძად დესპანთათვის დაუგდიათ, საუბრისა მოსავალი არისო.

331. O 284 خوانلار قدرت طبق سيمين

„ძლიერების მესუფრემ ვერცხლის ტაბაკი...“

A 344 — . B 430 ძლიერების სალაროს პატრონმა. C 393 ძლიერების საუფრის უფალმან...

332. O 284 هنگام که مرکز ماه بدایره نصف النهار نزدیک رسیده

„როდესაც მთვარის ცენტრი შუადღის ორბიტაში შევიდა“.

A 344 შუადღის ალაგს რომ დადგა. B 430 მთვარე საშუალოს ადგილს დაახლოვდა. C 393 რა მთვარე საშუალო ფოროს დაახლოვდა.

333. O 284 شعاع نیر اصفر بر اطراف باط اغبر منتشر گشت و

روی زمین بجمال جهان آرای آن شمع زاویه تپی داستان روشن شد

„მთვარის შუქი ირგვლივ გავრცელდა და მიწის პირი იმ ხელმოკლეთა სენაკის გამანათებლის მშვენიერებით განათდა“.

A 344 სულ ქუეყანა ნათლით მოებავმა. მისი სინათლე საბრალთ სამთელი შეიქნა. B 430 მზის ელვა რომ მიწის პირზედ დაფარული შეიქნა, მიწის პირი ქვეყნის მოსაკაზმავის ბრწყინვალობის ნათლის სისრულით ხელცარიელი კუთხეში მჭდომსავით დარჩა. C 393 და მზის ელვა მიწას ქვეშ დაიფარა და ხმელეთის პირის სამკაული ბრწყინვალეებისა ნათლის სისრულე ხელცარიელი კუთხთა მჭდომარე დარჩა.

334. O 285 اگر چراغ بامرد صبا چه غم دارد

„თუ სანთელი ჩაქრა, დილის ნიაცს რა ენადვლებდა“.

A 344 — B 431 დილის ჩრახტი თუ გაქრეს, რა სანადვლელი გაქუს. C 393 დილის ლამპარი თუ გაქრა, ვიდები ძირსა ჩრდილთასა.

335. O 285 ناوک چرخت ز سیر بگذرد

„ჩარხისა ისარი შენს ფარში გაატანს“.

A 346 — B 432 ჩალხის წამწამი შენს ფარში გაი-  
ლის. C 394 ს ფ ე რ ო ს წ ა მ წ ა მ ი შენს ფარსა ეცემის დასა-  
ფეთარე.

ناوك چرخ ისრის ერთგვარი სახეობაა (შდრ. „ვისრამიანი“,  
„ჩალხისა ისარი“ 198,8).

აქ წამწამი ნიშნავს ისარს. იგი ისრის მნიშვნელობით სხვა-  
განაც გვხვდება „ქილილა და დამანას“ ქართულ თარგმანში. C 403  
თუცა წამწამთა წვერი მკერდსა ეცეს და გულსა დაესვოს.  
(O 292 بيكان ناوكى A 352 ისრის პირი).

O 292 بيكان ناوكى كه در سينه نشيند  
„ჩალხისა ისარი, რომელიც გულს განეწონება“.

ვახტანგის ჩალხი, რაც ისრის სახეობაზე უთითებს, საბას ზეცის,  
განგების მნიშვნელობით მიუღია, რაც მცდარია.

336. O 285 واگر عين الثور از مرغزار سپهر بدیده تصرف در او  
نگرد سماک رامح بنان سطوت چشمش بدوزد

„და თუ აინას-სავერი (ვარსკვლავი) სფეროს შამბნარი-  
დან სხეაწირა თვალებით შეხედავს მას, სამაქ არ-რამეჰი  
(ვარსკვლავი) შემმართებელი შუბით თვალს დაუკერავს (ამო-  
უთხრას)“.

A 346 — B 432 ანუ მზის თვალმან ცის წალკოტიდამ  
დაკერის ნდომის თვალით შეხედოს, ქეჩოისრიათი თევზნი გა-  
ვირვების ისრით თვალს შეჰკერავს. C 394 ანუ მზის  
თვალნი ცის წალკოტით მისი დაპყრობა მოინება. ვარაზ მო-  
ისრულნი ზღვის თევზნი საოცრისა ისრითა თვალთაცა მის-  
თა აღუკერვენო.

337. ორიგინალში (O 289) ერთმანეთს დაპირისპირებულია  
ახალგაზრდობის ღამე (შავი თმები) და სიბერის დილა (თეთრი თმე-  
ბი) شب شباب და شب صبح ქართულში იმხოლოდ მეორეა გადმო-  
ტანილი.

338. O 290 — A 350 — B 440 ვინც შენის ბძანებისგან თა-  
ვი გასწიოს, თავი ართავი. C 400 ვინც არ გისმინოს ბრძანება, მოკვ-  
დავსამც დაემგვანება.

339. O 291 بصورت تطلب کنی بگذری  
بمعنی نگه کن که بس ابتری

„გარეგნულად ძღვევამოსილად ნუ გვეჩვენებ, როცა სინამდვილე-  
ში გლახაკი ხარ“.

აქ ერთმანეთს დაპირისპირებულია გარეგანი და შინაგანი ნიშნები.

A 351 — B 440 ამ სოფელს ხერხი და ეშმაკობა ქენ, საუკუნოსა მიხედვით, რაძინ უგუნური და უმეცარი ხარ.

C 401 ამ სოფლის მოვერაგება, ქაჯთაგან შემოღებული, რას გარგებს, საუკუნოსა შიგელის კარი ღებული.

და თუმცა წინა ბაითში სააქაოსა (اروز — დღეს) და საიქიოხეა (دا — ზვალ) ლაპარაკი, აქ მხოლოდ გარეგნულ და შინაგან თვისებებზე მიგვიითიბებს ტექსტი.

340. O 292 — A 352 — B 443 ერთი ისარი რომ იმან გულსა კრას, იმის პირი აღარ გამოიღება. C 403 ენის ისარი, მკვლელი ისარი, გულსა ნაკრავი, ვითა ისარი.

341. ორიგინალში ლექსადაა.

O 292 ناک کینه که در سینا نشانه شود  
مقررات و معین که برچه خواهد داد

„მტრობის ნერგი, რომელიც გულებში დაინერგა, მტკიცეა, და ნათელია, თუ რა ნაყოფს მოიხმამს იგი“.

A 352 — B 443 a) ლექსი: შურის ნერგი რომ გულში დაეთესოს, გამოცხადებულია, რომ როგორც მოხდება. b) ნერგი შურის რა რომ გულსა დაირგოს და დაეთესოს, შორიდან ჩანს, რაც მოხდება ანუ რაცა ვეუწესოს. C 403 რა შურისა ნერგი გულთა დაინერგება, საცნაური და შესატყობია, რასაცა ხილსა მოიხმამსო.

342. O 294 در ناسفتنی بود این که سفتم

„არ იყო გასახერხები ეს მარგალიტი, რომელიც შე გაეხვრიტე“.

A 352 — B 446 ამ თვალ-მარგალიტს გახვრეტა არ უნდოდა. C 405 რად მოვაქამე პირუტყვთა ბრჯა, კრძალვით დასასაყონი?

343. O 295 چنانچه طراران ولایت گرگان گوسپندی  
از دست زاهدی بحيله بیرون آوردند

„როგორც გორგანის ვილაიათის ქურდებმა ხრიკებით განდევილს ცხვარი წაართვესო“.

გრگان აქ გეოგრაფიული სახელია — გორგანი, რაც ვახტანგს შეცდომით გრგ (მგელი) ლიტყვის მრავლობითად მიუჩნევიან (ان + გრგ)

A 353 როგორც ქარქანელ<sup>44</sup> ქურდებმან ერთის შლოცავის მეუღაბნეს ჯელიდამ მოტყუებით ცხვარი ჯელიდამ (?) გამოართვეს. B 448 როგორც რომ ქუეყნის ქურდთ ცხვრის მგელთა ზეიდის ჯელიდამ მაცთურობით ცხვარი გამოიყუანეს. C 406 რაგვარადაც ქუეყნიერსა მპარავთა ცხოვართა მგელთა მარტომყოფელის ხელიდამ საცთურით ცხოვარი გამოსტყუესო.

საბა იმეორებს ვახტანგის შეცდომას. ასევე მცდარია თარგმანი ცოტა ქვემოთ: „მაცდურობისა მგელთა ნდომისა ღონისძიება დაიწყეს (C 407). ორიგინალშია مكاران گرگانی «გორგანელი გაიძევრები» (O 295).

344. O 295 کهزاهدرا خواب خرگوشی دهند

„რომ განდევილი მოატყუონ („ქურდლის ძილი მისცენ“, თვალი აუბან)“.

A 354 რითაც ღონით იყოს. B 448 ქურდლის ძილი მიეცათ. C 407 მაგრამე მარტომყოფს ყურდგლის ძილი ვერ მოგვარეს.

345. ორიგინალშია سگ شبانان „ჩობანთა ძაღლი“.

„ეფესელი“ საბასია (C 407), ვახტანგთან არ გვხვდება (B 443).

346. O 296 شب تیره بر چرخ لشکر کشید

„ბნელმა ღამემ [ცის] ჩარხზე აასხა ლაშქარი“.

A 356. — B 450 ბნელმა ღამემ ჩალხზე ლაშქარი გასწია. C 409 ღამესა ბნელსა მოჰპართეს ქურვილმან სპაპა მრავალმა.

347. O 298 بهوای دل „გულის ვნებით“ (გულის წადილით).

A 358 — . B 452 შენის გულის აერიოთ. C 411 შენისა გულისა ნიავითა.

348. O 299 زنهار تاملک بسخن او التفت نکند و افسون جان گداز او را در گوش جای نهد

„ღეთის გულისათვის, მეფე მის სიტყვებს არ ერწმუნოს, მის დამღუპველ შელოცვას ყური არ ათხოვოს“.

A 359 ჯელმწიფე ჰლბათ, რომ იმის იმდენს ქართულებს ნუ გაიგონებს. B 453 ხელმწიფემ მის სიტყუას ყური არ მიუგდოს, მას სულის დამამებელს ტებილს ენას ყურში ალაგი არ მისცეს..

<sup>44</sup> ქარქანი იხმარება გორგანის მნიშვნელობით ვახტანგის მიერთარგმნილ „ამირანსარიანშიც (იხ. ლიტერატურული ძიებანი, IX, გვ. 353).

C 412 ხელმწიფემ მის სიტყვასა ყური არ მიუპყრა და არცა მისსა სულთა შემაწუხებელსა ტკბილად მაუბართა ენასა სასმენელთა შინა ადგილი აპოენინა.

უფრო სწორია სქოლიოში ჩამოტანილი ფორმა აპოენინოს, რაც უნდა აღდგეს. ხელმწიფეს რომ მისი ვეზირის რჩევა აინუნშიაც არ ჩაეგლო, ქარშონა არ ატირდებოდა.

349. O 301 **نه بی بریشانی دل دست آرزو بکنند زلفش میرسد**  
**و نه بی خار خار محنت از گلستان رویش گل مراد می شکفت**

„არც გულის გაწყალების გარეშე სურვილის ხელი მისი ზილფის ქამანდისთვის უწვდებოდა და არც სატანჯველის ჩხვლეტის გარეშე მისი სახის წალკოტიდან სურვილის ვარდი უყვავოდა“.

A 360. — B 455 არც შებრალებით გული ნდომის ხელს მისის ქაელების ქამანდს მიაწვდენდა. არც მრავლის ხევწნის ეკლით მისი პირის წალკოტისაგან საწაღლის ვარდი გაიშლებოდა. C 414 ვერცა შებრალებისა გული საწაღლისა მისისა ხელსა მის ნაწლავისა საგდებელსა მისწვდებოდა, არცა ვედრებისა ქაცვთა მისის პირის წალკოტთა შინა. საწაღლის ვარდი გაეშლებოდა.

350. O 301 — . A 360 — . B 455 ერთი კარი რომ არ იყო, საიღამ გაიღო. C 415 სადა ბჭე არა სტანობდა, მუნ კარი ვითარ გაელო?

351. O 301 **خلفت اما دروی پوشیده**

„მოწყალების სამოსელი ჩააცვეს“.

A 360 — . B 456 კელმწიფემ სულის ტანისამოსი ამისგან არ ვახადოს. C 415 მოწყალებისა სამოსელი შემოსოს.

საბას ვერსიის მესამე გამოცემაში აქ ი ჩაუმატებიათ (შე ი მ ო ს ო ს), რაც საჭირო არ იყო.

352. O 302 **بیرنج بار غنا بدست نیاید**

„მძიმე ჭაფის ტვირთის სიძნელის გარეშე არ მოდის“.

A 362 — . B 456 სიკეთის ხაზინა უგველოდ ბევრის გარჯით კელში არ მოვიდოდა. C 416 მრავლისა ცლითა გველუცემრად არა ხედებოდა.

ჩანს, ორიგინალის **بار** („ტვირთი“)-ის სანაცვლოდ ვახტანგის სპარსულ ნუსხაში იკითხებოდა **جر** („გველი“), რაც მით უფრო არაა მოულოდნელი, რომ, აღმოსავლური თქმულებების მიხედვით, განძს იცავს უხსენებელი. სპარსულ პოეზიაში განძის მოპოვებას ისე უშლის ხელს გველი, როგორც ვარდის მოკრეფას — ეკალო.

353. O 302 تیغ زند برتو و گوئی خوراست  
زر کند رویت و گوئی زراست

აქ რითმაა ხორ და ზრ მეორე სიტყვა (زر) იქვს არ იწვევს (ყვითელია), ოქროს ნიშნავს. იგი უღერს ასე: „ზარ“. ხორ-ის უნდა წავიკითხოთ როგორც „ზარ“. ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს ლექსისთვის შეკუმშული خوار („ზარ“), რაც აღვილს, იოლს ნიშნავს (ფარპანგე ნაფისი, ტომი II, გვ. 1415). B 456 კმალს შემოგკრავს და იტყუის: მზის სხივი არის. B 416 ხმა-ლსა გცემს, მზის სხივს გაოცნებს. ხორ კი ნიშნავს მზეს, მაგრამ ის იკითხება როგორც „ზორ“, რაც „ზარ“-ის რითმად არ გამოდგება.

354. O 302 دیو گفتای جان جهان تو یارمائی

„ღევმა უთხრა: ჰე ქვეყნის სულო, შენ ჩვენი ამხანაგი ხარ“.

A 362 ღევმან ეს სიტყუა დაუმაღლა და უთხრა“. B 457 ღევმა უთხრა: ლექსი: ეპა... C 417-ში ქურდის სიტყვებსაა გადაბმული ღვევის სიტყვები. უნდა აღდგეს ღევმა, თორემ ისე აზრი მახინჯდება: „[ღევმა] უთხრა ტაეპი“.

355. O 303 زلف هندوی تو گفتم که دگر ره نرند

„შენი ჰინდოს ზილფი, ვთქვი, მეტს არ დაესხმის-მეთქი“.

C 418 ეცადე. ინდოს ლაშქარმა გულს არ მისტაცის ცნობანი.

ინდოს ლაშქარი სპარსულ პოეზიაში შავი თმის, შავი ხალის და მისთ. ეპითეტია. ინდო აქ აბაშელს, აბისინიელს ნიშნავს და არა ინდოეთის მკვიდრს<sup>45</sup>. ეს ბაითი ჰაფეზის (გ. 1389 წ.) ლაზელიდანაა, რომლის მატლა ასეთია:

گوهر مخزن اسرار همانست که بود  
حقه مهر بدان مهر و نشانست که بود<sup>46</sup>

356. O 303 — . A 363 — . B 459 — .

C 418 ლამე რა გაეა. დღე მოეა, ნათლად მზისავე მზობანი,  
ბნელსა მვეალმა ფერხს აენოს, სად ჰყრია გზად ქვაობანი.

<sup>45</sup> ამის შესახებ იხ. ვიკტორ ნოზაძე, ვეფხისტყაოსანის ღმრთის-მეტყველება. პარიზი, 1963, გვ. 477—479.

<sup>46</sup> გვ. 144. دیوان حافظ



357. 0 304 رخی چنان که ز خورشید و ماه نتوان کرد

„ისეთი სახე, რომელიც მზისა და მთვარისაგანაც კი არ შეიქმნებოდა“.

A 364 — B 458 ერთი სახე, რომ მზე და მთვარე არ შეედრებოდა. C 419 ერთი ხე მზე და მთვარისა იღვა, მართ უკეთესია.

საბას ვახტანგისეული სახე შეცდომით ამოუკითხავს როგორც ხე..

358. 0 305 طلوع صبح وصال را مترصد باش

„მეგობრის ცისკრის აღმობდომას ელოდე“.

A 365 — B 460 დღის ცისკრად ჩემის სახის ნახვას ელოდეო. C 420 ცისკრის მოწვენამდე ჩემისა სახისა ნახვასა ელოდეო. ცისკრად საბას გაუგია როგორც დროის გარემოება.

359. 0 307 از روی بصیرت کامل آغاز کار کند

„სრული გამჭკრიახობით შეუდგება საქმეს“.

A 367 — B 464 თვალის პირით საქმეს შეეყრება. C 424 თვალის გამო საქმესა მიხედვების.

ვახტანგს თავზე სიტყვისა პირით განმარტების ნიშანი დაუსვამს, აშიაზდაც გაუტანია ეს ნიშანი, მაგრამ განმარტება მირჩენია.

360. 0 308 زمانی چون بسته باب خندان حکایت فندق سر بسته گفتندی

„ერთ ხანს ფისტასავით მოცინარი ბაგეებით თავმოკრული თხილის (?) ამბავს ამბობდნენ“ (ფისტას ბაგეებს აღარებენ სპარსულ ლიტერატურაში).

A 369 — B 464 ერთ წამს ფისტისათვის მოცინარითა ბაგით პირს გახსნიდენ. C 424 ხან ბუსტულისათვის მოცინარითა ბაგითა პირთა იძრევდენ.

უნდა გასწორდეს: ბუსტულისავით.

361. 0 308 بر روی سبزه نرمتر از حریر سبز می چرند

„მწვანე აბრეშუმზე უფრო რბილი მოლის პირზე ძოვენ“.

A 369 რბილს ბალახზედ წებვიან. B 465 პირისაგან უფრო რბილს მწვანის პირზე დადიან. C 425 დაწვეის ურბილე მწვანოანთა ზედა დადიანო.

ჩანს, **روی** რაც აქ თანდებულის როლს ასრულებს (-ზე), ვახ-  
ტანგმა გაიგო მისი პირდაპირი მნიშვნელობით ('სახე').

362. O 308 **رقبان** ('რაციფიკა') B 465 ჭერ ჰქონია: მე-  
ჭ უ ფ თ ე ნ ი, მაგრამ გადაუქეთებია: ჭ უ ფ თ ნ ი. C 425 მე-  
ჭ უ ფ თ ა რ ე.

363. O 309 დაკოდილი დათვი ამბობს: **گفت زهی بی ناموسی**  
„უთხრა: ვიშ. უნამუსობა და ა. შ.“

A 369 მათ უთხრეს: დიდი უნამუსობა... B 465 და-  
უთხრა მათ თქუეს. C 425 მათ უთხრეს: ჰაი, ჰაი,  
სიჯაბნის...

364. O 309; C 426 მტერნი ჰინჰველად და ა. შ. (იხ. გვ. 167—  
169).

365. O 309 **شیر زرین جنگال مهر از بیشه سپهر میل چشمه سار**  
**فی عین حمتة نمود**  
„მზის ოქროს ჰანგიანმა ლომმა სფეროს ტყიდან „სამკურნალო  
წყაროს“ თავზე წასვლა რომ ინება“.

A 370 რა დაღამდა. B 466 მზის ოქროს ჩანგლიანმა ლომ[მ]ა  
ცის ტყისაგან ეინალ ყათრის წყაროზე წასვლა მო-  
ინდომა. C 426 ოქროს ჰანგიანმა მზის ლომმა ცის ნადირის წყა-  
როსა ზედა წასვლა მოინება.

366. O 310 **در حوزه تصرف آوراند**  
„მფლობელობის ფარგლებში (რაიონში, ოლქში) მოიქციეს“.  
A 370 ყუელა დათვებმა მოაგროეს. B 466 თავის კერძს აუ-  
ზში მოიყუანეს. C 427 მათსა საეკრძო ავაზანთა შეადინეს.  
ვახტანგს **حوزه** ('ფარგლები, რაიონი') **حوض**-ში ('აუზი') სხვა-  
განაც არეგია (C 184, 9).

367. O 310 **آخر بخت برگشته خاک ادبار بر فرق من بیهخت**  
„ბოლოს ბედი უკუმექცა [და] უბედურების მტვერი თავზე  
ღამესხა“.

A 371 ბედი გარდაგვიბრუნდა. B 467 გაბრუნე-  
ბულმა ბედმა იღბრის მიწა ჩემს თავზე გასცრა. C 427 სულთქმით  
იახა, გაბრუნდა და თქვა: ბედმა ჩემმა მკოდოვანების მტვე-  
რი თავსა დამაქრაო.

მეფე არ გაბრუნებულა.

საბას ვახტანგისეული იღბრის მისი ქართული შესატყვი-  
სით შეუცვლია. ადრე ჩვენ უკვე გვექონდა ლაპარაკი იმის თაობაზე.

რომ ვახტანგის სტრიქონთარგმანში ნახმარი აღმოსავლური სიტყე-  
ბის უმეტესობა ან იმ დროის ქართულის ლექსიკურ ფონდშია შესუ-  
ლი ვახტანგისგან დამოუკიდებლად, ანდა ზოგი მათგანი ვახტანგს სა-  
განგებოდ აქვს დატოვებული იმ მიზნით, რომ ტექსტის გამჩაღბავს  
ახლოს გააცნოს დედანი. ამას რომ ჩადის, ვახტანგი დაარწმუნებუ-  
ლია იმაში, რომ გამჩაღბავი მას გაიგებს, რადგან იცის სპარსული.

368. 0 312 سرور سینه بمشاهدۀ اهل بیت و اقربا باز بستہ

„გულის სიხარული ახლობლებისა და შენი ოჯახის წევრების ცქერაჲ  
უკავშირდება“.

A აკლია. B 469 მეერდისდამწველობის ალი სახლსა მოყურები-  
სას აბია. C 429 მოყვარეთ მოშორების ალითა დამწვარი გული სა-  
ტყვივარისა სიბნელესა აბია.

369. 0 314 صورت حال باایشان تقریر کرد

A 375 ეს ამბავი იმათაც უამბო. B 472 ამბის სახე ლაშქართ  
შეატყობინონ. C 432 ამბისა ფერი ჭავრი შეითქვან.

საბას ვახტანგისეული ამბის ამოუკითხავს როგორც ამ-  
ბის და მთელი გაუგებრობა აქედან წარმომსდგარა.

370. 0 315 و من قضیة کارشناس را از مقوله این حیلہ می شناسم

„და მე ქარშენასის განზრახვას ამ ხერხის სახეობით ვცნობ“.

A 376 ქარშონას ამბავი კარგად ვიცი, — ხერხითა და ვე-  
რაგობით საესე არი. B 474 მე ქარშონას საქმე იმათგანად ვიცი, ეს  
სიტყვა რომ პირდაპირ ვთქუი. C 434 მე ქარშონას საქმე ამით  
ვიცი, რომელიცა პირისპირ უთხარი.

ეტყობა مقوله („სახეობა“) ვახტანგს გაუგია როგორც სიტყვა  
(.مقاله)

371. 0 317 گرچو نرگس نیستی شوخ و جولاله تیره دل  
بسدر روی و دو زبان همچون گل نرگس مباحث

„თუ ნარგისივით ურცხვი არ ხარ და ტიტასავით გულშავი, ორპირი  
და ორ ენა ნუ ხარ ნარგისის ყვავილივით“.

C 436 შრომანი სრულად თეთრია, მას არა გავხარ ბუნებით.  
გულშავს ყაყაჩოს მიკავებარ, გონების მით დაუმუნებით.  
ორპირო ვარდო, დადუმდი, ეშმაურითა ცთუნებით,  
ორენა სოსნად გამოსჩნდი, უნებულად სთქუ თუ ნებით.

372. 0 317 ناپاک لباس سیمرغ پوشد

„უწმინდურმა სიმურღის ტანისამოსი ჩაიცვას“.

A 378 გინდ მის უწმინდურმა ტანმა ფასკუნჯის კაბა ჩაიცივას. B 476 არაწმინდამ ტანმა სხვას ფერის ფრინველის ტანისამოსი ჩაიცივას". C 437 უწმინდურმა შავმა ტანმა შრავალ ფერის ფრინველის ნაკრტენი შეისხას.

373. O 318 مشاطة قدرت „ძლიერების პირისფარეშმა“.. B 477, C 437 ძლიერმა მუშამ.

374. ეს ლექსი ეკუთვნის აბუ ლ-ყასემ ფირდოუსის. მისი სატირიდანაა. C 440 ხეხილიანი...

375. O 320 — . A 382 — .

C 440 მალრანის კვერცი უომრალი, ცუდი და მოუწონარი  
...ფარშავანგს ცუდად დააშრობ, განაღო მითქვამს კვლა დია.

(მთელი B სტრიქონი).

376. O 322 هر که بصحبت زنان حریص باشد رسوا شدن را آماه باید شد

„და ვინცა ქალთა საზოგადოებაში ატყდებდა, თავის გაბახებას უნდა ელოდეს“.

A 384 ვისაც უცხო ს დია ცთან მუსაიფობა ჰქონდეს, ის თავის თავის ძრახვასა და სახელის გატეხას უნდა ელოდეს. B 483 ვინც ენამეტობა მონღოლმოს, შერცხვენას ელოდეს. C 443 ენამრავალი — მისსა შერცხვენასა.

ჩანს, صحبت زنان („ქალთა საზოგადოება“) ვახტანგმა გაიგოროგორც საუბრის (صحبت «საუბარი») მწარმოებელი, მოლაპარაკებენამრავალი.

377. O 322 مردمان بد خلق را از بسیاری دوستان

„ავი ბუნების ხალხმა—მეგობართა სიმრავლისაგან“.

A 385 ავგულს კაცს ბევრის მოკეთის მოპოებისაგან. B 483 ავის კაცის გაწყობა, მათგან კარკაცობის იმედი. C 444 ავისა კაცის მეგობარმა — მათგან სიკეთის ქნისაგან.

378. O 323 پنجم بخیل را از نیکو کاری

„მეხუთე, ძუნწმა — კარგი საქმისაგან“.

A 385 მეხუთე, მეშუორნეს კაცს კაის საქმისაგან. B 483: ეშმაკობისა და ავენას კარგისა და კარგის საქმის იმედობა. C 444 მეხუთედ, ავენამ — კეთილის საქმის მოსელისაგან.

379. O 330 بقای ملک و استقامت دولت

„სამეფოს მდგრობა და სახელმწიფოს სიმტკიცე“.

A 396 კელმწიფის სეე სვიანობის დამტკიცება. C 453 მეფე ფხორება და სვესვიანობისა სიმტკიცე და ქვეყნის მპყრობელობა.

380. O 331 و فايدہ ديگر دراين حكايات بدست آوردن دوستان  
خاص و هواداران مخلص است

„და ამ იგავთა სხვა სარგებელი ხალასი მეგობრებისა და წრფელი მოყვრების ხელთ გდებაა“.

A 397 — . B 494 ამ არაქის სარგებელი ხელში მოყუანა წმინდას მოყურისა ერთგულისა, რომ სარგებლიანი საგძალი... C 455 ამა არაქისა სარგებელი ხელად უგდიათ, გულწმინდა მოყვრისა და ერთგულის სასარგებლო საგზალია.

381. O 333 بحر اخضر („ბაპრ-ე ახზარ“ — „მწვანე ზღვა“ — ინდოეთის ზღვა, ინდოეთის ოქეანე). B 495 ზღვისა ახზარისასა. C II, 6 ახზარის ზღვისა.

382. O 333 كاردان „ქარდან“ (საქმის მცოდნე) შდრ. كارشناس „ქარშენას“ (იმავე მნიშვნ.) ქარშონა.

A 399 ქარიდან. B 495 ქარდონა ერქვა. C II, 6 ქარდონა ერქვა.

383. O 333 ببايد هوس کردن از سر بدر

„ხამს ქარი თავიდან გამოირეკო“.

A 399 — . B 496 გამოიყვანე თავიდან გარეთ უგუნურება. C II, 7 უცები ქარს სღევს შეპყრობად, ვით მოეწევის ძღვეარი?

384. O 333 بزير گلشن نيلو فری „ლურჯი წალკოტის (ცის) ქვეშ“. ცის სხვა მეტაფორათა გავლენით: მბრუნავი (იგულისხმება მბრუნავი ცა).

C II, 7 ვერვინ იხილა მბრუნავსა ქვეშე კაცი შვებითა წამსა ერთხელი.

385. O 333 بزینت ناپايدار „არა მყარი (ფუჭი) ზინათით“.

A 399 ცრუ სამკაულით B 496 სასიკვდილეს ზინათით გაუტანელის საქონლით. C II, 7 სასიკვდილოსა ზინათითა.

უნდა: ზინათითა.

386. O 334 كحل الجواهر „ძვირფასი თვლის სურმა“.

A 400 — . B 497 ჭავაირის სურმით. C II, 8 სპეკალიის საოლაგითა.

387. O 334 ذکر پیری و ضعف کاردان در افواه افتاده  
„ქარდანის სიუძღურისა და სიბერის მოგონება გახმაურდა (ცნობი-  
ლი გახდა)“.

ქარდან მიიმუნთა მეფის საკუთარი სახელია.

A 400 იმ მიიმუნთ კელმწიფის ქარიდანის სიბერე და  
უძღურებამ... B 497 ამაში სისუსტისა და სიმკლის და სიბერის ქა-  
რის დანა სიღრმეში ჩაეარდა. C II, 8 ამის გამო სიმკლისა, სი-  
სუსტისა და სიბერის ქარის დანა სიღრმესა ჩაუეარდა (სქო-  
ლიოშია: სატევა. ალბათ სატევეარი).

ქარის დანა გაუგებრობის შედეგია, იგი საკ. სახ. ქარ  
დან-იდან მოდის.

388. O 334 ارکان دوک و ارکان... شهرباری

„სახელმწიფოს თავკაცნი“.

A 400 — . B 497 დოვლათის სვიანობის გამრიგეთ. C II,  
8 სვებედნიერობისა გამგეთა. C II, 9 ბედნიერო-  
ბისა მარიგებელთა.

389. ორიგინალის صحبت საუბარსაც ნიშნავს და ურთი-  
ერთობასაც. C II, 11 მათი საუბრითა კეთილსა ჰპოებ.

390. O 337 رایات جهانداری و کامکاری برقبه فلک زنگاری  
افراشته

„ქვეყნისმპყრობლობისა და ნებიერობის დროშა ცის ქანგა-  
როს თაღზე გაეშალა“.

აქ ქანგარის ფერი ცაა და არა დროშა.

A 405 — . B 501 ქუეყნისმპყრობელობისა და ამაღლებულობის  
დროშა ქანგაროს ფერს ცის გუმბათზე გაეშალა.  
C II, 12 ქვეყნისმპყრობლობის ქანგარო [ს] ფერი მ-  
ღალი დროშა ცის კამარაზედ გაეშალა.

391. O 338 جدی زیرک از شهری دوردست

„ერთი ჰკვიანი ქურდი შორეულ ქალაქიდან“.

A 405 ერთი რომელიმე სოფლიდამ ერთი ჰკვიანი ქურდი. B 502  
შორისქალაქიდამ კელი იმ ქუეყანას მოაწვდინა.  
C II, 13 ერთი ტრალი მპარავი ქალაქად ვლიდა და ხელი  
მის ადგილისათვის მოეწვდინა.

دوردست („შორი, შორეული“), რაც ორი სიტყვისაგან შემდ-  
გარი კომპოზიტია (دور—„შორი“, دست—„ხელი“) ეახტანგს შეცდო-  
მით გაუგია როგორც შორს ხელის გაწვდომა.

392. O 339 „چون روی توانگران“ მდიდართა სახის მსგავსად.  
B 504 სიმდიდრის სახესავით. C II, 14 სიმდიდრის მსგავსად.

393. O 341 محبت بی علت چون عنقا روی به آشیانه علم ناپاد  
„უმიზეზო სიყვარული ოწყასავით არყოფნის ბუდეში პირის ქნაა“.

იგულისხმება, რომ ოწყა რეალური ფრინველი არაა (მისი არსებობა იციან, მაგრამ არავის უნახავს) და ნამდვილი მეგობრის მონახვა, ოწყას ძიებას ჰყავს.

A 410 და უკან არჯასპსავით მეშის გამშავებელი. B 506 ვისაც დაუჭერიათ უხერხო და მოყუარული, ანაყის მფრინველსავით პირი ბუდისაკენ შეუქცევია. C II, 17 და ვისცა უგვანი მოყვარე დაუმოყვარებია, ფასკუნჯს ფრინველსავით პირი ბუდისათვის შეუქცევიაო.

394. O 344 درگزار رخاارش بجای دسته ارغوان گل زعفران  
شکفته

„მისი ლოყების წალკოტში არღვენის თაიგულის აღგილას ზაფრანის ყვავილი გაფურჩქენილიყო“ (ე. ი. გაყვითლებულიყო).

A 415 მის პირის სახის წალკოტსა არღვენის ფერი ვარდის კონის მაგიერ ზაფრანის ყვავილი გაშლილიყო. B 509 სახის წალკოტში არღვეანი გამრავლებულა და ერთი კონა ზაფრანა ამოსულა. C II, 21 მისის პირის წალკოტსა შიგან არღვეანი გამრავლებული და ზაფრანა შეკონვილიო.

395. O 347. A 420 — . B 514 ლექსი: არ მინდა, რომ ერთს წამსაც უშენოდ ვიყო. C II, 25 უშენოდ შენით, უშენოდ შენით, წუთიც არ მინდა, მგონია შენით.

396. O 350 საბა თითქმის იმეორებს ვახტანგის ლექსს.

تندرستش مشمر آنکو رنج بیعاری کشد

„ვინც ავადმყოფობის ჭაფას სწევს, მას ჩანმრთელს ნუ დაუძახებ“. B 516 იგ თავსა მთელსა ნუ ეჭობს, ვინცა სნეულთა მქვერეტია. C II, 28 იგი თავს მრთელსა ნუ ჰგონებს, ვინცა სნეულის მქვერეტია.

397. O 351 قلب نام کرده اند - ი დაურქმევიათ".  
 ორიგინალში ზმაა: قلب — „ყ ა ლ ბ“ არაბულად გულსაც ნიშნავს და ყალბსაც (რიოშსაც). ქართულ თარგმანში ეს ზმა არაა გადმოტანილი. B 519 ამისთვის ყ ა ლ ბ ი დაურქმევიათ. C II, 31 ამისთვის რ ი ო შ ი დაურქმევიათ. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმაზე, რომ საბა ზოგჯერ უმიზეზოდ აუხირდებოდა ხოლმე ვახტანგის ტექსტს და ამით სცილდებოდა მას.

398. O 354 يك موی بریدن نما نده  
 „ერთი თმაც არ შემრჩენია ტანზე“.

A 426 უღონობით ტანზედ ბეწვი აღარ შემრჩა. B 522 ტანი სიმკლით ბეწვსავეთ შემქნია. C II, 33 ერთისა ბეწვისა სისხო ტანი აღარა მაქვს.

ვეფხს მღერი სჭირდა და ბევრი ქაეილის გამო ტანზე თმა აღარ შემრჩაო, ამბობს.

399. O 355 روه گفت ای سلیم دل پای داری و قوت رفتار هست  
 „მელამ უთხრა: ჰეი, გულუბრყვილოვ. ფეხი გაქვს და წასვლა შეგიძლია“.

A 428— . B 523 ეპა სალიმავ, გული ხომ ადგილსა გაქუს. C II, 35 ტურამ უთხრა: ეპა, მშვიდობავ! გული ხოჯ ხელთა გაქვს და წასვლა შეგიძლია.

სპარსული კომპოზიტი دل سلیم („გულუბრყვილო“) ვახტანგს ვერ გაუგავა, მისი პირველი ნაწილი سلیم მას გაუაზრებია როგორც მშვიდობა (مسل-ად მიუღია), ხოლო მეორე ნაწილი კა მიმდევნო ფრაზისთვის მიუკუთვნებია.

ასეთი შეცდომა მას სხვაგანაც მოსდის (იხ. C II, 38; O 357).

400. O 356 و هوای او چون طبله عطار بنسیم عنبر سارا و شمیم  
 مشک خالص مطيب و معطر

„მისი ჰაერი ნელსაცხებლის ოსტატის ტაბლის მსგავსად თავის ამბრის სურნელებით გაჟღენთილ ნიავს ხალას მუშკს ატანდა“.

A 429— . B 524 მისი აერი ათარის კოლოფსავეთ ამბრის სული ნიავი და ქარ მუშკის სულისა ბერევედეს. C II, 36 მიაი ჰაერი ათარისა კოლოფისაებრ ნიავსა მუშკ-ამბრის სუნელება მოჰქონდეს.



401. O 357 اى سليم دل „ქეი. გულუბრყვილოვ“.

A 430 — . B 523 ტურამ უთხრა: ეპა სალიმავ. C II, 38 ეპა, მშვიდობავ (მღრ. C II, 35, 0355).

402 C II, 38 ერთისა ტილისმისა ნახვითა საუნჯის პოენისაგან ხელაღებული (შექნილხარ), ჟერეთ ეკლისა საწერტელი არ გენახა, ვარდისა ზროსა მღერასა მოშორდი.

რედაქტორთა მიერ ჩამატებული (შექნილხარ)საქირო არაჲ, რადგან ხელაღებული შეთანხმებულია მოშორდი ზმნასთან.

403. O 358 باوى الفتى گرفت „მას წაუთამამდა (მას გაეწყო)“.

A 431 დასუნა და ნახა. B 527 რამთონიე ლომის გარშემო ძოვნა დაიწყო. C II, 39 რა ხანსაც ლომისა მიდამოსა ძოვდა.

ჩანს, ორიგინალის الفتى (სიყვარული, ამხანაგობა, წათამამება) ვახტანგმა გაიგო როგორც علف (ზალახი საქონლის საკვები).

404. O 359 ميدانم که دل بر تجرع شربت تلخ فراق بايد نهاد  
و تن را سير تيغ زهر آبدار هجران بايد ساخت

„ვიცი, რომ გული განშორების მწარე შარბათის ყლაკვას უნდა შეუდგეს და ტანმა განშორების ელვარე მახვილის ფარი უნდა გაიკეთოს“.

A 433 — . B 529 ვიცი, რომ გული თერიაყის მწარეს შარბათის ფილას უნდა ემოყუსო და ტანი შხამიანის გაყრის კრმლის ფარად უნდა გაეხადო. C II, 40 ვიცი, თერიაყის გული სამსალის ფილას უნდა მოაელოს და გესლიანი გვაში გაყრის ზრმლის ფარდაგად შეიცვალოსო.

405. O 361 باب ششم در آفت تمجیل و ضرر شتابزدگی در کارها

„კარი მეექვსე აჩქარების ზიანისა და საქმეში სულსა წრათობის [სგან მოყენებული] ზარალის შესახებ“.

A 434 კარი მეექვსე სისწრაფისა და აჩქარებისათვის ბოლოს სინანულის. B 530 საქმის გაუშინჯაობისა და ბოლოყამს ზიანისა. C II, 42 კარი მეექვსე საქმის გაშვებისა და ბოლოს ზიანი მისი.

406. O 362 و لو كنت فظا غليظ القلب لا نفضو امن حولك

ეს არაბული წინადადება და მომდევნო ექვსამდე სტრიქონი სპარსული ტექსტისა საბას ვერსიაში არ იკითხება (C II, 43). ჩანს, როგორც რჯულის საწინააღმდეგო, გამოტოვებულია.

A 435 ღმერთმან უბძანა მოციქულთ: რადგან თქვენ იყვენით მრავლის კეთილის ზნეობით სრულნი, მისთვის შემოვკრიბე თქვენზედან ერნი მრავალნი და დაგამორჩილე როგორათაც უბძანა აბრაჰს უფალმან ჩვენგან, რომელიც იყოს გულით კეთილი და წმინდა, ისი უყვარს გულსა ყოველთასა კაცთაგან.

407. O 364 باران رسیده عمارت بسا خلیا, წვიმა რომ ატანს ისეთი“.

B 533 წვიმის დაუქერელი სასახლე. C II, 45 სახლია წვიმის დაუპყრობელი.

408. O 364 ქაშეფი აძაგებს ორმოცდაათ წელს გადაცილებულ ქალს, საბა კი ასაკის მიხედვით არ მსჯელობს ქალთა სიავეკარგეზე, არამედ მათი ხასიათის მიხედვით. ამის მომდევნო, და, კერძოდ, ცნობილი ხუთსტროფიანი ლექსის (მას ა. ბარამიძემ პირობით „ქალი“ შეაჩქვა) ვახტანგისეულ თარგმანს მერვე სტრიქონის შემდეგ აკლია ორიგინალის ერთი ბაითი (ორი სტრიქონი) კერძოდ ასეთი:

مبین دلفریش چون حور بهشت  
کز آن روی دیگر جودیاوست زشت

„ნუ უყურებ მას სამოთხის ჰურიის დარად, რამეთუ მეორე სახე აქვს ქაჩვიით საზიზლარი“, რაც საბას ვერსიაშიაც არ გვხვდება (C II, 46).

409. O 367 سالی را بیست و پنج شوند

„წელიწადში ოცდახუთნი გახდებიან“.

A 441 შეიქნების წელიწადში ოცდახუთი. B 536 წლის თავს ოცდახუთი შეიქნება. C II, 49 და წელიწადისა გასრულებასა ოცი შეიქნების.

410. O 368 سالها اندیشهها پختیم کز دور سپهر

کار ما آخر چنین یا اینچنان خواهد شدن

یا بر این منوال گنج سیموزر خواهیم داشت

یا در آن اقلیم حکم ماروان خواهد شدن

عاقبت معلوم شد کانه خیالی بیش نیست

هرچه خواهد حاکم مطلق همان خواهد شدن

„წლების [მანძილზე] ვფიქრობდით, რომ საწუთროსაგან ჩვენი საქმე ბოლოს ასე ან ისე იქნებაო. ან აქ შევიძენთ ოქროს და ვერცხლს, ან იმ მხარეში ვიქნებით მბრძანებელიო. ბოლოს გაირკვა, რომ ტყენი

მხოლოდ ფუჰი ოცნებაა, — რაც უზენაეს მბრძანებელს უნდა, ის მოხდება“.

A 442 — . B 535 — . C II, 49 —

411. ორიგინალში ეს ადგილი ლექსია, ზემომოტანილი და მომდევნო ლექსების გამაერთიანებელი ბაითია.

0 373 شتاب در خطری افکند که گر صد سال  
تو دست و پای ز نی زان خطر برون نا ئی

„აჩქარება ისეთ განსაცდელში ჩაგაგდებს, რომ თუნდაც ასი წელი ხელი და ფეხი იქნის, ვერ გამოხვალ იმ განსაცდელიდან“.

A 447 ლექსია. C II, 55 სიჩქარე კაცსა ესეთსა მთხრებელსა ჩააგდებს, ასსა წელსა ეცადოს, ველარ ამოვიდესო.

საბა, ამ მხრივ, იმეორებს ვახტანგს (B 542).

412. C II, 57 აქ თარგმანს აკლია ორიგინალის ათზე მეტი სტრიქონი (0 374—375).

و مهر و کین اهل ز مان... ضوح میابد

A 448 ამ სოფლის პირმაფერებელი და გულმანკიანი გავს ქელ-მწიფის ერდგულთა ანუ პირსა ლამაზთასა, ანუ ყრმაწურთა კმათა, ანუ ღიათის მინდობასა, ანუ მიჯნურთ ხელთა სიყუარულსა, ანუ მთურალსა გამცემელსა, — ამათში არცერთს არა აქუს ეპთიბარი და მინდობა. (ლექსი)

ვისთანმე მოყურობის ალერსი კარგია,

მაგრამ მის პირობას არა აქუს მინდობა.

მრავალთ იქნების მოყურობა და მუსაიბობა განწყობილი და შეზავებული და დასრულებული და მოკეთობის საძირკულის თავი ამალღებული ცამდის, მაგრამ ეს სოფელი ანაზდად ჰკრავს თვალსა და დააქცევს და წაქდების მათი მაყურობა და მეგობრობა. და ასეთი იქნების, რომ იყოს ძველათგან მტერი. მას მცირედის საქმით უალერსო და გული მოიგო, შეიქმნების მტკიცე მოყუარე. ჰკუა და სიკეთე ის არის, რომე კაცმა კარკაცობის გზა არ დააგდოს და მტერთაც უმოყუროს და მით მოაქციოს და გაუმოყურდეს. კაცი მტრისაც უნდა იყოს მწყალობელი და არც ღიად მოყუარეს უნდა მიენდო, რომე მცირე საქმეზედ გარდაგაგდებს და დაგემტერება. B 541 — .

413. O 379 بر کیناست و فراست تو پوشیده نماند

„შენს მიხედრილობასა და გამპკრიახობას არ დაეფარება“.

A 455 ახლა ეს დამიჯერე. მე და გულის ჰმა ყავ. B 547 შენს მეცნიერობასა და ცოდნას არ დაეფაროს. C II, 62 შენსა მეცნიერებას ესე ფარული შეექნას.

414. 0 379 سخن بشنو و بحسن سیرت و طهارت سریرت من  
واثق باش

„სიტყვა მოისმინე და ჩემი ზნის მშვენიერებასა და  
საიდუმლოების სისპეტაკეს ენდეო“.

A 456 ძმაო, არ არის დრო და ეამი ფიქრისა, დამიჯერე ეს  
ჩემი მონახსენები. B 547 ჩემი სიტყუა გაიგონე და ჩემის სა-  
სირცხოს მფარველი შეიქენ. C II, 62 ჰე, ჩემი სი-  
ტყუა მოისმინე და ჩემთა აუგთა დაფარვა მიქენო.

415. 0 379 میدانم که بردل تو روشن شده که قول من از عمل  
قاصر نیست

„ვეფირობ, შენთვის ნათელია, რომ ჩემი სიტყვა საქმენს  
არ ჩამოუვარდება“.

A 456 მე ვიცი, ჩემს სიტყუას დასჯერდები კი-  
დეც. B 547 ჩემი საქმე ქადილისაგან მოკლე არის.  
C II, 63 მე მგონია, შენ ესრე დაგენახოს, ჩემი საქ-  
მე ქადილზედ უმოკლესი იყოს.

416. 0 380 بندهای تو بردارم

„შენს ფებს ბანდს აეხსნი“.

A 457 მერმე გავსჯრი ბადესა შენსა. B 548 მე  
ფარალათობის კრულეზას შენის ფეკილამ ავი-  
ლებ. C II, 63 შენის თათისაგან მე შვევა მომე-  
ცესო.

417. „ქილილა და დამანას“ ორიგინალის პროზაულ ნაწილში ნა-  
თქვამს ხშირად პირწმინდად იმეორებს მომყოლი ლექსი. საბა ასეუ  
პროზაულ ადგილს ზოგჯერ არ თარგმნის (0 380; A 458; C II, 64).  
აქ კერძოდ, თარგმანში თავიდან აცილებულია ფასკუნჯისა და ალქი-  
მიის შედარებანი.

418. 0 381 هیچ صاحب نظر پرتو التفات بر آن نیاندازد

„არავინ თვალთახედვის პატრონი მას მოწყალე სხა-  
ვებს არ ესვრის“.

A 458. — . B 549 არა აღტქმის პატრონი სანახაედ მაზე  
თვალს არ მიადგამს. C II, 64 პაემნისა უფალი მზე მას კვრე-  
ტად თვალსა არ მიადგამს.

ვახტანგისეული მაზე საბას შეცდომით წაუკითხავს როგორც  
მზე.

نقش آمیزی باصد رنگ چون نوبهار و عشوه فروشی 0 381  
باهرار نیرنگ چون روزگار

„ახალი გაზაფხულის მსგავსად ასი ფერით ხატავდა იქაურობას და საწუთროს მსგავსად ათას თვალთმაქცობით კეკლუცობას ჰყიდიდა“.

A 459 როგორც ეს სრულ და მუხანათი სოფელი ეგრეთვე დიაცი, მისი მეუღლე მუხანათი და მიუნდობელი. B 550 ასფერსა ახალს გაზაფხულის ღრუბელსავით შავსა ჰყიდა. C II, 65 ახალგაზაფხულისა ასფერსა ღრუბელსავით დაფანულს სიშავესა ჰყიდა, რომელი დროსა და ეამისა მსგავსად ათასრიგად გულსა დაუკოდდა.

რატომაა ვახტანგისა და საბას ვერსიები ასე დაშორებული ორიგინალს? საიდან გაჩნდა ეს ღრუბელი და სიშავე? მათ ჩვენთვის ცნობილ სპარსულ რედაქციებში ვერ ვხვდებით. ვფიქრობთ, ვახტანგს ტექსტი სწორად ვერა აქვს ამოკითხული. ორიგინალის عشوه-ს („კეკლუცობა“) მისეულ სპარსულ ნუსხაში ალბათ წერტილები არ ესეა. მარცხნივ გადაბმული აინი ადვილად აერევა გამოუტდელ კაცს ასეთსავე მიშში. ცალკე დაწერილი ჰაე ჰევეზი ჰგავს დალს. ასე რომ, ვახტანგს ნაცვლად ზემოთ მოტანილი სიტყვისა, შეიძლება ამოკითხოს سود რაც მართლა ნიშნავს შავს, მაგრამ არა საერთოდ შავ ფერს, არამედ შავად ნაწერს (черновик), რაც საბას თავის მხრივაც ვერ გაუგია სათანადოდ. ვფიქრობთ, ასეთივე გაუგებრობის შედეგია ღრუბელი. ნასთალიყით დაწერილი باهرار ჰგავს با-ს, რადგან ამ ხელში მარცხნივ გადაბმული ჰაე ჰევეზი გადაბრუნებული მძიმის მსგავს ნიშანს მოითხოვს, რაც ბაში შეიძლება აერიოთ. ზას შეცდომით ხშირად წერენ წერტილის გარეშე (გაკრულ ხელში მისი დასმა ავიწყლებათ). ასე რომ, ნაცვლად باهرار-ისა მივიღეთ با-ს, სადაც არ ღრუბელია, ხოლო ბა (ب) ნაწილაკი. ეს რომ ასეა, ჩანს იჭიდანაც, რომ არც عشوه-ს და არც باهرار-ის მნიშვნელობა ვახტანგის თარგმანში არ არეკლილა.

420. ამბრი ანუ მუშკი (جوگان مشک 0 384) თმის შავი კულუ-ლია, ბურთის ჩოგანი ანუ ყვანჭი დღევანდელი ჰოკეის სათამაშო ჯოხს ჰგავდა, თავში ბრტყელი იყო და მოღუნული.

121. 0 384 چون چشمش بردو آهوی صید افکن آن شهر اشوب  
افتاد از کمان ابروی او خدنگ دلدوز بهدف سینهاش رسید واگر  
چه قصد شکار داشت خود بدام عشق گرفتارش

„როცა მისი თვალი იმ [სილამაზით] ქვეყნის ამ აფორიაქებულ  
ლისორ შველს ეცა, მისი წარბის შვილდისაგან გულის-  
გამგმირაეი ისარი მისი მკერდის სამიზნეს მოხვდა და თუმცა  
[თვითონ] ნადირობა უნდოდა, თავად გაება სიყვარულის მახეში“.

A 464 ეძებდა ნადირსა და რა ნახა ის ტურფა და შვენიერი დრ-  
აცი, მისის სურვილით თვითვე იქმნა ნადირი დამშურალი და მის წარ-  
ბთა მშვილდმან და წამწამთა ისარმან დაუკოდა გული, და იმა ყრმის  
წადილი იყო შეპყრობა ნადირისა, მაგრამ თვითან შეიპყრა ბადესა  
ეშყთასა. C II, 69 რა თვალნი ორთა მათ ნადირთა მწოლარეთა მიად-  
გა, მშვილდისა მსგავსისა წარბითა ესეთი გულისა შემკერაეი ისარი  
მკერდისა ნიშანსა მოახვედრა, რომე მონადირე სურვი-  
ლისა მახესა გააბა.

422. O 385 سرى دارم که سامان نيست اورا

„საიღუმლოება მაქვს, რომელსაც საზღვარი არ გააჩნია (დიდი  
საიღუმლოება მაქვს)“.

A 464 მე ის ვარ, რომე არა აქუს თავსა ჩემსა სარანჯამი.  
B 554 ერთი თავი მაქუს. C II, 70 ერთი თავი მაქვს, არ უს-  
ხენ მას გარეშემო სამანი.

ორიგინალის سر (საიღუმლოება) ანონიმსა და ვახტანგს  
შეცდომით გაუგიათ როგორც سر (თავი). საბა იმეორებს ვახ-  
ტანგის შეცდომას.

423. O 385 و ليا سم اين است که مي بينى

„და ჩემი სამოსი ესაა, რასაც ხედავ“.

A 465 — . B 554 ჩემი ტანისამოსის სიმაგრის ჟავარა,  
ამას რომ ხედავ. C II, 70 ჩემის სამოსლის ჟავარი რა-  
ამას ხედავს.

424. ორიგინალში მოხუცი ცოლს ეუბნება: შენს საქციელს-  
ინანებო (O 386). A 466 შე უღმერთო და უხატო, ამ შენს პირობას  
ნუ გასტეხ, თვარა ბოლოს შენს გზასა და უღურს ავად მოუა. ნუ წა-  
ხვალ, თვარემ დაინანებ და ველარას მიეწევიო.

ამიტომაა ტექსტში: ცოლმა მისსა სიტყვასა ყური  
არა უპყრა (C II, 71).

425. O 388 تا غبار آن از پيش ديدم تدبير من مرتفع نشود

„სანამ მისი მტვერი ჩემი რჩევის პირიდან არ აღგება“.

A 469 — . B 558 სანამდის ის შიშის მტვერი თათბირის მთვარის წინადად არ გაიბნოს. C II, 75 ვიკე მის შიშის მტვერი რჩევისა მთოვარისა პირიდად არ მოიბანებოს.

ჩანს, ორიგინალის من (მეუ. აქ: ჩემი) ვახტანგმა წაიკითხა როგორც ما ان ما (მთვარე).

426. C II, 75 მე შენისა... აქ აკლია ორიგინალის ათიოდე სტრიქონი (O 388—389).

427. O 390 گاه در مرتبه مباحثه نشاط بگسترند و گاه در مملکت مخالفت بنظر تالافتای در جانب یار نگرند  
„ხან ტვილ საამოდ ლხინის ნოხს გაუშლიან, ხანაც საავოდ გამზადებულნი, დასაღუპავად ავი თვალით უშვებენ მეგობარს“.

A 471 ხან იქით იქნება და ხან აქათ. B 559 ხან შუამავლით ლხინის საფენს გაშლიან და ხან მრუდობის ხარისხით დაუნახავის კაცის თვალთ საყუარლად ჩანან.

C II, 76 ხან შუამდგომელით ლხინისა და იფენენ და ხან სიმრუდის ხარისხით კაცის თვალთა უხილავად საყვარლად ჩანან.

ჩანს باط (ნოხი) ვახტანგს გაუგია მისი გადატანითი მნიშვნელობით (ლხინი).

428. C II, 76 გამომებნოსო... აკლია ორიგინალის ათიოდე სტრიქონი (O 390).

429. O 393 تود از صحبت من برداری  
„შენ ჩემს მეგობრობაზე გულს აიყრი“.

A 472 — . B 562 შენ გული ჩემის ალერსისა გაანაიღე. C II, 78 შენ გულით მე გამწირე. ჟერ საამისო არაფერი უქნია კატას.

430. O 393 هوای طمع “ვნება“.

A 473 — . B 563 გუნების აერო. C II, 79 მისის გონების ჰაერი.

431. C II, 79 გულისა ნარდსა იმღერდენ, ერთმანეთს მიუგებდიან, ეშმაურს გულით გაგვიდენ, სულს მადლსა შეუკრებდიან. O 393. ორიგინალში კიდევია ორი ბაითი.

غوک نزد موش دلشاد آمدی  
پنج ساله قصه اش یاد آمدی  
جوش نطق ار دل نشان دوستی است  
بستگی نطق از بی الفتی است

„ბაყაყი ლალად ეწვეოდა თავეს. ხუთი წლის ამბავს იგონებდა. გულისგან სიტყვის ამოფრქვევა მეგობრობის ნიშანია, სიტყვის მოკვეთა უმოყვრობისგანაა“.

A 473 და ერთმანერთის სიტყუას გულში დაითესვიდენ და იყო მათში კაი მოყურობა და მუსაიბობა, და როდისაც თავგი მოვიდის, დიდს თავაზას უზემდის და ელაპარაკის და ათი-თორმეტის წლის ამბავს მოიგონებდის და უამბობდის, რომე ლაპარაკი და შექცევა მოყურობისა და მუსაიბობის ნიშანია და თუ არ ელაპარაკოს და არ უთავაზოს, სამღურავის ნიშანია.

ეს ლექსი, როგორც ერთხელ უკვე ვთქვით, ჭელალ ად-დინ რუმის ეკუთვნის.

432. C II, 82 „ბრძოლასა მოერიდოსო“... ამის შემდეგ თარგმნილი არაა ორიგინალის რამდენიმე სტრიქონი. (O 396).

433. O 398 *وى جو عقل اولين يا تا بسر فضل و هنر*

„ეპე პირველ სიბრძნესაც თაეიდან ბოლომდე სრულქმნილო“.

A 478 სიბრძნით დასრულებული და სიტყუა უტყუერად მბობელო. B 566 ეპა, პირველთა ბრძნეთაებრ ფეჭით თავამდის მცოდნევ. C II, 83 ცნობით სოკრატის უბრძნესო, ათილას უმეცნიერო.

434. C II, 86 მშვენიერი, ვითა მთვარე, მანათებლად აღმობრწყინდა, კაცთა თვალთა უნახავნი ნახვად ვითმცა მოიწყინდა.

ორიგინალში კიდევ არის ორი ბაითი (O 399).

435. C II, 89 „ხამს მოელოდენო“... ამის შემდეგ აკლია ორიგინალის ხუთიოდე სტრიქონი (O 402).

436. O 403 *ابى را كه تخم حنضل كاشت*

„რეგვენს, რომელმაც დვარძლი დათესა“.

B 571 ერთმა მუშამ რომ ანთალის თესლი დასთესოს. C II, 89 ვინცა მუშაკი სთესვიდეს თესლად ნათალსა ხისასა.

როგორც ეს ალ. ბარამიძეს აქვს შენიშნული<sup>46</sup>, საბას ვახტანგისეული ანთალი ვერ გაუგია და ხის ნათალად გაუაზრებია. ანთალი კი აქ დვარძლს ნიშნავს.

437. O 403 *قه شر* „ქალაქი რიყე“.

A 484 ქალაქსა არაბისასა. B 571 არაყის ქალაქში. C II, 89 არაყის ქალაქში.

<sup>46</sup> ალ. ბარამიძე, ნაკვეთები, I, გვ. 331.



438. C II, 89 პირის ნაყოფი. აქ პირი პირიანობას ნიშნავს.  
B 571 კარგი საქმის და პირის ნერგი.

439. O 403 کانس «დანადელ» „დანადილ“ („გულითმეცნიე-  
რი“) („დანა“—„მოდნე“, „დელ“—„გული“). (C II, 89).

440. O 403 بيت الحرام („აქრძალული, ე. ი. დატული, წმინდა  
სახლი“) ქაბა, ტაძარი მექაში.

A 484 ქაბასა. B 571 ქაბას. C II, 89 იერუსა-  
ლიმს.

საბა ქრისტიანობას უფარდებს ისლამურ რეალიებს.

441. თუთიათი მკურნალობდნენ თვალს. C II, 90 თუთიად ვი-  
ოლეოო.

442. აზრი ასეთი უნდა იყოს: მისს მშვენიერს ნერგს სიციხის სიმ-  
ხურველისაგან უწყლოობა დააჩნდა (C II, 93).

443. ორიგინალშიا مهتی „მეჰსეთი“ (O. 407) საკუთარი  
სახელია. C II, 94 მასნათი.

444. C II, 94 მხოლოდ ექვეს სტრიქონია ლექსისა, რომელიც  
C 407-ში 10 სტრიქონს შეიცავს გალექსილს, დანარჩენი პროზითაა:  
„ესრე არის, საჭირო... არ გაიმეტოსო“ (C II, 95). თავისთავად „ქი-  
ლილა და დამანას“ ეს ლექსი მოდის ნასრ ალ-ლაჰის რედაქციიდან,  
სადაც მთელი ამბავი ლექსადაა:

داشت زالی برو ستای نکاو  
مهتی نام دختری و سه گاو  
نوعروسی چو سرو نوبالان  
گشت روزی ز چشم بد نالان  
گشت بدرش چو ماه نو باریک  
شد جهان پیش پیر زن تاریک  
دلش آتش گرفت و سوخت جگر  
که نیازی جزاو نداشت دگر  
از قضا گاو زالک از پی خورد  
پوز روزی بدیگش اندر کرد  
ماندچون پای مقعد اندر ریگ  
آن سرمرده ریگش اندر دیک  
گاو مانند دیواز دوزخ  
سوی زالک شتافت از مطبخ  
زال پنداشت هست عزرائیل  
بانگ برداشت پیش گاو نبیل

ملك الموت من نه مهتيم  
 من يكي بير زال محتيم .  
 گرترا مهتيم همي بايد  
 اينك او را بير مرا شايد  
 اوست بيمار من نيم بيمار  
 من درستم مرا بدو مشمار  
 بي بلا نازنين شمرداو را  
 چون بلايد در سپرد او را  
 بجمال نكو بد و بد شاد  
 بخيال بدش ز دست بداد  
 تا بداني كه وقت پيچا پيچ  
 هيچ كس مر ترا نباشد هيچ<sup>47</sup>

„სოფელ თავაჯში ერთ დედაბერს ჰყავდა ერთი ქალიშვილი, სახე-  
 ლად მეჰსეთი და სამი ძროხა. ახალმოწიფული ქალწული, საჯროს:  
 მსგავსი, ერთ დღეს ავი თვალისგან დაეარდა. მისი ბადრი [სახე] ახალ  
 მთვარესავით დაილია, ქვეყანა დაუბნელდა მოხუც ქალს. გულზე:  
 ცეცხლი მოეკიდა და ღვიძლი დაეწვა, რამეთუ მასზე ძვირფასი არა-  
 ფერი ებადა. ერთხელ მისმა ძროხამ საქმელისთვის მის ქებაში ჩაპ-  
 ყო ცხვირი. კოკლს ფეხი შლამში რომ ჩაურჩეს, ისე გაეკეცა თავი:  
 იმ თავმკვდარს ქებაში. ჯოჯოხეთის ტარტაროზის მსგავსი ძროხა სამ-  
 ზარეულოდან დედაბრისაკენ გაქანდა. ქალმა იფიქრა, იზრავლიაო!  
 დაუკივლა ძროხას: „სიკვდილის ანგელოზო, მე მეჰსეთი არა ვარ, მე:  
 ერთი საწყალი დედაბერი ვარ. შენ მეჰსეთი თუ გინდა, აგერ ისა,  
 დამითმია შენთვის! ავად ისაა, მე არა ვარ ავადმყოფი, მე სალ-სალა-  
 მათი ვარ, ის არ გეგონო!“ დაღბინებულ სათნოდ თვლიდა მას, რომ  
 გაუჭირდა. გასწირა იგი. სილამაზით კარგი იყო და იყო მხიარულა,  
 ავი ზრახვით ხელიდან გაუშვა. იცოდე, განსაცდლის უამს არავინ  
 არათერში არ გამოგადგება“.

საერთოდ ქაშეფი მისდევს ნასრ ალ-ლაჰს, იმეორებს მას თით-  
 ქმის მთლიანად (ფრაზობრივადაც), მაგრამ შიგადაშიგ მაღალფარ-  
 დოვნებისთვის ურთავს ფრაზებს საჯის სტილით, ურთავს ახალ არა-  
 კებს, ხოლო როგორც ვნახეთ, გამოიყენებს ნასრ ალ-ლაჰის წიგნში  
 ჩართულ ლექსებსაც. მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნასრ ალ-ლა-  
 ჰის წიგნში დაცული სპარსული ლექსებიც მის ავტორს არ ეკუთვნის.  
 ყველა ისინი მას ნასესხები აქვს. ამ ლექსზე კერძოდ („დედაბერი

<sup>47</sup> گلله و دامنه 244 გვ.

და შისი სწეული ქალიშვილი“) თვითონ ნასრ ალ-ლაჰს აქვს ნათქვა-  
ში სენაის ეკუთვნისო<sup>48</sup>. ე. ი. ჰერ კიდევ ნასრ ალ-ლაჰია კომპილატო-  
რი, ხოლო ქაშეფი მის კომპილაციებს იყენებს.

რაც შეეხება საბას, იგი აქ სენაის პირველი ქართველი მთარგმ-  
ნელი გამოდის.

445. O 407 رحله قوت من بدان گرانبار شده تحمل بار دینگر ندارد  
„ჩემი ყუათის (ძალის) სახედარი ისე დატვირთულა. რომ მეტი  
ტვირთის ზიდვა არ ძალუძს“.

A 487 — . B 577 ჩემის ყუათის წაღება გასკირებია. C II,  
95 ჩემსა წამლებსა ჩემისა ყუათისა წაღებაცა არა ძალუც, არა-  
თუ სხვადა ტვირთისა აცილება შეეძლოსო.

ყუარი ორიგინალის ყუათს უკავშირდება. საბას ვერ ამო-  
უყითხავს კარგად ვახტანგის ხელნაწერი.

446. ორიგინალის 10 სტრიქონი (O 408) „ხელმწიფე და მგოს-  
ნის“ წინ ქართულ ვერსიაში არ იკითხება (C II, 95).

447. O 414 از درخت بخت چون گل نشکفت گلهای وصال  
درسانان جدائی خارهم دریا خوش است

„ბედის ხისაგან თუ მიწამ არ ააყვავდა შეერთების ყვავილი,  
ვანშორების უღაბნოში ფეხში ეკალიც საამოა“.

A 494 — . B 584 როსაც ბედნიერობის ხისაგან შეყრის ყუავე-  
ლი გაიშალოს, მე ის მიჯობს გაყრილობის მინდვრის ეკალი ფეკში  
შქონდეს.

C II, 108 თუცა ბედისა ხისაგან აყვავდეს შეყრის ვარდია,  
გაყრავე მიჯობს, ველთა ვლა, საღ ქაცვია და ბარდია.

447. O 416 صحبت چو چنین است جدائی خوشتر

„როცა მეგობრობა ასეთია, გაყრა სჯობს“.

C II, 105 უგვანს ალერსსა გაყრა სჯობს, — არისტოტელის  
თქმულია.

არისტოტელი აქ ბრძენის სინონიშია.

448. C II, 107 ამ არაკს უკავშირდება ალბათ უშუალოდ თუ  
არაპირდაპირ თქმა: „მგლის თავზე სახარება“.

449. O 418 مكرم اخلاق را ملازم گرفتني

„კეთილშობილებას ემსახუროს (სიკეთე თავის ბუნებას ამსახუ-  
როს)“.

<sup>48</sup> გვ. 244 «كلیله و دمنه». ბერტელსს შემჩნეული აქვს, რომ მექსეთის დედის  
იგავი „ანეარ-ე სოპალიში“ იკითხება და ფიქრობს: შეიძლება ეს იმავე რულაქას  
აქილია და დამანაშიც გვექონოდო. (E. Э. Бертелс, История, გვ. 425).

A 496 მკოდნიერობას და სიკეთეს ელტოდეს. B: 589<sup>ა</sup> კარგის გუნების ყმა იყოლიოს. C II, 108 კეთილგონების მოსამსახურე იყოლიოს.

450. 0 418 آداب معاشرت را در همه اوقات نگاهداشتن

„თანაცხოვრების წესის ყოველთვის დაცვა“.

A 496 სიმხიარულის გზა არ დაივიწყოს. B 589<sup>ა</sup> ლხინისა და ალერსის რიგი ყოველთვის იცოდეს. C II, 108 ლხინისა და ალერსის რიგი იცოდეს.

451. 0 419 وکاک با فروغ سمک قدم بندرو دکان ناه

„და შოთს ვარსკვლავის სიღვარიით ფეხი ღუქნის თაღზე შეედგა“.

A 497 ღიად თეთრი პური ეწყო ბროლივითა. B 589 შიმშილობის სიბნელე მიწიღამ აეღო და ფეხი სიბრწყინვალით სიმაღლეზე დაედგა. C II, 109 შიმშილობის სიბნელე მიწიღამ აეტაცა და სიბრწყინვალისა ფერხი სიმაღლეზედ შეედგა.

452. 0 419 سؤر سنگ پخت گریبان نان تنگ دریده

(ქვაზე) „ნამცხვარს ლავაშის საყელო ჩამოეხია (ნამცხვარს ლავაში გაეწბილებინა“).

A 497 — B 589 კენჭის სიმხურვალეს პურის საყელო დაეხია. C II, 109 კენჭებითა სიმხურვალესა პურისა საყელო დაეხია.

453. C II, 110 რუ. ორიგინალშია ტიგროსი (0 419 دجله).

454. 0 420 که ملک دانست که „მეფე მიუხვდა რომ...“

A 497 მეფემ გაიგონა და სცნა, რომ...“ B 591 კელმწიფემ შეიტყო. რომ ხერხის ნემსით... C II, 110 ხელმწიფემ დაიჭეროს, რომე...

აქ იმაზეა ლაპარაკი, რომ ხელმწიფე უკვე დარწმუნდა კაროს ვერ იგდებდა ხელთ. მომდევნო მისი სიტყვა ამას ადასტურებს.

455. 0 421 واگر قضیه منعکس گردد هم دوستان عنبر می پذیرند  
و هم طاعتان مجال و قیعت نمی یابند

„და თუ მდგომარეობა შეიცვალა, მეგობრებიც მიიღებენ ჩვენს ბოლიშს და მკაცვდრებელთაც არ მიეცემათ სალაპარაკო“.

A — ხელნაწერში 497-სა და 498 გვერდს შორის აქლია ამ არაკის დასასრული და მომდევნო არაკის დასაწყისი. შეცდომითაა ფუ-

რცლები გადანომრილი. B 592 თუ რისხვით მოსავალი გამოიცავ-  
ლოს, მოყუარეთანაც ბოდიში მოითხოვება და მყვედრებელთ ყვე-  
დრებას მოსავლის დრო არ ექნება. C II, 111 და თუცა მოსავებელი  
სარისხველად შეიცვალა, მოყვრებთან ბოდიშსა მოვითხოვ — მყვე-  
დრებელთ ყვედრებისა სიხშირე აღარა ხამს.

456. O 421 روى بکوه و داشت نپادو مى گفت

„პირი მთასა და ველს დაადო და ამბობდა“.

B 592 პირი კოშკისაკენ ქნა და თქუა. C II, 112 პირი  
მას კოშკსა მიაპყრა და უთხრა.

შეპირებული მეფე პირს სწორედ მინდორს დაადებდა და არა  
კოშკს.

457. O 423 اگر خلق بدانند که کام جان ما بچاشنى عفو چه لذت  
يابد هر آينه جز جرم و جنايت هد يه اى بدرگاه ما نيارند

„ხალხმა რომ იცოდეს, თუ მიტევების წვნევაში ჩვენი სულის სასა-  
რა სიამოვნებას პოულობს, გარდა დანაშაულისა და შეცოდებისა  
არასოდეს არაფერს მოგვართმევდნენ სასახლეში“.

C II, 115 თუცა ერისკაცი სცნობდენ, ჩვენისა სულისა გონე-  
ბას, წყალობის ქნასა რა გემო აქვს, ჩვენს კართა ორგულობისა და  
შეცოდებისა კიდე არარასა მოიღებდენო.

458. O 424 بنوشیدن شربت „შარბათის სმაზე“.

B 594 შარბათის ჭამის სმაზე გამოცხადებული შეიქნება.  
C II, 115 სასმლის ბიდახი სმაზედ გამოცხადებული შეიქნე-  
ბისო.

უნდა გასწორდეს: სმაზე.

459. O 424 اما لطف بر وجوى بايد که سمت ضعف ند اشته  
باشد و عنف چنان شايد که ازو سمت ظلم خالى بود

„მაგრამ წყალობა იმგვარი უნდა იყოს, რომ მისი ხარისხი არ  
დაკნინდეს და რისხვა ისეთი ხამს, რომ მტარველობის ჩირქი არ-  
ჰქონდეს მოცხებული“.

B 594 მაგრამ მოწყალება ასეთის რიგით უნდა, რომ გამგონ-  
თში მკლედ არ გამოჩნდეს. C II, 116 მაგრამ მოწყალება ესეთის  
წესით ხამს, რომე მსმენელთა ყურთა უსრულად არ  
ნიემას; მისაცემელი ესეთი ჭერარს, ნაძალადევი მას შიგა არ  
ერიოს რა.

ჩანს, ვახტანგმა سمت („ხარისხი“) წაიკითხა როგორც سم  
(„სმენა, მოსმენა“).

460. C II, 116 ინახევდა ჭიმშედ ჯართა შიშ-იმედთა შესაჯართა. — ამის შემდეგ აკლია შვიდიოდე სტრიქონი (O 424), ისლამის ღოგმების შემცველი.

461. C II, 116 ...თვითვე მოაქციოსო. — ამის შემდეგ გამოტოვებულია ორიგინალის ოთხიოდე სტრიქონი (O 424—425).

462. O 4 26 فرسه („ჭარისა“).

A 498 ფირისტა. B 596 ღერისა. B 615 ფირისა. ფირისტა. C II, 118 ვირისა. სქოლიოში: „ღერისა C“.

463. O 427 روی از دنیا بگردانیده و پشت بر تعلقات بیاصل او آورده „პირი ქვეყნისგან ექცია და ზურგი მის მოუსავლიან ადგილისთვის (უღაბნოსთვის) მიეყრდნო“.

A აკლია. B 596 ზურგი უ მოსავლოსათვის შეექცია. C II, 118 და ზურგი მოუსავლობისათვის მიეპყრა.

464. O 427 چون نمی دانید که دی گذشت و باز نباید „როცა არ იცით. რომ გუშინდელი დღე წავიდა და კვლავ არ მობრუნდება“.

A აკლია. B 597 რადგან იცით, გუშინდელმა დღემ გაიარა და აღარ დაბრუნდება. C II, 119 რადგან შეგიტყვიათ, გუშინდელს დღეს გაუვლია და აღარ მოიქცევა.

ქართული თარგმანის წაყითხვა სჯობს.

465. O 428 امروز که قوت دارید میتوانید

„დღეს რომ ძალი შეგწევთ, შეგიძლიათ...“

A აკლია. B 597 დღეს რომ გარჯის მარჯაფა შარის მეიდანში აქენო. C II, 120 დღეს რაცა ღონე გქონან და გარჯის ტაიჯი შარისა სიგრძითა ხამს არბიო.

და ზედმეტია, რადგან რთული თანწყობილი წინადადება კ. არა გვაქვს, არამედ რთული ქვეწყობილი.

466. O 429 کامجوی „ქამჯუი“ „ნებიერი“,

A აკლია. B 599 ქამუჯუმ-დევი. C II, 122 ქამუჯუმ-დევი.

„შეიძლება, ვახტანგის სპარსულ ნუსხაში ყოფილიყო کامی جو „ქამიჯუ“, (იმავე მნიშვნ.).

467. O 434 ارکان دولت „სახელმწიფოს თავკაცნი“.

A 502 დარბაისელთა. B 603 სვესვიანობის გამრიგებელთ. C II, 127 სვესვიანობისა გამგენი.

468. O 434 در حجره کامجوی پنہان کردند

„ქამჯუის სენაკში დამალეს“.

A 502 ფირისტას სადგომს დამალა. B 603 ჯერასას სადგომს დამალა. C II, 128 ვირისტას სადგომს დამალა.

რომ აქ ხორცი ვირისტას სადგომშია და არა ქამჭუის, ამას მომდევნო ამბავიც ადასტურებს. ასე რომ ქართული თარგმანის წაკითხვა სჯობს ორიგინალის საუკეთესოდ მიჩნეული გამოცემის წაკითხვას. ამდენად, ქართული თარგმანი ასწორებს ორიგინალის გამოცემათა ტექსტს.

469. C II, 130 C II, 139 ქამჭუა. C II, 139 C II, 160 ქამიჭუმი. უნდა: ქამიჭუ.

470. არაა შეთანხმება. უნდა: „ვერა ზედმიწევნული სახის გამოცემა მის გულის მომტაცებელის სიტურფის წერილის ჩრდილსა ვერ მისწვდებოდა“ (C II, 134).

471. O 441 ارکان دولت „სახელმწიფოს თავკაცი“.

C II, 135 სეებედნიერობათა გამგენი. O 444 ارکان دولت C II, 140 ბედნიერობის გამგებელნი.

472. O 441 كنيزك دو سه روزی صبر کرد و شبی سودای صحبت ملك در سرش افتاده

„ხარქამ ორი-სამი დღე ითმინა და ერთ ღამეს მეფესთან შეხვედრის სევდა თავში აუვარდა“.

A 511 მოუნდა შეყრა ქალისა. B 611 ერთ ღამეს ხელმწიფის ლხინის სევდა თავში შეუარდა. C II, 136 ხალიფას ლხინისა საწადელი მოერია.

473. O 443 دجله („დიჯლა“) მდ. ტიგროსი: ბაღდადში ევფრატი კი არ გადის, არამედ ტიგროსი (C II, 138).

474. O 445 خس نگنارد مگی را بجام

„წუნკალი ბუზსაც არ დატოვებს ჯამში“.

B 615 კუროსთავენი არ ჩაუშვებენ ერთს ბუზს ჯამშია. C II, 141 კუროსთავესა... ვინ შეახოს, ყოლე იენოს მისმან ხელმან.

ვახტანგს خس გაუგია როგორც კუროსთავე ('ძეძვი, ეკალი'), მაგრამ ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობაც აქვს, კერძოდ, ნიშნავს უღმდაბალს, გარეწარს და მისთ. აქ სწორედ ამ მნიშვნელობითაა იგი ნახმარი. ვახტანგის შეცდომისათვის დაუღწევია თავი საბას.

475. O 451 این جماعت را امان دادای و رجوع از آن ممکن نیست

„ამ ხალხს შეუწდევ და აწი მისი შეცვლა შეუძლებელია“.

A 520 ამათ პირობა დაუდევ, არ მოვკლავო და არას გერჩიო, ეგ პირობა გაუთავე. B 623 ამისთვის მიწლობა მიგიცემია, შენ დაკირება აღარაში აღარა გაქუს. C II, 148 რადგან ამისთვის შენი საქმე მიგინდვია, თქვენ საწუხარი აღარა გაქვს რაო.

476. C II, 151 მისთ მოსამსახურეთა სულით როკვა შეექნება.— იგულისხმება სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება (O 453 جان بازی „სულით თამაში“ — „სიცოცხლით თამაში“).

A 523 სულის მანჯიანებელი. B 627 სულის თამაშობა იქნება.

როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, საბა სრულიად უმიზეზოდ ცელის ვახტანგის ზოგ სიტყვას და ზოგჯერ ეს საზიანოა ფრანისთვის.

477. O 454 خانه بروی زندان ساخت بیچاره حاجب تاب نظر پادشاه نداشت

„სახლი ხაროზე ააშენა. საწყალი ეჭიბი მეფეს ვერ ეჩვენებოდა“.

A 524 ის კაცი წავიდა თავის სახლში... ველარ მოსულიყო კელმწიფის კარსა. B 628 სახლი მისთვის საპყრობილე გახადა. საბრალო ეჭიბი კელმწიფის დანახვისაგან უცხო იქნა. C II, 152 სახლსავეთვისსა თვალპატიმრად ჯდომა უბრძანა. საწყალობელი ეჭიბი მეფის ხილვისა ნატრული შეიქნა.

478. B 629 ასის განკითხვით დაფარა. C II, 153 ასის განკითხვისა დაფარა.

479. O 455 و مرکز حلم او چون کوه

„და მისი მოთმინების ცენტრი — მთის მსგავსი“.

A 525 —. B 630 მისი მეცნიერობის წინწკლი. C II, 154 მისი მეცნიერების სტომაქი კლდესავით შეუძრავი.

ჩანს, ორიგინალის حلم („მოთმინება“) ვახტანგმა წაიკითხა როგორც حکم და იგი გაიგო სიბრძნის მნიშვნელობით.

480. O 457 چون سہا بنات آفتاب پدید نیاید

„როგორც სოკა ვარსკვლავი (Алькор) მზის ძალით ქრება“.

A 527 —. B 633 ჯელგამოუღალ ხერხი კელგამომავალთ ცოდნასთან მკათათვის მზის სიტხეში არად გამოჩნდება, ყოველთვის გა-



უღლებული და ცუდი იქნება. C II, 156 რაგვარადაც მკათა ჟამისა მოლი მზისა სიცხითა მოიწვის და ცუდი და უნაყოფო შეიქნება, აგრევე მართლისა საქმისა ძალი შურითა არ შეიმუხრება.

481. 0.458 بروز درس ثانی تو میکنم تلقین

„გაკვეთილის დღეს შენს ლოცვას ვიმეორებ“.

B 635 ცხოვრების კითხვის დღეს შენს ქებას წავიკითხავ. C II, 158 ცხოვრების ნაცვლად ნიადაგ ვიკითხავ შენსა ქებასა.

482. C II, 161 ნუ გაამპარტავნდებისო — ამის შემდეგ აკლია ორიგინალის სამი სტრიქონი (0 461).

483. C II, 161 რა კაცსა განსაცდელ... ამის წინ აკლია ორიგინალის რვა სტრიქონი პროზა და სამი ბითი ლექსი (0 462).

484. 0 462 امثال ابن مقالات داستان شیر صف شکن و مرد تیر افکن است

„და ამ ნათქვამის იგავი რაზმის გამტეხელი ლომისა და მშვილდოსნის არაკიაო“.

C II, 161 ამა საქმისა და სახის არაკი და რაზმის გამტეხელი ლომისა და მშვილდოსნის კაცის არაკიაო.

და ზედმეტია.

485. ორიგინალშია سماء گوش („შავეურა“) სპარსულ არაკებსა და ლექსიკონებში იგი პატარა ნადირია, რომელიც ლომის ნასუფ-რალეებით იკვებება.

A რედაქცია მას კატუნის უწოდებს (A 530), ხოლო C ხან ყურშაეს. ხან ყურშას, ხან მელას. C II, 164 ყურშამ მოახსენა.

ყურშა აქ იგივე ყურშავის მნიშვნელობითაა.

486. C II, 165 მასვე უკმოგძახებსო.—ამის შემდეგ აკლია ორიგინალს ერთი ბითი (0 466).

487. C II, 165.

ნახე პეპლისა უბრალო სისხლისა დამთხვეულობა,

აღარ აცალა სანთელსა ღამისა გამთეველიაო.

ეს ლექსი არ იკითხება ორიგინალში (0 466).

488. 0 471 از این رباط دو در

„ამ ორკარიან ფუნდუკიდან“ (იგულისხმება ეს ცხოვრება, რომელსაც ორი კარი უბია, ერთი—შემოსასვლელი და მეორე—გასასვლელი).

A 538. — B 647 ამ ორი კარის ქარვასლისაგან. C II, 172 ორთა ფუნდუკთა საგზალი.

489. 0 477 بارزو دست در هر شاخ هوسی نزند

„ნდომის ხელს ენების ყოველ ტოტს ნუ ჩაავლებს“.

A 544 დღეს ერთსა და ხვალ მეორეს ეჭიდებოდეს. B 652 ნდომის კელი ყოვლს აერის შტოს არ შეაწვდინოს. C II, 179 ნდომისა ხელსა აქა-იქ ჰაერისა შტოებთა არ აწოდინოს.

490. 0 480 از اعتقاد اکیریان کارخانه دهقات چنان هم شده

„ელექსირის მკეთებელთა რწმენით მიწის მუშაკთა საქმიანობა ასე ვაგებულა“.

A 547 — . B 654 ვაგების აქსირის გამკეთებელთაგან ასე ჩანს. C II, 182 მოსაგებლისა აქსირი მოქმედთა ესრე გამოუჩენიათ. აკირ („აქსირ“) ვიმეორებთ, ელექსირს (ფილოსოფიურ ქვას, ალქიმიას ნიშნავს, ესაა იგივე არაბიზირებული ფორმა *الاکیر* („ალ-აქსირ“). აკირი კი ელექსირის მკეთებელი იქნება. ამდენად, საბასეული „აქსირი მოქმედთა“ შეიძლება ნიშნავდეს: აქსირის მოქმედთა. ყოველ შემთხვევაში, იგი არ ნიშნავს სიმრავლეს, როგორც ეს განმარტებულია ქილილა და დამანას მესამე გამოცემის ლექსიკონში (გვ. 324). ჩანს, განმარტების ავტორთ იგი

სხვა სიტყვის, არაბული *كثر*-ს („მრავალი იყო“) შედარებითი ხარისხის ფორმა ჰგონებიათ. მაგრამ ასე აზრი არ გამოდის, ამავე დროს ტექსტის ყველა ნუსხაში აკირი იკითხება. ესეც არ იყოს, შედარებითი ხარისხი ყოველთვის; მოითხოვს არაბულში *من* ხოლო სპარსულში *از* (-გან, -დან) წინდებულს. ტექსტში კი ეს წინდებულები არა გვაქვს.

491. 0 487 ماهیان سیم کواکب از هیبت رشته های شعاع

„ვარსკვლავთა მოვერცხლილი თევზები [მზის] სხივთა ძაფების შიშით...“ (იგულისხმება, რომ ძაფები ანკვისისაა).

A 556 გათენდა. B 661 მზის სხივის მკედლის შიშით. C II, 190 მზის მკერდს სხივის შიშითა.

რომ საბა აქ მკერდს გულისხმობს და არა ძაფს, ჩანს იქიდანაც რომ უწერია „მკერდის სხივის“ და არა „სხივის მკერდის“.

492. 0 489 تقلید کنند اضطراب شیاطین است

„მიბაძევა ეშმაკის ფათერაკის ქამანდილთა“.

A 559 — . B 664 ივის მიბაძევა ეშმაკისა სტროლიბია. C II, 193 ბოროტის მიბაძევა ეშმათა სტროლიბია.

ვახტანგს შეეცდომით اضطراب (ფათერაკი) წაუციოთხავს როგორც اضطراب (ასტროლაბი).

493. O 489 از محقق تا مقاد قرناست  
این جو داوداست و آن دیگر صداست

„ნამდვილსა და მიმბაძველს შორის დიდი ზღვარია, ეს დავითს ჰგავს, ის კი — დავითის ხმას“.

A 559 — B 664 გამომძებნელი ისა და თაღლითის მქონელ შუა გარჩევა არის.

C II, 193 მომართველს და მცნობსა საშუალებს დიდი კიდის-კიდება, გამომჩხრეველი დავითს ჰგავს, მაგალითს აქვან ბინდებდა.

ვახტანგის გამომძებნელი ნამდვილ შემოქმედს ნიშნავს, იმას, რასაც საბამცნობს უწოდებს. საინტერესოა მეორე ცნების مقاد-ის (მიმბაძველია) ქართული შესატყვისები. ვახტანგი ამავე არაბული ძირიდან წარმოებულ მეორე სიტყვას, თაღლითს ხმარობს, ქართულში უკვე შემოსულს და დამკვიდრებულს (مقد)⁴⁹, ხოლო საბამას ცელის მომართველი სიტყვით. რადგან, მისივე განმარტებით, „თაღლითი სხვათა ენაა, ქართულად მორთული ჰქვიან. ხოლო მორთულს საბამასე განმარტავს: „მორთულად ითქმის რამც მსგავსი რამე შემზადლო (იხ. მისი ლექსიკ.). ე. ი. მორთვა მიბაძვა“, ხოლო მომართველი (თუმცა საბამას თავის ლექსიკონში ის არ შეუტანია), მიმბაძველს ნიშნავს.

494. C II, 193 ვარჩიე სულის მიცემა, ენახომცა მისი სახენი, სული დავთმე და ვერ ენახე, ესრე მომედგა მახქნი. ეს ლექსი ორიგინალში არაა (O 490).

495. O 490 در قام تو ميباشت „შენ მოგსდევ (შენს კვალში ვარ)“.

A 560 — B. 665 ერთი ხანია, რომ თქუენს ფეკს ქუევი ვარ.  
C II, 194 ფერხსა შენსა ქვეშე ვიმყოფები.

496. O 492 أصحاب دولت (სახელმწიფოს (დოვლათის) პატრონია).

B 667 დოვლათის გამრიგებელნი. C II, 196 სვეთა გამგეობა.

⁴⁹ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში თაღლითი შეეცდომით

დაკავშირებულია სულ სხვა, طع ძირთან: „არაბ, თაღლიტ — უხეშიდ მოქცევა“ (ტ. IV, გვ. 350).

სინამდვილეში კი ლაპარაკია იმაზე, რომ ყველამ თავ-თავისი საქმე უნდა იკოდეს. ხელოსანი არ უნდა მეფობდეს და მეფე არ უნდა ხელოსნობდეს.

497. O 494 از فواید انعام سلاطین بهره مند توانند شد

„მეფეთა წყალობათა სარგებელთაგან წილი შეუძლიათ ირგონ“.

A 564 — B. 668. ქელმწიფეთაგან საყუედური დაედებათ. C II, 198 მეფეთაგან საყუედური დაედებათ.

ხომ არ იყო აქ საკვედრული (ხვედრი, წილი)?

498. O 495 و باوجود حلم باید که از اوقار و ثبات نیز بهره مند باشد

„და მიუხედავად სირბილესი, ხამს, რომ სიმტკიცეა და სერიოზულობაც ერთოს“.

A 565 — B 669 სიმშვიდის ტანი უნდა, რომ მან დაუდგომობით და სიტყვაზე დაუდგომლობით მოუმართავი არ იყოს. C II, 200 სიმშვიდის გვამი ერთს საქმეზე დაუდგომელად და სიტყვაგარდაცვლაზედ არ შექქმნა.

باوجود შეძლება გავიგოთ როგორც სხეული, მაგრამ باوجود აქ ნიშნავს: მიუხედავად იმისა,

499. C II, 203, ბილარ. O 496 هار „ჰილარ“. A 578 შილარ.

500. O 496 ماه تابان از زینبائی رخسار و یازکی عذارشان درمیدان سپهر سرگشته گشتی

„მანათობელი მთვარე მათი დაწვეების სილამაზისა და ლოყათა სიტურფისაგან ცის მოედანზე თავგზა-დაბნეული დაეხეტებოდა“.

A 567 მზის ნათლის მიმცემელი და მთვარისა. B 670 მთვარე მათის სიტურფისაგან გალუულიყო. C II, 202 მთვარე მათის საუბრისაგან გალუულიყო და ცისა ფორესა შინა თავსა ბრე ესხმოდა.

აშკარაა, საბას აქ ვახტანგის ტექსტი ვერ ამოუკითხავს კარგად.

504. C II, 202 ერთსა მას სოელიამანი ეწოდა და მეორესა — მაიხათანი, და დედასა მათსა — ირანდუხტ.

O 497 سہیل یعنی („სოჰილ-ე იამანი“) „იამანის სოჰილი“, სოჰილის იემენს უკავშირებენ, გადმოცემით, იმიტომ, რომ იქ უფრო ჩანს ეს ვარსკვლავი.

მაიხათანი — („მაჰ-ე ხოთანი“) — „ხოთანის მთვარე“, ხოთანი ლამაზი ქალებით განთქმული ლეგენდური მხარე იყო (თურქესტანი, დასავლეთ ჩინეთი).

A 567 ს უ რ ე ი ა მ ა ნ ; მ ა ი ხ უ თ ა ნ ი .

ირანდუხტ' (ایراندخت) ირანის ასული.

502. C II, 203 ...მწერალი ჰყვა, სახელად დაბირქამალ ერქვა.

ორიგინალში მას ქამალ (كمال) ეწოდება. „დაბირ“ (داير) საზოგადო სახელია და მწერალს (писарь) ნიშნავს. ჩანს, ვახტანგმა სპარსული ფორმითვე გადმოიღო ფრაზა. თუ ასეა, დაბირი-ქამალ აჯობებს, როგორც ეს შემდეგშია (C II, 209).

503. O 498 بدندان خارا شكن سينه كوه سنگين دل را شكافتی  
„ტინის მსხვერველი კბილებით ქვა-გულოვან მთის პეკრდს გააპობდა“.

A 567 კბილითა კლდეთა მღეწელი. B 672 ეკლის გამტეხის კბილით გავარდებოდის. C II, 203 ქაცეთა კბილითა შემუსრვიდა.

ვახტანგს შეეძლომით خارا „ხარა“ („ტინი“) ამოუკითხავს როგორც خار „ხარ“ („ქაცეი“). მისი შეეძლომა განუმეორებია საბას.

504. O 498 كوه بيستون „ბისოთუნის მთა“.

A 567 — . B 672 ბისოთუნის მთა. C II, 204 კავკასის მთა.

505. O 498 دو پيل پشيزه بغابت بودند شكوه مند

„ორი მძვინვარე სპილო იყო შიშის მგვრელი“.

A 567 ორნი სხვა სპილო მთის ოღენები. B 672 ორი მწვანე სპილო ჰყუნდა. C II, 204 ორნი მწვანენი პილონი ყვენს, ბედნიერობა-აღმატებულნი.

ჩანს, ორიგინალის پشيزه („მძვინვარე“) ვახტანგმა წაიკითხა როგორც سيزه („მწუანე“), ხოლო شكوه გაიგო როგორც დიდება, ბედნიერება ასეთი მნიშვნელობა მართლაც აქვს სიტყვა شكوه-ან اشكوه-ს, მაგრამ აქ شكوه, ვიმეორებთ, შიშს ნიშნავს.

506. O 498 شاخ مرجان برآورد ندى

„მარჯნის ჩქერს ამოადენდნენ“.

A 567 — . B 672 მკერდიდამ მარჯნის შტოს ამოიღებდა. C II, 204 ძოწისა შტოთა ამოხეთქდენ“.

ორიგინალის شاخ გარდა შტოსი, ნიშნავს ჩქერს, დვინისა და ვარდისწყლის ნაზავს. აქ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა უფრო მიუღებოდა.

507. 0 498 بوقت پویه عرصه خاک را بر شکل سپر ساختندی و گاه سپر بیای چو گان مثال از برید تیر گام ماه گوی سبقت ربودندی  
„სირბილის დროს მიწის მოედანს თელავდნენ და სიარულის დროს ყვანქის მსგავსი ფეხებით ისარივით მჭროლავ მთვარის მალემსრბოლს საჯიბრო ბურთს გამოსტაცებდნენ“. ე. ი. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ აქლემები თვით მთვარესაც სჯობდნენ სიჩქარეში.

A 567 — . B 673 ბრძოლის დროს მიწას ფარად გახდიდნენ. ხანდახან დღით გამაძღარათ ჩოგნის მსგავსის ფეკის სიარულით მთვარის მსგავს ბურთს მეიდანში გაიტაცებდნენ. C II, 204 ბრძოლისა ჟამსა მიწასა პოლოტიკად შეიმზადებდა და დღით მაძღართა ყვანქისა მსგავსისა ფერხისა სლვითა მთვარულსა ბურთსა მინდორთა შინა გაიტაცებდა.

ჩანს, ვახტანგმა سپر ამოიკითხა (ნაცვლად სპერ-ისა), იგი გაიგო როგორც გამაძღარი. და ამანაც დააბნელა აზრი. ხოლო სპერ (გათელილი) გაიგო როგორც ფარი, მისი ომონიმი خیم

508. ორიგინალშია (0 500) ياقوت رمانی „ბროწეულისებური იაგუნდი“—იაგუნდის ერთგვარი სახეობა, რაც ფართოდ იყო ცნობილი აღმოსავლეთსა და დასავლეთში. B 675 ფრანგ ფსანდის იაგუნდით. C II, 206 ფრანგ-ფასანდისა იაგუნდითა.

ვახტანგს رمانی ჰგონებია რომაული და ალბათ აქედან წარმოდგა გაუგებრობა. სხვაგან იგი უთარგმნელადაა გადმოტანილი („რუმანის წითელს იაგუნდს“. C II, 225).

509. 0 500 بين چه لشگرهای فتنه بود  
„ეს რა უფოთის ლაშქარი იყო“.

A 569 — . B 675 ეს რა ფითნის ლაშქარი იყო. C II, 207 რა ღნიოში დასნი.

ვახტანგს ორიგინალის فتنه („ჭეთნა“ ფითნა) უთარგმნელად გადმოუტანია, ხოლო საბას იგი „ფინთი“ ჰგონებია და ღნიოშით შეუცვლია.

თავისთავად, ფინთი ხომ არ უკავშირდება სპარსულ ჭითნას?

C II, 207 ბუსტუდის ქახრაკის ნაცვლად ორიგინალში (0 501) გვაქვს چرخ اخضر „მწვანე (ციხფერი) ჩარხი [ციხა]“.

511. O 501 دماغ زمین از تف آفتاب

بر سام سودا در آمد ز خواب

„მიწის ტენიმა მზის მხურვალეების გამო შფოთით გამოიღვიძა“.

A 569 — . B 676 მიწის და მაღლი მზის სიმხურვალით სევედის სარსამის ძალიდამ გამოვიდა.

C II, 207 მიწის სასითა, მზის სიციხით მცირე ლხინება მიეცა,

შაის ნაელისა სარსმისა დაემაღ სევტალ მიეცა.

ორიგინალის გასა ნიშნავს ტვინს, ცხვირს, სასა-სა ც. მაგრამ აქ პირველი მნიშვნელობით იხმარება.

512. O 502 ارکان دولت «სახელმწიფოს თავკაცნი“.

C II, 208 სევესეიანობათა გამგენი.

513. უნდა: ბილარ (შღრ. O 503; C II, 202—203) და არა ბილავარი (C II, 209, C II, 227). ეს უკანასკნელი ფორმა შეიძლება ბალავარ-ის გავლენით იყოს გაჩენილი, როგორც მ. რიაზინინი ფიქრობდა<sup>50</sup>.

514. O 503 شاه که این سخن بشنود آتش حیرت متاع صبر و

سکونش بـوخت

„მეფემ ეს სიტყვა რომ მოისმინა, გოცების ცეცხლმა მისი სიმშვიდისა და მოთმინების საქონელი დაუწვა“.

A 573 ...ქელმწიფემ, ფიქრში და ჭმუნვაში ჩაეარდა, B 679 ქელმწიფემ რომ ეს სიტყვა გაიგონა, გაშტერების ცეცხლმა მისი მოთმინება და სიმძიმის მთა დასწვა. C II, 210 რა მეფემა ესეთი სიტყვანი მოისმინა, გაშტერებისა სახმილმან მოთმინებისა და მძიმე ყოფისა. მთანი დაუწვნა.

ჩანს, ვახტანგის თარგმანში მთა არა ზუსტი ტრანსკრიპციაა متاع (მათჯ) სიტყვისა (საქონელი). საბასკი ის მთა ჰგონებია.

515. O 504 روزی یکی از مقربان صوامع ملکوت بدیدن وی آمد

„ერთ დღეს მისი სამეფოს სენაკთა (მონასტერთა) ერთ-ერთი ახლობელი მის სანახავად მოვიდა“.

A 574 მოვიდა ანგელოზი რომელსამე ეამსა. B 679 ერთ დღეს მთავარანგელოზი მის სანახავად მოვიდა.

C II, 211 დღესა ერთსა მას ანგელოზმან... გაუგებრობის

<sup>50</sup> M. B. P. # 6 11 11 11, გვ. LXV.

მიზეზია ملكوت (სამეფო)-ს გაგება როგორც ملك (ანგელოზი).  
შღრ. „იარ-ე დანეშის“ دانای (ბრძენი. გვ. 269).

516. C II, 213 თუცა ცხენი თუცა სიკეთით ქებულა.  
ერთი თუცა ზედმეტია.

517. O 505 و هرچند سگ بخشت موصوف است و بناپاکی معروف کرده  
و لیکن لقمه و فاداری خورده است و برسم حق گذاری عادت کرده  
„და ძალლი თუმცა გარეწართ მიეწერება და უწმინდურობითაა  
ცნობილი, მიწდობის ლუკმა უჭამია და სიმაართლის  
მოქმედია“.

A 575 ძალს აქუს მინდობა და ცხენს არა. B 681 დანდობის  
ლუკმისაგან რომ უჭამია და ერთგულობის ცოდნის  
წესი რომ უქნია. C II, 213 დანდობა რომელსაც გამო-  
უცოხნია. ანუ ერთგულობისა წესთა დამტკიცებულა.

518. C II, 216 აღერსით გულთა წამლებელი, მეგობრობითა  
სულის მიმტაცებელი — ორიგინალში არის არა ბილარ ვეზირი, არა-  
მედ ირანდუხტი, დედოფალი. ჭერ მოდის ლექსი, სადაც ირანდუხ-  
ტია აღწერილი, შემდეგ კი იკითხება:

مجالستی دارد دلربای و مصاحبتی جانفزای و منجی او از زندگانی  
چه برخورداری یابم (O 507)

„წარმტაცი თანამეინახეა და მომხიბლველი საალერსო, და მე  
უმისოდ სიცოცხლისაგან რა ბედნიერებას ვიპოვი“.

C II, 217 ვით ცეცხლ ქაცეთა ნაგზები მისწედის თავამალღებულთა,  
ველთა ქარულად მავალსა ნახავ რაზმთმიახლებულთა.

519. O 508 چو آتشخوار خوار و سرکشنده  
ولی چون باد در صحرا رونده

„ბოროტებით მედიდურა, მაგრამ ქარივით უდაბნოში მავალი“.

520. O 509 ارکان دولت  
کس تا به علم فی حقوس თავყაცნი“.

C II, 218 სვებედნიერობისა გამგეთა.

521. O 512 علم چون بردل زند یاری بود

علم چون برتن زند ماری بود

„სიბრძნე როცა გულს ეხება, მეგობრად გექცევა, სიბრძნე როცა  
ტანს ეხება, გველად გექცევა“.

B 689 ცოდნა რომ გულსა კყრა, მოყუასი შეიქნება,  
ცოდნა რომ ტალახში დაფლა, გველი შეგექნება.



C II, 222 სიბრძნე რა გულსა შეახო, მოყვასად შეგეთვისება,  
სწავლა რა მწვირეს ღამარხო, გველად გაითვისთვისება“.

ვახტანგს აშიაზე თარგმანის სხვა (გალექსილი) ვარიანტიც და  
ერთგვარი განმარტებაც მიუწერია:

„სიბძნის სწავლა თუ ვარდსა კრა, შეგექნების ძმა და  
თვისი,

თუ ტალახსა მოახვედრა, გველი იქნას ყოვლთა თვი-  
სი“ (იქვე):

„სპარსულათ მანით უთქვამთ, ტალახი ავისა აგებულებისა და ეშმა-  
კის კაცისათვის უთქვამს“ (იქვე). ე. ი. ვახტანგის გალექსილი ვარი-  
ანტის მიხედვით, ორიგინალის პირველ სტრიქონში ქა („გული“  
კი არ არის სავარაუდებელი, არამედ კგ („ვარდი“), რაც გრაფი-  
კულ ნიადაგზე ხშირად ირევა ხელნაწერებში. ასე რომ ვახტანგ  
პირველი სტრიქონის ორ ვარიანტს იცნობს: ერთში ქა იკითხება,  
მეორეში — კგ მეორე სტრიქონი კი ვახტანგისათვის სხვა ვარი-  
ანტს არ იძლევა, იგი მხოლოდ მის ასეთ წაკითხვას იცნობს: ნაც-  
ვლად ქ-ისა, კითხულობს, კგ („მიწა“) . თუ პირველ სტრიქონ-  
ში ქა-ს წაეიკითხავთ, მეორეში დასაშვებია, რომ კგ იყოს,  
იგი შინაგანი რითმაც იქნებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, არც ვახტან-  
გისეული სპარსული ნუსხების და არც O რედაქციის წაკითხვა სწო-  
რი არაა. ვახტანგისეული ნუსხით სიბრძნე მიწას უკავშირდება. აქ  
პირობაა საეჭვო (შედეგი ასე თუ ისე გასაგებია, — გველი მიწაშია),  
რა შუაშია ისინი ერთმანეთთან? ხოლო ჩვენს მიერ ციტირებულ  
ტექსტში პირობა გასაგებია, მაგრამ შედეგი უცნაურია.

ეს ლექსი ჭელალ ედ-დინ რუმის ეკუთვნის და ასე იკითხება:

علم چون بر دل زند باری شود  
علم چون بر تن زند باری شود<sup>51</sup>

„სიბრძნე როცა გულს ეხება, მეგობრად გექცევა, სიბრძ-  
ნე როცა ტანს ეხება, ტვირთად გექცევა“.

აქ უკვე ყველაფერი ნათელია. სპარსულად მანით უთქვამთო,  
ვახტანგი რომ ამბობს, გულისხმობს სიტყვა ს-მარი. ეს შენიშვ-  
ნა იმაზედაც მიუთითებს, რომ იყო სხვა ვარაუდიც.

522. O 512 دانش بمثابة تنبیهت „სიბრძნე ხმალსა ჰგავს“.

A 580 — B 689 მტერი კრმალსავეით არის. C II, 222 მტე-  
რი ხრმალსა ჰგავს.

<sup>51</sup> გვ. 170. شوی.

ჩანს, ვახტანგს **سازش** („სიბრძნე“) ამოუკითხავს როგორც **دشمن** („მტერი“). ქართულის მომდევნო ტაეპი ორიგინალში პროზაული ტექსტის ნაწილია. თავად ეს უქანასკნელიც მთლად სწორად არაა გადმოთარგმნილი. კერძოდ, დედანში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ სიბრძნე ზნეკეთილი კაცის ხელში ვნების დამთრგუნველია, ხოლო უზნესის ხელში — პირიქით.

523. O 513 **اركان دولت** „სახელმწიფოს თავეაცნი“. C II, 223 ბედნიერობის მომვლელნი.

524. C II, 223 **საქმის გამომკვლეველი ბრძენი და ბეცნიერი** — თარგმანია ორიგინალის სიტყვისა **كاريدون** („ქარიდუნ“), რაც საკუთარი სახელია (O 514). შდრ. C II, 224: **ქარიელი დონ-ქარიელი**, რაც უკვე **كاريدون**-ის შესატყვისი საკ. სახელია, ოდნავ სახეცვლილი).

აჯობებს უნიფიცირება: **ქარიდონ** (შდრ. B 691 **ქარელი დონ**).

525. O 514 **خضرا** „ხაზრა“.

A 581 **სუზრის** (ალბათ გადამწერის შეცდომაა, უნდა ყოფილიყო: **ხუზრის**). B 690 ამ უამში **ხუზრას** მთაშია. C II, 224 **ხუზარის**, („ხაზრა... დიდი კუნძულია ზანგთა ქვეყანაში“. ალი. აქბარ ნეფისი, ტ. II, გვ. 1375).

526. O 515 **شاه دهلې** „დეჰლის (დელის) ხელმწიფე“.

A 582 **დეჰლუს** კელმწიფე. B 692 **დოლის** (?) კელმწიფე. C. II, 225 **დოლის** ხელმწიფესა.

O 516 **بجاء خاھ ملك آرناد**

„მეფის გარდერობში შეიტანენ“.

A 583 — B 692 თქვენს რიქიფხანაში შეიტანენ. C. II, 226 თქვენს სარიქიფოში შევაო.

რიქიბ („რიქიფ“) **ركاب** („ფილა“) — დან მოდის. **რიქიფხანა**, ანუ **სარიქიფო** კურკელთა შესანახ ადგილს ნიშნავს. ჩანს, ვახტანგს **جاء** („ტანსაცემელი“) გაუგია როგორც **جام** („ჯამი“) — ამას ალბათ ისიც უწყობდა ხელს, რომ წითელი ბისონი სისხლის სახით დაესიზმრა მეფეს.

527. O 518 **بزم افروز** „ბაზმ-აფრუზ“ („ლხინის გამაბრწყინებელი“).

A 584 **ბაზმაფრუს**. B 694 **ბაზმაფრუს**. C II, 228 **ბაზმა-ფრუს**.

თუ მინცდამინც დავყოფთ, უნდა: **ბაზმაფრუს**, თუ არადა სჯობს უდღეფისოდ, როგორც ეს საბას ავტოგრაფშია (გვ. 329).

528. C II, 234 ნების სადავეს აგებულებისა ხელთანუ მისცემ. B 699 ბუნებას კელშინუ მისცემ (O 522).

529. O 526 درحال قدرت نیکو کاری بجای نیارد

„[თავისი] ძლიერების დროს კეთილი საქმე არ ქნას“.

A 594 სანამღი შედლოს, საბოლოო არა გააკეთოს  
არა. B 707 შეძლების დროს კარგს საქმეს არ ეცადოს. C II,  
239 ქნის უამსა საქმესა არ ეცადოს.

ჩანს, „კარგს“ საჭიროა.

530. O 532 لطافت داستان عود نغمه هزار داستان مینمود

„უღის კეთილი ხმა ბუღბუღის გალობას ჰგავდა“.

A 600 — . B 710 უღი სურნელიანი არაკის ზმით  
ათასქმიანს ზღაპარს გამოაჩენდენ. C II, 246 უღი  
სურნელი არაკის ზმათა ათასრიგს ზღაპართა წარ-  
მოიტყოდა.

ორი შეცდომაა; უღი (عود) აქ სურნელოვან მცენარეს  
(ალოე) კი არ ნიშნავს, არამედ ერთგვარ სიმებიან საკრავს. ამავე  
დროს ორიგინალის هزار داستان რაც ბუღბუღის ეპითეტია, გა-  
გებულია პირდაპირი მნიშვნელობით.

531. C II, 246 მეზარბითენი აფროდიტს გვანდნენ... —  
ორიგინალშია ზოპრა (O 532 زهره) („ვენერა“), რომელიც ციურ  
მესაკრავედ და მუსიკის მფარველად ითვლებოდა.

532. O 534 قوی تر رکنی در آنچه ملک فرمود

„უძლიერესი ბოძი იმაში, რომელიც მეფემ ბრძანა...“

A 602. — . B 712 რაც კელმწიფემ ბძანა, ამაების სვეტი  
ცნობა ადგილის ადგილისა არის. C II, 250 რომელიც მეფემ ბრძა-  
ნა მათისა სვეტებთა ცნობა ადგილსა და ადგილს ხაშს.

533. O 536 كمئ (აღნაგობა, შესახედაობა).

A 603 გამოსცდის სნეულს. B 714 შემცირება და მისი ია-  
რალი. C II, 251 სიმცირესა.

ჩანს, ვახტანგმა ორიგინალის كمئ (აღნაგობა) გაიგო რო-  
გორც كمي (სიმცირე).

534. O 540 روز ولادتش چو نظر کرد مشتری

انصاف داد وگفت که این سعد اکبر است

„დაბადების დღეს მას რომ შეხედა იუპიტერმა (მუშტარმა), განსაჯა:  
ეს სა'დ-ე აქზარაო (იუპიტერაო)“.

ე. ი. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ბავშვი იუპიტერის სახელზეა დაბადებული. B 719 მის შობის დღეს მუშთარის ბურჯმა უყურა, შეიბრალა და თქვა, რომ ეს სადი აქფარის ვარსკვლავია.

საბას ეს ლექსი არ გადმოუტანია (მას არ გადმოაქვს აგრეთვე კიდევ სხვა ლექსიც, რომელსაც ქვემოთ შევხებით). იგი გაუწყობელია P 2-შიაც და მხოლოდ S 2650-ში გვხვდება: C II, 257.

„მზეს უგვანდა მოვანება, მთვარე გაზღეს ნახვით შლეგად.  
სხვათ ვარსკვლავთა მისი დარი არ ენახათ ქვეყნის ნერგად.

ვახტანგის ვერსიის ნუსხაში ამ ადგილისათვის ვილაცას აშიაზეჯვარი დაუსვამს. შეიძლება ეს საბას გაეკეთებინოს იმის მისანიშნავად, რომ ეს ლექსი მან გაუწყობელი დატოვა.

თავად S 2650-ში აღდგენილი ლექსი ჰგავს საბასეულ ლექსებს და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის მერე გააწყობა მან და იზრუნა, რათა თავის ადგილას ჩართულიყო, როგორც ფიქრობს ე. მეტრეველი (C II, 314).

535. C II, 259 წალკოტი იყო... ამის შემდეგ ოცზე მეტი სტრიქონი ორიგინალში არაა (O 542). საბას მიუწერია კიდევ: „ჩამატებული“.

536. O 542 خاكار از هوای نفس غدار آتش فتنه برانگیخت  
„სულმდაბალმა ვერავი ვნე ბის აგან შფოთის ცეცხლი აღაგზნო“.

A 610 — B 722 ბუნება სიბოროტის აერის ცეცხლით აანთა. C II, 260 უმსგავსო ბუნება ეთერის (ვარიანტი: აერი) ცეცხლით აღატყინა.

537. O 545 هر رهی که گذشتی برای دیده بد  
هزار دست دعا از آستین برون آمد

„ყოველ გზაზე, რომელსაც გაივლიდა ავი თვალისთვის, ათასი მლოცველი ხელი გამოდიოდა სახელოდან“.

B 724 ერთ ქალაქში რომ გუშინ გაიარე ავის თვალისათვის, ათასი ლოცვის ქელი სახელოდამ გამოვიდა. C II, 262...  
სულსა წინ სახლედ უშლიდენ...

538. ოთხწალკოტი ორიგინალის چهار باغ (ოთხი ბაღი)-ის (O 549) კალკია. იგი ისპაჰანის ცნობილი ბაღია.

539. O 549 ابر تیره سراپردۀ سیاه فام در فضای هوا نصب کرده  
„ბნელმა ღრუბელმა შავი ფარდული ჰაერზე ჩამოკიდა“.

B 728 შავმა ღრუბელმაც შავი ხარის ფარდა ბრწყინვალეს აერზე ჩამოჰკიდა. C II, 268 შავმა ღრუბელმა წაბლა ხარის ფერი ფარდავი ბრწყინვალეს ჰაერს ჩამოაფარა.

ვახტანგის ხარის ნათეს. ბრუნვაში დასმული ხარა არის. ეს უკანასკნელი ერთგვარი აბრეშუმეულია. საბას იგი აქ ვერ გაუგია და გაუაზრებია როგორც ცხოველი ხარი, ისიც წაბლა.

540. C II 268 თევზის ზურგს შესცილებოდა...

O 549 *رسیده رنگ شب تا پشت ماهی*

„ღამის ფერს თევზის ზურგამდე მიედწია“. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა წარმოდგენით დედამიწა დგას თევზის (ვეშაპის) ზურგზე. აქედან თევზი სპარსულ პოეზიაში მიწის უკიდურესი წერტილის მეტაფორად იხმარება.

541. O 556 *من همان روز زفرهاد طمع بپریدم*

*که عنان دل شیدا بکف شیرین داد*

„მე იმ ავ დღეს ჩაევიწინე ხელი ფარქაღზე, რა შმაგი გულის აღვირი შირინს მისცა ხელთ“.

B 734 მე იმავე დღეს ფარადის იმედი გარდაესწყუიტე, რომ შვიდი გულის ჭილავი შირინს კელში მისცა.

C II 275 მე მასვე დღესა ფარადის იმედი გარდამივარდა,

რა შვიდი გულის სადავე შირინს ხელთა მივარდა.

, ხომ არ ჰქონდა ვახტანგს შეიდა („შმაგი“) იგულისხმება აღმოსავლეთში გავრცელებული ამბავის გმირები: შირინი და ფარქადი. ფარქადს უყვარდა შირინი და ამ ტრფიალის მსხვერპლი გახდა.

542. O 560 *ارکان دولت* „სახელმწიფოს თავკაცი“

C II, 281 ბედნიერობის გამგეთა.

543. O 562 *نسطور* („ნასტორ“).

A 625 ნასტორის ქალაქსა. B 742 ბასთურის ქალაქში. C II, 284 ბასთურის ქალაქსა.

აქ, ჩანს, ბა (ب) და ნუნი (ن) ერევათ სპარსულ ნუსხებს. არაბული „ქილილა და დამანას“ ყაზანურ გამოცემაში მატრუნ (مطرون) იკითხება<sup>52</sup>, ხოლო ე. კრაჩკოვსკისეულ თარგმანში — М а т у н<sup>53</sup>.

<sup>52</sup> გვ. 227 *کلیله و دمنه*

<sup>53</sup> *Калила и Димна*. გვ. 249.

544. O 565 اندلس („ანდალუს“) — ანდალუზია. A — . B 744  
ანდალის ქუეყანაში. C II, 288 ანდალისა ქუეყანასა.  
ვარიანტი: ანდალი (იქვე).

545. O 567 غافل من شين كه عالم اسباب  
اسباب ننگدار و توكل ميكن


„ლაფლად ნუ ხარ და ნუ გგონია, ქუეყანა დავლათია, დავლათს გა-  
უფრთხილდი და ლეთის იმედი იქონიე“.

B 746 უფრთხილოდ ნუ დაჯდები, რომ ასბაბი შემძლებელია.  
ასბაბი შეინახე და მინდობა ქენ.

საბას ეს ლექსი არ გაუწყვია (აქაც დაუსვამს ნიშანი), იგი აღუდ-  
გენიათ S 2650 ხელნაწერში: C II, 291.

ღმთის მინდობა, უმჯობეა ყოველს საუნჯეს დამარხულსა,  
რომელიცა ქონება აქეს, ხაშს არ ბნევა დანახულსა.

546. C II, 310. კვლავ მიხმეს... ვახტანგის ამ ლექსს ტრადიცი-  
ულად საბასეულ რედაქციის ბოლოს ურთავენ, მაგრამ იგი ვახტან-  
გისეულ თარგმანს ეხება და არა საბას ვერსიას. ლექსის ავტორი იმა-  
ზე ჩივის, რომ მან თარგმნის მოთავება (მხატვრულად გაჩაღხვა) თა-  
ვად ვერ მოახერხა.




მ. თოდუა. «ქელოლა და დამანამი» საბასეულო ვერსია.




მ. თოდუა. „ქილილა და დამანას“ საბასტული ფურსია.







მ. თოდუა. „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია.



მ. თოდუა. „ჩქილა და დამანას“ საბავსულო პერსია.



შ. თორევა. „ჩილიომა და რამანას“ საბავთლოთი იიროსია.



მ. თოდუა. „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია.

## დამატება I

### „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსიის მინიატურები

საბასეული „ქილილა და დამანას“ მდიდრულად მოხატული ნუსხა ინახება ლენინგრადის აზიის ხალხთა ინსტიტუტში (P 2)<sup>1</sup>. სამწუხაროდ, მისი მინიატურებისთვის ჭეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ.

წიგნში სულ 139 ნახატია, მაგრამ უმეტესი მათგანი მინიატურების ჯგუფს წარმოადგენს და ერთი იგავის სხვადასხვა ეპიზოდს გამოგვეცემს. ამდენად ხელნაწერში სულ 805 მინიატურა დაითვლება. ასეთი ხერხი დასავლეთ-ევროპულსა და აღმოსავლურ ხელოვნებაში შეიმჩნევა<sup>2</sup>. ამ მხრივ აქ გაგრძელებულია თვით „ქილილა და დამანას“ მოხატვის ტრადიცია (სტამბოლის თოფქაფუს მუზეუმში დაცული „ქილილა და დამანას“ უჯრედები მრავალ მინიატურას აერთიანებს<sup>3</sup>).

„ქილილა და დამანას“ იმ თავიდან იზიდავდა მხატვრებს<sup>4</sup>. ასურათებდნენ სხვათა მიერ მისგან ნასესხებ სიუჟეტებსაც<sup>5</sup>.

შ. ამირანაშვილი პირველ 89 მინიატურას საგანგებოდ გამოკვალს. მკვლევარის აზრით, ისინი „უფრო გაწაფული მინიატურისტის მიერ არის შესრულებული, დანარჩენები ნაკლებად სრულყო-

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად 1967 წ. 13 იანვარს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

<sup>2</sup> ნატურალური ზომის მისი ფოტოპირები აქვს საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს (ხელნაწერთა ფონდი, № 20724).

<sup>3</sup> იხ. მინიატურები წიგნში: О. И. Сопочинский и Искусство Западно-европейского средневековья. М., 1964, გვ. 64.

<sup>4</sup> იხ. Artur Upham Pope, A survey of Persian Art. Vol. V, London and New-York, 1988, გვ. 822. შემდეგში: A. Pope.

<sup>5</sup> მისი ძველი მინიატურები იხ. A. Pope, გვ. 822, 865, 866, 867, 868. აგრეთვე: Ernst Kühnel, Miniaturmalerei im islamischen Orient. Berlin, 1922, 3, 14, 19. შემდეგში: E. Kühnel. აგრეთვე: Lichter des kanopus (ე. კუბიჩკოვას გამოცემა), „Artia“, 1959. შემდეგში: Lichter. Каллила ва Дамна (აზერბაიჯანულ ენაზე), ბაქო, 1962.

<sup>6</sup> იხ. М. Ашрафи, Миниатюры XVI века в списках произведений Джамии из собраний СССР. М., 1966, გვ. 31.

ფილია<sup>6</sup>. P 2 ხელნაწერის მინიატურები, ჩვენი აზრით, სამ მხატვარს უნდა ეკუთვნოდეს. ამაში გვარწმუნებს მათი სტილი, ხატვის მანერა, ფაქტურა და ტექსტის შინაარსთან ნახატის შესაბამისობის ზოგი დამაფიქრებელი მომენტი.

პირველი ანონიმი მხატვარი (ვინც იწყებს წიგნის გაფორმებას) სპარსულ მინიატურათა ტრადიციის განმგრძობია. მას აქ ეკუთვნის სწორედ ის 89 ილუსტრაცია. იგი მართლაც კარგი ოსტატია. მისი ნახატები ნიმუშია გარდამავალი ხანისა, როცა აღმოსავლურმა მინიატურამ დაპყარგა მისთვის დამახასიათებელი პირობითობები და რეალისტური მეთოდები შეიძინა. ზოგ ამ ნახატებს შეიძლება მინიატურები არც კი ვუწოდოთ. ესენი უფრო ილუსტრაციებია, რომელთაც მინიატურისა მხოლოდ ზოგი ნიშანი-ლა თუ შერჩენიათ. მინიატურისთვის დამახასიათებელი თვისებანი: კომპოზიციური პირობითობა, პერსპექტივის თავისებურება, დეკორატიულობა და სხვ. ამ ილუსტრაციებში ნაკლებად გვხვდება. მხატვარი ზუსტად და გულდასმით გადმოგვცემს თავისი დროის აღმოსავლეთის ყოფას, ადამიანებს, მათ კოსტუმს, ნაგებობებს, ქალაქისა თუ სოფლის სხვადასხვა დანიშნულების ნივთებს, მრავალფეროვან ფლორასა და ფაუნას. აქ დაკუთლია სპარსული მინიატურის ბევრი ტრადიცია (ადამიანთა პოზებიც კი). მხატვარი, ჩანს, იცნობს „ქილილა და დამანას“ აღმოსავლურ მინიატურებს და ბაძავს მათ. ამას გვაფიქრებინებს მისი ნახატი, რომელიც რაისა და ბარაჰმანის შეხვედრას ასახავს (გვ. 78). იგი მოგვაგონებს ერთ მე-16 საუკუნის მინიატურას ამავე თემაზე<sup>7</sup>. ოღონდ ჩვენი მხატვარი პირიქით მოქცეულა, მღვიმეში მეფე შეუყვანია, ხოლო განდევილი გარეთ დაუსვაძს. აქ „ირანული და დასავლეთ ევროპის ხელოვნების ნიშნები ერწყმის ერთმანეთს და ეს ჰქმნის ამ დროის ქართული მინიატურის თავისებურ სტილს<sup>8</sup>. შ. ამირანაშვილს მიაჩნია, რომ რეალისტური ხელოვნების ხერხებით, სწორი პერსპექტიული გამოსახვით, პეიზაჟით, არქიტექტურული ნაგებობით, ფიგურათა რეალისტური მოდელირებითა და ა. შ. „ქართულმა საერო მინიატურამ გაცილებით მეტი პროგრესული როლი შეასრულა, ვიდრე ირანულმა მხატვრობამ“<sup>9</sup>. არას ვიტყვით საერთოდ ქართულ მინიატურაზე, მაგრამ „ქილილა და დამანას“ ამ მინიატურებზე უნდა ვთქვათ, რომ ევროპული მხატვრობის გავლენის ნიშნით იგი არაფ-

<sup>6</sup> Ш. Амиранашвили, История грузинского искусства. М., 1963, гл. 357. შემდეგში: Ш. Амиранашвили.

<sup>7</sup> об. E. Kühnel, 103.

<sup>8</sup> შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 409.

<sup>9</sup> Ш. Амиранашвили, гл. 358.

რით განსხვავდება იმ ხანების სპარსული მინიატურებისაგან. რადგან მაშინ როგორც ხატვის პრინციპებით, ისე საგანთა შერჩევით თვით სპარსული მინიატურა ბაძავდა ევროპულს<sup>10</sup>.

პირველი ანონიმი უმეტესად დიდი ფორმის ილუსტრაციებს იძლევა. ხშირად მთელ გვერდზეა ისინი. მისი საყვარელი ფონია ბუნების წიაღი, დეტალურად დახატული ფოთლოვანი (ტოტებჩამონაკათი და ფულუროვანი) ხეები, ბუჩქები, სარეველა ბალახები და ყვავილები, წვერობებგაღუნული საროები (გვ. 45, 78). (იხ. აგრეთვე ტაბულა 2). ეს ნახატები ზოგჯერ ევროპულ გობელენებს მოგვაგონებს<sup>11</sup>. საინტერესოა ცხოველ-პერსონაჟთა ასახვის ხერხი: ლომი-მეფე ხშირად ნამდვილ ტახტზე ზის და გვირგვინი ახურავს (გვ. 70, 105), ხოლო ქვეშევრდომ თავებს, მაგალითად, თოფ-იარაღი აქვთ ასხმული.

განსაკუთრებული მნიშვნელობა პირველ ანონიმ მხატვარს იძიოთა ენიჭება, რომ მას აუსახავს სამი ისტორიული პირი: თამარ მეფე, ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი. თამარ მეფე დახატულია ვახტანგ VI-ს წინასიტყვაობის საილუსტრაციოდ. აქ მას „ქილილა და დამანას“ ქართულ თარგმანს მიართმევენ. თავისთავად ამ სურათს ფართო ქართული საზოგადოება იცნობს (იგი საბას თხზულებათა II ტომის II ნაკვეთშია დახატული), მაგრამ ვის ასახავს იგი, არ იცის, რადგან, როგორც სხვა დანარჩენი ნახატი, იგი წიგნის გამომცემელთ თავის ადგილას არ ჩაუსვამთ, — ნაცვლად შესავლისა, როგორც ეს P 2-შია, იგი X კარის თავსართად გამოუყენებიათ (C II<sub>2</sub>, 160). პირველი ანონიმი მხატვარი ქართველია. იგი ქართულ ხელოვნებას იცნობს. ეს ეტყობა თამარის სურათს. მხატვარი მისდევს თამარის ხატვის ტრადიციას (გადაბმული წარბები, კულულები, ხალი, ტაყვი და სხვ.).

შესავალშივეა დახატული ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი. საბა ვახტანგს წიგნს მიართმევს (თუ გამოართმევს). დღეს ფართოდ გავრცელებული საბას პორტრეტი ამ ნახატიდან მოდის. (იხ. ტაბულა 1).

ხელნაწერის 157 გვერდიდან მინიატურები განსხვავდება ზემოთ განხილულთაგან. ჩვენი აზრით, აქედან წიგნს ასურათებს სხვა მხატვარი. მას 345 მინიატურა ეკუთვნის. აქ აღარ გვხვდება დიდი ილუსტრაციები, ნაკლებია ევროპული გავლენა, ყველაფერი აღმოსავლურია: სახლები, ნივთები, კოსტუმი. ივანეები რამდენიმე მინიატურადაა ილუსტრირებული. სურათები პატარა ზომისაა და გულდას-

<sup>10</sup> შდრ. მინიატურები: A. Попс, V, გვ. 925.

<sup>11</sup> ხეთა შუქ-ჩრდილები უფრო ადრეულ მინიატურებშიც გვხვდება (იხ. Tschingischan und sein Reich. „Arta“—17, 23, 24, 26, 31).

მით დახატული, ჩარჩოები — მტკიცედ შეკრული, ფერები — მოკერილი (იხ. ტაბულა 3, 4).

მეორე ანონიმი მხატვარი ჩინებული ოსტატია. მან შესანიშნავად იცის აღმოსავლური სამყარო და სპარსულ მინიატურათა ზოგ ტრადიციას აგრძელებს. იგი ზუსტად ასახავს მის ირგვლივ არსებულ რეალურ საგნებს, ხოლო ფანტასტიურს — ლიტერატურული ტრადიციების მიხედვით ხატავს<sup>12</sup>. ხელოვანი ცდილობს გადმოსცეს მოქმედ გმირთა (ზოგჯერ თვით ცხოველთა) ხასიათი და განწყობა, რაც აღმოსავლურ მინიატურაში საერთოდ არ შეინიშნება. იგავის სხვადასხვა ეპიზოდის ამსახველ მინიატურებს მხატვარი ერთმანეთის მიყოლებით ისე თანმიმდევრულად ალაგებს, რომ ისინი ნახატი ფილმის კადრებს ჰგვანან. მინიატურათა განმაცალკეველ ჩარჩოებს ოსტატი ზემოთ ერთგვარი თაღებით აგვირგვინებს და როდესაც ერთმანეთის გვერდით დახატულ ამ ფერად სურათებს უყურებთ, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს აღმოსავლურ აივანზე იჭდეთ და იქედან გაპყურებდეთ ბუნებას. ამ შთაბეჭდილებას ის უფრო აძლიერებს, რომ მხატვარი სადაც ეს უხერხდება, მოქმედების ფონად ბუნების წიაღს, მინდორსა და ფაფუკი ქულებით დამშვენებულ ცას გამოიყენებს. საინტერესოა მისი მეორე მანერაც: მცენარეებს იგი ჩარჩოებთან, სურათის აქეთა და იქეთა მხარეს განალაგებს, მათ შუაში კი გმირებს ამოქმედებს.

„ქილილა და დამანაში“ იგავეები იგავეებშია ჩართული და სანაძ ერთის ბოლო ეპიზოდი დამთავრდებოდეს, მანამდის მასში ჩართული იგავეი მთლიანად უნდა დასრულდეს. ეს თავისებურება ილუსტრატორს ერთგვარ სიძნელეს უქმნის. „ქილილა და დამანას“ პირველი და მეორე მხატვარი იგავთა ილუსტრაციებს მიჯნავენ ერთმანეთისაგან. არის გამონაკლისიც, როცა ჩართული იგავეი ამბავთა ამსახველ მინიატურას მიჰყვება. ეს ხდება მაშინ, როცა ეს ამბავი ცალკე არაა ტექსტში გამოყოფილი. მაგ., ქილყავისა და თავვის იგავის ილუსტრაციებში ჩართულია სამი მინიატურა, რომელიც ამბავში მოყოლილი ნამდვილი მეგობრის იგავს ასახავს (გვ. 302). მეორე ანონიმი იძლევა პირობით სურათებსაც. მაგ., „თავვის შექმულ რკინაში“ სტუმარი ატყუებს მასპინძელს: გუშინ მე თვითონ დავინახე, შენი ბავშვი ძერას რომ მიჰქონდაო. მინიატურაში სტუმარი უთითებს მასპინძელს ცისკენ, სადაც ცალკეა გამოხატული ბავშვატაცებული ძერა (გვ. 195). მსგავსად პირველი ანონიმის მინიატურებისა, ლომ-მეფეს აქაც გვირგვინი ადგას (გვ. 199, 309, 358). ხელოვანი არ ერიდება პორნო-

<sup>12</sup> მისი სიმორლი (გვ. 169) შტრ. სპარსულ ტრადიციულ სახეებს (A. Pope, V, გვ. 925; E. Kühnel, 32):



გრაფიული სურათების ხატვასაც (გვ. 229). ჩვენი აზრით, მეორე ანონიმი უფრო რაფინირებულ ნახატებს იძლევა და შემთხვევითი არ არის, რომ არაბული „ჭილილა და დამანას“ რუსული გამოცემის მხატვარს ე. ა. ბუდოგოსკის წიგნის ფრონტისპისის შექმნის დროს სწორედ მისთვის მიუმართავს<sup>13</sup>.

და აი, ხელნაწერის 408 გვერდზე იწყება ილუსტრაციები, რომელიც მკვეთრად განსხვავდება როგორც პირველ, ისე მეორე მხატვრის ნამუშევრისაგან. წიგნში ასეთი 372 მინიატურაა. ჩვენი აზრით, იგი მესამე ანონიმი მხატვრის ხელობაა (იხ. ტაბულა 5, 6). პირველი, რაც აქ კაცს თვალთ ეცემა, ესაა თავისებური ხელი, ხატვის დაუდევარი მანერა. ძუნწია მოქმედების გარეშო, სურათებში ტრაფარეტულად ჩაცმული იდენტური ხალხი მოქმედებს. რამდენადაც საქმე უკვე დაწყებული ილუსტრაციების გაგრძელებას მოითხოვს, როგორც მეორე ისე მესამე ანონიმი იძულებულნი არიან, წინამორბედს მიბაძონ, რათა ილუსტრაციათა ერთიანობა არ დაიარღვეს. მეორე ანონიმი ბადავს პირველს, ხოლო მესამე—პირველსა და მეორეს. მესამე ანონიმის დახატული საგნები ან პირველი და მეორე ანონიმის ასლებია (გვ. 418, 423, 430, 453, 478, 550, 659), ანდა — აღმოსავლეთისთვის უცხო, რუსული თუ ევროპული. მაგ., გვხვდება მრავალსართულიანი სახლები (გვ. 459, 479), ოთახების თაღები და სვეტისთავეები ხშირად გოთურია (გვ. 465, 470, 499, 613); ფანჯრები, იატაკი, ავეჯი, ლოგინი — ევროპული. მრგვალ, მოქარგული სუფრით დაფარულ მაგიდას უსხედან (გვ. 516); კარ-ფანჯრები რუსულ ხალხურ მოტივებზეა მოხატული (გვ. 499, 550); სულ სხვაა აქაური (გვ. 463) და მეორე ანონიმის (გვ. 348) ლოგინები. ხშირად იელვებს რუსული ხატებისა თუ ფრესკების სახეები და პოზები (გვ. 468), რაც მხატვრის არაქართველობაზე მეტყველებს. მხატვარი კარგად გადმოგვცემს ევროპელის კოსტუმს (გვ. 541), მაგრამ აღმოსავლური ტანსაცმლის დახატვა არ შეუძლია, მის მოქმედ გმირთა უცნაური ქუდები პირველი ანონიმის ჩაღმათა იმიტაციაა. აღმოსავლურ საგნებს ის კარგად არ იცნობს, რასაც ამგვანებს, იმასაც პირველი და მეორე მხატვრის აშკარა წაბაძვით ხატავს. აქაც ბოლომდე მაინც ვერ ინარჩუნებს სახეს და შეცდომებს უშეებს. მინიატურისტები ენისა და ყოფის უცოდინარობის გამო ხშირად სცოდავდნენ ტექსტის ასახვის თვალსაზრისით<sup>14</sup>. მაგ., მეფეთა ჩაღმაზე მორგებული თომა-

<sup>13</sup> იხ. Калла и Димна. М.—Л., 1934. გვ. 6.

<sup>14</sup> ამის შესახებ, მაგ., იხ. Мниатюры рукописи „Бабурнама“... М., 1960. გვ. 12. „ჭილილა და დამანას“ მინიატურებს დიდი მნიშვნელობა ფილოლოგიის თვალსაზრისითაც ენიჭება, რადგან აქ საბას თანამედროვეთა

რი ზოგჯერ სწორად მიუმგვანებია პირველი ანონიმი მხატვრის სურათების მიბაძვით, მაგრამ მერე და მერე მისი ხატვა გადავიწყებია და ჯვრის სახედ გამოუსახავს (გვ. 571, 613). აღმოსავლეთში მრეცხავი (ძვ. ქართულით: მმურკნელი) მამაკაცი იყო. „ქილილა და დამანას“ იგავში „უგულო და უუურო ვირი“ გამოყვანილი მრეცხავი, რომელსაც თავისი ტვირთი ვირით დააქვს, არაქართველ მხატვარს ქალად წარმოდგენია (გვ. 544), ასევე, ქართული ტექსტის ქა იქ, სადაც იგი ორმოს ნიშნავს, რუს ოსტატს წყლის ჰად მიუჩნევია და ზედ გვიმი დაუდგამს (გვ. 308, 648). „ქილილა და დამანას“ იგავში „ხალიფა და მხევალი“ ხალიფამ, რომელიც „ერდოსა ზედა ვიდოდა და ეფრატისა მდინარესა უმზერდა“, თავისი მხევალი ერდოდან მდინარეში გადააგდო. მხატვარი ხატავს ტოლფერდა სახურავს, რომლის ცალ გვერდზე ძლივს დგანან მეფე და მხევალი. ეტყობა ქართულ ტექსტში ჩაუხედავ მხატვარს განუმარტეს: მეფე სახურავზე იდგაო (გულისხმობდნენ, რომ აღმოსავლეთში სახურავი ბანია, რომელზედაც დადიან კიდევაც), მხატვარს კი მისთვის ცნობილ ციცაბო სახურავზე გაუყვანია მოქმედი გვირნი (გვ. 492 იხ. ტაბულა 5).

უცნობ მხატვარს აქვს საკუთარი ხელწერა, მისთვის ჩვეული მანერა, თავისი საყვარელი ფერები. მასაც უხდება მოქმედების გარემოდ ბუნების წიაღის ხატვა. ყველა მის ილუსტრაციაში ცალურჯია, ხოლო პორიზონტი — გასარკული. მსგავსად პირველი ანონიმისა, მასაც ახასიათებს პირობითობანი. მაგ., რაიმე სურათში ღია პორიზონტს ზემოთ იგი ჩახატავს სხვა სცენას ან ეპიზოდს (გვ. 507, 516), მძინარე მეფეს თავს ზემოთ უხატავს შვიდ პატარა მინიატურას, რომელიც ამ მეფის შვიდ სიზმარს ასახავს (გვ. 562).

აქ აღიძვრის კითხვა: რატომ მოახატვინეს ქართული წიგნი უცხო ოსტატს? ჩვენი აზრით, პირველი და მეორე ანონიმი მხატვარი წიგნის გაფორმებაზე საქართველოში მუშაობდნენ. ეტყობა, მათ წიგნის მოხატვა მოთავებული არ ჰქონიათ, როცა ვახტანგს რუსეთში მოუხდა გამგზავრება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ოსტატები ვახტანგს თან არ გაჰყოლიან.

ჩვენ არ ვიცით, ვინ იყო მესამე ანონიმი თავისი წარმოშობით, მაგრამ მისი შემოქმედება რომ რუსულ კულტურას ეკუთვნის, ამაში ეჭვი არ გვეპარება. ვახტანგის კოლონიაში მარტო ქართველები როდი იყვნენ. კოლონიის 1737 წლის სიაში, მაგალითად, იხსენიება

---

მეორე ილუსტრირებულია მრავალი საგანი. მაგ.: ტექსტის ყარაულა, რომელიც ორიგინალის ყანჩას ასახავს და საბას თავის ლექსიკონში განმარტებული არა აქვს, პირველ ანონიმს ესმის როგორც გარეული იხვი (გვ. 127).

არაერთი რუსი, და, ასე გასინჯეთ, ევროპელიც კი — უცხო ენათა მასწავლებელი, ვინმე იონუს პატორი. ვახტანგსა და მის ამაღას მოსკოვში, როგორც ცნობილია, ძველი ქართველი კოლონისტებიც დახედნენ. ესეც ანგარიშგასაწევი ამბავია. ეს მინიატურები 1724 წლის შემდეგაა შესრულებული.

„ქილილა და დამანას“ პირველი ილუსტრატორები მე-18 საუკუნის დასაწყისის საუკეთესო ოსტატებად უნდა ჩაითვალოს მახლობელ აღმოსავლეთში. მან თავისი ეპოქის შედეგები შექმნეს და ღირსნი არიან, რომ ფართო საზოგადოებისა და სპეციალისტების საგანგებო ყურადღება მიიპყრონ.

განსაკუთრებულ ვითარებას ქმნის მინიატურების მესამე სერია, რომელიც რუსულ ხელოვნებას ეკუთვნის. ცხოველ ინტერესს ის უფრო აღვივებს, რომ ეს ნახატები არ იმეორებენ დღემდე ცნობილ რუსულ მინიატურებს და გვანცვიფრებენ არა მარტო თავიანთი თვითმყოფადობით, არამედ სიმრავლითაც.



91	34	103	105	407	66	134	199	63	162	201	97
97	37	107	362	407	68	136	201	84	164	204	103
99	38	107	226	407	69	141	209	87	170	211	104
120	44	113	210	407	73	150	221	92	182	227	111
122	45	113	214	407	73	152	223	93	184	229	113
123	47	115	117	407	74	154	225	94	187	233	115
126	49	117	120	407	76	159	232	96	194	241	119
162						169	244	107	203	255	
						171	246	107	205	257	
						177	254	110	213	267	
						182	260	113	218	275	
						186	264	114	223	280	
						188	267	115	226	284	
						194	274	118	236	294	136
		127	134	407	86	198	280	120	241	299	145
		136	140	407	92	205	290	124	251	310	153
			146	407	96	213	300	127	259	322	159
			151	408	99	221	310	136	266	332	
142	60	143	216	408		229	321	139	275	344	
						234	328	141	282	353	
						243	339	146	293	367	172
		149	224	408	106	244	341	147	294	368	173
		150	161	408	107	245	342	147	294	368	174
		150	220	408	108	255	355	151	301	384	
						265	358	159	322	401	195
		160	178	408	119	273	379	162	331	413	
						280	387	165	338	422	205
		164	242	408	127	281	389	165	341	425	206
		165	228	408	129	287	396	168	347	435	212
		167	190	408	129	290	400	169	350	439	
		169		408	133	295	406	171	354	448	219
		171	224	408	133	300	413	173	360	454	223
		172	198	409	134	301	416	174	362	456	225


მონადირე, მელი და მეფხი  
მარანი, მელი, მელი და აქლები  
დღალ-მამლო ზორაჟი და ზღვის უფროსი  
ქუ და იხეები  
გაიშენები და ფრინველი  
ორი ამხანაგი და გულა ვერცხლი  
მეფარი და ზღარები  
მეზაუ და დაფი  
თავის შეკმული ჩინა  
შვეიჩი მელი და ტყეის ნაკერი  
უძული ყიჩი  
საიდუმლოს გამეცი მიწინიბე  
განდიდებული მეუღლებო  
მეუღლსთან მიმოსულელი განდიდელი  
დღესქრის ცოლი და მხატვარი  
სამი შურიანი ახანაგი  
ორი გულნალი  
ბაზიური და ზორაჟები  
კილკეკეი და თავკეი  
სამისა და ქორის სიყვარული  
სიყვარული მეუღლე  
თავის თავგადასავალი  
ხნდურის მუშაური  
ხარბი მელი  
კატა და ტრეფები  
ბაღჩანთა და გულთა მტერი ბა  
საიდუმლოს გამგლეგნული მეზიჩი  
მარანთა და გულთა ტერობის მიზეზი  
მეფარის მიტოვული უწოდებული  
კაცბი, მტერი და კატა  
ქალა ბრკე  
მარტივად ცოლი და მარაგნი  
დღესქრის ცოლი და მარაგნი  
განდიდებული, დევი და მარაგნი





დამატება III

ქართული „ქილილა და დამანას“ წარმომავლობის სქემა-





„फिलिप्ला ला लामानास“ एरुता ण्ठाविस („गान्धुमरुतेपुली, एवेगि ला  
 थिपारावेगि“) पारालिगुमेबे

1. „गान्धुमरुतेपुली“:

अस्मि कस्मिंश्चिद् आधधानं दरिद्रो ब्राह्मणः प्रतियहधनः सततं  
 विगिष्टं बस्त्रानुलेपनं गन्धमात्यालं कारंतामूलादिभोगं परिवर्जितः  
 प्ररूढं केणं शमश्रुनखरोमोपचितः शीतोष्णवर्षादिभिः परिगोपित-  
 गरीरः । तस्य च केनाप्य् अनुकम्पया शिशुगोयुगं दत्तम् । ब्राह्मणेन  
 च वाल्वाद् आरभ्य याचितघृततिलयवसादिभिः संवर्धं सुपुष्टं  
 कृतम् । तच्च दृष्ट्वा महत्सैव कश्चिच्च चौरगं चिन्तितवान् । अहम्  
 अस्य ब्राह्मणस्य गोयुगम् इदम् अपहरिष्यामि । इति निश्चिन्त्य  
 निगायां बन्धनपाशं गृहीत् । यावत् प्रस्थितः । तावद् अर्धमार्गं  
 प्रविशन्तीक्षणदन्तपिङ्गु उचतनासावंगविषमीकृतनयन उय-  
 चितस्त्रायुमंततगात्रः शुष्करूपोलः मुहुतहुतवहपिङ्गुमश्रुगरीरः  
 कश्चिद् दृष्टः । दृष्ट्वा च तं तीव्रभयोच्चस्तरं चौरो ऽब्रवीत् । को  
 भवान् । इति । स आह । सत्यवचनो ऽहं ब्रह्मराष्ट्रमः । भवान्  
 अयं आत्मानं निवेदयतु । सो ऽब्रवीत् । अहं कूरकर्मा चौरः ।  
 दरिद्रब्राह्मणगोयुगं हर्तुं प्रस्थितो ऽस्मि ।

अथ ज्ञातप्रत्ययो राक्षसो ऽब्रवीत् । भद्र । पष्ठाच्चकालिको  
 ऽहम् । अतस् तम एव ब्राह्मणम् अद्य भक्षयिष्यामि । तत  
 मुन्दरम् इदम् । एककार्याव् एवावाम् । अथ तौ तच्च गन्धकान्ते  
 कालम् अन्वेषयन्तौ स्थितौ । प्रसुप्ते च ब्राह्मणे तद्दृष्टानार्थं प्रस्थितं





#### 4. რულაქისეული ვერსია

ایستاده دیدم آنجا دزد و غول  
روی زشت و چشمها همچون دو غول

#### 5. ნარალ-ლასისეული ვერსია

آورده‌اند که زاهدی گاوی بخريد و سوی خانه ميرفت دزدی.  
بذيد در عقب آمد تا گاو ببرد دیوی در صورت آدمی با او همراه شد.  
دزد از او پرسید که تو کیستی گفت دیوم که بر اثر آن زاهد میروم تا فرصت  
اورا بکشم و آنگاه گفت تو حال خود بامن بگو جواب داد که من  
مردی عیار پیشام میروم که گاو این زاهد بدزدم پس هر دو بر عقب زاهد  
رفتند شبانگاه بزایوه زاهد رسیدند زاهد در خانه رفت و گاو بیست  
و تیمار و علف بداشت و باستراحتی پرداخت دزد اندیشید که اگر  
پیش از بردن گاو بکشتن او دیو دست دراز کند باشد که بیدار شود  
و بردن گاو ممکن نگردد دیو گفت اگر نزد گاو بیرون برد درها  
باز شود و زاهد بیدار گردد دزد را گفت مهلتی ده تا من مرد را بکشم  
آنگاه تو گاو ببر دزد گفت توقف از جانب تو اولیتر تا من گاو  
بیرون برم آنگاه تو او را بکشی این خلاف میان ایشان قائم شد و  
بمجادله پیوست دزد زاهد را آواز داد که اینجا دیواست ترا بخواهد  
کشت دیو آواز داد که دزد گاو میبرد زاهد بیدار شد و همسایگان  
را آواز داد ایشان بگریختند و نفس و مال زاهد بسبب خلاف دشمنان  
مصون و مسلم ماند

#### 6. ნიჭამისეული ვერსია

رهی چون باشد از خصمانت ناورد  
چنان کزدیو و دزد آن پارسا مرد

#### 7. ყანისეული ვერსია

بکی مرد زاهد بد از رستا  
نکو نام و روشن دل و پارسا  
بشد روزی از شهر و گاوی خرید  
ترازو بچست و بها بر کشید  
چواو گاو و خصمش بها بر گرفت

سوی روستا را کشید ای شگفت  
بره دزدی اندر پی او قتاد  
همی کرد دزدیدن گاو یاد  
یکی دیو بر صورت آدمی  
بیامد که باو کند همدمی  
بناگه زجانش برآرد دمار  
نباشد کسی ایمن از روزگار  
چو عیار دیو دژمرا بدید  
زبان برگشاد و بدو در رسید  
که تو کیستی راست بامن بگو  
سر راستی جوی و کژی مجو  
بد و گفت من دیو ناسازگار  
از این مرد زاهد برآرم دمار  
ز عیار پرسید دیو دژم  
که احوال خود را تو بر گو هم  
بدو گفت من حیلها گترم  
مگر گاو زاهد بدست آورم  
مرا دزد خوانند مردم همه  
نهانی بکردند این زمزه  
چو زاهد سوی خانه آمد ز راه  
سبوس اندر آمیخت لختی بکاه  
شتابید و در آخرگاه کرد  
فرو برد سرگاو و لختی بخورد  
هم اندر زمان مرد زاهد بخت  
تو گفتمی که با مر ده گشت جفت  
چو او خفته شد دزد اندیشه کرد  
که چون دیو ناگه آمد قصد مرد  
درین خانه بیدار گردد کسی  
مرا کامگاری نباشد بسی  
که از خانه این گاو بیرون برم  
بکوشم در این کار و افسون برم  
دل دیورا کرد اندیشه تنگ  
که گرگاو بیرون برد بی درنگ  
سر مرد زاهد در آید ز خواب



تیغ زائد بر تو و گوئی خور است  
زرد کند رویت و گوئی ز راست

در زاویه قناعت سر بگریبان فراغت کشیده بود و بو ظیفه‌ای  
که از عالم غیب حواله او شدی آرمیده (بیت)

ما طرح قناعت و رضا افکنندیم  
و زدوست بهره میرسد خورسندیم

القصه یکی از مردان صادق بر فقر و فاقه زاهد مطلع شد و  
جهت مدد معاش گاویشی تازه و فربه که کام آرزو بشیر لذیذش چرب  
و شیرین شدی بر سیبل نذربه صومعه شیخ آورد دزدی آن حال را  
مشاهده کرده قوت طامه‌اش در کار آمد و روی بصومعه زاهد نهاد  
دیوی نیز بصورت آدمیان با وی همراه شد دزد پرسید که تو کیستی  
و کجا میروی جواب داد که من دیو بدین شکل متشکل گشته و  
بدین نقش بر آمده بصومعه زاهد میروم که مردم این ولایت ببرکت  
